ეროვნული

1

2018

„არცერთ ეროვნებას და ქვეყანას
არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა,
თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ
წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია.
ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიც კი,
თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული.“



"No nation or country can reach sustainable cultural growth unless it has a duly developed and perpetually successful science. Every success of a nation, even in the field of the material culture, depends on the success and revitalization of a theoretical science".

Ivane Javakhishvili

ჯავახიანი

1

თბილისი, Tbilisi

2018

UDC(უაკ)94(479.22)(092)
ჯ-144

ალმანახის წინამდებარე ტომში წარმოდგენილია კვლევები, სადაც გაანალიზებულია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოს საზღვრების ფორმირების საკითხი და მასში ივანე ჯავახიშვილის წვლილი.

The present volume of the collection presents the studies analyzing the issue of border formation of Georgia following the First World War and tribute of Ivane Javakhishvili to this issue.

სარედაქციო-საკონსულტაციო საბჭო:
ნუგზარ ანთელავა, თეიმურაზ გვიმრაძე, ლევან გორდეზიანი,
გურამ ლორთქიფანიძე, მალხაზ მაცაბერიძე,
დალი ნიკოლაიშვილი, ოთარ ჯანელიძე

Editorial-Consulting Board:
Nugzar Antelava, Teimuraz Gvimradze, Levan Gordeziani,
Guram Lortkipanidze, Malkhaz Matsaberidze, Dali Nikolaishvili, Otar Janelidze

სარედაქციო კოლეგია: **დავით სართანია** (მთავარი რედაქტორი),
ავთანდილ უჯმაჯურიძე, გია ჩხიკვიშვილი

Editorial Board: **Davit Sartania** (editor-in chief),
Avtandil Ujmajuridze, Gia Chkhikvishvili

ტომის რედაქტორები:

დალი ნიკოლაიშვილი
თსუ გეომორფოლოგიისა და კარტოგრაფიის კათედრის გამგე,
თსუ პროფესორი, საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის
გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი

ავთანდილ უჯმაჯურიძე
ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილის ცენტრი

Editors of volume:

Dali Nikolaishvili
Head of Chair of Geomorphology and Cartography, Tbilisi State University,
Vice-president of Geographical Society of Georgia

Avtandil Ujmajuridze
Historian, Ivane Javakhishvili Center

ISSN 2449-3198

© ივანე ჯავახიშვილის ცენტრი

© Ivane Javakhishvili center

„ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს.“

ივანე ჯავახიშვილი

"The Georgian nation and its government are obliged to their descendents and history to pay proper attention to the shape of the state borders of their Republic and be a sober guard for them".

Ivane Javakhishvili

საქართველოს საზღვრების პრობლემა XX საუკუნის I ნახევარში
და
ივანე ჯავახიშვილი

Problem of the borders of Georgia in the first half of the XX century
and
Ivane Javakhishvili

ნაწილი I

Part I

შინაარსი Contents

ტომის შედგენილობისათვის
დალი ნიკოლაიშვილი, ავთანდილ უჯმაჯურიძე 8

For the composition of the volume
Dali Nikolaishvili, Avtandil Ujmajuridze 8

ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა და ჩვენი ამოცანები
დავით სართანია 9

Ivane Javakhishvili's Heritatge and Our Tasks
Davit Sartania 9

- **კობა ხარაძე** - გეოგრაფიული კვლევის ასპექტები ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში. გვ. 25

  Koba Kharadze – Aspects of Geographical Study in the Work of Ivane Javakhishvili. p. 25

- **ოთარ ჯანელიძე** - ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში. გვ. 34

  Otar Janelidze - From the history of public and political activities of Ivane Javakhishvili In 1918-1921. p.

- **დალი ნიკოლაიშვილი, დავით სართანია** - საქართველო „მჭიდროდ შემოფარგლულ სამზღვრებში“ – ივანე ჯავახიშვილისეული ხედვა. გვ. 49

  Dali Nikolaishvili, Davit Sartania – Georgia in "tight borders" – Ivane Javakhishvili's vision. p. 49

- **ავთანდილ უჯმაჯურიძე, გია ჩხიკვიშვილი, რევაზ თოლორდავა** - ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ წყაროების რეტროსპექტული ანალიზი. გვ. 95

  Avtandil Ujmajuridze, Revaz Tolordava, Gia Chkhishvili - The main sources of Ivane Javakhishvili's work „Borders of Georgia, from the view history and Contemporary“. p. 95

- **რევაზ თოლორდავა, დალი ნიკოლაიშვილი** - ძველი ტოპოგრაფიული რუკები („ვერსტოვკები“) – საქართველოს ტერიტორიის გამიჯვნისათვის გამოყენებული ძირითადი კარტოგრაფიული წყარო. გვ. 103

  Revaz Tolordava, Dali Nikolaishvili - Old Topographic Maps (so called "Verst Maps") – the Principal Cartographic Source Used to Demarcate the Territory of Georgia. p. 103

- **ენდრიუ ანდერსენი** - 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულება და საქართველოს სახელმწიფო საზღვრები 1920-1921 წლებში. დ. ნიკოლაიშვილისა და ა. უჯმაჯურიძის თარგმანი. გვ. 125

  Andrew Andersen - The Treaty of Moscow (May 7, 1920) and state borders of Georgia in 1920-1921. Translated by D. Nikolaishvili and A. Ujmajuridze p. 125

- **ვახტანგ გურული, ავთანდილ არაბული** - ივანე ჯავახიშვილი საქართველოში სომეხთა ჩამოსახლებისა და სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ. გვ. 149

  Vakhtang Guruli, Avtandil Arabuli - Ivane Javakhishvili about Settlement of Armenians and their territorial Claims. p. 149

- **მანანა კვეტენაძე** - სახელმწიფო საზღვრების აღწერა 1922 წლის „საქართველოს რესპუბლიკის რუკის“ მიხედვით. გვ. 159

  Manana Kvetenadze - Description of State Borders Based on “The Map of the Republic of Georgia” of 1922. p. 159

- **დარეჯან კირთაძე** - ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიისათვის ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიის („საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“) მიხედვით. გვ. 171

  Daredjan Kirtadze - Toponym’s Localization and Etymology by Monograph of I. Javakhishvili „Georgian Borders’’. p. 171

- **ნოდარ ხორბალაძე, თედო გორგოძე** - საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კარტოგრაფიული და სამართლებრივი კვლევის საკითხისათვის. გვ. 178

  Nodar Khorbaladze, Tedo Gorgodze - For the Cartographic and Legal Study of the State Border of Georgia. p. 178

- **ზვიად თურმანიძე, მარიამ ციცაგი** - სახელმწიფო საზღვარი სოფ. ერისიმედიდან – საქართველოს უკიდურეს სამხრეთ წერტილამდე. გვ. 185

  Zviad Turmanidze, Mariam Tsitsagi - National Border from Erisimedi to Southern End Point of Georgia. p. 185

დამატება Annex

- **ედიშერ ხოშტარია-ბროსე, ავთანდილ მენთეშაშვილი** - საქართველოს საზღვრები. ივანე ჯავახიშვილის წიგნის - „საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ (რეპრინტი: ტფილისი, 1919 წ“ – შექმნის პირობები და მნიშვნელობა). ე. ხოშტარია-ბროსე, ა. მენთეშაშვილი // მნათობი. თბილისი, 1999. 5-6. გვ. 203.

  Edisher Khoshtaria-Brose, Avtandil Menteshashvili - Borders of Georgia. According to monography of Ivane Javakhishvili „Borders of Georgia, from the view history and Contemporary“, 1919. In „Mnatobi“, 1999. p. 203.

- **დურმიშხან ცინცაძე** - საქართველოს საზღვრები. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 3 ივლისი, 1990, № 74, გვ. 213.

  Durmishkhan Tsintsadze - Borders of Georgia. newspaper: „Akhalgazrda Iverieli“, July 3, 1990. № 74. p. 213.

- **მიხეილ სვანიძე** - „ერთი რუკის გამო.“ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 ივნისი, 1992, № 98 (377). გვ. 215.

  Mikheil Svanidze - "About one map." newspaper: „Sakartvelos Respublika“ (Republic of Georgia), June 6, 1992, № 98 (377), p. 215.

- **დურმიშხან ცინცაძე** - საქართველოს საზღვრები. გაზეთი: „ლიტერატურული საქართველო“, 17 ივლისი, 1992 წელი; დურმიშხან ცინცაძე. ეს ჩვენი ისტორიაა. თბ., 2013. № ? გვ. 218, რეპრინტი (ფრაგმენტი).

  Durmishkhan Tsintsadze - Borders of Georgia. newspaper: “Lietarturuli Sakartvelo”, July 17, VII. 1992; Durmishkhan Tsintsadze. This is Our History. Tbilisi, 2013. pp. 218, Reprint (Fragment).

- **დურმიშხან ცინცაძე** - ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრების“ გამოცემის გამო. ივანე გამოცემა მოამზადა, რედაქცია გაუკეთა და ბოლოსიტყვა დაურთო დურმიშხან ცინცაძემ. თბილისი, 1996 გვ. 220.

Durmishkhan Tsintsadze - About the publication of Ivane Javakhishvili „Borders of Georgia“, ed. D. Tsinstadze, Tbilisi, 1996. p. 220.

- **დურმიშხან ცინცაძე** - საქართველოს საზღვრების დარაჯი. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისთავისათვის. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 აპრილი, 2006 წ., № 67 (5405), გვ. 223.

  Durmishkhan Tsintsadze - Borders Keeper of Georgia. newspaper: „Sakartvelos Respublika“ („Republic of Georgia“), April 5, № 67. 2006. p. 223

- **დურმიშხან ცინცაძე** - კიდევ ერთხელ ივანე ჯავახიშვილის წიგნის „საქართველოს საზღვრების“ შესახებ (სიმართლე კი ასეთია). გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 ნოემბერი, 2009 წ., № 240 (6340), გვ. 226.

  Durmishkhan Tsintsadze - Once again about the monography of Ivane Javakhishvili „Borders of Georgia“ (The truth is this). newspaper „Sakartvelos Respublika“ (Republic of Georgia), November 29, 2009. № 240 (6340), p. 226.

- **კობა ხარაძე** - ივანე ჯავახიშვილის რუკა. წყარო: ჟურნალი „ციცინათელა“, 1997, № 18. გვ. 229.

  Koba Kharadze - About of Ivane Javakhishvili's Map. Journal: „Tsitsinatela“, 1997, № 18. p. 229.

- **მალხაზ მაცაბერიძე** - ივანე ჯავახიშვილის „მოხსენება თანამედროვე მომენტზე“, 1919 წლის 17-18 აპრილი. გვ. 230.

  Malkhaz Matsaberidze - Report of Ivane Javakhishvili „At the Modern Moment“, April 17 and 18, 1919. p. 230.

- **მალხაზ მაცაბერიძე** - ივანე ჯავახიშვილის ორი ლექცია საქართველოს სამხრეთი საზღვრის შესახებ (1918 წლის 18 და 22 დეკემბერი). გვ. 235.

  Malkhaz Matsaberidze - Two lectures delivered by Ivane Javakhishvili (December 18 and 22, 1918). p. 235.

- **ვილენ მარდალეიშვილი** - ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!.. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 ნოემბერი, 1996 წ., № 221 (2332), გვ. 245.

  Vilen Mardaleishvili - Georgia was big once! – Newspaper “Sakartvelos Respublika” (“The Republic of Georgia”), November 2, 1996, № 221 (2332), p. 245.

ბიბლიოგრაფია (საქართველოს საზღვრები და ივანე ჯავახიშვილი). გვ. 246

Bibliography (Borders of Georgia and Ivane Javakhishvili). p. 246

პირთა საძიებელი. გვ. 251

People Index. p. 251

გეოგრაფიული საძიებელი. გვ. 252

Geographical Index. p. 252

ტომის შედგენილობისათვის

ალმანახი „ჯავახიანი“ ივანე ჯავახიშვილის ცენტრის პერიოდული ორგანოა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის კვლევის შედეგების გამოქვეყნებას ისახავს მიზნად. ამიტომ წინამდებარე ტომი იწყება ამ ამოცანების განხილვით. შემდეგ კი კონკრეტული კვლევის შედეგებია წარმოდგენილი.

XX საუკუნის დასაწყისი დიდი პოლიტიკური ბატალიებით ხასიათდებოდა. რუსეთის იმპერიის მარწუხებს ახლად თავდაღწეული ქვეყნები ცდილობდნენ აღედგინათ ძველი სახელმწიფოებრიობა, ტერიტორიული მთლიანობა და სოციალურ-კულტურული აღმშენებლობის ახალ გზას შესდგომოდნენ. იმპერიული იდეებით შეპყრობილნი კი იოლად როდი თმობდნენ თავიანთ ძალაუფლებას. 1905 და 1917 წლების მოვლენები, I მსოფლიო ომი და მსოფლიოს ახალი პოლიტიკური წესრიგის მოწყობის მიზნით გამარჯვებულთა მიერ ჩატარებული პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და შემდგომ კი – გასაბჭოება. ეს ის პროცესებია, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე, მისი ტერიტორიისა და საზღვრების ფორმირებაზე. პოლიტიკური პარტიები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს პროცესებში. შეუძლებელი იყო იმ ქარცეცხლიან ეპოქას, ჩვეული სიდარბაისლითა და ჭეშმარიტი სიტყვით, არ გამოხმაურებოდა დიდი ივანეც. რა თქმა უნდა, უპირველესად როგორც მეცნიერი და თავისი ცოდნით, მის ხელთ არსებული ისტორიული დოკუმენტების ღრმა ანალიზით არ შეხიდებოდა თავის თანამემამულეებს. მაგრამ არც ამ შემთხვევაში იღვწის ივანე ჯავახიშვილი მხოლოდ როგორც მეცნიერი. იგი მზადაა, როგორც ქვეყნის დელეგატმა, საერთაშორისო ასპარეზზეც დაიცვას ჩვენი სამშობლოს ინტერესები, სრული პასუხისმგებლობით მოამზადოს და გააცნოს შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება მის მიერვე დაარსებულ უნივერსიტეტის სტუდენტებს თუ ფართო საზოგადოებას, არასწორი გადაწყვეტილების შემთხვევაში თამამად გამოხატოს პროტესტი და ისტორიული სამართლიანობის, თუმცა ასევე მოსაზღვრე ქვეყნებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცების, უსაფრთხოებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით, შეიმუშავოს ზოგადსახელმწიფოებრივი სტრატეგია, - თუ როგორ უნდა გატარდეს საქართველოს საზღვრები იმგვარად, რომ არ შეილახოს ჩვენი ერის პოლიტიკური უფლებები და აღდგენილ იქნეს სამართლიანობა.

ალმანახის წინამდებარე ტომში თავმოყრილია ის კვლევები, რომლებიც მკაფიოდ წარმოაჩენენ ივანე ჯავახიშვილის წვლილს ჩვენი ქვეყნის ისტორიული საზღვრების შესწავლის საქმეში.

ტომი ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველ ნაწილში თავმოყრილია კვლევები, სადაც სხვადასხვა კუთხითაა შეფასებული მეცნიერის ხედვა საქართველოს საზღვრების ფორმირებასთან მიმართებაში, გაანალიზებულია ის რეალობა, რამაც განაპირობა ჩვენი ქვეყნის საზღვრების ისტორიული ტრანსფორმაციები და თანამედროვე სახით მისი ჩამოყალიბება.

მეორე ნაწილი ტომის დანართია, სადაც მოცემულია ამავე საკითხებზე 1990-იან წლებში და მის შემდგომ გამოქვეყნებული ნაშრომები.

ტომს თან ერთვის ბიბლიოგრაფია, გეოგრაფიული და პირთა საძიებლები.

სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის დარეჯან კირთაძეს, მანანა კვეტენაძესა და მარი ციცაგს ალმანახის ამ ტომის მომზადებაში გაწეული შრომისათვის.

დალი ნიკოლაიშვილი
ავთანდილ უჯმაჯურიძე

ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა
და
ჩვენი ამოცანები

1918 წლის აგვისტოა.

პირველი მსოფლიო ომის ხანძარი ჯერ კიდევ გიზგიზებს.

სულ რამდენიმე თვის წინ - 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 16 ივნისს ივანე ჯავახიშვილის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათი გაეგზავნა ახლადშექმნილ სახელმწიფოს განათლების მინისტრს, რომ კერძო ინიციატივით დაარსებული „ქართული უნივერსიტეტი ტფილისში“ სახელმწიფოს თავის მზრუნველობის ქვეშ მოექცია. 2 აგვისტოს სამინისტრომ იმსჯელა და საკითხი დადებითად გადაწყვიტა, რომლის საფუძველზეც 3 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ უნივერსიტეტს სახელმწიფო სტატუსი მიანიჭა და მას ეწოდა „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

არქივში დაცულია ხელნაწერი მასალები, რომლებიც ნათელყოფენ, რომ ამ პროცესის ამსახველი დოკუმენტების მეტი წილი ივანე ჯავახიშვილის ხელითაა დაწერილი. ისინი მიგვანიშნებენ, რომ მას „ცხელი ზაფხული“ ჰქონდა და რა თქმა, უნდა თბილისში იმყოფებოდა. ცოლ-შვილი კი ქალაქის ხვატს გაარიდა და თელავში გააგზავნა. მარტოდ დარჩენილი მათზე წუხს და მხოლოდ წერილებით იქარვებს დარდს. ამ უაღრესად პირადულ ბარათებში მეუღლისადმი და შვილებისადმი საოცრად სათუთი და უზომო სიყვარული ჩანს. მაგრამ ნიშანდობლივი ისაა, რომ ასეთ წერილებშიც კი გამოკრთება დიდი ადამიანისათვის დამახასიათებელი სიტყვები. ისინი უნებლიედ წამოსცდა ავტორს, მაგრამ სწორედ ამ უნებლიეთობაშია მთელი ხიბლი ისინი ხომ წინასწარგამიზნულად არ თქმულა, არამედ იმ სულს ამოაყოლა, რომლითაც იყო გაჟღენთილი. ერთ-ერთი მათგანი ასე ჟღერს: **„თქვენი სიყვარულისა და მეცნიერება-ხელოვნების გარდა ჩემთვის სხვა ბედნიერება არ არსებობს!“**[1]

სამი რამ ახსენა ივანემ აქ: ოჯახი, მეცნიერება და ხელოვნება. დღეს შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს კიდეც - სამშობლო რატომ დაავიწყდაო!?

დაავიწყდა კი? მერე რა რომ არ ახსენა? ივანე არ მიეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიგებს, რომლებიც წამდაუწუმ თავიანთ პატრიოტიზმზე ამახვილებენ ყურადღებას. ის იმათი ჯილაგისა იყო, რომლებიც სამშობლოს სიყვარულს საქმით გამოხატავენ და არა მკერდზე მუშტის ბრაგუნით.

დავტოვოთ ოჯახისადმი სიყვარული განზე და ერთმანეთზე დეფისით გადაბმულ ფრაზას მივაპყროთ ყურადღება. ესაა **„მეცნიერება-ხელოვნება“.**

ყველასათვის ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი თხემით ტერფამდე მეცნიერი იყო და მას რომ იგი ჰყვარებოდა არცაა საკვირველი. არც ხელოვნების სიყვარულია გასაკვირველი - ხელოვნება მარტო ხელოვანთათვის ხომ არ არსებობს? ხელოვნებით ტკბობა მეცნიერსაც ხელეწიფება და მრავალ სხვა ადამიანსაც.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილთან ასე მარტივად არაა საქმე - მეცნიერებაც და ხელოვნებაც მისთვის სხვა, უფრო დიდი შინაარსისა და მნიშვნელობისაა - ისინი მისი **ცხოვრების საზრისად** გვევლინებიან.

მართალია, მას არც პოეზიაში შეუქმნია რაიმე, არც მუსიკაში, არც მხატვრობაში და ხელოვნების არც სხვა დარგში, მაგრამ მაინც თავისუფლად შეიძლება თქმა, რომ იგი ხელოვნების სფეროში შინაური იყო.

ჯერ კიდევ გიმნაზიელი ყმაწვილი მეტად რთულ და ფაქიზ საქმესაც ასრულებს. იგი დიდი მონდომებით შველის მამას ქართლის ისტორიული ძეგლების შესწავლაში. როგორც თავადვე გვამცნობს, „*იმ დროისათვის, როდესაც მამაჩემმა თეძმის ხეობაში არქეოლოგიური მიზნით გამგზავრება დააპირა, საკმაოდ კარგად ვხატავდი როგორც ფანქრით, ასევე ფერადი საღებავებით... მამაჩემმა თავისთან ერთად ჩემი წაყვანა გადაწყვიტა, რომ ძეგლების გეგმების შესადგენად გაზომვის დროს დავხმარებოდი და ჩუქურთმებისა და წარწერების პირები გადმომეღო.*“[2]

ჩუქურთმებისა და წარწერების პირების გადმოღება არც თუ ისე ადვილია და ვანო შესაფერისად გაწაფული რომ არ ყოფილიყო, ამ საქმეს ვერ შეასრულებდა. მართალია, ივანე

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ივანე ჯავახიშვილის ფონდი, № 122.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ივანე ჯავახიშვილის ფონდი, № 122.

თავის მოგონებაში შენიშნავს, რომ მისი ხატვის მასწავლებელი *„ვერაფერი წინასწარმეტყველი გამოდგა“*-ო, მაგრამ მასწავლებელი უბრალოა. ივანე რომ მხატვრობას გაჰყოლოდა, ეჭვი არაა მისი წინასწარმეტყველება კიდევაც ახდებოდა. მაგრამ ამ მკითხაობას თავი რომ დავანებოთ, მან მხატვრობის ეს ნიჭი თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში გამოიყენა.

მეცნიერის არქივში შემონახულია ფურცლები, სადაც მისივე ხელით გადმოხატული ფრესკებია მოცემული. ისინი ტუშითაა შესრულებული და ყველგან მიწერილია, თუ რა დეტალი რა ფერითაა ფრესკაზე წარმოდგენილი. თითოეულ ფურცელზე საოცარი სიზუსტითაა გადმოღებული თითოეული სახე და ორნამენტი.

მიუხედავად იმისა რომ, ივანე ჯავახიშვილს პროფესიული მუსიკალური განათლება არ მიუღია, იმდენად კარგად იცოდა ეს სფერო, რომ მას დიდად აფასებდა და ენდობოდა ზაქარია ფალიაშვილი. იგი ერთ წერილში ივანეს წერდა: *„ჩვენში კარგისა თუ ავის აზრის გამომთქმელად მე თქვენ გაფასებთ უფრო, ვიდრე „დიპლომანტებს“, ანუ ჩვენს ქართველ მუსიკოსებს“*-ო.[1] 1907 წელს ზაქარია ივანეს წერს წერილს და უხსნის, რომ მას შეკრებილი აქვს „ქართული საეკლესიო-სახალხო სიმღერები“და მათი დასაბეჭდ თანხას ქართველ თავადაზნაურობისაგან ელის. იგი სთხოვდა ივანეს გამოეთქვა თავისი აზრი, რადგან მის სიტყვას ისინი ენდობოდნენ: ***„თქვენ იმდენად დაინტერესებული ხართ საზოგადოდ მუსიკის კითხვაში და მომეტებულად ქართულ მუსიკაში და იმდენად განვითარებული, რომ ადვილად შეგიძლიათ გადასწყვიტოთ ღირს თუ არა მათი გამოცემა.”***[2] ნათელა ჯავახიშვილის გადმოცემით 1909 წელს **“ზაფხულში ივანე ჯავახიშვილს ზაქარია ფალიაშვილი თავის სოფელ ხოვლეში მიჰყავს, სადაც ზაქარია ფონოგრაფზე იწერს ქართულ ხალხურ სიმღერებს ძმები კავსაძეების გუნდის შესრულებით, რომელშიაც თვით ივანე და მისი ძმა დათაც მღეროდნენ. სიმღერათა შერჩევასა და მათი შესრულების სიზუსტეს ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა“.**[3]

1939 წელს ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს მუზეუმში ლექციების სერიის წაკითხვა დაიწყო, სადაც მხოლოდ ხუროთმოძღვრების საკითხებს 11 ლექცია უნდა დასთმობოდა.[4] მართალია მან ავადმყოფობის გამო დასახული ამოცანის ბოლომდე მიყვანა ვერ შესძლო, მაგრამ შემორჩენილი მასალები გვიმხელენ იმ დიდ მიზანს, რომელსაც იგი ისახავდა. ამის შესახებ მეტად მოკრძალებულად ამბობდა: *„ჩემი მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის დიდძალი მასალა, რომელიც ჩვენ ქართულ წყაროებში მოგვეპოვება ქართული ძველი კულტურის ისტორიის აღსადგენად მივაწოდო იმ პირებს, რომელნიც ამაზე სპეციალურად იმუშავებენ მომავალში და რომელიც ქართული ახალი ხელოვნების აყვავებას ხელს შეუწყობს. როგორც ხედავთ ჩემი მოვალეობა ძალიან მარტივია და ამასთანავე ვიწროდ შემოფარგლული. არავითარი პრეტენზიები მე ამ დარგში არა მაქვს, იმის გარდა, რომ მინდა არსებული წყაროებიდან ამოკრეფილი მასალების მიხედვით წარმოგიდგინოთ თქვენ მაშინდელი დონე ამ ნივთიერი კულტურის სხვადასხვა სფეროში.*“[5]

ამდენად, მართალია, ივანე ჯავახიშვილს თავად არ შეუქმნია ხელოვნების ნიმუში, ორიგინალური ნაწარმოები, მაგრამ იგი ხელოვნების მკვლევარი უცილობლად იყო. მას ჯერ კიდევ პეტერბურგში ცხოვრებისას გამზადებული ჰქონია **„ქართული ხელოვნების ისტორია“,** რომელიც მაშინ არ გამოცემულა და მეცნიერის სიკვდილის მერე ამ თხზულების ცალკეული ადგილები შევიდა სერიაში **„მასალები ქართული მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“**. ასევე, მან დაწერა და 1938 წელს დასტამბა მონოგრაფია **„ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები.“**

რაც შეეხება მეცნიერებას, აქ კიდევ უფრო ღრმა შრეებთან გვაქვს საქმე.

ივანე ჯავახიშვილს, როგორც ჩვენი ქვეყნის წარსულის მკვლევარს, მეცნიერების სხვადასხვა დარგი აინტერესებდა როგორც ისტორიკოსს, რადგანაც მეცნიერების ამა-თუ იმ სფეროს მონაცემები მას საშუალებას აძლევდა უფრო ფართოდ და სრულად გაეშუქებინა ქართველი ერის განვლილი გზა.

ეს უდავოდ ასეა, მაგრამ თუ აქ დავსვამთ წერტილს, ჩვენ დიდი მეცნიერის მემკვიდრეობას უთუოდ დავაკნინებთ. საქმე ისაა, რომ მან ისტორია სხვა მეცნიერებებიდან მეტი

---

[1] ნათელა ჯავახიშვილი, სახელოვანი მეგობრობა. ჟურნ. „დროშა“, 1953 წ. № 5.

[2] ნათელა ჯავახიშვილი, სახელოვანი მეგობრობა. ჟურნ. „დროშა“, 1953 წ. № 5.

[3] ნათელა ჯავახიშვილი, სახელოვანი მეგობრობა. ჟურნ. „დროშა“, 1953 წ. № 5.

[4] დავით სართანია, ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები, თბ. 2002, გვ. 117-120.

[5] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, № 431.

სიყვარულის გამო კი არ აირჩია, არამედ გარკვეული მიზნის გამო. თუ ჩვენ მის მემკვიდრეობას, სამეცნიეროსაც და საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც, დისტანციიდან და თანაც ერთობლიობაში შევხედავთ, შემდეგ მის მიერ პირად წერილებში და ზოგიერთ შრომაში ძუნწად გამოთქმულ ფრაზებს ერთმანეთთან შევაჯერებთ, ამ მიზანს კარგად დავინახავთ. ამ მცირე მასალებითაც ნათლად გამოჩნდება, რომ **ივანე ჯავახიშვილის ისტორიით დაინტერესებას იმთავითვე ჰქონდა გარკვეული მიზანი.**

ეს გარემოება შენიშნა და შემდეგნაირად გამოთქვა კიდევაც მეცნიერის ქალიშვილმა ნათელა ჯავახიშვილმა: ***„... ი. ჯავახიშვილი, თავდაპირველად ქართული მუსიკის ისტორიაზე აპირებდა მუშაობას. მაგრამ სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლიდანვე იგი დარწმუნდა, რომ ქართულ მეცნიერებას პირველყოვლისა საერთო საძირკვლის ჩაყრა ესაჭიროებოდა და მასაც, როგორც ქართველ მეცნიერს, ასე ვიწროდ შემოფარგვლა არ შეეძლო.***“[1]

ეს ყველაფერი კი კარგად გამოაჩინა ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართული უნივერსიტეტისათვის გაწეულმა გარჯამ.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე საუბრისას ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოში უნდა დაფუძნებულიყო სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც ქართველი ახალგაზრდობა არა მარტო ცოდნას ეზიარებოდა და პირად ცხოვრებას უკეთ მოიწყობდა, არამედ უპირველესად ეროვნული მეცნიერება აღორძინდებოდა, რომელიც ერის წარმატებულ მომავალს დაედებოდა საფუძვლად. ***„არც ერთ ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული“.***[2] - ამბობდა 1917 წელს უნივერსიტეტის დასაარსებლად მოწვეულ კრებაზე თავის მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილი. მართლაც, მანამდეც გვყავდა რუსეთში და ევროპაში მიმოფანტული ქართველი მეცნიერები, მაგრამ არ გვქონდა ქართული მეცნიერება.

იმ დროისათვის ქართული ეროვნული ცნობიერება თერგდალეულების მოღვაწეობით საკმაოდ გამოფხიზლებული იყო, მაგრამ ერის განვითარებას უფრო მკვიდრი ნიადაგი რომ ჰქონოდა, ეს განვითარება მხოლოდ მეცნიერებაზე უნდა დაფუძნებულიყო. მოგვიანო პერიოდის ერთ-ერთ მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: ***„თანამედროვე ცხოვრება, ყველა თავისი კულტურული და ეკონომიური მხარეები, მისი წარმატებული დაწინაურება ყოველსავე სფეროში მეცნიერების წარმატებასთან არის უმჭიდროესად დაკავშირებული. სამეცნიერო, წმინდა თეორიული აღმოჩენა უმალ პრაქტიკულ ცხოვრებისთვისაც არის ხოლმე გამოყენებული. ხშირად კი აღმომჩენისთვისაც კი მოულოდნელს ცხოვრების ძირითად ცვლილებებს იწვევს. გერმანელ ფიზიკოსების მიღწეულობაა ბრწყინვალე შედეგი გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობის უაღრესი დაწინაურებისა და სწრაფი აყვავებისათვის საკმაოდ არის ცნობილი, რომ ამაზე დიდ ხანს ლაპარაკი საჭირო იყოს. მარტო ანილინის საღებავის აღმოჩენით გერმანულმა მეცნიერებამ თავის ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობას მანამდე უძლეველი ინგლისის უბრძოლველად დამარცხება შეაძლებინა. ჩვენი პატარა, ბუნებით უხვად დაჯილდოებული, მაგრამ კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა, რასაკვირველია, სხვებზე მეტად არის ვალდებული მეცნიერების წინამძღოლობასა და გზისგამკვლეობას ანგარიში გაუწიოს, რომ სხვებს დაეწიოს და კაცობრიობის დაწინაურებაშიც თავისი პირადი წვლილი შეიტანოს“.*** [3]

ამ სიტყვებს ივანე ჯავახიშვილი ამბობდა უნივერსიტეტის დაარსებიდან მეექვსე წელს და იქვე უმატებდა: ***„თითოეულ მთავარ მიღწეულობის ჩამოთვლით რომ თავი არ მოგაბეზროთ, შემიძლიან მოკლედ მოგახსენოთ, რომ უ[ნივერსიტე]ტის ყოველი ფაკულტეტი თავის სფეროში დიდ მუშაობას აწარმოებს, რომელიც გარეშე საზოგადოებისთვის ამჟამად უმეტეს ნაწილად ჯერ უჩინარია, მაგრამ რომლის ჩვენი ერის წარმატებისათვის უაღრესი მნიშვნელობა უახლოეს დროს ყველასათვის ცხადი და უცილობელი შეიქმნება“.***[4]

დავაკვირდეთ: ჯერ იყო და 1904 წელს ივანე ჯავახიშვილი ამბობდა - თუ გვინდა ქართველი ერი განვითარდეს, მაშინ მეცნიერება „***საზოგადოებრივი და ეროვნული მოქმედების მტკიცე ხელმძღვანელი***“ უნდა გახდესო. შემდეგ, 1917 წელს ამტკიცებდა, რომ ***„ერის ყოვე-***

---

[1] ნათელა ჯავახიშვილი, სახელოვანი მეგობრობა. ჟურნ. „დროშა“, 1953 წ. № 5.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. თსუ შრომები, XXXIII, 1948 წ. გვ. 7.

[3] საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 25, ფ. 63.

[4] საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 25, ფ. 63.

ლი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული“-ო. ახლა კი 1924 წელს მოითხოვდა ყველამ უნდა „*მეცნიერების წინამძღოლობასა და გზისგამკვლეობას ანგარიში გაუწიოს*“-ო.

აქედან მხოლოდ ერთ დასკვნას ვღებულობთ: ივანე ჯავახიშვილის მტკიცე რწმენაა, რომ ქართველობას ჩამორჩენილობის დაძლევა მხოლოდ მეცნიერების საფუძველზე შეუძლია. ამიტომ მის ყველა მოქმედებას – პრაქტიკულ ნაბიჯებს თუ თეორიულ სამეცნიერო მუშაობას – სწორედ ეს რწმენა წარმართავს. საქართველოში ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებასაც ეს მიზანი ჰქონდა.

მიუხედავად იმ ძნელბედობისა, რომელიც უნივერსიტეტმა ქვეყანასთან ერთად გამოიარა, ივანე ჯავახიშვილის სიტყვები გამართლდა. მგონი, ეს დღეისათვის ყველასათვის ცხადი უნდა იყოს.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, მეცნიერებას აკისრია დიდი მისია – ერისთვის „**წინამძღოლობა და გზისგამკვლეობა**“. თუ თერგდალეულების ეპოქაში ერის წინამძღოლობის მისია პოეზიას, მწერლობას, პუბლიცისტიკას, ხელოვნებას ეკისრებოდა („მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, ზეციერი მიწიერსა. ღმერთთან მიტომ ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა” - ილია), ახლა, ახალ დროში, ეს მისია მეცნიერებას უნდა ეტვირთა.

ამ ახალი საქმის მოთავედ, **და არა მხოლოდ ერთი უმაღლესი დაწესებულების გახსნის ინიციტორად,** მოგვევლინა ივანე ჯავახიშვილი. სწორედ ამიტომაცაა მისი წვლილი უდიდესი და სამართლიანადაც ითვლება ახალი ეტაპის დამწყებად საქართველოს ისტორიაში.

ამის შესახებ ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების წლისთავზე მისი მოწაფე აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა: „*ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის ქართველოლოგიის სამჭედლოში* ***ახალი საქმის მოთავედ*** *გამოვიდა... ის* ***ქართული მეცნიერების შექმნისათვის იბრძვის...*** *პატრიოტებმა სამშობლოს მიაშურეს და აქ ქართულ უნივერსიტეტს საძირკველი ჩაუყარეს. ამიერიდან* ***ივანე ჯავახიშვილი ქართული მეცნიერებას სათავეში ედგა.***“[1]

ივანე ჯავახიშვილის განზრახვა თბილისში დაფუძნებულიყო ქართული უნივერსიტეტი, მარტო სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერის დაფუძნებას რომ არ ნიშნავდა, კარგად ჩანს ამ საქმის მოწინააღმდეგეთა საქმიანობიდანაც. როცა ივანე ჯავახიშვილმა ეს დიდი საქმე წამოიწყო, მის წინააღმდეგ გამოვიდა მისივე მასწავლებელი, სახელგანთქმული მეცნიერი ნიკო მარი. მან ქართული უნივერსიტეტის შექმნის იდეას **„რომანტიკოს-ინიციატორთა მაქსიმალისტური ოცნება“** უწოდა, თუმცა აღიარა რომ უნივერსიტეტი თბილისში აუცილებლად უნდა დაარსდესო, მაგრამ მხოლოდ რუსული. მისი არგუმენტი ასეთი იყო: „***ტფილისი, უდავოდ ისტორიული ქართული ქალაქი, რუსული მმართველობის ასი წლის განმავლობაში, გაიზარდა ასევე კავკასიის ცენტრში, რომელიც ახლა, არავითარი საფუძველი არა გვაქვს, გავაიგივოთ საქართველოსთან. ტფილისი, ამავე დროს, არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ კულტურული ცენტრიცაა მთელი კავკასიისა. შეიძლება ეს რეალობა სხვამ დაივიწყოს, მაგრამ რუსმა ხალხმა არა. რუს ხალხს უფლება არა აქვს, ეს დაივიწყოს ახლაც, თავისუფლების საჯაროდ აღიარების დროს... მას აძევს ვალი, ნამდვილ უმაღლეს სკოლას აზიაროს ყველა, კავკასიის რომელიმე ხალხის გამოუკლებლად***“.[2] ნ. მარის აზრით „**თვით კავკასიის ხალხთა ღრმა სულიერი ინტერესები მოითხოვს სწორედ კულტურული ორიენტაციის შენარჩუნებას რუსეთის მიხედვით... ამ თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი იარაღია უნივერსიტეტი.**“[3] ბოლოს კი ნიკო მარი ასკვნიდა: „***ჩვენ ან დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მუშაობას ტფილისში უნივერსიტეტის საძირკვლის ჩასაყრელად ახალ საწყისებზე, ან მზად უნდა ვიყოთ კავკასიის გარდაუვალი წასვლისათვის უცხო ბანაკში.***“[4] ამ უცხო ბანაკში ნიკო მარი დასავლეთის ქვეყნებს გულისხმობდა.

მაშასადამე, ნიკო მარის მიხედვით, თბილისში თუ რუსული უნივერსიტეტი დაარსდებოდა, მთელი კავკასია რუსულ ორბიტაზე დარჩებოდა და თუ ეს არ მოხერხდებოდა, მაშინ

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, სიტყვა აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1943 წ. 18 ნოემბერს. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966 წ. გვ. 345.

[2] ნ. მარი, თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ. იხ. ტ. ფუტკარაძე, ი. ვაშაკიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა. თბ., 2011 წ. გვ. 74-75.

[3] ნ. მარი, თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ. იხ. ტ. ფუტკარაძე, ი. ვაშაკიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა. თბ., 2011 წ. გვ. 81-82.

[4] ნ. მარი, თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ. იხ. ტ. ფუტკარაძე, ი. ვაშაკიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგემვა. თბ., 2011 წ. გვ. 86.

ამერიკის, გერმანიის თუ სხვა რომელიმე დასავლეთის ძლიერი სახელმწიფოს მიერ კავკასიიდან რუსეთი განიდევნებოდა.

თუ ნიკო მარის ზემოთმოყვანილ სიტყვებს ჩავუკვირდებით, საქმის არსს თვალნათლივ დავინახავთ, კერძოდ იმას თუ რა სურდა ივანე ჯავახიშვილს და რატომ?! მოცემულ შემთხვევაში სწავლების ენა ტექნიკური საკითხი არ იყო - უნდა დაწყებულიყო ქართველი ერის აღორძინება, ან იგი კვლავ კოლონიურ პირობებში დარჩენილიყო. ამის შემდეგ კი არ უნდა გაგვიძნელდეს იმის დანახვაც, თუ რა **წვლილი** უდევს ივანე ჯავახიშვილს თანამედროვე საქართველოს წინაშე.

ახლა დავუბრუნდეთ ივანე ჯავახიშვილის მიერ მეცნიერებათა დარგებიდან ისტორიის არჩევის საკითხს.

1937 წლის 7 მარტს ვ. დონდუასადმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილის შავ ვარიანტში ივანე ჯავახიშვილი იხსენებს თავის სტუდენტობის წლებს და იგი გულისტკივილით წერს: ***„მე რომ უნივერსიტეტში შევედი და სწავლა დავიწყე, ქართულს არავინ კითხულობდა, ალ. ცაგარელი თვეობით არ დადიოდა ლექციებზე და თავის მოვალეობის შესრულებაზე სრულებითაც არ ფიქრობდა. ნ. მარი მაშინ მხოლოდ სომხურ ენას ასწავლიდა და მისი გატაცებული მუშაობა მხიბლავდა და მამხნევებდა იმ აღმაშფოთებელ გულგრილობაში, რომელსაც ცაგარელი იჩენდა ქართულისადმი. ნ. მარის ლექციები სომხურში ტექსტების თარგმანს და გრამ[ატიკულ] კომენტარებს შეიცავდა, ზოგჯერ რეალურ განმარტებებსაც. ყველა ამის მეტად საინტერესოდ და ცოცხლად იცოდა მან გადმოცემა, მაგრამ ჩემ დროს არც სომხ[ურ] მწერლობის ისტორიაში და არც, მით უმეტეს, სომხეთის ისტორიაში ლექციებს არ კითხულობდა. სპარსულს ვალ. ჟუკოვსკი გვასწავლიდა, ამ ენის და ლიტერატურის საუცხოო მცოდნე, მაგრამ არასდროს მისი მუშაობა სპარ[სულ] ტექსტების თარგმანს და ზოგჯერ კომენტარებს არ გასცილებია. აღმოს[ავლეთის] ისტორიის შესავალს გულისამრევად ვესელოვსკი კითხულობდა, რომელიც უფრო უძილობის წამლად იყო გამოსადეგი, ვიდრე ლექციად. ამგვარად, აღმ[ოსავლურ] ენათა ფაკულტეტზე ენების გარდა მე არაფრის შესწავლა არ შემეძლო. საქ[ართველოს] ისტორია მაშინ დ. ბაქრაძის წიგნით უნდა ესწავლა ადამიანს. საბანინის „საქ[ართველოს] სამოთხე“, თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ I და II წიგნები, შიომღვიმის ისტ[ორიული] საბუთები და ექ. თაყაიშვილის „სამი ისტ[ორიული] ქრონიკა - აი, ეს იყო მაშინდელი მთელი ჩვენი ავლადიდება. მე საქ[ართველოს] ისტორია მაინტერესებდა, ამ დარგში კი არავინ მუშაობდა. ამიტომ უნდა მე თვითონვე მეცადნა გზის გაკაფვა: ისტორიის მეცნიერების რთული მეთოდოლოგიაც შემესწავლა, ტექსტების კრიტიკული განხილვაც მომეხერხებინა და მოპოვებული შედეგით ჩვენი წარსული - უტყუარი და არა ზღაპრული - სურათის აღდგენა მეცადნა. ამიტომ - ოფიციალურად აღმ[ოსავლურ] ენების ფაკულტეტზე ჩაწერილი - ყოველთვის, როცა დრო მქონდა, ისტორიულ-ფილოლოგიური და იურიდიული ფაკულტეტის ლექციებზე დავდიოდი და ვსწავლობდი. ისტორია მე ფართო გაგებით მიტაცებდა და ჩემი მაშინდელი და ეხლანდელი რწმენითაც ისტორიკოსს საფუძვლიანი ფართო განათლება უნდა ჰქონდეს...“***[1]

ივანემ თავისი მონდომებით შესაფერისი განათლებაც მიიღო და, როგორც ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა „*დიდი ერუდიცია, მაღალი მეცნიერული აღჭურვილობა, ფართო ისტორიული პერსპექტივი, ბასრი კრიტიკული ალღო, სანიმუშო და მისაბაძი მეცნიერული სინდისი, მუშაობით შეუნელებელი გატაცება, დიდი ნებისყოფა და მშრომელი ხალხის კეთილშობილი სიყვარული, ყველაფერი ეს ერთად ამკობდა განსვენებულ მოღვაწეს და საშუალებას აძლევდა მას ქართული მეცნიერების დაკორდებული ყამირი ძლიერი მკლავით ღრმად გადაეხნა.*“[2]

ასეთი ღრმა ცოდნით ივანე ჯავახიშვილმა „*ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდის უჩვეულო სიღრმითა და მოცულობით სრულიად ახლად დაამუშავა ..... ჩვენი ისტორიის აურაცხელი საკითხები: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, ეთიკა, იდეოლოგია, მატერიალური და სულიერი კულტურა.*“[3]

---

[1] იხ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 2-3, 1986 წ. გვ. 126-127.

[2] ნ. ბერძენიშვილი, სიტყვა აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1941 წლის 18 ნოემბერს. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ,. 1966., გვ. 344.

[3] ნ. ბერძენიშვილი, სიტყვა აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1941 წლის 18 ნოემბერს. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ,. 1966., გვ. 344.

ყოველივე ამას მის საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც თუ დავამატებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ივანე ჯავახიშვილი ჩვეულებრივი ისტორიკოსი არაა, რომელიც ისტორიის მეცნიერების უკიდეგანო სივრცეში რომელიღაც სფეროს ირჩევს, უღრმავდება მას და მზის სინათლეზე გამოაქვს უცნობი ან მივიწყებული ამბები. ივანე ჯავახიშვილზე მეტი ითქმის: იგი იკვლევს საქართველოს ისტორიის საკითხებს არა მარტო იმიტომ, რომ ისინი გამოკვლეული არაა[1], არამედ იმიტომ, რომ სურს მეცნიერების სხვადასხვა დარგის ცალკეული საკითხების შესწავლით ერთიანობაში აჩვენოს რანი ვიყავით და რანი უნდა გავხდეთ. ჯერ კიდევ 1913 წელს აკაკი შანიძესთან ერთად „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებულ წერილში ამბობდა: ***„არ ვიცით, რა აკეთეს მამებმა, მომავალ თაობას არ ეცოდინება, რას ვაკეთებთ ჩვენ და ცხადია, თუ რომელიმე შრომა არ ემყარება წინანდელ გამოცდილებას, ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია“.***[2] მართალია, ეს სიტყვები ბიბლიოგრაფიის საკითხებს ეძღვნება, მაგრამ მისი განზოგადება ნამდვილად შეიძლება. ბიბლიოგრაფია მას ქართული მეცნიერების დასაფუძნებლად სჭირდებოდა, მეცნიერების, რომელსაც ერის ცხოვრება უნდა გაეუმჯობესებინა. აი, ესაა მთელი მისი ამოცანა. მას სურდა მკვიდრ საფუძველზე დამყარებული ცოდნით ერისთვის დაენახვებინა, ერთი მხრივ, ეროვნული მემკვიდრეობა, და მეორე მხრივ, დროის მაჯისცემა, რომელიც სამომავლო ამოცანას განსაზღვრავდა. ეს კი თავისთავად ისტორიის - გარდასულ დროში გაწეულ შრომის - ანალიზს გულისხმობდა. მაგრამ ისტორიიულ გამოცდილებაში მხოლოდ სამოქალაქო ისტორია არ იგულისხმებოდა, არამედ ტოტალურად ყველაფერი - სამართალი, ეკონომიკა, ხელოვნება...

რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლოთ:

1919 წლის იანვარ-მარტში ივანე ჯავახიშვილი ქალაქ სტამბოლში იმყოფებოდა. აქ იგი, როგორც ქართული სამთავრობო დელეგაციის წევრი, პარიზში გასამგზავრებელ ვიზას ელოდებოდა, მაგრამ ამაოდ. მან აქ დაწერა ორი მონოგრაფია:

1. „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული.“
2. „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში.“

ამ უკანასკნელის წინასიტყვაში მეცნიერი ამბობს, რომ აღნიშნული საკითხის ***„სრული სინამდვილითა და გულახდილობით“*** გამოთქმის გარდა ***„ვითარცა ისტორიკოსს მე იმდროინდელი ამბების ფარული ამამოძრავებელი ძალისა და მისწრაფების სიცხადით გამოაშკარავება მაინტერესებდა“***.[3] გარდა ამისა, ამ ნაშრომს იგი პრაქტიკულ დანიშნულებასაც ანიჭებს, რადგან ***„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავის ქვეყნის წარსული იცოდეს, განსაკუთრებით ისეთი ხანა, როგორიც მე-XVIII-ე ს-ეა.***“[4] და კიდევ - ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონია: ***„ეხლანდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისათვის ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს.***“[5]

რაც შეეხება საზღვრებზე დაწერილ მონოგრაფიას, მისი სათაურიც ხომ ზუსტად გვიმხელს ამ ისტორიული გამოკვლევის მიზანს? იგი ხომ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს არა მარტო ისტორიული თვალთახედვით განიხილავს, თუ სად გადიოდა საზღვარი ამა თუ იმ ეპოქაში, არამედ ამ ისტორიულ გამოცდილებაზე დამყარებით როგორი უნდა იყოს იგი „**თანამედროვე თვალსაზრისით**“?

გამოდის, რომ მას ისტორია მხოლოდ შემეცნებისთვის არ სჭირდებოდა, არამედ გარკვეული მიზნის მისაღწევადაც, რაც სწორედ იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე იყო გამიზნული - დამოუკიდებელ ქვეყანას განვითარებისათვის ისეთი საზღვრები უნდა ჰქონოდა, რომ მისი უშიშროება და თავდაცვისუნარიანობა მტკიცე ყოფილიყო.

---

[1] ამის თაობაზე თავადვე შენიშნავდა: „მე ისეთ პირობებში მარგუნა ბედმა მოღვაწეობის დაწყება, როდესაც საქ. ისტორიის არც ერთი სამეცნიერო დარგი არ არსებობდა ... და ყველაფერი უნდა ერთს ადამიანს და შეძლებისამებრ მალე უნდა გაეკეთებინა.” ივანე ჯავახიშვილი, წარსულის ფურცლები, პირადი მიმოწერა. თბ., 1996, გვ. 57.

[2] იხ. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984 წ. გვ.161.

[3] ივანე ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVII-ე საუკუნეში. იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989 წ. გვ. 65.

[4] ივანე ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVII-ე საუკუნეში. იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989 წ. გვ. 65.

[5] ივანე ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVII-ე საუკუნეში. იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989 წ. გვ. 65.

მაგრამ განა მარტო ისტორიით ხელმძღვანელობდა იგი, როცა ერისათვის ამ სასიცოცხლო საკითხს განიხილავდა?

იგი გეოგრაფიას და ეკონომიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ისტორიაც გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორების უკვე გამოცდილი ტრადიციის გასათვალისწინებლად სჭირდებოდა. მოვიყვანოთ მაგალითები:

მას მერე, რაც ჯავახეთში სომეხი ლტოლვილები დასახლდნენ, გაჩნდა საფრთხე ამ მხარის საქართველოდან მოწყვეტისა და მისი სომხეთისათვის მიკუთვნებისა. ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი სხვადასხვა მასალას იშველიებს და შემდეგ აცხადებს, რომ ***„საკმარისია ადამიანმა ახალქალაქის გეოგრაფიული პირობები გაითვალისწინოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რამდენად თვით ამ ქვეყნის ბუნებრივი აგებულება ეწინააღმდეგება მის შეერთებას“*** სომხურ პროვინციასთან.[1] მეცნიერი აგრძელებს: ***„ერევნის გუბერნიისა და გუმბრისა და ყარსისაგან*** [ე.ი. სომხური ტერიტორიებისაგან, დ.ს.] ***ჯავახეთსა და სამცხეს ერუშეთს ანუ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს და ყარსის ოლქის ფოცხოვის უბანს*** *(ე.ი. ქართული ტერიტორიები, დ.ს.)* ***მაღალი 7-8 თვის განმავლობაში თოვლიანი და გაუვალი ჯერ ბერდუჯის მთების... დასავლეთი ნაწილი, შემდეგ აბოცის მთების..., მერე ნიალისყურის მთის... დასასრული ერუშეთის მთის... სახელებით ცნობილი უღელტეხილი ჰყოფს. ამგვარ ოროგრაფიული თვისების გამო ეს მთები მტკვრის შემდინარეების წყალთ-გამყოფელი ქედია და გზებსაც ბუნებრივი მიმართულება სწორედ მტკვრის ხეობისაკენ, ე.ი. ჩრდილოეთისაკენ*** *(ანუ საქართველოსაკენ, დ.ს.),* ***აქვს და არა სამხრეთისაკენ*** [ანუ სომხეთისაკენ, დ.ს.].“[2]

ამ გეოგრაფიულ ფაქტორს აქვს გავლენა ეკონომიკურ საქმიანობაზე, რადგანაც კომუნიკაციის შესაძლებლობა თუ შეუძლებლობა აუცილებელი პირობაა ჯერ სამეურნეო მოღვაწეობის ეფექტიანობისათვის და და მერე ვაჭრობისათვის. ამ მსჯელობის მერე მეცნიერი არ აყოვნებს და ასკვნის: ***„ამიტომაც არის, რომ ეკონომიურადაც ამ კუთხეს მხოლოდ საქართველოსთან შეეძლო რომ ჰქონოდა კავშირი.“***[3] შემდეგ კი არსებული სამეურნეო საქმიანობას ასახელებს და ამბობს: ***„მარტო მიწათმოქმედების მხრივ არ იყო ეს კუთხე დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, მესაქონლეობისა და მეცხვარეობის მთელი მეურნეობა საქართველოში უმჭიდროესად, შეიძლება ითქვას განუყრელად, ამ კუთხესთან*** *(სამცხე-ჯავახეთთან, დ.ს.)* ***და ბორჩალოს მაზრის საზაფხულო საძოვრებთან არის დაკავშირებული.“***[4]

მოაქვს, რა ამგვარი მასალები, მეცნიერი მაშინვე საისტორიო წყაროებს უბრუნდება და აცხადებს ***„ასე იყო ძველად“***[5] ან კიდევ ***„ასე იყო ყოველთვის წარსულშიც.“***[6] საილუსტრაციოდ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ: ***„ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის სიტყვები მაგ. ცხადყოფენ, რომ მე-XVII-ე ს-შიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, სანოვაგე, განსაკუთრებით კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად.“***[7]

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989 წ. გვ. 51

[2] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989 წ. გვ. 51-52

[3] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989 წ. გვ. 52

[4] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989 წ. გვ. 53

[5] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989 წ. გვ. 53

[6] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989 წ. გვ. 52

[7] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989 წ. გვ. 52.

მგონი ნათელია, რომ აქ ისტორია მოშველიებულია გარკვეული ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორების წარსულშიაც იგივე ზემოქმედებით არსებობის წარმოსაჩენად და არა პირიქით - მხოლოდ წარსულის ისტორიული სურათის აღსადგენად. მაგალითად, როცა ჩვენ სხვადასხვა მასალებით ვადგენთ, თუ რა შემოჰქონდათ და რა გაჰქონდათ საქართველოდან ანტიკურ ხანაში, ამ ფაქტს აქვს მხოლოდ საისტორიო სურათის აღდგენის მნიშვნელობა. მაგრამ ივანე ჯავახიშვილის ზემოთ მოყვანილ მაგალითს მხოლოდ იგივე დანიშნულება ნამდვილად არ აქვს. თუ მოვინდომებთ და არ დავიზარებთ, ორივე მნიშვნელობის არაერთ მაგალითს ვიპოვით მეცნიერის სამეცნიერო მემკვიდრეობაში. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გეოგრაფიისა და ეკონომიკის ცოდნა მეცნიერისათვის მხოლოდ ისტორიული სურათის აღდგენის საშუალება არაა, არამედ პირიქითაც ისტორია გამოდის საშუალებად ერის ეკონომიკური მდგრადობისათვის გადასადგმელი ნაბიჯების დასასაბუთებლად. მოცემულ შემთხვევაში ეს გარკვეული ტერიტორიის ერისადმი აუცილებელ კუთვნილებას გულისხმობს.

ივანე ჯავახიშვილს შექმნილი აქვს რუკებიც. ისინი სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულებისაა, მაგრამ მათში მეტად ნიშანდობლივია საქართველოს სახელმწიფო საზღვრების საკითხი. ამ რუკებზე ეს საზღვარი ყოველთვის ერთნაირად არაა გატარებული, მაგრამ ძირითადი ტერიტორია მაინც უცვლელი ჩანს. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ივანე ჯავახიშვილს მოხაზული აქვს მხოლოდ ის ტერიტორია, რომელშიც ჩამოყალიბდა ქართველი ერი და შექმნა თავისი ყოფა და კულტურა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილი გვეუბნება და მოხაზავს იმ სივრცეს, **რომელ სივრცეშიც** მისი აზრით **შექმნა თავისი თავი ქართველმა ერმა**.

ივანე ჯავახიშვილისთვის საქართველოს მოსახლეობის სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობა, სამართლებრივ-პოლიტიკური კულტურა თუ სხვა რამ ცალკე განყენებული თემები არ არის, არამედ ერთი ორგანული მთელის ცალკეული ნაწილებია. ამიტომ ყველა ეს საკითხი ერთ პრიზმაში გარდატყდება და ერთ ამოცანისაკენ მიიმართება - **„სად და რაზედ გაჩერდა მამა."**

აი, აქ მჟღავნდება ივანე ჯავახიშვილის ადრეულ ასაკში დასახული მიზნის მასშტაბიც და არსიც: წარსულის გამოცდილებაზე დაფუძნებით მყოობადის გაუმჯობესება და აწმყოსათვის ზრუნვა. აი, ასე ესმის მას ისტორია: ცალკეული დეტალების გამოკვლევით უზოგადეს კანონზომიერებამდე მისვლა. მისთვის მთავარი ის კი არ იყო დაედგინა, თუ როდის გარდაიცვალა მეფე თამარი, ან როგორ იმოსებოდნენ ქართველები წარსულში, ან კიდევ როდიდან ითესებოდა საქართველოში ფეტვი და ბამბა, არამედ რაში მდგომარეობდა გარემო პირობებზე დაფუძნებული სამეურნეო-ეკონომიკური ფაქტორებით და სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-იდეოლოგიური ასპექტებით შექმნილი ერთობის - **ქართველი ერის** და ინსტიტუტის – **ქართული სახელმწიფოს** ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები.

მან, როცა თავისი გადამუშავებული „საქართველოს ეკონომიური ისტორია" 1930 წელს გამოსცა, უკვე საზღვრების შესახებ 1919 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია მოიხსენია და დაწერა: ***„საქართველოს საზღვრების ისტორიულ-ეკონომიურ მიმოხილვაში უკვე ამ თერთმეტი წლის წინათ აღნიშნული მქონდა, რომ საქართველოს მიწა-წყალი „მთლიან ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული."***[1]

სანამ ამ ციტატას მოიყვანდა, მან საგანგებო კვლევა ჩაატარა და დაახლოებით 200 გვერდზე გადმოსცა საქართველოს აგრო-ბოტანიკური დახასიათება. ამის საფუძველზეო ამბობს მეცნიერი ***„საქართველოს მიწა-წყლის სასოფლო-სამეურნეო არეების დაწვრილებით და ზოგადი დახასიათების შემდგომ, ეხლა აგრონომიული და ეკონომიური ფაქტორების ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრიობისათვის უაღრესი მნიშვნელობის განსაზღვრა წინანდელზე უფრო ვრცლადაც და არსებითადაც შეგვიძლიან."***[2]

დავაკვირდეთ და გავაცნობიეროთ: ივანე ჯავახიშვილი ამბობს ახალი კვლევა-ძიების შედეგად წინანდელზე უკეთ „**აგრონომიული და ეკონომიური ფაქტორების**" მნიშვნელობაზე საუბარი და მათ „**ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრიობისათვის უაღრესი მნიშვნელობის**

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, იხ, ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. IV. თბ., 1996. გვ. 335

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, იხ, ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. IV. თბ., 1996. გვ. 335.

განსაზღვრა“-ც შეგვიძლიაო. ამით ხომ ისიცაა ნათქვამი, რომ სახელმწიფოებრიობა არაა მხოლოდ პოლიტიკურ-სამართლებრივ ჩარჩოში ჩატეული ფენომენი. იგი სამეურნეო მოღვაწობის სფეროცაა. უფრო სწორად არ არსებობს სახელმწიფოებრიობა ასეთი მოღვაწეობის გარეშე. ეს სტრიქონები დაწერილია 1930 წელს, როცა საქართველო ე.წ. სსრკ-ში შედიოდა და მისი სახელმწიფოებრიობა ფიქცია იყო. მაგრამ ეს ფიქციაც აძლევდა მას საშუალებას ასე დაეწერა, რამეთუ ყოველი მოღვაწე ვალდებულია მომავლისაკენ იხედებოდეს.

ივანე ჯავახიშვილის კვლევით საქართველო ძირითადად განფენილია სამი მდინარის - მტკვრის, ჭოროხისა და რიონის აუზებში. ეს სივრცე კი ბუნებრივი პირობებით მრავალფეროვანია, და ძალიან განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ამიტომაც ჩვენში არსებული ურთიერთგანსხვავებული აგრო-ბოტანიკური ვითარებაც ამ ბუნებრივ პირობებზეა დამყარებული. შესაბამისად განსხვავებულია და მრავალფეროვანი აქ მცხოვრებ ქართველთა ყოფაც. მიუხედავად ამ განსახვავებულობისა და მრავალფეროვნებისა ქართველი ხალხი ერთი ერია და საქართველოც ერთი მთლიანი კულტურული და პოლიტიკური სხეულია.

„საკმარისია ადამიანმა არეების ზემოთმოყვანილი მიმოხილვა გადაიკითხოს და აქ დართულ რუკაში ჩაიხედოს, - წერს ივანე ჯავახიშვილი, - ***რომ დარწმუნდეს, რომ თურინჯ-ნარინჯისა და ბრინჯ-ბამბის არეები საქართველოს მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კიდეებზე მოეპოვება. მთელი დანარჩენი ტერიტორია ორ მთავარ დიდს, ვენახ-ხილიანსა და უვენახ-ხილო არეს უკავია. ამასთანავე დამახასიათებელია, რომ ვენახ-ხილიანი არეს ზოლი შუაშია მოქცეული, აქეთ-იქით-კი, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, ვენახ-ხილიან ზოლს ჯერ უვენახო, მერმე უვენახ-ხილო და შემდეგ ალპური საძოვრების არე აკრავს. ოდენობით ეს უკანასკნელი, უვენახ-ხილო და ალპური, ზოლი ვენახ-ხილიან არეს საგრძნობლად სჭარბობს.***

უვენახ-ხილო არე ბუნებრივი პირობების წყალობით ერთის მხრით ხორბლეულისა და ქრთილეულის კულტურისათვის იყო განკუთვნილი, მეორეს მხრით, ვრცელი, საუცხოო, საზაფხულო საძოვრების დიდი სიუხვის გამო, ამასთანავე მრავალრიცხოვანი მესაქონლეობისათვის იყო გამოსადეგი. აღსანიშნავია, რომ საზაფხულო საძოვრების სიუხვე და სივრცე უმთავრესად საქართველოს სამხრეთ ნაწილში მოიპოვება, ჩრდილოეთით მდებარე საზაფხულო საძოვრებს-კი, საქართველოს ამ საზღვრებში მიწისა და ფართო ვაკე ადგილების სიმცირის გამო, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.“[1]

ეს არის ფაქტობრივი ვითარების ანალიზით მიღებული დასკვნა, რაც მეცნიერს მსჯელობის კიდევ უფრო გაშლის შესაძლებლობას აძლევს. ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილმა თავის „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნი 1908 წელს გამოაქვეყნა. იგი მან შემდეგ ორჯერ გადამუშავებული და გავრცობილი სახით გამოსცა 1913 და 1928 წლებში. სამივე ეს გამოცემა ერთმანეთისაგან ისე განსხვავდება, რომ ფაქტობრივად ახალი ნაშრომებია. პირველ ვარიანტში მეცნიერი იმ აზრს ავითარებდა, რომ ქართველი ერის წინაპრები უფრო სამხრეთით ცხოვრობდნენ, ვიდრე დღეს და მოგვიანებით გადმოინაცვლეს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. მომდევნო გამოცემებში ეს დებულება რამდენადმე შეკვეცილ-შერბილებულია. თუმცა ავტორს ეს შეხედულება არ შეუცვლია და ეს 1930 წ. დაბეჭდილი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I ტომითაც მტკიცდება. აქ ვკითხულობთ:

„თავიანთი წინანდელი სამშობლოთაგან ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებულ ქართველთა ტომებს თან მაღალხარისხოვანი მიწისმოქმედებისა და ინტენსიური მესაქონლეობის კულტურა მოჰქონდათ: მეღვინეობითა და მესაქონლეობით განთქმულნი იყვნენ ტუბალებისა და მოსოხთა ტომები ისევე, როგორც კასკ-კოლხების ტომებიც. ამიერ-კავკასიაში მათ მიწა-წყლისა და ბუნების სრულებით სხვა პირობები დაჰხვდათ: მთა-გორიანობისა და ბარის გასაოცარი კონტრასტები, სითბო-სიცივის არეების სიახლოვე და სხვა ბევრი გარემოებაც ახალმოსულ ქართველებისთვის მათი წინანდელი სამშობლოს მიწა-წყლის ერთ-ფეროვნების შემდგომ ძალზე საგრძნობი უნდა ყოფილიყო.“[2] თუ რა პირობები დახვდათ აქ, უკვე დაახასიათა მეცნიერმა და ჩვენც ზემოთ წარმოვადგინეთ. ახლა საინტერესოა იმ ანალიზის მოსმენა, თუ როგორ იმოქმედა ამ განსხვავებულობამ ერზე. ივანე ჯავახიშვილი არ წერს, მაგრამ მისი ვრცელი მსჯელობიდან ის აზრი ნათლად გამოსჭვივის, რომ ამ განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში მოხვედრილი ქართველური ტომები (ტუბალები, მოსოხები, კოლხები) ადვილად

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, იხ, ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. IV. თბ., 1996. გვ. 335.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, იხ, ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. IV. თბ., 1996. გვ. 336.

ადაპტირდებიან მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე და ამ განსხვავებულმა პირობებმა მათ დაშლა-დაცალკავებას კი არ შეწყო ხელი, არამედ პირიქით - კონსოლიდაციას.[1]

„ასეთი განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ, არც ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა. მთა ადგილების მკვიდრთ თავიანთი საკუთარი არც ღვინო და არც ხილი არ შეიძლება ჰქონოდათ, ბარელებს თავის მხრით, რასაკვირველია, ხორბლეულისა და ქრთილეულის ის სიუხვე უნდა შეჰშურებოდათ, რომელიც საქართველოს მაღლობ თემებს გააჩნდათ.“[2]

აქედან კი შემდეგი დასკვნა კეთდება:

„ამრიგად, ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოთ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი, ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმოც მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებმიცემობის გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა.“[3]

სხვათა შორის ეს გარემოება შემდგომმა ეთნოლოგიურმა კვლევებმა უფრო თვალნათელი გახადა. თუ ივანე ჯავახიშვილი მთელ საქართველოს ტერიტორიას მთად და ბარად განიხილავდა, მომდევნო კვლევებით დადგინდა, რომ მათ შორის იყო გარდამავალი ზოლიც, რომელიც ზეგანს წარმოადგენდა და აქ ერთად იყრებოდა მთისა და ბარის ინტერესები. *„ზეგანი, გარდამავალი ზოლი, ისტორიულად შუამავლის როლს ასრულებდა მთასა და ბარს შორის. დამახასიათებელია, რომ ამ ზოლში იყო წარმოდგენილი მსხვილი დაბური დასახლებების პუნქტები, სადაც ბაზრობაზე თავს იყრიდა მთისა და ბარის საქონელი. ამ სახის დაბები ჯაჭვივით გასდევს საქართველოს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე (ლაგოდეხი, ყვარელი, თელავი, ახმეტა, თიანეთი, ჟინვალი, წილკანი, მუხრანი, ახალგორი, ქვემო ჭალა, მეჯვრისხევი, ცხინვალი, ონი, ამბროლაური, ცაგერი, გორდი, წალენჯიხა, ჯვარი, ბედია, დურიპსი და სხვა).“[4] აი, ეს ზეგანი იყო სწორედ „**შუაში მდებარე ბარი**“.*

აღნიშნული ვითარება, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეები ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, საქართველოს ძნელბედობის დროსაც კი იყო შენარჩუნებული. ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილს საქართველოს საზღვრებზე დაწერილ თავის წიგნში ასეთი მაგალითი მოჰყავს: ***„XVIII ს-შიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, სანოვაგე, განსაკუთრებით კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად.“[5]***

ეს ფაქტორი დღესაც მოქმედებს და ამიტომაც ავლებენ მავთულხლართებს ოკუპირებულ ტერიტორიების გამმიჯნავ ხაზზე ოკუპანტები, რომ მოსახლეობამ თავიანთი სამეურნეო-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის ერთმანეთთან კავშირი ვერ შეძლოს. ეს კავშირი კი ხომ კვლავ კონსოლიდაციის საფუძველი გახდება? ამ კავშირს ხომ, ეთნიკური ცვლილების მიუხედავად, კვლავ გეოგრაფიული პირობები განაპირობებს?

ასეთი ანალიზის მერე ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის კონსოლიდაციისა და ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველზე აკეთებს ლოგიკურ და ლაკონურ დასკვნას: ***„ამ გეობოტანიკური და ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით, ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულევანების ჰარმონიულად შემავსებე-***

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, იხ, ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. IV. თბ., 1996. გვ. 335.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, იხ, ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. IV. თბ., 1996. გვ. 336.

[3] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, იხ, ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. IV. თბ., 1996. გვ. 336.

[4] გ. ჩიტაია, შესავალი. იხ. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980 წ. გვ. 5.

[5] ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, იხ. ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989 წ. გვ. 52.

ლი არეები, ჩამოინაკვეთენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოც გაერთიანდა.“[1]

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ნათელი უნდა იყოს, ვინ იყო ივანე ჯავახიშვილი და რა ამოძრავებდა მას როცა სამეცნიერო კვლევის შემდეგ საკუთარი დასკვნების გადმოცემას რუკების სახითაც ცდილობდა:

მან, ბუნებრივი პირობების ისტორიულ პროცესთან ურთიერთკავშირის განხილვით, გარკვეული სივრცე შემოხაზა და წარმოგვიჩინა თუ რა ფარგლებშია ქართველთა სამშობლო მოქცეული, რომ –

ამ ფარგლებში ჩამოყალიბებულა ქართველი ერი;

ამ ფარგლებში უღვაწია – უშრომია თუ უბრძოლია;

ამ ფარგლების შიგნით უნდა იცხოვროს და იღვაწოს კვლავაც;

ამ ფარგლებს იქით კი მეზობლებთან კეთილმეზობლურად უნდა იცხოვროს. მან ხაზგასმით მიუთითა, რომ თუ ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის ზიანის მიუყენებლად მეზობლისთვის რომელიმე ტერიტორიის დათმობა შევიძლია კიდევაც უნდა დავუთმოთო.

და ბოლოს თუ დავსვამთ კითხვას - რატომ გაისარჯა ასე ყოვლისმოცველად და ტოტალურად ივანე ჯავახიშვილი, კითხვა მხოლოდ რიტორიკული გამოგვივა.

ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის ზრუნვა XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო, ხოლო იმავე საუკუნის დასარულს, როცა მსოფლიოში დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები მოხდა, ყველაზე დიდ და ძლიერ ზესახელმწიფოს აშს-ს ერთ-ერთმა ცნობილმა პოლიტოლოგმა **ზბიგნევ ბჟეზინსკიმ** დაწერა წიგნი **„დიდი საჭადრაკო დაფა“.** ამ წიგნში ავტორი მიმოიხილავს უძველესი დროიდან დღემდე მსოფლიოში არსებულ ყველა დიდი იმპერიის ძლიერების საფუძვლებს და მათი დაცემის მიზეზებს. ხოლო როცა თანამედროვე აშშ-ს შესახებ მსჯელობს, ასახელებს **4** ფაქტორს, რომლითაც მას ვერცერთი ქვეყანა მხარს ვერ უსწორებს. მისი აზრით, ერთადერთ მხოლოდ აშშ-ს შეუძლია სამხედრო ოპერაციების გლობალური მასშტაბით წარმოება; იგია მსოფლიოს განვითარების ძირითადი ეკონომიკური წარმმართველი; ლიდერია სამეცნიერო სფეროში და მისი კულტურა წარმოუდგენლად მიმზიდველია ახალგაზრდობისათვის. *„კულტურული აღმატებულობა ამერიკული ძლიერების დაუფასებელ ასპექტს წარმოადგენს,* - წერს ზბიგნევ ბჟეზინსკი, -... *საბოლოოდ ამერიკა მექად იქცა მათთვის, ვინც მიილტვის მიიღოს თანამედროვე განათლება...“*[2] გასაგებია ავტორის აღფრთოვანება. მართლაც საამაყოა, რომ მეცნიერება და განათლება ქვეყანაში ისეთ სიმაღლეზეა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მოისწრაფვიან მისკენ, მაგრამ ამ აღფრთოვანებას კმაყოფილებაც მოსდევს, რომელსაც შემდეგნაირად გამოთქვამს ცნობილი პოლიტოლოგი: *„ყველაზე ნიჭიერთა შორის ბევრი აღარასოდეს დაბრუნდება სამშობლოში.“*[3] ეს მეტად ნიშანდობლივი დებულებაა და ჩვენთვისაც საგულისხმო: ივანეს დროს ბევრი ქართველი მიდიოდა ევროპაში და რუსეთში განათლების მისაღებად და მათგან ბევრი იქვე რჩებოდა. თუმცა ეს პროცესი იმდენად მასშტაბური არ იყო, როგორიც დღესაა.

სწორედ ამიტომაც, ახლა დავფიქრდეთ და ვიკითხოთ: თანამედროვე ამერიკის სიძლიერეში უდევთ თუ არა ლომის წილი მათ, რომლებიც – „ჩამოვიდნენ და აღარ დაბრუნდნენ სამშობლოში“?

ახლა კი ვიკითხოთ და მერე დავფიქრდეთ: რა დიდი მისია დაუსახავს ივანე ჯავახიშვილს საკუთარი თავისთვის, როცა მას საქართველოში ქართული მეცნიერების დაფუძნება განუზრახავს?! განა ამერიკის სამხედრო ძლიერება განვითარებულ მეცნიერებას არ ემყარება? ან მისი ეკონომიკა მეცნიერების გარეშეა აყვავებული? განა მათ არ შეუძლიათ სხვადასხვა ქვეყნებიდან მოიწვიონ სპეციალისტები? ან რატომ სურთ, რომ მათთან ჩასული ნიჭიერი უცხოელი სტუდენტები აღარასოდეს დაბრუნდნენ სამშობლოში? მაშინ რაოდენ მართალი ყოფილა ივანე ჯავახიშვილი, როცა ამბობდა:

„ჩვენი პატარა, ბუნებით უხვად დაჯილდოებული, მაგრამ კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა, რასაკვირველია, სხვებზე მეტად არის ვალდებული მეცნიერების წინამძღოლობასა და გზისგამკვლეობას ანგარიში გაუწიოს, რომ სხვებს დაეწიოს და კაცობრიობის დაწინაურებაშიც თავისი პირადი წვლილი შეიტანოს.“[4]

---

1 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, იხ, ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. IV. თბ., 1996. გვ. 337.

2 ჟურნალი „მიჯნა“, № 3, 2000 წ. გვ. 56)

3 ჟურნალი „მიჯნა“, № 3, 2000 წ. გვ. 56)

4 საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 471. ანაწერი 1, საქმე 25, ფ. 63.

გვაქვს კი ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის ეს სფერო საფუძვლიანად გამოკვლეული? შევძლებთ კი უიმისოდ განვითარებას? უამრავ ექსპერიმენტსა და ყბადაღებულ რეფორმებში ჩაფლულთ გვაქვს კი ჩვენივე მემკვიდრეობა გაცნობიერებული?

სამწუხაროდ, არა.

საარქივო მასალები, რომლებიც განადგურებას გადაურჩა, შესასწავლია და მათ ბევრი რამის თქმა შეუძლიათ. ეს რომ აუცილებელია ჯერ კიდევ 1943 წელს წერდა აკაკი შანიძე: ***„აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი დიდი მეცნიერი და დიდი ადამიანი იყო. ასეთი პიროვნებების შესახებ უნდა ვიცოდეთ ყოველი დეტალი მისი ცხოვრებისა.“***

ამ სიტყვების წარმოთქმიდან დიდი ხანი გავიდა, მაგრამ მისი პიროვნების შესახებ „ყოველი დეტალი“-ს ცოდნისგან ისევე შორსა ვართ. მაგრამ ის კი ვიცით, რომ ივანე ჯავახიშვილი მარტო უნივერსიტეტის დამაარსებელი და დიდი ისტორიკოსი არაა. იგი საქართველოს ისტორიის ახალ პერიოდში ერის განვითარების მთავარი საძირკვლის - ქართული მეცნიერების ფუძემდებელია. ამიტომ ქართველი ერის განსაკუთრებული ნაწილის – **აკადემიური საზოგადოების ვალია ადეკვატური** ნაბიჯის გადადგმა.

გასაბჭოებულ საქართველოში, სხვა საბჭოთა რესპუბლიკების დარად უნივერსიტეტი დაარსდებოდა, მაგრამ იგი აუცილებლად რუსული იქნებოდა. ხომ მრავალჯერ იყო მცდელობა საბჭოთა წლებში ქართულენოვანი სწავლება რუსულით შეცვლილიყო? ანუ ჩვენი უნივერსიტეტი რუსული გამხდარიყო? ეს რომ ვერ მოხერხდა, ამ უნივერსიტეტის აღზრდილების დამსახურებაა, მაგრამ ისიცაა აღსანიშნავი, რომ თავისუფალ ადგილას რუსული უნივერსიტეტის დაფუძნება უფრო ადვილად მოხერხდებოდა, ვიდრე უკვე არსებული ქართულის გაუქმება და მერე რუსულის შექმნა. თავისუფალ ადგილზე მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი რუსული უნივერსიტეტის დაფუძნებას თავად ქართველობა დიდი კმაყოფილებით შეხვდებოდა.

ასე რომ საბჭოთა წლებში ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენაში ივანე ჯავახიშვილისეული უნივერსიტეტის წვლილი საკმაოდ დიდია. ივანე ჯავახიშვილმა განაპიროობა არა მარტო **ახალი ქართული მეცნიერების** შექმნა, არამედ მან ეს მეცნიერება **ეროვნული აღმშენებლობის საძირკვლად** აქცია.

მთელი ქართული საზოგადოებრიობა ვალშია ივანე ჯავახიშვილის წინაშე. იგი ხომ დიდი ილიას ყველაზე დიდი და შედეგიანი შთამომავალია. თუ რაიმე ღირებულებებზე დგას თანამედროვე ქართული საზოგადოება, მათ შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო წვლილის შემტანი ივანე ჯავახიშვილია. ეს წვლილი კი საზოგადოებისთვის ჯეროვნად არაა ცნობილი.

ქართველი საზოგადოება ვალდებულია, რომ გამოიჩინოს გულისხმიერება, არა მხოლოდ ამ დიდი პიროვნების **ღვაწლის დასაფასებლად**, არამედ იმ **პოტენციალის გამოსაყენებლად**, რომელსაც მისი დიდი მემკვიდრეობა შეიცავს. კერძოდ, ის, რაც დღესაც აქტუალურია, რომ

- მეცნიერების გარეშე ვერ განვითარდება ვერცერთი ერი. რაც დრო გადის მეცნიერების როლი, ამ მხრივ, საოცარი სიჩქარით იზრდება. მართალია და აუცილებელი, რომ ერის ცხოვრების ყველა სფერო უნდა იყოს წარმატებული და ამისთვის კი ამ ერმა საჭირო ძალისხმევაც უნდა გამოიჩინოს, მაგრამ ვერცერთს ვერ მიხედავს, თუ მეცნიერებას უგულვებელყოფს: ვერც საზღვრებს დაიცავს, ვერც ხალხს გამოკვებავს, ვერც ხელოვნებას უპატრონებს და ა.შ. ამის მაგალითად ივანე ჯავახიშვილს გერმანიის მაგალითი მოჰყავდა, ჩვენ კი ნიმუშად ისრაელი შეიძლება დავასახელოთ. ეს გარემოება კარგად უნდა გააცნობიერონ იმათ, ვინც ბაგირს თავისკენ ეწევა;
- ივანეს მიხედვით ქართული მეცნიერება მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა მას საქართველოში ქართულ ენაზე ქართველი ადამიანი შექმნის. მან ეს გააკეთა და საქართველოდან ნიჭიერი ახალგაზრდების გადინება შეაჩერა. დღეს ეს პროცესი დარღვეულია და საჭიროა საქართველოში არსებულმა მეცნიერებისა და განათლების კერებმა თავიანთი დონე ისე აიმაღლონ, რომ უცხოური უნივერსიტეტის დიპლომები და მოწმობები ქართულზე პრესტიჟულად არ ითვლებოდეს
- ივანეს აზრით, უმაღლესი განათლების კერა იმავდროულად უნდა იყოს მეცნიერების ტაძარიც, ხოლო მისი მოდელი, პატარა და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნისათვის, უნდა იყოს ისეთი მოქნილი, რომ ზედმეტ დანახარჯებს არ საჭიროებდეს;
- ივანე თავად იყო მეცნიერისა და მოქალაქის ნიმუში. მისი რწმენით, მეცნიერებით დაკავებული ადამიანები უნდა იყვნენ თავიანთ საქმეზე უზომოდ შეყვარებულნი და მისთვის თავდადებულნი. ისინი ახალი თაობისათვის ცოდნის გადაცემასთან ერთად მათ

მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებასაც უნდა უყალიბებდნენ. ხოლო სტუდენტები მათი ღირსეული ცვლა რომ იყოს, შესაფერისი სასწავლო პროგრამები უნდა დგებოდეს;

ახლა კი უნდა დავსვათ კითხვა თუ როგორია ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა და მხოლოდ ორიოდე სიტყვით ვუპასუხოთ ამ შეკითხვას:

წერილობითი სახით შემორჩენილი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა ორი ნაწილისაგან შედგება:

1. სამეცნიერო ნაშრომები და
2. საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

მეცნიერს არც სიცოცხლეში ჰქონია საშუალება მშვიდად ემუშავა და სრულყოფილად გამოეცა თავისი შრომები[1]. არც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსწორებულა რამე, თუმცა ამ საქმეში ბევრი ღვაწლმოსილი მეცნიერი მონაწილეობდა. შეუფასებელია აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილისა და კიდევ სხვა ქართველი მეცნიერების ღვაწლი. საბჭოთა პერიოდში მეტის გაკეთება ძნელი იყო, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ცხადია, უკეთესი რომ გააკეთო, უკვე გაკეთებული კარგად უნდა გააცნობიერო. მხოლოდ ამ სურვილით მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა ყველაზე სრული გამოცემიდან – 12 ტომეულიდან. 12-ტომეულს იმიტომ ვირჩევთ, რომ მან ერთგვარად შეაჯამა და თვალსაჩინო გახადა ყველა ის ასპექტი, რითაც ამ დიდი პიროვნებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ხასიათდება:

1. დარღვეულია მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებული თავისი ნაშრომების იერარქია;
2. არ მოიცავს ივანე ჯავახიშვილის ყველა ნაშრომს და მასში ვერ ვნახავთ ბევრ პირველხარისხოვან ნარკვევს;
3. ზოგიერთი თხზულება წარმოდგენილია თავისი წინამორბედი ვარიანტებით და ზოგიერთი არა;
4. რამდენიმე ნაშრომი ორჯერაა დაბეჭდილი;
5. ივანე ჯავახიშვილის მიერ კონკრეტული მონოგრაფიისათვის გამიზნული ნაშრომი სულ სხვა შინაარსისა და დანიშნულების წიგნისთვისაა მიბმული;
6. ბევრგან უგულვებელყოფილია ავტორისული ტექსტის ავთენტურობა და საარქივო მასალების დედნისეული მონაცემები ნაკლებადაა გათვალისწინებული;
7. მეცნიერის მიერ ტექსტში წყაროებზე და ლიტერატურაზე მითითებები უზუსტოა.[2]

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ **ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო შრომები გამოსაცემია, რომელიც იქნება სრული, აკადემიური და ავთენტური. ჯერ-ჯერობით კი მეცნიერის გამოცემული მემკვიდრეობა არც სრულია და არც ავთენტური.**

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველ მასალებს, მისი მხოლოდ მცირე ნაწილია გამოცემული და ისიც ცალკეულ პერიოდულ ორგანოებში („საისტორიო მოამბე“, „მნათობი“, „ცისკარი“), რომლებიც მხოლოდ ვიწრო სპეციალისტებისთვის თუა ცნობილი. ეს მასალები მეცნიერის არცერთ ტომეულში არასდროს არ მოხვედრილა. ივანე ჯავახიშვილის მიერ საზოგადოებრივ საკითხებზე შექმნილი მასალები, რომლებიც არქივებშია შემონახული, მოცულობითაც და თემატურადაც მცირე სულაც არაა

---

[1] გამოცემებში დაშვებულ ლაფსუსებს ორი მიზეზი აქვს: 1. მეცნიერის სიცოცხლეში სხვადასხვა მიზეზების გამო წიგნი ხარვეზებით იბეჭდებოდა, რომელიც სამწუხაროდ, შემდეგ სხვადასხვა გამოცემებში ავტომატურად მეორდებოდა. მაგალითად, 1927 წ. ს. ჯანაშია ივანეს წერილობით აცნობებს: „ეხლა ბეჭდვის საქმე; თქვენ იცით, რომ შეჩერებული იყო ყველაფერი. შემდეგ სპეციალური შუამდგომლობა აღვაძრევინეთ უნ-ივერსიტე]ტის გამგეობას... პირველ სტამბაში მხოლოდ წარსული კვირის ბოლოში განაახლეს მუშაობა... უთუოდ შეცდომები ბლომად იქნება... ზოგიერთ შემთხვევაში მე მიხდებოდა დედნის წინააღმდეგ ზოგი ადგილის შესწორება აშკარა შეცდომების გამო. ასე თვითნებურად მოვიქეცი, რომ არ დაგვიანებოდა... არაერთგან აღმოჩნდა მთელი სტრიქონები გამოტოვებული და გადანგრევის შიშით, იძულებული ვიყავ აზრი აღმედგინა შეკვეცილი ფორმების საშუალებით.“ [ივანე ჯავახიშვილი, წარსულის ფურცლები, პირადი მიმოწერა. თბ., 1996, გვ. 5-6]; 2. ძნელი გახდა მეცნიერის გარდაცვალების მერე მის ხელნაწერ შრომებში გარკვევა. ამის შესახებ იგი წერდა კიდევაც: „დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია და აჩქარება მჭირდება. ყოველნაირად უნდა ვეცადო, რომ უმთავრესი ნაშრომების გამოცემა მაინც მოვასწრო. როდესაც ავტორი მეცნიერი ცოცხალი აღარ არის, ძალიან ძნელია იმის გარკვევა, თუ რანაირად დაამთავრებდა იგი, თითონ რომ მოესწრო კვლევა-ძიების ბოლომდე მიყვანა. უფრო ძნელი გასარკვევი იქნება ჩემს დაუმთავრებელ ნაშრომებში გარკვევა...“ [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი, № 1438].

[2] ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით იხ. დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები, თბ. 2002 და დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა და მისი გამოცემული შრომები, თბ., 2009.

და არაერთ ტომს შეადგენენ. ისინი თემატურად მრავალფეროვანია და წარმოგვიდგენენ მეცნიერის მოღვაწეობის მთელ სპექტრს. კერძოდ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იგი იყო:

1. მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის რექტორი;

2. სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ევალებოდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და ახალი სახელმძღვანელოების შექმნა;

3. მონაწილეობდა პირველი კონსტიტუციის, სახელმწიფო ატრიბუტიკის – გერბისა და დროშის შექმნაში;

4. იყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციისათვის შექმნილი სამთავრობო დელეგაციის წევრი;

5. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე.

რაც შეეხება საბჭოთა წლებს, მართალია არ დაუხვრეტიათ, მაგრამ თავის თავზე გადაიტანა რეპრესიების მთელი სიმძიმე. მიუხედავად ამისა, ამ პერიდში იგი იყო:

1. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. (თავმჯდომარედ განათლების კომისარი ითვლებოდა და ფაქტობრივი ხელმძღვანელი მოადგილე იყო);

2. შოთა რუსთაველის ეპოქის მუზეუმის დირექტორი;

3. საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და პრეზიდიუმის წევრი.

ამდენად, ეს თანამდებობები და შემორჩენილი მასალები ნათელყოფენ, რომ **ივანე ჯავახიშვილი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწეც**.

აქედან კი ახალი დასკვნა გამომდინარეობს, რომ **ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა უნდა გამოიცეს სრულად**!

აქედან გამომდინარეობს ჩვენი ამოცანაც.

ივანე ჯავახიშვილის შრომებს აქვთ დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა, მაგრამ ისინი ძვირფასია აგრეთვე როგორც დიდი პიროვნების რელიკვია. სიმონ ყაუხჩიშვილი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ მისი შრომების გამოცემის საქმეს, წერდა: ივანე ჯავახიშვილის შრომები იბეჭდება *„როგორც არა მარტო მონოგრაფია, არამედ როგორც ლიტერატურული დოკუმენტი“*. მაგრამ ამ „ლიტერატურულ დოკუმენტს“ მკაცრი ტექსტოლოგიური კვლევა სჭირდება. ეს კი შეუძლებელია, თუ არ იქნება გამოყენებული ელექტრონული ტექნოლოგია – სკანირება და შემდეგ კომპიუტერში სრული ელექტრონული ბაზის შექმნა. ელექტრონული ტექნოლოგიების დახმარებით ადვილი იქნება ძველ სპარსულ, ძველ ბერძნულ, ძველ სომხურ, სირიულ, რუსულ, ლათინურ, ფრანგულ, გერმანულ და კავკასიურ ენებზე დაწერილი თითოეული ფრაზის ამოკითხვა. ბოლოს კი მოცემული ფურცლისთვის (ასეთი კი ხელნაწერთა ცენტრში 120 ათასზე მეტია და ამდენივე ეროვნული არქივის ფონდშია დაცული) თავ-თავისი ადგილს მიჩენა ანუ ამ ფურცლებზე მოთავსებული ტექსტების ერთმანეთთან **შესაბამისობისა** და **მიმდევრობის** დადგენაა საჭირო.

მომავალშიც ზემოთმოყვანილი ფაქტები რომ არ განმეორდეს, საჭიროა ჯერ მთლიანად დამუშავდეს ყველა მასალა, შესწავლილ იქნას თითოეული საარქივო ფურცელი, დაკომპლექტდეს ყველა ტომი, რომელიც პერიოდულად გადამოწმდება და მხოლოდ შემდეგ დაიბეჭდება. ეს კი ელექტრონული ტექნოლოგიის გამოუყენებლად შეუძლებელია, რადგანაც ამ უამრავი ფურცლის მიმდევრობის დადგენა არც ტექნიკურადაა შესაძლებელი: საქმეების დაშლა აკრძალულია და თანაც სად უნდა გაიშალოს ასობით ან ზოგჯერ ათასობით ფურცელი, რომელიც ერთ თემას შეეხება? ვერც ადამიანის გონება დაიმახსოვრებს ამ ასეულ ათასობით ფურცლებზე მოცემული ტექსტის შინაარსს. მით უმეტეს, როცა ბევრგან მხოლოდ წყაროა ამოწერილი და არავითარი კომენტარი არ ახლავს. ამ შემთხვევაში ქაღალდის ზომა, ხარისხი, მელნის თუ ფანქრის ფერი და სხვა ვიზუალური მახასიათებლები უნდა იქნას გამოყენებული, რომელიც გარკვეულ საორიენტაციო გზას გააჩენს და შემდეგ ტექსტის შინაარსობლივი მხარის ანალიზი იქნება საჭირო. ყველაფერი ეს ადვილია, როცა ეს ზღვა მასალა კომპიუტერულ ბანკში იქნება მოცემული და მკვლევარს საშუალება ექნება ერთი და იგივე ფურცელი სხვადასხვა ვარიანტებით გადაალაგოს, სანამ ოპტიმალურ და ლოგიკურ შედეგამდე არ მივა.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის **ერთიანი ელექტრონული ბაზის** შექმნა და შემდეგ საგანგებოდ გამოკვლეულისა და შერჩეულის **ინტერნეტსივრცეში განთავსება**, თავისი სპეციფიკურობის გამო, რთული და შრომატევადია. კერძოდ, გამოსაყოფია შემდეგი გარემოებები:

I. მეცნიერის საარქივო დოკუმენტებისა და მემორიალური ნივთების **დაცულობის გეოგრაფია**: თბილისი, გორი, კასპი, სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი, ბერლინი.

II. ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის **მოცულობა:**

1. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია მეცნიერის პირადი არქივი 4 000-ზე მეტი საფონდო ერთეული;

2. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია თსუ-ს საარქივო მასალები, რომლის დიდი ნაწილი დაწერილია რექტორ ივანე ჯავახიშვილის მიერ. მეცნიერის ხელნაწერები ასევე გაბნეული ამავე არქივის სხვა ფონდებში;

3. ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილი წერილობითი მასალები დაცულია აგრეთვე მეცნიერის ახლობლებისა და თანამებრძოლების (ნიკო მარი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, იოსებ ყიფშიძე, სიმონ ჯანაშია და ა.შ.) პირად არქივებში, რომელთა ზუსტი აღნუსხვა შესაბამისი მუშაობის გარეშე შეუძლებელია;

III. ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის **მრავალფეროვნება**:

1. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო შრომები ეხება არა მარტო საქართველოს ისტორიის საკითხებს, არამედ ეკონომიკის, ხელოვნების, ლინგვისტიკის, ნუმიზმატიკის, დიპლომატიკის, მეტროლოგიის, პალეოგრაფიის დარგებს. გარდა ამისა, იგი იკვლევდა არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისტიკის, რელიგიის, მუსიკის ისტორიის საკითხებს;

2. საზოგადოებრივი თემატიკის (უნივერსიტეტი, საქართველოს დროშა და გერბი, სასწავლო კომიტეტი, უმაღლესი საბჭო და სხვა) ამსახველი მასალები;

3. პირადი და ოფიციალური წერილები;

IV. ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში **გარკვევის სირთულე**:

1. მეცნიერი წერდა ქართულად, რუსულად და გერმანულად. ამათ გარდა, იგი კარგად ფლობდა შემდეგ ენებს: ფრანგულს, ძველ ბერძნულს, ლათინურს, ძველ სომხურს, სირიულს, ძველ სპარსულს. კვლევა-ძიებაში იყენებდა თურქულს, ქართველურ (მეგრულ-ჭანური, სვანური) და იბერიულ-კავკასიურ (აფხაზურ-ადიღეური, ჩეჩნურ-ინგუშური, დაღესტნური) ენებს. ამდენად, მის ნაწერებში ამ ენებიდან უხვადაა მოტანილი ციტატები, რომელთა ამოკითხვა მეცნიერის სპეციფიკური ხელწერისა და ენათა მრავალფეროვნების გამო რთულია.

2. ივანე ჯავახიშვილს წყაროთა დამუშავებისა და ნაშრომის დაწერის თავისი მეთოდი ჰქონდა: ციტატებს იწერდა მცირე ზომის ფურცლების შუა ნაწილზე, რომელსაც შემდეგ თავსა და ბოლოში თავის კომენტარს დაურთავდა. ამ ფურცლებს იგი არ ნომრავდა სანამ ნაშრომს არ დაასრულებდა. ასე რომ, მისი არქივის დიდი ნაწილი ამგვარი დაუნომრავი ფურცლებითაა სავსე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო სხვადასხვა დაწესებულების სხვადასხვა საქაღალდეშია გაფანტული. ამიტომ ამ ფურცლების ავტორისეული თანამიმდევრობა არეულია და მისი აღდგენა ძალიან ძნელია.

ივანე ჯავახიშვილის არქივის ზემოთ მოცემული სირთულეების დაძლევა მოითხოვს არა მარტო შრომატევად გარჯას, არამედ სპეციფიკურ მიდგომასაც. მეცნიერის ხელნაწერებზე მუშაობამ გამოკვეთა რამდენიმე გარემოება, რომელთა გათვალისწინებით სამუშაო ვერსიები ჩამოყალიბდა.

1. მეცნიერი ხშირად ერთი და იგივე ფურცლებს, რომლებზედაც გარკვეული შინაარსის ტექსტი იყო დაწერილი, უკვე სხვა მიზნით (სხვა მოხსენებისათვის ან სხვა ნაშრომის შესადგენად) ხელმეორედ იყენებდა და მას გარკვეულწილად გადააკეთებდა ხოლმე. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ტექსტი სრული სახით არ იყო ყოველთვის გამოყენებული, არამედ ხშირად მხოლოდ ნაწილი. ამ შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს, გარკვეული შინაარსიის შემცველი მოცემული ფურცელი ან ფურცელთა ერთობლიობა თავდაპირველად რომელი მოხსენების, ან ნაშრომის საფუძველი იყო და შემდეგ რომლისთვის იქნა იგი გამოყენებული.

2. გადაკეთებულ ფურცლებზე წაშლილი ძველი ტექსტიც იკითხება და საინტერესო აზრებსაც შეიცავს, მაგრამ მომდევნო მოხსენებაზე, ან ნაშრომში იგი სხვა ტექსტითაა შეცვლილი. ამდენად, ეს ტექსტები სხვადასხვა ვარიანტებია და დიდი მეცნიერის შემოქმედების ევოლუციასაც ასახავს. ამიტომ მათი ღირებულება დიდია და გათვალისწინებას საჭიროებს.

3. მეცნიერის ხელნაწერების ფურცლები ზოგჯერ ორივე მხარეზეა დაწერილი და ისე ჩანს, თითქოს ერთი და იგივე ნაშრომია. მაგრამ სინამდვილეში, ქაღალდის უქონლობის გამო, რომელიღაც ნაშრომის ფურცლების მეორე მხარე ახალი შრომისთვისაა გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში დასადგენია რომელია თავდაპირველი და რომელია ახალი. მაგრამ

ამისთვის საჭიროა დადგინდეს ამ ფურცლებზე დაწერილი ტექსტის ბმა (კავშირი) მეცნიერის რომელიმე ნაშრომთან. ეს ურთულესი საკითხია და შესაბამის ხანგრძლივ კვლევას მოითხოვს.

4. ამ საკითხების გასარკვევად ზოგჯერ უმნიშვნელო დეტალიცაა საყურადღებო. ასე მაგალითად, მეცნიერის ხელნაწერები, რომლებიც ძირითადად საბჭოთა ეპოქამდეა შექმნილი, მაღალი ხარისხის ქაღალდზეა შესრულებული, ხოლო საბჭოთა რეჟიმის პერიოდში დაწერილი ტექსტები – უხარისხო ქაღალდზე. ამის დადგენა ხდება ზოგჯერ მეცნიერის მიერ მიწერილი თარიღით, ზოგჯერ თავად ნაბეჭდ ქაღალდზეა მოცემული თარიღი (მაგალითად, რომელიმე ოფიციალური დაწესებულების ბლანკი) ან მეცნიერის მიერ გამოცემული ნაშრომის მიხედვით.

5. ზემო თქმულიდან გამომდინარე, ამ უამრავი ფურცლის რომელიმე კონკრეტული შრომისადმი დაკავშირება და თითოეულის თანამიმდევრობის დადგენა შესაძლებელია, მასზე დაწერილი ტექსტის შინაარსის გარდა, ქაღალდის ზომის, ფერის, ხარისხის, საწერი მასალის (შავი ან ლურჯი მელანი, ფანქარი) მიხედვით.

6. მაგრამ ამ უამრავ ფურცლებში ამგვარი გზის გაკვლევა შეუძლებელია, თუ არ იქნება გამოყენებული ციფრული ტექნოლოგიები, კერძოდ, უნდა მოხდეს მათი დიგიტალიზაცია და შემდეგ ზემოთ მოცემული ნიშნების მიხედვით მათი დაჯგუფება. სხვაგვარად შეუძლებელია ტექსტის შინაარსის უბრალო გადმოწერით შემოვიფარგლოთ და მისი შინაარსით ვიმსჯელოთ, თუ რომელ გამოუქვეყნებელ ნაშრომს ეკუთვნის ესა თუ ის ფურცელი, რომელიც სხვადასხვა ფონდსა და სხვადასხვა საქაღალდეშია მიმობნეული. დედნისეული ყოველი ფურცლის ზემოთ დასახელებული სპეციფიკა შეუძლებელია ადამიანმა დაიმახსოვროს და მხოლოდ მეხსიერებაზე დაყრდნობით გააკეთოს დასკვნები. რაკი ამ უთვალავი საარქივო მასალების დაშლა და ჩვენს ნებაზე გადაწყობა არც ტექნიკურადაა შესაძლებელი და არც ინსტიტუციურად დასაშვები, მოსახერხებელია მხოლოდ ციფრული მასალების (ფურცლების) კომპიუტერში რამდენიმეჯერ გადაწყობით ჯერ შინაარსის, მერე მელნის ფერის, ქაღალდის ზომისა და ხარისხის მიხედვით.

7. მითუმეტეს, თუ ამგვარი მასალები ვებგვერდზე იქნება ატვირთული. ამ მეთოდის გამოყენება ხომ ნებისმიერ მკვლევარს შეეძლება და თანდათან მეცნიერის ავთენტური ტექსტის დადგენა უფრო გაადვილდება.

მხოლოდ ამგვარი კვლევის შემდეგ უნდა დაიწყოს ტომეულების დაკომპლექტება და გამოსაცემად მომზადება.

მომზადებული მასალები უნდა დაიბეჭდოს, როგორც წინასწარი გამოცემა, პერიოდულ ორგანოში და ასევე აიტვირთოს ივანე ჯავახიშვილის პერსონალურ ვებგვერდზე. ეს საშუალებას მისცემს ფართო საზოგადოებას გაეცნოს მათ და გამოთქვას თავისი შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება ავტორისეული ტექსტის საბოლოო დახვეწას შეუწყობს ხელს.

ავტორისეული ტექსტის ზედმიწევნით ზუსტად გადმოცემისთვის და მეცნიერის სულისკვეთების ნათელყოფისთვის საჭიროა ქვემოთ ჩამოთვლილი თითქოსდა დამოუკიდებელი დიდი პრობლემების კვლევა, რომელიც ჯამში დაგვანახებს დიდი მეცნიერისა და მოღვაწის სრულ პორტრეტს. ესენია:

- ივანე ჯავახიშვილის **ცხოვრებისა და მოღვაწეობის** ამსახველი მასალების გამოვლენა, სისტემატიზაცია და გამოსაცემად მომზადება;
- ივანე ჯავახიშვილის **სამეცნიერო ნაშრომების** შესწავლა, შედარება დედნისეულ ტექსტთან და გამოსაცემად მომზადება;
- ივანე **ჯავახიშვილისეული თემატიკის** კვლევა;
- ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის **ეპოქის ძირითადი საზოგადოებრივი პრობლემების** შესწავლა;
- ივანე ჯავახიშვილის **წინამორბედ მოღვაწეთა, თანამებრძოლთა და მემკვიდრეთა** ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა.

მხოლოდ ასეთი **დიდი და ხანგრძლივი გარჯის** შემდეგ მივაღწევთ სასურველ შედეგს. მაგრამ ეს გარჯაც უნდა იყოს გარკვეულ გონივრულ დროში მოქცეული და იგი დიდი მეცნიერის დაბადებიდან 150 წლისთავით უნდა განისაზღვროს, რომელიც 2026 წელს სრულდება. ამ ვადაში, შესაბამისი მონდომებისა და ხელშეწყობის პირობებში, ეს საქმე დაიძლევა და საზოგადოება მიიღებს ძვირფას საჩუქარს - ივანე ჯავახიშვილის სრულ აკადემიურ გამოცემას, როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონული ფორმატით.

დავით სართანია

გეოგრაფიული კვლევის ასპექტები ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში

კობა ხარაძე[1]

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ისტორია და გეოგრაფია კომპლექსურად იკვლია დიდმა ვახუშტი ბაგრატიონმა. ზუსტად ორი საუკუნის შემდეგ ასევე გააგრძელა კვლევა მეორე დიდმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა. საქმე ისაა, რომ ვახუშტი ბაგრატიონის წარმატებით დაწყებულ საქმეს დიდხანს გამგრძელებელი არ გამოუჩნდა. აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა კი, საქართველოს ისტორიის რიგ პრობლემებთან ერთად, წარმატებით იკვლია გეოგრაფიული საკითხები, რითაც მას საპატიო და გამორჩეული ადგილი უკავია XX საუკუნის მკვლევართა შორის. ამიტომ არის, რომ ქართველი გეოგრაფოსებისათვის დიდი ივანე ჯავახიშვილი ისეთივე მახლობელი და განუყოფელია, როგორც ისტორიკოსებისათვის. მისი ნაშრომების ჩამოთვლაც კი იძლევა იმის საფუძველს, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდი ამაგი დასდო მან ქართულ ისტორიულ გეოგრაფიას და საერთოდ გეოგრაფიას:

- „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ დანართი რუკით;
- „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, ორი ტომი;
- „საქართველოს საისტორიო გეოგრაფია“;
- საქართველოს ფიზიკური და ისტორიული რუკები 1:420,000 მასშტაბში;
- და სხვა.

ამასთან, ივ. ჯავახიშვილმა გამოავლინა და გამოაქვეყნა საქართველოს ცალკეული მხარეების მოსახლეობის აღწერის დავთრები, მთელი რიგი საბუთები, რითაც ამ ნაშრომებს გეოგრაფიულ კვლევებსა და რეტროსპექტულ კარტოგრაფირებაში პრიორიტეტული ადგილი უკავია.

ივ. ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომში [ჯავახიშვილი, 1934] დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას, რომელსაც დამოუკიდებელი გამოკვლევის სახე აქვს. აქ დადგენილია ძველი ქართული გეოგრაფიული ტერმინები, მათი მნიშვნელობა და გავრცელება. ამასთან, ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ძველი ქართული გეოგრაფიული ტერმინები თანამედროვე კომპონენტებთან აქვს გაიგივებული.

მეცნიერის მიერ საფუძვლიანადაა გაშუქებული საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის საკითხები, რაც უმთავრესად ემყარება ძველი ქართული მწერლობისა და ისტორიულ-გეოგრაფიული წყაროების ღრმა მეცნიერულ ანალიზს. ქართველი ერის ისტორიის კვლევას მან წინ წაუმძღვარა გეოგრაფიული ვითარების ანალიზი, რადგან იგი თვლიდა, რომ, პირველ რიგში, საჭიროა იმ ქვეყნის მიწა-წყლისა და მოსახლეობის შესწავლა, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართველი ერი. სწორედ ამიტომაა საჭირო გეოგრაფიული აღწერილობის შემცველი წყაროების გამოვლენა ქართველ და მეზობელ ერთა მწერლობაში. იგი აღნიშნავდა: „*ვისაც ჰსურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს იმდროინდელი გეოგრაფია შესწავლილი უნდა ჰქონდეს*“-ს [ჯავახიშვილი, 1983, გვ. 5].

ივ. ჯავახიშვილმა ძველი ქართული წერილობითი წყაროების – ლეონტი მროველის, ჯუანშერის, თამარ მეფის ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, „მატიანე ქართლისა“, სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვათა ნაშრომთა ანალიზის საფუძველზე დეტალურად გამოიკვლია მათში მოცემული გეოგრაფიული ცნობები, გეოგრაფიული ტერმინები და მთელი სიზუსტით მრავალმხრივ განმარტა ისინი. ამასთან, თითოეული ტერმინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად გადმოსცა სხვადასხვა ვარიანტებით. ცხადია, სპეციალისტ გეოგრაფისათვის ეს ტერმინები გასაგებია, მაგრამ ის, რომ სხვადასხვა წყაროში ზოგიერთი მათგანი განსხვავებული მნიშვნელობითაა მოხსენიებული, უთუოდ, სპეციალურ კვლევას საჭიროებს. სწორედ ამაშია ივ. ჯავახიშვილის წვლილი.

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

მეცნიერის მიერ ათეულობით გეოგრაფიული ტერმინი დაწვრილებითაა გაანალიზებული სხვადასხვა პერიოდის წყაროების მიხედვით. დეტალურადაა განხილული ამა თუ იმ რეგიონის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, მეურნეობა, ტრანსპორტი, შედარებულია ისინი თანამედროვე პირობებთანაც. ფართოდ არის განხილული საქართველოს მხარეები ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, დადგენილია მათი საზღვრები, მხარეების ბუნებრივი პირობები, შესწავლილია ძირითადი საგზაო მაგისტრალები და სხვ.

დიდი და მრავალმხრივია ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო შემოქმედება. მან საქართველოს ისტორიის მრავალი პრობლემის სადარად, იკვლია საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური საკითხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის ფუნდამენტური ნაშრომი საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში, რომელსაც ორი ვრცელი ტომი მიუძღვნა [ჯავახიშვილი, 1930, 1934]. მეცნიერის დიდ ერუდიციასა და ჰორიზონტზე მეტყველებს მისი გეოგრაფიული განსწავლულობაც. მან დიდი შრომის შედეგად შესძლო რიგი საკითხების დეტალური განხილვა, რაც სხვადასხვა სპეციალისტის მოვალეობას შეადგენდა. დიდძალი მასალა და გამოკვლევები საქალაქო მეურნეობის, შინამრეწველობის, ვაჭრობის, სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობის, ეკონომიკური ისტორიის სხვა საკითხების შესასწავლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მეცნიერს კოლოსალური შრომა გაუწევია. ეს ნაშრომი უძვირფასეს მასალას შეიცავს ეკონომიკურ საკითხებში, მეურნეობის რიგი არეების, პრიორიტეტულად სოფლის მეურნეობისა და მისი დარგების შესწავლის მიზნით.

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის პრობლემები პირველმა სწორედ ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია. უფრო ადრე ილია ჭავჭავაძე ხედავდა ამ საკითხების წინ წამოწევის აუცილებლობას, როცა აღნიშნავდა, რომ ქვეყნის ეკონომიური დოვლათის შემქმნელი ხალხი *„როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია“*. ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიკური საფუძვლების გამოკვლევას აუცილებლად მიიჩნევდა არა მარტო ისტორიის, არამედ ჩვენი ხალხის აწმყოსათვის და მისი მომავლისათვის [ჭავჭავაძე, 1987, გვ. 150-152]. ეს რთული და შრომატევადი სამუშაო თავს იდვა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა. მან საისტორიო მწერლობაში გაფანტული არაპირდაპირი მითითებანით, დოკუმენტური აღწერილობითა თუ სხვა სახის ცნობებით, დეტალურად შეისწავლა საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ამ საკითხების კვლევას და 1907 წელს გამოაქვეყნა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I წიგნი. ნიშანდობლივია ისიც, რომ მხოლოდ ამის შემდეგ გამოსცა მან „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნი. ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ იგი ჯერ საქართველოს წარსულის ეკონომიკური საფუძვლების გარკვევას შეუდგა, ხოლო შემდეგ პოლიტიკური ისტორიისას. აღსანიშნავია ისიც, რომ „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ოთხ წიგნად ჰქონდა განზრახული. სამწუხაროდ, არ დასცალდა დასახული ვრცელი გეგმის განხორციელება. მიუხედავად ამისა, მეცნიერის მიერ მოპოვებული და გაანალიზებული უზარმაზარი მასალა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძირითად საკითხებზე.

ივ. ჯავახიშვილმა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ორი ტომის 1250-გვერდიან ნაშრომში გააკეთა ანალიზი საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების წარმოებასა და განვითარებაზე როგორც ზოგადად, ისე რეგიონულ ჭრილში. მთელი ეს კვლევა შესრულებულია ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, რაც უტყუარ ცნობებს შეიცავს წარსულის ეკონომიკური სურათის აღსადგენად. მან დაწვრილებით შეისწავლა სხვადასხვა დავთრები, მოსახლეობის აღწერის მასალები, სიგელ-გუჯრები, ისტორიული ნაშრომები. ყოველივე ამის გამო მეცნიერმა *„ძველი საქართველოს ეკონომიკური ისტორია მთელი თავისი სიღრმითა და სიგრძით“* წარმოაჩინა. სოფლის მეურნეობის ეკონომიკის გარდა, ყურადღება გამახვილებულია სამეურნეო ტექნიკისა და ცოდნის განვითარებაზე, რითაც წარმოჩინდა მეურნეობის განვითარების წარმატება თუ დაქვეითება ისტორიული პერიოდების მიხედვით.

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ ტომში ვრცლად არის განხილული წყაროები – დემოგრაფიული ძეგლები, საფინანსო უწყების ძეგლები, საკორპორაციო და კერძო მეურნეობის შემოსავალ-გასავლის საბუთები, აღწერილობითი წყაროები და სხვა. იგი განსაკუთრებულ შეფასებას აძლევს ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომს: *„გეოგრაფიულ წყაროთაგან ძირითადად უნდა, რასაკვირველია, ბატონიშვილი ვახუშტის განთქმული ნაშრომი „ღეოღრაფიული აღწერა სა-ქართველოÁსა“ იქმნეს მიჩნეული. არსად ჩვენი ქვეყნის ბუნება, თვისებები, მოსახლეობა და ეკონომიური მდგომარეობა, ისეთი სივრცე-სიღრმით არ არის განხილული და დახასიათებული, როგორადაც ამ ნაშრომშია. წერილობითი ძეგლების,*

რუკებისა და დემოგრაფიული წყაროების მიხედვით დაწერილ და ავტორისაგან საქართველოს პირად შესწავლაზე დამყარებული, ვახუშტის თხზულება ყოველი მკვლევარისათვის, რა მხრივაც იგი საქართველოს წარსულსა და ნაწილობრივ აწმყოს გამოკვლევას არ აწარმოებდეს, ყოველთვის აუცილებლად საჭირო წყარო იქმნება“ [ჯავახიშვილი, 1930, გვ. 113].

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველსავე ტომში დაწვრილებითაა განხილული ძველი საქართველოს სოფლის მეურნეობა, რომლიდანაც, პირველ რიგში, მიწათმოქმედებაა დახასიათებული. მოცემულია მემინდვრეობის კულტურა, მისი შემადგენლობა, რაობა და სივრცე. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება მემინდვრეობის კულტურის ზოგად პრობლემებზე. მან პირველმა წარმოაჩინა შუა საუკუნეების საქართველოს სოფლის მეურნეობის ისეთი საკითხები, როგორიცაა მიწის მფლობელობა და მიწის მოქმედება, ვაჭრობა და ხელოსნობა, ქალაქები და საქალაქო წესწყობილება და სხვა, რასაც თან ერთვის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვაც. ყველაფერი ეს გათვალისწინებულია საქართველოს ბუნებრივ პირობებთან შეხამებით, რის მიხედვითაც გაკეთებულია მთელი რიგი დასკვნები. „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე ტომში [1934] მემინდვრეობის, მეხილეობისა და მევენახეობის თითოეული კულტურა ცალ-ცალკეა განხილული. დეტალურადაა წარმოჩენილი სოფლის მეურნეობის კულტურათა გავრცელება დროსა და სივრცეში. ყოველივე ამის გამო, ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში - „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ - წარმოდგენილი ძირითადი მოსაზრებანი დღესაც არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. როგორც შ. მესხია წერდა: „*...დაუღალავმა შრომამ და ამ შრომის შედეგად მოპოვებულმა უზარმაზარმა პირველხარისხოვანმა მასალამ ივანე ჯავახიშვილს შესაძლებლობა მისცა, საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესწავლას ახალი გეგმით და სისრულით შედგომოდა*“ [მესხია, 1976, გვ. 16, 17].

ჯერ კიდევ 1918 წელს ივ. ჯავახიშვილმა ცალკე ნაშრომად გამოაქვეყნა “ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს”. მასში აღწერილია გვიანდელი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების მდგომარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, საქალაქო მეურნეობა. მას არ დასცალდა ამ ნაშრომის სრულყოფილად გამოქვეყნება, მიუხედავად ამისა, იგი მეცნიერ-სპეციალისტებისათვის დღესაც სახელმძღვანელო მოსაზრებად რჩება.

ამდენად, ივანე ჯავახიშვილმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძირითადი საკითხების შესწავლას.

ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საქართველოს საზღვრების შესწავლას. 1919 წელს მან გამოაქვეყნა მონოგრაფია “საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული”, რომელიც წარმოადგენს ფუნდამენტურ ნაშრომს ამ თვალსაზრისით. უამრავი წყაროს მოშველიებითა და შესწავლით მან დაადგინა საქართველოს ეპოქალური საზღვრები, დაწყებული უძველესი პერიოდიდან, თანამედროვე მდგომარეობამდე. მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს მჭიდროდ შემოფარგლული საზღვრები, ისე როგორც თვით იგი ისტორიულ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე, გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა. მეცნიერი წერდა: „*სახელმწიფოებრივს ერთეულს თავისი აუცილებელი მოთხოვნილება და არსებობის პირობები აქვს, რომელთა შორის საპატიო ადგილი სამზღვრებს უჭირავს*“ [ჯავახიშვილი, 1919, გვ. 49]. სწორედ ამიტომ იკვლია მთელი სიგრძე-სიგანით საქართველოს საზღვრები, როგორსაც დღეს აწარმოებენ ტოპოგრაფები და გეოგრაფები.

მონოგრაფიაში საქართველოს ყველა მხარის საზღვარი, ბუნებრივ მიჯნებთან მიმართებაში, დეტალურად არის განხილული და აღწერილი ძველი ქართული და უცხოური წყაროებისა (მათ შორის კარტოგრაფიული) და იმდროინდელ ტოპოგრაფიულ რუკებზე დაყრდნობით. ამასთან, მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობა განხილულია საზღვრებთან ურთიერთობაში, ცხადია, დღევანდელი საზღვრებს გარეთაც.

მონოგრაფიაში სასაზღვრო ხაზი უბრალოდ აღწერილი კი არ არის, არამედ განსაზღვრულია საზღვრისპირა მხარეების ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსთვის; პერიოდების მიხედვით განხლილულია ქართველი და არაქართველი მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები და მიგრაციული პროცესები, ამ პროცესების პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგები.

ივ. ჯავახიშვილმა ქართველ ერს ნათლად დაანახვა თუ რა საზღვრები ჰქონდა საქართველოს და თუ როგორ თავგამოდებით იცავდა მათ ჩვენი ერი საუკუნეების განმავლობაში. ამ საზღვრებში მოქცეული მიწა-წყალი და მოსახლეობა მთლიან ერთეულს წარმოადგენდა, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც არის შემოფარგლული. „ისტორიული და საერთაშორი-

სო სამართლის ძალით საქართველოს სწორედ ის სამზღვრები უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ზევით იყო აღნიშნული... ამიტომ ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან გადაარჩენს....“ - XX საუკუნის დასაწყისში წერდა დიდი ივანე ჯავახიშვილი [1919, გვ. 49, 51].

მონოგრაფიის დიდ ღირსებად ითვლება დანართი – კარტოგრაფიული გამოსახულება, რომელზედაც თვალსაჩინოდაა ასახული საქართველოს ეპოქალური საზღვრები. მცირე მასშტაბის რუკაზე მთელი სიზუსტითაა გადატანილი დეტალები, რომელზეც მონოგრაფიაშია საუბარი. საქმის დიდი ცოდნითა და ღრმა კვლევის შედეგად დატანილია საქართველოს სხვადასხვა პერიოდის საზღვრები ქრონოლოგიური ზღვრების მიხედვით.

ნაშრომის ბოლოს, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს [1919, გვ. 51]: „*ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა, რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროსს პროფესორ გენ. ან. ბენაშვილს და ტოპოგრაფიულს განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ*“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წიგნი, რომელიც 1919 წლის იანვარ-მარტში ბათუმ-კონსტანტინეპოლშია დაწერილი, გამოცემულია თბილისში.

ამასთან, სხვა ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ რუკის ქართული ვარიანტი წიგნის თითოეულ ეგზემპლარს თან უნდა ჰქონოდა დართული. მაგრამ, სამწუხაროდ, რუკები ერთეულებს თუ შემორჩა. უცნობია ისიც, თუ რა ტირაჟით დაიბეჭდა მონოგრაფია და რუკა.

საბჭოთა წლებში მონოგრაფიას ვეტო ჰქონდა დადებული და, ფაქტობრივად, ხელმიუწვდომელი იყო ქართველი მკითხველისათვის. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ეგზემპლარს შტამპი უზის „შინ არ გაიცემა“.

რუკაზე მოცემულია საზღვრის ამსახველი პირობითი ნიშნები: 1. ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვარი; 2. საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული საზღვარი; 3. საზღვარი სომხეთის მოთხოვნილებისამებრ და 4. საქართველოს საზღვარი რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს (ნახ. 1).

ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული რუკის ფრანგული ვარიანტიც არსებობს, რომელიც დართული აქვს 1919 წელსვე პარიზში გამოცემულ ანდრე იბელსის წიგნს - „განთავისუფლებული საქართველო“. რუკის ფრანგული ვარიანტი ქართული რუკის იდენტურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასზე მესამე პირობითი ნიშანი - „საზღვარი სომხეთის მოთხოვნილებისამებრ“ მოცემული არ არის. დურმიშხან ცინცაძის აზრით, „*უცხოურ ენაზე ამ რუკის გამოცემისას, როგორც ჩანს, ქართველებს ჩვეული სიდინჯე და გონიერება აღმოაჩნდათ. მათ თავიანთი მოქმედებით უხერხულობაში არავინ არ ჩააყენეს და არც არავის ერთ გოჯა მიწას არ შესცილებიან*“ [1990, გვ. 6].

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ფრანგული რუკის ვარიანტი (ნახ. 2) ასევე შეიქმნა 1919 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ, რომელიც შედიოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში, როგორც მრჩეველი საქართველოს ისტორიის საკითხებში.

პარიზში ჩვენი დელეგაცია მოითხოვდა საქართველოს საზღვრებში შესულიყო ის მიწები, რომელიც 1801 წელს საქართველო-რუსეთთან შეერთების შემდეგ პროვინციებად იქცა, ადრიანოპოლის ზავისა (1829 წ.) და ბერლინის ტრაქტატის (1878 წ.) საფუძველზე განთავისუფლებული მიწები, აგრეთვე ოსმალეთის მფლობელობაში მყოფი ზოგიერთი ტერიტორია.

1920 წლის 10 აგვისტოს სევრში (პარიზის მახლობლად) დაიდო ხელშეკრულება ოსმალეთთან. 92-ე მუხლით სომხეთის საზღვრები საქართველოსთან და აზერბაიჯანთან უნდა დადგენილიყო დაინტერესებულ ქვეყნებს შორის შეთანხმების გზით. ამის საფუძველზე ერთა ლიგის ქვეკომისიამ მიუთითა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოოდ დადგენილი საზღვრები სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის სხდომაზე დაისვა საკითხი საქართველოს მიღების შესახებ. კენჭისყრაში 24 სახელმწიფო ღებულობდა მონაწილეობას, საიდანაც საქართველოს მიღებას მხარი დაუჭირა მხოლოდ 10-მა. ამრიგად, საქართველო არ მიიღეს ერთა ლიგის წევრად. ამიტომ რუკის სათაური, რომელიც წინასწარ იყო გაკეთებული – „საქართველო ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში“, სწორი არ არის. მის ნაცვ-

საქართველოს საზღვრების რუკა
მასშტაბი
1
3.000.000
ვერსი
კილომეტრი
ნიშნების ახსნა
ქალაქები, დაბები
მდინარეები
მთები
რკინის გზები
გზები
ყოფილ რუსეთის იმპერიის საზღვარი
საქართველოს სახელმწ. ისტორიული საზღ.
საზღვარი სომხების მოთხოვნილებისამებრ
საქართ. საზღ. რუსეთთან ხელშეკრულ. დადებ. დროს
შავი ზღვა
კასპიის ანუ მურგანის ზღვა
ბათუმი
ფოთი
ზუგდიდი
ქუთაისი
ტფილისი
ბაკური
ბაქო
ბორჩალო
ნახ. 1. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი
„საქართველოს საზღვრების რუკა“ 1919 წელი

ნახ. 2. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს რუკა“, ფრანგული, წარდგენილი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, 1919 წელი

ლად უნდა იყოს: პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ტერიტორიული მოთხოვნები [სვანიძე, 1992].

ივ. ჯავახიშვილი, ამასთან, ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერული შემოქმედების შემფასებელი და მკვლევარი გახლდათ. მან დეტალურად შეისწავლა ვახუშტის მრავალფეროვანი შემოქმედება და გააკეთა რიგი დასკვნები. ჭეშმარიტი მამულიშვილი სამართლიანად და ობიექტურად აფასებდა წინაპრის ღვაწლსა და დამსახურებას. ეს არის სწორედ ის საუკეთესო თვისება, რაც დიდ ივანე ჯავახიშვილს გააჩნდა. „*ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა ვრცლად და შინაარსიანად არის შედგენილი... XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში ნამდვილად უებრო ბუმბერაზად წარმოგვიდგება*" - წერდა ვახუშტის შესახებ ივ. ჯავახიშვილი [1977, გვ. 327, 347]. ან კიდევ, "*ცნობათა სიუხვისა და განმაცვიფრებელი მრავალფეროვნების წყალობით ვახუშტის გეოგრაფიას არასდროს მეცნიერებისათვის მნიშვნელობა არ დაეკარგება... ვახუშტის გეოგრაფიას უმთავრესად ავტორის დროინდელი საქართველოს შესასწავლად აქვს პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა*" [ჯავახიშვილი, 1930, გვ.113, 114]

ივ. ჯავახიშვილმა პირველმა დაადგინა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი იყო კულტურულ მცენარეთა ვერტიკალური ზონალობის იმ მკვლევართაგანი, რომელმაც XIX საუკუნის ევროპელ კორიფე გეოგრაფს ალექსანდრე ჰუმბოლდტს ამ დებულებით ასი წლით გაუსწრო. მან მოახდინა ვახუშტი ბაგრატიონის ბოტანიკურ-გეოგრაფიული ცნობების მეცნიერული ანალიზი, საფუძვლიანად გააანალიზა ვახუშტის მიერ განხილული სამიწათმოქმედო მეურნეობის განლაგების სურათი საქართველოს ტერიტორიაზე, რის მიხედვით და ამ შეხედულებებზე დამყარებული "საქართველოს ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკა" [1930] შეადგინა.

აღნიშნავდა რა სახელოვანი ქართველი მეცნიერის უდიდეს დამსახურებას მცენარეთა გავრცელების ზონალობის შესახებ, ივ. ჯავახიშვილი 1930-იანი წლების დასაწყისში წერდა: „*ვახუშტის ნაშრომი რომ ევროპელ მეცნიერთათვის მაშინ სრულებით გაუგებარ ქართულ ენაზე კი არა, არამედ რომელსამე ევროპულ ენაზე ყოფილიყო დაწერილი, ანდა XVIII საუკუნის 30-იან წლებში, მისი ქართულად დაწერილი თხზულება მთელი საუკუნის განმავლობაში დაუბეჭდავი, გადაუთარგმნელი და სხვა მკვლევართათვის მიუწვდომელი არ დარჩენილიყო, მცენარეთა ზონალობის ზოგადი მოძღვრებაც, საფიქრებელია, XIX ს. შუა წლებზე გაცილებით ადრე გაჩნდებოდა. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ვახუშტის ეს დიდი ღვაწლი მეცნიერების წინაშე მისი თხზულების დაწერის თითქმის 200 წლის შემდგომ მაინც აღნიშნული იყოს*" [ჯავახიშვილი, 1930, გვ. 297-298].

ჯერ კიდევ 1905 წელს ივანე ჯავახიშვილი [გვ. 46] აღნიშნავდა, რომ „*ქალაქებისა და სოფლების წარმოშობის გარკვევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიული ნომენკლატურის შესწავლას. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია ჯერ კიდევ არ არსებობს, ამიტომ ვკმაყოფილდებით ვახუშტის ცნობილი შრომით*". მეცნიერი შენიშნავდა, რომ „*ამ ძეგლის ახალი კრიტიკული და სრული გამოცემა ფერადი რუკებითურთ და ქართული საძიებლებით აუცილებლად არის საჭირო*" [ჯავახიშვილი, 1930, გვ. 114].

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილი დეტალურად იკვლევდა ვახუშტი ბაგრატიონის სამეცნიერო შემოქმედებას და, რაც მთავარია, მის გეოგრაფიულ ნაშრომს სწორი და პირუთვნელი შეფასება მისცა.

დიდი ივანე ჯავახიშვილისთვის კარტოგრაფიული ნამუშევრებიც არ იყო უცხო. საქართველოს საზღვრების რუკის გარდა, მას ეკუთვნის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული წარმოდგენათა კარტოგრაფიული ასახვის პირველი ცდა. ვახუშტი ბაგრატიონის წერილობითი წყაროების მიხედვით მოახდინა გეობოტანიკური არეალების რეტროსპექტული კარტოგრაფირება. 1922 წელს მისი რედაქტორობით გამოვიდა I : 400,000 მასშტაბის საქართველოს ფიზიკური რუკა. ასეთი მსხვილმასშტაბიანი საქართველოს ფიზიკური რუკა ქართულ ენაზე პირველად დაიბეჭდა. ეს იყო მეცნიერის დიდი ღვაწლი, რასაც წარმატებით გაართვა თავი კარტოგრაფ ევსევი ზარამიძესთან ერთად. მეცნიერის დიდი დამსახურება იყო, აგრეთვე, 1923 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორიული რუკა". იგი I : 400,000 მასშტაბშია შესრულებული და მასზე მთელი სიზუსტით არის დატანილი სხვადასხვა პერიოდის საქართველოს საზღვრები (ძვ.წ. I საუკუნის, XII საუკუნის და 1783 წლის). 1923 წლის საქართველოს ისტორიული რუკა საშუალომასშტაბიანია, რომლის მსგავსი მანამდე არ გამოცემულა. ამ რუკის გამოცემა გაადვილდა იმითაც, რომ 1 წლით ადრე გამოიცა იმავე მასშტაბის საქართველოს ფიზიკური რუკა. გარდა ამისა, მოცემულია შიგა, თემობრივი საზღვრები. მართალია, 1919 წელს გამოცემულ ივანე ჯა-

ვახიშვილის მონოგრაფიას – „საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ – დართული აქვს წვრილმასშტაბიანი „საქართველოს საზღვრების რუკა“, მაგრამ ამ მასშტაბის რუკები 1922, 1923 წლებში პირველად შესრულდა, რომლებზეც საზღვრები გატარებულია უამრავი ისტორიული წყაროს დამუშავებითა და ობიექტური რეალობის ასახვით. რუკაზე დატანილია აგრეთვე იმდროისათვის არსებული მთავარი საურმე გზები და ბილიკები. ამ ელემენტებს კი წარსულის სურათის აღსადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუკებზე დატანილი ათასობით გეოგრაფიული სახელწოდება, რომლებიც წერილობითი წყაროების საფუძველზეა შესრულებული. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ბევრი მათგანი დღეს მივიწყებულია, ან სახეცვლილი. ყოველივე ამას წარსულის რეტროსპექტიული სურათის აღსადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულ რუკებზე ამოუწურავი მასალაა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის რიგი საკითხების გასარკვევად, მათ შორის, ტოპონიმიის კვლევისთვის.

ივ. ჯავახიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ისტორიული წყაროების გამომზეურებას, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული გეოგრაფიისათვის - მოსახლეობის აღწერის, განლაგებისა და მიგრაციული პროცესების საკითხებს, რომელთა მიხედვით შეიძლება შეიქმნას რეტროსპექტიული კარტოგრაფიული გამოსახულებანი.

შორს წაგვიყვანს ყველა იმ გეოგრაფიული საკითხისა და პრობლემის ჩამოთვლა, რომელთაც საქართველოს ისტორიის კვლევასთან ერთად მიწვდა დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი, მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველა გეოგრაფიული გამოკვლევა, იქნება ეს ისტორიული თუ თანამედროვე გეოგრაფია, თანამიმდევრულად და ღრმა მეცნიერული ერუდიციით აქვს მას შესწავლილი. სწორედ ამიტომ არის, რომ ქართველი გეოგრაფები და კარტოგრაფები სათანადოდ აფასებენ და იყენებენ თავიანთ კვლევებში დიდი მეცნიერის ფასდაუდებელ მემკვიდრეობას.

ლიტერატურა

1. მესხია შ. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხები. საიუბილეო კრებული „ივანე ჯავახიშვილი 100“ თბ., 1976.
2. სვანიძე მ. ერთი რუკის გამო. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 6. VI.
3. ცინცაძე დ. საქართველოს საზღვრები. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, 3. VII.
4. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV. თბ., 1987.
5. ხარაძე კ. ივანე ჯავახიშვილი და ისტორიული გეოგრაფიის შინაარსის შემცველი ტოპონიმების გავრცელება და კვლევა-ძიება საქართველოში. საუნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო სესიის თეზისები. ქუთაისი, 1996.
6. ხარაძე კ. მეცნიერების მრავალწახნაგოვანი მკვლევარი. ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი მეხუთე რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. პროგრამა და მასალები. თბ., 1998.
7. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი, ტ. II. თბ., 1983; ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977.
8. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. I. ტფ., 1930.
9. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. II. ტფ., 1934.
10. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფ., 1919.
11. ჯავახიშვილი ივ. ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო წყობილება. ტფ., 1905.
12. ჯორბენაძე ს. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა. თბ., 1984, გვ. 108.

Koba Kharadze

Aspects of Geographical Study in the Work of Ivane Javakhishvili

Resume

The article shows the results of the study of a number of geographical issues accomplished by Academician Ivane Javakhishvili. Noteworthy is that the great scientist studied the issues of geography thoroughly, just as it was relevant to the topicality of the problems of the history of Georgia: historical geography of Georgia, economic history of Georgia, borders of Georgia, etc. Besides, developing the corresponding cartographic images must be considered as his great merit. In this respect, the following works are worth attention: The Physical Map of Georgia (1922), the Historical Map of Georgia (1923), the Borders of Georgia (1919), the Retrospective Map of Geo-Botanical Areas compiled based on the written sources of Vakhushti Bagrationi, etc.

The paper shows the great merit of the scientist in publishing historical sources, in particular, the sources with geographical description what was so important for the questions of historical geography: the population census, and location and migratory processes, which can be used to draft cartographic images. Ivane Javakhishvili contributed much to the clarification of the geographical notions found in these sources and to the study of the natural conditions, population, farming, transport of the regions and other issues.

Besides, Ivane Javakhishvili was a great evaluator of Vakhushti Bagrationi's scientific work, thoroughly studied his versatile work and made a number of conclusions. He assessed his ancestor's merit and tribute in a fair and objective manner.

A thorough study of the borders of Georgia by Ivane Javakhishvili is worth of a particular attention. In this respect, monograph "The Borders of Georgia Considered in Historical and Modern Views", which is a fundamental work and was published in 1919, is worth mentioning. Based on a number of sources, the scientist identified the epochal borders of Georgia from the ancient times to present. The monograph is enclosed by a cartographic image, as well.

ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორიიდან 1918-1921 წლებში[1]

ოთარ ჯანელიძე[2]

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას წინ ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა უსწრებდა: 1. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის განახლება (1917 წ. 12 მარტი) და თბილისის უნივერსიტეტის დაარსება (1918 წ. 26 იანვარი). სულიერი თავისუფლების მოპოვებამ და სიბრძნის სოლიდური კერის დაფუძნებამ საქართველოს გზა გაუკვალა ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლებისაკენ.

ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯავახიშვილს ორივე ამ საშვილიშვილო საქმეში გამორჩეული წვლილი აქვს შეტანილი. ოღონდ, თუ ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაწილის როლით შემოიფარგლა, საქართველოს პირველი ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნება მთლიანად მისი ძალისხმევის ნაყოფია.

უნივერსიტეტის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე მოსე ჯანაშვილი წერდა: „*ივანე ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო, ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ. ... ჯავახიშვილმა აგვინთო სხივოსანი მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდან შუქურ-ვარსკვლავივით გაგვინათებს გზა-კვალს მარადისობისაკენ*“ [გვრიტიშვილი http://nateba.websail.net/biographies/86-javakhishvili].

ვინც ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას თუნდაც ზოგადად გაეცნობა, უპირველესად მისი ნაშრომების მოცულობა და სიმრავლე გააკვირვებს. დიდი სწავლულის ნაწერებისა და პუბლიკაციების მრავალრიცხოვნობა უნებურად გაფიქრებინებს, რომ ბატონ ივანეს თავის სიცოცხლეში სხვა არაფერი უკეთებია, რომ იგი მთელი ცხოვრება მხოლოდ საწერ მაგიდას უჯდა და ისტორიული წყაროების კვლევა-ძიებით იყო დაკავებული. ეს ასეც რომ იყოს, ამაში დასაძრახი არაფერია. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი არ გახლდათ მხოლოდ კაბინეტში ჩაკეტილი მეცნიერი. მისი ფიქრი და აზრი მრავალ საქვეყნო საქმეს დასტრიალებდა. საკეთებელი კი მართლაც აუარება და თავზესაყრელი იყო. დამოუკიდებლობაგამოცხადებული ქართული სახელმწიფო ხომ ის-ის იყო, ფეხს იდგამდა.

ივანე ჯავახიშვილი სრულად იყო ჩართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს პარალელურად, ქმედითად იღწვოდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზეც. საკმარისია დავასახელოთ, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს წინადადებით, ბატონმა ივანემ სხვა „მცოდნე კაცებთან“ (დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, ექსპერტებთან) ერთად მონაწილეობა, მიიღო ეროვნული დროშისა და სახელმწიფო გერბის შემუშავებაში. შალვა მაღლაკელიძის მოწმობით, გერბზე „თეთრი გიორგის“ გამოსახვის წინადადება ივანე ჯავახიშილს წამოუყენებია და ეს იდეა ეროვნული საბჭოს წევრებს გაუზიარებიათ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს სკოლის გაქართულების საქმეში, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში გამართულმა საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად დასახა და სხვა. გაქართულება უნდა შეხებოდა ტოპონიმიკასაც. ივანე ჯავახიშვილს სარგის კაკაბაძესა და პავლე ინგოროყვასთან ერთად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისაგან მინდობილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისის რკინიგზის გასწვრივ არსებული დასახლებული პუნქტებისათვის ქართული სახელწოდებების შერჩევა, ცნობილი მეცნიერი აქტიურად მონაწილეობდა განათლების სისტემის გარდაქმნაში და მრავალი სხვა.

უნდა ითქვას, რომ ეროვნული სახელმწიფოს სამსახურში იმთავითვე ჩადგა თბილისის უნივერსიტეტის პროფესურაც, მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სიმონ ავალიანი და სხვ. აქვე არ იქნება უინტერესო, გავიხსენოთ ორი

---

[1] წაკითხულია მოხსენებად ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წ. 23 აპრილს. იბეჭდება ტექსტის გაფართოებული ვერსია.

[2] გორის უნივერსიტეტის პროფესორი, *Otar_janelidze@yahoo.com*

საყურადღებო ფაქტიც. 1. თბილისის უნივერსიტეტის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უნივერსიტეტის დასახმარებლად 20 ათასი მანეთის გამოყოფის თაობაზე; [გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 23 იანვარი]. 2. 1918 წლის 3 სექტემბერს გამოიცა „საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის კანონი“ ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გარდაქმნის შესახებ და დამტკიცდა უნივერსიტეტის „დროებითი ძირითადი დებულება.“ კანონში აღნიშნულია: „ა) გამოცხადდეს ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფოს უნივერსიტეტად და დაერქვას „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.“ ბ) სახელმწიფოს ყოველ-წლიურ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქნეს განსაზღვრული თანხა უნივერსიტეტის შესანახად. შენიშვნა. ამა 1918 წელს მიეცეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თანახმად წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიხვისა 334.300 მან.“ [საქართველოს დემოკრატიული ..., 1990. გვ. 57-58].

1918 წლის ივნისში თბილისის უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა სატერმინოლოგიო სექცია, რომელიც შეუდგა მუშაობას ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით [გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 15 ივნისი, გვ. 3]. გაზეთის ცნობით: *„ტერმინოლოგიის ხაზით უნივერსიტეტში სასწრაფო მუშაობა სწარმოებს ყველა დარგში, განსაკუთრებით კი ქართული ენის ტერმინების შედგენაში. ამიერიდან კი ვინც სახელმძღვანელოების შედგენაზე იმუშავებს, ანგარიში უნდა გაუწიოს იმ ტერმინებს, რომლებიც უკვე შემუშავებულია უნივერსიტეტის პროფესორების მიერ“* [გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ., 2 იანვარი].

ივანე ჯავახიშვილი წევრი იყო 1918 წლის ივლისში შექმნილი გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოებისა [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 26 ივლისი. გვ. 2], რომელიც მიზნად ისახავდა ორი ერის დამეგობრებას, მათ კულტურათა ურთიერთდაახლოებასა და დიალოგს. საზოგადოება საქართველოს მოსახლეობაში ევროპის ფაქტორის უკეთ გააზრებას, ქვეყნის დასავლური ორიენტაციის მხარდაჭერასა და განმტკიცებასაც ემსახურებოდა.

1919 წლის გაზაფხულზე, სახალხო განათლების სამინისტროს ინიციატივით ჩამოყალიბდა კომისია დაწყებითი სკოლისათვის ახალი პროგრამების შესამუშავებლად. ამ კომისიის თავმჯდომარედაც ბატონი ივანე მიიწვიეს [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 24 მაისი].

პროფესორ ივანე ჯავახიშვილს თხოვნით მიმართა ასევე, სამხედრო სამინისტროსთან არსებულმა სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონის შემდგენელმა კომისიამ და სთხოვა მიეღო მონაწილეობა ამ კომისიის მუშაობაში [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 25 იანვარი].

1919 წელს, როდესაც კავკასიის მუზეუმი საქართველოს მუზეუმად გადაკეთდა, პროფესორ ივანე ჯავახიშვილს ამ სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობა დაეკისრა [ლილუაშვილი, 2006. გვ. 86].

1920 წლის თებერვალში ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარედ. კომიტეტს დაკისრებული ჰქონდა სახელმძღვანელო და საყმაწვილო წიგნების განხილვა, ქართულენოვანი ტერმინოლოგიის შემუშავება და სხვ. [ჟურნალი „განათლება“, 1920, № 2, გვ. 76]. იმავე წლის მაისში კომიტეტმა ჩაატარა „ქართული ენის მცოდნეთა ყრილობა“, რომელმაც საფუძლიანად იმსჯელა ქართული ენის სალიტერატურო ნორმების დადგენაზე [ჭუმბურიძე, 2000. გვ. 72-73].

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ამოცანა იყო მოსახლეობის საერთო განათლების დონის ამაღლება, რასაც ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან სახალხო უნივერსიტეტები ემსახურებოდნენ. ახალმა რეალობამ აუცილებელი გახადა, რომ სახელმწიფოს ამ მიმართებითაც ქმედითად ეზრუნა. თუ ადრე სახალხო უნივერსიტეტები საიმპერიო ოფიციალური ინსტიტუციებისაგან დამოუკიდებლად აღმოცენდნენ და საკუთარი სახსრებით ფუნქციონირებდნენ, ახლა ისინი განათლების ერთიან, სახელმწიფო სისტემაში ექცეოდნენ, რაც მათი შედარებით გამართული, სტაბილური საქმიანობის საფუძველი უნდა გამხდარიყო. სახალხო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც სათავეში ასევე პროფესორი ივანე ჯავახიშვილი ედგა.

კომისიამ ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მოამზადა ამ დაწესებულების რეფორმირების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალური განყოფილების დაარსებას, სადაც საერთო განათლებისათვის საჭირო და სხვა სპეციალური საგნები უნდა შეესწავლათ. განზრახული იყო პროვინციებში თბილისის სახალხო უნივერსიტეტის 11 ფილიალის გახსნა, სახალხო უნივერსიტეტებში მასწავლებლად საუკეთესო მეცნიერული ძალების მოზიდვა და სხვა [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 15 ივლისი].

ივანე ჯავახიშვილი, როგორც სიძველეთა უბადლო მცოდნე, თანამშრომლობდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებასთან, ასევე „სამხედრო ტანთცმულობის შესამუშავებელ კომისიასთან.“ ამ უკანასკნელის დანიშნულება იყო „მოიწვიოს პროფესორნი და მხატვარნი, რათა მათი დახმარებით გამოიმუშაოვოს თავისებური, ნაციონალური, ლამაზი და პრაქტიკული სამოსი ქართველ მხედართათვის“ [ტაბატაძე, 2011. გვ. 55].

1919-1921 წლებში ივანე ჯავახიშვილი ლექციებს კითხულობდა თბილისის სამხედრო სკოლაში, იყო ამ სკოლის პროფესორი [გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე..., ჟურნალი „მხედარი“, 1991, № 3, გვ. 71]. ცნობილი მეცნიერის მოღვაწეობას მომავალ ოფიცერთა კადრების სამჭედლოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ იუნკერთა პატრიოტუული სულით განმსჭვალვის თვალსაზრისითაც, რისი შედეგიც თვალნათლივ გამოვლინდა 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელასთან გამართულ ბრძოლებში. ბოლშევიკური რუსეთის აგრესიისაგან თავდაცვით ბრძოლაში იუნკრებმა გმირობის, სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავგანწირვის საოცარი მაგალითები უჩვენეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე მწვავედ იდგა მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობა-აღიარების საკითხი. ამ გზაზე დიდ იმედად გამოკრთოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც მუშაობას 1919 წლის იანვარიდან შეუდგა. საქართველოს მთავრობამ პარიზის კონფერენციაზე გასაგზავნი ოფიციალური დელეგაცია საგულდაგულოდ შეარჩია. მის შემადგენლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ივანე ჯავახიშვილიც ჩართეს.

ბატონ ივანეს უძნელდებოდა უნივერსიტეტის თუნდაც დროებით დატოვება, იგი ერთხანს თავს იკავებდა ევროპაში გამგზავრებისაგან და უმჯობესად მიაჩნდა სამშობლოში დარჩენა. ივანე ჯავახიშვილის უმაღლესი სასწავლებლიდან მოწყვეტას მტკივნეულად განიცდიდა უნივერსიტეტის პროფესურაცა და სტუდენტობაც [გაზეთი „საქართველო“, 1919 წ., 12 თებერვალი]. მაგრამ სამთავრობო დელეგაციამ მისთვის დაკისრებული უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი დავალების შესრულებაში ცნობილი მეცნიერ-ისტორიკოსის მონაწილეობა შეუცვლელად მიიჩნია. დელეგაციის წევრის, გრიგოლ რცხილაძის სიტყვით, ივანე ჯავახიშვილის ყოფნა აუცილებლად საჭიროა. *„ბევრი ისეთი მასალა იქნება საჭირო, რომელიც ჯავახიშვილს მოეპოვება და თუ მოგვიხდება ისტორიულად და ეთნოგრაფიულად დასაბუთებული მემორანდუმების წერა, ვინ მოგვაწვდის მასალებს, თუ ბატონი ჯავახიშვილი არ იქნა დელეგაციაში. ... ჯავახიშვილი უარს ამბობს უნივერსიტეტის საქმეების გამო, მაგრამ თუ დიდხანს არ უნდა იქ დარჩენა, ცოტა ხნით მაინც წამოვიდეს“*.[1] ნოე ჟორდანიამ ივანე ჯავახიშვილს წერილობითაც თხოვა, რომ მისი მონაწილეობა დელეგაციაში აუცილებლად საჭირო იყო. ბატონი ივანე დათანხმდა. იგი სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში „მოთათბირის“ სტატუსით შეიყვანეს. მეცნიერს საქართველოს ტერიტორიისა და ეთნოგრაფიული ყოფის აღწერა, ასევე, საქართველოს მიმართ მეზობლების - სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიული პრეტენზიების უსაფუძვლობის დასაბუთება დაევალა. ევროპაში გამგზავრებამდე კი მასვე მთავრობის სხდომაზე უნდა წარედგინა მოხსენება საქართველოს საზღვრების შესახებაც [მენთეშაშვილი, 1992. გვ. 173-176].

დელეგაციას, რომელსაც საქართველოს პარლამენტის (შემდეგში დამფუძნებელი კრების) თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე მეთაურობდა, მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოში წარსადგენად მიჰქონდა მემორანდუმი და ფრანგულ ენაზე შედგენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუკა. ამ რუკის მომზადება გენერალ ილია ოდიშელიძესა და პავლე ინგოროყვას ჰქონდათ დაკისრებული. მათთან ერთად რუკაზე ივანე ჯავახიშვილიც მუშაობდა [სართანია, ნიკოლაიშვილი, კოხრეიძე და სხვ., 2016. გვ. 76]. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ევროპაში მიმავალი ხსენებული დიპლომატიური მისიის ქართველ წევრთა დიდი ნაწილი კონსტანტინოპოლს ვერ გასცდა, რადგან საფრანგეთის მთავრობისაგან პარიზში ჩასასვლელი ვიზა ვერ მიიღო.

პარიზში ჩასულმა კარლო ჩხეიძემ 1919 წლის 28 მარტს წერილობით მიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ითხოვა, თუ სრული შემადგენლობისათვის ვერა, ქართული დელეგაციის ყველაზე საჭირო პირებისათვის მაინც დაერთოთ პარიზში ჩასვლის ნება. დასახელებულთა შორის იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ გობეჩია, გენერალი ოდიშელიძე, ივანე ჯავახიშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე და ცოლ-ქმარი ვოიტინსკები [საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი № 1864,

[1] ივ. ჯავახიშვილის შემცვლელად დელეგაციაში განიხილებოდა პავლე ინგოროყვას კანდიდატურა, მაგრამ კ. ჩხეიძის სიტყვით, „იგი ვერ გასწევდა ჯავახიშვილობას“ [მენთეშაშვილი, 1992. გვ. 164].

აღწერა 2, საქმე 112, ფურცელი 61]. სამწუხაროდ, ჩხეიძის თხოვნა უპასუხოდ დარჩა, ივ. ჯავახიშვილს არ მიეცა პარიზში ჩასვლის უფლება.[1] ამის მიუხედავად, დელეგაციამ ფართოდ ისარგებლა მეცნიერის მიერ მომზადებული ნაშრომითა და მასალებით.

საქართველოს დელეგაციამ თავის 1919 წლის 23 მაისის სხდომაზე დაადგინა: საჩქაროდ გადაითარგმნოს ფრანგულად ჯავახიშვილის მონოგრაფია საზღვრების შესახებ და ასევე, დაჩქარდეს თარგმნა ყველა სხვა საჭირო მასალისა, რომელიც დელეგაციას აქვს [მენთეშაშვილი, 1992. გვ. 135].

„ჩემის აზრით ძალიან დანაკლისია, რომ თქვენ აქ არ ბრძანდებით ჩვენთან. ჩვენ მუშაობისათვის თქვენი აქ ყოფნა მეტად სასარგებლო იქნებოდა", - წერდა პარიზიდან დელეგაციის ერთ-ერთი წევრი იოსებ გობეჩია 1919 წლის 7 ივნისით დათარიღებულ წერილში ივან ჯავახიშვილს და თან აცნობებდა: *„თქვენი ნაწარმოები საზღვრების შესახებ გადითარგმნა ფრანგულად და ამ დღეებში მივცემთ დასაბეჭდათ. მეორე თქვენი ისტორიული მიმოხილვა, რომელიც მეტად საჭირო არის, ვერ ითარგმნა, რადგან მხოლოდ ერთი ნაწილი არის ჩვენ ხელში; გემახსოვრებათ სტამბოლში ვერ მოასწრეს მისი გადაწერა. ამიტომ გთხოვთ პირველი შემთხვევისამებრ გამოგვიგზავნოთ*"-ო [ტაბლიაშვილი, 1967. გვ. 366; საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 471, აღწერა 1. საქმე №24, ფურცლები 28-29]. როგორც ჩანს, ტექსტი დროულად გაიგზავნა და ითარგმნა კიდეც. დღეს ამ მასალების ფრანგული თარგმანები საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული [საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, საქმე 273].

ივანე ჯავახიშვილი ვიზის მოლოდინში კონსტანტინოპოლში უსაქმოდ არ მჯდარა. აქ მან მოამზადა საყურადღებო ნაშრომი სახელწოდებით „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული", რომელიც მალე წიგნადაც დაიბეჭდა. თავის დანიშნულებიდან გამომდინარე, 1919 წელს გამოცემული ეს მომცრო ნარკვევი უაღრესად მნიშვნელოვანი პუბლიკაცია იყო. აქვე დაწერა მან არანაკლებ საგულისხმო გამოკვლევა „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში", რომელიც 1919 წელს ასევე ცალკე წიგნად დაიბეჭდა.

ოსმალეთში მყოფი ივანე ჯავახიშვილი არაერთგზის ესტუმრა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერს, გაეცნო მის მოღვაწეობას და შთაბეჭდილებათა წიგნში ამგვარი ჩანაწერი დატოვა: „გული სიხარულით მევსება, როდესაც ამ პატარა საქართველოს კუნძულში, ქართველთა მონასტერში, საქართველოსა და ქართველი ერისადმი უანგარო ღრმა სიყვარულს ვგრძნობ [ივანე ჯავახიშვილი. 1919. 16 თებერვალი http://biblioteka.litklubi.ge/print.php?id=3926].

სამშობლოში დაბრუნებულ ივანე ჯავახიშვილს საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთი სახელმწიფოებრივი დავალება მისცა. 1920 წელს იგი ექვთიმე თაყაიშვილთან, გენერალ ილია ოდიშელიძესა და პავლე ინგოროყვასთან ერთად შეიყვანეს მეზობელ სომხეთთან და აზერბაიჯანთან საზღვრების გამომრკვევი კომისის შემადგენლობაში.

საზღვრების საკითხში ივანე ჯავახიშვილს მკაფიოდ ჩამოალიბებული პოზიცია გააჩნდა. წერდა: *„ქართველი ერი და მისი მთავრობა ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს". ამასთან, მეცნიერის აზრით: „ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა შეიძლება, საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს"* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 5-6].

საგულისხმოა, რომ მეცნიერის ამ პოზიციას იზიარებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე. ვრცელ წერილში „საქართველოს კონსტიტუციისთვის" იგი წერდა: *„ამ გონიერ დათმობას საზღვრების საკითხში საქართველოში არავინ უარყოფს. ოღონდ, თავი და თავი ის არის, რომ დათმობის პოლიტიკას ყოველთვის და ყოველგან უნდა საზღვრავდეს რესპუბლიკის ინტერესები და*

[1] საზღვრების საკითხში ივანე ჯავახიშვილის ცოდნის გამოყენება საქართველოს მთავრობამ კიდევ ერთხელ 1920 წლის გაზაფხულზე გადაწყვიტა, როდესაც გენერალ ილია ოდიშელიძესთან ერთად მისი ევროპაში, კერძოდ პარიზში გაგზავნა დააპირა „საზღვრების გამოსარკვევად დაგეგმილ კონფერენციაზე". მეცნიერს ვერც ამჯერად მოუხერხდა წასვლა და პარიზში მხოლოდ ი. ოდიშელიძე გაემგზავრა [საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ჰარვარდის ფონდის მიკროფირები, საქმე № 753; ფონდი № 1864, აღწერა 2, საქმე № 393, ფურცელი 33].

დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის საჭიროება“ [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 17 თებერვალი].

პროფესორი ივანე ჯავახიშვილი არ გაურბოდა პირუთვნელი აზრის გამოთქმას ახლად შექმნილი სახელმწიფოს თვით ყველაზე მწვავე საკითხებზეც კი. ამ მხრივ, საყურადღებოა მეცნიერის მონაწილეობა შიდა ქართლში კომპაქტურად მცხოვრები ოსებისათვის თვითმმართველობის შემოღებასთან დაკავშირებულ პერიპეტიებში.

ეს საკითხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ პირველად 1919 წლის 3 ივლისს განიხილა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი განსაზღვრავდა იმ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებს შორაპნის, რაჭისა და გორის მაზრებში, რომელთა შეერთებით უნდა დაარსებულიყო ახალი ადმინისტრაციული ერთეული დროებითი სახელწოდებით - „ჯავის მაზრა“. ადმინისტრაციის ცენტრად შერჩეული იყო სოფელი ჯავა [ჯანელიძე, 2007. გვ. 9].

პრობლემის სრულად შესასწავლად და მისი წინასწარი განხილვის მიზნით, მთავრობამ ჩამოაყალიბა საუწყებათაშორისო კომისია იუსტიციის მინისტრის მოადგილის გრიგოლ გველესიანის თავმჯდომარეობით. როგორც იმ ხანად მიღებული იყო, კომისიამ გადაწყვიტა მოეწვიათ ქართული უნივერსიტეტის პროფესორები ივანე ჯავახიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი, რათა „ზოგი რჩევა მათთვისაც ეკითხათ“.

საუწყებათაშორისო კომისიის სხდომაზე მიწვეულმა ივანე ჯავახიშვილმა ურჩია მის წევრებს, რომ პირველ რიგში გაერკვიათ მომავალი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის საკითხი და სხვა პრობლემებზე მხოლოდ ამის შემდეგ ემსჯელათ. ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, კომისიამ დამატებითი სპეციალისტებიც მოიწვია, კერძოდ სამხედრო ტოპოგრაფი გრიგოლ ცხაკაია და უნივერსიტეტის პროფესორი, გენერალი ანდრია ზენაშვილი. მათ დაევალათ შორაპნის, რაჭის, დუშეთისა და გორის მაზრების ეთნოგრაფიული რუკის შედგენა, სტატისტიკის სამსახურს კი ეთხოვა ზუსტი ცნობების წარმოდგენა აღნიშნული რეგიონის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ.

დავიმოწმებ საარქივო მასალას, რომელიც გვაცნობს კომისიის სხდომაზე გამოთქმულ ქართველი სწავლულის თვალსაზრისს. ბატონ ივანეს განუცხადებია: „*ამ რაიონში არის 11 გადმოსასვლელი ჩრდილოეთიდან სამხრეთში და რომ იგი, თუ სამხრეთის ოსები მტრულად იქნენ განწყობილი საქართველოს მიმართ, დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის. მუდამ საჭირო იქნება საგრძნობი ძალების ყოფნა ამ გადმოსასვლელების დასაცავად. თუ საქართველოს არ უნდა, რომ ყოველთვის საფრთხის წინ იდგეს, მან ისე, როგორც ძველად მას ეკუთვნოდა, უნდა დაიბრუნოს დვალეთი, სადაც ჩრდილოეთიდან არის მხოლოდ ერთი გადმოსასვლელი არდონის კარი, რომლის ჩაკეტვას დიდი ძალა არ სჭირდება და რომლის დაჭერაც იქნება უდიდესი გარანტი იმისა, რომ ჩვენ სამშობლოს ჩრდილოეთიდან მტრების დაცემის ხიფათი არ აშინებდეს*“ [საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი № 1796, აღწერა. 1, საქმე № 72, ფურცელი 22; ჯანელიძე 2008. გვ. 28]. ცხადია, მეცნიერი ჩრდილოეთიდან მოსალოდნელ საფრთხეზე საუბრისას გულისხმობდა ბოლშევიკური რუსეთის აგრესიას, რაც მოგვიანებით კიდევაც გამართლდა. კრემლმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ დაძრული წითელი არმიის ნაწილები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დარიალისა და მამისონის უღელტეხილებითაც გადმოიყვანა.

ივანე ჯავახიშვილმა მიუღებლად მიიჩნია საქართველოს მთავრობის პროექტი შიდა ქართლის ოსური სოფლების ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფისა და ოსთათვის საერობო თვითმმართველობის შემოღების შესახებ. მეცნიერი-ისტორიკოსის აზრით, „*ბუნებრივად შეუკავშირებელი ნაწილების შეკავშირება ერთ ადმინისტრაციულ ეკონომიკურ ცენტრად შეუძლებელიცაა და გაუმართლებელიც*“ [ჯანელიძე, 2008. გვ. 26-27].

უარყოფითი იყო ანდრია ზენაშვილის შეხედულებაც, რომელიც ცალკე ოსური ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბებას საქართველოს სახელმწიფოებრივ-სტრატეგიულ ინტერესებთან შეუსაბამოდ მიიჩნევდა. მეცნიერთა აზრის გათვალისწინებით, კომისიამ ხელისუფლებას წარუდგინა მოხსენება, რომელიც შეიცავდა დასკვნას, რომ „*ნაუცბათევად არ გადაწყდეს ის, რასაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც დღევანდელ, აგრეთვე მომავალ ჩვენ მდგომარეობისათვის*“ [საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი № 1796, აღწერა 1, საქმე № 72, ფურც. 22; ჯანელიძე, 2008. გვ. 28].

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის საჯარო ლექციები, რომლებიც ივანე ჯავახიშვილმა 1918-1921 წლებში არა სტუდენტურ აუდიტორიებში, არამედ ფართო საზოგადოებისათვის წაიკითხა.

მათ შორის გამოვყოფდი სამ ლექციას:

1. 1918 წლის დეკემბერში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სომხეთის მთავრობამ უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიები წამოუყენა და დასახული მიზნის მიღწევა საომარი მოქმედებით დააპირა. სომხეთის ჯარის შენაერთები ბორჩალოს მაზრაში შემოიჭრნენ. ქართველმა ხალხმა საოცარი ერთსულოვნება და შემართება გამოავლინა ამ ომის დღეებში. ვისაც რითი შეეძლო, მზად იყო მხარში ამოდგომოდა განსაცდელში ჩავარდნილ ქვეყანას. ივანე ჯავახიშვილმა საჯარო ლექცია დაგეგმა, რომლის სახელწოდება იყო: „*საქართველოს სამხრეთი საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის*“. ლექცია 22 დეკემბერს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარ კლუბში გაიმართა. პერიოდული პრესის ცნობით, ლექციაზე დასასწრები ბილეთის ფასი სამი მანეთი, მოწაფეთათვის კი 1 მანეთი ყოფილა. შემოსავალი განკუთვნილი იყო საომრად მიმავალი სოციალისტ-ფედერალისტთა მებრძოლი რაზმის სასარგებლოდ [გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ., 23 დეკემბერი].

ლექციამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მეცნიერმა შეკრებილთ განუმარტა, რას ეცილებოდა სომხეთის რესპუბლიკა საქართველოს, რა საფუძველი ჰქონდა მეზობელი ქვეყნის პრეტენზიებს ჩვენი ქვეყნის მიმართ და სხვა.

ლექციის დასაწყისში, ლექტორი შეეცადა გაეფანტა საზოგადოებაში არსებული ილუზია, რომ თითქოს სომეხ-ქართველთა შორის არასოდეს დაღვრილა სისხლი, რომ მათ ერთმანეთში არასოდეს ჰქონიათ ომი. ივ. ჯავახიშვილმა განმარტა, რომ ისტორიაში ცნობილია ამ ორი ქვეყნის სულ ცოტა სამი ბრძოლა „*სწორედ იმ ადგილებისათვის, რისთვისაც დღეს არის ომი. ყოველთვის საქართველოს და სომხეთის აღორძინება, მოღონიერება რომ დაწყებულა - მაშინვე დაწყებულა დავა ამ ადგილებისათვის*“ [გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ., 25 დეკემბერი].

აღინიშნა, რომ გარეშე მტერთაგან შევიწროებული სომხები ყოველთვის მოიწევდნენ ჩრდილოეთისაკენ. „*როდესაც სომხეთი მარცხდებოდა, მისი მცხოვრებნი შემოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში და უმთავრესად, რასაკვირველია, სახლდებოდნენ მოსაზღვრე ადგილებში. მაგრამ ისინი შემოდიოდნენ სახელმწიფოში, რომელსაც ემორჩილებოდნენ და რომლის სტუმართმოყვარეობით სარგებლობდნენ. დაახლოებით მეათე საუკუნის დამლევიდან ეს კუთხეები საბოლოოდ საქართველოს მიეკუთვნა. მხოლოდ ერთი მომენტი იყო, როცა სომხეთს ეჭირა იგი და მას შემდეგ არც ერთხელ არ მოშორებია საქართველოს. იგი იყო მოწინავე პოზიცია, რომელსაც მტერი ეკვეთებოდა და ამიტომ ჩვენი წინაპარნი ძალიან დიდ მნიშვნელობას აწერდნენ მას*“.

ივ. ჯავახიშვილმა საზღვრების გამიჯვნის საქმეში სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია ეთნოგრაფიული პრინციპი, რომელსაც სომეხი პოლიტიკოსები იშველიებდნენ და განაცხადა: „*სომხების პრინციპი რომ მივიღოთ, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ბელგიელებმა, რომელნიც ამ ომის გამო საფრანგეთში გადასახლდნენ, გამოაცხადონ - საფრანგეთი ჩვენიაო*“. სომხები ამ მიწა-წყლის მკვიდრნი არ ყოფილან, ისინი ჩამოსახლდნენ ჩვენ ტერიტორიაზე, იმ ადგილებში, რომელიც ქართველმა მაჰმადიანებმა დასტოვეს, ან სადაც ხალხი მტრისაგან განადგურდა. ისინი შემოვიდნენ საქართველოში და არა რომელიმე კერძო ადგილზე“.

ისტორიკოსმა შეახსენა მსმენელებს, რომ „*ბორჩალოს ეხლანდელი მაზრა იწოდებოდა „მოწინავე დროშად“, რადგან შემოსეულ მტერს პირველად იგი უნდა დახვედროდა. ხოლო ჯავახეთი იწოდებოდა „წინამბრძოლთა დროშად“. ლორის ციხე ითვლებოდა საქართველოს სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის ბინად*“.

მეცნიერის სიტყვით, „*სომხები ამტკიცებენ, რომ ჯავახეთი და ბორჩალო უდავო მათი კუთვნილებაა. ეს არ არის მართალი. ...პირიქით. მაშინაც კი, როცა სომხეთი არსებობდა, - ეს ტერიტორია არასოდეს ყოფილა უდავო. ხოლო როდესაც XI საუკუნეში სომხეთი მოისპო, ეს ადგილები სადაო არასოდეს ყოფილა - იგი საქართველოს ეკუთვნოდა და თუ მტერი იპყრობდა, იპყრობდა როგორც ჩვენს ტერიტორიას. გეოგრაფიულადაც ეს მხარეები საქართველოს ეკვრის. ყველა გზები ჩვენსკენ მოდის, მდინარეებიც აქით მოისწრაფიან და მტკვარს ერთვიან. ვაჭრობაც ყოველთვის აქეთკენ ვითარდებოდა, საქართველოსთან და მაშინაც კი, როდესაც იგი მტრისაგან დაპყრობილი იყო - აღებ-მიცემობას ყოველთვის საქართველოსთან აწარმოებდა*“.

მეცნიერ-ისტორიკოსი დასძენდა, რომ „*ჯავახეთი და ბორჩალო კარია საქართველოსი და მისი დაკარგვა სახელმწიფოს კარების გაღებას უდრის*“, ამიტომ ქართველი ხალხი ვალდებულია მტკიცედ დაიცვას თავისი მიწა-წყალი. „*იმედია ქართველი ერი ხიშტების ჯაგრად შემოერტყმება სამშობლოს მიწა-წყალს, როგორც ის მთები, რომელნიც სხვადასხვა მხრიდან ჰსაზღვრავენ ჩვენს ქვეყანას* [გაზეთი „კლდე“, 1918 წ., 25 დეკემბერი].

2. 1919 წლის აპრილში ოსმალეთიდან დაბრუნებული ივანე ჯავახიშვილი კითხულობს კიდევ ერთ საჯარო ლექციას, რომელიც მიმდინარე პოლიტიკურ მომენტს შეეხება. ლექციას სუდენტებისა და პროფესურის გარდა გარეშე ხალხიც მრავლად დაესწრო. „უადგილობის გამო ბევრიც უკან გაბრუნებულა". ლექცია შეიცავს საქართველოს ირგვლივ არსებული სიტუაციის მიმოხილვას, ასევე 1919 წლის გაზაფხულისათვის შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობის ანალიზს და გამოხატავს მეცნიერის მყარ რწმენას, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ახლო მომავალში საგარეო საფრთხე არ ემუქრება.

ცნობილი მეცნიერის საჯარო ლექციას მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი არ ჰქონია, ის საქართველოს იმდროინდელი რეალობის ერთგვარი ექსპერტული ანალიზიც იყო. ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ ლექციის ვრცელ ანგარიშს გაზეთმა „საქართველომ" ადგილი თავის სამ ნომერში დაუთმო [გაზეთი „საქართველო", 1919 წ., 4, 7, 8 მაისი]. გაზეთის შეფასებით, *„მოხსენება მეტად საინტერესო იყო და პატივცემულ მომხსენებელს სტუდენტობამ მხურვალე მადლობა გადაუხადა"*.

ლექციაში გამოიკვეთა რამდენიმე აქტუალური პრობლემა, რომელთა შესახებაც თავისი დამოკიდებულება ივ. ჯავახიშვილმა მკაფიოდ და ნათლად გამოხატა. მისი სიტყვით, *„ჩვენი სამშობლოსათვის საზრუნავია, რომ მან განიმტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა, დაემყაროს მხოლოდ თავის ძალებს და დარჩეს კვალად ნეიტრალური"*.

ნეიტრალიტეტის საკითხი საქართველოსათვის არ არის მხოლოდ სადღეისო გამოწვევა, იგი მწვავედ იდგა პირველი რესპუბლიკის მესვეურთა წინაშეც.

როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა, პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ დასრულებული არ ყოფილა. ახლად შექმნილი რესპუბლიკის ხელისუფლება მოვალე იყო განესაზღვრა ქვეყნის დამოკიდებულება ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი. ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებლ პირველსავე დოკუმენტში - „დამოუკიდებლობის აქტში" აღნიშნა, რომ საქართველო საერთაშორისო ომიანობაში მუდმივ ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა. ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, როგორიც სამხრეთ კავკასია იყო, ნეიტრალიტეტი ნაკლებად რეალური ჩანდა, მაგრამ მკაფიოდ ცხადყოფდა ქართული სახელმწიფოს სამშვიდობო მისწრაფებას.

პროფესორი ივანე ჯავახიშვილიც ამართლებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადების იდეას, მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეები ნეიტრალობას საეჭვოდ მიიჩნევდნენ. მისი სიტყვით: *„საქართველომ დამოუკიდებლობის დღიდან გამოაცხადა ნეიტრალობა: საქართველომ სწორე გეზი აიღო. ომის ბედი ცვალებადია და ამ მსოფლიო ომში საქართველო არც ერთ მხარეზედ არ გადაიხარა." საქართველომ უნდა განიმტკიცოს სუვერენობა, დარჩეს კვლავ ნეიტრალური „ამ მსოფლიო ომში და სახელმწიფოთ ფეხის ხმას არ აჰყვეს"* [გაზეთი „საქართველო", 1919 წ., 8 მაისი. გვ. 3-4].

მკვლევარი მ. მაცაბერიძე, რომელმაც მეცნიერის ხსენებული ლექცია წინასიტყვაობითა და კომენტარებით ცალკე ბროშურად გამოსცა, სავსებით სწორად შენიშნავს: საქართველოს სინამდვილეში ნეიტრალობა „ეს იყო ლავირება დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის, რომლებიც მოცემულ მომენტში კავკასიის რეგიონში მოქმედებდნენ და ამის მეშვეობით ეროვნული ინტერესების დაცვა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება" [ჯავახიშვილი, 2009. გვ. 18].

ივანე ჯავახიშვილს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა პირველი მსოფლიო ომის წლებში ევროპაში ჩამოყალიბებული საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის არერთ წევრთან, მაგრამ დაბეჯითებით ძნელია თქმა, იცნობდა თუ არა მეცნიერი კომიტეტის მესვეურთა მოსაზრებას საქართველოს ნეიტრალიტეტის საკითხზე. არადა, როგორც ახლა ირკვევა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხსენებულ კომიტეტს ზუსტად ისეთივე თვალსაზრისი აქვს გამოხატული ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის 1915 წელს წარდგენილ მემორანდუმში, როგორიც გამოთქვა ივანე ჯავახიშვილმა თავის ზემოაღნიშნულ საჯარო ლექციაში.

კომიტეტის მემორანდუმში ხაზგასმულია: *„თუკი საქართველო, როგორც მას ამის სურვილი აქვს, შეიძენს ნეიტრალური ქვეყნის სტატუსს, ამით ის სრულებითაც არ გახდება შემაწუხებელ საგნად მეზობელი ქვეყნებისათვის. პირიქით, ის შეიქნება უფრო დიდ მშვიდობის ფაქტორად, როგორც საკუთარი საერთაშორისო-სამართლებლივი მდგომარეობით, ისე ტერიტორიის დაურღვევლობის მეშვეობით. ...მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი მით უფრო მიღწევადია, რომ ის სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან, რადგან ის ერთმანეთს დააცილებს ორ დიდ სახელმწიფოს იმ ადგილებში, სადაც*

მათი კონტაქტი უეჭველად წარმოშობს საერთაშორისო კონფლიქტებს და, ამავე დროს, შეუნარჩუნებს პირდაპირ კონტაქტს სხვა სფეროებში. საქართველო წარმოადგენს მშვიდობის ფაქტორს და გარანტიას, როგორც მისი გეოგრაფიული მდგომარეობით, ისე საკუთარი მოსახლეობის რიცხვით, ვინაიდან, არის რა მოშორებული ხმელთაშუა ზღვის აუზს, არ შეუძლია ჰქონდეს ექსპანსიონისტური გეგმები, ...ან საკუთარი ენერგიის კონცენტრაცია მოახდინოს ოცნებებზე და ტენდენციებზე, რომლებიც აღემატება მის როლს. პირიქით, საქართველოს, როგორც ამას ისეთი თანაბარი მნიშვნელობის ქვეყნების მაგალითი ადასტურებს, როგორც დანია და ნორვეგია არის, ძალუძს მხოლოდ მშვიდობის ფაქტორი იყოს, რადგან მისი მიზანი ვერ იქნება სხვა რამ, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოს სხვა სახელმწიფოთა კოლექტივში საკუთარი ეროვნული ინდივიდუალურობა“ [საქართველოს სეპარატისტთა..., 2016. გვ. 186-192].

თავის ლექციაში ივანე ჯავახიშვილი შეეხო ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც, რომლის ირგვლივ იმ ხანად აზრთა მძაფრი სხვადასხვაობა იყო, განსაკუთრებით ხელისუფლების მომხრე და ოპოზიციურ ძალებს შორის. კერძოდ, უნდა აღედგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის მაისამდე თუ არა.

ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა: „*რუსეთს ყველაზე გვიან საქართველო ჩამოშორდა. ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა, საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა და ამისათვის საქართველო თანდათანობით სცილდებოდა რუსეთს. ჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკა, შემდეგ უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს თანდათანობა არ იყო განზრახ მოგონილი, როგორც სწამებენ ჩვენ მმართველ პარტიას სომხები და რუსები. მაგრამ ეს თანდათანობა ძლიერ კეთილი იყო საქართველოსათვის. საქართველო რომ უეცრად ჩამოსცლოდა რუსეთს, მას გაანადგურებდა ან რუსის ან სომხის მოგოლშევიკე ჯარი. ერთი სიტყვით, პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადაიდგა თავის დროზედ. და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია*“ [გაზეთი „საქართველო“, 1919 წ., 7 მაისი. გვ. 2].

ამ აზრს ივანე ჯავახიშვილი გამოხატავდა როგორც სწავლული ისტორიკოსი და როგორც ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანების - უპარტიოთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ცნობილია, რომ ქართული ოპოზიციური სპექტრის ნაწილი სოციალ-დემოკრატებს მუდმივად აკრიტიკებდა იმისათვის, რომ მათ დააგვიანეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ივანე ჯავახიშვილი, პარტიულობაზე, წინ საქართველოს მოქალაქე და ჭეშმარიტი მეცნიერი იყო. ამიტომ მის შეფასებაში უპირველესად საკითხისადმი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიდგომა და მიუდგომელი ანალიტიკოსის შეხედულება იკითხება და არა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ოპოზიციონერის თვალსაზრისი.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს „მშვენიერი საზღვრების გამო“, თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა-შენარჩუნებისათვის დიდი ჯარის შენახვა არ დასჭირდება. „*საჭირო დროს საქართველო შემოჰკრებს თავის შეგნებულ შვილთ, რომელნიც სამშობლოს დაიცავენ. საჭიროა მხოლოდ, რომ ყოველ ქართველს ჰქონდეს სამხედრო ცოდნა*“.

ლექციის მთავარი დასკვნა, რომელიც არსებული სიტუაციისა და წარსულის ღრმა ანალიზს საფუძველზე იყო გამოტანილი, მეცნიერმა ასე გამოთქვა: ამჟამად „საქართველოსათვის იმისთანა პირობებია, რომ მის დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის“. „*საქართველოსათვის საჭირო არ არის ვისიმე პროტექტორატი. ...სხვისი მფარველობა ...ჩვენ მოგვადუნებს. საქართველოს მხოლოდ და მხოლოს თავისი იმედი უნდა ჰქონდეს*“. ოღონდ, როგორც სწავლული ისტორიკოსი დასძენდა: საჭიროა თავი ვანებოთ „პოლიტიკის გულუბრყვილობას“[1] და, ასევე, „საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შეეჩვიოს იმ აზრს, რომ საქართველო მუდამ ემყარებოდეს თავის თავს“ [გაზეთი „საქართველო“, 1919 წ., 8 მაისი]. მართლაც, რომ ყოველ დროსა და ეპოქაში ანგარიშგასაწევი და გასათვალისწინებელი თვალსაზრისია.

3. პერიოდულ პრესაში საგულისხმო რეზონანსი მოჰყვა ივანე ჯავახიშვილის 1919 წლის 3 აგვისტოს სახელმწიფო თეატრში წაკითხულ კიდევ ერთ საჯარო ლექციას საქართველოს საზღვრების შესახებ. ლექცია არსებითად მეცნიერის ზემოთ განხილულ ნაშრომს დაეფუძნა და მასზე მსჯელობას აქ აღარ შევუდგები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამ ლექციის გამო დაიბეჭდა, როგორც დადებითი, ისე კრიტიკული გამოხმაურებები.

კრიტიკული იყო სომხური საზოგადოებრივი აზრის გამომხატველ გაზეთში „Кавказское слово“-ში М.-ის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი. ავტორი იწუნებდა საზღვრების

[1] ამ ცნებაში მეცნიერი გარეშე ძალების ილუზორულ მოიმედობას გულისხმობდა.

გავლების საკითხში ივ. ჯავახიშვილის ისტორიულ და სტრატეგიულ კონცეფციას, არ მოსწონდა ლექციის არც ემოციური და არც აკადემიური სტილი, მაგრამ თავისი შეხედულების გასამყარებლად არგუმენტებს ვერ იშველიებდა. კრიტიკოსის არაობიექტურებას აშკარად წარმოაჩენდა მისი უსაფუძვლო მტკიცება, თითქოს „ერეკლეს საქართველო შეუერთდა რუსეთს ასეთი შემადგენლობით: ქართლი, კახეთი და სომხეთი, თავისი სატახტო ქალაქით ტფილისით“ [Газета „Кавказское слово“, 1919 г. 12 августа].

М.-ის აზრით, ივ. ჯავახიშვილი ძირითადად ქართველოლოგიის სპეციალისტია, იგი არ ითვალისწინებს აკადემიკოს ნ. მარის შეხედულებას მეცნიერების უნივერსალობისა და კოსმოპოლიტურობის, ასევე, არმენოლოგიისა და ქართველოლოგიის ამოცანათა ერთიანობის შესახებ, რის გამოც მისი ცოდნა და დასკვნები ცალმხრივია და შეზღუდული. იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპის მეცნიერებათა წარმომადგენლები ხალხთა შერიგებისა და ძმობის საქმეს ემსახურებიან, იგი ხსნის ღუზას ქართველებისათვის მათ განკერძოებულობაში ხედავს [Газета „Кавказское слово“, 1919 г. 12 августа].

ივანე ჯავახიშვილს ამ პუბლიკაციისათვის არ უპასუხნია, ასეთი დონის ოპონენტს მეცნიერმა თავი არ გაუყადრა. სამაგიეროდ, გაისარჯა ვახტანგ კოტეტიშვილი, რომელმაც გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაბეჭდა სტატია სათაურით „საზღვრების გამო.“ ვ. კოტეტიშვილმა „კავკაზსკოე სლოვოს“ ჟურნალისტი საქართველოს ისტორიის გაყალბებაში ამხილა და ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს საზღვრების მიმოხილვისას მან „დიდი უცოდინარობა“ გამოამჟღავნა. ამასთან, М.-მა ივანე ჯავახიშვილს უსაფუძვლოდ დასწმა „გრძნობათა ამყოლობა და სიმსუბუქე.“ ქართველი პუბლიცისტის სიტყვით, კრიტიკოსი ასე იმიტომ მოიქცა, რომ მისთვის ჯავახიშვილის თეზისები არასასიამოვნოა და ამავე მიზეზით მიუღებელიც. ვ. კოტეტიშვილი ურჩევდა М.-ს, „გონიერად და პატივისცემით მოეპყარით იმ ერს, რომლის მეზობლობაც ისტორიამ გარგუნათ. თქვენს ინტერესთა გარეშე ჩვენი ინტერესიც დაინახეთ. ...მეტი გონიერება, თორემ საერთო საქმეს ხომ წაახდენთ, მაგრამ, ამაზე უწინ წაახდენთ თქვენ საკუთარ საქმეს“ [გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ., 15 აგვისტო].

ივანე ჯავასიშვილის ლექციის მიმართ თავის გამოხმაურებაში მოწონება და დადებითი დამოკიდებულება გამოხატა სამსონ ფირცხალავამ. მან გაიზიარა ქართველი მეცნიერის აზრი სახელმწიფოს სტაბილურობის საქმეში მეზობლებთან საზღვრების მკაფიოდ გამიჯვნის მნიშვნელობის შესახებ და, ივ. ჯავახიშვილის მსგავსად, ამ საკითხის გადაწყვეტაში ხაზი გაუსვა გონივრული კომპრომისის აუცილებლობას [გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ., 7 აგვისტო].

ივანე ჯავახიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე წამოჭრილ მწვავე პრობლემებს და მათ შესახებ პირუთვნელად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას. საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითიც გამოდგება. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველოს დიდ გამოწვევად ექცა ზაქათალის ოლქზე იურისდიქციის გავრცელება, რაშიც მეზობელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა ეცილებოდა. საკითხი უფრო აქტუალური გახდა 1920 წლის გაზაფხულისათვის, როდესაც მოსკოვში მიმდინარეობდა სამშვიდობო მოლაპარაკება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ცნობილია, რომ 7 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად ცნობდა ზაქათალის ოლქსაც. მაგრამ, იმავე ხელშეკრულების 12 მაისის დამატებით შეთანხმებაში, რომელიც უკვე გასაბჭოებული აზერბაიჯანის ხელისუფლების მოთხოვნით გაფორმდა, ჩაიწერა, რომ ზაქათალის ოლქის კუთვნილების საკითხი არბიტრაჟის გზით უნდა გადაეწყვიტა ქართულ-აზერბაიჯანულ შერეულ კომისიას საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. სწორედ 12 მაისითაა დათარიღებული პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მცირე განმარტება „განაცხადი ზაქათალის ოლქის უფლებებზე“, რომელიც მეცნიერმა, სავარაუდოდ, საქართველოს მთავრობას მიაწოდა [სართანია, გვიმრაძე, 2017. გვ. 14]. ი. ჯავახიშვილი კომპეტენტურ და არგუმენტირებულ აზრს გამოთქვამდა თუ რატომ გააჩნდა ჩვენს ქვეყანას უცილობელი უფლება თავის ამ ერთ-ერთ ძირძველ კუთხეზე. ეს არგუმენტები ასე გამოიყურება: 1. „ეს კუთხე უძველეს დროითგან ქართველ ერის მკვიდრ მიწა წყალს შეადგენდა და ჰერეთის სახელით ცნობილ ქართულ კულტურისა და ხელოვნების ასპარეზად ითვლებოდა“; 2. „მე-XVII-ე ს-ის პირველ მეოთხედამდე ის მუდამ ქართველთა უდავო სამფლობელოსა და საკუთრებას შეადგენდა“. იქვე მითითებულია სათანადო წყაროებიც, კერძოდ: „*1743 წ. მოსკოვში დახატული მაშინდელ საქართველოს რუსული რუკა და რუსეთის ელჩის ბურნაშევის მიერ 1784 წ. შედგენილ საქართველოს რუკა“. სწავლული ისტორიკოსის დასკვნით, 1783 წელს „საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროსაც ზაქათალის ოლქი საქართველოს უცილობელ კუთვნილებად ითვლებოდა“.*

თავისუფალ საქართველოში, როგორც დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აქტუალური იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების გარკვევა. ამ საკითხმა ხელისუფლებისა და სასულიერო წოდების გარდა, პოლიტიკური სპექტრის, ფართო საზოგადოების ინტერესი, გამოხმაურება და ჩართულობა გამოიწვია.

ცხადია, ივანე ჯავახიშვილი, როგორც მეცნიერი ისტორიკოსი და აქტიური მოქალაქე, ვერ დარჩებოდა და არც დარჩენილა გულგრილი იმ პერიპეტიების მიმართ ხსენებული პრობლემის ირგვლივ რომ წარმოიშვა.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ „*რწმენა და ამა თუ იმ სარწმუნოების აღსარება ან უარყოფა და ურწმუნოება... ყოველი ადამიანის პირადი შეგნებისა და გრძნობის საქმეა*“, რომ ეკლესია და სახელმწიფო, საქართველოს ისტორიული ტრადიციის მიუხედავად, ახალ რეალობაში შეიძლებოდა ერთმანეთს გამიჯვნოდნენ და დამკვიდრებულიყო სეკულარიზმის პრინციპი: სახელმწიფო აღარ ჩაერეოდა ეკლესიის ცხოვრებაში, ხოლო ეკლესია - სახელმწიფო პოლიტიკაში. ამასთან, წუხდა, რომ „ჩვენში ბევრნი სარწმუნოებას ალმაცერად უყურებენ“ და აუცილებლობად ესახებოდა „სარწმუნოებათა ისტორიულ-მეცნიერული შესწავლა.“ წერდა: „*რაკი ჰუმანურ მეცნიერებათა მიზანი ადამიანის სულიერი შემოქმედების ყოველმხრივ გამოხატულობის შესწავლაა, ამიტომ თეორიული მეცნიერებაც მოვალეა სარწმუნოებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა თავს იდვას*“-ო.

უნივერსიტეტის დაფუძნებისთანავე მეცნიერი იმ აზრისა იყო, რომ თუ ცალკე ფაკულტეტი ვერ გაიხსნებოდა, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე მაინც საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ლექციებიც უნდა შემოეღოთ. აცხადებდა: უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ამ საგნებს მკვლევარი არ ჰყავს სრულ უმაღლეს სასწავლებლად ვერ ჩაითვლება [სართანია, 2017. გვ. 120-121; საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 471, აღწერა 1, საქმე № 7 , ფურცლები 56-57].

1918 წელს ივანე ჯავახიშვილმა, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანმა, შეადგინა კათედრის სამოქმედო გეგმა. ეს არ იყო განსახილველ ან განსახორციელებელ საკითხთა მხოლოდ მშრალი ჩამონათვალი. გეგმა განსაზღვრავდა ფაკულტეტის მიზნებსა და ამოცანებს როგორც უნივერსიტეტის განვითარების, ისე ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. ღვთისმეტყველების ფაკულტეტის დაარსებასთან დაკავშირებით, აღნიშნული იყო: „*ქართულ მომავალ უნივერსიტეტშიაც უნდა იყოს ან ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი ან სიბრძნისმეტყველების ან კიდევ ფილოსოფიურ ფაკულტეტთან სალექციო გეგმა და წასაკითხი საგნების სია უნდა იყოს წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული. თუნდაც რომ ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი შეიქმნას, მას პრაქტიკული ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს, იქ მღვდელმსახურებისათვის კი არ უნდა ამზადებდნენ, არამედ მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით უნდა ხელმძღვანელობდეს... და მის ერთადერთ მიზანს საქრისტიანო დოღმატიკის, მწერლობისა, მთარგმნელობისა, საეკლესიო სამართლისა და ზნე-ჩვეულებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა უნდა იყოს*“ [ლილუაშვილი, 2006. გვ. 88; საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 471, აღწერა 1, საქმე № 7, ფურცლები 54-55].

ივანე ჯავახიშვილს შედგენილი ჰქონდა ლექციების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა წაკითხულიყო თბილისის უნივერსიტეტში: საეკლესიო ისტორია, ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო მწერლობის ისტორია, ქართული ძველი სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორია, საეკლესიო სამართალი. ლექტორებად შერჩეულნი იყვნენ ღვთისმეტყველების მაგისტრი, პროფესორი კორნელი კეკელიძესა და პროფესორი იოსებ ყიფშიძე [გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წლის 3 ივნისი; საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 471, აღწერა 1, საქმე № 10, ფურცლები 63-65].

საგულისხმოა, რომ 1920 წლის თებერვალში უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა „სარწმუნოებრივ მეცნიერებათა განყოფილება“ და დასახელებულ საგნებს დაემატა „რელიგიის ფილოსოფიის კურსი“ [ლილუაშვილი, 2006. გვ. 91; საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 471, აღწერა 6, საქმე № 1, ფურცელი 50]. თითქოს სრულდებოდა უნივერსიტეტის დაფუძნების დღეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის მიერ გაცხადებული სურვილი, რომ „*ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გაიხსნას ყველა განზრახული ფაკულტეტი და მიჰმატებოდეს მას საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი*“ [გაზეთი „სახალხო საქმე, 1918 წ., 28 იანვარი]. მაგრამ 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებულმა ბოლშევიკურმა ოკუპაციამ და საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა.

1918-1921 წლების ქართული სინამდვილე ერთი დიდი პოლიტიკური პროცესი იყო, რომელიც მრავალპარტიულობით, პლურალისტური აზრით, თავისუფალი სიტყვითა და სხვა არაერთი დემოკრატიული მახასიათებლით გამოირჩეოდა. მთელი ამ პროცესის ტონის მიმცემი და მამოძრავებელი ძალა ძირითადად 4 პოლიტიკური პარტია იყო, კერძოდ: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები. ივანე ჯავახიშვილი არც ერთი ამ პარტიის წევრი არ ყოფილა. იგი, როგორც ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებელი, მსოფლმხედველობრივად ეროვნული და დემოკრატიული იდეოლოგიის მიმდევარი იყო[1], თუმცა პარტიული ორგანიზაციის წევრი არასოდეს გამხდარა და სიცოცხლის ბოლომდე უპარტიო ერისკაცად დარჩა.

პარტიის გარეშე ყოფნა ივანე ჯავახიშვილისათვის არ ნიშნავდა პოლიტიკური მოვლენების მიღმა ყოფნას და არსებულ რეალობასთან უსიტყვო შეგუებას, მით უფრო, რომ სახელმწიფოს სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატების შეხედულებებსა და საქმიანობაში მას ბევრი რამ არ მოსწონდა. ამით უნდა იყოს განპირობებული ის გარემოება, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან სულ რაღაც თვენახევრის შემდგომ იგი ახალი პოლიტიკური გართიანების შექმნაში მონაწილეობს. 1918 წლის ივლისში ივანე ჯავახიშვილი რამდენიმე თანამოაზრე ქართველ მოღვაწესთან ერთად აყალიბებს ორგანიზაციას, რომელიც ჩენს ისტორიაში „უპარტიოთა კავშირის“ სახელითაა ცნობილი. საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ახალი ალტერნატიული ძალის დაარსების ფაქტი არც ერთი პარტიის პერიოდულმა პრესამ არ გააშუქა. მხოლოდ ოფიციოზმა, გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაბეჭდა მოკლე ინფორმაცია. მასში ვკითხულობთ:

„დაარსდა პარტიათა გარეშე მოფი ქართველების დამოუკიდებელი პოლიტიკური კავშირი. კავშირი მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვას და მისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. კავშირს არა აქვს პარტიული პროგრამა. იმას აქვს შემუშავებული მხოლოდ პოლიტიკური პლატფორმა. მისი უმთავრესი მუხლებია: საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი არსებობის დაცვა და განმტკიცება. საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განვითარება დემოკრატიულ ნიადაგზე, შემოქმედებითი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა. დასახელებული მიზნების განსახორციელებლად კავშირი აწყობს კრებებს, რეფერატებს სხვადასხვა საჭირბოროტო სახელმწიფოებრივ საკითხებზე;

კავშირის საქმეებს განაგებს საბჭო 12 კაცისაგან შემდგარი, სახელდობრ: პროფ. ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, დუტუ მეგრელი, ივანე აფხაზი, კონსტანტინე ამირეჯიბი, ესტატე მაჩაბელი, გიორგი ჯაფარიძე, ირაკლი გუნცაძე (თავმჯდომარე), გრიგოლ გაბაშვილი, კონსტანტინე მაყაშვილი, დავით კარიჭაშვილი“ [გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 1 აგვისტო. გვ. 4].

უპარტიოთა კავშირი არ ყოფილა წმინდა პოლიტიკური პარტია თავისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესდებითა და პროგრამული დოგმებით. ის უფრო „შემოქმედებითი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის“ მოწოდებული გაერთიანება იყო. თუმცა მას უარი არ უთქვამს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილეობაზე, რომელიც 1919 წლის თებერვალში გაიმართა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში უპარტიოთა კავშირის საარჩევნო სიას მე-11 ნომერი ჰქონდა მიკუთვნებული. სიაში სულ 10 კაცი იყო დასახელებული (1. ზურაბ ავალიშვილი, 2. ივანე ჯავახიშვილი, 3. კონსტანტინე აფხაზი, 4. კონსტანტინე მაყაშვილი და სხვ.) აღსანიშნავია, რომ ამ 10 კაციდან 7 თავდაპირველად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა სიაში იყო შეყვანილი. მათ შორის ივანე ჯავახიშვილი დასახელებული იყო მე-18 ნომრად [ჯანელიძე, 2002. გვ. 330].

უპარტიოთა კავშირის სიას ხმა მხოლოდ რვაასამდე ამომრჩეველმა მისცა. მათ შორის დედაქალაქში 478 ხმა აღირიცხა [საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი № 1834, აღწერა 2, საქმე № 67; პირველი საყოველთაო..., 2017. გვ. 89], მაშინ, როდესაც მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1800-ზე მეტი სტუდენტი სწავლობდა[1]. ამ შედეგით, ცხადია, უპარტიოთა კავშირი სადეპუტატო მანდატს ვერ მოიპოვებდა და იგი დამფუძნებელი კრების მიღმა დარჩა. არადა, როგორ დაამშვენებდა და გამოადგებოდა „ერის ცნობიერების გვირგვინად“ მიჩნეულ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს სწავლული პროფესორის ცოდნა და გამოცდილება. აქ ხომ საფუძველი ეყრებოდა ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობას, მის დემოკრატიულ განვითარებას.

---

[1] მარტო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომლის დეკანიც ივ. ჯავახიშვილი იყო, სტუდენტთა რაოდენობა იმ წელს 500-ს აღწევდა [სონღულაშვილი, 2000. გვ. 84].

ამიტომ ყოველ გონივრულ აზრს, წინადადებას, შენიშვნასა თუ შესწორებას ფასი ედო. პოლიტიკური დებატების გარდა, დამფუძნებელ კრებაში ფართო დისკუსიის, განსხვავებულ მოსაზრება-შეხედულებათა ურთიერთჰიდილში იბადებოდა ყოველი კანონი, დეკრეტი თუ აქტი, მუშავდებოდა პირველი ქართული კონსტიტუცია.

როგორ უნდა აიხსნას ფაქტი, რომ ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლეს, მეცნიერ-ისტორიკოსს, პროფესორ ივანე ჯავახიშვილს არჩევნებში მხარი არ დაუჭირა ამ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა დიდმა ნაწილმა?

ქართველი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დიფერენციაცია ჯერ კიდევ მათი მოწაფეობის ბოლო წლებში იწყებოდა. ამდენად, უნივერსიტეტის თუნდაც პირველკურსელი სტუდენტობის უმეტესობა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წევრად ან მიმდევრად უნდა ვიგულვოთ. პარტიული დისციპლინა მათ თავიანთი საკანდიდატო სიებისათვის ხმის მიცემას დაავალდებულებდა, ყოველ ამომრჩეველს კი მხოლოდ ერთი ხმა ჰქონდა.

მაშინდელი პერიოდული პრესის თანახმად, სტუდენტობა ფართოდ იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესში. ერთ-ერთი გაზეთის ინფორმაციით, გამოცხადდა თუ არა დამფუძნებელი კრების არჩევნები, *„ყველა მიმართულების სტუდენტობა მოეფინა სოფელ-ქალაქებს და ჩაებნენ არჩევნების ოროომ-ტრიალში“*. იმავე წყაროს ცნობით, 1919 წლის მარტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სერთო კრებამ აირჩია 25 წევრისაგან შემდგარი ახალი გამგეობა. არჩეულთაგან 13 ფედერალისტი, 5 სოციალ-დემოკრატი და 7 ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იყო [გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ., 14 მარტი]. ჩანს, პოლიტიკურად აქტიურ სტუდენტობას შორის უპირატესობა სოციალისტურ მიმდინარეობას უნდა ჰქონოდა, რომელიც ივანე ჯავახიშვილს, როგორც მემარჯვენე ორიენტაციის უპარტიოთა კავშირის წევრს, მხარს არ დაუჭერდა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ივანე ჯავახიშვილი სამშობლოში არ იმყოფებოდა. მას, როგორც პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილ საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრს, 1919 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან აპრილის დამდეგამდე საზღვარგარეთ, კერძოდ კონსტანტინოპოლში ვხედავთ (იხ. ზემოთ). ამდენად, მეცნიერი მონაწილეობას ვერ მიიღებდა წინასაარჩევნო კამპანიაში, საზოგადოების სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებთან უშუალო შეხვედრა-საუბრებში, რაც საარჩევნო პროცესის ორგანული ნაწილი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მარტო ელექტორატის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, არამედ მხარდამჭერთა მოსაზიდადაც. დამფუძნებელი კრების არჩევნების თანადროულ პერიოდულ პრესაში არ შემონახულა ცნობები, საერთოდ ჩაატარა თუ არა უპარტიოთა კავშირმა წინასაარჩევნო კამპანია. უამისოდ კი ახლად ჩამოყალიბებული მცირერიცხოვანი პოლიტიკური გაერთიანება, თუნდაც ისეთი პიროვნებებისაგან შემდგარი, როგორიც უპარტიოთა კავშირის წევრები იყვნენ, წარმატებას ვერ მიაღწევდა.

როგორც უკვე ითქვა, უპარტიოთა კავშირი მსოფლმხედველობრივად ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ენათესავებოდა. პრინციპული ხასიათის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე ამ ორგანიზაციების შეხედულებანი, ბევრწილად, ერთმანეთს ემთხვეოდა, რაც მათი გაერთიანებისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა. 1920 წლიდან დაიწყო არასოციალისტური ეროვნულ-პოლიტიკური ძალების ურთიერთდაახლოებისა და ერთმანეთთან შერწყმის პროცესი. ედპ-ს მთავარი კომიტეტი და უპარტიოთა კავშირის საბჭო ურთიერთთანამშრომლობდნენ და პერიოდულად ერთობლივ სხდომებსაც მართავდნენ. აღსანიშნავია, რომ უპარტიოთა კავშირი საქართველოს დამფუძნებელი კრების მეორე დამატებით არჩევნებში (1920 წლის მაისი) ედპ-სა და ეროვნულ პარტიასთან ბლოკში გამოვიდა.

1921 წლის 23-27 იანვარს თბილისში გაიმართა არასოციალისტურ პარტიათა გამაერთიანებელი კონფერენცია. კონფერენციის გადაწყვეტილებით, ეროვნულ-დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა პოლიტიკური კავშირი ერთ ორგანიზაციად გაერთიანდნენ, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული პარტია ეწოდა. არ შემორჩა დოკუმენტური მასალა, მონაწილეობდა თუ არა პროფესორი ივანე ჯავახიშვილი ხსენებული კონფერენციის მუშაობაში, მაგრამ ფაქტია, რომ იგი გაერთიანებული პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში არ აურჩევიათ [გაზეთი „მიწა“, 1921 წ., 31 იანვარი].

მიუხედვად იმისა, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი ვერ გახდა, ივანე ჯავახიშვილს უარი არ უთქვამს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსთან თანამშრომლობაზე.

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ 1919 წლის ივნისში ივანე ჯავახიშვილი ზურაბ ავალიშვილთან ერთად სახელმწიფოს ძირითადი კანონის მოსამზადებლად კომისიაში

სამუშაოდ მიიწვია. ქართველი სწავლულების კონსულტაცია, მათი ღრმა ცოდნა და გამოცდილება კომისიას დიდად გამოადგა.

1920 წლის 5 ივნისს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პავლე საყვარელიძემ პროფესორ ივანე ჯავახიშვილს მადლობის წერილი გაუგზავნა, რომელშიც ვკითხულობთ: *„დიდად პატივცემულო ბატონო ივანე, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სახელით და პირადად ჩემგანაც მოგიძღვნით უგულითადეს მადლობას იმ მნიშვნელოვანი მონაწილეობისათვის, რომელიც მიიღეთ თქვენ სხვა მცოდნე პირებთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებაში. კომისია განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ეს დიადი საკანონმდებლო აქტი ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა - სრული და შედარებით უნაკლო იქნება“* [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე № 2216].

1920 წლის იანვარში ევროპის წამყვან სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე აღიარებასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით მილოცვას უგზავნის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს. ადრესში ხაზგასმულია: *„თსუ პროფესორთა საბჭო თავის პირველ სხდომაზე დამოუკიდებელი საქართველოს იურიდიულად აღიარების შემდეგ აღფრთოვანებით ულოცავს დამფუძნებელ კრებასა და მთელს ერს ბრწყინვალე გამარჯვებას.*

ამიერიდან ქართულ სამეცნიერო შემოქმედებას მტკიცე და შერყეველი საფუძველი ეყრება და პირველი უმაღლესი ეროვნული სასწავლებლის პროფესორთა საბჭო თავის სასიამოვნო მოვალეობად სთვლის, მთელი ძალღონე შესწიროს ქართული მეცნიერების განმტკიცების, ერის გონებრივი დაწინაურებისა და კულტურული აღორძინების საქმეს. ვაშა ქართველ ერს და მის წარმომადგენელს“ [ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე № 860, ფურცელი 1].

იმავე დღეს ივანე ჯავახიშვილმა მილოცვა მთავრობის თავმჯდომარის სახელზეც გაგზავნა. ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ მილოცვაში ვკითხულობთ. *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო თავის პირველ სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ცნობის შემდეგ მხურვალედ ულოცავს რესპუბლიკის მთავრობას ძვირფასისა და სანუკვარი საქმის ბრწყინვალედ დაგვირგვინებას და მზად არის გაორკეცებული ენერგიითა და დაუღალავი შრომით დარაჯად უდგეს საქართველოს გონებრივი ცხოვრების წინმსვლელობის საქმეს, გაუმარჯოს რესპუბლიკის მთავრობას, ქართველ ერს და მის კულტურულ მომავალს“* [ჯანელიძე, 1996, გვ. 26-27].

1921 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოს სხვადასხვა მხრიდან რუსეთის წითელი არმიის ნაწილები შემოესივნენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა რესპუბლიკის ხელისუფლებას მტკიცე სოლიდარობა გამოუცხადეს. მათ მზადყოფნა გამოთქვეს, ჩამდგარიყვნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. უნივერსიტეტს რექტორის პროფესორ ივანე ჯავახიშვილისა და საბჭოს მდივნის აკაკი შანიძის ხელმოწერით 16 თებერვალს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს გაეგზავნა მიმართვა, რომელშიც აღნიშნულია: *„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფს ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის“* [საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 471, აღწერა 1, საქმე № 110, ფურცელი 13].

მრავალმა სტუდენტმა წიგნები გვერდზე გადადო და იარაღით ხელში ფრონტისაკენ დაიძრა. ისინი ივანე ჯავახიშვილმა შემდეგი სიტყვებით გააცილა: *„მართალია, გვაკლია იარაღი, გვაკლია საომარი აღჭურვილობა, გვაკლია ბევრი სხვა რამეც, მაგრამ ჩვენ ბრძენ ხალხს უთქვამს: „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო“. ჩვენი ეროვნული კულტურის თეთრი ტაძარი გზას დაულოცავს ყველას, ვინც ბრძოლის ველისაკენ მიეშურება“* [მათ ხსოვნას ქვეყანა..., 1994].

მიუხედავად ქართველი ჯარისკაცების, გვარდიელების, იუნკერების, სტუდენტთა თუ სხვათა შემართებისა, 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დაცვა ვერ მოხერხდა, დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა, ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა და ბოლშევიკური რეჟიმი გაბატონდა. როგორც მთელი ქართველი ხალხის, ისე ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში ახალი, რთული და მრავალი განსაცდელით აღსავსე ეტაპი დაიწყო.

ლიტერატურა

1. გაზეთი „კლდე“, 1918 წ., 25 დეკემბერი.
2. გაზეთი „მიწა“, 1921 წ., 31 იანვარი.
3. გაზეთი „საქართველო“: 1918 წ., 23 იანვარი; 15 ივნისი; 1919 წ., 12 თებერვალი; 1919 წ., 4, 7, 8 მაისი.
4. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“: 1918 წ., 26 ივლისი; 1918 წ., 1 აგვისტო; 1919 წ., 24 მაისი; 1920 წ., 25 იანვარი; 1920 წ., 17 თებერვალი; 1920 წ., 15 ივლისი.
5. გაზეთი „სახალხო საქმე“: 1918 წ., 2 იანვარი; 1918 წ., 28 იანვარი; 1918 წ., 23 დეკემბერი; 1918 წ., 25 დეკემბერი; 1919 წ., 14 მარტი; 1919 წ., 15 აგვისტო; 1920 წლის 3 ივნისი.
6. გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე, ჩემი მოგონებების დასასრული, ჟურნალი „მხედარი“, 1991, № 3.
7. გვრიტიშვილი დ., ივანე ჯავახიშვილი (1876-1940). http://nateba.websail.net/biographies/86-javakhishvili
8. ივანე ჯავახიშვილი. 1919. 16 თებერვალი. http://biblioteka.litklubi.ge/print.php?id=3926
9. ლილუაშვილი ე. ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2006 (ხელნაწერის უფლებით).
10. მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს, თბ., 1994 (შემდგენელი გ. შეყილაძე), რ. მეტრეველის წინასიტყვაობა.
11. მენთეშაშვილი ა., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, „მაცნე“ (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1992, № 2.
12. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბ., 2017.
13. სართანია დ., ესკიზები ივანე ჯავახიშვილის პორტრეტისათვის, თბ., 2017.
14. სართანია დ., გვიმრაძე თ., ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში საკვლევი ჯერ კიდევ ბევრია, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2017 წ., 4 მაისი, № 5.
15. სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., კოხრეიძე ა., უჯმაჯურიძე ა., თოლორდავა რ., ჩხიკვიშვილი გ. ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, თბ., 2016.
16. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990.
17. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი № 1796, ანაწეღწერა 1, საქმე № 72; ფონდი № 1834, აღწერა 2, საქმე № 67; ფონდი № 1864, აღწერა 2, საქმე № 112; ფონდი № 1864, საქმე № 273; ფონდი № 1864, აღწერა 2, საქმე № 393.
18. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 471, აღწერა 1, საქმე № 7; ფონდი № 471, აღწერა 1, საქმე № 10; ფონდი № 471, აღწერა 1, საქმე № 24; ფონდი № 471, აღწერა 6, საქმე № 1; ფონდი № 471, აღწერა 1, საქმე № 110.
19. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ჰარვარდის ფონდის მიკროფირები, საქმე № 753.
20. საქართველოს სეპარატისტთა ეროვნული კომიტეტის მემორანდუმი, წარდგენილი ოტომანთა იმპერიის მთავრობისადმი 1915 წლის 15 ივნისს, გ. მამულიას პუბლიკაცია, ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, 2016, № 4 (7).
21. სონღულაშვილი ა., თბილისის უნივერსიტეტის როლი საქართველოს ნტელიგენციის ფორმირებაში (1918-1921 წწ.), საისტორიო ალმანახი „კლიო“, 2000, № 7.
22. ტაბატაძე თ., არტისტული კაფე ქიმერიონი და მისი მოხატულობა, ტფილისი, 1919 წელი, თბ., 2011.
23. ტაბლიაშვილი თ. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დოკუმენტური მასალები). ჟურნალი „საისტორიო მოამბე“, 1967, № 21-22.

24. ჟურნალი „განათლება“, 1920, № 2.
25. ციციშვილი გ., უცნობი ივანე ჯავახიშვილი, გაზეთი „სამშობლო ფორტე“, 1996 წ., № 17, ივლისი.
26. ჭუმბურიძე დ., განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000.
27. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე № 860.
28. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის ფონდი, საქმე № 2216.
29. ჯავახიშვილი ი. მოხსენება თანამედროვე მომენტზე (1919 წლის 27-28 აპრილი. საგაზეთო ანგარიში), თბ., 2009.
30. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919.
31. ჯანელიძე ო., ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1996.
32. ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.
33. ჯანელიძე ო., ოსთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჟურნალი „ეთნოპოლიტიკა“, 2007, №1.
34. ჯანელიძე ო. დროებითი ადმინისტრაციული ერთეული (ისტორია და თანამედროვეობა), წგ-ნში: ცხინვალის რეგიონი (2004-2007). სეპარატიზმისა და რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად, თბ., 2008.
35. Газета „Кавказское слово“, 1919 г. 12 августа.

Otar Janelidze

From the history of public and political activities of Ivane Javakhishvili In 1918-1921

Summary

Ivane Javakhishvili was actively involved in the building of Democratic Republic of Georgia, parallel to his activities in the field of research and education, the scientist was working effectively in public and political arena. He took part in development and design of the national flag and national coat of arms. Ivane Javakhishvili contributed to the creation of a French-language map of Democratic Republic of Georgia, as well as drafting of the 1921 Constitution, and so forth.

Georgianization of the school education and granting Georgian names to the settlements did not pass without his participation.

The role of Ivane Javakhishvili in the formation of a national educational system, which was successful in the newly created state, is great. The Ministry of Public Education invited Professor Ivane Javakhishvili as a head of Commission for development of programs for elementary school.

In 1919-1921 Ivane Javakhishvili parallel to being a professor of Tbilisi State University, was a professor of a military school and devoted his knowledge and experience to the education of Georgian cadets.

Georgian government involved professor Javakhishvili with a status of a „consultant“ in the official delegation to the conference in Paris, though the scientist was denied the visa, and with several members of the delegation, had to return back from Constantinople. For the needs of the delegation he prepared a work, „Borders of Georgia viewed historically and in terms of modern times“, which was published as a separate book.

Ivane Javakhishvili took part in the elections of the founding meeting from the list of a political organization „Union of nonpartisans“ but did not gain a mandate. Despite of this fact, he did not step aside from the process of the state restructuration of the democratic republic of Georgia - in parallel with his scientific and educational work, he effectively acted on the public and political arena.

საქართველო „მჭიდროდ შემოფარგლულ სამზღვრებში“ - ივანე ჯავახიშვილისეული ხედვა

დალი ნიკოლაიშვილი[1], დავით სართანია[2]

„კარგი ღობე კარგი მეზობლობის საწინდარია“ - წერდა ამერიკელი პოეტი რობერტ ფროსტი. რთულია, შეეკამათო ამ დებულებას, თუ ომების ქარცეცხლში გამოვლილი კაცობრიობის ისტორიას გადაავლებ თვალს, თანამედროვე მსოფლიოს ასევე რთულ პოლიტიკურ მაჯისცემას თუ დააყურადებ და გაისისხლხორცებ იმ რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეს, რომელშიც ქართული სახელმწიფო აღმოცენდა და შემდგომ განვითარდა. ამ რთულ გეოპოლიტიკურ არეალში უწევს დღესაც არსებობა ჩვენს ქვეყანას.

სახელმწიფო საზღვრის მოწესრიგებას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ისეთი ძირეული პრინციპების აღსრულებისათვის, როგორიცაა მშვიდობიანი თანაარსებობა, ერის სუვერენიტეტი, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა და საზღვართა ურყევობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მარადიული ჭეშმარიტებაა და ალბათ, არც არავინ აპირებს ამაზე კამათს. არც იმის წარმოდგენა იქნება რთული, რა დიდი დატვირთვა ჰქონდა და სახელმწიფოებრივად რა მნიშვნელოვანი იყო ამ საკითხის გადაჭრა იმ პერიოდში, როცა ცხოვრება და მოღვაწეობა მოუწია დიდ ივანე ჯავახიშვილს. საქართველო ცდილობდა დაემკვიდრებინა ადგილი ახალ გეოპოლიტიკურ სივრცეში: აღედგინა დამოუკიდებლობა, შეენარჩუნებინა თავისი „ისტორიული სხეული“ და განეგრძო ის კულტურული მოღვაწეობა, რომელსაც იგი ახორციელებდა საუკუნეების მანძილზე.

მთელი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იცვლებოდა საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. ამ ხნის მანძილზე *„მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა მოიცავს ქართული მოდგმის მოსახლეობითა და მატერიალურ-კულტურული ძეგლებით დატვირთული ტერიტორიების, საზღვრების დაცვისა და საქართველოს ხელისუფალთა იურისდიქციაში მოქცევისათვის ბრძოლას“* [კეკელია, 2006. გვ. 8]. ამ მხრივ, არც XX საუკუნის დასაწყისი იყო გამონაკლისი. საქართველოს თანამედროვე ტერიტორიისა და სახელმწიფო საზღვრების ძირითადი ფორმირება ხომ სწორედ 1918-1921 წლებს უკავშირდება – ჯერ ერთი, ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაიბრუნა და დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით წარსდგა მსოფლიოს წინაშე, ხოლო მეორე მხრივ, სულ ცოტა ხანში მოხდა სხვა ქვეყნის მიერ მისი ანექსია და გასაბჭოება.

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ტერიტორიული პრობლემების, შეიძლება ითქვას, „მორიგი ახალი ტალღა“, რომელიც წარმოიქმნა როგორც თურქეთთან, რუსეთთან, ისე რუსეთის იმპერიაში შემავალ და შემდგომ ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებად ჩამოყალიბებულ სომხეთთან და აზერბაიჯანთან. ლოგიკურია, რომ სწორედ ეს პროცესები აისახებოდა იმდროინდელ სამეცნიერო თუ პოპულარულ პუბლიკაციებში, პრესაში, დოკუმენტებში, პირად თუ ოფიციალურ მიმოწერებში.

და ვის, თუ არა ივანე ჯავახიშვილს, საქართველოსა და კავკასიის „უტყუარი, ჭეშმარიტი“ და არა „გაზვიადებული, ყალბი“ ისტორიის მცოდნეს, შეეძლო შეექმნა ქვეყნის ტერიტორიისა და საზღვრების „მოხაზულობა“ იმგვარად, როგორც *„იცავდა ამ სამზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში“*. დიდმა მეცნიერმა კარგად უწყოდა, რომ *„საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს სამზღვრები ტომობრივ მოსახლეობის სამზღვრებს არა ერთხელ გასცილებია და ძლიერების ხანაში XI-XIII საუკუნემდე, განსაკუთრებით მე XII საუკუნეში დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის დროს საქართველოს, მთელი ამიერი კავკასიაც-კი ეკუთნოდა“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 3]. მაგრამ ეს ხომ ყმადნაფიცობით შემომტკიცებული ტერიტორიები იყო და არა უშუალოდ ქართველების მამა-პაპეული. ახლა სხვა დრო იყო - მრავალჭირნახულ ქვეყანას არც ძალა შესწევდა აღედგინა „ძველი დიდება“ და არც ერის განვითარების და არც „კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის“ იყო ეს მომგებიანი ახალ გეოპოლიტიკურ სივრცეში. ამიტომ უდავო დოკუმენტებზე დაყრდნობით უნდა შემოეხაზა დიდ მეცნიერს ქვეყნის ტერიტორია.

[1] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი. dali.nikolaishvili@tsu.ge

[2] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მუზეუმი, davit.sartania@tsu.ge

საკმაოდ რთული და სტრატეგიული მნიშვნელობის პრობლემა უნდა გადაეჭრა ივ. ჯავახიშვილს - საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გატარებით, ერთი მხრივ, უნდა შეენარჩუნებინა ისტორიული სამართლიანობა, ხოლო მეორე მხრივ, უნდა გაეთვალისწინებინა რეგიონში მიმდინარე ცვალებადი გეოპოლიტიური პროცესები და საერთაშორისო სამართლის მთავარი პრინციპები.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შესახებ შექმნილ მცირერიცხოვან ნაშრომთა შორის ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“[1] უთუოდ გამორჩეული, ღრმა მეცნიერულ ანალიზზე, მრავალ წყაროსა და კრიტიკულად დადგენილ ფაქტებზე დაფუძნებული კვლევაა. აკი, თვითონაც წერდა: *„ქვემომოყვანილს მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები, ისე როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრედვე გეოგრაფიული და ეკონომიური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 3]. მეცნიერი გვეუბნება, რომ ნაშრომში მოცემული საზღვრები ჩემს მიერ კი არაა შეთხზული, არამედ იგი თავად გეოგრაფიულმა და ეკონომიკურმა პირობებმა, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ პროცესებთან ერთად, ჩამოაყალიბაო. ანუ „მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები“-ო წერს იგი და ამით გვარწმუნებს, რომ არცერთი მტკაველი „ზედმეტი“ მიწა არ არის აქ, ჩვენი ქვეყნისადმი ყალბად მიკუთვნებული. პირიქით, მოუწოდებს კიდეც თავის ერს *„კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებაზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს“*-ო [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 51]. სწორედ ასეთ პრინციპებზე დაყდრნობით შექმნა დიდმა მეცნიერმა ქვეყნის საზღვრებთან დაკავშირებული სხვა ნაშრომებიც: „საქართველოს ისტორიული რუკა“ [1923], „საქართველოს საზღვრების რუკა“ [1919, ქართულ-ფრანგული გამოცემები] და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის ამ ნაშრომებზე არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა იმდროინდელ „თანამედროვე მომენტს“ - იმ პროცესებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ და მათზე იყო დამოკიდებული როგორ ჩაოყალიბდებოდა ქვეყნის სვე-ბედი, რა ფორმას მიიღებდა საბოლოოდ მისი ტერიტორია და საზღვრები. I მსოფლიო ომი, 1917 წლის მოვლენები, საქართველოს დამოუკიდებლობა და შემდგომ მისი გასაბჭოება - ეს ის პოლიტიკური ბატალიებია, რომლის ფონზე დიდი მეცნიერი ქმნიდა თავის ნაშრომებს საქართველოს საზღვრებთან მიმართებაში. ამიტომ აუცილებლად მივიჩნიეთ ამ პროცესების მოკლე მიმოხილვის ფონზე აღვწეროთ ქვეყნის ტერიტორიისა და საზღვრების ისტორიული ტრანსფორმაციებიც.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცდებით წარმოვაჩინოთ ის ვითარება, რომელიც არსებობდა ქვეყნის საზღვრების ფორმირებასთან დაკავშირებით იმ პერიოდში, როცა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი ივანე ჯავახიშვილი. ამასთან შევეცდებით გავაანალიზოთ მანამდე არსებული სიტუაციაც, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოს საზღვრების ტრანსფორმაციები XIX-XX საუკუნეების გასაყარზე და შესაბამისად გავლენა იქონია თანამედროვე ეპოქაზეც. ეს საკითხი აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ საზღვრების საკითხთან მიმართებაში თვით ივ. ჯავახიშვილი ანიჭებდა მას დიდ მნიშვნელობას.

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზანია ივ. ჯავახიშვილის მიერ „შემოხაზული“ საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ასპექტების შეფასება. ამ მიზნით უმთავრესად დავეყრდენით დიდი მეცნიერის მონოგრაფიას „საქართველოს საზღვრები“ [ჯავახიშვილი, 1919] და მის დღემდე ცნობილი 7 კარტოგრაფიული ნაწარმოებიდან 6-ს:

1. საქართველოს რესპუბლიკის რუკა (1922 წ.).
2. საქართველოს აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით (1930 წ.).
3. საქართველოს ისტორიული რუკა (1923 წ.).
4. საქართველოს რუკა (1919 წ.).
5. საქართველოს რუკა, № 1 (1919 წ. ფრანგულ ენაზე).
6. საქართველოს რუკა, № 2 (1919 წ. ფრანგულ ენაზე).

ცხადია, კვლევის არეალში არ მოექცა 1913 წლით დათარიღებული „საქართველოს საისტორიო რუკა VII-XII ს. შედგენილი ძველი წყაროების მიხედვით“, ვინაიდან მასზე არ არის დატანილი საზღვრები [სართანია, ნიკოლაიშვილი და სხვ., 2016].

ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია მონოგრაფიას „საქართველოს საზღვრები“, რომელიც მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო და მეცნიერულად ღირებული. იგი თვალნათლივ ასახავს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიისა და საზღვრების ტრანსფორმაციებს ისტორიის სხვადასხვა პერიოდისათვის, და

[1] შემდგომში „საქართველოს საზღვრები“.

მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ, დემოგრაფიულ, ტოპონიმიკურ და ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორებს ურთიერთდაკავშირებულად და ერთ მთლიანობაში წარმოგვიჩენს. ასეთი მიდგომით ჩვენს წინაშე წარსულის რეალური **რეტროსპექტიული სურათი** იშლება. თუმცა მასში ერთმანეთის თანამიმდევრობით, ქრონოლოგიურად არაა წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის ყველა ეტაპი.

ჩვენი ქვეყნის საზღვრების **ცალკეული მონაკვეთების** კვალდაკვალაა განხილული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მთელი პერიმეტრი და მისი ცვლილებები ისტორიულ ჭრილში, შეფასებულია საზღვრების დაძლევის სირთულეები **ფიზიკურ-გეოგრაფიული** თვალთახედვითაც. ნაშრომს თან ერთვის **საქართველოს რუკა** ქართულ და ფრანგულ ენებზე[1] [ჯავახიშვილი, 1919, ქართული გამოცემა], სადაც სწორედ ისტორიული სამართლიანობისა და საერთაშორისო ნორმების დაცვის შესაბამისად გატარებულია ქვეყნის მიჯნები.

საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა კარტოგრაფიული წყაროებით სარგებლობდა ივ. ჯავახიშვილი, როცა ქმნიდა ზემოთ აღნიშნულ მონოგრაფიას, ან საქართველოს ისტორიულ რუკებს. ცხადია, უპირველესი წყარო XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში არსებული ე.წ. „ვერსტოვკებია". როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობას თან მოჰყვა მისი ტერიტორიისა და საზღვრების ცვლილებები, რასაც ადგილი ჰქონდა იმპერიის არსებობის თითქმის მთელი პერიოდის მანძილზე. ცხადია, ეს ცვლილებები აისახებოდა იმ პერიოდში შედგენილ მრავალ რუკაზე. მიუხედავად იმისა, რომ 1801 წლიდან მთელს კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც ფართოდ დაიწყო ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული სამუშაოები და შედგა სხვადასხვა „ვერსიანი" ტოპოგრაფიული რუკები ზედ ასახული იმპერიის საზღვრებით, ივ. ჯავახიშვილისათვის მაინც ძალზე რთული იქნებოდა ამ ცვლილებებისადმი თვალის მიდევნება და ამ ტერიტორიული ცვლილებების მასშტაბების განსაზღვრა შემდეგი გარემოებების გამო:

- სხვადასხვა ტოპოგრაფიული აგეგმვები მიმდინარეობდა წლების მანძილზე, პოლიტიკური ვითარების ცვლილებების თვალსაზრისით კი XIX საუკუნე საკმაოდ დატვირთული იყო (რუსეთ-ოსმალეთის ომები და მასთან დაკავშირებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებები);
- მაღალი სიზუსტის კარტოგრაფიული პროექციის შედგენა დაიწყო 1840-იანი წლების ბოლოდან;
- არ არსებობს სხვადასხვა ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორიული ცვლილებების ამსახველი რუკები.

ზემოთქმულის მიუხედავად, XIX საუკუნის რუკების, ე.წ. „ვერსტოვკების" გამოყენება მნიშვნელოვან წარმოდგენას ქმნიდა იმ დროისათვის არსებულ პოლიტიკურ საზღვრებზე და მათ ცვლილებებზე. თუმცა ეს კარტოგრაფიული წყაროები არც სრულყოფილია და არც უნაკლო. კერძოდ, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: *„ქართული მიწების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა ნაკლებად ითვალისწინებდა ისტორიულ-ეთნიკურ თავისებურებებს და ძირითადად ხელსაყრელი კოლონიურ-პოლიტიკური მართვის პრინციპებს ემყარებოდა"* [კეკელია, 2006. გვ. 23]. აქედან გამომდინარე, ამ რუკებზე ასახული საზღვრები მხოლოდ კონკრეტული პერიოდის სამართლებრივი ძალის მქონედ, დე ფაქტოდ უნდა მივიჩნიოთ და არა ქვეყნის ან მისი ცალკეული მხარეების საზღვრებად, როგორც ივ. ჯავახიშვილს აქვს იგი გატარებული. მეორე მხრივ, რუსეთის იმპერიის სამხედრო ტოპოგრაფების მიერ შექმნილ რუკებზე - ე.წ. „ვერსტოვკებზე" უმთავრესად დატანილი იყო რუსეთის იმპერიის საზღვარი. საქართველო კი, ისევე როგორც კავკასიის სხვა ქვეყნები, იმპერიის შემადგენლობაში იყო და მათ საზღვრებს არ ჰქონდა პოლიტიკური დატვირთვა. ადმინისტრაციული საზღვრები კი ამ რუკათა უმეტესობაზე არ არის მოცემული. შესაბამისად ე.წ. „ვერსტოვკების" გამოყენება უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს სამხრეთ საზღვრის მხოლოდ იმ მონაკვეთზე, რომელიც ამავდროულად რუსეთის იმპერიის სამხრეთი საზღვარიც იყო.

„ქართველი ერის ისტორიაში" [ჯავახიშვილი, 1983] დიდი მეცნიერი აღწერს იმ ტერიტორიას და მის ისტორიულ ცვლილებებს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდიდა სხვადასხვა

---

[1] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში [K 261/4] ჩვენს მიერ მიკვლეულია ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიის „საქართველოს საზღვრების" ის ერთადერთი გამოცემა, რომელსაც თან ერთვის საქართველოს რუკები ქართულ და ფრანგულ ენებზე. ეს უკანასკნელი საქართველოს დელეგაციის მიერ წარდგენილი იყო 1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე როგორც ოფიციალური დოკუმენტი. ნიშანდობლივია, რომ ორივე ეს რუკა აღნიშნულ გამოცემაში ქაღალდის ერთ დიდ ფორმატზეა დაბეჭდილი, ანუ ისინი გამოცემულია ერთდროულად, 1919 წელს. ამით პასუხი გაეცა აქამდე გაბატონებულ მოსაზრებას აღნიშნული რუკების სხვადასხვა დროს გამოცემის შესახებ. ალმანახის წინამდებარე ტომში ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარია რამდენიმე სტატიაში.

პერიოდში: ძლიერების ხანაში დიდი ტერიტორიული მომცველობით, როცა „მთელი ამიერი კავკასიაც-კი ეკუთნოდა“, ხოლო ძნელბედობის ჟამს - დაქუცმაცებული და შემცირებული. ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში კი მეცნიერის კვლევის მთავარი მიზანი ამ დიდი ისტორიული ცვლილებების განხილვა კი არ არის, არამედ **XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი პოლიტიკური რეალობის ადეკვატური აღქმა და ტერიტორიული გამიჯვნის ერთგვარი სტრატეგიის წარმოჩენა.** როგორც თვით ივ. ჯავახიშვილი წერს, განხილული აქვს *„საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები, ისე როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრედვე გეოგრაფიულ და ეკონომიური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 3]. ასევე საინტერესოა საკითხი, თუ რა მსგავსება-განსხვავებაა ივ. ჯავახიშვილის მიერ განსაზღვრულ საქართველოს „მჭიდროდ შემოფარგლულ სამზღვრებსა“ და იმ პერიოდის რუკებზე ასახულ საზღვრებს შორის. წარმოდგენილ ნაშრომში შევეხებით მხოლოდ ზოგიერთს.

1901 წელს შედგენილი კავკასიის რუკა [Карта Кавказскаго Края..., 1901 г.] ასახავს საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთების თანამიმდევრობასა და მათ საზღვრებს. რუკის მიხედვით საქართველოს ფარგლებს გარეთაა აჭარის, ახალციხის, ახალქალაქის, კოლა-არტაანის, ტაო-კლარჯეთის ტერიტორიები და დაქვემდებარებულია თურქეთისადმი, ხოლო განჯისა და ნუხის ტერიტორიები - სპარსეთისადმი. თუმცა საინტერესოა აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი საზღვარი, რომელიც ივრის მტკვართან შეერთების ადგილიდან გასდევს მდ. მტკვარს, შემდეგ მის მარჯვენა შენაკადს - ძეგამს. ამგვარად საზღვარი მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ და შემდეგ მიემართება დასავლეთისაკენ სევანის, არეგუნისა და ბამბაკის ქედების წყალგამყოფის გასწვრივ (ნახ. 1). ამგვარად, ბამბაკი, ლორე, ყაზახი და შამშადილი საქართველოს ფარგლებშია მოქცეული, ისევე როგორც ეს ივ. ჯავახიშვილის 1923 წლის რუკაზეა. ფაქტობრივად ანალოგიური ვითარებაა ასახული კავკასიის სამხედრო ოლქის 1903 წლის რუკაზეც [Карта Кавказа, 1903 года].

1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველოს გაცილებით დიდი ტერიტორია ეკავა, ვიდრე ამჟამად. ამ პერიოდის საზღვრის გატარება მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია ივ. ჯავახიშვილს. იგი აღნიშნავდა, რომ ქვეყნის საზღვრები ისე უნდა შემოიხაზოს, რომ *„...საერთაშორისო სამართლისა, 1783 წ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობითა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილი იქმნას“*-ო [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 3-4]. ივ. ჯავახიშვილის ისტორიული რუკის [1923] თანახმად, ეს საზღვარი მოიცავდა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის გარდა, აგრეთვე ჯიქეთს, დვალეთს, სპერს, თორთომს, ტაოს, კლარჯეთს, შავშეთს, ერუშეთს, კოლას, არტაანს, აბოცს, ბამბაკს, ტაშირს, ყაზახს, განჯას, ელისენს. თანამედროვესთან შედარებით, განსხვავებულად გადიოდა საზღვარი ხევის, ხევსურეთისა და თუშეთის მონაკვეთებზეც.

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომმა საქართველოს დაუბრუნა კუთვნილი ტერიტორიები, თუმცა ერთიანი ტერიტორიული „სხეულის“ აღდგენა მაინც ვერ მოხერხდა. **ადრიანოპოლის ტრაქტატმა,** რომელიც დაიდო რუსეთსა და ოსმალეთს შორის, დაასრულა ომი ორ ფრონტზე - ბალკანეთსა და სამხრეთ კავკასიაში. ზავის IV მუხლი ეხებოდა საქართველოს. რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზღვარი უნდა გასულიყო შავი ზღვიდან გურიასა და აჭარას შორის, შემდეგ იმერეთის სამხრეთ საზღვარზე. რუსეთის შემადგენლობაში რჩებოდა ახალციხე და ახალქალაქი (მათგან ოსმალეთის საზღვარი დაშორებული უნდა ყოფილიყო არანაკლებ 2 საათის სავალზე), ხოლო ოსმალეთის შემადგენლობაში - ყარსისა და ტრაპიზონის საფაშოები, ახალციხის საფაშოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. გარდა ამისა, ომის კიდევ სხვა უარყოფით შედეგებზე წერდა ივ. ჯავახიშვილიც. კერძოდ, მესხეთში, განსაკუთრებით კი ჯავახეთში, რუსეთის შემოსვლამ შეცვალა აქაური დემოგრაფიული ვითარება. *„მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე ჯავახეთითგან (=ეხლანდელს ახალქალაქის მაზრას) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (=ახალციხის მაზრა)“* - წერდა იგი [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 39].

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა მისი სხვა კუთვნილი ისტორიული ტერიტორიებიც, რაც განისაზღვრა 1878 წლის 19 თებერვალს **სან-სტეფანოს ზავით**. პრელიმინარული ამ საზავო ხელშეკრულების XIX მუხლი ეხებოდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას. ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეხადა კონტრიბუცია იმ ტერიტორიების სანაცვლოდ, რომელიც რუსეთმა ომის შედეგად მიიღო – არტაანი, ბათუმი, ბაიაზეთი და ტერიტორია სოღანლუღამდე (Саганлуг). თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი ეს ტერიტორიები რჩებოდა რუსეთის შემადგენლობაში.



ნახ. 1. კავკასიის რუკა, 1800-1813 წლები

წყარო: http://www.runivers.ru/gal/gallery-all.php?SECTION-ID=7094&ELEMENT-ID=578377

ცხადია, ეს დადებითი მოვლენა ასევე შეაფასა ივ. ჯავახიშვილმა, თუმცა იგი მიუთითებს იმ არამართებულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც „*ერუშეთი, [ა]რტაანი და ოლთისი რუსეთის მთავრობამ ყარსის ოლქის სამზღვრებში მოაქცია*“, ვინაიდან სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული ადგილის გეოგრაფიული პირობები, რაც ზამთარში აფერხებდა ფოცხოვის უბნის ყარსის მხარესთან დაკავშირებას: „... *ერუშეთი (=ფოცხოვის უბანს) ყარსის მხარეს 7-8 თვის განმავლობაში მოწყვეტილია და ფოცხოვის უბნის ბოქაული ამის გამო იძულებულია ახალციხეში იცხოვროს*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 39].

ზავის XIX მუხლში ასევე დეტალურადაა აღწერილი ამ ტერიტორიის სასაზღვრო ხაზი. იგი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე, გასდევდა ხოფისა და ჭოროხის წყალგამყოფს. შემდეგ გადიოდა ართვინის სამხრეთით და აღწევდა მდ. ჭოროხის ხეობამდე სოფლებს - ალატსა და ბეშაგეტის მახლობლად, შემდეგ გასდევდა მდინარეების თორთომისა და ჭოროხის წყალგამყოფის თხემს, სიერი-დაღის გადასასვლელს, უხვევდა სამხრეთით და აღწევდა ზივინამდე. შემდეგ სასაზღვრო ხაზი უხვევდა დასავლეთისაკენ, სოფლების არდოტსსა და ხორასანამდე, უხვევდა სამხრეთისაკენ სოღანლუღისა და ალი-დაღის მთებამდე და სამხრეთიდან შემოუვლიდა ბაიაზეთს. ამრიგად, ციხისძირი და ბათუმი კვლავ ოსმალთა მფლობელობაში რჩებოდა - აქ იდგა ოსმალეთის გარნიზონი.

პოლიტიკური საზღვრების ეს ცვლილებები აისახა კიდეც 1878 წლის შემდგომ გამოცემულ რუკებზე, რომელთა მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიის ფართობი 100 ათ. კმ^2-ს

აღემატებოდა (ანუ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე 1/3-ით მეტი იყო). „*1886 წელს კავკასიის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების სამხედრო კორპუსის ტოპოგრაფმა, პოდპოლკოვნიკმა ნ.პ. ვინიკოვმა გამოთვალა კავკასიის იმდროინდელი ტერიტორიის გუბერნიების, მაზრების, მხარეების, ოკრუგების და საპოლიციო უბნების ფართობები. ჯამში რუსეთის იმპერიაში გაერთიანებული საქართველოს სავარაუდო ტერიტორიის ფართობი XIX საუკუნის ბოლოსთვის შეადგენდა 102.0 ათას კმ²-ს*“ [კეკელია, 2006. გვ. 22].

1886 წელს გამოცემულ საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების 20-ვერსიან ეთნოგრაფიულ რუკებზე [Этнографическая карта, 1886] ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს მაზრები და ზაქათალის ოკრუგი მოქცეულია ტიფლისის გუბერნიაში, ბათუმისა და ართვინის ოკრუგები - ქუთაისის გუბერნიაში, ხოლო არტაანის, ოლთისის, ყარსისა და ყაღიზმანის ოკრუგები - ყარსის ოლქში. ამრიგად, ტაო-კლარჯეთი, კოლა-არტაანი, ბამბაკი, ლორე, ზაქათალა საქართველოს შემადგენლობაშია (ნახ. 2, 3, 4).

მთელი XIX საუკუნის მანძილზე რუსეთი ცდილობდა ისეთი პოლიტიკა გაეტარებინა, რომ გაეფართოებინა თავისი იმპერიის საზღვრები. ასეთივე პოლიტიკას მიმართავდა იგი კავკასიაში, სადაც ახალ რუსულ ახალშენებს ქმნიდა. „*მე-XIX ს. სამოციან წლებითგან მოყოლებული რუსეთი[ს] პოლიტიკური წრეები უკვე ყოველგვარ ღო[ნ]ისძიებას ხმარობენ, რომ ამიერკავკასია მოსახლეობით რუსულად ქცეულიყო*“ - წერდა ივ. ჯავახიშვილი 1925 წელს [საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, 471-1-98, ფ. 82-111]. ასეთივე ვითარება იყო საქართველოშიც, სადაც რუსულის გარდა, სხვა ეროვნებათა ახალშენებიც გაჩნდა სამხრეთ საქართველოში, აფხაზეთში და სხვაგან. ესეც რუსული იმპერიული პოლიტიკის ნაწილი იყო. ამავე ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ „*რათგან ქართველები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად ჰყავდა რუს[ეთის] მთავრობას მიჩნეული და მათი მოსახლეობის ასპარეზის გაფართოებას სახიფათოდ სთვლიდა, სომეხთა მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობაც-კი მას ფიქრად არ მოსდიოდა, ამიტომ სომეხი ახალშენთა ჩასახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რათგან, სამაგიეროდ, ქართველთა მოსახლეობის პროცენტი მცირდებოდა და, თანაც, საქართველოში რუსეთის განუყოფელობის, როგორც მათ ეგონათ, უერთგულეს ქვეშევდრდომთა რიცხვი უმრავლდებოდა*“ [საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, 471-1-98, ფ. 82-111].

XIX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს ტერიტორია მოქცეული იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების და ყარსის ოლქის ფარგლებში. თუ თვალს მივადევნებთ რუკას, დავინახავთ, რომ მას შემდეგ ქვეყნის საზღვრებმა დიდი ცვლილებები განიცადა, რაც უმთავრესად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული დანაკარგების ხარჯზე მოხდა. შეცვლილია თითქმის მთელი სამხრეთი და აღმოსავლეთი საზღვრები. ყველაზე ნაკლები ცვლილებებია ჩრდილოეთ საზღვარზე - კავკასიონის გასწვრივ. „*თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი*[1] *ჩდილოეთით*“ - წერდა ივ. ჯავახიშვილი [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 3]. თუმცა ტერიტორიული დანაკარგები აქაც სახეზეა - დარიალის ხეობაში, თუშეთსა და ხევსურეთში. ერთადერთი გამონაკლისია ჩრდილო-დასავლური უბანი, სადაც ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნის საზღვარმა პირიქით, მცირედ გადაიწია მისი ისტორიული ტერიტორიის სიღრმეში. ეს უბანი მოიცავდა შავი ზღვის ოკრუგს - მდ. ფსოუს მარჯვენა მხარეს, გაგრის ქედის დასავლეთ კალთასა და მიმდებარე მთისწინეთს.

მეტად საინტერესო და მეცნიერულად დასაბუთებულია ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა საქართველოს საზღვრის გამიჯვნის პრინციპების შესახებ. იგი ქვეყნის საზღვრებს იმ რამდენიმე **ძირითად კონტექსტში** განიხილავს, რომლის საფუძველზეც უნდა შემოიფარგლოს ქვეყნის ტერიტორია:

1. ისტორიულ კონტექსტში - თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში საუკუნეთა განმავლობაში;

2. ფიზიკურ-გეოგრაფიულ კონტექსტში - ოროჰიდროგრაფიული ერთეულები თუ როგორ განსაზღვრავს ტერიტორიულ მთლიანობას;

3. სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში - ისტორიული პერიოდების მიხედვით თუ როგორ იცვლებოდა მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური შემადგენლობა;

4. თანამედროვე ვითარების (საერთაშორისო სამართლის) კონტექსტში - თუ როგორ უნდა შემოიხაზოს თანამედროვე სახელმწიფო საზღვრები.

---

[1] იგულისხმება კავკასიონის ქედი.



ნახ. 2. ტიფლისის გუბერნიის ეთნოგრაფიული რუკა, 1886



ნახ. 3. ქუთაისის გუბერნიის ეთნოგრაფიული რუკა, 1886

ნახ. 4. ყარსის გუბერნიის ეთნოგრაფიული რუკა, 1886

აღნიშნულ საკითხებს მეცნიერი საკმაოდ დეტალურად განიხილავს და აზუსტებს იმ ძირითად გარემოებებს, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა გატარდეს ქვეყნის სახელმწიფო საზღვრები. ეს გარემოებებია:

- საერთაშორისო სამართალთან შესატყვისობა;
- რუსეთთან 1783 წელს დადებულ ხელშეკრულების დაცვა;
- ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფა;
- ქართველი ერის პოლიტიკური უფლებების შეულახაობა;
- სამართლიანობის აღდგენა.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული გათვლებია, რომელთაც არც დღეს დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა და მნიშვნელობა. თუმცა დიდი მეცნიერისათვის აღნიშნული გარემოებები სრულიად არ არის საკმარისი ქვეყნის ბედ-იღბლის განმსაზღვრელი ასეთი რთული საკითხის გადასაჭრელად იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გათვალისწინებული „სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი". თავის მხრივ, ეს „თვალსაზრისი" გულისხმობს უმთავრესად 2 მნიშვნელოვან გარემოებას:

1) „...*თანამედროვე ცხოვრებისა და აწინდელი პირობებისდა მიხედვით, - თუ რა ნაირად უნდა შემოიხაზოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამზღვრები ამ ჟამად, რომ საერთაშორისო სამართლისა, 1783 წ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობითა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილი იქმნას...*" [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 3-4].

2) „...*კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებაზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს*" [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 51] - წერს ივ. ჯავახიშვილი და ასახელებს რამდენიმე ასეთ ადგილს. ე.ი. ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიღმა, იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს გარკვეულ დათმობებსაც, თუ რა თქმა უნდა, ამას უსაფრთხოება და მშვიდობიანი თანაარსებობა მოითხოვს.

სწორედ ეს „სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი" არის ივ. ჯავახიშვილისათვის ის **სახელმძღვანელო პრინციპი,** რომლითაც მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს აღნიშნული საკითხი. თუმცა XX საუკუნის დასაწყისში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოს წაართვა შესაძლებლობა, ეხელმძღვანელა ამ უმთავრესი პრინციპით და ამასთან აღედგინა ისტორიული სამართლიანობა. საქართველოს ისტორიულ არქივში ინახება ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიის „საქართველოს საზღვრები" ხელნაწერი, რომელიც კონსტანტინოპოლში სხვადასხვა ხელითაა გადაწერილი [საქართველოს ისტორიული არქივი, 1864-1-273]. ეს დოკუმენტი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კორექტურულ და სტილისტურ განსხვავებებს, 1919 წელს და მის შემდგომ გამოცემული ნაშრომის იდენტურია. თუმცა ამ ხელნაწერში ორიოდე აბზაცია, რომელიც ნაბეჭდ გამოცემებში არ მოხვდა. ერთ-ერთი ასეთი აბზაცი საინტერესოა იმ შეფასებით, რომელსაც დიდი მეცნიერი იძლევა ქვეყნის საზღვრების საკითხთან მიმართებაში: „*ქართველთა მჭიდრო გაბმული მოსახლეობა უაღრესად განვითარებული ეროვნული თვითშემეცნება, საუკუნეთა ნაანდერძევი კულტურა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ცხადი ნიჭი საქართველოს მომავალი პოლიტიკურ კულტურული აღორძინებისა და აყვავების უტყუარი თავდებია* ***თუ საქართველოს თავის შესაფერისად ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები შექმნილი იქნება***" [ხაზგასმა – ავტ.]. როგორც ამ ჩანაწერიდან ჩანს, ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საერთაშორისო მხარდაჭერის საკითხს, რომ ამ გარემოების გარეშე ქართული სახელმწიფოს ნებისმიერი ძალისხმევა უშედეგო იქნება. ეს ნაშრომი ხომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მიმავალმა მეცნიერმა დაწერა ბათუმსა და კოსტანტინოპოლში. სწორედ ამ კონფერენციაზე უნდა დასმულიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი აღიარებისა და საზღვრების საკითხი. სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის მოლოდინი გამართლდა და „**საქართველოსათვის შესაფერისი ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები**" არ დადგა.

ივ. ჯავახიშვილს კარგად ჰქონდა გააზრებული, თუ რას ნიშნავდა ეთნიკურ-რელიგიურ პრინციპზე დაყრდნობით საზღვრის გატარება, რამაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. „... *1918 წელს, როცა ამიერკავკასიაში გაჩნდა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, მათი საზღვრები განისაზღვრა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეულების შესაბამისად, რომელიც არასოდეს არ მისდევდა ეთნიკურ ხაზს, პირიქით, მიზნად ისახავდა შეექმნა მრავალფეროვნება (ნაწილობრივ ეს განპირობებული იყო სხვადასხვა ტერიტორიების თანამიმდევრული და სწრაფი მიერთებით იმპერიასთან მთელი XIX საუკუნის მანძილზე, თუმცა უმთავრესად ეს იყო მიზანმიმართული იმპერიული პოლიტიკა). ამიტომ დამოუკიდებელმა სომხეთმა თავისი ტერიტორიის ფარგლებში მიიღო*

დიდი აზერბაიჯანული უმცირესობა, რომლებიც ცხოვრობდნენ ყოფილი ერევნის გუბერნიაში; დამოუკიდებელმა აზერბაიჯანმა – დიდი სომხური უმცირესობა, მცხოვრები ბაქოსა და ელისავეტოპოლის გუბერნიებში (უკანასკნელი მოიცავდა ყარაბახის ძველ სახანოს სომეხთა მნიშვნელოვანი მოსახლეობით); დამოუკიდებელმა საქართველომ მიიღო სომხური და აზერბაიჯანული უმცირესობები, მცხოვრებნი ყოფილ ტიფლისის გუბერნიაში. გარდა ამისა, საქართველოს ჰყავდა ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობანი, მცხოვრებნი რუსეთის საზღვრის გასწვრივ." [Гачечиладзе, ინტერნეტრესურსი]. სწორედ ეს გარემოება ართულებდა ვითარებას საზღვრების გამიჯვნისას. ეთნიკურ და რელიგიურ პრინციპზე დაყრდნობით საზღვრების გატარება მეტად არახელსაყრელი გამოდიოდა საქართველოსათვის, ვინაიდან იგი ჰკარგავდა საკუთარ ისტორიულ მიწებს, სადაც მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში დევნილი მოსახლეობა დასახლდა. ეს კარგად ჰქონდა გააზრებული ივ. ჯავახიშვილს. ამასთან იგი შენიშნავს, რომ „*...თვით სომეხთა პოლიტიკოსები ყოველთვის და ყოველგან სომხეთის რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს ეთნოგრაფიულს პრინციპებს არ ემყარებიან*"... და მიაჩნიათ, რომ ეს პრინციპი „*მხოლოდ საქართველოსთვის არის სავალდებულო*" [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 50].

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი იმ საკითხს, თუ რა გავლენა იქონია **ფიზიკურ-გეოგრაფიულმა** პირობებმა ქვეყნის საზღვრების ჩამოყალიბებაში.

ქვეყნის ტერიტორია - მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზები, როგორც ბუნებრივი ზღუდეებით შემოფარგლული სივრცე, მისივე სიტყვებით, „*გეოგრაფიულად და ეკონომიურადაც ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულია*". სწორედ ეს მჭიდრო კავშირები მიაჩნია მას იმ მთავარ ამოსავალ წერტილად, რომლის საფუძველზეც საქართველოს ტერიტორიას ერთ მთლიან სხეულად განიხილავს.

დიდი მეცნიერის ამ ძუნწ, მაგრამ სკრუპულოზურ მსჯელობაში ბევრი რამ გამოსჭვივის, რომელიც მის სხვა ნაშრომებშია ფართოდ მოცემული. მათი ერთიანობაში განხილვით ჩვენ შესაძლებლობა გვექმნება ზედმიწევნით ზუსტად გავიგოთ ივ. ჯავახიშვილის პოზიციის საფუძვლები. უპირველეს ყოვლისა, მეცნიერი ერთმანეთისგან განუყოფლად ასახელებს გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ფაქტორებს, როგორც ერთმანეთთან გადაჯაჭვულთ. „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში" იგი უბრუნდება ამ საკითხს, ფართოდ მიმოიხილავს მათ და ამბობს, რომ საქართველოს ცალკეული მხარეების ბუნებრივი პირობები, ანუ გეოგრაფია ისეთი იყო, რომ საარსებოდ აუცილებელი მრავალმხრივი ეკონომიკური საქმიანობა თავის მხარეში არ შეეძლო და დანაკლისი მეზობელი მხარის დახმარებით უნდა შეევსო. ეს კი განაპირობებდა ამ მხარეების ერთმანეთთან სასიცოცხლო კავშირის აუცილებლობას[1].

---

[1] „*აგრონომიული და ეკონომიური ფაქტორების ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრივობისათვის უაღრესი მნიშვნელობის განსაზღვრა წინანდელზე უფრო ვრცლადაც და არსებითადაც შეგვიძლიან. საკმარისია ადამიანმა არეების* [ივ. ჯავახიშვილი გულისხმობს საქართველოს მხარეების გეო-ბოტანიკური ზონებს - ავტ.] *ზემოთმოყვანილი მიმოხილვა გადაიკითხოს და აქ დართულ რუკაში ჩაიხედოს* [ჯავახიშვილი, 1930 - ავტ.], *რომ დარწმუნდეს, რომ* ***თურინჯ-ნარინჯისა და ბრინჯ-ბამბის არეები საქართველოს მხოლოდ აღმოსავლეთსა და დასავლეთის კიდეებზე მოეპოვება. მთელი დანარჩენი ტერიტორია*** *ორ მთავარ დიდს,* ***ვენახ-ხილიანსა და უვენახ-ხილო არეს უკავია.*** *ამასთანავე დამახასიათებელია, რომ ვენახ-ხილიანი არეს ზოლი შუაშია მოქცეული, აქეთ-იქით კი, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, ვენახ-ხილიან ზოლს ჯერ უვენახო, მერმე უვენახ-ხილო და შემდეგ ალპური საძოვრების არე აკრავს. ოდენობით ეს უკანასკნელი, უვენახ-ხილო და ალპური, ზოლი ვენახ-ხილიან არეს საგრძნობლად სჭარბობს. უვენახ-ხილო არე ბუნებრივი პირობების წყალობით ერთის მხრით ხორბლეულისა და ქრთლილეულის კულტურისათვის იყო განკუთვნილი, მეორეს მხრით, ვრცელი, საუცხოო, საზაფხულო საძოვრების დიდი სიუხვის გამო, ამასთანავე მრავალრიცხოვანი მესაქონლეობისათვის იყო გამოსადეგი. აღსანიშნავია, რომ საზაფხულო საძოვრების სიუხვე და სივრცე უმთავრესად საქართველოს სამხრეთ ნაწილში მოიპოვება, ჩრდილოეთით მდებარე საზაფხულო საძოვრებს კი, საქართველოს ამ საზღვრებში მიწისა და ფართო ვაკე ადგილების სიმცირის გამო, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს* [...] ***ასეთი განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ, არც ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა.*** *მთა ადგილების მკვიდრთ საკუთარი არც ღვინო და არც ხილი არ შეიძლება ჰქონოდათ, ბარელებს თავის მხრით, რასაკვირველია, ხორბლეულისა და ქრთლილეულის ის სიუხვე უნდა შეჰშურებოდათ, რომელიც საქართველოს მაღლობ თემებს გააჩნდათ. [...] ამრიგად,* ***ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ.*** *ამ ბუნებრივი პირობების წყალობით* ***საქართველოს შუა ნაწილი, ბარი, ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმოც მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული.*** *გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებმიცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა.*" [ჯავახიშვილი, 1996. ტ. IV. გვ. 335-337].

ამდენად, ივანე ჯავახიშვილის აზრით, გეოგრაფიამ (ბუნებრივმა პირობებმა) განსაზღვრა თითოეულ მხარეში ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი და ამ მხარეში მისმა შეზღუდულობამ მეზობლებთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობა განაპირობა. დროის ხანგრძლივ პერიოდში ამგვარმა მოწესრიგებულმა ურთიერთობამ ამ მხარეებით შედგენილ სივრცეში ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი[1].

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, სწორედ ამგვარადაა შემოფარგლული საქართველოს ტერიტორია, რომლის დასაცავადაც იბრძოდა საუკუნეების მანძილზე ქართველი ერი. ესაა სწორედ ქართველი ერის ისტორიული ტერიტორია და მოცემულ ვითარებაში, პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, დამოუკიდებლობაადგენილი საქართველოს საზღვრები, გარკვეული აუცილებელი კომპრომისებით ისე უნდა შემოეხაზა, რომ ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი გეოგრაფიულ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური პრინციპები შენარჩუნებულიყო.

ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორებიდან, ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებითი ხაზგასმით აღნიშნავს იმ როლს, რომელსაც კავკასიონის მთიანეთი ასრულებდა ამ თვალსაზრისით: *„თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩდილოეთით...“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 3] - წერს იგი. ქვეყნის სხვა საზღვრებსაც *„საუცხოოდ გარემოზღუდვილად“* მიიჩნევს და სწორედ ამ გარემოებას, ანუ ბუნებრივ პირობებს აკისრებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ როლს. ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრის გასწვრივ მაღალი ქედების, კლდოვანი მასივებისა და მყინვარების გამო საზღვრის ეს მონაკვეთი ძნელად გადასალახავია, რაც ზღუდავდა კიდეც თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე მეზობელთა დამპყრობელურ მიზნებს: *„... ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის დროს მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 3]. ცხადია, ამით ივ. ჯავახიშვილი სრულებით არ აკნინებდა ქართველი ერის ღვაწლსა და ბრძოლას ქვეყნის ტერიტორიის დაცვის საქმეში. ამაზე თვით მისი სიტყვებიც მეტყველებს *„ამ პირობების წყალობითაც“*-ო - *წერს იგი. და თუ რა იყო ის მთავარი, „ამ პირობების“* გარდა, ამის შესახებ დიდი მეცნიერი საკმაოდ დეტალურად წერს თავის უმთავრეს ნაშრომში „ქართველი ერის ისტორია“ [ჯავახიშვილი, 1983].

ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში საქართველოს საზღვრების საკითხს ცალკეული მონაკვეთების მიხედვით განიხილავს, ანუ იმ მონაკვეთების მიხედვით, რომლებიც სადავო იყო ჯერ კიდევ იმ პერიოდში. ნიშანდობლივია, რომ საზღვრების ამ მონაკვეთების უმეტესობის გამიჯვნა ამჟამადაც აქტუალურია, ისინი საქართველოს თანამედროვე საზღვრის „ცხელი წერტილებია“.

საზღვრის ცალკეული მონაკვეთების გეოგრაფიულ-კარტომეტრიული შეფასება

როგორც აღინიშნა, საქართველოს საზღვრებს ივ. ჯავახიშვილი ცალკეული მონაკვეთების, კერძოდ, ჰორიზონტის მხარეებისა და ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების/თემების მიხედვით განიხილავს (ცხრ. 1). ეს ლოგიკურიცაა. ქვეყნის საზღვრების ისტორიული ტრანსფორმაციები ან სტაბილურობა დაკავშირებული იყო ქვეყნის საზღვრისპირა თემებში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან, ვინაიდან ისტორიულად ხშირად სწორედ ქვეყნის ცალკეული განაპირა მხარეები განიცდიდა ტერიტორიულ ცვლილებებს და არა მისი მთელი ტერიტორია.

ჰორიზონტის მხარეების მიხედვით ივ. ჯავახიშვილი ქვეყნის საზღვრებს **4** ნაწილად ანაწევრებს: ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებად და თითოეულ მათგანს ცალკე პარაგრაფებად განიხილავს. საინტერესოა, რომ ქვეყნის ზოგადკავკასიური, ანუ სუბგანედური გადაჭიმულობის მიუხედავად, სადაც მკვეთრადაა გამოკვეთილი ქვეყნის ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრები, იგი ცალკე

---

[1] *„... გეო-ბოტანიკური და ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით, ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულევანების ჰარმონიულად შემავსებელი არეები, ჩამოინაკვთენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოც გაერთიანდა“* [ჯავახიშვილი, 1996. ტ. IV. გვ. 337].

არ განიხილავს სამხრეთ საზღვარს, როგორც ამას აკეთებს ჩრდილოეთის საზღვრის შემთხვევაში. სამხრეთის საზღვარს იგი განიხილავს დანაწევრებულად - სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთებად. გეოგრაფიული თვალსაზრისით, შეიძლება ეს ნაკლებად მართებულია, თუმცა ისტორიული განვითარების თვალთახედვით - სრულიად ლოგიკური. ივ. ჯავახიშვილი ხომ სამხრეთ-დასავლეთ საზღვრით ზემო ქართლის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრით ქვემო ქართლისა და კახეთის ტერიტორიებს შემოფარგლავს. ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში და მის შემდგომაც სამხრეთ საზღვრისპირა სამეფო-სამთავროები ხშირად განსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში ექცეოდა - ერთი ოსმალეთის, ხოლო მეორე - სპარსეთის გავლენის ქვეშ იყო. ეს განსხვავება კი ასევე განსხვავებულად აისახებოდა მათ ტერიტორიებსა და საზღვრებზე. სწორედ ამიტომაც, ისტორიული თვალსაზრისით, სრულიად ლოგიკურად შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის სამხრეთი საზღვრის ორ უმთავრეს - სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთებად წარმოჩენა.

ცხრ. 1. საქართველოს საზღვრის მონაკვეთები ივ. ჯავახიშვილის მიხედვით

ჰორიზონტის მხარეების მიხედვით	თემების მიხედვით
ჩრდილოეთის	ჩრდილო-დასავლეთის ხაზი: აფხაზეთ-ჯიქეთი ჩრდილოეთის ხაზი: დვალეთი ჩრდილოეთის ხაზი: დარიალანი და საქართველოს კარი
აღმოსავლეთის	აღმოსავლეთის ხაზი: ჰერეთი
სამხრეთ-აღმოსავლეთის	ჰერეთი: ქიზიყი ყარაია
სამხრეთ-დასავლეთის. მესხეთი ანუ ზემო ქართლი	პალაკაციო, ანუ აბოცი ტაო-ისპირი ჯავახეთ-სამცხე უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ხაზი: კოლა-არტაანი, ტაო-თორთუმ-ისპირი ლაზისტანი

საზღვრების ცალკეული მონაკვეთების ანალიზისას, ივ. ჯავახიშვილი ეხება მხოლოდ ე.წ. „ცხელ წერტილებს“ - ანუ იმ მონაკვეთებს, რომლებიც სადავო გახდა მეზობელ ქვეყნებს შორის.

აფხაზეთ-ჯიქეთი

ივ. ჯავახიშვილი საქარველოს სახელმწიფოს ისტორიულ საზღვარს ამ მონაკვეთზე, თანამედროვესთან შედარებით, გაცილებით ჩრდილო-დასავლეთით ატარებს. თუმცა, სხვადასხვა წყაროსა და ისტორიული პერიოდის შესაბამისად, ეს საზღვარი მის სხვადასხვა ნაშრომში განსხვავებულად არის გატარებული. მაგალითად, ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 4-5] საზღვრის შემდეგი ვარიაციებითაა მოცემული:

- მდ. ყუბანის შესართავი - ლეონტი მროველის მიხედვით;
- ბიჭვინთის მონასტრის ჩრდილოეთით - ქართველი ერის ისტორია;
- მდ. კაპოეტისწყალი (ახლ. მდ. ბზიფი) - 1732 წლის რუკისა და ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით.
- მდ. კაპოეტისწყლის ჩრდილო-დასავლეთით - 1743 წლისა და ბურნაშევის რუკების მიხედვით.

ასევე განსხვავებულადაა ასახული ქვეყნის საზღვრის ეს მონაკვეთი ივ. ჯავახიშვილისეულ რუკებზეც:

- მდ. მაკოფსესთან – 1919 წლის ქართული და ფრანგული რუკების (№ 1) მიხედვით (ნახ. 5).
- მდ. მაკოფსე შავ ზღვას ერთვის ქალაქებს - ტუაფსესა და ლაზარევსკოეს შორის, დაბა მაკოფსესთან (ჩ.გ. 43°59'44'' და ა.გ. 39°12'44''). ადმინისტრაციულად იგი ამჟამად ეკუთვნის ლაზარევსკოეს რაიონის ქ. სოჭს (რუსეთი);
- დაბა ვარდანესთან (დაგომისსა და გოლოვინკას შორის) - 1923 წლის რუკის მიხედვით.



ნახ. 5. საქართველოს საზღვრის აფხაზეთ-ჯიქეთის მონაკვეთი

(ივ. ჯავახიშვილის 1919 წლის რუკის მიხედვით)

აღნიშნულ რუკაზე საქართველოს საზღვრის აფხაზეთ-ჯიქეთის მონაკვეთზე არ არის დატანილი არცერთი ობიექტი წარწერით (მდინარე, დასახლებული პუნქტი), რომელიც ამ ადგილის იდენტიფიკაციას გაადვილებდა. ამიტომ შევეცადეთ ჰიდროგრაფიული ქსელის კონტურებითა და ძველი ათვლის საკოორდინატო სისტემის ახალში (პულკოვოდან გრინვიჩის სისტემაში) გადაყვანით განგვესაზღვრა საზღვრის ხაზის გეოგრაფიული კოორდინატები. რუკის მიხედვით საზღვარი შავ ზღვასთან იწყება ა.გ. 9°12'-დან (ათვლილი პულკოვოს მერიდიანიდან). რაკი პულკოვოსა და გრინვიჩის მერიდიანებს შორის სხვაობა 30°19'34''-ია, თანამედროვე საკოორდინატო სისტემით საზღვრის ეს მონაკვეთი იწყება ა.გ. 39°31'-ზე (ჩ.გ. 43°43'). იგი ემთხვევა ქ. სოჭის ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით 40 კმ მანძილზე მდებარე ვარდანეს მიკრორაიონს (ადმინისტრაციულად ეკუთვნის ქ. სოჭს). ვარდანეს გეოგრაფიული კოორდინატებია: 43°38'31'' და 39°40'18'. ეს ის ადგილია, სადაც მდ. ბუუ ერთვის შავ ზღვას (ნახ. 6).

ანალოგიურად არის გატარებული საზღვარი 1930 წლის რუკაზეც, რის თქმის საფუძველსაც გვაძლევს კვლავ ჰიდროგრაფიული ქსელის კონტურები და ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები.

ზემოთ დასახელებული რუკების ურთიერთშედარებამ დაგვანახა, რომ 1923 წლის რუკაზე ჩვენი ქვეყნის საზღვარი აფხაზეთ-ჯიქეთის მონაკვეთზე გატარებულია ვარდანესთან (დაახლოებით 40 კმ მანძილზე საქართველოს თანამედროვე საზღვრიდან), ხოლო 1919 წლის (ქართული და ფრანგული № 1) რუკებზე - მდ. მაკოფსეზე (94 კმ მანძილზე). დაახლოებით



ნახ. 6. საქართველოს საზღვრის აფხაზეთ-ჯიქეთის მონაკვეთი
(ივ. ჯავახიშვილის 1923 წლის რუკის მიხედვით)

30 კმ-იანი ეს განსხვავება უცილობლად საჭიროებს მიზეზის გარკვევასა და მის მეცნიერულად არგუმენტირებულ ახსნას. ვფიქრობთ, იგი უფრო ტექნიკურ, ვიდრე შინაარსობრივ შეცდომას უნდა უკავშირდებოდეს.

1919 წლის მონოგრაფიის „საქართველოს საზღვრების“ დასასრულს ივ. ჯავახიშვილი მადლობას უხდის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსს, პროფესორს, გენერალ ან. ზენაშვილს, ვინაიდან ამ განყოფილებაში დამზადდა რუკა [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 51]. 1923 წლის რუკის შედგენაში კი მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ტოპოგრაფმა ევ. ბარამიძემ. როგორც ჩანს, კარტოგრაფიული ნაწარმოებების შექმნისას ორივე სპეციალისტთან ივ. ჯავახიშვილი მჭიდროდ თანამშრომლობდა და ნდობასაც უცხადებდა მათ. თუმცა შეცდომისაგან არც არავინაა დაზღვეული. კერძოდ, რა შეცდომას ვგულისხმობთ? 1923 წლის რუკაზე, რომელიც ასახავს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ტერიტორიას დროის სხვადასხვა პერიოდისათვის (I ს. ქრ.წ., XII ს. ქრ.შ. და 1783 წლის ქრ.შ.), საქართველოს საზღვრის აფხაზეთ-ჯიქეთის მონაკვეთი არ სცილდება ვარდანეს მერიდიანს დასავლეთით. ამასთან ისმის ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რამდენად რეალურია, რომ „უტყუარი, ჭეშმარიტი“ „და არა გაზვიადებული, ყალბი“ ისტორიის მცოდნე მეცნიერს, რომელიც ერს მოუწოდებდა „ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე გეოგრაფიულ და ეკონომიური პირობების“ შესაბამისად განესაზღვრა ქვეყნის ტერიტორია, საქართველოს ისტორიულ საზღვრებს უფრო მცირე არეალით შემოფარგლავდა ისტორიულ რუკაზე, ვიდრე პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილ დოკუმენტ-რუკაზე.

ამასთან სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, „ქართველი ერის ისტორიაში“ ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ტერიტორიას აფხაზეთ-ჯიქეთის მონაკვეთზე გაცილებით უფრო ჩრდილო-დასავლეთით ნიკოფსიამდე ავრცელებს, რისი დასტურადაც მის რამდენიმე ციტატას მოვიყვანთ:

- *„აფხაზეთშივე იყო „ნიკოფსი“* [ჯავახიშვილი, 1983. გვ. 52];
- *„თანამედროვე მწერლობაში ფიქრობენ, რომ ნიკოფსი ეხლანდელის აფხაზურს „ნეგოფსუხოს“-ს [1] ეთანასწორება“* [ჯავახიშვილი, 1983. გვ. 52];

[1] ნეგოფსუხო (რუს. Нечепсухо, Негопсухо, ადიღ. Ныджыпсыхьу) – მდინარე, შავ ზღვას ერთვის ქ. ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით 40 კმ მანძილზე, დაბა ნოვომიხაილოვსკისთან (ჩ.გ. 44°15'20'' და ა.გ. 38°50'59''). საქართველოს თანამედროვე საზღვრიდან მდებარეობს დაახლოებით 150 კმ მანძილზე.

- *„თეორიულად უფრო, ვიდრე რეალურად, საქართველოში მაშინ სთვლიდნენ, რომ დემეტრე II-მ წინანდებურად სრულიადი საქართველოს სახელმწიფო მიიღო* ***„ნიკოფსით დარუბანდამდე“,*** *ე.ი. ორ ზღვას შუა მდებარე კავკასია მთლიანად, მაგრამ ნამდვილად რომ* ***უკვე ასე აღარ იყო,*** *ეს ზემომოყვანილითგან ჩანს, რათგან არც ლიხთ-იმერეთი და არც მესხეთი დემეტრე II-ეს აღარ ექვემდებარებოდა“* (ხაზგასმა - ავტ.) [ჯავახიშვილი, 1982. გვ. 96];
- *„მე-XI-ე საუკუნეში ეს მოსამზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყოებოდა. მოსამზღვრე ხაზად მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა... ჯიქეთი და ალანთა ქვეყანაც აბხაზეთს ეკუთვნოდა“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 4].

საკუთრივ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად კი იგი ბიჭვინთის მონასტრის ჩრდილოეთით მდებარე კაპოეტისწყალს მოიაზრებს და ამის დასტურად მოჰყავს 3 წყარო:

- ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება;
- ალექსანდრე მეფის ბრძანებით 1732 წლის შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკა;
- სრულიად საქართველოს მოსკოვში 1743 წელს გადახატული რუკა.

ამასთან 1743 წლის რუკით ის ასკვნის, რომ საზღვარი აქ მდ. კაპოეტისწყლის კიდევ უფრო ჩრდილოეთით გადიოდა და რაკი ეს კაპოეტისწყალი მდ. ბზიფად სამართლიანად მიაჩნია, უტყუარია მისი დასკვნა, რომ „... *მდ. ბზიბი მთლად თავის შემდინარეებით აფხაზეთის სამზღვრებში იყო*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 5]. ყოველივე ზემოთ თქმული გვაფიქრებინებს, რომ 1919 წლის რუკაზე ქვეყნის საზღვარი დატანილია ისე, როგორც სამართლიანად მიაჩნდა ეს ივ. ჯავახიშვილს.

ივ. ჯავახიშვილს კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტის ფუნქციას ისტორიულად ასრულებდა სასაზღვრო ზოლის მოსახლეობა, მათი რიცხოვნობა და ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა. ამიტომ საქართველოს საზღვრების ისტორიული ტრანსფორმაციების ანალიზისას იგი საზღვრისპირა თემების დემოგრაფიულ ვითარების საკითხებსაც ეხება. კერძოდ, იგი ასეთ აღწერას იძლევა აფხაზეთ-ჯიქეთის საზღვრის აღწერისას: წებელდაში „*ჯერ კიდევ 1850 წელს აქ 14000 სახლობა ითვლებოდა, 1867 წელს-კი მთელს ამ კუთხეში რუსთა წყალობით 27 ოჯახის მეტი აღარავინ იყო*“, ხოლო „*სამურზაყანო-აბხაზეთში და ჯიქეთის სამხრეთის მცირე ზოლში, ანუ სოხუმისა და სოჭის ოლქებში 1916 წ. აღწერისდა თანახმად 141.000 მცხოვრებთა შორის 71.000 ქართველი და 43.000 აბხაზი იყო, 6.000 სომეხი და 21.000 სულ სხვადასხვა ეროვნებისა*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 6]. როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, 1916 წელს აფხაზეთსა და ჯიქეთის გარკვეულ ტერიტორიაზე (ე.ი. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით, ამჟამად კრასნოდარის მხარის ფარგლებში) მოსახლეობის უმეტესობას - 50 %-ზე მეტს ქართველები შეადგენდნენ, აფხაზები - 30.5 %-ს, ხოლო სომხები - მხოლოდ 4.3 %-ს.

დვალეთი

1919, 1923 და 1930 წლების რუკებზე დვალეთი - ჩრდილოეთ საქართველოს ეს მხარე ჩვენი ქვეყნის ფარგლებშია მოქცეული. ისტორიულად იგი ისეთივე პირიქითა საქართველო იყო როგორც დღეს არის ხევი, პირიქითა ხევსურეთი და თუშეთი. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ საზღვარი აქ არამართებულადაა გატარებული. „*რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი, ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთს საქართველოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს...*“-ო - წერს იგი [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 9]. ის ფაქტი, რომ დვალეთში შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერები, აგრეთვე „ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვითკირისანი...“, რომელნიც საქართველოს „მეფეთაგან ნაშენნი“ ყოფილან“, - მნიშვნელოვანი არგუმენტებია ზემოთ გამოთქმული აზრის განსამტკიცებლად. თუმცა დიდი მეცნიერისათვის ეს საკმარისი როდია. ამიტომ იგი ცდილობს, ისტორიულ ჭრილში განიხილოს პოლიტიკური ვითარების ცვლილებები, აგრეთვე გაანალიზოს ადგილის ბუნებრივი პირობები და ასე კომპლექსური მიდგომით დაასაბუთოს საქართველოსადმი ამ მხარის მიკუთვნების საკითხი.

ივ. ჯავახიშვილი ცდილობს ოროგრაფიული პირობებით ახსნას ის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობანი, რაც ძველად არსებობდა დვალეთსა და საქართველოს დანარჩენ ნაწილს შორის [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 8], კერძოდ,

- პოლიტიკური კავშირურთიერთობები - აანალიზებს დვალეთში არსებულ ვითარებას საქართველოს პოლიტიკური სიძლიერისა თუ დაუძლურების პერიოდში;
- ეკონომიკური კავშირურთიერთობები - იმოწმებს ვახუშტი ბაგრატიონის ციტატებს, რომლის მიხედვითაც XVIII საუკუნეში ქართლიდან და რაჭიდან ზიდავდნენ *„ცხვრის ტყავს, სვიას და სხვა სახმარს, რაც-კი თავიანთ ცივს ქვეყანაში ვერ შოულობდენ“*. ამასთან ასახელებს დვალეთში გამავალ გზებსაც;
- სარწმუნოებრივი და კულტურული კავშირურთიერთობები - არგუმენტად ასახელებს ქართველი მქადაგებლის მიერ ქრისტიანობის აქ გავრცელებას, ციხეების, კოშკების, ქვითკირის ეკლესიების სიმრავლესა და შემორჩენილ ქართულ ასომთავრულ წარწერებს ეკლესიის ნანგრევებზე.

ამ აზრის განსამტკიცებლად ივ. ჯავახიშვილს ასევე მნიშვნელოვან არგუმეტად მიაჩნია ის გარემოებაც, რომ მდ. კასრის ხეობა, რომელიც ბუნებრივადაა ვიწრო ხეობა, ადამიანის მიერაცაა ხელოვნურად შეუვალად ქცეული: *„კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი მდინარესა ზედა“*[1]. *ეს კარი-ბჭე თურმე საქართველოს „მეფეთაგან ქმნული ყოფილა იმ მიზნით, რომ „არა ვიდოდენ თვინიერ მათსა ოვსნი...“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 8]. აქ „კარის დახშვა“ ადვილად შესაძლებელი იყო ისევე როგორც, დარიალის ხეობაში დარიალის კარის. ეს კასრისკარი ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ „საქართველოს ისტორიულ რუკაზეცაა“ [1923] დატანილი, სადაც იქვე ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანიცაა.

დვალეთი კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს, ისევე როგორც საქართველოში ამჟამად შემავალი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები: თუშეთი, პირიქითა ხევსურეთი და ხევი. თუმცა მხოლოდ დვალეთი მოწყდა თავის დედა-სამშობლოს. მსგავსად, თითოეული ამ პროვინციისა, დვალეთის სამხრეთი საზღვარიც კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედია, რომელიც უფრო დაბალი და ადვილად დასაძლევია, ვიდრე ჩრდილოეთ კალთაზე აღმართული გვერდითი ქედი[2]. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს. მთავარ ქედზე არცერთი მწვერვალის სიმაღლე არ აღემატება ზ.დ. 3938 მ-ს (მ. ხალაწა). მისი ჩრდილოეთი საზღვარი კი გვერდით ქედს მიუყვება, სადაც აღმართულია მარადი თოვლითა და მყინვარებით შემოსილი მწვერვალები: ადაიხოხი (4404.9 მ), ტეპლი (4431 მ) და სხვ. ერთადერთი დაბალი ადგილია მდ. არდონის ხეობა. ასეთი ოროგრაფიული გარემოცვის გამო, აქ ჩამოყალიბებულია არდონის ქვაბული, ანუ როგორც მას ივ. ჯავახიშვილი უწოდებს „არდონის ქვაბა-ხეობა“. თითქმის ყოველმხრივაა შემოზღუდული ეს ხეობა, *„...რომელსაც ჩრდილოეთისაკენ მხოლოდ ერთად-ერთი ზემოაღნიშნული ხეობაზე მდებარე გასავალი აქვს, სამხრეთით-კი საქართველოსთან მას 11 გარდმოსავალი აერთებს“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 8]. მართლაც, თუ ტოპოგრაფიულ რუკას დავხედავთ, დავინახავთ, რომ მდ. არდონი იქმნება კავკასიონის მთავარი ქედიდან ჩამომავალი მდინარეებით - მამისონდონით, ნარდონით, ადაიკომითა და ცმიაკომდონით. ამ ხეობებში მდებარე მცირერიცხოვანი დასახლებებისათვის ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზები თავს იყრის მხოლოდ მდ. არდონის ხეობაში, სადაც გადის დვალეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი ერთადერთი (ამჟამად საავტომობილო) გზა. სწორედ ამ გზაზე საუბრობდა ივ. ჯავახიშვილი, როცა წერდა დვალეთის შესახებ: *„ჩრდილოეთთან-კი მას მხოლოდ ერთი გასავალი აერთებს“*-ო. რაც შეეხება კავკასიონის მთავარ ქედს, აქ მართლაც რამდენიმე უღელტეხილია (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით): მამისონის (ზ.დ. 2820.1, V-X), კოზის (ზ.დ. 3072.6 მ, VII-X), კვდარის (ზ.დ. 3148 მ, VI-IX), ძედოს (ზ.დ. 2994 მ, IV-X), ზეკარის (ზ.დ. 3184 მ, VII-X), ბახფანდაგის (ზ.დ. 2925 მ, V-X) და სხვ. სწორედ ამ უღელტეხილების მეშვეობით ხორციელდებოდა ისტორიულად ის პოლიტიკური, ეკონომიკური, სარწმუნოებრივი და კულტურული კავშირურთიერთობები, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი.

ამრიგად, დვალეთის ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრების ივ. ჯავახიშვილისეული შეფასება საინტერესოა არა მხოლოდ მათი გადალახვის სირთულის შეფასების თვალსაზრისით, არამედ იმით, რომ მიმოსვლის სიადვილე-სირთულით ხსნის მეცნიერი იმ კავშირურთიერთობებს, რომლებიც ოდითგანვე არსებობდა დვალეთსა და მიმდებარე ტერიტორიებს შორის.

---

[1] ეს ციტატა. ივ. ჯავახიშვილს მოყვანილი აქვს ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებიდან (გეოგრაფია, 444).

[2] ის, რომ მთავარი ქედი უფრო დაბალია - კავკასიონის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რითაც იგი მსოფლიოს მრავალი მთიანეთისაგან განირჩევა.

ივ. ჯავახიშვილის დვალეთის ჩრდილოეთ საზღვრის აღწერისას მიუთითებს, რომ: „*ჩრდილოეთით ადაი-ხოხითგან (=ქართულ ხოხის მთას) ხაზი მიდის აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ არხონამდის (=ქართულს ახოტს), ხოლო დასავლეთით ამავე ადაი-ხოხის მწვერვალითგან ხაზი სამხრეთისაკენ მიდის ქედ-ქედ მწვერვალ ყაზი-ხოხამდის. შემდეგ სამხრეთის სამზღვარი იწყობა ამ ადგილითგან და ქედ-ქედ მიდის: საუხოხზე, ხალიწაზე, ზეკარზე, ბრუტსაბძელზე, ხოხზე, შემდეგ როქზე არხონამდის*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 7]. ამგვარად დვალეთის ჩრდილოეთ საზღვრად მთები: ადაიხოხი (ზ.დ. 4408 მ, ჩ.გ. 42°44’50’’ და ა.გ. 43°52’10’’) და არხონიაა (ზ.დ. 4158 მ, ჩ.გ. 42°44’43’’ და ა.გ. 44°10’36’’) დასახელებული. თუმცა არ არის მითითებული მდ. კასრისხევის ხეობის ზუსტად რა ადგილას გადიოდა საზღვარი. ცხადია, იგი ამ ორ მთას პირდაპირ სწორი ხაზით არ აკავშირებდა, რასაც 1923 წლის რუკაც მოწმობს. აღნიშნული რუკის მიხედვით საზღვარი აქ გატარებულია კასრისკარის ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთით 6.6 ვერს, ე.ი. 7 კმ მანძილზე (ნახ. 7). ჰიდროგრაფიული ქსელის ანალიზით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ივ. ჯავახიშვილი დვალეთის საზღვარს აქ ატარებდა მდ. სადონის (არდონის მარცხენა შენაკადი) შესართავთან (ჩ.გ. 42°50’20’’ და ა.გ. 44°01’40’’), სოფლებს - ნუზალსა და მიზურს შორის (ალაგირის რაიონი, ალანია).

ანალოგიურადაა გატარებული საზღვარი დვალეთის მონაკვეთზე 1919 და 1930 წლების რუკებზეც - მდ. არდონის ხეობის ზემო წელი საქართველოს ფარგლებშია მოქცეული. 1919 წლის ფრანგულენოვან რუკებზე კი, საზღვრის კონტურზე მ. ადაი-ხოხიცაა დატანილი. რაც შეეხება 1922 წლის რუკას, სადაც საქართველოს რესპუბლიკის ორი საზღვარია მოცემული: გასაბჭოებამდელი და მის შემდგომი [სართანია, ნიკოლაიშვილი და სხვ., 2016. გვ. 39], დვალეთის ჩრდილოეთი საზღვარი არ არის დატანილი, თუმცა თვით ტოპონიმი „დვალეთია“ აღნიშნული. დვალეთის ფარგლებში ასევე დატანილია მრავალი ძველი ტოპონიმი, რომელთა დიდი ნაწილი დღეს დავიწყებასაა მიცემული.


ბეკლესია
ქეულთ
ცეიადონი
ადაიკომი
ზანჭახი
ზრამაგა
ნარა
ზახა
ბაბილონი
ნარი
ბაბილონი
ბაბილონი
ბაბილონ

საზღვრის ამ მონაკვეთის დადგენისას ივ. ჯავახიშვილი ვახუშტი ბაგრატიონს ეყრდნობა და მის თხზულებაში მოყვანილ ფაქტებს 5-ვერსიან რუკასთან ადარებს. სწორედ ამ შედარების შედეგად დაადგინა მან ამა თუ იმ პუნქტის ლოკალიზაცია და საქართველოს ისტორიული საზღვარი დარიალის ხეობაში (ცხრ. 2).

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიულ საზღვარს დარიალის ხეობაში ატარებდა იქ, სადაც იყო „**ნასასახლევი მეფეთა**“ - „**საქართველოს სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებელი ადგილი**“. ეს ადგილი ჯარიეხის (ჯერახოვსკოე, ამჟამად სოფ. ჩმის სამხრეთით, ჩ.გ. 42°51'04''და ა.გ. 44°38'10'') „მახლობლად, ცოტა სამხრეთით“ მდებარეობდა. ამრიგად, 1801 წლამდე დარიალის ხეობაში საქართველოს საზღვარში შემოდიოდა მდ. თერგის მონაკვეთი მდინარეების არმხისწყლის, სუარგომისა და თუგაურკის შესართავების ჩათვლით.

როგორც 5-ვერსიანი და საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკების ურთიერთშედარებამ გვიჩვენა, ქვეყნის თანამედროვე საზღვარი საკმაოდ სამხრეთითაა ამჟამად გადმოწეული და ტერიტორიული დანაკარგი არცთუ ისე მცირეა (ნახ. 8). 1:100,000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკაზე ჩატარებული გაზომვებით დადგინდა, რომ ტერიტორიულმა დანაკარგმა აქ 466.5 კმ² შეადგინა.

ცხრ. 2. საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი დარიალის მონაკვეთზე

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით	ივანე ჯავახიშვილის მიხედვით	№ რუკაზე (ნახ. 4)
ნასასახლევი მეფეთა *„ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად მუნ დადგიან“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 10].	*„ამაზე უფრო ჩრდილოეთით კი ყოფილა საქართველოს სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებელი ადგილი „**ნასასახლევი მეფეთა**“, რომელიც დაახლოებით ეხლანდელს „**ჯერახოვსკოე**“-ს მიდამოებში უნდა ყოფილიყო. „აქაც, 5-ვერსიან რუკაზეც ნათქვამია **ციხის ნანგრევეო (Бывшее укрепленіе)** თვით ბატონიშვილ ვახუშტის დაწვრილებითს რუკაზე (იხ. ბროსსეს გამოც. № 3, Karthli au N. du Kour) “„ნასასახლევი მეფეთა (Résidence royale) მართლაც „ჯარიეხის“ (=ეხლანდელს „ჯერახოვსკოეს“-ს) მახლობლად, ცოტა სამხრეთით არის აღნიშნული და სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთის სამზღვარი ამ ადგილის წინ, დაახლოვებით ჯარიეხითგან ერთი ვერსით, სამხრეთით მიდიოდა“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 10].	1
დარიელა... *თერგის „აღმოსავლით კიდესა ზედა მეფის მირვანის მიერ“ აგებული. მან „შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ო[ვს] თათთვის, რათა უმისოთ ვერაღარა ვიდოდნენ“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 9].	„ამის ჩრდილოეთით მირვან მეფის მიერ აგებული ყოფილა დარიალის კარი, რომელიც ოს-ხაზართათვის გზის შესაკრავად იყო განკუთვნილი. ეს ის ადგილი უნდა იყოს, სადაც ეხლა **სად. ლარსია**“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 10].	2
ციხე დავითისა *„აღმაშენებლის აღშენებული... დავიწროვდების ხევი ესე კლდითა“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 9].	*„აქ ვიწრო ხეობაში ყოფილა მეფე დავით აღმაშენებელის **მიერ აგებული ციხე.** ეს ის ადგილი უნდა იყოს, რომელსაც საქართველოს-სამხედრო გზაზე რუსებმა სად. დარიალისა **„Даріальское“** უწოდეს. აქ მართლაც რუკაზე ნათქვამია **(„Бывшее укрепление“)** „ციხის ნანგრევეო“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 10].	3
ხევი	*„გველეთის ჩრდილოეთით თერგს მართლაც სამხრეთ-აღმოსავლეთითგან ერთი პატარა წყალი ერთვის, რომელსაც **ქისტურა (Кистинка)** ეწოდება“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 10].	4
გველეთი		



ნახ. 8. 5-ვერსიანი და საჭოთა ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტები (დარიალის მონაკვეთი)

ჰერეთი

საქართველოს ამ კუთხის ჩვენი ქვეყნისადმი მიკუთვნებულობის საკითხის შესახებ შემორჩენილია ივ. ჯავახიშვილისეული მეტად საინტერესო მოსაზრება [საქართველოს ისტორიული არქივი, 1864-2-274, ფ. 1-2]: „ზაქათალის ოლქზე საქართველოს უცილობელი უფლება აქვს ჯერ ერთი იმიტომ რომ ეს კუთხე უძველეს დროითგან ქართველ ერის მკვიდრ მიწა წყალს შეადგენდა და ჰერეთის სახელით ცნობილ ქართულ კულტურისა და ხელოვნების ასპარეზად ითვლებოდა. მე-XVII-ე ს-ის პირველ მეოთხედამდე ის მუდამ ქართველთა უდავო სამფლობელოსა და საკუთრებას შეადგენდა. თათრები, ანუ თურქები აქ მხოლოდ

შაჰაბაზის, საქართველოს ამ დაუძინებელ მტრის წყალობით გაჩნდენ“. ამ მოსაზრების არგუმენტებად მას ორი კარტოგრაფიული წყარო მოჰყავს და აღნიშნავს, რომ „ზაქათალის ოლქი საქართველოს უცილობელ კუთვნილებად ითვლებოდა“-ო: (1) 1743 წელს მოსკოვში შედგენილი საქართველოს რუკა რუსულ ენაზე, რომელიც დაცულია პეტერბურგში სამხედრო სამინისტროში და (2) რუსეთის ელჩის ბურნაშევის მიერ 1784 წელს შედგენილი საქართველოს რუკა.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ჰერეთს დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა და *„აქეთგან ავრცელებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივს გავლენას დაღესტანზე და შაქზე*“-ო [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 11] - წერს იგი და ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი მოჰყავს საქართველოს ისტორიიდან.

ივ. ჯავახიშვილი ჰერეთს ცალ-ცალკე - ორ პარაგრაფში განიხილავს აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების შესაბამისად. ეს ლოგიკურიცაა. მართალია, შიდა და გარე კახეთის მხარეებად დაყოფილი ჰერეთის ტერიტორია, ისტორიულად თითქმის ერთნაირ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს განიცდიდა - უცხო ტომების თარეშსა და დარბევა-აწიოკებას, მკვიდრი ადგილებიდან მოსახლეობის აყრასა და გადასახლებას, გაუკაცრიელებას, კულტურის ძეგლების ნგრევა-მოსპობას, მაგრამ მეორე მხრივ, გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი პიროობებისა და მოსაზღვრე ქვეყნებში არსებული ვითარების გამო, ისტორიული განვითარების გარკვეულ განსხვავებულ შტრიხებზეც შეიძლება საუბარი. ამასთან ჰერეთი მდებარეობს რა ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მისი საზღვრის გარე კონტური, გეოგრაფიული თვალსაზრისით, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთის (ანუ აღმოსავლეთის საზღვარი - ივ. ჯავახიშვილთან), ისე სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთებად. ერთი მონაკვეთი გასდევს შიდა კახეთს (ზაქათალის მიმდებარე ტერიტორია), ხოლო მეორე - გარე კახეთს (ყარაიას გარე მიჯნები). სწორედ ამ ორ მონაკვეთად წარმოაჩენს ივ. ჯავახიშვილი ჰერეთის საზღვარს.

თავდაპირველად შევეხოთ ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ჯერ ატარებს კახეთის კავკასიონის თხემზე - დაღესტნის მთებზე, როგორც თვითონ უწოდებს, შემდეგ კი - მდ. გიშისწყლის შესართავის მცირედ აღმოსავლეთით. ამის დასტურად კვლავ ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება და ბურნაშევის რუკა მოაქვს: „სამზღვარი გიშის წყლის სამხრეთით იყო, ეს ბურნაშევის 1784 წ. რუკითაც მტკიცდება“-ო. მართლაც, ეს სრულიად ნათლად ჩანს ბურნაშევისა და 5-ვერსიან რუკებზე, სადაც კახეთის აღმოსავლეთი საზღვარი გადის მდ. გიშისწყლის აღმოსავლეთით (ნახ. 9).



Кишъ-Кишлахъ

р. Кишъ

р. Айричай

ნახ. 9. 5-ვერსიანი რუკის ფრაგმენტი (ალაზან-გიშისწყლის მონაკვეთი)

მაგრამ ივ. ჯავახიშვილის ამ კვლევაში, მთავარი აქ მხოლოდ ამ ფაქტის დადგენა როდია, არამედ მდ. გიშისწყლის ზუსტი მდებარეობის განსაზღვრა და მისი თანამედროვე რუკაზე ლოკალიზებაც. ეს აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ *„თანამედროვე რუსულ რუკებზე ამგვარი მდინარე და ციხე არსად არის აღნიშნული“*, ზემოთ ხსენებული ბურნაშევის რუკა კი, რომელიც XVIII საუკუნის II ნახევარშია შედგენილი, ამ მხრივ, მაღალ სიზუსტეს არ იძლევა. თუ ივ. ჯავახიშვილის მსჯელობას თვალს გავადევნებთ, *„ამ ადგილას საქართველოს განმსაზღვრელი ხაზის მდებარეობა სრულებით ნათლად წარმოგვიდგება“*. როგორც იგი ასკვნის, ძველად მდ. აგრიჩაისაც (მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადი, Агричай) გიშისწყალი რქმევია: *„ამ ჟამად რუკებზე სახელები ისე სწერია, რომ გიშის წყალი არსად ერთვის ალაზანს, არამედ იგი ე.წ.* ***აგრი-ჩაის*** [5-ვერსიან რუკაზე წერია: Айричай - ავტ.] *შემდინარეა. ცხადია, რომ ძველ დროს თვით ეხლანდელს აგრი-ჩაისაც იმ ადგილითგან მოყოლებული, სადაც ეხლანდელი გიში (Кишъ) ერთვის, გიშის წყალი რქმევია“*. ამასთან *„... ძველ ქართულს გიშს 5-ვერსიან რუკის მდ. კიში (р. Кишъ) უდრის, ხოლო* ***გიშის ციხე*** *დაახლოვებით იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ეხლა* ***კიშ-კიშლაღი*** *(Кишъ-кишлахъ) არის აღნიშნული...“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 11].

ჰერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთის ივანე ჯავახიშვილისეული ნარატივი, აგრეთვე 1923 წლის და 5-ვერსიანი რუკების ურთიერთშედარებით შევეცადეთ დაგვედგინა ივ. ჯავახიშვილის მიერ დასახელებული ობიექტები ჰერეთის ამ ტერიტორიისათვის.

მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბურნაშევის 1784 წლის რუკა საქართველოს საზღვრის ამ მონაკვეთზე (ნახ. 10). კერძოდ, კახეთის სამხრეთი საზღვარი გადის მდ. ალაზნის მტკვართან შეერთების ადგილიდან მცირედ სამხრეთით. დღეს კი ეს ტერიტორია მინგეჩაურის წყალსაცავს (აიგო 1945 წელს) უკავია და შედის აზერბაიჯანის შემადგენლობაში. საზღვრის ამ მონაკვეთის ცვლილებები საქართველოს გასაბჭოებას მოჰყვა თან. ამიტომ 1930-იანი წლების საბჭოთა ზოგადგეოგრაფიულ რუკებზე [ჯავახიშვილი, 1930-1931; Топографичечкая карта..., 1938] ეს ტერიტორია უკვე საქართველოს მიღმაა დარჩენილი.



ნახ. 10. ალაზნის მტკვართან შეერთების ადგილი ბურნაშევის რუკის მიხედვით

ქვეყნის საზღვრების დადგენისათვის მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ამ კუთხის იმდროინდელი ადმინისტრაციული დაყოფისა და ტოპონიმების ანალიზი. „გარეშე ძალის გავლენით“ - წერს ივ. ჯავახიშვილი, *„ეს კუთხე სამ ერთეულად გაიყო. ერთს დაერქვა „ალის სასულთნო“, მეორეს „ელისენი“, მესამეს „ჭარი“. უკანასკნელი სახელი ფიფინეთის ხეობას*

დაერქვა“ (ცხრ. 3). დიდი მეცნიერი თვითონვე ცდილობს, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებისა და 5-ვერსიანი რუკის მეშვეობით, ამ ერთეულების ტერიტორიული მომცველობა დაადგინოს. თუმცა ივ. ჯავახიშვილის ხელდასხმით (ავტოროობით/რედაქტოროობით) შექმნილ არცერთ რუკაზე არ არის დატანილი ყველა ეს ობიექტი, რაც მათი ზუსტი ლოკალიზაციის განსაზღვრაში უკეთ დაგვეხმარებოდა.

ცხრ. 3. ჰერეთის ტერიტორიული ერთეულები ივ. ჯავახიშვილის მიხედვით

გამაჰმადიანების შემდეგ შერქმული სახელები	*ძველი სახელწოდება*	*ადგილმდებარეობა 5-ვერსიანი რუკის მიხედვით*	*შენიშვნები ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით*
ალის სასულთნო	კახის სულტანი[1]		
ელისენი			• როგორც ქორონიმი „ელისენი“ დატანილია 1923 და 1930 წლების რუკებზე ჰერეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს კავკასიონის მთავარ ქედამდე (მდინარეების ფიფინეთისწყალსა და გიშისწყალს შორის მოქცეული ტერიტორია); • დაბა-სოფლის პირობითი აღნიშვნით 1923 წლის რუკაზე ასევე დატანილია „ელისენი“ მდ. კაკისწყლის ზემო წელში, მცირე ქალაქ კაკის ზემოთ.
ჭარი	ფიფინეთის ხეობა, ჭარი[2]	Джары	• როგორც დაბა-სოფელი „ფიფინეთი, ჭარი“ 1923 წლის რუკაზე დატანილია მდ. ფიფინეთისწყლის[3] ზემო წელში

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, მაჰმადიანობის გავრცელებას ჰერეთში მოჰყვა არა მარტო მოსახლეობის ეროვნულ-რელიგიური შემადგენლობის, არამედ მისი ტერიტორიული დაყოფისა და „ძველი საგეოგრაფო სახელების“ ცვლილება: „*ეს კუთხე სამ ერთეულად გაიყო. ერთს დაერქვა „ალის-სასულთნო“, მეორეს „ელისენი“, მესამეს „ჭარი*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 13]. ძალზე რთულია დღეს ზემოთ დასახელებული სამი ერთეულის ზუსტი ლოკალიზაციის დადგენა. მეცნიერებს ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულება აქვთ.

ივ. ჯავახიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს საზღვრისპირა ტერიტორიების დემოგრაფიულ ვითარებასაც. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით იგი გვაწვდის დროის სხვადასხვა პერიოდის (1886 და 1916 წლების) მონაცემებს და აანალიზებს მათ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 13], რითაც მკვლევარებს იმ დროის რეალური დემოგრაფიული ვითარების შეფასების შესაძლებლობას აძლევს. 1886-1916 წლების პერიოდში მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა

---

[1] „ანტონ კათალიკოზს თავის 1757 წ. დაწერილს თხზულებაში ნათქვამი აქვს ალისულტანი თავდაპირველად „კახის სულტნად სახელდებული“ ყოფილა (იხ. მ. ჯანაშვილის საინგილო. ძველი საქართველო II, 14). მაგრამ სამზღვრები არც მას აქვს დასახელებული.“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 12].

[2] „ვახუშტის ცნობით ეს ხეობა არჩილ მეფის „შემდგომად იწოდა ჭარი (გეოგრაფია, 306)“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 12].

[3] ფიფინეთისწყალი ახლანდელი თალაჩაია, მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადი. მასზე გაშენებულია ქ. ზაქათალა.

ზაქათალის ოლქში გაიზარდა 74,449-დან 76,000-მდე, მათ შორის ქართველების 12,430-დან 19,000-მდე (ნახ. 11). 1886 წლისათვის მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდნენ ლეკები, რომლებიც ქართველებს 3.2-ჯერ აღემატებოდნენ. თუმცა ამ პერიოდიდან მოყოლებული 1916 წლამდე ადგილი ჰქონდა ქართველებისა და ლეკების ხვედრითი წილის ზრდას – 8.3 % და 5.2 %-ით შესაბამისად. ამ ცვლილების შედეგად ლეკები კვლავ მოსახლეობის უმრავლესობად დაჩნენ, თუმცა ქართველს აღემატებოდნენ მხოლოდ 2.3 %-ით.



ნახ. 11. ზაქათალის ოლქის ეროვნული შემადგენლობა 1886 და 1916 წლები
(ივ. ჯავახიშვილის მიხედვით)



ნახ. 12. ლორეს სამხრეთი საზღვარი
(ივ. ჯავახიშვილის 1919 წლის საქართველოს რუკის მიხედვით)

საქართველოს სამხრეთ საზღვარს, თანამედროვე პერიოდში გეოგრაფიულ სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში მიღებული ტრადიციისაგან განსხვავებით, ივ. ჯავახიშვილი განიხილავს აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. ამის მიზეზი სახელმწიფო საზღვრის კვლავ ისტორიულ ხედვაში უნდა მდგომარეობდეს. გეოგრაფიული თვალსაზრისით საზღვრის მონაკვეთების დაყოფა ხდება ჰორიზონტის მხარეების მიხედვით. სწორედ ამიტომ გეოგრაფიული ნაშრომების აბსოლუტურ უმრავლესობაში ქვეყნის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვრის აღწერა წყდება მდ. ალაზნის მინგეჩაურის წყალსაცავის შესართავთან, ხოლო სამხრეთი საზღვრის აღწერა იწყება შავი ზღვის სანაპიროდან, სოფ. სარფთან და ასე - აღმოსავლეთის მიმართულების გადევნებით აღწევს მდ. ალაზნის მინგეჩაურის წყალსაცავთან შეერთების ადგილამდე [ალფენიძე და სხვ., 1999; ბერუჩაშვილი, ელიზბარაშვილი, 1996; ელიზბარაშვილი, მაჭავარიანი და სხვ., 2000; მარუაშვილი, 1969; საქართველოს გეოგრაფია, 2000; ხარატიშვილი, 1990]. ივ. ჯავახიშვილი კი, ამ თვალსაზრისით, უპირატესობას არა ჰორიზონტის მხარეებს, არამედ საქართველოს მხარეებს ანიჭებს და ამით ქვეყნის საზღვრების ჩამოყალიბებას ისტორიულ ელფერს კიდევ ერთხელ სძენს. კერძოდ, ჰერეთის აღმოსავლეთის ხაზის აღწერის შემდეგ, დასავლეთის მიმართულების მიდევნებით, იგი ამ მხარის ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთ, შემდეგ კი ქიზიყის, ყარაიას და მისგან დასავლეთით მდებარე ტერიტორიების საზღვრებს აღწერს.

ჰერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ძველ საზღვრად ივ. ჯავახიშვილს მდ. მტკვარი და მტკვრისა და დებედის წყალგამყოფი მიაჩნია. მის მიერვე შედგენილი 1923 წლის საქართველოს ისტორიულ რუკაზე [ჯავახიშვილი, 1923] ეს წყალგამყოფი ბერდაოჯის, ანუ ბერდუჯის მთებად აქვს მოხსენიებული. თუმცა რუკაზე ეს საზღვარი ქვემო ქართლისა და ყაზახის გამყოფია. საქართველოს ისტორიული საზღვარი კი, I საუკუნისა და 1783 წლის მდგომარეობით, გაცილებით სამხრეთ-აღმოსავლეთით, განჯის მთებამდე, მდ. ყაინალისწყლის გასწვრივ და მცირე ქალაქ ქანდამდე[1] აქვს აღნიშნული. ამგვარად გატარებული საზღვრით საქართველოს ფარგლებში ექცევა ქალაქები: შამქორი და განძა (განჯა).

ივ. ჯავახიშვილი საზღვარს აქ, ატარებს მდ. გიშისწყლის ალაზანთან შეერთების ადგილიდან სამხრეთის მიმართულებით, მდ. ივრის შესართავამდე. თუ თვალს მივადევნებთ „საქართველოს ისტორიულ რუკას“ [1923], საზღვარი ისე აქვს გატარებული, რომ ქ. გიში და აჯინოურის ველი რჩება საქართველოს, ხოლო ქ. ნუხა, იგივე ნუხპატო (1968 წლიდან ქ. შეკი, აზერბაიჯანი) - მის მიღმა. ამგვარად მდინარეების ალაზნისა და ივრის შესართავები, ჰერეთი, იგივე ხორანთა (მთავარი ქალაქი), მოვაკანი (მცირე ქალაქი) და დანდისი (დაბა-სოფელი) ასევე საქართველოს ფარგლებშია. დასავლეთის მიმართულებით შემდგომ საზღვარი გასდევს მდ. მტკვრის ხეობას მდ. აღსტაფურას შესართავამდე: „*მერმე საქართველოს სამხრეთის სამზღვარი ამ მდინარის პირს დასავლეთ-ჩრდილოეთით მიმართულებით მისდევდა დაახლოვებით იმ ადგილამდის, სადაც მდ. აღსტაფურა მტკვარს ერთვის.*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 14]. თუმცა „საქართველოს ისტორიულ რუკის“ [1923] მიხედვით საზღვრის ეს მონაკვეთი სხვაგვარადაა გატარებული, კერძოდ, მდ. ყაინაღისწყლის ხეობაზე იმგვარად, რომ ყაზახი, შამშადილი და განძა (იგივე განჯა) ექცევა საქართველოში (I საუკუნის ქრ.წ. და 1783 წლის ქრ.შ. მდგომარეობით). მთელ ამ ტერიტორიას ივ. ჯავახიშვილი ჰერეთს აკუთვნებს.

„საქართველოს საზღვრების“ [1919] გარდა, ჰერეთის საზღვრების შესახებ შემორჩენილია ივ. ჯავახიშვილის კიდევ ერთი ნაშრომი „საქართველოს უფლებები ზაქათალის ოლქზე“, რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „თბილისის უნივერსიტეტში“ [სართანია, გვიმრაძე, 2017. № 5 გვ. 14]. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ისტორიულ არქივში [ფონდი № 1864-2-274, ფ. 1-2]. ეს მცირე ხელნაწერი 1920 წლის 12 მაისით თარიღდება, რაც სრულიად ნათელს ხდის იმ პერიოდში წარმოქმნილ, საქართველოსათვის მეტად არახელსაყრელ და ამავდროულად არასამართლიან ვითარებას. კერძოდ, 1918 წლამდე, როცა საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია, საინგილო ტიფლისის გუბერნიიის დაქვემდებარებაში მოექცა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი ვითარება რამდენიმეჯერ შეიცვალა. საქართველოსა და აზერბეიჯანის[2] რესპუბლიკებს შორის იდება საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ზაქათალის ტერიტორიაზე ცხადდება კონდომინიუმი - ერთობლივი მფლობელობა. თუმცა შემდგომ ისტორიული სამართლიანობა თითქოს აღდგა. კერძოდ, 1920 წლის 7 მაისს

[1] ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ [1923] მცირე ქალაქი ქანდა დატანილია მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ხორანთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით.

[2] ამ სახელით მოიხსენიებოდა იგი იმ პერიოდში.

რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების[1] თანახმად, რუსეთმა აღიარა „საქართველოს სახელმწიფოს თავისთავადობა და დამოუკიდებლობა“ და ნებაყოფლობით თქვა უარი ყველა უფლებაზე [Пауткина, ინტერნეტრესურსი], რომელიც მას გეორგიევსკის ტრაქტატის (1783) დარღვევითა და საქართველოს ტერიტორიის უზურპირებით ჰქონდა მიღებული [თოლორდავა, ნიკოლაიშვილი, 2012].

ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, საზღვარი იწყებოდა შავ ზღვაზე, მდ. ფსოუს შესართავთან, მიუყვებოდა მდინარეს მ. ასახჩამდე (ზ.დ. 2315,2 მ), შემდეგ აღწევდა მ. აგეფსთამდე და აქედან კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ გასდევდა ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში არსებული ტერიტორიული ერთეულების - შავი ზღვის ოკრუგის, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვარს. აქედან **კი საზღვარი ზაქათალის ოლქამდე და მისი აღმოსავლეთი მიჯნის გასწვრივ** სომხეთის საზღვრამდე აღწევდა. ამავე შეთანხმების მე-2 მუხლის თანახმად, საზღვრის გასწვრივ მდებარე ყველა უღელტეხილი აღიარებული იყო ნეიტრალურად და მათი დაკავება, ან გამაგრება ეკრძალებოდა მომლაპარაკებელი მხარის ჯარებს (1922 წლის 1 იანვრამდე). დაწესდა უღელტეხილების ნეიტრალიზაციის ზონები, რომლებიც აითვლებოდა 5 ვერსის მანძილზე საზღვრის ხაზის პუნქტიდან ორივე მხარეს. გამონაკლისი იყო რამდენიმე უღელტეხილი, მაგალითად, დარიალის ხეობაში იგი ვრცელდებოდა ბალთიდან კობამდე, მამისონის უღელტეხილზე კი - ზრამაგიდან ონამდე. ამ ჩანაწერიდან საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მიხედვით ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი საზღვარი აქ გადიოდა ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ მიჯნაზე, ე.ი. აღნიშნული ოლქი მთლიანად შემოდიოდა საქართველოს ფარგლებში.

თუმცა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების გარდა, მხედველობაშია მისაღები კიდევ 2 დოკუმენტი, რამაც სრულიად შეცვალა „აღდგენილი ისტორიული სამართლიანობა“:

1. ხელშეკრულებას თან ახლვას საიდუმლო დოკუმენტი „Особое секретное дополнение к договору между Россией и Грузией“;

2. საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის სამშვიდობო ხელშეკრულების 1920 წლის 12 მაისის დამატებითი შეთანხმება ზაქათალის ოკრუგში საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის თაობაზე: „Дополнительное соглашение к мирному договору между Россией и Грузией от 7 мая 1920 года“.

ნიშანდობლივია, რომ ივ. ჯავახიშვილის ზემოთ აღნიშნული ნაშრომი სწორედ 1920 წლის 12 მაისით თარიღდება და უდავოდ, ახლად შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ. მეცნიერი ცდილობს დაასაბუთოს ის უფლებები, რომელიც საქართველოს გააჩნია ქვეყნის ამ ძირძველ მიწაზე. კერძოდ, იგი ზაქათალას მიიჩნევს:

- უძველეს დროითგან (XVII ს-ის I მეოთხედამდე) ქართველ ერის მკვიდრ მიწა-წყლად, რომელიც ოდითგანვე ჰერეთის სახელით იყო ცნობილი;
- ქართულ კულტურისა და ხელოვნების ასპარეზად.

ამ მოსაზრების დასტურად მეცნიერს მოჰყავს: ქართული და რუსული ოფიციალური წყაროები, კერძოდ, 1743 წლის მოსკოვში დახატული მაშინდელი საქართველოს რუსული რუკა, რუსეთის ელჩის ბურნაშევის მიერ 1784 წელს შედგენილი საქართველოს რუკა. ამასთან დასძენს, რომ 1783 წელს „საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროსაც ზაქათალის ოლქი საქართველოს უცილობელ კუთვნილებად ითვლებოდა“-ო.

ქვემო ქართლი

საუკუნეების მანძილზე ქვემო ქართლი - ე.წ. სომხითი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული მხარე, „მეწინავე სადროშო“ და სამხრეთის ერთადერთი „საფარი“ იყო. ამიტომ მის დაცვა-შენარჩუნებას ოდითგანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს ხელისუფალნი. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ თვით აღმოსავლეთ საქართველოს დაკნინების ხანაში, 1783 წელს (გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისას) და 1795 წელს აღა-მაჰმადხანის შემოსევების დროსაც კი ქართლის სამეფოს საზღვარი უფრო სამხრეთით გადიოდაო.

ამის დასტურად მას მოჰყავს რამდენიმე ისტორიული და კარტოგრაფიული წყარო:

- საქართველოს 1743 წლის რუსულ-ქართული რუკა, რომელიც დაცულია „რუსეთის მთავარ შტაბის სამხედრო-სამეცნიერო არქივში №-ით 505 „Иверская Земля“;

[1] ამ თემაზე სტატია იხილე ალმანახის ამავე ტომში [ენდრიუ ანდერესენი. 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულება და საქართველოს სახელმწიფო საზღვრები 1920-1921 წლებში].

- ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და მის მიერვე შედგენილი ატლასის რუკა;
- ბურნაშევის მიერ 1784 წელს შედგენილი რუკა [Бурнашевъ, 1784][1], რომლის ანალიზით ირკვევა, რომ საზღვარი აქ გადის თანამედროვე პამბაკისა და სევანის, იგივე შაჰდაღის ქედის თხემზე. ამგვარად მდ. დებედის მთელი ხეობა საქართველოს ფარგლებშია.

ქვემო ქართლის მთელი ტერიტორიის საქართველოსადმი მიკუთვნებულობას ივ. ჯავახიშვილი რამდენიმე ფაქტორით ხსნის და მრავალ ისტორიულ წყაროს იმოწმებს. „*ჯერ კიდევ ქრისტეს წინათ საქართველო და სომხეთი მეზობლად ყოფილან. მაგრამ თავდაპირველად სომხეთს მცირე მიწაწყალი ეკავა და მხოლოდ მას შემდგომ რაც ანტიოქოს დიდის სარდლებმა არტაქსიმ და ზარიადრმა ცალ-ცალკე ორი სომეხთა სამეფო დაარსეს, თვით სომხეთის ვითარცა პოლიტიკურ ერთეულის სამზღვრებიც გაფართოვდა*“ - წერს იგი და ამ აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს სტრაბონის ცნობა: „*ეს ზრდა მათი მოსახლეობის ბუნებრივ განვითარებისა და გამრავლების შედეგი არა ყოფილა. სტრაბონის ცნობით სომხეთის მეფეებმა მეზობლებს მიწები წაართვეს*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 16]. აქ საუბარია გუგარენზე ანუ გუბარეთზე, რომელიც „*ეხლანდელ ბორჩალოს მაზრის სამხრეთის ნაწილს უდრიდა, რომელიც დაახლოვებით ჭოჭკანისა, ბოლნის-დბანისის, ლოქის ხეობათა, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს შეიცავდა, ზოგჯერ გუგარეთს პოლიტიკურ მიზეზების გამო უფრო ვრცელი მნიშვნელობა ენიჭებოდა და უფრო ფართოდაც იყო ხოლმე შემოხაზული*“. ამავე აზრის დასტურად მოჰყავს აგრეთვე პლინიუსისა და მის შემდგომი პერიოდის ცნობებიც.

ივ. ჯავახიშვილი საუბრობს ქვემო ქართლის ამ ნაწილის შემდგომი მოვლენების შესახებაც - სომხეთის სახელმწიფოს მიერ ამ ტერიტორიაზე არაერთხელ შემოჭრის შესახებ. თუმცა ასკვნის, რომ მიუხედავად ასეთი ქმედებებისა და სომხების მიერ აქა-იქ საეკლესიო ძეგლებისა და კულტურული კერების შექმნისა, „*თვით ქვეყანა წინანდებურად ქართული იყო და ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილად ითვლებოდა*“-ო [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 21]. სწორედ ამ მიზეზით ხსნის იგი იმ გარემოებას, რომ XI საუკუნის მემატიანე ლეონტი მროველი ქართლის აღმოსავლეთ საზღვრად მიიჩნევს ჰერეთსა და მდ. ბერდაოჯს (ამჟამად დებედა) და სამხრეთიდან - მთას, „*რომელი მიჰყუების ბერდაოჯის მდინარის თავსა*“.

ივ. ჯავახიშვილის ქვემო ქართლი ჩვენი ქვეყნისადმი „უცილობელი კუთვნილების“ საკითხს სხვადასხვა ფაქტორის ფონზე განიხილავს. ეს ფაქტორებია:

- **ისტორიული ფაქტორი.** გუგარეთი ანუ ქვემო ქართლი საქართველოს შემადგენლობაში იყო: „*სხვათა შორის მაშინ ქართველთა ტომებისათვისაც წაურთმევიათ პარიადრის სანახები, რომელიც ტაოსა და სპერს შეიცავდა, ხორზენი და გუგარეთი (გუგარენი), ხოლო ხალიბებსა და მოსინიკებს - კარინი და დერქსინი (იქვე). ეს ამბავი 191 წ. (ქ. წ.) შემდეგ მომხდარა და სომეხთა პირველი იერიშია ქართვ[ელ]თა მიწა-წყლის დასაპყროობად.*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 16]. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, გუგარენა ანუ გუბარეთი სხვადასხვანაირად მოიაზრებოდა, თუმცა სტრაბონის მიერ დასახელებული ტოპონიმი ბორჩალოს მაზრის სამხრეთის ნაწილის შესატყვისია და მოიცავდა: ჭოჭკანს, ბოლნის-დბანისს, ლოქის ხეობებს, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს, ე.ი. თანამედროვე ქვემო ქართლის მიღმა დღეს დარჩენილ ტერიტორიებსაც;
- **ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი.** გუგარეთი სამი მხრიდან - აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთიდან შემოფარგლულია მაღალი და ციცაბო ქედებით (ბამბაკისა და ე.წ. სომხეთის ქედები). ჩრდილოეთიდან ასეთი მკვეთრი ბარიერის არარსებობის, ხოლო მეორე მხრივ, მდინარეთა ხეობების ჩრდილოეთისაკენ გახსნილობის გამო, მჭიდროდ არის საქართველოსთან დაკავშირებული: „*მთელი ეს ქვეყანა გეოგრაფიულად ისე მჭიდროდ არის საქართველოსთან დაკავშირებული, რომ როგორც თვით ქვეყანას, ისევე ყველა იქაურ მდინარეებსა და რასაკვირველია გზებსაც ჩრდილოეთისაკენ, მტკვრისა და ტფილისისაკენ აქვთ პირი მიბრუნებული*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 17];
- **ეკონომიკური ფაქტორი:** „*ქვემო ქართლი მარტო სამხედრო თვალსაზრისითა და მნიშ-ვნელობით-კი არ იყო დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, არამედ მაშინაც მთელი თავის მდებარეობით და გზებით. მთელი თავის ქონებრივი ძალღონითაც, ეკონომიურადაც ის დანარჩენ საქართველოსთან და აღმ. საქართველო მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული.*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 27];

[1] რუკა თან ერთვის ს.დ. ბურნაშევის წიგნს, რომელიც ხელმეორედ გამოიცა 1896 წელს [Бурнашев, 1896]. წიგნი დაცულია საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ბიბლიოთეკაში.

- **დემოგრაფიული ფაქტორი:** შექმნილი მძიმე ვითარების გამო, „*სარწმუნოებრივ და ეროვნულ-პოლიტიკურ დევნისაგან სომხობა თავის ქვეყნითგან იყრებოდა, მამაპაპე[უ]ლს მიწაწყალს სტოვებდა და სხვა უფრო მყუდრო ქვეყნებში და სახელმწიფოებში ეძებდა თავშესაფარს... სრულებით ბუნებრივია, რომ ისინი სახლდებოდენ განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისინი შემოიხიზნებოდენ ხოლმე სწორედ ქვემო ქართლში...*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 28]. ამგვარად იცვლებოდა ამ მხარის ეთნიკურ-კონფესიური სტრუქტურა. თუმცა მეცნიერი ამასთან დასძენს, რომ „*თუ წინათ ეს გადმოსახლება სტიქიური თვისებისა იყო და მას არავითარი პოლიტიკური მიდრეკილება და მნიშვნელობა არ ჰქონდა, მე-XVIII-ე საუკ.-ის დასასრულს გარკვეული პოლიტიკური ელფერიც ზედ დაერთო*“-ო [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 29]. რას გულისხმობს იგი? რა თქმა უნდა, რუსეთის მიერ „სომეხთა საკეთილდღეოდ“ შედგენილ გარკვეულ პოლიტიკურ გეგმას.

ივ. ჯავახიშვილი ამავე ნაშრომში ეხება ტოპონიმ „სომხითის“ საკითხსაც. მას მიაჩნია, რომ იგი გაჩნდა ამ ტერიტორიაზე სომხების პოლიტიკური ბატონობის პერიოდში და მხოლოდ ბოლნის-დმანისის ხეობებსა და ლორეს ველს მოიცავდა. იმ ფაქტის დასტურად, რომ ეს ოდითგანვე ქართველების კუთვნილებაში შემავალი ტერიტორია იყო, მოჰყავს „...*თვით ქვეყანას სომხებიც თავისდა-თავად ქართველთა კუთვნილებად სთვლიდენ... საყურადღებო ისაა, რომ ვითარცა საგეოგრაფიო ტერმინი მარტო ქართულად და ქართველ მწერლობაში იხმარებოდა: სომხები და სომხური საისტორიო მწერლობა ამ ქვეყანას „სომხითს“ არ ეძახდენ. პირიქით ისინი ლორე-ტაშირის ველს „ქართველთა ველს“ უწოდებდენ*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 21] – წერს ამის შესახებ დიდი მეცნიერი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1919 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს მიერ ოფიციალურად წარდგენილ რუკაზე ქვემო ქართლის ეს ტერიტორია ჩვენი ქვეყნის ფარგლებშია. კერძოდ, საზღვარი გასდევს მდ. დებედის მდგენელების – ძორაგეტისა და ფამბაკის (ბამბაკის) წყალგამყოფს – ბეზობდაღის (ბაზუმის) ქედის თხემს. უფრო აღმოსავლეთით კი საზღვარი გასდევს მდ. დებედის ქვემო და შუა წელს. თუმცა საზღვრის ეს ხაზი ივ. ჯავახიშვილს ისტორიულ მიჯნად არ მიაჩნია, იგი უფრო სამხრეთით გადის. როგორ ხსნის ამ გარემოებას დიდი მეცნიერი? ეს ერთი იმ ტერიტორიათაგანია, რომლის „*საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა შეიძლება*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 51].

სახელმწიფოებრივი აზროვნების ამ ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითის ფონზე, ივ. ჯავახიშვილის დიდ აღშფოთებას იწვევს სომხეთის პრეტენზიები და პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილი დოკუმენტაცია. იგი საუბრობს 1919 წელს სტამბოლში გამოცემულ სომხეთის ორ რუკაზე, სადაც არა თუ ქვემო ქართლის ეს ტერიტორია, არამედ ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც კი სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული.

საქართველო-სომხეთის საზღვრების საკითს ივ. ჯავახიშვილი შეეხო მანამდეც, როცა 1918 წლის დეკემბერში სომხეთის ჯარი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს. იმდროინდელმა პრესამ შემოგვინახეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობები ამის შესახებ. ამ შექმნილ ვითარებას გამოეხმაურა ივანე ჯავახიშვილიც [მაცაბერიძე, 2016][1]. მან წაიკითხა ორი ლექცია: 18 დეკემბერს ქართულ უნივერსიტეტის № 1 აუდიტორიაში - „ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა“ [გაზეთი „საქართველო“, 20 დეკემბერი, 1918 წ., № 244 გვ. 3] და 22 დეკემბერს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კლუბში (ლორისმელიქოვის № 1) – „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“[2]

როგორც საგაზეთო პუბლიკაციებიდან ირკვევა, ივ. ჯავახიშვილს კომპლექსურად შეუფასებია არსებული ვითარება. საქართველოს სამხრეთი ტერიტორიის ამ ნაწილის ისტორიული მიმოხილვისა და სტრატეგიული მნიშვნელობის შეფასების გარდა, მან ის ეკონომი-

---

[1] აღნიშნული კვლევა იხილე ალმანახის ამავე ტომში [მალხაზ მაცაბერიძე. ივანე ჯავახიშვილის ორი ლექცია საქართველოს სამხრეთი საზღვრის შესახებ (1918 წლის 18 და 22 დეკემბერი)].

[2] გაზეთი „საქართველო“, 22 დეკემბერი, 1918 წ., № 246 გვ. 2]. ზოგიერთ საგაზეთო პუბლიკაციაში ივ. ჯავახიშვილის მოხსენება ასეა დასათაურებული: „საქართველოს სომხეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“.

კური კავშირებიც ახსნა, რომელიც ახალციხეს, ახალქალაქს, ლორეს, ბამბაკს საქართველოს ძირითად ნაწილთან აკავშირებდა: *„სადავო ადგილები: ახალციხე-ახალქალაქი, ლორე და ბამბაკი ეკონომიურად სულაც არ არიან დაკავშირებული სომხეთთან, როგორც სომეხთა საზოგადო მოღვაწენი ამტკიცებენ, ამ ადგილებზე მცხოვრებთ ბუნებრივი სიმაღლეების გამო სომხეთისაკენ გადასვლა ძლიერ ეძნელებათ, მაშინ, როცა ჩრდილოეთისკენ (ჩვენსკენ) მშვენიერი გზატკეცილები აქვთ.“*[1]

ასევე შექმნილი ვითარების გამოძახილი იყო ივ. ჯავახიშვილის კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიების ახალ ტალღას უკავშირდება. დაუსათაურებელი ეს ნაშრომი არ გამოქვეყნებულა მეცნიერის სიცოცხლეში და ხელნაწერის სახით ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში.[2] ამ ხელნაწერის შესახებ გამოკვლევა ეკუთვნის ვ. გურულს, ა. არაბულსა და მ. ვაჩნაძეს [1998][3]. ნაშრომში ორი უმთავრესი საკითხია განხილული: ერთი ეხება ტერიტორიულ დავას საქართველოსა და სომხეთს შორის XX საუკუნის დასაწყისში, ხოლო მეორე - რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის საკითხებსა და დემოგრაფიულ პროცესებს XIX-XX საუკუნეებში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია საქართველოში სომხების ჩამოსახლებაზე.

ივ. ჯავახიშვილი ამ საქმესთან დაკავშირებით მოიხსენიებს ფრიტიოფ ნანსენს (1861-1930) - ცნობილ ნორვეგიელ მოგზაურს, პოლარულ მკვლევარსა და საზოგადო მოღვაწეს: *„... ფრ. ნანსენმაც ტფილისში ჩამოსვლისთანავე ამავე საკითხზე დაიწყო ლაპარაკი და უნდოდა გაეგო, თუ რამდენად შესაძლებელი იყო საქართველოს ამ კუთხეში ლტოლვილი სომხების დასახლება“*[4]

მესხეთი, ანუ ზემო ქართლი

ზემო ქართლი, იგივე მესხეთი ქართლის ნაწილია, რომელიც უმთავრესად მოიცავდა მდ. მტკვრის ზემო წელის აუზს. მის ფარგლებში მოიაზრებოდა აგრეთვე თორი და ტაო-კლარჯეთი, რომელიც მდ. მტკვრის აუზში არ მდებარეობს და მოიცავს მდ. ჭოროხის ზემო წელის აუზს. საუკუნეთა მანძილზე აქ სხვადასხვა ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეულები, თემი მდებარეობდა: *„მესხეთის სანაპირო თემებად აღმოსავლეთითგან რომ მოვაყოლოთ შემდეგი ადგილები იყო: ჯავახეთ-აბოცი, არტაჰან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 35].

მესხეთის სამხრეთ საზღვარს ივ. ჯავახიშვილი ერთიან ჭრილში განიხილავს, თუმცა ისტორიული ფაქტების მოშველიებისას, ნარატივს ცალკეული თემების მიხედვით აგრძელებს.

აბოცს, იგივე პალაკაციოს, იგი მესხეთსა და ქვემო ქართლს შუა მდებარე თემად მოიხსენიებს. თუმცა 1923 წლის რუკის მიხედვით ეს ორი თემი ცალ-ცალკეა დატანილი: პალაკაციო დასავლეთით, ხოლო აბოცი - აღმოსავლეთით. *„... აბოცის სამხრეთის სამზღვარი*

---

1 გაზეთი „საქართველო“, 20 დეკემბერი, 1918 წ., № 244 გვ. 3.

2 საქართველოს უსახლესი ისტორიის არქივი, 471-1-98, ფ. 82-111.

3 იხ. სტატია ალმანახის ამავე ტომში [ვ. გურული, ა. არაბული. ივანე ჯავახიშვილი საქართველოში სომეხთა ჩამოსახლებისა და სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ].

4 1919 წელს ფრიტიოფ ნანსენი დაინიშნა ერთა ლიგის უმაღლეს კომისრად ლტოლვილთა საკითხებთან დაკავშირებით. 1920-1922 წლებში იგი იყო ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი რუსეთის სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საქმეში, ხოლო 1922 წელს – ლტოლვილთა საქმეში [Нансен, 2015. стр. 6]. ამ მიზნით 1922 წელს იგი ჩავიდა კონსტანტინეპოლში და თურქეთის მთავრობის სახელით ლტოლვილებს მიმართა, რომ მათ უნდა დაეტოვებინათ თურქეთი და ურჩევდა რუსეთში დაბრუნებას. მოგვიანებით, 1924 წელს შეიქმნა ნანსენის კომიტეტი (რომლის ცენტრი მდებარეობდა ჟენევაში), რომელიც გასცემდა ე.წ. ნანსენის პასპორტებს. ამ დოკუმენტს ლტოლვილებისათვის უნდა მიეცა სამუშაოს მიღების შესაძლებლობა სხვადასხვა ქვეყანაში [Пеньковский, ინტერნეტრესურსი]. 1925 წელს ერთა ლიგამ მას დაავალა შეესწავლა იმ სომეხ ლტოლვილთა დასახლების შესაძლებლობა, რომლებიც თურქეთიდან იყვნენ დევნილნი. ნანსენი თანაუგრძნობდა ლტოლვილ სომხებს და ყველაფერს აკეთებდა მათ დასახმარებლად. თავის მემუარებში სომხების შესახებ იგი წერდა: „არსებობს კი დედამიწის ზედაპირზე თუნდ კიდევ ერთი ისეთი ხალხი, რომლებიც ისევე იტანჯებოდნენ როგორც ისინი, მიტოვებულნი და ნაღალატენი ყველასგან, მათ შორის იმათგანც, ვინც წმინდა სამართლიანობის სახელით აძლევდნენ დახმარების პირობას“. სწორედ მისი ძალისხმევით მოხერხდა რამდენიმე ათასი სომეხის განსახლება საბჭოთა კავშირისა და სირიის ტერიტორიაზე [Нансен, газета, 2015, стр. 6].

იწყობა იქ, სადაც ირჯანის ანუ ყარაღაჯისა და ბერდუჯის (ბეზობდალის) მთების შესაყარია“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 36] - წერს ივ. ჯავახიშვილი. ე.ი. აღნიშნული თემის აღმოსავლეთ საზღვრად თანამედროვე ჯავახეთის ქედი (ქვემო ქართლისაგან გამმიჯნავი) აქვს მიჩნეული. თემის სამხრეთ საზღვრად კი დასახელებულია ბაბას მთები: „*აქეთგან ხაზი მიდის ბაბას მთების ქედ-ქედ დიდ აღბაბის მწვერვალამდე.*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 36].

საკუთრივ მესხეთის საზღვრად კი ივ. ჯავახიშვილს კარის ანუ ყარსის მთები აქვს დასახელებული. საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით ეს ალაჰიუეკბერის ქედია (хребет Аллахюэкбер) - ქედი, რომლის ერთ-ერთ მწვერვალზე (მ. ყიზილ-გიადუკი, 2742 მ) სათავეს იღებს მდ. მტკვარი. ქედი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს, ერთი მხრივ, მდინარეების მტკვრისა და ჭოროხის, ხოლო მეორე მხრივ, არაქსის, იგივე არეზის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) აუზებს. კიდევ უფრო დასავლეთით „*საზღვარი მიდის ძველ დროს ირიჯლუს მთებად წოდებულ ჭოროხისა და არეზის შემდინარეების წყალთგამყოფელი მთების ქედზე, მერმე ჩრდილო-დასავლეთით უხვევს, სანამ ლაზისტანის სამზღვარს არ მიადგება.*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 36].

ისტორიული გარემოებების გარდა, ივ. ჯავახიშვილი ასევე ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორებითაც ხსნის მესხეთის საქართველოსადმი მიკუთვნებულობის საკითხს, კერძოდ „... *საკმარისია ადამიანმა ახალქალაქის გეოგრაფიული პირობები გაითვალისწინოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რამდენად თვით ამ ქვეყნის ბუნებრივი აგებულობა ეწინააღმდეგება მის შეერთებას გუმბრთან (ალექსანდროპოლთან). ერევნის გუბერნიისა და გუმბრისა და ყარსისაგან ჯავახეთსა და სამცხეს ერუშეთს ანუ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს და ყარსის ოლქის ფოცხოვის უბანს მაღალი 7-8 თვის განმავლობაში თოვლიანი და გაუვალი ჯერ ბერდუჯის მთების (=რუსულს Безобдальскій хреб.) დასავლეთი ნაწილი, შემდეგ აბოცის მთების (=რუსულს Мадатапинскій хреб.), მერმე ნიალის-ყურის მთის (=რუსულს Чалдырскій хреб. და Ульгарскій хреб. აღმოსავლეთს ნაწილს), დასასრული ერუშეთის მთის (=რუსულს Ульгарскій хреб.) სახელებით ცნობილი უღელტეხილი ჰყოფს.*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 42]. როგორც მეცნიერი აღნიშნავს, მდინარის ხეობათა ორიენტაცია - მათი გაშლა ჩრდილოეთის მიმართულებით - არის ის მთავარი გარემოება, „*რომ ეკონომიურადაც ამ კუთხეს მხოლოდ საქართველოსთან შეეძლო რომ ჰქონოდა კავშირი. ასე იყო ყოველთვის წარსულშიც.*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 42]. ამ ნარატივში ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ არსებობდა ეკონომიკური კავშირურთიერთობები არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოსთანაც.



ნახ. 13. პურისა და მარცვლეულის წლიური წარმოება ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში XX საუკუნის დასაწყისში

(ივ. ჯავახიშვილის მიხედვით)

მესხეთის მთელი ტერიტორიის საქართველოსადმი მიკუთვნებულობის დასტურად ივ. ჯავახიშვილი ეკონომიკურ ფაქტორსაც იშველიებს: „მე-XVIII-ე ს-შიაც კი, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება და *იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, სანოვაგე, განსაკუთრებით-კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად.*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 42], მას მოჰყავს ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში წარმოებული პურისა და სხვა მარცვლეულის ის ოდენობა, რომელიც გადიოდა მისი ტერიტორიიდან (ნახ. 13). ამ ციფრებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ საქართველოდან მოწყვეტილ ამ მხარეებს შენარჩუნებული ჰქონდა მჭიდრო ეკონომიკური კავშირი დედასამშობლოსთან, მაშინ როცა სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან ასეთი კავშირურთიერთობები აშკარად სუსტი ყოფილა. კერძოდ, დანარჩენ საქართველოს ტერიტორიაზე გატანილი პურისა და სხვა მარცვლეულის ოდენობა რამდენიმე

ათეულჯერ აღემატებოდა სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში გატანილს. 1910-1912 წლებში, როცა მთელს სამხრეთ კავკასიაში ადგილი ჰქონდა მარცვლეული კულტურის წარმოების ზრდას, ეს მაჩვენებელი მაღალი ყოფილა (58-131-ჯერ მეტი). ამგვარივე ვითარებაა 1914 წელს, I მსოფლიო ომის დაწყების წელს, როცა პურისა და მარცვლეულის წარმოება კატასტროფულად შემცირდა მთელს საქართველოში, თუმცა ზემოთ დასახელებული მაზრებიდან დანარჩენ საქართველოს ტერიტორიაზე გატანილი ამ სასოფლო კულტურების ოდენობა მაინც მაღალი შენარჩუნდა (დაახლოებით 14-ჯერ აღემატებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანილს).

მჭიდრო ეკონომიკური კავშირის ძველად არსებობის დასტურად ივ. ჯავახიშვილი ასევე ვახუშტი ბაგრატიონის მოსაზრებას იშველიებს: *„ეს კუთხე* [მესხეთი - ავტ.] *იმდენად აუცილებელი იყო საქართველოს მესაქონლეებისათვის, რომ მაშინაც-კი როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, საქონლის პატრონები, განსაკუთრებით მეცხვარეები იძულებული იყვნენ სხვა სახელმწიფოში გადასულიყვნენ საქონლით და მთელი ზაფხული იქ გაეტარებინათ... როგორც წარსულშიც, საუკუნეთა განმავლობაში, ეხლაც აღმოსავლეთ საქართველოს დიდძალი საქონელი პატრონებს აქ მოჰყავთ და აძოვებენ. მაშასადამე სრულებით ცხადია, რომ თუმცა მე-XIX-ე ს.-ში შემთხვევითი მიზეზების გამო ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში სომეხი ლტოლვილები დაეშენნენ და ქართველთა მოსახლეობა აქ მცირერიცხოვანია, მაგრამ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენს მოსახლეობას ამ მაზრებთან არამც თუ ეკონომიური კავშირი არ შეუწყვეტია, არამედ წინანდებურად უმჭიდროესად მასთან არის დაკავშირებული.“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 43-44].

კოლა-არტაანი, ტაო-თორთუმ-ისპირი



ნახ. 14. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არტაანისა და ოლთისის ოლქებში, 1889 წ.

(ივ. ჯავახიშვილის მიხედვით)

„...ეხლანდელ ყარსის გუბ.-იის არტაანისა და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტაანსა და ტაოს ჩრდილოეთს ნაწილს უდრიდენ, საუკუნეთა განმავლობაში ქართველ მოსახლეობას და ერს ეკუთვნოდა. მხოლოდ XVII ს-ითგან მოყოლებული არტაანისა და ოლთისის ოლქში თურქთა 200 წლის ბატონობის და ისლამის წყალობით ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენა დავიწყებული აქვთ“ - წერს ივ. ჯავახიშვილი. დიდი მეცნიერის ეს მოსაზრება დემოგრაფიული ვითარების ანალიზს ეფუძნება, საიდანაც ირკვევა, რომ 1889 წლისათვის არტაანისა და ოლთისის ოლქებში ქართველების საერთო რიცხოვნობა იყო 97 ათასზე მეტი, ხოლო სომხების მცირედ აღემატებოდა 5 ათასს, ე.ი. ქართველები თითქმის 20-ჯერ მეტი იყო, ვიდრე სომხები (ნახ. 14). ამასთან ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს თვით ვინმე ა. შაჰატუნიანის 1918 წლის ჩანაწერი, რომ *„აქ სომხები უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენო“ და ამის გამო ამიერკავკასიის გადამიჯვნის დროს სომხეთის სამზღვრებს გარეშე დავტოვეთო Административный переделъ Закавказскаго Края - ტფილისი 1918 წ. გვ. 73-74 და 75)“* [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 46].

ლაზისტანი

ქართველთა მოსახლეობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაპირად ივ. ჯავახიშვილი ლაზეთს, იგივე ლაზისტანს, ანუ ჭანეთს მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ ასეთივე ვითარება იყო წარსულშიო. ამასთან იგი საუბრობს XIX საუკუნეში მათი რიცხოვნობის შემცირებასა და „გათურქება“-ზე. ლაზების განსახლების არეალს იგი ტრაპიზონის დასავლეთითაც მოიაზრებს და ქალაქ ტრაპიზონს მათ კუთვნილებად მიიჩნევს. თუმცა წარმოდგენილი ნაშრომის

დაწერის მომენტისათვის, ე.ი. 1919 წლისათვის კი „...*ლაზური ან ჭანური მოსახლეობა მხოლოდ რიზეს სანჯაყით*“, იგივე ლაზისტანის სინჯაყით განისაზღვრებაო. იმ პერიოდში ლაზისტანის სანჯაყში 2 ოლქი (ათინას, რიზეს) იყო გაერთიანებული. საქართველოს მოსაზღვრედ მდებარე ათინას ოლქში ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი „*დედაენა ჭანური ანუ ლაზური*“, ხოლო განაპირა რიზეს ოლქში დედაენა უკვე დავიწყებული ჰქონიათ და „*თურქული შეუთვისებიათო*“-ო. [ჯავახიშვილი, 1919. გვ.46].

ნაშრომში საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი ათინასა და რიზეს ოლქებს შორის საზღვარი, თუმცა აქ არაფერია ნათქვამი რიზეს ოლქის, ე.ი. მთელი ლაზეთის სამხრეთ საზღვარზე. ივ. ჯავახიშვილს იგი მხოლოდ ზოგადად აქვს განხილული, როცა საუბრობს მესხეთის სამხრეთ საზღვრებზე: „...*სამზღვარი მიდის ძველ დროს ირიჯლუს მთებად წოდებულ ჭოროხისა და არეზის შემდინარეების წყალთგამყოფელი მთების ქედზე, მერმე ჩრდილოდასავლეთით უხვევს, სანამ ლაზისტანის სამზღვარს არ მიადგება.*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 36]. მაგრამ არაფერია ნათქვამი სად გადის ზუსტად ლაზისტანის სამხრეთი საზღვარი. თუმცა მასზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ „საქართველოს ისტორიულ რუკის“ [1923] მიხედვით. ჭანეთის თემის საზღვარი აქ ქ. ოფსა (მცირე ქალაქი) და ხანზირს (დაბა-სოფელი) შორის, მდინარე კალაპოტამოსის (შავ ზღვას ერთვის ქ. ხოფსა და ქ. რიზეს შორის) ხეობაზე აქვს გატარებული. შემდგომ საზღვარი აღწევს ლაზეთის ქედს (იგივე ჭანეთის, აღმოსავლეთ პონტოს ქედი) და მთა რკინის პალოს, ანუ იმ მწვერვალამდე, რომელიც საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკაზე აღნიშნულია სიმაღლითი ნიშნულით 3478 (მ), რომლის გეოგრაფიული კოორდინატებია: ჩ.გ. 40°31'30'' და. ა.გ. 40°28'13''[1].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ჭანეთის შესახებ უნდა აღინიშნოს. უძველეს პერიოდში, კერძოდ, IV საუკუნის II და V საუკუნის I ნახევარში, VIII საუკუნეში, XIII საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და XIV საუკუნის I ნახევარში, XIV საუკუნის 10-20-იან წლებში, XV საუკუნის II ნახევარში ჭანეთი ეგრისის (ლაზიკის) შემადგენლობაშია. ასეა იგი ასახული საქართველოს ისტორიულ ატლასში [2016. გვ. 6, 9, 26-27, 32-33, 34, 36]. ამგვარად, ისტორიის საკმაოდ დიდი პერიოდისათვის ჭანეთი საქართველოს შემადგენლობაშია. თუმცა ივ. ჯავახიშვილისეულ არცერთ რუკაზე ისტორიული დროის არცერთი მომენტისათვის (ქრ.შ. I ს., XII ს, 1783 წ., 1922 წ. და მანამდელი საზღვარი საქართველოს რესპუბლიკის) ჭანეთი არ არის მოქცეული საქართველოს ფარგლებში. თუმცა იგი ამ ტერიტორიას ქართველებით/ქართველური ტომებით დასახლებულად მოიხსენიებს. გამონაკლისია მხოლოდ 1919 წლით დათარიღებული საქართველოს რუკები (ქართულ-ფრანგული გამოცემები). მართალია, არც აქ არ არის ჭანეთი მოცემული რუსეთის იმპერიის ფარგლებში, მაგრამ იგი მოქცეულია საქართველოს მიერ მოთხოვნილ საზღვრებში (ოფიციალურად წარდგენილი 1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე).

არც 1922 წლით დათარიღებულ რუკაზე [ჯავახიშვილი, 1922] არ არის ჭანეთი მოქცეული საქართველოს ფარგლებში, ვინაიდან მასზე მოცემული საზღვრები მხოლოდ ორ პერიოდს - 1921 წლამდე, ე.ი. გასაბჭოებამდელს და მის შემდგომს ასახავს. არც „საქართველოს ისტორიულ რუკაზეა“ [1923] - ისტორიული პერიოდის არცერთი მომენტისათვის იგი ნაჩვენები ჩვენი ქვეყნის საზღვრებში. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან არც ამ დროისათვის ჭანეთი არ შედიოდა ერთიანი საქართველოს ფარგლებში. მაგრამ კითხვას ბადებს 1930 წლით დათარიღებული „საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა“, სადაც მეცნიერი არ იყო შეზღუდული პოლიტიკური კონიუნქტურით და სადაც მას მხოლოდ გეობოტანიკური სურათი უნდა წარმოჩინა, რატომაა ჭანეთი საქართველოს გარეთ დატოვებული? რუკის თემა ხომ ეკონომიკური იყო და არა პოლიტიკური. ამიტომ მეცნიერი შეზღუდული არ უნდა ყოფილიყო და პოლიტიკური სიფრთხილეც არ დასჭირდებოდა. მითუმეტეს, რომ ამავე რუკაზე ჩვენი ქვეყნის ფარგლებშია მოქცეული ისტორიული საქართველოს შემდეგი ტერიტორიები: ჯიქეთი, დვალეთი, ჰერეთი, ლორე, კოლა-არტაანი, ტაო-კლარჯეთი.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ უნდა გამოირკვეს ივ. ჯავახიშვილი ისტორიის რომელი პერიოდისათვის აქცევს ჭანეთს საქართველოს ფარგლებში და საერთოდ, მისი აზრით, არის თუ არა ჭანეთი საქართველოს ისტორიული ტერიტორია. თუ ამ კითხვას დიდი მეცნიერი უარყოფითად პასუხობს, ანუ თუ ქართველური მოდგმით დასახლებული ეს ადგილი მას არასდროს არ მიაჩნდა საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზმში ინტეგრირებულად, მაშინ

[1] მთა რკინის პალოს ლოკალიზაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული და სადისკუსიო საგნადაა ქცეული.

არ უნდა წარმოქმნილიყო მასზე ტერიტორიული პრეტენზიები და არ უნდა ასახულიყო იგი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოდან წარდგენილ დოკუმენტაციაში, რომლის შედგენაში, როგორც ცნობილია, აქტიური მონაწილეობა მიიღო ივ. ჯავახიშვილმა. აქედან გამომდინარე, უფრო სარწმუნოა, რომ მეცნიერი ჭანეთს საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად განიხილავდა. თუმცა ეს საკითხი მაინც დამატებით ახსნას მოითხოვს.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ივ. ჯავახიშვილს ჭანები ერთ-ერთ ქართველურ ტომად მიაჩნია და ეს სრულიად ბუნებრივია. აი, რას წერს იგი „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომში, სადაც წარმართობაზეა საუბარი: „*ინგუშებსა და ჩაჩნებს უფრო ნაკლებ აქვთ დღეთა წარმართული სახელები და მათ შესახებ ცნობა შენახული, ვიდრე ქართველთა ტომებს, მეგრელებს, ჭანებსა და სვანებს*“ [ჯავახიშვილი, 1979. გვ. 157].

რაც შეეხება ჭანეთის საქართველოში პოლიტიკურად ინტეგრირებას, ივ. ჯავახიშვილი ნაშრომში - „საქართველოს ეკონიმიური ისტორია“ პირდაპირ გადაჭრით აღნიშნავს: „*ჭანეთს, რომელიც პოლიტიკურად მხოლოდ ხანმოკლე დროს მოექცა საქართველოს საზღვრებში, ორი ზოლი ჰქონდა: „ზღვის კიდური“ და „მთის კერძონი.*“ [ჯავახიშვილი, 1996. გვ. 328). სამწუხაროდ, მეცნიერი არ გვეუბნება როდის იყო ეს ხანმოკლე დრო, თუმცა ქვეყნის ძნელბედობის დროზე საუბრისას მიუთითებს „*სრულიად საქართველოს დაშლის შემდგომ შექმნილი ქართული სამეფოები და სამთავროები მართალია ურთიერთს ხშირად ებრძოდნენ და რაკი თითოეული თავის საბრძანებლის საზღვრების გაფართოებასა ცდილობდა, ამ სამეფო-სამთავროების მოხაზულობა ხშირად იცვლებოდა, მაგრამ მაინც ყველა ამ ერთეულებს უეჭველია თავიანთი ჩვეულებრივი და ასე თუ ისე უდავო საზღვრებიც ექნებოდათ. ეს ჯერ ერთი იმიტომ იყო შესაძლებელი, რომ თითოეული ამ ერთეულთაგანი ამა თუ იმ წინანდელს თემს წარმოადგენდა.*“ [ჯავახიშვილი, 1982. გვ. 372]. ამ მსჯელობას მოსდევს საქართველოს ცალკეული მხარეების საზღვრების დახასიათება და მათ შორის გურიაზე საუბრისას „ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით ჭანეთსაც ასახელებს: „*გურიის სამთავროს „ეპყრა რიონს გაღმართი საჯავახო, იმას აქათი გამოსწურივ ღომისციხეს გადმოღმართი, ერგე, აჭარა და ჭანეთი რკინისპალოს აქათ.*“ [ჯავახიშვილი, 1982. გვ. 374].

ამასთან ჭანეთი როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს: „*შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ, ომის უფლების ძალით, თამარ მეფემ ეს მხარე საქართველოს კი არ შეუერთა, არამედ დააარსა ტრაპიზონის, მოსახლეობის შემადგენლობით და სახელმწიფოებრივად, უპირატესად, ბერძნული იმპერია, და დაკმაყოფილდა იმით, რომ მჭიდრო სამხედრო და პოლიტიკური კავშირი დაამყარა ამ ახლად მის მიერ შექმნილ სამფლობელოსთან. თუმცა ამ იმპერიის განაპირა მხარეს შეადგენდა ჭანეთი, რომლის მოსახლეობა ქართველური ტომი იყო და წარმოშობითაც და ენითაც ქართულის მონათესავე.*“ [ჯავახიშვილი, 1983. გვ. 412]. ამასთან იგი წერდა, რომ „... *იმის მაგივრად, რომ მრავალ საუკუნეების განმავლობაში დაშორებული და მოწყვეტილი ღვიძლი ძმები ლაზები და ჭანები ქართველობის გამო სამეფოსათვის მიემატებინა, თამარ მეფემ ტრაპიზონის სამეფო დააარსა და თავის ნათესავს ალექსი კომნენს ანდრონიკეს შვილს უბოძა.*“ [ავალიშვილი, 1989, გვ.91]. ამ მოსაზრებიდან ჩანს, რომ ამ ტერიტორიას მეცნიერი საქართველოს სახელმწიფოს ნაწილად – „ღვიძლი ძმები“-ით დასახლებულად მიაჩნევს და დანანებით აღნიშნავს იმ დროის ხელისუფალის გადაწყვეტილებას. თუმცა ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას ყველა როდი იზიარებს. ზ. ავალიშვილი დიდი მეცნიერის ამ მოსაზრებას ირედინტიზმს უკავშირებდა და არასაკმარის არგუმენტებად მიაჩნდა მისი მოსაზრებები, რომ ეს ტერიტორია ქართულ მიწებად „მონათლულიყო“. იგი შენიშნავდა: „*XIII საუკუნეში ეროვნული ერთობის შეგნება ისეთი ღრმა და გარკვეული არ იქნებოდა. კერძოდ, ზღვის ნაპირი ტრაპიზონიდან ჰერაკლიამდე ყოველ შემთხვევაში საქართველოს გაერთიანების სქემის გარეშე დარჩებოდა. ჭანეთი კი უფრო ვიწრო ფარგლებში რომ ავიღოთ, თუნდაც ტრაპიზონითურთ, ეს მხარე 1204 წ. საქართველოს პოლიტიკურ სფეროში ხომ ერთგვარად მოთავსდა და იმ დროის სახელმწიფო მოღვაწეთა თვალში ეს, ალბათ, შემოერთებას წარმოადგენდა... ვინ იცის სხვა პირობებში ქართული განათლება იქაც გავრცელდებოდა და ბერძნულის ადგილს დაიჭერდა და მაშინ საქართველოს ახალი ნაწილი, მართლაც, მიემატებოდა. ისტორიის ფაქტიური მსვლელობა სულ სხვა იყო.*“ [ავალიშვილი, 1989. გვ. 91-92].

ახლა სხვა მხრივაც შევხედოთ საკითხს. კერძოდ, ავიღოთ მეცნიერის ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, რომელსაც აქვს დართული სწორედ ხსენებული რუკა და ვნახოთ მასში ჭანეთის შესახებ არის თუ არა მსჯელობა. ხსენებული რუკა ხომ ამ წიგნში მოთხრობილის ილუსტრირებაა, ე.ი. წიგნში მოცემული შინაარსი და რუკის ცნობები ერთმანეთს უნდა ეთანხმებოდეს.

ივ. ჯავახიშვილი სასოფლო-სამეურნეო ტერმინების ანალიზისას ჭანურსაც ისეთივე სიხშირით იყენებს, როგორითაც საქართველოს სხვა მხარეების მასალებს. გარდა ტერმინების ანალიზისა, მეცნიერი როცა მევენახეობაზე საუბრობს, ცალკე პარაგრაფს უძღვნის ჭანეთში ამ დარგის განვითარებას და გულისტკივილით ამბობს: ***„ჭანეთის ყურძნის ჯიშების*** (ხაზგასმა - ავტ.) *არც აღწერილობა და არც სახელები, ერთის გარდა, არ მოგვეპოვება. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ შესაძლებელია ამით ჩვენ არა ერთი გამოურკვეველი სახელისა და მნიშვნელოვანი ზოგადი საკითხის გაგებისა და გაშუქების ერთი საშუალებათაგანი მოგვესპო.*" [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 486]. ამასთან ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, ისეთივე დეტალურობით იკვლევს ჭანეთს - მის ბუნებრივ პირობებს, აქ გავრცელებულ აგროკულტურებს და ა.შ. მაგალითად, მეცნიერი XVII ს. იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობებზე დაყრდნობით წერს, რომ სამეგრელოში მისდევდნენ ბრინჯის მოყვანასო. შემდეგ კი გადადის ჭანეთზე და ამბობს: ***„ჭანეთში ეხლაც ყოფილა*** (ხაზგასმა - ავტ.) *ბრინჯის ადგილობრივი, მუქი, მაგრამ გემრიელი ჯიში, რომელიც თურმე ურწყავი, მთაშიც-კი ხარობს და მშრალ ადგილებშიც იზრდება*"-ო. [ჯავახიშვილი, 1996. გვ. 381].

არც სხვა წყაროებიდან მოპოვებული მასალების ანალიზისას ტოვებს გვერდზე ივ. ჯავახიშვილი ჭანეთს: „*მევენახეობა-მეღვინეობისათვის საქართველოს ყოველი თემი და კუთხე თანასწორად გამოსადეგი და მარჯვე არ იყო. ზოგი თემის ნიადაგიცა და ჰავაც სასოფლო მეურნეობის ამ დარგისათვის საუკეთესოა და ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი სამშობლოს ეს ადგილები მევენახეობის მთავარ არედ ქცეულიყვნენ* [...] *კახეთსა და ეგრისს დანარჩენ თემებზე მეტი ჯიშები მიეკუთვნება, უკანასკნელი რიცხობრივადაც პირველს დიდად არ ჩამოუვარდება, ქართლსაც ოდნავ ნაკლები შეუქმნია, მაგრამ იმ დროს, როდესაც კახეთის ჯიშთა უმეტესობა საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული და ზოგად ჯიშებად იქცა, ქართლის ჯიშების უმეტესობა ქართლს არა სცილდება, იმერეთისა და ეგრისის ჯიშების არეც მხოლოდ ერთი-ორი თემის ფართობით განისაზღვრება. თუ მკვლევარი ამ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას გაითვალისწინებს, მაშინ უცილობელი შეიქმნება, რომ სრულიადი საქართველოს შემოქმედებითი მევენახეობის მთავარი ცენტრი კახეთი ყოფილა. „დასავლეთ საქართველოში კი პირველი ადგილი ეგრისს, მეორე არგვეთს და* ***მესამე ჭანეთს ეკუთვნის***" (ხაზგასმა - ავტ.) [ჯავახიშვილი, 1986. გვ. 609-610]. აქედან დასკვნა, რომ ივ. ჯავახიშვილი სელექციური, ანუ ახალი ჯიშების გამოყვანის მიხედვითაც, ჭანეთს საქართველოს მევენახეობის ერთ-ერთ დაწინაურებულ კერად განიხილავს და რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ შემოქმედებით პროცესში.

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაზე [ღეოგრაფიული აღწერა საქართველოსა, 1842] დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილი ახასიათებს საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივ პირობებს და ამავდროულად გვაძლევს ჭანეთის ბოტანიკურ და კლიმატურ დახასიათებას. მევენახეობაზე მსჯელობისას, იგი ცალკე განიხილავს საქართველოს მხარეებს და ცალკე საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებს. ამ უკანასკნელებში მოხსენიებულია ალბანეთი, სომხეთი და თურქეთი. საქართველოში კი ყველა მხარეა მოცემული აღმოსავლეთიდან - ჰერეთიდან (საინგილოდან) დაწყებული და ჭანეთით დამთავრებული.

ივ. ჯავახიშვილი განიხილავს რა ვახუშტისეულ გეობოტანიკურ კონცეფციას, აღნიშნავს: „*ჭანეთზეც იგივე გეოგრაფი ამბობს: ეს თემი არის „ხილიანი, ვენახიანი, მარცვლებით მოსავლიანი ბრინჯ-ბამბითურთ"-ო.* [...] *ცხადია, რომ ვახუშტის მთელი საქართველო სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის თვალსაზრისით რამდენიმე ბოტანიკურ და აგრონომიულ არედ აქვს დანაწილებული და ბრინჯ-ბამბიანობა, თუ ვენახ-ხილიანობა, ან უვენახობა ტერიტორიის მოსავლიანობა-ნაყოფიერების საზომებად აქვს გამოყენებული.*" [ჯავახიშვილი, 1996. გვ. 312]. ამდენად ვახუშტის კვალობაზე ივანეც ჭანეთს საქართველოს ერთ-ერთ მხარედ განიხილავს.

ანალოგიური შეიძლება ითქვას ხორბალზეც. მეცნიერი ასახელებს ხორბლის მეგრულ და ჭანურ შესატყვისებს „ქობალს" და „ქოვალს" და აღნიშნავს „*საქართველოს ორიოდე გეოგრაფიული სახელი*[1] *უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ძველად „ქვაბალი" და „ქობალი" მარტო დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და ჭანეთში კი არ ყოფილა, არამედ ეს ტერმინი აღმოსავლეთ საქართველოშიაც უხმარიათ*" [ჯავახიშვილი, 1996. გვ. 340].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი ასახელებს ტოპონიმებს „ქვაბლოვანს" (ალაზნის აუზში) და „ქვაბლიანს" (მესხეთში) [ჯავახიშვილი, 1996. გვ. 341].

ის ფაქტი, რომ ივ. ჯავახიშვილი ჭანეთს ისტორიული საქართველოს ტერიტორიად განიხილავს, შემდეგი სიტყვებითაც დასტურდება: „**ქართველთა მოსახლეობის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთ ნაპირი ჭანებს, ანუ ლაზებს უკავია.** ასე იყო წარსულშიაც. მათი კილო მეგრულს ახლო უდგება. **ოდესღაც ლაზების ანუ ჭანების მოსახლეობა ტრაპიზონსაც-კი სცილდებოდა** და თვით ეს ქალაქი და ოლქიც მათ ქვეყანას ეკუთვნოდა.“ (ხაზგასმა - ავტ.) [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 46].

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ივ. ჯავახიშვილი ჭანეთს ისტორიული საქართველოს ნაწილად თვლის და მასაც ისეთივე გამოწვილვით სწავლობს, როგორსაც ქართლს, კახეთს, გურიას და საქართველოს სხვა ძირძველ თემებს. აშკარაა, რომ „საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა“ [1930] მეცნიერის თვალთახედვას სისწორით ვერ გადმოსცემს. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ეს ლაფსუსი მხოლოდ რუკის დამხაზველის უყურადღებობას უნდა მიეწეროს, რომელმაც გაიმეორა მანამდე გამოცემული რუკების სასაზღვრო კონტური. ცხადია, ეს მოსაზრება სავარაუდად, წინასწარ კვლევად შეიძლება მივიჩნიოთ. აღნიშნული საკითხი მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის შრომების ერთიანობაში განხილვისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ შეიძენს მეტ სიცხადესა და კონკრეტიკას.

ჭანეთის საზღვრების საკითხთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილისეული ხედვის გასარკვევად, აუცილებელია კიდევ ერთი გარემოების გათვალისწინება. 1926 წელს სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ, კალიფორნია) გამომცემლობამ გამოაქვეყნა „პარიზის კონფერენციაზე სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ წარდგენილი დოკუმენტების კატალოგი“. როგორც ამ გამოცემიდან ირკვევა სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილი დოკუმენტები ორ ძირითად კატეგორიად იყო წარმოჩენილი: დელეგაციის მიერ ავთენტურად მიჩნეული დოკუმენტები (Propaganda Authenticated by the Delegations) და დელეგაციის არაავთენტური დოკუმენტები (Propaganda Unauthenticated by the Delegations). ცხადია, ანალოგიური დოკუმენტებით წარსდგა საქართველოც. ამ დოკუმენტთა ნუსხაში ჩამოთვლილია რუკებიც, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის ხელდასხმით შეიქმნა. საქართველოს მხრიდან უმაღლესი რანგის შეხვედრაზე წარდგენილ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია „პარიზის კონფერენცია, 1919. საქართველო“ [Peace Conference, 1919]. ეს დოკუმენტი (გამოქვეყნებული ვერსია), რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტების განყოფილებაში, მოგვიანებით ითარგმნა ქართულადაც. ეჭვგარეშეა, რომ ამ დოკუმენტის შედგენაში ივ. ჯავახიშვილიც იღებდა მონაწილეობას. გამოცემას თან ერთვის ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს რუკა“ ფრანგულ ენაზე[1] [სართანია, ნიკოლაიშვილი და სხვ., 2016].

აი, რას ვკითხულობთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციის მემორანდუმში, რომელიც წარდგენილ იქნა პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე (პარიზი, 1919 წლის ივლისი): „*განსაზღვრავს რა თავის საზღვრებს, **საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველ ხალხს** [ხაზგასმა - ავტ.] და, რომლებიც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამავე დროს, სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხება.*

*საქართველო **არ მოითხოვს იმ საზღვრების აღდგენას, რომელიც მას აყვავების ეპოქაში ჰქონდა** [ხაზგასმა - ავტ.]. უარს ამბობს იმ ტერიტორიებზეც, რომლებიც მას 1801 წელს რუსეთთან შეერთების დროს ეკუთვნოდა და, რომლებიც მეზობელი ხალხების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.*

...საქართველოს დელეგაცია ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცვას: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალის და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთი და არდაგანი) და შავიზღვისპირეთის ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპეზუნის ვილაიათი (ტრებიზონი). რუკას განმარტებებით ვთავაზობთ კონფერენციას“. სწორედ ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო, რომ საქართველო „*არ მოითხოვს იმ საზღვრების აღდგენას, რომელიც მას აყვავების ეპოქაში ჰქონდა*“, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ჭანეთი არ არის მოქცეული საქართველოს ფარგლებში პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილ რუკებზე.

---

[1] პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილ დოკუმენტაციაში არსად მითითებული არ არის ივ. ჯავახიშვილის გვარი. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ოფიციალურ დოკუმენტებში შემდგენელ პიროვნებათა გვარები, როგორც წესი, არ მიეთითება.

საზღვრის გატარების ივანე ჯავახიშვილისეული ძირითადი პრინციპები

ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიაში „საქართველოს საზღვრები“ ჩვენი ქვეყნის საზღვრისპირა ტერიტორიების მიკუთვნებულობის საკითხი განხილულია არა ცალმხრივად, არამედ კომპლექსურ ჭრილში. ისტორიულ, ისტორიულ-ლიტერატურულ, მათ შორის კარტოგრაფიულ და სამართლებრივ მრავალ წყაროზე დაყრდნობით, დიდი მეცნიერი ცდილობს გააანალიზოს და არგუმენტირებულად დაასაბუთოს თავისი მოსაზრება. ამ მიზნით, მას განხილული აქვს მრავალი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცა:

- ტერიტორიის ისტორიული მიკუთვნებულობა;
- ტერიტორიისა და საზღვრების ტრანსფორმაციები სხვადასხვა ისტორიული პერიოდისათვის;
- პოლიტიკური ვითარება;
- მოსახლეობის მიგრაციები;
- დემოგრაფიული ვითარება;
- კულტურის ძეგლები;
- ტოპონიმია;
- ეკონომიკური ურთიერთობები (მომთაბარე მესაქონლება, სავაჭრო, სამიმოსვლო გზების არსებობა);
- ფიზიკურ-გეოგრაფიული (ოროჰიდროგრაფიული) პირობები;
- ადგილობრივი მოსახლეობის მენტალური დონე.

ივანე ჯავახიშვილისეულ რუკებზე ქვეყნის საზღვრები სხვადასხვანაირად არის გატარებული. დღემდე ცნობილი 7 კარტოგრაფიული ნაწარმოებიდან 6-ს რუკაზე საზღვრების 15 ვარიანტია მოცემული - სხვადასხვა ისტორიული პერიოდისა და ოფიციალურად მოთხოვნილი საზღვრების გათვალისწინებით.

საქართველოს ტერიტორიის ფართობების ცვლილება ივანე ჯავახიშვილის ხელდასხმით შემნილი რუკების მიხედვით

გის-ტექნოლოგიების მეშვეობით ივ. ჯავახიშვილის რუკების რეგისტრაცია-აციფვრამ შესაძლებლობა მოგვცა განგვესაზღვრა ქვეყნის ფართობები სწორედ მეცნიერის მიერ განხილულ სხვადასხვა ასპექტში, ამასთან სხვადასხვა ისტორიული პერიოდისათვის (ნახ. 15, 16). ამგვარად შედგენილი რუკები შესაძლებლობას გვაძლევს ურთიერთშედარების გზით დავადგინოთ ჩვენი ქვეყნის ფართობების დინამიკა სხვადასხვა ისტორიული პერიოდისათვის და ის განსხვავებები, რომლებიც არსებობს საზღვრის გატარებასთან მიმართებაში (ნახ. 17). ყველა ისტორიულ პერიოდში ქვეყნის ისტორიული საზღვარი აღემატება თანამედროვეს. ამიტომ თანამედროვესთან შედარებით, საკმაოდ მნიშვნელოვანია ტერიტორიული დანაკარგები. ყველაზე დიდი ფართობი საქართველოს ეკავა XII საუკუნეში და იგი 147.502 ათ. კმ^2-ს შეადგენდა.

ცხადია, სწორედ ამ პერიოდზე მოდის უდიდესი ტერიტორიული დანაკარგი, რაც თანამედროვე საქართველოს ფართობზე მეტია.

1923 წლის რუკაზე დატანილია საზღვრის 4 კონტური, მათ შორის 3 ქვეყნის საზღვრებია სხვადასხვა ისტორიული პერიოდისათვის (ნახ. 18):

- ქრ.წ I საუკუნის საზღვრები (1[1]). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 126.4 ათ. კმ^2;
- ქრ.შ. XII საუკუნის საზღვრები;
- ქრ.შ. 1783 წლის საზღვრები (3). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 125.1 ათ. კმ^2;
- თემობრივი საზღვრები.

ყველაზე ვრცელი ტერიტორია საქართველოს ეკავა XII საუკუნეში და იგი ორ ზღვას შუაა მოქცეული. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიისადმი მიკუთვნებულია თანამედროვე საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე შემდეგი თემები: ჩრდილოეთ კავკასიაში - ყაბართ ჩერქეზნი, ბასიანი, ოვსეთი, ძურძუკნი, დიდოეთი, დაღისტანი და სამხრეთ კავკასიაში - ტაო-კლარჯეთი, კოლა-არტაანი, პალაკაციო, აბოცი, ბამბაკი, ყაზახი და სხვ. რაც შეეხება ქრ.წ. I საუკუნისა და ქრ.შ. 1783 წლის საზღვრებს, ისინი უმთავრეს პერიმეტრზე ერთმანეთს ემთხვევა. ერთადერთი გამონაკლისია მხოლოდ პალაკაციოს ტბის ირგვლივ მდებარე ტერიტორია, რომელიც 1783 წლის მდგომარეობით აღარ შემოდის საქართველოს შემადგენლობაში.

---

[1] აქ და შემდგომ ნუმერაცია მოცემულია დიაგრამის მიხედვით (იხ. ნახ. 17).



ნახ. 15. საქართველოს საზღვრები

(ივ. ჯავახიშვილის 1919 წლით დათარიღებული რუკების მიხედვით)



ნახ. 16. საქართველოს საზღვრები
(ივ. ჯავახიშვილის ხელდასხმით შექმნილი რუკების მიხედვით)

1922 წლის რუკაზე დატანილია საზღვრის 5 კონტური, მათ შორის 2 არის საქართველოს საზღვრები ორი ისტორიული პერიოდისათვის. ეს საზღვრებია:

- საქართველოს რესპუბლიკის ძველი საზღვრები (4). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 86.5 ათ. კმ^2;
- საქართველოს რესპუბლიკის ახალი საზღვრები (5). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 72.6 ათ. კმ^2;
- აფხაზეთის, აჭარა-ქობულეთის და სამხრეთ ოსეთის საზღვრები;
- სამაზრო საზღვრები;
- ძველი სამაზრო საზღვრები.

ცხადია, ახალი საზღვრები ასახავს რუკის გამოცემის პერიოდს - 1922 წლის მდგომარეობას. მის უმთავრეს მონაკვეთზე, იგი ემთხვევა საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო საზღვარს. თუმცა საქართველოს ტერიტორია, იმ დროისათვის არსებულ საზღვრებში, მთლიანად არ არის ასახული რუკაზე, კერძოდ, ბიჭვინთის მერიდიანის დასავლეთით მდებარე ტერიტორია.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის ძველ საზღვრებს, რუკის ლეგენდიდან საერთოდ არ იკითხება ზუსტად რა პერიოდს შეესაბამება იგი. მაგრამ არ უნდა იყოს საკამათო ის ფაქტი, რომ ძველი საზღვრები ასახავს 1921 წლამდე, ანუ საქართველოს გასაბჭოებამდელ ვითარებას. ძველ საზღვრებში ქვეყნის შემადგენლობაში შედის მისი ისტორიული მიწები: შავშეთი, ფოცხოვი, ერუშეთი, არტაანი, ლორე, ყარაია, ზაქათალა და სხვა ტერიტორიები.

1930 წლის რუკაზე ერთადერთი საზღვარია დატანილია. იგი ქვეყნის ისტორიული საზღვარია. ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 122.4 ათ. კმ^2 და საქართველოს თანამედროვე ტერიტორიის გარდა, მოიცავს ჯიქეთს, დვალეთს, ჰერეთს, ყაზახ-შამშადილს, ტაშირს, ბამბაკს, კოლა-არტაანს, ტაო-კლარჯეთსა და სხვ. იგი 1923 წლის რუკაზე I საუკუნის ქრ.წ.-ის მდგომარეობით მოცემული საზღვრის თანხვედრია. თუმცა თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს, რომლის მიხედვითაც ივ. ჯავახიშვილი ჭანეთს საქართველოს უტყუარ კუთვნილებად განიხილავს, მაშინ ქვეყნის ისტორიული ტერიტორიის ფართობი იქნება 126.3 ათ. კმ^2, ანუ საქართველოს თანამედროვე ფართობზე თითქმის 2-ჯერ მეტი.

1919 წლის რუკაზე (ქართული) დატანილია საზღვრის 4 კონტური:



ნახ. 17. საქართველოს ტერიტორიის ფართობების ცვლილება

(ივ. ჯავახიშვილისეული რუკების მიხედვით)

საზღვრების ნუმერაცია:

საქართველოს ისტორიული რუკა (1923 წ.):

1 - I საუკუნის. ქრ.წ.; 2 - XII ს. ქრ.შ.; 3 - 1783 წ.

საქართველოს რესპუბლიკის რუკა (1922 წ.):

4 – საქართველოს რესპუბლიკის ძველი საზღვრები; 5 - საქართველოს რესპუბლიკის ახალი საზღვრები.

საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა (1930 წ.):

6 - სახელმწიფო საზღვარი.

საქართველოს საზღვრების რუკა, 1919 წ.:

7 - საქართველოს ისტორიული; 8 - ყოფ. რუსეთის იმპერიის; 9 - საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების მიხედვით; 10 - სომხეთის I მოთხოვნილების შესაბამისად; 11 - სომხეთის II მოთხოვნილების შესაბამისად.

Carte de la Georgia,1919 წ. ფრანგული 1:

12 - საქართველოს მოთხოვნილი; 13 - რუსეთის ძველი საზღვარი.

Carte de la Georgia, 1919 წ. ფრანგული 2:

14 - საქართველოს მოთხოვნილი; 15 - საქართველოს საზღვარი.

- საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული საზღვარი (7). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 111.7 ათ. კმ^2;
- ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვარი (8). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 99.53 ათ. კმ^2;
- საქართველოს საზღვარი რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს (9). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 123.4 ათ. კმ^2;
- საზღვარი სომხების მოთხოვნილებისამებრ -
  - I ვარიანტი (10). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობი გამოვიდოდა 81.6 ათ. კმ^2. ერთი შეხედვით, ეს ციფრი უჩვეულოდ დიდად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან ამ მოთხოვნილებისამებრ საქართველოს ეჭრებოდა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (ჯავახეთი თითქმის მთლიანად). მაშინ საიდან არის მიღებული ასეთი დიდი სიდიდე, ანუ უფრო მეტი, ვიდრე თანამედროვე საქართველოს ფართობია. საქმე ისაა, რომ ივ. ჯავახიშვილისეულ ამ რუკაზე ჩვენი ქვეყნის ფარგლებში მოქცეულია ისტორიული ტერიტორიებიც (ჯიქეთი, დვალეთი, საინგილო, აგრეთვე დავითგარეჯისა და მისი მიმდებარე ის ტერიტორია, რომელიც დღეს საქართველოს ფარგლებში აღარ შემოდის). სწორედ ამ ტერიტორიების ხარჯზე გამოიყურება საქართველოს ფართობი ასე შთამბეჭდავად. და თუ, სომხეთის ამ მოთხოვნილების შესაბამისად განვსაზღვრავთ საქართველოს ფართობს მის თანამედროვე ტერიტორიასთან მიმართებაში, მაშინ მიღებული შედეგი ნამდვილად შთამბეჭდავი იქნება, თუმცა უარყოფით კონტექსტში. კერძოდ, საქართველოს თანამედროვე ფართობთან შედარებით იგი 2.93 ათ. კმ^2-ით ნაკლები, ანუ თანამედროვე აჭარის ტოლი ტერიტორიით უფრო ნაკლები გამოვიდოდა;
  - საზღვარი სომხების მოთხოვნილებისამებრ - II ვარიანტი (11). ამ საზღვრებში საქართ-ველოს ფართობია 65.06 ათ. კმ^2, ე.ი. საქართველოს თანამედროვე ფართობთან შედარებით 4.64 კმ^2-ით ნაკლები. და თუ, ანალოგიურადვე განვსაზღვრავთ სომხეთის ამ მეორე მოთხოვნილების შესაბამისად, საქართველოს ფართობს მის თანამედროვე ტერიტორიასთან მიმართებაში, მაშინ მიღებული შედეგი კიდევ უფრო მეტად შთამბეჭდავი იქნება, ცხადია, ესეც უარყოფით კონტექსტში. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიის ფართობი გამოვიდოდა 55.07 ათ. კმ^2, ე.ი. თითქმის 20 %-ით ნაკლები, ვიდრე დღეს არის.



ნახ. 18. საქართველოს საზღვრების ისტორიული ცვლილებები[1]

ივ. ჯავახიშვილის ხელდასხმით შედგენილი რუკების მიხედვით

(1923, 1922, 1919, 1930 წწ.)

ნუმერაცია იხ. ნახ. 17.

[1] ქრ.შ. XII საუკუნის საზღვარი, რომელიც დატანილია 1923 წლით დათარიღებულ რუკაზე, აქ არ არის მოცემული, ვინაიდან საზღვრის ეს კონტური დედნისეულ რუკაზე არ არის სრულყოფილად ასახული

1919 წლის რუკაზე (ფრანგული 1) დატანილია საზღვრის 2 კონტური (ნახ. 19):

- საქართველოს მოთხოვნილი საზღვარი (12). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 111.7 ათ. კმ^2;
- რუსეთის ძველი საზღვარი (13). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 99.53 ათ. კმ^2.

1919 წლის რუკაზე (ფრანგული 2) დატანილია საზღვრის 2 კონტური:

- საქართველოს მოთხოვნილი საზღვარი (14). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 111.7 ათ. კმ^2;
- საქართველოს საზღვრები (15). ამ საზღვრებში საქართველოს ფართობია 89.96 ათ. კმ^2.



ნახ. 19. საქართველოს საზღვრების ისტორიული ცვლილებები

ივ. ჯავახიშვილის ხელდასხმით შედგენილი რუკების მიხედვით (1919 წწ.)

ნუმერაცია იხ. ნახ. 17.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილ ამ ორ ფრანგულენოვან რუკებს შორის გარკვეული მსგავსება და განსხვავებაცაა. ორივე რუკაზე ასახული „მოთხოვნილი საზღვრები“ 1919 წლის ქართული რუკის საქართველოს ისტორიული საზღვრის თანხვედრია. თუმცა ერთ რუკაზე ასახულია რუსეთის ძველი საზღვარი, ხოლო მეორეზე - საქართველოს საზღვრები (Frontieres de la Géorgie). ნიშანდობლივია, რომ რუსეთის ძველ საზღვრებში საქართველოს ფართობი თითქმის 10 ათ. კმ^2-ით მეტია თანამედროვესთან შედარებით.

დასკვნა

როგორც კვლევებმა აჩვენა, ივ. ჯავახიშვილის ხელდასხმით შექმნილ რუკებზე საქართველოს საზღვრები სხვადასხვა კუთხითაა წარმოჩენილი: ისტორიულად კუთვნილ, რეალურად იმ პერიოდში არსებულ და საერთაშორისო ასპარეზზე მოთხოვნილ საზღვრებში. და ბოლოს, ლოგიკურია, დავსვათ კითხვა: საქართველოს რა ტერიტორიას მოიაზრებდა დიდი მეცნიერი „მჭიდროდ შემოფარგლულ სამზღვრებში“? ცხადია, ამაზე ცალსახა პასუხის გაცემა რთულია, თუმცა ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ შემდეგი: მართალია, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილი მოთხოვნები ასახავს ივ. ჯავახიშვილისეულ ხედვას საქართველოს ისტორიულ საზღვრებზე, თუმცა იგი უფრო კავკასიაში არსებული იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების, საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ისტორიული საზღვრების აღიარების რეალობისა და მეზობლებთან კეთილგანწყობითი ურთიერთობების შენარჩუნება-დამყარების ამსახველი სურათია. იგივე შეიძლება ითქვას მისი მონოგრაფიაზეც „საქართველოს საზღვრები“, რომელიც მან შექმნა 1919 წელს ბათუმ-კონსტანტინოპოლში, როგორც პარიზის სამშვიდობო დელეგაციის წევრმა. არც 1922 და 1923 წლების რუკებზე ასახული საზღვრები შეიძლება მივიჩნიოთ „მჭიდროდ შემომფარგვლელ სამზღვრებად“, ვინაიდან ახავენ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში არსებულ მიჯნებს.

ივანე ჯავახიშვილისეული თვალთახედვის დანახვა უფრო მკაფიოდ შეიძლება მის, 1930 წელს გამოცემულ „საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკაზე“, რომელიც გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის ერთიან ისტორიულ ტერიტორიაზე დამკვირდებულ ტრადიციული მიწათსარგებლობის ზოგად სურათს და იმ ეკონომიკურ კავშირურიერთობებს, რომლებიც ოდითგანვე შეილება დამყარებულიყო ამ ბოტანიკურ აგრონომიულ არეებში განსახლებულ მცხოვრებლებს შორის. სწორედ ამ ეკონომიკური კავშირურთიერთობებიდან გამოსჭვივის ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის შესახებ. აკი, თვით წერდა, რომ *„ამ გეობოტანიკური და ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით, ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულევანების ჰარმონიულად შემავსებელი არეები, ჩამოინაკვთნენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოც გაერთიანდა“* [ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად. ტ. IV. 1996., საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 337].

ამრიგად, ივანე ჯავახიშვილის ხელდასხმით შექმნილი რუკებისა და სხვადასხვა წყაროების ანალიზისა და ურთიერთშედარების შედეგად გამოვლინდა დიდი მეცნიერის მიერ „შემოხაზული“ საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ზოგიერთი ასპექტი და დადგინდა საქართველოს საზღვრების ისტორიული ცვლილებების მასშტაბები.

ლიტერატურა

1. ავალიშვილი ზ. ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბ., 1989.
2. ალფენიძე მ., ბერუჩაშვილი ნ., გონგაძე მ. საქართველოს გეოგრაფია. თბ.: კაბადონი, 1999.
3. ბერუჩაშვილი ნ., ელიზბარაშვილი ნ. საქართველოს გეოგრაფია. ნაწ. 1. ფიზიკური გეოგრაფია. თბ.: განათლება, 1996.
4. გაზეთი „საქართველო“, 20 დეკემბერი, 1918 წ., № 244.

5. გაზეთი „საქართველო“, 22 დეკემბერი, 1918 წ., № 246.
6. გურული ვ., არაბული ავ., ვაჩნაძე მ. დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.). თბილისი: „ინტელექტი“, 1998.
7. ელიზბარაშვილი ნ., მაჭავარიანი ლ., ნიკოლაიშვილი დ. და სხვ. საქართველოს გეოგრაფია. თბ.: კარტოგრაფია, 2000.
8. თოლორდავა რ., ნიკოლაიშვილი დ. საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ტრანსფორმაციის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი. ჟ.: „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, № 4-6. თბილისი, 2012. გვ. 3-15.
9. კეკელია ჯ. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. II გამოცემა. თბ.: ინტელექტი, 2006.
10. მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. ნაწ. 1. თბ.: თსუ, 1969.
11. მაცაბერიძე მ. ივანე ჯავახიშვილის ორი ლექცია საქართველოს სამხრეთი საზღვრის შესახებ (1918 წლის 18 და 22 დეკემბერი), თბ., 2016.
12. სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., კოხრეიძე ა., უჯმაჯურიძე ა., თოლორდავა რ., ჩხიკვიშვილი მ. ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. გამოფენის გზამკვლევი, ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლის იუბილეს. თბ.: თსუ, 2016.
13. საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკები. სხვადასხვა მასშტაბის ფურცლები.
14. სართანია დ., გვიმრაძე თ. ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში საკვლევი ჯერ კიდევ ბევრია. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, № 5 (2207), 4 მაისი, 2017 წელი. გვ. 14.
15. საქართველოს გეოგრაფია. მთ. რედ. ზ. ტატაშიძე და სხვ. თბ.: მეცნიერება, 2000.
16. საქართველოს ისტორიული არქივი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდი № 471, აღწერა 1, საქმე 98, ფურცლები 82-111.
17. საქართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 273.
18. საქართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 274, ფ. 1-2
19. საქართველოს ისტორიული ატლასი. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: „არტანუჯი“, 2016.
20. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდი, № 471, აღწერა 1, საქმე 98, ფურცლები 82-111.
21. ღეოგრაფიული აღწერა საქართველოÁსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ. მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსსეტისაგან. S-Petersbourg, 1842 (typ. de I' Academie), 1842.
22. ხარატიშვილი მ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბ.: თსუ, 1990.
23. ჯავახიშვილი ალ. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საზოგადო რუკა. შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში და გამოცემული სახელმწიფო გამომცემლობის მიერ 1931-1932 წ. პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. მასშტაბი 1:200,000.
24. ჯავახიშვილი ივ. თხულებები თორმეტ ტომად. ტომი I. თბ., 1979; ტომი II. თბ., 1983. ტომი III. თბ., 1982; ტ. IV. თბ., 1996; ტომი V. თბ., 1986.
25. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით, 1930. მასშტაბი 1:2,100,000.
26. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ისტორიული რუკა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. შედგენილი შ.ს.ს.კ. ტოპოგრაფ ევ. ბარამიძის-მიერ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. 1923. გამოცემა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილებისა. მასშტაბი 10 ვერსი დიუმზედ.
27. ჯავახიშვილი ივ. განაცხადი ზაქათალის ოლქის უფლებებზე. ტფილისი, 1920.12.V. საქართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 274, ფ. 1-2.
28. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს რესპუბლიკის რუკა, 1922. გამოცემა შინაგან საქმეთა კომისარიატისა. მასშტაბი დიუმზედ 10 ვერსი (1:420,000).

29. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრების რუკა. 1919. ქართული. მასშტაბი 1: 3,000,000.
30. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს რუკა. გამოცემა № 1 (1919 წ. ფრანგულ ენაზე. Carte de la Géorgie).
31. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს რუკა. გამოცემა № 2 (1919 წ. ფრანგულ ენაზე. Carte de la Géorgie).
32. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალ-საზრისით განხილული. ბათუმი-კონსტანტინეპოლი, 1919 წ. იანვარი-მარტი.
33. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალ-საზრისით განხილული. გადაწერილია კონსტანტინეპოლში. საქართველოს ისტორი-ული არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 273, ფ. 82-111.
34. ჯანაშვილი მ. საინგილო. ძველი საქართველო. თბ.: ნაკადული, 1996.
35. A Catalogue of Paris Peace Conference Delegation Propaganda in the Hoover in the Hoover War Library. Stanford University Press. California, 1926.
36. An Introduction to a Bibliography of the Paris Peace Conference: Collections of Sources, Archive Publications, and Source Books," by Nina Almond and Ralph Haswell Lutz, 1935, Stanford University Press.
37. Peace Conference, 1919. Paris. Georgia... Memories présenté á la Conférence de la paix (revendications politiques-frontiéres) suivi de l'cate de l'independance de la Géorgie et d'une carte. Paris [Imp. M. Flinikowski] 1919. 1 p. 1., [5] - 22 p., 11. map, 27 cm. At head of title: Délégation géeorgienne á la Conférence de la paix.
38. Бурнашевъ С.Д. Картина Грузіи или описаніе полит. состоянія царствъ Карталинскаго и Кахетинскаго. Тифлисъ изд. Бегичева, 1896.
39. Бурнашевъ С.Н. Новые матеріалы для жизнеописанія С.Д. Бурнашева, бывшаго въ Грузіи съ 1783 по 1787 г., собралъ и издалъ съ приложенікмъ карт, портретовъ и факсимиле С.Н. Бурнашевъ СПБ. 1901 г.
40. Бурнашевъ С.Н. Генеральная карта Грузинскихъ царств; Кахетіи, Карталиніи и царства Имеретіи еь его княжествами Гуріей и Мингрелиіей еь облегающими областями и народами обитающим вьковских горахъ. Составлена Полковником и кавалеромь Бурнашевымь вь 1784 году въ г. Тифлисъ. რუკა თან ერთვის 1901 წლის გამოცემას [Бурнашевъ, 1901].
41. Гачечиладзе Р. Географические и исторические факторы государственного строительста в Закавказье. http://poli.vub.ac.be/publi/crs/caucasus/revaz.htm
42. Карта Кавказа. Составлена и литографирована въ Военно-топографическомъ отделъ Кавказскаго Военного округа 1903 года. Тифлисъ. масштаб 20 верст в дюим (1:840,000).
43. Карта Кавказскаго Края съ обозначением границ 1801-1813 г. Составлена въ Военно-Историческомъ Отделъ при Штабъ Кавказскагл Военного Округа Полковникомъ Томниевымъ. Тифлисъ, 1901 г., 40 верст в дюим.
44. Нансен Ф. Газета «Наири», Орган Калининградской региональной общественной организации «Армянский научно-информационный, культурный центр»специальный выпуск апрель 2015 г., стр. 6.
45. Пауткина Н.В. Историко-правовой анализ территориального разграничения России и Грузии (на сухопутном участке). Материалы научно-практических конференций Московского военного института ФПС России. Сборник научных статей № 9.
http://zakony.com.ua›lawbase/voenprav.html? act=tree&id
46. Пеньковский Д.Д. Предпосылки эмиграции казачества из России (1920-1925 гг.).
http://www.mosgu.ru/nauchnaya/publications/monographs/Penkovskiy/
47. Топографическая карта масштаба 1:200,000. Лист К-38-XXIX, Издание Главного управления государственной съёмки и картографии НКВД-СССР, 1938.
48. Этнографическая карта Тифлисской губерніи и Закатальскаго округа с показ. границъ уездъ, полиц. участк. и сельск. обществъ; Этнографическая карта Кутайсской губерніи с показ. границъ уездъ, полиц. участк. и сельск. общ. и окр.; Этнографическая карта Карской области с показ. границъ окр., полиц. участк. и сельск. округовъ. Сост. Е.К. Кондратенко. 1886.

Dali Nikolaishvili, Davit Sartania

Georgia in "tight borders" – Ivane Javakhishvili's vision

Resume

Among the few works about the state borders of Georgia, "The Georgian Borders in a Historical and Modern Views" by Ivane Javakhishvili is undoubtedly an outstanding study based on a deep scientific analysis, a number of sources and true facts. It clearly shows the process of transformation of the territory and borders of our country in different historical periods and relevant political, demographic, toponymic and physical-geographical factors with mutual links and as a whole. Such point of view gives us a real retrospective picture of the past.

Ivane Javakhishvili considered Georgian borders in different contexts, on the basis of which the boundaries of the country must be drawn, in particular, in a historical context, where he inquired about the shape the country had in the past centuries on the one hand, and in a contemporary context (in the context of the international law), where he inquired about the shape of the contemporary state borders.

The scientist considered above-mentioned questions in great details and specifies the principal circumstances to be considered when drawing the state borders.

The borders of the country are drawn differently in the maps by Ivane Javakhishvili. 6 cartographical works out of the 7 ones known to date show 15 different pictures of the borders in different historical periods and by considering the officially required borders.

A registration and digitalization of the maps by Iv. Javakhishvili through GIS-technologies made it possible to identify a country area in the different aspects considered by the scientist, and in different historical periods, at the same time. It should be noted that in all maps mentioned above, the area of Georgia exceeds its present size, evidencing quite extensive territorial losses. Georgian territory was the largest in the XII century, constituting more than 147 thousand m^2. Consequently, the territorial loss, which constitutes more than the modern territory of the country, was the greatest during this period.

As a result of geographical-cartometric analysis of the maps by Ivane Javakhishvili and other sources:

- the geographical-cartometric aspects of the territory of Georgia "drafted" by Ivane Javakhishvili were analyzed;
- the borders of Georgia of different historical periods were compared with one another;
- the geographical coordinates of single sections of the borders were identified;
- the changes of area of the territory of Georgia in different historical periods were identified.

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ წყაროების რეტროსპექტული ანალიზი

ავთანდილ უჯმაჯურიძე[1],
გია ჩხიკვიშვილი[2],
რევაზ თოლორდავა[3]

ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ ეყრდნობა საისტორიო წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურას, რომლებიც შემდეგნაირად შეიძლება დავაჯგუფოთ:

I. ქართული და უცხოური საისტორიო წყაროები;

II. საისტორიო გამოკვლევები;

III. კარტოგრაფიული მასალები.

მეცნიერი თავის ანალიზში ემყარება შემდეგი საისტორიო წყაროების „მატიანე ქართლისაი“, ლეონტი მროველის, ვახუშტის, დავითის ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, სტეფანე მტბევარის, ანტონ კათალიკოსის, პაპუნა ორბელიანის, სტრაბონის, პლინიუს უფროსის, მათეოს ურჰაეცის, ასოღიკის, ვარდანის, ნ. ბუტკოვის, მ. საბინინის, ვ. მაევსკის, მ. ივანენკოს, ვ. ფილიპოვის, პ. კოვალენსკის, ავერიანოვის თხზულებათა და არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული აქტების ცნობებს.

რაც შეეხება სამეცნიერო საისტორიო ლიტერატურას, აქ ივანე ჯავახიშვილი საკუთარი ნაშრომების გარდა იყენებს მ. ჯანაშვილის, ე. თაყაიშვილის, ნ. ადონცის, მ. ბროსეს, დუბროვინის გამოკვლევებს, ხოლო კარტოგრაფიული მასალებიდან თავის დასკვნებს აფუძნებს ვახუშტის, ბურნაშევის, 1732 წლის დასავლეთ საქართველოს და 1743 წლის საქართველოს რუკებზე.

ნაშრომში გამოყენებული წყაროებიდან, უპირველესად, მნიშვნელოვანია საკუთრივ ქართული წყაროები.

„მატიანე ქართლისაი“, რომელიც აღწერს ჩვენი სამშობლოს ისტორიას VIII საუკუნიდან XI საუკუნის 70-80-იან წლამდე, სხვა საკითხებთან ერთად, ეხება ახალი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების პროცესს. იგი, ერთის მხრივ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი შინაარსისაა და გულისხმობს საქართველოს ტერიტორიიდან არაბ დამპყრობთა განდევნას, მეორე მხრივ, არა მარტო საქართველოს, არამედ სამხრეთ კავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლასაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს გაერთიანებისათვის ბრძოლის პირველი და მეორე ეტაპის დასაწყისია. ამ ეტაპზე ხდება საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზღვრების საბოლოო გამოკვეთა იმ სახით, რამაც საქართველოს „ოქროს ხანის“ სახელმწიფოს ტერიტორიული ბირთვი შექმნა. გუარამ მამფალის მედგარი ბრძოლის წყალობით კახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი, არტაანი მტკიცედ მოექცა საქართველოს საზღვრებში. ივანე ჯავახიშვილის ეს დასკვნა სწორედ „მატიანე ქართლისას“ ემყარება და ამის თაობაზე მეცნიერი მსჯელობს თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ [ჯავახიშვილი, 1914. გვ. 378].

ამდენად, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის პოლემიკური ხასიათიდან გამომდინარე, „მატიანე ქართლისა“ საუცხოო წყაროა სხვა წყაროებთან ერთად, ქვემო ქართლის ისტორიული კუთვნილების და სომხეთთან საზღვრების გარკვევის თვალსაზრისით.

ქვემო ქართლში X ს. არსებული პოლიტიკური სიტუაციის გასარკვევად მნიშვნელოვანია საეკლესიო მოღვაწის, ტბეთის პირველი ეპისკოპოსის, თეოლოგისა და მწიგნობრის სტეფანე მტბევარის ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამება წმინდისა მოწამისა გობრონისი“, რომელშიც აღწერილია ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ აბულ-კასიმის შემოსევის დროს და გობრონის თავდადება ქრისტიანობისათვის.

სტეფანე მტბევარის ცნობით საქართველოსა და სომხეთის მეფე-მთავრები იბრძვიან თავიანთი ტერიტორიების გასაფართოებლად. სომეხთა ერისთავთ-ერისთავმა აშოტ ბაგრა-

---

1 ივანე ჯავახიშვილის ცენტრი
2 ივანე ჯავახიშვილის ცენტრი
3 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, rezo06@mail.ru [ჯავახიშვილი, 1914, გვ. 378]

ტუნმა ტაშირი ჩაიგდო ხელთ. ეს ვითარება გაგრძელდა X საუკუნეშიც. მან არსებითად ვერ შეცვალა ამ კუთხის კუთვნილების საკითხი. დამახასიათებელია, რომ ამ კუთხეში სომეხთა პოლიტიკური მბრძანებლობის სახსოვრად შემორჩენილი ტერმინი „სომხითი“ ადრე სრულიად უცნობი იყო და გვიან დამკვიდრდა ქართულ საისტორიო მწერლობაში. სომხური საისტორიო მწერლობა კი ამ კუთხეს „ქართველთა ველად“ მოიხსენიებს, რითაც თვითონ უსვამდნენ ხაზს მისი კუთვნილების საკითხს [ჯავახიშვილი, 1919, გვ. 21].

საქართველოს ისტორიულ, მათ შორის ქვემო ქართლის საზღვრების დასადგენად მნიშვნელოვანი წყაროა XI ს. ავტორის ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. ლეონტი ქართლის საზღვარს გარკვევით აღნიშნავს: „აღმოსავლეთით ჰერეთი და მდინარე ბერდაოჯისი .... სამხრითა მთა, რომელი მიჰყუების ბერდაოჯის მდინარის თავსა“ [მროველი, 1906. გვ.97; ჯავახიშვილი, 1914. გვ. 283]. მას ტაშირი, ლორე, ბოლნის-დმანისის ხეობა ქართლის ნაწილად მიაჩნია [ჯავახიშვილი, 1919, გვ. 21]. ნიშანდობლივია, რომ ეს საზღვარი მოიხაზა ჯერ კიდევ ბიბლიური თარგამოსის მიერ, რომელიც ლეონტის ვერსიით, ქართველთა და სომეხთა უშუალო მამამთავარი იყო.

XII ს. უცნობი ავტორის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ თავისი ეპოქის სარკედ შეიძლება ჩაითვალოს. მეფესთან დაახლოებული, განათლებული და პატრიოტი მემატიანე სანდო წყაროდ ითვლება და ერთ-ერთი საუკეთესოა ძველ ქართველ ისტორიკოსებს შორის. მნიშვნელოვანია მისი ცნობა საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის იმ მონაკვეთის შესახებ, რომელიც დღეს აღარ შემოდის საქართველოს შემადგენლობაში. ესაა დვალეთი – მდებარე კავკასიონის უღელტეხილის[1] ორ, მთავარ და პირიქითას ქედებს შორის. ჩრდილოეთის ე.ი. პირიქითის ქედის სიმაღლისა და გაუვალობის გამო ეს კუთხე ბუნებრივად საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 19].

ივანე ჯავახიშვილის მიერ „ჟამთააღმწერლად“ სახელდებული, გიორგი ბრწყინვალეს ეპოქაში XIV ს. მოღვაწე ისტორიკოსის თხზულება, რომელსაც ზოგჯერ „ასწლოვან მატიანესაც“ უწოდებენ, ავტორისათვის საინტერესო ცნობებს იძლევა საქართველოს საზღვრებზე. მემატიანე, რომელსაც მიზნად დაუსახავს ჭეშმარიტების მსახურება („შენდობილ იყვნენ სიტყვანი ჩემნი, რამეთუ ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს, და არა თუალ-ახმა ვისთვისმე“) იყენებს სპარსულ, მონღოლურ, ბერძნულ, ქართულ წყაროებს, და რაც მთავარია, იჩენს მათდამი კრიტიკულ დამოკიდებულებას. მისი თხზულება მნიშვნელოვანია საქართველოს აღმოსავლეთის და სამხრეთის, კერძოდ, ჰერეთის და ზემო ქართლის, ანუ მესხეთის საზღვრების ნათელსაყოფად. სამცხე-ჯავახეთიდან მოკიდებული ტაო-ისპირამდე იგი ერთი საგამგეო ერთეული საერისთავთ-საერისთაო, მესხეთის მთავრის განსაგებელი იყო, იწყებოდა ბორჯომის ხეობიდან, ტაშისკარიდან და კარნუქალაქამდე აღწევდა [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 37].

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება ერთ-ერთი იმ წყაროთაგანია, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ხშირად მიმართავს. ეს არც არის გასაკვირი, ვახუშტი ხომ ქართული გეოგრაფიის ფუძემდებელია. მის მრავალპლანიან ნაშრომში გეოგრაფიული აღწერილობანი მჭიდრო კავშირშია ისტორიულ ნაწილთან. იგი ეხება საქართველოს ისტორიული საზღვრების მრავალ მონაკვეთს, მათ შორის ისეთსაც, რომელიც დღეს აღარ შემოდის საქართველოს შემადგენლობაში. მისი ცნობით, დვალეთი XVIII საუკუნეშიც საქართველოს სახელმწიფოს ნაწილია - „მეფეთა ქართველთა... მისცემენ დღემდე ხარკსა“ [ვახუშტი, 1904. გვ.406; ჯავახიშვილი, 1919 გვ. 7]. ვახუშტი ვრცლად აღწერს ამ კუთხის ბუნებრივ თავისებურებებს, მასზე გამავალ მნიშვნელოვან გზებს, ბუნებრივ-წიაღისეულ სიმდიდრეებს და ეკონომიკურ განუყოფლობას დანარჩენ საქართველოსთან. სწორედ ვახუშტის ნაშრომის ამ მრავალმხრივ, ფაქტობრივად ამომწურავ, დახასიათებაზე დაყრდნობით აცხადებს ივ. ჯავახიშვილი მტკიცედ და დარწმუნებით, რომ „ყველა ამ მოსაზრების გამო უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ წინანდელი მდგომარეობა აღდგენილი იქნას: რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი, ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთ საქართველოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს“ [ჯავახიშვილი, 1919, გვ. 9].

დარიალის საზღვრების გასარკვევადაც ვახუშტის აღწერილობა ძირითადი დასაყრდენია. „უფრო დაწვრილებითი და მკაფიო ცნობები საქართველოს ჩრდილო საზღვრის შესახებ ბატონიშვილს ვახუშტის აქვს“ – აცხადებს მეცნიერი [ჯავახიშვილი, 1919, გვ. 9]. იგი ეყრდნობა ვახუშტის რუკასაც. ბატონიშვილი იძლევა ცნობას კიდევ ერთი პრობლემური რაიონის, ისტორიული ჰერეთის ნაწილის – საინგილოს შესახებ, კერძოდ, ფიფინეთის ხეობის „ჭარად“

[1] ასე უწოდებს ივ. ჯავახიშვილი კავკასიონის მთიანეთს.

სახელდების შესახებ, რაც არჩილ მეფის შემდეგ დარქმევია [ვახუშტი, 1904; ჯავახიშვილი, 1919, გვ. 12]. ი. ჯავახიშვილისთვის ისტორიული ლორე-ტაშირის და მისი კუთვნილების საკითხის ნათელსაყოფად ვახუშტის ცნობები ხაზგასმით მნიშვნელოვანია, რის შესახებაც ავტორი აცხადებს: „განმსაზღვრელი ხაზის მდებარეობის გამოსარკვევად მკაფიო ცნობები ვახუშტის აქვს მოყვანილი“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 25]. გამომდინარე აქედან, სომხეთთან გამყოფ ხაზად ერევნის მთები ითვლებოდა, რომელსაც ახლა „ბამბაკის მთები“ ეწოდება [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 26]. აქაც ავტორი თავის დასკვნას ვახუშტის რუკით ამყარებს.

მნიშვნელოვანია ვახუშტის ცნობები ამ კუთხეში შექმნილი დემოგრაფიული ვითარების გასარკვევად. კერძოდ, ლტოლვილი და ხიზანი სომხური მოსახლეობის გაჩენასთან დაკავშირებით.

ვახუშტის ცნობების სანდოობასთან მიმართებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს არის ქვემო ქართლის, ანუ მეწინავე სადროშოს სარდლის პოსტზე მყოფი მოღვაწის ცნობები. ცნობილია ისიც, რომ ვახტანგ VI-ის დავალებით, ვახუშტიმ, მდივანბეგ გივი თუმანიშვილთან ერთად, 1721 წ. აღწერა ქვემო ქართლის მოსახლეობა. ამდენად, ისტორიული საზღვრების, თუ დემოგრაფიული სიტუაციის აღწერაში მისი ცნობები სრულად უტყუარია და ზედმიწევნით ასახავს რეალურ სურათს.

ვახუშტის ეყრდნობა ავტორი პალაკაციოს, ანუ აბოცის კუთვნილების საკითხის გარკვევის დროსაც. მეზობლების მიერ ჯავახეთის კუთვნილების პრობლემის გადაჭრისას ივ. ჯავახიშვილი საქართველოსთან ამ კუთხის უმჭიდროეს ეკონომიკურ კავშირების მიმოხილვითაც ასაბუთებს მის კუთვნილებას. ვახუშტი აქაც მისი ერთგული დასაყრდენია.

საქართველოს ისტორიული ტერიტორიების კუთვნილების საკითხების გარკვევისას დიდი მეცნიერი ხშირად მიმართავს ძველ რუკებსაც. ასე მაგალითად, ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის საზღვრების მდებარეობის საკითხებში გარკვევისას წერილობითი ისტორიული წყაროების განსამტკიცებლად, მას დასახელებული აქვს 1732 წლის დასავლეთ საქართველოს რუკა რომელიც, იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის ბრძანებითაა შედგენილი. მეცნიერი აქვე ასახელებს მოსკოვში 1743 წ. სრულიად საქართველოს ე.წ. გადახატულ რუკას, რომელიც ქართველი დიპლომატის, კარტოგრაფის, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის ტიმოთე გაბაშვილის (1703-1764) მიერაა შედგენილი.

XVIII ს. ქართველი ისტორიკოსის პაპუნა ორბელიანის თხზულებაში „ამბავნი ქართლისანი“, რომელიც აღწერს მოკლე ისტორიულ ეპოქას (1739-1758 წ.წ.), გვაძლევს დაწვრილებით და უაღრესად სანდო ცნობებს ქვეყნის ეკონომიკის, ნადირ-შაჰის მიერ ჩატარებული აღწერის და დაწესებული გადასახადების შესახებ, რომელმაც უმძიმესი შედეგები გამოიღო. [ორბელიანი, 1913]. ამდენად, სანდოა მისი ცნობები ქვეყნის ცალკეული კუთხეების დემოგრაფიული სიტუაციის აღწერასთან დაკავშირებით. ივანე ჯავახიშვილისათვის საინტერესოა პაპუნას ცნობები სწორედ ძველი სომხითის დემოგრაფიასთან მიმართებით ისტორიული ცვლილებების პრიზმაში [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 27-29].

ივ. ჯავახიშვილი ფართოდ იყენებს იმ უცხოურ წყაროებს, რომლებიც პრობლემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან დეტალებს შეიცავენ.

ფასდაუდებელია ძველი ბერძენი გეოგრაფის და ისტორიკოსის სტრაბონის ცნობები (ძვ. წ. I, ახ. წ. I სს), რომელიც ბევრს მოგზაურობდა, ნამყოფი ჩანს საქართველოში და მისი ცნობები სანდოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მისი 17 წიგნისგან შემდგარი „გეოგრაფია“ შეიცავს საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობებს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ, გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ თუ ისტორიულ საკითხებზე, მათ შორის საზღვრების შესახებაც. ისტორიისთვის განსაკუთრებით ფასეულია სტრაბონის ცნობები ქვემო ქართლის კუთვნილებასთან დაკავშირებით. იგი გარკვევით ამბობს, რომ ეს კუთხე (პარიადრის სანახები, რომელიც ტაოს და სპერს შეიცავდა, ხორზენე და გუგარეთი, კარინი და დურქსინი) სომეხმა მეფეებმა ქართველებს წაართვეს. ივანე ჯავახიშვილი დასძენს, რომ ეს სომეხთა პირველი იერიში იყო ქართველთა მიწა-წყლის დასაპყრობად [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 16-17].

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს გუგარეთის ტერიტორიული შემადგენლობის საკითხს. აღნიშნავს, რომ ზოგჯერ პოლიტიკური მიზეზების გამო, ის უფრო ვრცელი ტერიტორიით იყო შემოსაზღვრული. ამ საკითხის დასაზუსტებლად იყენებს რომაელი ისტორიკოსის პლინიუსის ცნობასაც. I საუკუნეში ქართლის გაძლიერებასთან დაკავშირებით შესაძლებელია გუგარეთი ქართლს უკვე დაებრუნებინა, ყოველ შემთხვევაში, თემი და თრიალეთი მაინც, რომელიც ფართოდ ნაგულისხმევი გუგარეთის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, უკვე იბერიის კუთვნილებაა

[ჯავახიშვილი, 1919. გვ. 17]. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის პოლიტიკური ტვირთი ძირითადად სომხეთთან საქართველოს სამხრეთის საზღვრების საკითხს ეხება. ამიტომ ავტორი გამორჩეულ ყურადღებას უთმობს როგორც სომხურ წყაროებს, ისე ახალი დროის სომეხი ავტორების ნაშრომებს.

X-XI სს. სომეხი ისტორიკოსის ასოღიკის (სტეფანოს ტარონელი) [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 19-20]. ეხება ტაო-კლარჯეთში მიმდინარე მოვლენებს, ბაგრატიონთა მოღვაწეობას, ქართველ-სომეხთა ურთიერთობებს, სომეხ ბაგრატუნების პირველი მეფის აშოტის მიერ გუგარეთის დამორჩილებას. ასოღიკის ნაშრომი მოიცავს პერიოდს 929 წლიდან 1004 წლამდე. ავტორი ძირითადად თავის თანადართულ ეპოქას აღწერს, რაც მის თხზულებას სანდოობას და დამაჯერებლობას მატებს.

ივ. ჯავახიშვილისთვის მნიშვნელოვანია ასოღიკის ნაშრომის ის ნაწილი, რომლის მიხედვით ამ ტერიტორიის ხელში ჩაგდებას აშოტ ბაგრატუნი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ თავისთვის სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავის წოდება მიუკუთვნებია. „აქედან ცხადია, რომ გუგარეთი მასაც ქართლად და ქართველთა მიწა-წყლად მიაჩნდა და სწორედ ამ ქართველთა ქვეყნის დაპატრონების ძალით მან თავის თავს ქართველთა ერისთავთ-ერისთავი დაარქვა“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 20].

XII ს. I ნახევრის სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი, მცხოვრები ედესაში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) თავის თხზულებაში „ჟამთააღმწერლობა“ გადმოგვცემს 952-1136 წლებს შორის მომხდარ ამბებს. ისტორიის ეს მონაკვეთი მძიმე იყო სომეხი ერისათვის, რადგან გაუქმდა მათი სახელმწიფოებრიობა და სომხები სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტნენ.

მათეოს ურჰაეცი სომეხ ისტორიკოსთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც სომხეთის ხსნას საქართველოს გაძლიერებაში ხედავდა. იგი ყურადღებით აკვირდებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, სიხარულით აღიქვამდა მის წარმატებებს, ხოტბას ასხამდა დავით აღმაშენებელს. ივ. ჯავახიშვილისთვის მათეოს ურჰაეცის ცნობა კიდევ ერთი დასტურია იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ იყვნენ ძნელბედობაში ჩავარდნილი სომხები ორიენტირებულები საქართველოზე და აქ თავშესაფრის ძებნაზე. ეს პროცესი უპირველესად ეხება სწორედ ქვემო ქართლში სომხური მოსახლეობის შემოდინების საკითხს.

იგივე ითქმის XII ს. ცნობილ სომეხ ისტორიკოს ვარდანზეც (დაიბადა ბარძბერდში, კილიკიაში. გარდაიცვალა 1271 წ). მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია, „მსოფლიო ისტორია“. მისი თხზულება ეხება საქართველოს ისტორიის არაერთ საინტერესო მოვლენას, მათ შორის საზღვრებს. საინტერესოა ანისისთვის ბრძოლის ვარდანისეული გადმოცემა.

ივანე ჯავახიშვილი წარმოდგენილი ნაშრომის დაწერამდე თავის სხვადასხვა თხზულებაში შეეხო ისტორიული საზღვრების თითქმის ყველა ძირითად მონაკვეთს და მის გარშემო არსებულ პრობლემატიკას, საიდანაც ის ხშირად ციტირებს ამ ნაშრომის დაწერისას [ჯავახიშვილი, 1913-1914; 1916].

საქართველოს საზღვრებს ივანე ჯავახიშვილი (და ჩვენი წინაპრებიც) არ მიიჩნევდნენ იმ გადაულახავ ზღუდედ, რომელიც იზოლაციაში მოგვაქცევდა და ხელს შეუშლიდა მეზობელ ხალხებთან ურთიერთობებს. ავტორს შენიშნული აქვს საქართველოს და მისი კულტურის კეთილისმყოფელი გავლენა მეზობელ ხალხებზე, მაგალითად დაღესტანსა და შაქზე. ეყრდნობა რა ე. თაყაიშვილის ნაშრომს [Такаишвили, 1905]. საუბრობს დაღესტანში საქარველოს სამისიონერო საქმიანობის, კერძოდ ქრისტიანობის გავრცელებაზე, რაზეც მეტყველებს ამ ტერიტორიაზე არსებული ქართული ტაძრების ნანგრევები ქართული წარწერებით.

ისტორიული ჰერეთის ნაწილის (საინგილო) შიდა დარაიონების საკითხთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილი ეხება მ. ჯანაშვილის ნაშრომს [ჯანაშვილი, 1910]. საინტერესოა ანტონ კათალიკოსის 1757 წ. დაწერილ ნაშრომი, სადაც აღწერს შაქს, ალისულტანს, ჭარს, ხუნძახს, დიდოეთს, ქისტეთს, ღლიღვეთს და ძურძუკეთს [ძველი საქართველო, 1913]. შენიშვნებში აღნიშნულია, რომ ანტონისათვის სათანადო მასალა გადაუცია ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავს. მასში მრავალი ცნობაა არა მარტო საქართველოს, არამედ მაშინდელი ყველა სახანოს და სამელიქოების შესახებაც. იგი ავტორს დაუწერია ყიზლარის კომენდანტის ივან ფროუნდორფის ბრძანებით. მისი პირველი ნაწილი – საქართველოს მეფეების შესახებ, დაიბეჭდა „ივერიაში“ 1880 წ. № 111-ში. მასში ახსნილია, თუ რატომ იქცა ეს კუთხე იმ ბაზად, საიდანაც ლეკები ძარცვავდნენ კახეთს. ივ. ჯავახიშვილისთვის მნიშვნელოვანია იმის მითითება, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროსაც ეს კუთხე საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა და კახეთის ნაწილად ითვლებოდა [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 13].

საინტერესოა კუთხის მიმოხილვა დემოგრაფიული თვალსაზრისით, საიდანაც ნათელია, რომ აქ ჯერ კიდევ კომპაქტურადაა დასახლებული ქართული მოსახლეობის ბირთვი.

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით ფართოდ იყენებს რუსი ავტორების ნაშრომებს, ეს გასაგებიცაა, რადგან რუსეთის იმპერიაში საქართველოს მოქცევის შემდეგ ჩვენმა ისტორიულმა საზღვრებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

ავტორი ხშირად მიმართავს ს.დ. ბურნაშევს (1743-1824), რომელიც იყო გენერალ-მაიორი, სენატორი და მწერალი, 1783-1787 წლებში რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი მეფე ერეკლე II და სოლომონ I (იმერეთი) კარზე. სამხედრო-დიპლომატიური საკითხების გარდა, დაკავებული იყო ამიერკავკასიის ისტორიისა და გეოგრაფიის დაწვრილებითი აღწერით სამეცნიერო, დიპლომატიური და სადაზვერვო-სამხედრო მიზნებისათვის. მისი დაკვირვების შედეგები მოცემულია წიგნში «Картина Грузии, или Описание политического состояния царства Карталинскогои Кахетинского». მანვე შეადგინა 1784 წლით დათარიღებული რუკა, რომლის საფუძვლად აღებულია ვახუშტის რუსულენოვანი ატლასის ამიერკავკასიის გენერალური რუკა.

ბურნაშევის რუკის კარტოგრაფიული და ფიზიკურ-გეოგრაფიული საფუძველი თითქმის იმეორებს ვახუშტის მიერ დახაზული რუკის ელემენტებს. განსხვავება შეიმჩნევა მხოლოდ შიდა ადმინისტრაციული საზღვრების გატარებაში, რაც ალბათ, კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით უნდა იყოს განპირობებული.

ბურნაშევის მიხედვით საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრის მონაკვეთი დარიალის ხეობაში ქედის იქით გადადიოდა და მისაყრდენ ციხედ აშენდა „გორის ციხე, ფრიად ძველი, ძველებურ წესზე აგებული კოშკებით შემკული სიმაგრე“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 9]. ბურნაშოვი აფიქსირებს ისტორიული ჰერეთის საზღვრებსაც.

ბურნაშევის რუკა საინტერესოა პოლიტიკური სიტუაციის აღწერის თვალსაზრისით: ყაზახი, შამშადილი, შამქორი განჯითურთ, ქართლის საზღვრების გვარად, წითელი ფერით არის შემოხაზული, რაც საქართველოსთან მათ უმჭიდროეს კავშირზე მეტყველებს [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 9].

საინტერესოა ბურნაშევის დაკვირვება ქართლ-კახეთის ურთიერთობაზე ახალციხის საფაშოსთან. ქართველი მეფეები ხაზგასმით ადასტურებენ თავიანთ ისტორიულ უფლებას საფაშოზე, რასაც ასახავდნენ კიდეც ტიტულატურაში.

ფაქტობრივად, ყველა ავტორი, მათ შორის ბურნაშევიც, ადასტურებს ქვემო ქართლის უმჭიდროეს კავშირს დანარჩენ საქართველოსთან. ეს კავშირი კიდევ უფრო გაცხოველდა, როდესაც ერეკლე II-ემ ახტალასა და ალავერდში არსებული წიაღისეული მადნის ამოღება და დამუშავება დაიწყო, რამაც სამეფოს მნიშვნელოვანი შემოსავალი გაუჩინა.

ნ.გ. ბუტკოვი (1775-1857) საიდუმლო მრჩეველი, სენატორი, აკადემიკოსი, საქართველოს რუსეთთან შეერთების წლებში იყო მთავარსარდალ კნორინგის კანცელარიის მმართველი. კავკასიაში სამხედრო სამსახურში ყოფნისას მან შეაგროვა მასალები საქართველოს ისტორიასა და რუსულ-სპარსულ ურთიერთობებზე. თავის ნაშრომებში [Бутков, 1869]. ბუტკოვი ბურნაშევის მსგავსად, საუბრობს ქვემო ქართლის მადნეულის დამუშავებაზე და მის მნიშვნელობაზე სამეფოსთვის. განსაკუთრებით ფასეულია მისი ცნობები სომხური წრეების ერთი ნაწილის პოლიტიკის შესახებ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში. თუ ადრე სომეხი ლტოლვილები საქართველოს შემოეხიზნებოდნენ და მისი მოიმედენი იყვნენ, ახლა ისინი რუსეთის მფარველობას ეძებდნენ და მისი დახმარებით ცდილობდნენ საქართველოში თავიანთი საქმე გაეკეთებინათ. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების წინ ყარაბაღისა და ყარადაღის სომხები ერეკლეს ზურგს უკან სთხოვს რუსეთს დამოუკიდებლად მიიღონ მფარველობაში და ჰპირდებიან, რომ 30,000-იან ლაშქარს 5 წლის განმავლობაში გამოკვებავენ. ხოლო ეჩმიაძინის პატრიარქმა ლუკამ საქართველოსკენ მიმავალ აღა-მაჰმად ხანს 100,000 მანეთი მისცა სამხედრო ხარჯების დასაფარავად, თუმცა შიშის გამოო, კომენტარს აკეთებს ივ. ჯავახიშვილი [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 31].

ბუტკოვი საუბრობს ახალციხის ფაშასთან ერეკლეს კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ. მან კარგად შენიშნა ერეკლესთვის ტრაქტატის მიმზიდველობის ერთ-ერთი საკვანძო მომენტი – ახალციხის საფაშოს მის სამეფოსთან შეერთების პერსპექტივა. ეს გააცნობიერა ახალციხის ფაშამაც და ამიერიდან მისი დამოკიდებულება ერეკლესადმი მტრული გახდა.

საინტერესოა, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების წინ ერეკლე II-ის პოლიტიკური პრეტენზიების ამსახველი ბუტკოვისეული ცნობა: ერეკლეს რწმუნებულებმა ტრაქტატის დადების დროს იგი წარადგინეს ტიტულით: „ერეკლე II კახეთის და ქართლის მეფე, სამცხე-სა-

ათაბაგოს მემკვიდრეობით მფლობელი, ყაზახის მთავარი, ბორჩალოს მთავარი, შამშადილის მთავარი, კახის მთავარი, შაქის მთავარი, შირვანის მთავარი, მფლობელი და მფარველი განჯის, ერევნის და სხვათა“, მაგრამ ტრაქტატის დადების დროს ეს ტიტულატურა არ იქნა მიღებული, დასძენს ბუტკოვი [Бутков, 1869. стр. 130].

დ. ი. კოვალენსკი იყო რუსეთის მინისტრი გიორგი XII-ის კარზე (1799 წ.) ხოლო შემდეგ, რუსული მმართველობის ჩამოყალიბებისას – საქართველოს მმართველი. თავის „Записка Коваленского о Грузии“ ბურნაშევის მსგავსად გადმოგვცემს ერევნისა და ყარაბაღის ხანების ერთგულებას ერეკლესადმი და ყაზახ-შამშადილის უმჭიდროეს კავშირს საქართველოსთან. კოვალენსკიც ადასტურებს აღა-მაჰმად ხანის შემოსევის წინ ყარაბაღელი სომხების მასობრივ შემოხიზვნას საქართველოში, რომლებიც საშიშროების გავლის შემდეგ უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ პირიქით, ისინი არათუ დაბრუნდნენ მათ სხვებმაც მიბაძეს და საქართველოში სომეხთა ახალი ტალღა შემოვიდა.

რუსეთის ორმაგი და ორპირი პოლიტიკის დასახასიათებლად საინტერესოა კოვალენსკის ცნობა იმის შესახებ, რომ სომეხთა ის ნაწილი, რომელიც ცდილობდა ერეკლეს გვერდის ავლით საქმე პირდაპირ რუსეთთან დაეჭირა, მისი მფარველობა მიეღო და საქართველოში საკუთარი საქმე გაეკეთებინა, რუსეთმა მიიღო თავის მფარველობაში და საქართველოში დასახლების ნება მისცა. ეს საქართველოსგან ფარულად გაკეთდა, ოფიციალურად კი რუსეთის ელჩს დავალებული ჰქონდა, რომ სომხებისათვის მიწები განსაკუთრებით შეღავათიანი პირობებით გამოეყოთ და ეს საქართველოსათვის სასიკეთო საქმედ წარმოეჩინათ. [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 30-31; Акты Кавказского... 1866. стр. 120]

ივ. ჯავახიშვილის ყველა ეს ცნობა სომეხთა ქვემო ქართლში მასობრივად ჩამოსახლების შესახებ (1828-29 წ.წ. – სამცხე-ჯავახეთი), მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ რეგიონში სომხური მოსახლეობის აღმატებულ რაოდენობაზე დამყარებით „ასაბუთებდნენ“ სომეხი ავტორები ამ კუთხეების სომხეთთან შეერთების მოთხოვნის სამართლიანობას.

რუსი სამხედრო ისტორიკოსი ნ. ფ. დუბროვინი (1837-1904) 6 ტომიან ნაშრომში აღწერს, თუ როგორ იყენებდა რუსეთის დიპლომატია XVIII-XIX სს მიჯნაზე საქართველოში შექმნილ უაღრესად რთულ ვითარებას, როგორ აიძულებდნენ ქართველ მეფე-მთავრებს (გრიგოლ დადიანი, სოლომონ II) დამდგარიყვნენ რუსულ ორიენტაციაზე და უარი ეთქვათ თავიანთ დაქვემდებარებაში არსებული პოლიტიკური ერთეულების სუვერენიტეტზე. იგი აღწერს ქართლ-კახეთის რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მიუთითებს ფოთის, ანაკლიის და ბათუმის ნავსადგურების მნიშვნელობაზე რუსეთისათვის. მეცნიერი ობიექტურად საუბრობს რუს მოხელეთა თავგასულობაზე საქართველოში, საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცალკეულ კუთხეთა საზღვრების შესახებ, კერძოდ იმაზე, რომ რუსეთთან შეერთების დროსაც სომხითი, ბორჩალო, ბამბაკი, ყაზახი და შურაგელი საქართველოს უცილობელ კუთვნილებას შეადგენდა [Дубровин, стр. 381-382].

ვ. ნ. ფილიპოვი (1838-1903), 1865-1878 წ.წ. მსახურობდა ამიერკავკასიაში, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში. თავის ნაშრომში კიდევ ერთხელ ხაზგასმულია დვალეთის საქართველოსადმი კუთვნილების ფაქტი და რომ ის XIX საუკუნეშიც თბილისის გუბერნიის საზღვრებში იყო მოქცეული [Филипов, 1872].

ვ.ნ. ივანენკო თავის ნაშრომში საინტერესო დეტალებს გვაწვდის საქართველოში რუსეთის კოლონისტური დემოგრაფიული პოლიტიკის შესახებ, კერძოდ, თუ როგორ აჰყარა რუსეთმა წებელდიდან მოსახლეობა 1840, 1864 წლის მოვლენებთან დაკავშირებით და რამაც მისი გაუკაცრიელება გამოიწვია [Иваненко, 1901. стр. 265-267; ჯავახიშვილი, 1919. გვ. 40]. იგივე კუთხით საინტერესოა მისი ინფორმაცია სომხითში სომხური მოსახლეობის მომრავლების და დამკვიდრების შესახებ 1827-1829 წ.წ. სწორედ რუსეთის მფარველობით და მატერიალური დახმარების შედეგად 30 000 სომეხი დამკვიდრდა ახალციხის და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში. შედეგად, მოსახლეობის უმრავლესობად აქ სომხები იქცნენ.

ვ. ტ. მაევსკიც თავის ნაშრომში საქმიანი, სტატისტიკური ანგარიშის სტილით აღწერს წებელდის ხეობიდან რუსული ადმინისტრაციის მიერ მოსახლეობის გასახლებისა და მისი დაცარიელების პროცესს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საკოლონისტო-დემოგრაფიულ პოლიტიკაში რუსეთის გეგმაზომიერი, სტრატეგიული გენერალური მიმართულების არსებობას [Маевский, 1896. стр. 54].

ამავე პროცესს შეეხო ა.პ. ავერიანოვი (1867-1937), რომელიც 1894-1905 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქში. თავის ნაშრომში „Этнографическій и военно-политическій обзоръ азіатскихъ владеній Оттоманской империи“ საუბრობს ქართული მოსახლეობის, განსაკუთ-

რებით მუსლიმების, საქართველოდან აყრის და ოსმალეთში გასახლების შესახებ. ამჯერად საქმე ეხება ლაზისტანს [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 47].

ივ. ჯავახიშვილი შესაბამის ყურადღებას უთმობს სომეხი ავტორების ნაშრომებს. ერთ-ერთია ნ. გ. ადონცი (1871-1942) - ბიზანტიოლოგი, პეტერბურგის (ქართული და სომხური სიტყვიერების) და ბრიუსელის უნივერსიტეტების პროფესორი. იგი თავის ნაშრომში ეხება საქართველოს ისტორიულ სამხრეთის საზღვრებს. კერძოდ, სომხეთის სამეფოს მიერ ქართლის სამეფოსთვის სამხრეთის ტერიტორიების წართმევის და 387 წ. ზავის შემდეგ ქართლის მიერ ამ ტერიტორიის უკან დაბრუნების საკითხს. ადონცის მიხედვით ვახტანგ გორგასლის დროს გუგარეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია და ეს საკითხი ეჭვს არ იწვევს [Адонц, 1908. стр. 222; ჯავახიშვილი, 1919. გვ. 18].

სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე დგას ა. შახატუნიანი. იგი მუშობდა ცენტრალური კავკასიის ადმინისტრაციული დაყოფის სომხურ პროექტზე, რომლის შეხედულებები პრობ-ლემასთან დაკავშირებით გადმოცემულია 1918 წელს გამოცემულ წიგნში [Шахатунян, 1918]. ნაშრომის ანტიქართული სულისკვეთების გამო, იგი ივ. ჯავახიშვილის მძაფრი კრიტიკის საგნად იქცა. შახატუნიანი მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული დაყოფა მოხდეს და საზღვ-რები დადგინდეს ე.წ. რეალური მოსახლეობის პრინციპიდან გამომდინარე, თუმცა იცის, თუ როგორ შეიქმნა სომხური მოსახლეობის უმრავლესობა ქვემო ქართლში, განსაკუთრებით ჯავახეთში, რუსული ადმინისტრაციის წყალობით. შახატუნიანი არ კმაყოფილდება მარტო რეალური მოსახლეობის პრინციპით და ცდილობს თავისი პოზიცია გაამყაროს იმ არგუმენ-ტებით, რომ თითქოს ოროგრაფიული, კლიმატური პირობებით, მეურნეობის განვითარების და საფინანსო ურთიერთობების გათვალისწინებით ჯავახეთი სომხური მხარეა და მას უნდა შეუერთდეს.

ივ. ჯავახიშვილი ისტორიული ექსკურსით და არგუმენტებით ცხადყოფს შახატუნიანის გეგმის უსაფუძვლობას. მან არგუმენტად მოიშველია სომეხთა მწყალობლის, მეფინაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის მიერ შექმნილი ახალქალაქის სამაზრო კომისიის დასკვნა (1913 წ.), რომლის 14-კაციან შემადგენლობაში მხოლოდ 4 ქართველი იყო წარმოდგენილი და რო-მელმაც სწორედ ეკონომიკური და სამიმოსვლო გზების მიმოხილვის საფუძველზე უარყო თბილისის მაზრიდან ჯავახეთის ჩამოშორება და სომხურ მაზრასთან შეერთების სარგებლი-ანობა. იგივე დასკვნა გამოიტანა 1914 წელს ტიფლისის გუბერნიის განსაკუთრებულმა საბ-ჭომ. მსგავსი პრობლემა განმეორდა ბორჩალოს მაზრის კუთვნილებასთან დაკავშირებითაც [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 40-42].

ევროპაში ქართველოლოგიის დამფუძნებელმა ფრანგმა ორიენტალისტმა, აკადემიკოსმა მარი ბროსემ თარგმნა და 1849-1851 წლებში 7 ტომად გამოსცა ძველი ქართველი ისტო-რიკოსების თხზულებები, მათ შორის ვახუშტის ნაშრომის გეოგრაფიული ნაწილი. იგი ეხება საქართველოს ისტორიულ საზღვრებს, ისტორიული კუთხეების ტოპონიმიკას, მაგალითად „სომხითს“, რომელიც მისი დაკვირვებით, მხოლოდ ქართული წყაროებისთვისაა ცნობილი, სომხურმა წყაროებმა კი ის არ იცის, პირიქით, ლორე-ტაშირის ველს ისინი „ქართველთა ველს“ უწოდებენ.

ამრიგად, ირკვევა, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ტრანსფორმაციების ასახვისას ივ. ჯავახიშვილს გამოყენებული აქვს მრავალი ისტორიული წყარო, რომელთა გეოგრაფია სცილდება საქართველოს და ქართულ წყაროებს და მოიცავს როგორც უშუალო მეზობლების (სომხეთი, ბიზანტია, რუსეთი, თურქეთი), ისე დასავლეთ ევროპელ ავტორთა ცნობებსაც. მათი ერთობლივი ანალიზით მეცნიერი ადგენს ობიექტურ სურათს და აჩვენებს მეზობელთა ტერიტორიული პრეტენზიების უსაფუძვლობას.

ლიტერატურა

1. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, ტფ., 1904.
2. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა. იხ. მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“. თბ., 1906.
3. ორბელიანი პ. ამბავნი ქართლისანი, ტფ., 1913.
4. ძველი საქართველო, ტ. II, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1913.
5. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალ-საზრისით განხილული. ტფ., 1919.
6. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, 1914 წ. ტ. II.
7. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I და II; ტფილისი, 1913-1914.
8. ჯავახიშვილი ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა V-XVIII სს., ტფილისი, 1916.
9. ჯანაშვილი მ. საინგილო, თბ., 1910.
10. Акты собранные Кавказскую археографическую комиссиею... Тифлис, 1866.
11. Бутков Н. Г. Материалы для новой историй Кавказа с 1722 по 1803 год. СПБ, 1869.
12. Аверянов А. П. Этнографическій и военно-политическій обзоръ азіатскихъ владеній Оттоманской империи, СПБ, 1912.
13. Адонц Н. Г. Армения в эпоху Юстиниана, Спб, 1908.
14. Картина Грузии или Описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, сделанное, пребывающим при его высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе, в 1786 г. - Тифлис: К.Н. Бегичев, 1896 (Тип. И.А. Мартиросянца).
15. Дубровин Н. История войны и владичество Русских на Кавказе, СПБ, III, 1871-1888.
16. Иваненко В. Н. Гражданское управление Закавказьем. Тифлис, 1901.
17. Маевский В. Т. Кутаиская губерния. Военно-политическое описание, Тифлис, 1896. с. 54.
18. Такаишвили Е. Археологические экскурсий, Тифлис, 1905.
19. Филипов В. Н. Военный обзор Тифлисской Губернии, СПБ, 1872.
20. Шахатунян А. Адмистративный передел Закавказского края. Тифлис, 1918.

Avtandil Ujmajiuridze, Gia Chkhikvishvili, Revaz Tolordava

Retrospective analysis of “The Georgian Borders in the Historical and Modern Perspectives” by Ivane Javakhishvili

Resume

The article reviews the main literary sources used in monograph “The Georgian Borders in the Historical and Modern Perspectives” by Ivane Javakhishvili. These sources can be divided into 3 groups: 1) Georgian and foreign historical sources, 2) historical studies, and 3) cartographic materials. The author uses the Georgian and foreign sources and based on them, decides whether some or other territory of the near-border region of Georgia belongs to Georgia. The most important source is “The Description of the Kingdom of Georgia” by Vakhushti Bagrationi. Thus, it is clear that Ivane Javakhishvili used many historical sources in describing the historical territories of Georgia, whose geography goes beyond the Georgian sources and those of Georgia and incorporates the data of the authors of both, the immediate neighbors of Georgia (Armenia, Byzantine Empire, Russia and Turkey) and West Europe. Based on the joint analysis of these sources, the scientist gives an objective picture and demonstrates the invalidity of the territorial claims of the neighbors of Georgia.

ძველი ტოპოგრაფიული რუკები („ვერსტოვკები“) – საქართველოს ტერიტორიის გამიჯვნისათვის გამოყენებული ძირითადი კარტოგრაფიული წყარო

რევაზ თოლორდავა[1], დალი ნიკოლაიშვილი[2]

სახელმწიფოს ტერიტორიისა და საზღვრების ტრანსფორმაციების რეტროსპექტული სურათის შექმნა მეტად მოსახერხებელია კარტოგრაფიული წყაროების მეშვეობით. ასეთი წყაროები საკმაოდ მრავლად მოგვეპოვება საქართველოს შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მდიდარი კოლექციაა დაცული საქართველოს სხვადასხვა უწყებაში, ისინი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებული. მეტად საყურადღებოა რუსეთის იმპერიის სამხედრო უწყების მიერ კავკასიის (მათ შორის საქართველოს) ტოპოგრაფიული აგეგმვისა და რუკათშექმნითი სამუშაოების შედეგად შექმნილი მსხვილმასშტაბიანი რუკები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კარტოგრაფიულმა ნამუშევრებმა თავის დროზე უდიდესი როლი ითამაშეს საქართველოს როგორც გეოგრაფიული შესწავლისა და სამეურნეო განვითარების, ისე სამხედრო საქმის თვალსაზრისით. თუმცა ეს მდიდარი კარტოგრაფიული ფონდი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ XX საუკუნის დასაწყისში, როცა მიმდინარეობდა კავკასიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ტერიტორიის საერთაშორისო აღიარების მოპოვებისათვის ბრძოლა და როცა, ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართულენოვანი საშუალო და მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკები, პოლიტიკური გადაწყვეტილებებში ჩართული და შესაბამისი დარგის სპეციალისტები იყენებდნენ რუსეთის იმპერიის სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამოცემულ სხვადასხვა ვერსიან რუკებს, ე.წ. „ვერსტოვკებს“. მათ შორის ყველაზე ინტენსიურად გამოიყენებოდა 5-ვერსიანი რუკები (1:210,000). ამის დასტურად მოგვყავს რამდენიმე დოკუმენტი.

ივანე ჯავახიშვილის პირად ფონდში დაცული 5-ვერსიანი რუკის 19 ფურცელი (შედგენილი 1885-1912 წლებში). მათზე სხვადასხვა ფერის კალმითა და ფანქრით აღბეჭდილია მეცნიერის ხელით გატარებული გრაფიკული ანაგებები და მინაწერები (ქართულ და რუსულ ენებზე), აგრეთვე ცალკეული ტოპონიმების შესწორებები (ნახ. 1). აქ დაახლოებით 500-მდე მინაწერი და მონიშვნაა [სართანია, ნიკოლაიშვილი და სხვ., 2016]. რუკები დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ეგზემპლარები [ფონდი № 365].

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო ნაშრომებში არსებული მრავალმხრივი მინიშნებები გვაფიქრებინებს, რომ მას სხვადასხვა პერიოდში გამოცემულ კარტოგრაფიულ წყაროზე უნდა ემუშავა. საკვლევი რუკის ფურცლებზე დატოვებული წარწერებისა და გამოყენებული სახვითი საშუალებების მრავალფეროვნება მეცნიერის მიერ მათზე მრავალმრივი მიმართულებით მუშაობაზე უნდა მიუთითებდეს (იხ. დანართი - ცხრ. 1).

კვლევის პერიოდში 5-ვერსიანი რუკის ნომენკლატურის 19 ფურცელზე მინაწერები და მონიშვნები იქნა აღნუსხული და შესწავლილი, რომლებიც სხვადასხვა სახის საწერი საშუალებებითა და პიროობითი აღნიშვნებითაა შესრულებული. მათ შორის გამოვლენილია მთელი რიგი განსხვავებებისა [სართანია, ნიკოლაიშვილი და სხვ.]:

- მინაწერებისა და კონტურების ფერის მიხედვით (მწვანე, ცისფერი, წითელი, ლურჯი);
- საწერი საშუალების ტიპის მიხედვით (მელანი, ე.წ. „უბრალო“ ან „ქიმიური“ ფანქარი);
- დატანილი გეომეტრიული ნიშნების მიხედვით (ჯვრები, წარწერების გახაზვისათვის გამოყენებული ცალმხრივი ან ორმაგი კონტურები, წარწერების შემოსახაზად გამოყენებული ცალმხრივი ან ორმაგი ოვალები).

[1] სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, rezo-06@mail.ru

[2] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი. dali.nikolaishvili@tsu.ge

А1	Б1	В1	Г1	Д1					
А2	Б2	В2	Г2	Д2	Е2				
	Б3	В3	Г3	Д3	Е3				
	Б4	В4	Г4	Д4	Е4		З4		
	Б5	В5	Г5	Д5	Е5	Ж5	З5		
	Б6	В6	Г6	Д6	Е6	Ж6	З6		
	Б7	В7	Г7	Д7	Е7	Ж7	З7	И7	
	Б8	В8	Г8	Д8	Е8	Ж8	З8	И8	
	Б9	В9	Г9	Д9	Е9	Ж9	З9	И9	
	Б10	В10	Г10	Д10	Е10	Ж10	З10	И10	
	Б11	В11	Г11	Д11	Е11	Ж11	З11	И11	І11
					Е12	Ж12	З12	И12	І12	12
					Е13	Ж13	З13	И13	І13	13

ნახ. 1. კავკასიის 5-ვერსიანი რუკის ფურცლები, რომლებზეც ასახულია ივ. ჯავახიშვილის ხელით შესრულებული მინაწერები, მონიშვნები და მისივე ხელით გატარებული კონტურებია

(მეცნიერის პირადი ფონდი)

რუკაზე არანაირი მინიშნება არ არის, თუ რა თემატური შინაარსის გადმოცემა უნდოდა ამით ივ. ჯავახიშვილს. ერთი კი უდავოა, ისინი მიგვანიშნებენ სხვადასხვა თემატურ დატვირთვაზე, რაც ჩვენი და სამომავლო კვლევის ობიექტად იქცა.

განსაკუთრებით ინტერესს იწვევს რუკის ზოგიერთ ფურცელზე გატარებული სხვადასხვა ფერადი კონტური, რომლებიც სხვადასხვა სიგრძისა და კონფიგურაციისაა. ხშირად ისინი წყალგამყოფებსა და მდინარეთა ხეობებს მიუყვება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის (ქვეყნების, გუბერნიების, მაზრების), დროის სხვადასხვა პერიოდის, ან სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებით გატარებული საზღვრის კონტურებია. ასე მაგალითად, Д.7 ნომენკლატურაზე მოლურჯო ფერის ფანქრის ხაზი მიუყვება ქედ Г-ры. Карахалъ-ს[1] (სიმაღლე 3480), губ. Тифлисски-ს ჩრდილოეთ მიმართულებით უერთდება საზღვარს და მიუყვება მას მთა Г. Джабисъ-тави-მდე. შემდეგ უხვევს სამხრეთ-დასავლეთით მთ. Г. Ситис-кибе-მდე, საიდანაც ორ მიმართულებად იყოფა: 1) ჩრდილო-დასავლეთის - Г. Саквирике-თან კვეთს მდ. მტკვარს და გადის Уез. Ахалцихский-ის საზღვრამდე; 2) მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ მდ. მტკვრამდე, Г.Такма-таш-ის ჩრდილოეთით უხვევს სამხრეთის მიმართულებით არდაგანის მაზრის საზღვრამდე (რუკაზე Г. Касрис сери-დან აღმოსავლეთით 3 სმ დაშორებით).

Г. Баясъ-Кая-დან 1.4 სმ-ში საზღვრიდან გახაზულია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ხაზი ციხე РК. Херхем-кала-მდე, საიდანაც მკვეთრად უხვევს დასავლეთისაკენ, შემდეგ Г. Тирч сагатъ-თან უხვევს ჩრდილო-დასავლეთით, თანდათან ღებულობს ჩრდილოეთ მიმართულებას და г. Хорос дагъ-ზე გავლის შემდეგ ისევ გადის საზღვარზე.

Г.7 ნომენკლატურაზე მდ. ჭოროხის შესართავიდან სამხრეთ-დასავლეთით Ност сарпъ-დან დასავლეთით р. Микриали-чай-სა და Р. Чорох-ის წყალგამყოფზე მოწითალო ფანქრით გატარებულია ხაზი, რომელიც Н. Марадид-თან კვეთს Р.Чорох-ს, შემდეგ გადის Р. Угдиди-ის სათავესთან, უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით, Г. Ква-кибе-ს დასავლეთით, Горгадзе-ს მიმართულებით. შემდეგ ეს კონტური მიუყვება ქედ Г-ры Медзи дна-ს, მთ. Г. Герамъ-кесунъ-მდე. შემდეგ უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით, შემდეგ ისევ ჩრდილო-აღმოსავლეთით და გადის Окр. Батумский-ს საზღვართან Хр. Шавшетски-ის დასაწყისამდე, საიდანაც უკვე უფერო ფანქრის ხაზი მიდის ჩრდილოეთ მიმართულებით р. Мериси-ისა და р. Тбети-ის წყალგამყოფზე р. Аджарис-цкал-მდე (Халда). შემდეგ ხაზი აკეთებს ზიგზაგებს: ძირითადი ხაზი გადის Окр. Батумский-ს საზღვარზე. ხოლო Г. Перанга-მდე 1 სმ-ში მისგან გამოიყოფა უფერო ხაზი დასავლეთ მიმართულებით, მთ. Г. Калва – р.Кинтриш-ის სათავეებამდე (ნიშნული 1780), მერე სამხრეთ-დასავლეთით Г. Уаквис-мта-მდე, შემდეგ მთა Г. Тирала-მდე, საიდანაც უკვე წყალგამყოფებით აღწევს შვი ზღვის სანაპირომდე, მდ.

[1] ტოპონიმები მოცემულია რუკაზე ასახული ტრანსკრიფციით.

Р.Чорох-ის შესართავიდან ჩრდილოეთით 7.8 სმ-ში. მსგავსი ხაზები გატარებულია ასევე Г.7, Ж.10, И. 10 და Е.9 ნომენკლატურებზე.

ამ ხაზების შესახებ რუკებზე რამე მინიშნება არ არის აღნიშნული. თუმცა საზღვრის კონტურებისა და საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფის ანალიზი გვაძლევს საშუალებას ვივარუდოთ, რომ ისინი სხვადასხვა დონის მიჯნების მონიშვნის ჯავახიშვილისეული ინტერპრეტაციებია. მაგალითად, Г.7 ნომენკლატურის ერთ-ერთ ეგზემპლარზე ასახულია:

- რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების საზღვრის პარალელურად დატანილია ამ პერიოდისათვის უკვე ტრანსფორმირებული საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მიჯნის ფრაგმენტი (აღნიშნულია წითელი ფანქრით);
- ბათუმის ოკრუგის საზღვრის ტრანსფორმაციები ასახულია საზღვრის ზოგიერთ მონაკვეთზე. კერძოდ, თუ რუკაზე ოკრუგის საზღვარი დასახლებულ პუნქტ აჭის სამხრეთ-დასავლეთიდან გადის, დიდი მეცნიერის ხელით გახაზული, სავარაუდოდ, ავტონომიური რესპუბლიკის მიჯნის ხაზი, უკვე მას ჩრდილო-დასავლეთიდან უვლის და მდ. აჭისწყლისა და მისი ერთ-ერთი შენაკადის წყალგამყოფს მიუყვება მთ. ნაბაძურამდე, სადაც იგი ისევ გადის ძველ საზღვარზე (ნახ. 2). აჭარის საზღვრის ცვლილება ასახულია ასევე მთა თაგინაურთან (8735) და უღ. ბადიშთან. ამ უკანასკნელთან ცვლილებები ორ ვარიანტადაა ნაჩვენები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რუკაზე მოცემული საზღვრის ცვლილებების ამ ანასახის შედარება ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრების თანამედროვე მდებარეობასთან, იძლევა იმის საფუძველს, რომ მეცნიერმა საზღვრის შესწორებული ვარიანტები აჩვენა. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერიტორიული ტრანსფორმაციები ავტონომიური რესპუბლიკის სასარგებლოდაა გაკეთებული;
- იმდროინდელი ადმინისტრაციული დაყოფის ფარგლებში უფერო ფანქრით დატანილი ხაზები, სავარაუდოდ, საქართველოს გასაბჭოების შემდგომი ადმინისტრაციული დაყოფის ინტერპრეტირებაა. კერძოდ, რუკაზე აჭარის ტერიტორია 4 ნაწილად (სავარაუდოდ ბათუმის, ქობულეთის, ქედის და შუახევის რაიონებად) არის დაყოფილი. Д.7 ნომენკლატურაზე, რომელზეც უმთავრესად ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებია გამოსახული, პირველი ივ. ჯავახიშვილს 5 ფრაგმენტად (ტერიტორიად) აქვს დანაწილებული, რომელთაგან 4 ახალციხის, აბასთუმნის ასპინძის და ადიგენის, ხოლო ერთი ბორჯომის გარშემო არის ლოკალიზებული. აქ, ახალქალაქის მაზრა ორ ნაწილად, - სავარაუდოდ ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებადაა დაყოფილი. ადმინისტრაციული დაყოფის ხაზებია გატარებული ასევე ერევნისა და ელისავეტპოლის გუბერნიებში (Ж10);
- დიდ მეცნიერს ასევე საკმაოდ შრომატევადი სამუშაო აქვს ჩატარებული ცალკეულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებთან მიმართებაში, რომელთა მოსანიშნად განსხვავებულ პიროობით აღნიშვნებს იყენებს. სხვადასხვა ფერის (უფერო, მომწვანო, ცისფერი, მოწითალო ფერისა და ე.წ. „ქიმიური“) ფანქრითა და ლურჯი მელნით გახაზულია 63 ობიექტი, სხვადასხვა ფორმით (ოვალი, ორმაგი ოვალი) შემოხაზულია 40 მთა (13-ზე დამაგრებულია სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის ცენტრი), 41 დასახლება (მათ შორის 5 ქალაქი), 23 უღელტეხილი, 16 მდინარე, 10 ხევი, 4 яйля* (იაილა), 4 ქედი, 2 ყოფილი ციხე-ქალაქი), 23 სიმაგრე, ერთი ტბა და სხვა გეოგრაფიული ობიექტი. გვხვდება სხვადასხვა სახის კომბინაციებიც, კერძოდ, ერთდროულად გახაზულია და გაკეთებულია მინაწერები. ადგილი აქვს ასევე ტოპონიმების არა მთლიანად, არამედ მხოლოდ ცალკეული ასოების გახაზვას. მაგალითად,
  - 3.8 ნომენკლატურაზე გახაზულია ტოპონიმ Богиръ-архъ-ის (ბოგირ არხი), ბოლო ორი ასო, აქვე გახაზულია დასახლება Куртъ (კურტი) პიროობითი ნიშანი და საწყისი ასო;
  - 3.10 ნომენკლატურაზე მოწითალო ფანქრით გახაზულია მთა Г. Куладаш (მთ. ყულადაში) და წარწერილია ირიბად, უფერო ფანქრით;
  - მეცნიერს ნამუშევარი აქვს ერთი ნომენკლატურის რამდენიმე ეგზემპლართან (Г.7- 3 ეგზ., В.5 - 3 ეგზ., И.7 – 2 ეგზ. და სხვ.). В.5 და Ж.9 ნომენკლატურაზე მელნისფერი ფანქრით, რუსული ასომთავრულით გაკეთებულია წარწერები, შესაბამისად: Мысь Пицундский და КАРАБАХСКОЕ ПЛОСКОГОРЬЕ.

БАТУМЪ
Г. Дагда
Г. Тератъ
Г. Морвиль
Г. Тирала
Г. Чависъ-тави
Г. Корожистави
Г. Корожисъ-тави
Г. Хохна
Кеди
Мериси
Зерабосели
Урихнали
Чихвравили
Херъ-еналя
Лидзаке
Чаквистави
Агара
Зунлага
Басучъ-огль
Аликъ-огль
Ахалцихе
Ахалцихъ
Ахалцихъ-хеми
Ахалцихъ-тави
Ахалцихъ-хеми
Ахалцихъ-тави
Ахалцихъ-хеми
Ахалцихъ-тави

ამრიგად, მოცემულ ნომენკლატურებზე სხვადასხვა ფერის და კონსტრუქციის საწერი საშუალებებით დატანილია ხაზები და მინაწერები, რომლებიც მიუთითებენ მეცნიერის მიერ მათზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობაზე. „ვერსტოვკებისა“ და ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1923 წელს გამოცემული რუკების ანალიზის საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ მეცნიერის მიერ გაკეთებული გრაფიკული ნიშნების მნიშვნელოვანი ნაწილი კორექტურული და სიტუაციური ხასიათისაა და „ვერსტოვკების“ შინაარსის სრულყოფას ისახავდა მიზნად. მაგალითად, ქ. არტაანის (Ардагань) ირგვლივ (Д7) გადახაზულია თავდაცვითი ნაგებობების (Укр.) აღმნიშვნელი პირობითი ნიშნები, რაც ამ ნაგებობების ფუნქციის დაკარგვის მიმნიშნებელი უნდა იყოს, ხოლო მდინარეებსა და გზებზე გაკეთებული აღნიშვნები ინფრასტრუქტურის ობიექტების დამატებას (მოკლე ხაზები) ან არარსებობას (გადაჯვარედინებული ხაზები) უნდა აღნიშნავდეს. ასეთი ნიშნების სიმრავლე მეჩეთების გვერდით გვაფიქრებინებს, რომ ეს საკულტო ობიექტები იმ პერიოდისათვის ან გაუქმებული ან გადაკეთებული უნდა ყოფილიყო.

ზოგიერთ ნომენკლატურაზე მეცნიერს შინაარსის სისრულეშიც აქვს შეტანილი შესწორებები - დამატებულია ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტები (12803 Г. Айчанкали-даг) და ახნა-განმარტებითი სახის მინაწერები (დონეები მდ. არაქსზე და სხვ.) (Ж 10).

ჩარჩოს გარე გაფორმებაზე შეტანილი ცვლილება (Г 7, გადახაზულია წარწერა СЕКРЕТНО) კი მიუთითებს მოცემულ ნომენკლატურაზე საიდუმლოობის გრიფის მოხსნას. ნომენკლატურებზე დასახლებული პუნქტების სახელწოდებების გახაზვა (Н. Хачмаз, Дивичи) (И7) კი, სავარაუდოდ, მათი სტატუსის ცვლილების მიმთითებელი უნდა იყოს.

ამრიგად, აღნიშნულ რუკებზე (უფრო მართებულია ითქვას, მათ ნაწილზე) ივ. ჯავახიშვილმა ასახა ურთულესი გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგები. რუკის შინაარსში შეტანილია კორექტირებები იმ პერიოდისათვის არსებულ რეალობასთან მიმართებაში. ეს ცვლილებები შეეხო როგორც სახელმწიფო, ისე ადმინისტრაციული საზღვრებს, ინფრასტრუქტურისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების (ქშწკგს) გამგეობის 1919 წლის 17 და 23 მაისის სხდომის ოქმების მიხედვით, კრებას უმსჯელია 5-ვერსიანი რუკისათვის გეოგრაფიული ობიექტების ნუსხის ქართული ვერსიის შედგენის შესახებ. 17 მაისის სხდომის ოქმში [საზოგადოების გამგეობის სხდომის ოქმები, ფონდი № 481, აღწერა 1, საქმე № 1851, ფურცლები 42ბ, 45ბ, 46] ვკითხულობთ: „*სამხედრო სამინისტროს სატოპოგრაფიო განყოფილება თხოულობს დაეთმოს მას გადასაწერად საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონი, რაც ხსენებულ განყოფილებისათვის საჭიროა 5-ვერსტიანი მასშტაბის რუქის გამოსაცემად*“. საკითხი გადაიდო, თუმცა 23 მაისის სხდომაზე საკითხი დადებითად გადაწყდა: „*მიეცეს ნება გადაწერისა, მხოლოდ წ.კ.გ.ს. კანცელარიაში*“. ამავე სხდომაზე სამწიგნობრო სექციამ დაადგინა, რომ „*დაიბეჭდოს და გამოიცეს საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონი, შედგენილი პავლე ინგოროყვას მიერ 500-600 ცალამდე*“.

დღეს რთული სათქმელია, რა ბედი ეწია „საქართველოს გეოგრაფიულ ლექსიკონს“. მართალია, ზემოთ ხსენებულ დოკუმენტებში საუბარია 5-ვერსიანი რუკის გეოგრაფიული ობიექტების ნუსხის ქართულ ვერსიაზე, მაგრამ აქ არ ჩანს ეს ლექსიკონი ქართულ ენაზე უკვე შექმნილი იყო, თუ უნდა შექმნილიყო. ეს სამომავლო ძიების საგანია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 5-ვერსიან რუკაზე ასახული ობიექტების ნუსხა რუსულ ენაზე იმ პერიოდში უკვე გამოცემული იყო. 1913 წელს ტიფლისში კ. კოზლოვსკის ტიპოგრაფიამ, რომელიც გოლოვინის გამზირზე, № 12-ში მდებარეობდა, დაბეჭდა დ. პაგირევის მიერ შედგენილი „კავკასიის მხარის ხუთვერსიანი რუკის ალფაბეტური საძიებელი“ [Пагиревъ, 1913]. იგი გამოიცა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების (КОИРГО) მიერ. აქ შესული დაახლოებით 34,000 დასახელების ობიექტი, განლაგებულია ალფაბეტურად. მითითებულია აგრეთვე, ობიექტის ტიპი (ქედი, მთა, ხეობა, მდინარე, ტბა, მყინვარი და სხვ.), აბსოლუტური სიმაღლე ფუტობით (იმ ობიექტებისათვის, რომლებიც თვით რუკაზეა მოცემული), მათი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური მიკუთვნებულობა, გეოგრაფიული კოორდინატები და პარალელური სახელები.

ამ თვალსაზრისით ასევე ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს **ქართული ლიტერატურის მუზეუმში პავლე ინგოროყვას პირად ფონდში** დაცული მეცნიერის ხელით შესრულებული მრავალი ჩანაწერი. საგულისხმოა, რომ ამ ჩანაწერთა უდიდესი ნაწილი უცნობია ფართო საზოგადოებისათვის და დღემდე არც გამოქვეყნებულა. არადა, ისინი მრავალ საგულისხ-

მო ცნობებს შეიცავენ ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ. ამ ჩანაწერებს შორისაა გეოგრაფიული სახელწოდებების ნუსხა, მათი ადგილმდებარეობებისა და სხვა მნიშვნელოვანი ცნობების მითითებით. ასეთი ჩანაწერი კი იქ ბევრია და გაბნეულია სხვადასხვა საქაღალდეში. შეიძლება ვივარაუდოთ, პავლე ინგოროყვას პირად ფონდში გაბნეული ეს ჩანაწერები სწორედ გამოუქვეყნებელი „საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონის“ გაფანტული ნაწილებია.

ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პ. ინგოროყვამ იგი გამოიყენა მის მიერ შედგენილი „ტფილისის მაზრის ადმინისტრაციული რუკის“ შექმნისას (ნახ. 3). რუკა შედგენილია სამხედრო ტოპოგრაფთა კორპუსისა და სამჯნო უწყების მასალების შესწორებით და გადამუშავებით, ხოლო გეოგრაფიულ სახელწოდებათა რედაქცია და ისტორიული პუნქტების გაადგილება შესრულებულია პავლე ინგოროყვას მიერ [1927. მასშტაბი 1:100,000]. თუმცა ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული რუკა, 5-ვერსიანთან შედარებით, უფრო დეტალური და განახლებულია. გარდა აღნიშნული რუკისა, ქართული ლიტერატურის მუზეუმში პავლე ინგოროყვას ფონდში დაცულია მის მიერ შედგენილი ან კონტურულ რუკაზე დატანილი გეოგრაფიული სახელწოდებები, რაც სავარაუდოდ, ასევე ზემოთ დასახელებული „საქართველოს გეოგრაფიული ლექსიკონის“ მასალების გრაფიკულ ანასახს უნდა წარმოადგენდეს. აქვეა რუკის მაკეტის ფრაგმენტიც.

ამასთან პავლე ინგოროყვას პირად ფონდში დაცულია 5-ვერსინი რუკის რამდენიმე ფურცელი, რომელზეც ასახულია მის მიერ სხვადასხვა ფერის კალმითა და ფანქრით გატარებული გრაფიკული ანაგებები.

პარიზის სამშვიდობო კონფერენციის დელეგატთა სხდომის ოქმი № 5 (1918 წლის 4 დეკემბერი), რომელსაც ესწრებოდნენ: თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე, დელეგატები: ი. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და გრ. რცხილაძე, მინისტრები: გ. ჟურული, ნ. რამიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი, მოთათბირენი: ივ. ჯავახიშვილი, ი. ოდიშელიძე, ბ. ბაბე, აგრეთვე: ი. ზურაბიშვილი, დეკანოზიშვილი, ქ-ნი ე. წერეთელი და ი. გოგოლაშვილი, ერთ-ერთ საკითხად განიხილეს პარიზის სამშვიდობო კონფერენციისათვის მოსამზადებელი მასალები. კრების გადაწყვეტილებით გენერალ ოდიშელიძესა და პავლე ინგოროყვას დაევალათ *„დაამზადონ ხუთვერსიანი რუკები საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შემოხაზვით ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და სტრატეგიულად“*.

ილია ოდიშელიძის მოხსენება „საქართველოს საზღვრები“ (1919 წლის 1-5 მაისი) შედგენილია 5- და 20-ვერსიანი რუკების მიხედვით. ამის შესახებ თვით ავტორი მიუთითებს მოხსენების დასაწყისში: „კითხვისას წინ უნდა გვქონდეს კავკასიის 5- და 20-ვერსიანი რუკები“ («При чтении надо имъть передъ собою 5-ти и 20-ти верст. карты Кавказа»). თვით მოხსენების ტექსტიდან ირკვევა, რომ საქართველოს საზღვრების ანალიზი ისტორიული, ეთნოგრაფიული, ეკონომიკური, სამხედრო და თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით შედგენილია სწორედ ამ ორი მასშტაბის 5-ვერსიანი (1:210,000) და 20-ვერსიანი (1:840,000) რუკების საფუძველზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენებაში საქართველოს საზღვრის ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათი, რაც სამხედრო მანევრირების განხორციელების კუთხითაა შეფასებული, უპირატესად 5-ვერსიან რუკაზე დაყრდნობითაა განსაზღვრული, რაც ამ მასშტაბის რუკის (1 სმ-ში 2.1 კმ) გაცილებით მეტი დეტალურობით უნდა აიხსნას, ვიდრე ეს 20-ვერსიან (1 სმ-ში 8.4 კმ) რუკაზე იქნებოდა შესაძლებელი. მაგალითად, საქართველოს საზღვრის აფხაზეთისა და დვალეთის მონაკვეთების აღწერისას აღნიშნულია შემდეგი: *„ადაი-ხოხისა და არხონის მთებს შორის საზღვარი გადიოდა არა წყალგამყოფზე მდინარეების არდონისა (ჩრდილოეთიდან) და რიონის, ლიახვის ზემო წელს შორის, არამედ თოვლიან კავკასიონის მთავარ ქედზე, ანუ ადაი-ხოხის, არხონისა და ყაზბეგის ხაზზე, რომელიც დეტალურადაა ნაჩვენები 5-ვერსიან რუკაზე. ეს ხაზი იყო უფრო მოკლე, უფრო მაღალი, თითქმის მთლიანად მიუდგომელი და მთელი რიგი ათასწლეულების მანძილზე ყოველთვის ასრულებდა საქართველოს როგორც გეოგრაფიული, ისე ეთნოგრაფიული ჩრდილოეთის საზღვრის ფუნქციას, რამეთუ სამხრეთი ოსეთი, რომელსაც დღეს ეკუთვნის მდ. არდონის ზემო წელი, ყოველთვის იყო საქართველოს შემადგენლობაში“* [Одишелидзе, 1919]. სწორედ 5-ვერსიან რუკებზე გამოსახულმა ტოპოგრაფიული ზედაპირის ღრმა ანალიზმა მისცა შესაძლებლობა ავტორს შეეფასებინა საქართველოს საზღვრის სამხედრო-სტრატეგიული დაცვის დადებითი და უარყოფითი



ნახ. 3. რუკის ფრაგმენტი პავლე ინგოროყვას შენიშვნებით

მხარეები და ამის საფუძველზე, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ეკონომიკური ვითარებისა და იმდროინდელი საქართველოს შეიარაღებული ძალების მდგომარეობის გათვალისწინებით, წარმოეჩინა ის ადგილები, სადაც უნდა გაევლო ჩვენი ქვეყნის საზღვარს. კერძოდ, საზღვრის ამავე მონაკვეთისათვის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „... *თუ საზღვარი გავა წყალგამყოფზე, უფრო დაბალ და მისადგომ ხაზზე, ანუ ისე, როგორც რუსეთმა გაატარა აქ, ტიფლისის გუბერნიის შემთხვევაში, რკალით ქვემოთ, მამისონის, ავაშეჯი-ბარონდი, ხალაწის (მთა ხალაწის დასავლეთით) უღელტეხილებზე (იხ. 5-ვერსიანი რუკა), ძედოზე (მთა ხალაწის აღმოსავლეთით), ზეკარზე, ბახ-ფანდახზ, კუპახზე, როკზე, სბაზვაიცზე და თრუსოზე], ... ამ ათიოდე უღელტეხილის დაცვისათვის საჭირო იქნება ათჯერ მეტი მეომარი, ვიდრე ერთი კასარის უღელტეხილის დაცვისათვის, სადაც უფრო მეტად ქმედითი იქნება ტექნიკა, ვიდრე მეომართა ცოცხალი ძალა*“ [Одишелидзе, 1919].

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი რის შესახებაც საუბარია მ. გოგიტიძის წიგნში [Гогитидзе, 2001], კერძოდ, აქ საუბარია იმაზე, რომ ი. ოდიშელიძემ ივ. ჯავახიშვილთან ერთად წარადგინა 1919 წელს მოხსენება საზღვრების შესახებ.



ნახ. 4. მემორანდუმით განსაზღვრული სამხედრო პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა

1920 წლის 4 თებერვლით დათარიღებული „**მემორანდუმი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან საქართველოს ფაქტობრივი საზღვრების გაფართოების აუცილებლობის შესახებ**“ [საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1969, აღწერა 4, საქმე 9], რომელზეც ხელს აწერს გენერალი ი. ოდიშელიძე, ასევე ტოპოგრაფიული რუკების ანალიზის საფუძველზე უნდა იყოს შედგენილი. ხელმომწერი თვით ასახელებს 5 რუკას/სქემას, რომელიც თან ერთვის მემორანდუმს. ეს დოკუმენტი 1919 წლის მაისში მის მიერვე შედგენილი მოხსენების ერთგვარი შეჯამებაა. სწორედ ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს მემორანდუმიც ზემოთ ხსნებულ რუკათა ანალიზს ეფუძნება. სამწუხაროდ, ამ რუკებს არქივის ფონდებში ჯერ ვერ მივაკვლიეთ, არადა ისინი საინტერესო დოკუმენტები უნდა იყოს, ვინაიდან როგორც თვით მემორანდუმშია ნათქვამი „*მოთხოვნები საზღვრებზე, წარდგენილი ჩვენ მიერ პარიზის კონფერენციაზე, თვალნათლივ ასახულია თანდართულ რუკაზე...*“. თუ აღნიშნული რუკები უფრო მსხვილმასშტაბიანია, ვიდრე პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ჩვენი ქვეყნის დელეგაციის მიერ წარდგენილი რუკა, მაშინ საქართველოს მიერ მოთხოვნილ საზღვრებზე კიდევ უფრო დეტალური წარმოდგენა შეგვექმნებოდა. ამასთან მემორანდუმში მოცემულია ქვეყნის დაცვისათვის საჭირო სამხედრო შეიარაღების მასშტაბები, განსაზღვრული საქართველოს საზღვრების შემოფარგვლის 2 ვარიანტისათვის, დადგენილია, სხვა წყაროებთან ერთად, სწორედ 5-ვერსიანი რუკის საფუძველზე (ნახ. 3).

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ XX საუკუნის დასაწყისში კავკასიის 5-ვერსიანი რუკები მრავალი მეცნიერის თუ საზოგადო მოღვაწის კვლევის არეალში ყოფილა მოქცეული. თუმცა მაინც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე პერიოდში ამ რუკების კვლევა საფუძვლიანად დღემდე არ განხორციელებულა. ამასთან მივედით დასკვნამდე, რომ დასახული მიზნის ერთი სამეცნიერო სტატიის ფორმატში მოქცევა ფაქტობრივად შეუძლებელია და იგი შემდგომი კვლევების გაგრძელებას საჭიროებს. ამასთან კვლევა უნდა წარიმართოს კომპლექსურად, როგორც კარტოგრაფებისა და გეოგრაფების, ისე ისტორიკოსების ჩართულობით.

ლიტერატურა

1. სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., კოხრეიძე, უჯმაჯურიძე, თოლორდავა, ჩხიკვიშვილი. ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. გამოფენის გზამკვლევი, ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლის იუბილეს. თბ.: თსუ, 2016.
2. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი № 365.
3. საქართველოს საისტორიო არქივი, ფონდი 1969, აღწერა 4, საქმე 9.
4. საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებლი საზოგადოების გამგეობის სხდომის ოქმები, ფონდი № 481, აღწერა 1, საქმე № 1851, ფურცლები 42ბ, 45ბ, 46.
5. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ისტორიული რუკა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. შედგენილი შ.ს.ს.კ. ტოპოგრაფ ევ. ბარამიძის-მიერ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. 1923. გამოცემა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილებისა. მასშტაბი 10 ვერსი დიუმზედ.
6. Военно-топографическая карта Кавказского краяа: Редакции 1885-1912 годов.: 5 верст в английском дюйме.-1:210000; 2,1 км в 1 см. Изд. Тифлис.
7. Гогитидзе М. Грузинский генералитет (1699-1921). Киев, 2001.
8. Одишелидзе. Границы Грузии, составиль Генераль инфантерий. май 1919 г. гор. Тифлись
9. Пагиревъ Д.Д. Алфавитный указатель къ пятиверстной картѣ Кавказскаго края, изданія Кавказскаго Военно-топографическаго Отдѣла. Тифылисъ. Типографія К.Ц. Козловскаго, 1913.

Revaz Tolordava, Dali Nikolaishvili

Old Topographic Maps (so called "Verst Maps") – the Principal Cartographic Source Used to Demarcate the Territory of Georgia

Resume

The article considers the topographic maps made with old Russian metric system, which as the principal cartographic source, were used by the persons engaged in political decision-making and relevant branch specialists at the beginning of the XX century, and the article cites and describes several documents as a proof. Special accent is made on the analysis of the 5-Verst topographic maps (1:210,000) preserved at the Georgian National Center of Manuscripts, on which Ivane Javakhishvili worked. The analysis of these maps revealed the designation of the graphical signs and inscriptions on them and differences between the different writing tools and legends used by the scientist.

The designation of the contours made on some pages of the maps by the scientist in different colors, of different configurations and lengths was also identified. Following the identification of the physical-geographical locations of the maps and their comparison with "The Historical Map of Georgia" compiled by Ivane Javakhishvili in 1923, it was made clear that those contours denote different political-administrative units (countries, provinces and uyezds) or belong to different periods, or show the borders of the country made under various international agreements.

As a result of the study, we concluded that the contours and inscriptions made on the maps by Ivane Javakhishvili represent very complex geopolitical changes in the Caucasus region at the turn of the XIX century. We consider that there is still much to study and explore in this field what is desirable to continue jointly with different branch specialists.

ცხრ. 1. ძველ რუსულ 5-ვერსიან რუკაზე ივანე ჯავახიშვილის მიერ დატანილი გრაფიკული ნიშნებისა და წარწერების განზოგადებული სურათი

ტოპონიმის სახელწოდება რუკის მიხედვით	ტოპონიმის ქართული შესატყვისი	ობიექტის ტიპი და პირობითი აღნიშვნა რუკის მიხედვით[1]	განედი გრძედი[2]	ადგილმდებარეობა რუკის მიხედვით	ივ. ჯავახიშვილის მიერ დატანილი ნიშნების მოკლე აღწერა
Г.7. (Батум) Абх. Аджарск.С.С.Р.					
Искаристи	ისქარისტი	დასახლება	41°25’2 59°10’5	მდ. ხოფაჩაის (Хопа-чай) მარცხ. მხარეს	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Кушенасти	კუშენასტი	დასახლება	41°26’2 59°11’55	მდ. ხოფაჩაის (Хопа-чай) მარჯვ. მხარეს	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Яйля Гоксадзе	გოქსაძე	იაილა	41°38’65 60°11’95	ქ. ბათუმის გზის ს-ით[3]	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Пер. Цремурский	ცრემური	უღელტეხილი	41°30’ 60°10’65	მდ. სხალთის (Схалти) მარჯვ. მხარეს (სათა-ვესთან ახლოს)	მომწვანო ფანქრით და-ტანილია ჯვარი (უღელ-ტეხილის ნიშანი)
Яйля Ушугь	უშუგი	იაილა	41°25’96 60°06’10	მდ. მარიამჩაის (Маримис-чай) სათა-ვესთან	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Пер. Каиральский	კაირალი	უღელტეხილი	41°26,70’ 60°06,15’	საქ.-თურქ. საზღვრის ხაზზე	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარი (უღელტე-ხილის ნიშანი)
Квирала	ყვირალა	უღელტეხილი	41°25’8 60°05’7	მდ. ყვირილასთან (Квирала)	ქიმიური ფანქრით და-ტანილია ჯვარი (უღელ-ტეხილის ნიშანი)
Пер. Квелись цвери	ყველისწ-ვერი	უღელტეხილი	41°26’9 60°07’8	საქ.-თურქ. საზღვრის ს-ით, მდ. ყვირალას სათავეში	ქიმიური ფანქრით და-ტანილია ჯვარი (უღელ-ტეხილის ნიშანი)
Пер. Арсианский	არსიანი	უღელტეხილი	41°24’55 60°09’3	მთა არსიანის (Арсиани) ჩ-ით, მდ. ყვირალას (Квирала) შენაკადზე	უფერო და მომწვანო ფანქრით დატანილია ჯვარი (უღელტეხილის ნიშანი)
Схлобань	სხლობანი	უღელტეხილი	41°21’07 60°00’72	მდ. სათლისწყლის (Сатлис цк.) მარჯვ. მხარეს	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარი (უღელტე-ხილის ნიშანი)
п Гакрилобъ	გაყრილობი	დასახლება	41°21’57 60°01’0	მდ. ყვირალას (Квирала) შენაკადის მარცხ. ნაპირზე, მთ. ქვ. ბუკარის (Кв-т букарис) სდ-ით	ტოპონიმი გახაზულია ქიმიური ფანქრით
РРЦ Тбетъ	ტბეთი	უღელტეხილი	41°18’29 60°02’71	მდ. სათლისწყალზე (Сатлис цк), მთ. ჩალი-არის (Чаляръ) სა-ით	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარი (უღელტე-ხილის ნიშანი)
Абсриктда	აბსტრიქტდა	უღელტეხილი	41°13’5 60°05’41	მთ. თავქალას (Тавкала) ჩ-ით	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარი (უღელტე-ხილის ნიშანი)

[1] ნიშნები ცხრილში მოცემულია საკვლევი რუკის პირობითი აღნიშვნების შესატყვისად

[2] გეოგრაფიული კოორდინატები (გრძედი, განედი) მოცემულია საკვლევი რუკის მიხედვით

[3] ცხრილში ჰორიზონტის მხარეები მოცემულია შემოკლებებით: ჩ – ჩრდილოეთი, ჩა – ჩრდილო-აღ-მოსავლეთი, ა – აღმოსავლეთი, ს – სამხრეთი, სა – სამხრეთ-აღმოსავლეთი, სდ – სამხრეთ-დასავლეთი, დ – დასავლეთი, ჩდ – ჩრდილო-დასავლეთი და ა.შ.

Г. Тавъ Кала	თავყალა	მთა	41°13’04 60°06’0	მთა მთ. თავქალაზე (Тавъ кала)	დატანილია ჯვარი (უღელტეხილის ნიშანი)
Яйл. Асу	ასუ	იაილა	41°11’54 60°07’8	ქდ. იალანუსი (Ялан ус), მთა თავქალის სა-ით	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარი
Пер. Яла-нузчамский	იალანუზ-ჩამი	უღელტეხილი	41°03’17 60°12’8	მდ. მტკვარსა (Кура) და მდ. არტანუჯის (Артанудж) წყალგამ-ყოფზე	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარი (უღელტე-ხილის ნიშანი)
Ланготхевъ	ლანღოთ-ხევი	დასახლება	41°03’17 59°50’5	მდ. არტანუჯის (Артанудж) ორივე სა-ნაპიროზე	გახაზულია დასახლების ნიშანი
Тъбихомя	ტბიხომია	უღელტეხილი	41°11’0 59°48’0	მთა საკალდედალის (Сакалъдедалъ) ჩდ-ით	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარი (უღელტე-ხილის ნიშანი)
Г. Хева	ხევა	მთა	41°29’92 59°52’	საქ.-თურქ. საზღვრის ხაზი	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარი (უღელტე-ხილის ნიშანი)
Г. Карда	ქარდა	მთა	41°30’11 59°44’01	საქ.-თურქ. საზღვრის ხაზზე, მდ. იმერხევის (Имерхеви) სათავესთან	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარი (უღელტე-ხილის ნიშანი)
Пер. Уманъ умиа	უმანუმია	უღელტეხილი	41°23’94 59°42’35	მდ. უსატისი (Усатис) და მდ. იმერ-ხევის (Имерхеви) შენაკადის სათავესთან	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარი (უღელტე-ხილის ნიშანი)
Горгомханъ	გორგომ-ხანი	დასახლება	41°09’0 59°38’4	ართვინის გზაზე, არ-ტანუჯის (Арданучъ) ჩ-ით	უფერო ფანქრით გა-ხაზულია დასახლების ნიშანი
Ахиза	ახიზა	დასახლება	41°07’9 59°40’4	არტანუჯის (Арданучъ) ჩდ-ით	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარი
Пость	საგუშაგო	დასახლება	41°07’44 59°32’45	მდ. ჭოროხზე (Чорохъ), შირიაცარიის (Ширя царя) სამხრ. გარეუბა-ნი	უფერო ფანქრით პი-როზითი ნიშნის მარჯ-ვენა მხარეს დატანილია ვერტ. ხაზი
АРТВИНЪ	ართვინი	ქალაქი	41°11’88 59°30’45	ქ. ართვინის (АРТВИНЪ) ჩა უბანი	უფერო ფანქრით და-ტანილია დახრილი ხაზი პიროზითი ნიშნის მარჯ-ვენა მხარეს
БОРЧХА	ბორჩხა	ქალაქი	41°22’5 59°21’0	მდ. ჭოროხზე (Чорохъ), ცენტრალურ გზაზე	უფერო ფანქრით და-ტანილია დახრილი ხაზი პიროზითი ნიშნის მარჯ-ვენა მხარეს
Пер. Джурфукан	ჯურფუკანი	უღელტეხილი	41°26’21 59°15’10	ხოფა-ბათუმის გზაზე	უფერო ფანქრით დატა-ნილია ჯვარ (უღელტე-ხილის ნიშანი)
Р.Чорохъ	ჭოროხი	მდინარე	41°37’27 59°14’01	მდ. ჭოროხის შესართავთან	უფერო ფანქრით დატა-ნილია დახრილი ხაზი
Кура	მტკვარი	მდინარე	41°17’59 59°12’81	მდ. მურგუნჩსუზე (Мургунчъ-су), ჩხალე-თის (Чхалети) სა-ით	უფერო ფანქრით მდი-ნარეზე დატანილია ჯვარი
Пер. Цали-Ковал	წალიყოვა-ლი	უღელტეხილი	41°06’46 59°03’85	მდ. აბოვიჩადარასიზე (Абовичада-раси), იაილ ჩამუქის ს-ით	უფერო ფანქრით დატა-ნილია დახრილი ხაზი
Г.Гули-хана	გულიხანა	მთა	41°06’58 59°05’2	იაილბალხის (Яйл Балхъ) ჩ-ით საველე გზაზე	უფერო ფანქრით დატა-ნილია დახრილი ხაზი

Г.7. (Батум) Абх. Аджарск.С.С.Р.					
Нацхавотеви	ნაცხავო-ტევი	დასახლება	41°51’0 59°39’21 41°46’73 59°45’8	დასახლებააჩის (Ачъ) ჩ-თ, მიუყვება გზა (სავარაუდოდ გრუნტის)	უფერო ფანქრით დატანილია დახრილი ხაზი
Г. Тагина-ури	თაგინაური	მთა	41°46’21 59°51’9 41°53’54 59°49’6 41°54’06 59°53’7	აჭარის ავტ. რესპ. საზღვარზე	უფერო ფანქრით დატანილია მარყუჟის მსგავსი მონახაზი
Г. Пата-ра-зеби	პატარა ზები	მთა	41°48’54 59°48’35 41°48’52 60°02’3	აჭარის ავტ. რესპ. საზღვარზე	უფერო ფანქრით გახაზულია განშტოება
Г. Цхрамела	ცხრამელა	მთა	41°42’32 60°04’61	მდ. ცაციხურის (Цацихури) მარჯვ. მხარეს	ტოპონიმი Цхрамела შეფერადებულია ფანქრით), უფერო ფანქრით დატანილია წარწერა: 2135
Бока (Боко)	ბოკა (ბოკო)	დასახლება	41°31’15 60°09’5 41°35’88 60°11’30	მდ. სხალთას (Схалта) მაცხ. მხარეს, მთ. სამელიანოს (Самелиано) სდ-მდე	უფერო ფანქრით დატანილია კალაპოტის პერპენდიკულარული ხაზი
Яйля Чи-рухъ	იაილია ჩირუხი		41°29’36 60°07’5	1) მდ. მარითისხევის (Маритис хеви) ზემო წელი; 2) ჭრელი, ჩირუხი რუკის ჩარჩოს გარეთ	უფერო ფანქრით დატანილია მინაწერი Чрели(?) Чирух(?) და გახაზულია
Карчхаль-ский гре-бень	ქარჩხალის თხემი	ქედი	41°21’55 59°38’75 41°24’03 59°41’66	ქდ. ქარჩხალის თხემზე (Карчхальский гребень)	უფერო ფანქრით გახაზულია ტოპონიმი
Г. Ква-кибе	ქვაკიბე	მთა	41°27’29 59°31’25	მდ. მაჭახლისწყლის (Мачахелис цкали) სათავის სამხრეთიდან ჩა-ით	უფერო ფანქრით გახაზულია ტოპონიმი
Кара Шало-варъ(?)	ყარა შალოვარი		41°29’88 59°21’3 41°30’49 59°22’1	საქ.-თურქ. თანამედროვე საზღვრის ხაზზე, ართვინი ბათუმის გზამდე და ისევ საზღვრამდე	უფერო ფანქრით შემოხაზულია ოვალი
Горджоми	ღორჯომი	დასახლება	41°42’98 60°01’5	მდ. ღორჯომის (Горджом) ხეობაში	ტოპონიმი გახაზულია მომწვანო ფანქრით
Махо	მახო	დასახლება	41°33’23 59°19’75	მდ. ჭოროხის (Чорох) მარცხ. შენაკადის მახოს მარჯვ. ნაპირზე	გახაზულია
Кокоберети	კოკობერეთი	დასახლება	41°19’18 59°46’65	მდ. იმერხევის (Имерхеви) მარჯვ. შენაკადის ხეობა, მდ-ის ორივე მხარეს	ტოპონიმი გახაზულია მომწვანო ფანქრით
Кватетрас	ქვათეთრასი	დასახლება	41°12’38 59°59’51	მთ. მაგლასი (Магласъ) სდ-ით	ტოპონიმი გახაზულია მომწვანო ფანქრით
Сатаплія	სათაფლია	დასახლება	41°12’81 59°55’	მდ. იმერხევის (Имерхеви) მარცხ. შენაკადზე	ტოპონიმი გახაზულია მომწვანო ფანქრით

Порцели (30)	პორცელი (30)	დასახლება	41°13’56 59°55’8	მთ. კორხუს (Корху) მარჯვნივ მდ. იმერხევის (Имер-хеви) მარცხ. შენაკადზე	ტოპონიმი გახაზულია მომწვანო ფანქრით
Горошетъ	ღოროშეთი	დასახლება	41°12’40 59°52’5	მდ. იმერხევის (Имерхеви) მარცხ. შენაკად მდ. სამიწყლის ხეობაში	ტოპონიმი გახაზულია მომწვანო ფანქრით
Анагертъ	ანაკერტი	დასახლება	41°11’31 59°49’61	მდ. იმერხევის (Имерхеви) მარცხ. შენაკად მდ. სამიწყალის მარცხ. მხარეს	მომწვანო ფანქრით გახაზულია ტოპონიმი
Анчъ	ანჩი	დასახლება	41°13’56 59°45’6	მდ. იმერხევის (Имерхеви) მარცხენა შენაკად მდ. სამიწყლის ხეობაში	ტოპონიმი გახაზულია მომწვანო ფანქრით
Сха(?)	სხა	დასახლება	41°0’93 59°45’90	არდანუჯის (Арданучъ) ა-ით	ტოპონიმი გახაზულია მომწვანო ფანქრით
АРДАНУЧЪ	არტანუჯი	ქალაქი	41°10’27 59°40’35	მდ. არდანუჯისწყლის (Арданучъ-су) მარცხ. სანაპიროზე	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
МХ пархатлъ	პარხალი	МХ	41°08’94 59°36’6	მდ. იმერხევის (Имерхеви) მარცხ. მხარეს	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (ორი ხაზით)
Г. Варсхемь	ვარსხემი	მთა	41°06’63 59°40’6	არავათისწყლის (Арават-су) მარცხ. მხარეს	გახაზულია უფერო ფანქრით ტოპონიმი
Кларджетъ	კლარჯეთი	ქალაქი	41°04’33 59°41’65	მდ. არავათისწყალზე	დასახლების ნიშანი გახაზულია მოცისფერო ფანქრით (ვერტიკალური ხაზით
Лонготхевъ	ლონგოთხევი	დასახლება	41°03’86 59°49’25	მდ. არგაში -სუს (Арават-су) მარჯვ. ნაპირზე	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Д.5. (Теркской обл. И Кутаиской губернии)					
Г. Гезе 12093	გეზე	უღელტეხილი	42°54’35 61°03’85	კავკასიონის მთავარ ქედზე	ლურჯი მელნით დატანილია ჯვარი (უღელტეხილის ნიშანი)
Пер. Гурдзіе-вцек 10955	გურძიევცეკი	უღელტეხილი	42°48’28 61°20’20	კავკასიონის მთავარი ქედის თხემზე	ლურჯი მელნით დატანილია ჯვარი (უღელტეხილის ნიშანი)
Д.5. М- 2,5см -5верст					
Р. Черекъ	ჩერეკი	მდინარე	43°17’54 60°06’0	კავკასიონის მთავარი ქედზე	უფერო ფანქრით დატანილია წარწერა базиман(?)
Хреб. Гвалба	გვალბა	ქედი	43°05’77 60°25’5 43°03’9 60°30’35	კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთის განშტოებაზე	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Р.Харвесъ 7560	ხარვესი	მდინარე	42°55’24 60°07’5	კავკასიონის მთავარი ქედის ჩ-ით, მდ. ურუხის (Урух) შენაკადზე	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Хреб. Бодуреши	ქედი ბოდურეში	ქედი	42°48’46 60°04’10	მდ. ზაფხატურის (Запхатури) მარცხენა მხარეს	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით

Халде	ხალდე		42°58’56 60°39’0	მდ. ხალდესჭალას (Халдес чала) მარცხ. მხარეს	წარწერა მოწითალო-ყავისფერი კალმით
В. 5. (Кубанской Обл. Черноморск. Кутаиской губернии)					
	ბიჭვინთის კონცხი	კონცხი	43°09’0 58°00’4	შავი ზღვის სანაპიროზე	დატანილია წარწერა მელნის-ფერი კალმით Мысь Пицундской, ბიჭვინთა და გახაზულია უფერო ფანქრით
	სასაზღ. სად.	სასაზღვრო დასახლება	43°11’86 57°56’30	შავი ზღვის სანაპირო მდ. ბზიფის შესართავთან	დატანილია წარწერა მელნისფერი კალმით Корд. Погр. Ст., ზუფუ. ზუფუ გახაზულია
Гагры	გაგრა		43°20’08 57°48’15	შავი ზღვის სანაპიროზე, თანამედროვე გაგრის მახლობლად	დატანილია წარწერა: გაგარი მელნისფერი კალმით, ირიბად და გახაზულია
В. 5.					
Хр. Мамдзышха	ქედი მამზიშხა	6136 – გეოდეზიური პუნქტი	43°18’46 58°00’	ქედი ახალი გაგრის (Нов.Гагры) ზემოთ	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (დახრილი ხაზით)
В. 5. Теркской обл.					
Уш. Басра	ბასრა	ხეობა	42°43’76 62°36’75	მდ. ასის (Аса) შენაკადი. საქ. საზღვრებში	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (დახრილი ხაზით)
Е. 6. (Теркской обл. И Тифлиской губернии). 1898 г.					
М. Бурджу	ბურჯუ	ადგილი	42°12’49 63°06’1	მდ. აბანოს (Абано) ხეობაში	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (დახრილი ხაზით)
Місто Бацара	ბაწარა	ადგილი	42°13’1 63°00’	მდ. ალაზნის (Алазань) ხეობაში	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (დახრილი ხაზით)
Г. Ипніанисъ-кеди	იფნიანის-ქედი	მთა	42°02’71 62°12’0	დას. ოძისის (Одзиси) ა-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (დახრილი ხაზით)
Бендери	ბენდერი	დასახლება	42°15’89 61°51’75	მდ. მეჯუდის (Меджуда) ხეობაში	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (დახრილი ხაზით)
Ахать-хеви	ახატხევი	მდინარე	42°14’13 62°12’75	მდ. ალევის (Алеви) ხეობაში	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Г. Кхомисъ-тави	ქხომის-თავი	მთა	42°21’06 62°36’2	მდ. ფშავის არაგვის (Пшавская-Арагва) ხეობაში	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (დახრილი ხაზით)
Г. Куркутты Вешагурть - Кари	ყურყუტი ბაშაგურ-კარი	მთა	42°19’79 62°14’25	მდ. გონდოლკის (Гондолка) ხეობაში	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (დახრილი ხაზით)
Г. Куркута	ყურყუტა	მთა	42°22’73 62°13’5	მდ. თეთრი არაგვის (Бел.-Арагва) ხეობა, მარჯვ. ნაპირზე	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (დახრილი ხაზით)
Г. Непись-кала	ნეფისკალა	მთა, მყინვარი	42°32’08 62°02’50	მდ. თერგსა (Терек) და მდ. არაგვს (Арагва) შორის	უფერო ფანქრით დატანილია ელიფსი
Г. Харисаръ	ხორისარი	მთა, მყინვარი – გეოდეზიური პუნქტი	42°32’77 62°04’75	მდ. თერგსა (Терек) და მდ. არაგვს (Арагва) შორის	უფერო ფანქრით დატანილია ელიფსი

10668 Г. Нарванъ-хохъ	ნარვანხოხი	მთა	42°29’71 62°00’65	მდ. არაგვის (Терек) სათავე, მარჯვ. ნაპირი, იქვეა ტბა ყელი (Кель)	უფერო ფანქრით დატანილია ელიფსი
11633 Г.М. Непись-кала	ნეფისკალო	მთა	42°30’26 62°01’7	მდ. არაგვის (Арагва) მარჯვ. ნაპირზე	უფერო ფანქრით დატანილია ელიფსი
Хр. Архъ	ქედი არხი	ქედი	42°27’55 62°00’0	ტბა ყელის (Кель) სა-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
10241Г.Хабарджанъ	ქაბარჯინა	მთა	42°34’33 62°12’9	მდ. თერგის (Терек) მარჯვ. ნაპირზე	ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Г. Садзели	საძელი	მთა	42°30’86 62°08’85	მდ. თერგის (Терек) მარჯვ. ნაპირზე	ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Калько	კალკო	მცირე დასახლება	42°33’75 62°33’85	მდ. ხევსურეთის არაგვის (Хевсурская Арагва) სათავეში	ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Е.6. (Телав)					
Пер. Сакорно	საყორნო	უღელტეხილი	42°25’25 62°55’65	მდ. თუშეთის ალაზნის (Тушетская Алазань) მარჯვ. ნაპირზე	დატანილია ჯვარი, მოლურჯო მელნით (უღელტეხილის ნიშანი)
10633 Пер. Сабшносъ геле(?)	საბშნოსღელე	უღელტეხილი 10633	42°18’14 63°06’1	მდ. ორჩწყლის (Орчъ -цхали) სათავეებში	დატანილია ჯვარი, მოლურჯო მელნით (უღელტეხილის ნიშანი)
Е.8. (1899 г)					
Озеро Гокча или Севангъ(?)	გოგჩა ანუ სევანი	ტბა	40°15’32 63°01’75	ტბის სა ნაწილში	იზობათები წაგრძელებულია წითელი ფაქრით
11500 Г. Бахь-Даиъ	ბახდაი	მთა - გეოდეზიური პუნქტი	40°07’93 62°40’5	მაზ. ახალი ბაიაზეთის (Ново баязетск) მაზრის საზღვრებში	ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანრით
Озеро Арпа-Гелъ(?)	არფაგელი	ტბა	40°12’40 62°37’5	ტბა არფაგელის (Арпа-Гелъ) გზაზე	ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანრით
11844 Г. Кызылъ-далъ	ყიზილდალი	მთა	40°13’93 62°37’5	რუსეთ-თურქეთისსაზღვარზე	ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანრით
11438 Г. Кара-дагъ	ყარადაღი	მთა	40°19’73 62°30’	მდ. გასადარსუს (Гасдарь-су) სათავეებში	ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანრით
Г. Агудагъ	აგუდაღი	მთა	40°26’44 62°36’15	ახმანგის (Ахманга) ქედზე	ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანრით
Г.зеинар-атеш	ზეინერატეში	მთა	40°16’07 62°33’0		ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანრით
10941 Г. Зиареть	ზიარეთი	მთა	40°16’27 62°33’75	ტბა კამნიგელის (Оз. Камин-Гелъ) სდ-ით	ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანრით
Оз. Канин-гел	კანინგელი	ტბა	40°17’08 62°36’25		ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანრით
Г. Каралангиль 10115	კარალანგილი	მთა	40°18’75 62°34’35	ტბა კამნიგელის (Оз. Камин- Гелъ) ჩდ-ით	ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანრით
Г. Учъ-таналяръ 10710	უჩტანალიარი	მთა	40°17’54 62°33’0	ტბა კამნიგელის ჩა-ით	ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანრით
10623 Г. Кара-дагъ		მთა	40°20’19 62°35’25		ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანრით
С=СЛ-Лер		დასახლება	40°20’65 62°37’60	ახალი ბაიაზეთის (НОВО-БАЯЗЕТЪ) დ-ით	წარწერა მელნისფერი კალმით

Г. Гадисъ 8337	ღადისი	მთა	40°18’35 62°22’5	მაზ. ახალი ბაიაზეთის (НОВО-БАЯЗЕТЪ) დას. საზღვრის ხაზზე	ტოპონიმი გახაზულია მელნისფერი კალმით
2356 Г. Безаклю	ბაზაკლიუ	მთა – გეოდეზიური პუნქტი	40°12’52 62°25’5	რუსეთ-თურქეთისსაზღვრის დ-ით	ტოპონიმი გახაზულია მელნისფერი კალმით
8147Г. Учъ-тана	უჩთანა	მთა	40°09’52 62°30’75		ტოპონიმი გახაზულია მელნისფერი კალმით
Е.9. Эриванской Губ. Турціи и Пер-сіи Макииское ханств. 1898 г.					
Киргъ	ყივრაგი	დასახლება, მეჩეთი	39°23’88 62°46’5		ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Парчи Ханухляръ	ფარჩი ხანუხლიარი	დასახლება, მეჩეთი	39°30’17 62°37’75	შაბუროდარის მაზრა (ШАРУРО-ДАР)	მეჩეთი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Башъ-Нора-шенъ	ბაშნორა-შენი	მეჩეთი	39°34’44 62°40’1	შაბუროდარის მაზრა (ШАРУРО-ДАР)	მეჩეთი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Нора-шенъ-Уліа	ნორაშენუ-ლია	დასახლება	39°35’19 62°37’5	მდ. არანაჩაიზე (Арана-чай)	ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Джагры	ჯაგრი	დასახლება	39°19’48 63°03’0	მდ. ჯაგრიჩაიზე (Джагры-чай)	ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Айнадзоръ	აინაძორი	დასახლება	39°47’05 62°53’25	შარურო-დარალაგე-ზის მაზრა, (ШАРУРО-ДАРАЛАГЕЗ) მდ. არა-ნაჩაის (Арначай) მარჯვ. შენაკადზე	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Ж.9.					
	ყარაბაღის ზეგანი	მთიანეთი	39°45’28 63°35’4 39°19’62 64°01’05		რუსული ასომთავრუ-ლით, უფერო ფანქრით წარწერა: КАРАБАХСКОЕ ПЛОСКОГОРЬЕ
6526 Г. Бо-гур ханъ	ბოგურხანი	მთა – გეოდეზიური პუნქტი	39°47’08 64°30’53	დას. ჯამიაგის (Зап. Джамиагъ) სდ-ით, ქ. შუშას (ШУ-ША) ჩა-ით	გახაზულია 2 სმ სიგრ-ძის ხაზით, უფერო ფან-ქრით
Ж.10.					
Нювади П.Нювадин-ский К Агани	ნიუვადი ნიუვადინის დას. კონც. აგანი	დასახლება	38°54’23 64°06’9	რუსეთ-ირანის საზღ-ვარი	П.Нювадинский გახაზუ-ლია უფერო ფანქრით და დატანი-ლია ვერტი-კალური წყვეტილი ხაზი (საზღვრის ხაზი უწყვე-ტი, წითლად); წარწერა: К Арони 1309 ур
П. Кюръ дашскій	კიურდაშის დას.	მდინარის დონე	38°52’33 63°54’6	მდ. არაქსის (Араксъ) დონე - 1827 ф1948ф, მდ. არაქსი და რუსეთ-ირანის საზღვარი	მოისფერო ფანქრით ახაზულია ტოპონიმი
ОРДУБАДЪ	ორდუბადი	დასახლება	38°53’88 63°42’75	დას. ნიჟნი სიარსკის (П. Нижни Сярский) საზღვრის ჩ-ით	შემოხაზულია უფერო ფანქრით ტოპონიმი
	არაქსის დონე 2093 ფ	მდ.-ის დონე	38°52’38 63°42’75	მდ. არაქსი (Араксъ) და რუსეთ-ირანის საზღ-ვარზე	უფერო ფანქრით გახა-ზულია და წარწერილია უფერო ფანქრით Ур. Аракса 2093 Ф
Пер. Верх-ній сіар-скій	ზემო სი-არის უღ., არაქსის დონე 2170 ფ	სად. მდ.-ის დონე	38°53’08 63°37’95	მდ. არაქსი (Араксъ) და რუსეთ-ირანის საზღ-ვარზე	უფერო ფანქრით გახა-ზულია და წარწერილია უფერო ფანქრით Ур. Аракса 2170 ф

П. Дастинскій	დასტინსკის უღ., არაქსის დონე 2093 ფ	სად. მდ.-ის დონე	38°52’61 63°33’9	მდ. არაქსი (Араксъ) და რუსეთ-ირანის საზღვარი	უფერო ფანქრით გახაზულია და წარწერილია უფერო ფანქრით Ур. Аракса 226ф
Урцнісъ	ურწნისი	დასახლება	39°04’61 63°38’4		ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Р. Чаунъ(?)	მდ. ჩაუნი	მდინარე	39°03’58 64°22’65	მდ. ჩური (Чур)	წარწერა უფერო ფანქრით: Р. Чур
Уга+ферикская Р. Араксъ	უგა ფერიისკი, მდ. არაქსი		39°08’0 64°38’85	მდ. არაქსი (Араксъ) და რუსეთ-ირანის საზღვარი	ტოპონიმი გახაზულია წითელი მელნით
3.7.					
Хр. Гюрджа-даг	გიურჯადაგი	ქედი	41°07’38 65°06’0 41°09’58 65°08’80	დას. ბოშდაშაგილის (Бошъ-Дашагиль) სა-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო და წითელი ფანქრით (დახრილი ხაზით)
Халхель	ხალხელი	დასახლება	41°05’19 65°12’90	მდ. ხალხელჩაის (Халхельчай) მარცხ. ნაპირზე	გახაზულია წითელი ფანქრით ტოპონიმი
Хачмазъ_ 1005 Р. Назиф-чай	ხაჩმაზი, მდ. მდ. ნაზიფჩაი	დასახლება	41°01’44 65°16’5	მდ. ნაზიფჩაის (Назифчай) მარცხ. ნაპირზე	ტოპონიმი გახაზულია წითელი ფანქრით
Камерванъ	კამერვანი	დასახლება	41°05’01 63°29’25	მდ. ბუმჩაის (Бумъ-чай) მარცხ. ნაპირზე	ტოპონიმი გახაზულია წითელი და უფერო ფანქრით
Юзбашеванъ 28	იუზბაშევანი	მცირე დასახლება	41°07’73 65°46’40	მდ. გენიშ-ჩაიზე (Гениш-чай)	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
3.8.					
Кр. Кала-Ери	ციხე კალაერი	ყოფ. ციხესიმაგრე	40°47’46 65°06’9	დას. კოშაკოვახის (Коша-Ковахъ) ს-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Кюрдъ	კიურდი	დასახლება	40°48’69 65°04’65	მდ. ყარასუს (Кара-Су) მარცხ. ნაპირზე	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Ст. Вартушетъ	ვარტუშეთი	სადგური	40°29’65 65°27’45	სად. რკინიგზაზე	რკინიგზა ირიბად გახაზულია უფერო ფანქრით
Куртъ	ქურტი	დასახლება, მეჩეთი	40°35’36 65°34’5	არხ ბოგირარხზე (Богиръ-архъ)	ტოპონიმის ბოლო ორი ასო გახაზულია უფერო ფანქრით
Куртъ	ქურტი	დასახლება	40°30’58 65°45’3		გახაზულია პირ. ნიშანი და სახელწოდების დასაწყისი უფერო ფანქრით
Гаджиманъ	გაჯიმანი	დასახლება, მეჩეთი	40°44’13 66°09’75	მდ. ახსუს (Ахъ-Су) მარჯვ. ნაპირზე	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
3.9.					
Ст. Пиргираж	პირგირაკი		40°13’38 65°21’6 40°13’38 65°27’45	ყარა სახის სტეპის ტერიტორია	უფერო ფანქრით წარწერა: Карасахская Степь
	სტეპი ბილჟმანპი	სტეპი	39°55’85 65°17’4 39°55’85 65°28’5		უფერო ფანქრით წარწერა: Степь Билжманпи

	კიორ. ლუ-ჩაი	მდინარე	39°29’84 64°56’03 39°29’08 64°58’5	რუსეთ-ირანის საზღვ-რის ხაზის დ-ით	მელნისფერი ფანქრით წარწერა: Киор.лу-Чай(?)
Уез.Джев	მაზ. ჯევი	ხაზი	39°34’38 65°48’0	რუსეთ-ირანის საზღ-ვრიდან ხაზი მიდის ჩდ-ით, კვეთს სოლონ-ჩაკ დაჟის (Солончак-Дажи) დას. Воронсов-ს, სამხრ. ორ კმ-ში იყოფა – ერთი მიდის Р. Аджихаджалу-სკენ, მეორე სამხრ. აღმ.	უფერო ფანქრის ხაზი
Манареть	მანარეთი	მინარეთი	39°31’61 65°03’9	დატანილია მინარეთი-დან სა მიმართულე-ბის ისარი, რომელიც კვეთს რუსეთ-ირანის საზღვრის ხაზს	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
П. Вепсах яп(?)	ვეპსახიაპი		39°34’15 65°16’8	დატანილია სა მიმარ-თულების ისარი, რო-მელიც კვეთს რუსეთ-ირანის საზღვრის ხაზს	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Тенм-бу-рун(?)	ტენმბუ-რუნი		39°38’94 65°22’95 39°38’94 65°20’7	არხ კან. გიაირ არხ-ზე (Кан. Гяиръ-архъ), დ-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
К. Шоръ-гель	კ. შორგე-ლი		39°59’42 65°09’6	რუსეთ-ირანის საზღვ-რის ხაზის დ-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
З.Азгели	ზ. აზგელი	ზამთრის სადგომი	39°15’11 65°50’4	მდ. ჯენსუს (Джеинъ-су) მარჯვ. ნაპირი	წითელი და უფერო ფანქრით
И.7. (Хачмас) ДАГЕСТАНСК. ССР и АЕРБАЙДЖ. С.С.Р					
шихляръ ХИЗЫ	შიხლიარი ხიზი	ქალაქი	40°54’6 65°52’71	რკინიგზის დ-ით, მდ. უგჩაიზე (Гуг-чай)	გახაზულია ტოპონიმი წითლად
308 Г. Бай-бечинъ даг	ბაიბეჩინ-დაღი	მთა	40°53’60’ 65°53’40	ქ. ხიზის (ХИЗЫ) ჩა-ით	ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
41°00′ 67°00’		კოორდინატი			უფერო ფანქრით წარ-წერილია ციფრები
Г. Дибраръ	დიბრარი	მთა	40°54’0 66°30’15	რუსეთ-ირანის საზღვ-რის ხაზზე	ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Г. Микилъ Оз.Чат-лъ-науръ	იკილი	მთა და ტბა	40°53’9 65°23’1	რუსეთ-ირანის საზღვ-რის ხაზიდან ს.დ.	ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით ორი ოვალით
Г.Калгизъ 7007	ყალგიზი	მთა	40°55’04 65°19’8	რუსეთ-ირანის საზღ-ვრის ხაზზე, რუკის ჩარჩოს კუთხეში	ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
6419 Г.Калаку	კალაკუ	მთა – გეოდეზიური პუნქტი	41°02’36 65°20’4	მეჩეთ ქოშუქს (Кошук) ჩ-ით, რუკ ის მარცხ. ჩარჩოსთან	ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Г.Кишни-си(?)	კიშნისი	მთა	41°05’19 65°21’3	მდ. გიუმიუჩაის (Гюмюръ чай) მარჯვ. ნაპირზე, რუკის ჩარ-ჩოსთან	ტოპონიმი შემოხაზულია უფერო ფანქრით
Н.Хачмас(?)	ქვ. ხაჩმასი	დასახლება	41°29’08 65°28’5	რკინიგზის ხაზის დ-ით	ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით

Дивичи Ст. Дивичи	დივიჩი	დასახლება და სადგური	41°13’38 65°40’20	რუსეთი-აზერბაიჯანის რკინიგზის ხაზის დ-ით	გახაზულია მოწითალო ხაზით
Г. Зинда- варъ	დივიჩი	მთა	40°55’15 66°30’62	აზერბაიჯანის შიდა ად- მინისტრაციული საზღ- ვრის ხაზზე, მდ. ამლ- ჩაის (Амл-чай) მარცხ. შენაკადის აუზში	უფერო ფანქრით შემო- ხაზულია ტოპონიმი
Г.Сараки	სარაკი	მთა	66°45’045		უფერო ფანქრით შემო- ხაზულია ტოპონიმი
Г.Сульма	სულმა	მთა	40°53’65\ 66°40’58	მდ. ამლსუს (Амль-су) მარცხ. ნაპირზე	უფერო ფანქრით შემო- ხაზულია ტოპონიმი
Г.Кюниа	კიუნა	მთა	40°52’61 66°45’75	ჯამე ხერეკის (Херек) ჩდ-ით	უფერო ფანქრით შემო- ხაზულია ტოპონიმი
Г. Каръ чакю	კარჩაკიუ	მთა	40°55’15 66°49’58	დას. თექე შიხიის (Теке шихи) ჩდ-ით	უფერო ფანქრით შემო- ხაზულია ტოპონიმი
Г. Кызыль- Кая-дагъ	ყიზილკაია	მთა	40°59’54 66°42’30	ზერბაიჯანის შიდა ად- მინისტრაციული საზღ- ვრის ხაზზე	უფერო ფანქრით შემო- ხაზულია ტოპონიმი
Г. Билха	ბილხა	მთა	40°59’50 66°48’75	დას. შლიზანის (Слизанъ) სდ-ით, რუ- სეთი-აზერბაიჯანის რკინიგზის დ-ით	უფერო ფანქრით შემო- ხაზულია ტოპონიმი
Г. Армя- ны-дашъ	არმიანი- დაში	მთა	41°01’61 66°47’85	აზერბაიჯანის შიდა ადმინისტრაციულ საზ- ღვარსა და რუსეთი- აზერბაიჯანის რკინისგ- ზის შორის	უფერო ფანქრით შემო- ხაზულია ტოპონიმი
И.10. (1912 г) ИГ Иляігъ (Бакинская губерніи. Персии Адербидж.)					
1000 г. Шанденъ- Каласи	შანდენკა- ლასი	მთა – გე- ოდეზიური პუნქტი	38°26’88 66°15’23	ლენქორანსკის (ЛЕНКОРАНСКІЙ) რუ- სეთ-ირანის საზღვრის ხაზზე	ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Г. Дедовна- бандъ Хр. Де. дов- набандъ(?)	მთა დე- დოვნაბა-დი, ქდ. დედოვ- ნაბადი	მთა, ქედი	38°33’81 66°19’05	მდ. ბაშარუს (Башару) მარჯვ. ნაპირი, მდ. ტანგარიუს მარცხენა ნაპირზე	ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Р. Тангярю	ტანგიარიუ	მდინარე	38°30’35 66°22’5		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Г. Тевуле- вандъ	ტევულე- ვანდი	მთა	38°36’92 66°15’15		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Г. Талясефы бад	ტალიასეფი ბადი	მთა	38°37’88 66°17’40		ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Г. Кыржасы- ги-дагъ	კირჟასიგი დაგ	მთა	38°37’88 66°18’75		უფერო ფანქრით გახა- ზულია ტოპონიმი
Г. Улясы	ულიასი	მთა	38°36’69 66°21’90		ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Г. Борзовцы	ბოროზოვ- ცი	მთა	38°37’85 66°25’35		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Г. Шинамбу- бы	შინამბუბი	მთა	38°40’50 66°18’38		ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Г. Разуани бандъ	რაზუანი ბანდი	მთა	38°40’73 66°22’13		ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით

Г. Бабала-бадъ 2135	ბაბალაბადი	მთა	38°42’12 66°19’65		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Джаангясер	ჯანგიასერი		38°41’42 66°24’0		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Г. Ташъ-б(?)	ტაშ-ბ(?)	მთა	38°43’27 66°13’50		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
2454 Г.Авеиль	ავეილი	მთა, გეოდე-ზიური პუნქ-ტი	38°45’92 66°66’90		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Г. Бырдадо	ბირდადო	მთა	38°46’38 66°17’03		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Р. Сюдашъарю	უდაშარიუ	მდინარე	38°48’81 66°20’55		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Р. Гавзуару	გავზუარუ	მდინარე	38°48’35 66°24’60		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Г. Тагконъ	ტანკონი	მთა	39°48’38 66°11’70		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Г. Тамбинад	ტამბინადი	მთა	38°59’54 66°10’65		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Р. Виляжъ	ვილიაჟი	მდინარე	39°01’04 66°22’50		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Р. Тахта-тои	ტახტატო-ნი	მდინარე	39°04’73 66°19’50		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Р. Геокъ мана	გეოკ მანა	მდინარე	39°07’96 66°17’25		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
					რუკის მარცხენა ჩარ-ჩოდან г. Бадабант-თან ფანქრით გახაზულია: Р. Вирнару-სა და Р. Ла-коару-ს წაყლგამყოფი, Р. Ваза-ру, ამ მდინარე-სა და Р. Сюдашарю-ს წყალგამყოფი
3.10. Бакинская губерніи. Персіи Адербиджанъ.					
Н. АМБУР-ДАРГ	ქვ. ამბურ-დაგი	მთა	38°39’69 65°59’55	რუსეთ-ირანის საზღვ-რის ხაზიდან ა-ით	ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
6881 Пер. Парнасарекъ	პარნასაკე-რი	უღელტე-ხილი	38°39’92 66°05’40	მთა Панабантъ-ის (Панабантъ) ახლოს, ს-ით	ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Г.Барсаву	ბარსავუ	მთა – გე-ოდეზიური პუნქტი	38°45’58 66°07’5	ჯამე ბარზაკუს Барзаку(?) ჩ-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით და მომწვანო ფერით
Г. Сибирду	სიბირდუ	მთა	38°45’86 65°56’46		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Г.Сахала-Баранъ	სახალაბა-რანი	მთა	38°49’15 65°51’53	მდ. ვულიაჟჩაის (Вуляжъ-чай) შენაკა-დის მარჯვ. ნაპირზე	ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Г.Узю-Бами 7806 (Ха-ча-ортъ)	უზიუბამი (ხაჩაორტი)	მთა	38°51’58 65°55’53	მდ. ვულიაჟჩაის (Вуляжъ-чай) შენაკა-დის სათავეში	ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით
Пер. Ды-манск ія	დიმანსკის უღ.	უღელტე-ხილი	38°51’81 65°42’68	მდ. ვულიაჟჩაის (Вуляжъ-чай) შენაკა-დის მდ. დერის (Дер) შესართავთან	ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ხაზით

7218 Г.Куладаш	კულადაში	მთა	38°54’92 65°41’1	რუსეთ-ირანის საზღვარი	უფერო ფანქრით ირიბად დატანილია წარწერა, ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ფერის ფანქრით
5679 Г.Караджа-дагъ	ყარაჯადაღი	მთა	38°56’88 65°52’01	რუსეთ-ირანის საზღვარი	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
309 Г.Вали-и-дагъ	ვალიდაღი	მთა – გეოდეზიური პუნქტი	38°59’31 60°05’25		ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ფერის ფანქრით
5242 Сиг. Джулютъ		მთა – გეოდეზიური პუნქტი	39°02’31 60°04’35	დას. დეთანლუს (Детанлу) ა-ით	ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ფერის ფანქრით
Сиг. Г- Бураваръ	ურავარი	მთა	39°05’08 60°02’25	საზღვრიდან აღმოსავლეთით გადის გზა	ტოპონიმი გახაზულია მოწითალო ფერის ფანქრით
Г. Колай	კოლაი	მთა	38°52’33 60°04’20	ჯამე ყურაბინის (Курабинъ) სა-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Ж.7. Дагестанской области Тифлисской и Елисаветп. губерніи					
Бив.Кр. Тарпахъ-Кала	თარპახ-კალა	ყოფ. ციხესიმაგრე	41°18’58 64°35’18	მდ. კოშკაჩაის (Кошка-чай) საზღვრის ხაზისა და საავტომობილო გზის ა-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (ორი ხაზით)
Инча- Карабулагъ (Ашага-инча)	ინჩა-ყარაბულახი (აშაგა-ინჩა)	დასახლება	41°14’50 64°45’60	საავტომობილო გზის დასავლეთი (გზა გადის აღმ. ნაწილში)	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით(ორი ხაზით)
Инча 112 т	ინჩა	დასახლება	41°15’35 64°46’50	ინჩა-ყარაბულახის (Инча-карабулагли) ჩა-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (ორი ხაზით)
	დიში	წარწერა	41°01’85 64°46’95	გახაზული ჩარჩოს დას. ხოლო აღმოსავლეთით წარწერა	უფერო ფანქრით გახაზულია და წარწერილია: Диш.10)
Кипчахъ	ყიფჩაღი	დასახლება	41°18’23 64°30’00	გზა შემოდის, უხვევს ჩ-კენ, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ხაზის დ-ით, მდ. აგრიჩაის (Агри-чай) ჩ-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (ორი ხაზით)
Загам 105	ძაგამი	დასახლება	41°25’04 64°21’00	გზა გასაყართან, მდ. აგრიჩაის (Агри-чай) ა-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით (ორი ხაზით)
	მიჩრ. შიფმენ	წარწერა	41°16’61 64°00’30		უფერო ფანქრით წაწერილია და გახაზულია ტოპონიმი: Мичр. Шифмеи
Овр. Диди наура	ხევი დიდი ნაურა	ხევის სახელი	41°23’19 64°03’60	საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ხაზის დ-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
ущ. Кала-дараси	კალა-დარასი	ხეობა	41°13’70 64°00’60	ქდ. გრი ყალადარის (Гры Кала-дара) დაბოლოებაზე, იორსა და ალაზანს შორის	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Овр. Куюлаудара	კუიულა-უდარა	ხევი	41°21’50 64°01’93	მდ. ალაზანსა (Алазанъ) და ქდ. კაშს (Каш) შორის	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით

Овр. Арма-дараси	არმადა-რასი	ხევი	41°12’69 64°16’80	სიღნაღის მაზრაში, ზაქათალას ოკრუგის საზღვრის დ-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Овр.Загали-дара	ზაგალიდა-რა	ხევი	41°11’08 64°16’35	საქართველო-აზერბა-იჯანის საზღვრის დ-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Овр. Камрай-дараси	ყამრა-იდარსი	ხევი	41°10’10 64°22’95		ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Овр. Калтаръ	კალტარი	ხევი	41°06’58 64°15’30	სიღნაღის მაზრაში, საზღვრის საქართ-ველო-აზერბაიჯანის ხაზის დ-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Оврагъ Камрой	კამროი	ხევი	41°03’92 64°09’75	მდ. ივრის (Иора) ჩ-ით, ელდარის სტეპი (Степь Элдаръ)	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
	კარლიკერი		41°06’86 64°00’30	მდ. იორზე (Иора)	უფერო ფანქრით დატა-ნილია წარწერა Керлы кери და წერტილი
Овр. Ди-ди-руи	დიდი რუი	ხევი	41°21’63 63°51’68	შირაქის სტეპი (Степъ Шираки), მთა ქუშების-თავის (Кушебис-тави) სა-ით	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
Овр. Карасу	ხევი ყარასუ	ხევი	41°13’85 63°45’75	მდ. ივრის (Иора) მარცხ. ნაპირზე	ტოპონიმი გახაზულია უფერო ფანქრით
	ტარიბანა	ველი	41°17’77 63°45’42		უფერო ფანქრით და-ტანილია წარწერა Тарибана
Каджирисъ-тба	ყაჯირის ტბა	ტბა	41°18’46 63°25’80	ყაჯირის ტბის (Каджирисъ-тба) დ-ით, მთა ყაჯირის (Г. Каджири) დ-ით	უფერო ფანქრით და-ტანილია წარწერა Кеипикие(?) Оз.
		წარწერა	41°57’81 64°26’40	მდ. ქედი ყაჯიშის (Хребетъ Каджи-ши) სდ-ით	უფერო ფანქრით დატა-ნილია წარწერა РЗ-Ги

1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულება და საქართველოს სახელმწიფო საზღვრები 1920-1921 წლებში[1]

ენდრიუ ანდერსენი[2]

რუსეთის იმპერიას და 1917 წლამდე მასში შემავალ სახელმწიფოთა უახლესი ისტორია იცნობს კრემლის მესვეურთა მიერ ხელმოწერილ მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მათ მიერვე დარღვეულს ხელმოწერიდან სულ მცირე ხანში. ერთ-ერთი ასეთი ხელშეკრულება 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის შეთანხმებაა, რომელსაც ხელი მოაწერეს რსფსრ საგარეო სახალხო კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა - ლევ კარახანმა (იმავდროულად საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე) და გრიგოლ ურატაძემ (საქართველოს წარმომადგენელი მოსკოვში).

გეოპოლიტიკური ვითარება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის

მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერა დაემთხვა რიგ დრამატულ მოვლენებს ზოგადად მთელს ევროპაში და კერძოდ, კავკასიაში. ხელმოწერიდან სულ რაღაც წელიწადნახევრით ადრე ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში დასრულდა პირველი მსოფლიო ომის შეტაკებები. 4 კვირაზე ნაკლები იყო გასული მას შემდეგ, რაც თავისი საქმიანობა დაასრულა პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ, რომლის მიმდინარეობის დროს გამარჯვებული ქვეყნის ლიდერები ცვლიდნენ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას. ამავე დროს საომარი მოქმედებები, რომლებიც უკვე შეწყვეტილი იყო ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში, ჯერ კიდევ გრძელდებოდა კონტინენტის პერიფერიებზე.

პოლონეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვისა და ლატვიის ტერიტორიებზე მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის სასტიკი ომი (და სწორედ მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს პოლონეთ-უკრაინის ჯარებმა გამოაძევეს წითელი არმია კიევიდან). არანაკლებ სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა თურქეთის დასავლეთ ნაწილში ქემალისტებსა და საბერძნეთის მეომრებს შორის. არასტაბილური იყო ვითარება კავკასიაშიც. თუმცა მოსკოვში საბჭოთა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების დაწყების მომენტისათვის წითელმა არმიამ შესძლო ჩაეხშო ანტისაბჭოთა წინააღმდეგობა (ე.წ. „თეთრი მოძრაობა“) რუსეთის ევროპული ნაწილის სამხრეთში, რუსეთის სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ შორს იყო მის საბოლოო დასრულებამდე: ყირიმში რჩებოდა არასაბჭოთა რუსული მთავრობა და ბარონ პეტრე ვრანგელის რუსული არმია, ხოლო დაღესტანში გრძელდებოდა პარტიზანული ომები. ამავდროულად, აპრილის ბოლოს წითელმა არმიამ დაიპყრო აზერბაიჯანი, გააუქმა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა და გამოაცხადა აზერბაიჯანის სსრ. ასევე ომითვე აღინიშნა 1920 წლის მაისის დასაწყისი - წითელი არმიასა და ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სომხეთს შორის. ეს იყო საკმაოდ მდოვრედ მიმდინარე ომი, ყარაბაღზე, ზანგეზურსა და ნახიჩევანზე გაბატონებისა და „კორიდორის“ შექმნისათვის ქემალისტური თურქეთისაკენ, რომელთანაც კრემლს მოკავშირული ურთიერთობები აეწყო (უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა რუსეთ-სომხეთის ის არგამოცხადებული ომი ძლიერ წააგავდა დღევანდელ „ჰიბრიდულ ომს“ უკრაინასა და რუსეთის ფედერაციას შორის) [Hovannisian, 1996. pp. 209-253; Kazemzadeh, 1951. pp. 309; Кадишев, 1960. стр. 280-289]. დაძაბული იყო ვითარება სომხეთ-თურქეთის „მყიფე და სუსტ“ საზღვარზეც. ამავდროულად 1920 წლის 1-5 მაისის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საბჭოთა რუსეთის შემოჭრის მცდელობას საქართველოში, თუმცა იმ მომენტისათვის ქართულმა ჯარმა იგი წარმატებით უკუაგდო.

დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარების მიზნით საქართველოს წარმომადგენლები დიპლომატიური მიმართულებით აწარმოებდნენ მძიმე ომს ზესახელმწიფოებთან, რომლებსაც არ ჰქონდათ რა ერთიანი პოზიცია მოცემული საკითხის ირგვლივ, ატარებედნენ ორმაგ პოლიტიკას სამხრეთკავკასიური სახელმწიფოების აღიარების საკითხში რიგი გარემოებების

---

[1] სტატია რუსულიდან თარგმნა დ. ნიკოლაიშვილმა და ა. უჯმაჯურიძემ [რედ.].

[2] კალგარის უნივერსიტეტის (კანადა) სამხედრო და სტრატეგიული კვლევების ცენტრი, ეროვნული მკვლევარი, დოქტორი. anderss@shaw.ca

გამო, გადამწყვეტი ხმა დარჩა დიდ ბრიტანეთს, რომლის ინტერესების სფეროში შედიოდა კავკასიის რეგიონი. თუმცა გადაწყვეტილების მიღების მთელი პროცესი ბრიტანული პოლიტიკის გატარების დროს 1918-1920 წლებში სამხრეთ რუსეთსა და სამხრეთ კავკასიაში, განისაზღვრებოდა დიდი ბრიტანეთის სამი უმნიშვნელოვანესი ლიდერის განსხვავებული და ნაწილობრივ ურთიერთწინააღმდეგობრივი მიდგომებითაც რეგიონში არსებული სიტუაციისადმი. ეს ლიდერები იყვნენ: უინსტონ ჩერჩილი (შეიარაღების მინისტრი 1917 წლის ივლისიდან და სამხედრო მინისტრი 1919 წლის იანვრიდან 1921 წლის თებერვლის ჩათვლით), ჯორჯ კერზონი (საგარეო საქმეთა მინისტრი 1919 წლის ოქტომბრიდან 1924 წლის იანვრის ჩათვლით) და დევიდ ლოიდ ჯორჯი (პრემიერ-მინისტრი 1916 წლის დეკემბრიდან 1922 წლის ოქტომბრის ჩათვლით). ბრიტანული პოლიტიკის არცერთი ზემოთ დასახელებული პერსონა არ გამოდიოდა სამხრეთ კავკასიის ახალი რესპუბლიკების მხარდაჭერის წინააღმდეგ. თუმცა მათი მოსაზრებები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მხარდაჭერის ხარისხის თვალსაზრისით.

ჩერჩილი, როგორც რუსეთის ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობის ყველაზე თანამიმდევრული და უკომპრომისო მხარდამჭერი, იმთავითვე გამორიცხავდა ახალი სახელმწიფოების მხარდაჭერას, რომლებიც დე-ფაქტოდ გამოეყო გაუქმებულ რუსეთის იმპერიისაგან.

ამავე დროს, რუსეთსა და მისგან ჩამოშორებულ ტერიტორიებზე არსებული ანტიბოლშევიკური ძალებისადმი სკეპტიკურად განწყობილი პრემიერი - ლოიდ ჯორჯი, ბრიტანული პოლიტიკის ყველა იმ საქმეებში აქტიური ჩარევის მოწინააღმდეგე გახდა, ვინაიდან მათ „რუსულ საქმეებად“ მიიჩნევდა.[1]

ჯერ კიდევ 1918 წლის დეკემბრის დასასრულს ლოიდ ჯორჯი გამოვიდა აშშ-ის პრეზიდენტის ვუდრო უილსონისა და კანადის პრემიერ-მინისტრის რობერტ ბორდენის ინიციატივის მხარდასაჭერად - მოიწვიონ რუსეთის ყველა მებრძოლი მხარის, მათ შორის „ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოების“ წარმომადგენლები კონსტანტინოპოლის სიახლოვეს მდებარე პრინცის კუნძულებზე მოკავშირე ზესახელმწიფოთა ერთობლივ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად [Аваловъ, 1924. стр. 178-182; Kopisto, 2011. pp. 62-65]. ბრიტანეთის კაბინეტის მეთაურთა ასეთმა ურთიერთობამ მიიყვანა მათი მთავრობა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ 1919 წლის 3 ივლისიდან გამოეყვანათ ბრიტანეთის ჯარები სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყნიდან, გარდა ბათუმის პორტისა და ჰინტერლანდისა მის გარშემო [Rose, 1980 pp. 267]. უფრო მეტიც, 1919 წლის შემოდგომის ბოლოს გენერალ ანტონ დენიკინის ანტისაბჭოთა არმიის განადგურებამ და თეთრი მოძრაობის თანმდებმა აგონიამ, რაც გაგრძელდა 1920 წლის მარტამდე, ლოიდ ჯორჯი და მისი მთავრობა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მოკავშირე ზესახელმწიფოთა მიერ ჯერ კიდევ არცნობილი ბოლშევიკები არიან რუსეთის ერთადერთი რეალური მმართველები. აქედან გამომდინარეობდა კრემლთან მოლაპარაკებების დაწყების[2] და ამავდროულად „სამხრეთ რუსეთის“ ყველა ანტისაბჭოთა ძალის, მათ შორის საქართველოს, მხარდაჭერის შეწყვეტის აუცილებლობაც [Kopisto, 2011. pp. 104, 154-156].

ლოიდ ჯორჯისა და ჩერჩილისაგან განსხვავებით, კერზონი არ თვლიდა, რომ რუსეთის სიტუაცია პრიორიტეტულად მნიშვნელოვანი იყო დიდი ბრიტანეთისათვის, თუმცა იგი არანაკლებ ემხრობოდა ანტიბოლშევიკურ შეხედულებებს, ვიდრე ბრიტანეთის სამხედრო უწყების მეთაური. ამავდროულად კერზონი იყო კავკასიის ე.წ. „ლიმიტროფული სახელმწიფოების“ მაქსიმალური მხარდამჭერი, სამხედრო ჩარევის ჩათვლითაც კი [Rose, 1980. pp. 268, 272; Hovannisian, 1996. pp. 31-32]. დიდი ბრიტანეთისათვის სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობის მისეული შეფასება ემთხვეოდა სამხედრო მინისტრის პოსტზე ჩერჩილის წინამორბედის - ალფრედ მილნერის შეფასებას, რომელიც კატეგორიულობით ხაზს უსვამ-

---

[1] ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ თავდაპირველად ლოიდ ჯორჯს არ ჰქონდა სურვილი დიდ ბრიტანეთს მონაწილეობა მიეღო ჩერჩილის მიერ შემოთავაზებულ „ანტიბოლშევიკურ ჯვაროსნულ ლაშქრობაში“, იყო სახალხო წარმომადგენლობის აქტი, რომელიც მიიღო გაერთიანებულმა სამეფომ 1918 წლის ივნისში. ის თითქმის აუქმებდა ქონებრივ ცენზს და საარჩევნო უფლებას ანიჭებდა ქალებს. ეს ახალი კანონი არსებითად ცვლიდა ბრიტანულ საარჩევნო სისტემას, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ელექტორატი. ამის შედეგად საარჩევნო უფლება მიიღო შეჭირვებული მოქალაქეების მასებმაც, რომლებიც გამოხატავდნენ გარკვეულ სიმპათიებს საბჭოთა რუსეთისადმი. შექმნილ სიტუაციაში, ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიისაგან განსხვავებით, ლოიდ ჯორჯის კაბინეტის მიერ რუსეთის ანტიბოლშევიკური მოძრაობის მხარდაჭერას 1918 წლის დეკემბრის არჩევნებზე შეიძლება გამოეწვია იმ ლიბერალური კოალიციის დაცემა, რომლის სათავეშიც თვითონ იყო.

[2] დიდი ბრიტანეთის მიერ საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური აღიარება მოხდა რამდენიმე წლის შემდეგ - 1924 წლის 1 თებერვალს.

და ბრიტანული ოკუპაციის მნიშვნელობას ამ რეგიონში ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბერში [Jeffery, 1984. pp. 134-139]. კერზონის აზრით, სამხრეთ კავკასიას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა ბრიტანეთის კოლონიალური პოლიტიკისათვის უპირველესად მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რაც სამი კავკასიური ქვეყნის (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) „ბარიერულ კედლად“ გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა რუსეთისა და თურქეთის შესაძლო ექსპანსიის წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთსა და ინდოეთში [Hovannisian, 1982. pp. 269; Kopisto, 2011. pp. 25, 27-28, 59, 104-105], რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში მდებარეობს ნავთობის უმდიდრესი საბადოები [Jeffery, 1984. pp. 134]. ლორდ კერზონის კავკასიური დოქტრინა მხარდაჭერილი იყო არა მარტო ყოფილი სამხედრო მინისტრის ალფრედ მილნერის, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრის არტურ ბალფურის მიერაც [Kopisto, 2011. pp. 58-62]. ამის შედეგად 1920 წლის იანვარში ანტანტის უმაღლესმა საბჭომ დე-ფაქტოდ ცნო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა [Аваловъ, 1924. стр. 247, 310].

კერზონის შეშფოთება იმ საშიშროებაზე, რომელიც ეხებოდა ინდოეთის უსაფრთხოებას, სრულებით არ იყო უსაფუძვლო. 1919 წელს ბოლშევიკი ლიდერები მიხვდნენ, რომ მათ არ უნდა ჰქონდეთ მასობრივი მარქსისტული აჯანყების იმედი ევროპაში. „მსოფლიო რევოლუციის“ დასავლეთის მიმართულებით განვრცობის იმედების ჩაქრობამ კრემლი აიძულა დაეწყო იდეოლოგიური და სამხედრო ექსპანიის შესაძლებლობების ძიება ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში. ამ თვალსაზრისით რსფსრ სამხედრო და საზღვაო საქმეების სახალხო კომისარი ლევ ბრონშტეინ-ტროცკი წერდა: „საერთაშორისო ვითარება, როგორც ჩანს, ისე ეწყობა, რომ გზა პარიზისა და ლონდონისაკენ დევს ავღანეთის, პენჯაბისა და ბენგალიის ქალაქებზე“ [Фельштинский, 1990. стр. 54; Щербаков, 2013. стр. 206]. 1919 წლის გაზაფხულზე ტროცკის კოლეგამ, საბჭოთა რუსეთის უმაღლესი სამხედრო ინსპექციის უფროსმა ნიკოლოზ პოდვოისკიმ განაცხადა ახალი სტრატეგიული ამოცანები: „რევოლუცია დასავლეთში შეყოვნდა. ჩვენ უნდა ავაგიზგიზოთ აღმოსავლეთი, ავამოძრაოთ თურქეთის, სპარსეთის, ინდოეთის ღარიბობა, გავაღვიძოთ ავღანეთი!“ [Деникинъ, 1924. стр. 11].

ზემოთ ხსენებული ბოლშევიკი ლიდერების მიერ განცხადებული კრემლის ექსპანსიურ მისწრაფებებს შეეძლო საგრძნობლად გაეზარდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაძლებლობები მიეღოთ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა დიდი ბრიტანეთის მხრიდან მხოლოდ იმ პირობით, რომ კერზონი შეძლებდა კაბინეტის დარწმუნებას შეენარჩუნებინათ სამხედრო-პოლიტიკური ყოფნა რეგიონში[1]. თუმცა ბაქოს უეცარმა დაცემამ (1920 წლის 27-28 აპრილი) გააჩინა უფსკრული „კერზონის ბარიერულ კედელში“ და ნულამდე დაიყვანა იდეა საბჭოთა ექსპანსიის წინააღმდეგ სამხრეთკავკასიური ბუფერის შესახებ.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დიპლომატიის სერიოზული მარცხი გახდა სან-რემოს კონფერენცია 1920 წლის 19-26 აპრილს, როდესაც საქართველოსა და სომხეთის დელეგაციებმა ვერ შესძლეს ერთმანეთთან მოლაპარაკება სადავო ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით. ამ მარცხით ზესახელმწიფოების მთავრობებს მიეცათ საბაბი უარი ეთქვათ ყველა თავიანთ, ისედაც ბუნდოვან დანაპირებზე, რომ მხარს დაუჭერდნენ აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს საბჭოთა რუსეთის აგრესიისა და ქემალისტური თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. [Аваловъ, 1924. стр. 270-276]. ამ მომენტიდან სამხრეთ კავკასიის ჯერ კიდევ დამოუკიდებელი რესპუბლიკები (ახლა მხოლოდ სომხეთი და საქართველო) დასავლეთევროპული ზესახელმწიფოების მიერ ბედის ანაბარად იქნენ მიტოვებულნი[2]. ამრიგად, 1920 წლის გაზაფხული აღინიშნა შავი ზღვის აუზში ბრიტანული პოლიტიკის ლოიდ ჯორჯისეული მიდგომის გამარჯვებად. ბრიტანელი პრემიერის მტკიცებით, საბჭოების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დაპყრობა არ უქმნიდა სერიოზულ საშიშროებას გაერთიანებული სამეფოს სამფლობელოებს ინდოეთსა და მესოპოტამიაში. სამოქალაქო ომში ბოლშევიკური რუსეთის დასუსტების გამო [Rose, 1980. pp. 271-272]. და მართლაც, 1920-იანი წლების

---

[1] მრავალი ავტორი კავკასიონის სამხრეთით მდებარე რუსეთის ყოფილი სამფლობელოების აღსანიშნავად იყენებს ტერმინს „ამიერკავკასიას“, სადაც იგულისხმება საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, აგრეთვე ყოფილი შავი ზღვის გუბერნიის სოჭისა და ტუაფსეს ოკრუგები.

[2] მოკავშირეთა მიერ სამხრეთკავკასიური სახელმწიფოებისათვის მხარდაჭერაზე უარის თქმაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს სან-რემოს კონფერენციის (1920 წლის 18-26 აპრილი) შემდეგ, სადაც სომხეთისა და საქართველოს დელეგაციებმა ვერ მიაღწიეს კონსენსუს ერთმანეთთან, აგრეთვე ვერც დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან, რომელიც კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილით - ლორდ რობერტ ვანსიტარტით.

დასაწყისში რსფსრ ძალზე სუსტი იყო იმისათვის, რომ მას გაეფართოვებინა თავისი გავლენის სფეროები რუსეთის იმპერიის 1877 წლის საზღვრების მიღმა[1].

გეოპოლიტიკური ინტერესები ხელშეკრულების დადებისას

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი მნიშვნელოვნად ამცირებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პოლიტიკური მანევრირების შესაძლებლობებს და უბიძგებდა ქართველ ლიდერებს მოეძებნათ კომპრომისები კრემლთან. კრემლი კი, თავის მხრივ, 1-5 მაისს საქართველოს წინააღმდეგ „ბლიცკრიგის" ჩავარდნისა და პოლონეთის წინააღმდეგ ომში სერიოზული დამარცხების შემდეგ, მზად იყო წასულიყო მნიშვნელოვან დათმობებზე იმისათვის, რომ მიეღო „მშვიდობიანი შესვენება" სამხრეთის მიმართულებით. გარდა ამისა, რსფსრ-ს ხელმძღვანელებს, რომლებსაც გამიზნული ჰქონდათ ქემალისტებთან კავშირი, ესმოდათ, რომ სამხრეთ კავკასიაში მყოფი წითელი არმიის ნაწილები ვერ შეძლებდნენ გაერღვიათ სტაბილური „კორიდორი" თურქეთში იმ ტერიტორიის გავლით, რომელზეც პრეტენზიას აცხადებდა სომხეთი და თუ სომხეთი მხარდაჭერილი იქნება საქართველოს ჯარის მიერ. მარტო კი, დასუსტებული სომხეთი ვერაფრით შეძლებდა გაეძლო თურქეთის, რსფსრ და საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან ერთდროული სამხედრო ზეწოლისათვის. და როგორც მომდევნო მოვლენებმა აჩვენეს, მან ამას ვერც გაუძლო.

აქ მიზანშეწონილი იქნება ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ეროვნული კატასტროფები, რომლებსაც განიცდიდნენ სამხრეთ კავკასიის ხალხები 1920-1921 წლებში, აგრეთვე მათი სუვერენიტეტის დაკარგვა შესაძლებელი იყო სრულებით აცილებულიყო თავიდან, თუ სომხეთისა და საქართველოს ლიდერები შეძლებდნენ თავდაცვითი ალიანსის შექმნას იმ მიზნით, რომ დაეცვათ თავიანთი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. უნდა ითქვას, რომ 1920 წლის აგვისტოს შუა პერიოდში სომხეთის მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები ამ მიმართულებით [Hovannisian, 1996. pp. 98] - უმეტესად პოლკოვნიკ კლოდ სტოქსის (ანტანტის ახალი კომისარი სამხრეთ კავკასიაში) გავლენით, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ სომხეთ-საქართველოს ალიანსს შეეძლო არა მარტო დაეცვა რეგიონი თურქეთის ახალი ექსპანსიისაგან, არამედ აეძულებინა საბჭოები გაეთავისუფლებინათ აზერბაიჯანი [Hovannisian, 1996. pp. 206-207]. სომხეთ-საქართველოს თავდაცვითი ბლოკის შექმნის პერსპექტივა ასევე დიდ შეშფოთებას იწვევდა არა მარტო მოსკოვში, არამედ თურქ ნაციონალისტებშიც ანკარაში. [Hovannisian, 1996. pp. 245-246, 249].

გარდა ამისა, კავკასიაში საბჭოთა რუსეთ-თურქეთის ექსპანსიის ასალაგმავად უფრო იოლი იქნებოდა, თუ საქართველო და სომხეთი შევიდოდნენ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში პოლონეთთან, უკრაინასა და ვრანგელის ანტიბოლშევიკურ რუსულ მთავრობასთან, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ აკონტროლებდა ყირიმს. და ამასთან როგორც პოლონეთის, ისე უკრაინის სამხედრო ხელმძღვანელები დაინტერესებულნი იქნებოდნენ ისეთ „თავდასხმა-თავდაცვით" კავშირზე და გადადგამდნენ რაიმე ნაბიჯებსაც კი ამ მიმართულებით [Wojciech, 1991. pp. 203-209].

მაგრამ სამწუხაროდ, ასეთ ალიანსს არ ეწერა აღსრულება ორივე რესპუბლიკის მთავრობების უუნარობის გამო - მიეღწიათ კონსესუსისათვის მთელ რიგ საკითხებზე, აგრეთვე საბჭოთა და თურქული დიპლომატიის ეფექტური მანევრების წყალობით, როგორც თბილისში, ისე ერევანში.

რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკურ ხელმძღვანელობას, აქ ჭარბობდა ადამიანები უკიდურესად შეზღუდული (თუ არა ნულოვანი) პოლიტიკური გამოცდილებით და პაციფისტური შეხედულებებით, რომლებსაც სჯეროდათ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გამაგრებული მკაცრი ნეიტრალიტეტი შესაძლებლობას მისცემდა მშვიდ ვითარებაში აეშენებინათ და გაეძლიერებინათ დამოუკიდებელი და წარმატებული ქართული სახელმწიფო. შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, რომ ეს მიდგომა იყო მცდარი.

---

[1] საბჭოთა რუსეთ-თურქეთის საზღვარი, რომელიც 1922 წელს დადგინდა, ემთხვეოდა 1877 წლის საზღვარს, გამონაკლისი იყო მხოლოდ თურქების მიერ დათმობილი სურმალინის მაზრა მთა არარატის ჩათვლით და ქალაქი ბათუმი ჩრდილოეთ აჭარაში, რომელიც გამაგრებული იყო საბჭოების მიერ უკანასკნელი მძიმე ოპერაციების შედეგად, რომლებიც განახორციელა ქართულმა ჯარებმა გენერალ მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით 1921 წლის მარტში.

მოსკოვის ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი

მოსკოვის ხელშეკრულების I-IV მუხლის (იხ. დანართი) მიხედვით საბჭოთა რუსეთი უპირობოდ აღიარებდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ნებაყოფლობით ამბობდა უარს ჩარეულიყო მის შიდა საქმეებში და ყველა ტერიტორიულ პრეტენზიაზე, რომლებიც შეთანხმებულია მომდევნო მუხლებში [Beichman, 1991. pp. 165; Lang, 1962. pp. 226; Мирный договор..., 1920]. რუსეთის ხელმოწერას მითითებული ხელშეკრულების პირველ ოთხ მუხლზე, რა თქმა უნდა, ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, მათ შორის სხვა დიდი სახელმწიფოების მიერ საქართველოს აღიარების გაადვილების გამო.

ამავე დროს, აღნიშნული ხელშეკრულების მომდევნო V და IX მუხლები მთლიანად აბათილებენ მუხლ II-ს საბჭოთა რუსეთის საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის შესახებ. ამ მუხლების გაცნობით რთული წარმოსადგენია, როგორ დაუშვა ქართულმა დელეგაციამ მიეღო და ხელი მოეწერა მათზე, რითაც საქართველოს როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკა დააყენა მოსკოვის კონტროლზე. თუ უარს ვიტყვით ქართული დელეგაციის წევრების ეროვნული ინტერესების ღალატზე, მაშინ დასახელებული მუხლების პირობების მიღების ფაქტი შეიძლება აიხსნას მხოლოდ მათი გულუბრყვილობით ან დაბალი პოლიტიკური კულტურით.

მუხლი V საქართველოს ავალდებულებდა არა მარტო განეიარაღებინა საქართველოში უკანდახეული რუსი თეთრგვარდიელები, კაზაკები, ჩრდილოეთკავკასიელი სეპარატისტები და ანტისაბჭოთა განწყობილების აზერბაიჯანელები (აზერბაიჯანი ამ დროისათვის უკვე გასაბჭოებული იყო), არამედ დაემწყვდია ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში მათი საბჭოთა რუსეთისათვის გადაცემის მიზნით (საბჭოთა მხარის შეგნებულად ცრუ დაპირებები გადაცემული გაქცეულების „სიცოცხლის შენარჩუნებაზე“ ძლივს თუ შეძლებდა ვინმეს მოტყუებას). ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ასეთი საკონცენტრაციო ბანაკები შეიქმნა და შეივსო კიდეც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოების ნაწილმა და უპირველესად, ქვეყნის მმართველი მენშევიკური ხელმძღვანელობის მოძულე სამხედროებმა ეს პოლიტიკა არ მიიღეს. საკონცენტრაციო ბანაკები განლაგებული იყო საქართველოს ცენტრში და ზღვის სანაპიროზე (უმთავრესად ფოთის გარშემო), რამაც 1920 წლის აპრილსა და სექტემბერში ბარონ ვრანგელის რამდენიმე საზღვაო ექსპედიციას მისცა შესაძლებლობა გაეთავისუფლებინა იქ დაპატიმრებული ადამიანები და გაეყვანათ ისინი ზღვით ყირიმში. ქართული სანაპირო დაცვა და გარნიზონის ბანაკები არ უწევდნენ ვრანგელის მომხრეებს არანაირ წინააღმდეგობას, თუმცა თხოვეს მათ რამდენჯერმე გაესროლათ, რომლითაც იმიტირებას გაუკეთებდნენ ბრძოლას, რომლის გამოც ქართველები ვითომ იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ [Врангель, 2015. стр. 615-616]. სინამდვილეში კი არანაირ ბრძოლას ადგილი არ ჰქონია და ქართველი სამხედროები ეხმარებოდნენ კიდეც მათ გადასულიყვნენ თეთრგვარდიელთა გემებზე.

X მუხლმა ქართველებს განუსაზღვრა გაენთავისუფლებინათ ბოლშევიკები საპატიმროებიდან, სადაც ისინი მოხვდნენ სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულის გამო, მათ შორის სახელმწიფო ღალატის, ტერორიზმისა და ჯაშუშობისა რსფსრ-ს სასარგებლოდ. ეს შეიძლება ყოფილიყო გონიერი კომპრომისი, თუ განთავისუფლებული ბოლშევიკები გაძევებულნი იქნებოდნენ საქართველოდან, მაგრამ ხელშეკრულების მუხლი ამას არ მოითხოვდა. ბუნებრივია, რომ კრემლს ბოლშევიკების მეხუთე კოლონა სჭირდებოდა საქართველოს შიგნით და იგი მალე გამოიყენა კიდეც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციისათვის.

საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები პარიზის საზავო კონფერენციაზე და მოსკოვის ხელშეკრულებით დამტკიცებული საქართველოს საზღვრები

მოსკოვის ხელშეკრულების III და IV მუხლები უდავოდ აღიარებდა ქართულად ტერიტორიის დიდ ნაწილს, რომელიც სტაბილურად კონტროლირებადი იყო ქართული სახელმწიფოს მიერ მისი ხელმოწერის მომენტისათვის, აგრეთვე ზოგიერთ სადავო ტერიტორიებსაც, რომლებზეც საქართველოს ხელისუფლება საერთოდ არ, ან ნაწილობრივ ვრცელდებოდა. მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერამდე ერთ წელზე მეტი ხნით ადრე, 1919 წლის 14 მარტს საქართველოს დელეგაცია წარსდგა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მემორანდუმით, სადაც ასახული იყო საქართველოს ფორმალური პეტიცია მისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული პრეტენზიების საერთაშორისო აღიარების შესახებ [Аваловъ, 1924. стр.

194]. მთელ რიგ ისტორიულ და გეოგრაფიულ ფაქტორებზე დაყრდნობით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა პრეტენზიას აცხადებდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის ოლქის, ზაქათალის, არტაანისა და ოლთისის ოკრუგების მთელ ტერიტორიაზე, მდინარეებს - მტკვარსა და იორს შორის მოქცეულ ყაზახისა და ელიზავეტოპოლის მაზრების, მოსაზღვრე ტრაპეზუნისა და ერზურუმის ვილაიეთების ტერიტორიების ნაწილზე, აგრეთვე სოჭის ოკრუგის დიდი ნაწილზე მდ. მაკოფსემდე (ნახ. 1) [Hovannisian, 1996. pp. 287; Ментешашвили, 1998, стр. 41-45]. ამასთან ამ მემორანდუმის გადაცემისას საქართველოს დელეგაციის წევრებმა ნიკოლოზ ჩხეიძემ და ირაკლი წერეთელმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ზემოთ დასახელებული ტერიტორიული პრეტენზიები არ შეიძლება ჩაითვალოს მაქსიმალურად, თუმცა საქართველოს მთავრობა არ გადის ამ ჩარჩოების მიღმა, ვინაიდან „რესპუბლიკას (საქართველო) გაცნობიერებული აქვს ისტორიული საქართველოს რიგი ტერიტორიების სასიცოცხლო მნიშვნელობა მეზობელი სახელმწიფოებისათვის.“ [Hovannisian, 1996. pp. 287].

ზემოთ დასახელებულ მემორანდუმს საკმაოდ ცივად შეხვდა პარიზის კონფერენცია. მრავალი ის ტერიტორია, რომელიც ჩართული იყო ქართული სახელმწიფოს „გონიერების ფარგლებში“, წარმოადგენდა სხვა მხარეების მიზიდვის ობიექტს, რომლებსაც იგი უდავოდ საკუთრად მიაჩნდათ. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო დიდი სიურპრიზი ქართველი ლიდერებისათვის, რომლებიც რეალურად მზად იყვნენ წასულიყვნენ შემდგომ დათმობებზე.

ნახ. 1. საქართველო და მოსკოვის ხელშეკრულება (07.V.1920)

ამ თვალსაზრისით, მოსკოვის ხელშეკრულების IV მუხლი ჩანდა სრულიად მომგებიანი საქართველოსათვის, ვინაიდან „ამ ხელშეკრულების III მუხლის I პუნქტის ძალით, საქართველოსათვის უკვე მიკუთვნებულის გარდა, უდავოდ ქართულად ცნობდა შავი ზღვისა და ქვემოთ ხსენებული გუბერნიების ნაწილებსა და ყოფილი რუსეთის იმპერიის რეგიონებს - თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის, მთელი თავისი მაზრებითა და ოკრუგებით, რომლებიც შეადგენენ აღნიშნულ გუბერნიებსა და ოლქს, აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგებს“ [Мирный договор..., 1920] (იხ. ნახ. 1). სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე; გადადის ხსენებულ ასახჩისა და აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდე და ხსენებულ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრებამდე. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის

ხელშეკრულების ხელმოწერით რუსეთმა, ქართველების მიერ იმდროისათვის სტაბილურად კონტროლირებადი სხვა ტერიტორიების გარდა, საქართველოს ფარგლებში აღიარა აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთი ოსეთი“. ეს ფაქტი სრულიად უარყოფს რუსეთის (სამწუხაროდ, არა მარტო რუსეთის) მასმედიის თანამედროვე პროპაგანდისტულ მითს, რომ თითქოს ეს და სხვა ტერიტორიები „საქართველოს აჩუქა სტალინმა“. შესაძლებელია სწორედ ამიტომ რთულია მოიძებნოს მოსკოვის ხელშეკრულების სრული რუსული ტექსტი როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ბიბლიოთეკებში, ისე ინტერნეტში.

II მუხლი იძლეოდა საქართველო-რუსეთის, აგრეთვე ზაქათალის უბნის საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დეტალურ აღწერას (ნახ. 2). მართალია, იგი შეიცავდა გარკვეულ კურიოზს იმიტომ, რომ აქ ნათქვამი იყო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი გადიოდა ამ (ზაქათალის) ოკრუგის აღმოსავლეთ საზღვარზე სომხეთის საზღვრამდე. [Мирный договор..., 1920], მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის საზღვრები არასოდეს უახლოვდებოდა ზაქათალის ოკრუგს. იგივე მუხლი ადგენდა შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგის ნაწილის, რომელიც მოქცეულია მდინარეებს ფსოუსა და მეხადირს შორის, საქართველოსადმი მიკუთვნებას [Мирный договор..., 1920]. (ეს ტერიტორია დღესაც ოფიციალურად შედის საქართველოს შემადგენლობაში როგორც აფხაზეთის ავტონომიის ნაწილი).

ნახ. 2. საქართველო და მოსკოვის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება (12.V.1920)

ხელშეკრულების მიხედვით უპირობოდ ქართულად ცნობილი სადავო ტერიტორიები

მოსკოვის ხელშეკრულების III და IV მუხლებით ცნობილი იყო ქართულად ის ტერიტორიებიც, რომლებიც მეზობელი ქვეყნების – რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიერ სადავოდ განიხილებოდა:

ა) აფხაზეთი (სოხუმის ოკრუგი და სოჭის ოკრუგის ნაწილი)

აფხაზეთის, როგორც ქართული პროვინციის, ქართული სახელმწიფოს ამ ერთ-ერთი ისტორიულ საზღვრებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს წერილობითი წყაროების მიხედვით, მათ შორის სხვადასხვა დროის რუკების მიხედვითაც, შუა საუკუნეების (IX-XV)

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია (აფხაზეთის სამეფო ან გაერთიანებული ქართული სამეფო) აღწევდა მდინარე მაკოფსეს შესართავამდე, და რომელიც XX საუკუნის დასაწყისში შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგში შედიოდა, დროის უფრო მცირე პერიოდებში გადაჭიმული იყო უფრო იქითაც ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. დაახლოებით აქ გადიოდა უფრო ძველი, პროქართული სახელმწიფოების - კოლხეთისა და ლაზიკის საზღვრებიც [Hewsen, 2001. pp. 31, 33, 36, 96, 97, 111, 113, 125, 130, 135; Suny, 1994. pp. 2; История Грузинской ССР, 1964. стр. 245-251; Цуциев, 2006]. თუმცა XV საუკუნის ბოლოს ტერიტორია მდინარეებს მაკოფსესა და მზიმთას შორის დაიკარგა, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის სამთავრომ დაკარგა მდინარეებს მზიმთასა და ბზიფს შორის მდებარე ზოლიც [Hewsen, 2001. pp. 143, 148; История Грузинской ССР, 1964. стр. 253-256; Цуциев, 2006. стр. 21-22].

უკანასკნელი ხუთი საუკუნის მანძილზე მომხდარი ტერიტორიული ცვლილებების გამო მაკოფსესა და ბზიფს შორის მოქცეულ ტერიტორიებზე შეიცვალა ეთნიკური იერსახე, სადაც 1903 წელს შეიქმნა სოჭის ოკრუგი. XIX საუკუნის ბოლოსათვის ოკრუგის სასოფლო ზონაში ადგილობრივი ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდნენ, თუმცა უმრავლესობაში რჩებოდნენ სოჭის საქალაქო სივრცეში (ცხრ. 1). XX საუკუნის დასაწყისში ახალი მიგრანტების, მათ შორის გადამდგარი რუსი ჯარისკაცებისა და მეზღვაურების, აგრეთვე სხვა კოლონისტების, მასობრივმა შემოდინებამ გამოიწვია ოკრუგის და მისი მთავარი ქალაქის ეთნიკური პალიტრის კიდევ უფრო მეტი ცვლილება, მათ შორის ქართული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობის შემდგომი შემცირების ხარჯზე.

ცხრ. 1. სოჭის ოკრუგის ეთნიკური შემადგენლობა 1897 წლისათვის

მთლიანად სოჭის ოკრუგი		
ეთნიკური მიკუთვნებულობა	**რიცხოვნობა**	%
ქართველები	836	14.4
რუსები	805	13.8
შაფსუღები	731	12.6
სხვა	3,439	59.2
სულ	5,811	100
ქალაქ სოჭის ჩათვლით		
ქართველები	440	95.5
რუსები	11	2.4
სხვა	9	2.1
სულ	460	100

შეიძლება ამიტომაც 1919-1920 წლებში საქართველოს სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში არ იყო ერთიანობა ახალი სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოების საკითხთან დაკავშირებით შავი ზღვის გუბერნიის ხარჯზე.

რაც შეეხება აფხაზეთის ძირითად ტერიტორიას (უფრო ზუსტად სოხუმის ოკრუგს), რიგი ისტორიული გარემოებების გამო, საქართველოს ამ პროვინციისათვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი გარკვეული პოლიეთნიკურობა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ აფხაზეთი ოდითგანვე იყო ერთგვარი სატრანზიტო ცენტრი იმ სავაჭრო გზებზე, რომლებიც აკავშირებდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას. ეს მხარე იზიდავდა მიგრანტებს აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან.

რუსეთის იმპერიის მიერ აფხაზეთის დაპყრობის შედეგად XIX საუკუნის შუა წლებში ადგილი ჰქონდა „გადაქართველებისა“ და რუსიფიკაციის მუდმივ მცდელობას. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისში ქართველები მაინც რჩებოდნენ სოხუმის ოკრუგის ყველაზე დიდი ეთნიკურ ჯგუფად. მათ შემდეგ მოდიოდნენ აფსუები (ცხრ. 2), რუსები და ბერძნები.

ცხრ. 2. სოხუმის ოკრუგის (აფხაზეთი) ეთნიკური შემადგენლობა 1917 წლისათვის

ეთნიკური მიკუთვნებულობა	რიცხოვნობა	%
ქართველები (უპირატესად მეგრელები და სვანები)	74,846	42.1
აფსუები (აფხაზები)	28,121	21.4
რუსები და უკრაინელები	20,893	11.7
ბერძნები	20,673	11.7
სომხები	18,212	10.2
სხვა (ესტონელები, გერმანელები და სხვ.)	5,087	2.9
სულ	167,832	100

აფსუებთან მიმართებაში (რომლებსაც ასევე არასწორად ეძახიან „აფხაზ ხალხს“) შეიძლება აღვნიშნოთ, რომ XX საუკუნის დასაწყისში მათი რაოდენობა სოხუმის ოკრუგში არ აღემატებოდა 28000 კაცს (მთელი მოსახლეობის 21.4 %). აფსუების უმეტესობა ცხოვრობდა 19 მონოეთნიკურ, მათ შორის გუდაუთის უბნის აფსუას ენაზე მოლაპარაკე 7 სოფელში, სადაც ისინი უმრავლესობა იყვნენ, კოდორის უბნის 10 სოფელში, სადაც მოსახლეობის 100 %-ს შეადგენდნენ და სამურზაყანოს უბნის 2 სოფელში, სადაც მოსახლეობის 90 % იყვნენ ქართველები (მეგრელები).

ორი წლის მანძილზე, რომელიც წინ უსწრებდა მოსკოვის ხელშეკრულების დადებას, სოხუმისა და სოჭის ოკრუგები იყო სისხლისმღვრელი ომების არენა ჯერ საქართველოსა და წითელ არმიას შორის (1918 წლის თებერვლიდან სექტემბრის ჩათვლით), შემდეგ კი, 1918 წლის დეკემბრიდან 1920 წლის აპრილის ბოლომდე - საქართველოს და მასთან კავშირში მყოფი სოჭის მწვანეთა არმიასა და გენერალ ანტონ დენიკინის ანტიბოლშევიკური თეთრების არმიას შორის [Andersen, 2014. pp. 21-151]. უნდა აღინიშნოს, რომ 1920 წლის მაისში, მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერამდე როგორც საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელები, ისე რუსეთის ანტიბოლშევიკური, „თეთრი მოძრაობის“ ლიდერები ვერ ეგუებოდნენ სოჭისა და სოხუმის ოლქების (ოკრუგების) საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას. ამასთან სწორედ ანტონ დენიკინი იყო „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ იდეის „მამა“ [Andersen, 2014. pp. 59-88].

ამავდროულად დასახელებული ოლქების (ოკრუგების) მოსახლეობის უმეტესობამ, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების მეშვეობით (აფხაზეთის სახალხო საბჭო და სოჭის ოლქის (ოკრუგის) საზოგადოებრივი კრება), მკაფიოდ გამოხატეს თავიანთი სურვილი შეუერთდნენ ქართულ სახელმწიფოს ადგილობრივი თვითმმართველობის პირობის დაცვით [Andersen, 2014. pp. 25, 59-60].

მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის გამყოფი ხაზი საბჭოებისა და ქართულ ჯარს შორის იყო საზღვარი სოჭისა და სოხუმის ოკრუგებს შორის, რომელიც გადიოდა მდინარე მეხადირზე, მაშინ როცა სოჭის ოკრუგის მთებში მოქმედებდა საქართველოს მიერ მხარდაჭერილი „მწვანე“ პარტიზანები, რომლებიც ნაწილობრივ ორიენტირებულნი იყვნენ საქართველოზე. ხელშეკრულების პირობების მიხედვით საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დაუთმო სოჭის ოკრუგი მდინარე ფსოუმდე (ე.წ. პილენკოვოს თემი).

ბ) ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები

ხელმოწერილი ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს წილად მოდიოდა თბილისის გუბერნის ორი მაზრა - ახალქალაქისა და ბორჩალოსი, რაზეც საქართველოს გარდა, პრეტენზია ჰქონდა სომხეთსაც.

ისტორიული თვალთახედვით ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების ტერიტორიების სახელმწიფოებრივი მიკუთვნებულობის საკითხს შეიძლება თვალი გავადევნოთ შორეული წარსულიდან. არქეოლოგიური გათხრები და უძველესი ავტორების (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, ჰეკატეოს მილეტელი, პტოლემე და სხვ. გვიდასტურებენ, რომ ძვ.წ. V ს-ში მაინც ეს დასახელებული ტერიტორიები თითქმის მთლიანად შედიოდა იბერებისა და მოსხების ადრესახელმწიფოებრივ წარმონაქმნების შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ მათ საფუძველზე ფორმირებულ იბერიის სამეფოში (ძვ. წ. IV და III საუკუნეების მიჯნაზე), შესაბამისად

ის დიდი ხნის მანძილზე რჩებოდა ამ ძველქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში. სერიოზული პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ძვ.წ. II-I საუკუნეებში ძველქართულმა სახელმწიფოებმა დიდი ტერიტორიული დანაკარგი განიცადეს და სტრაბონის მიხედვითაც, თანამედროვე სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო მაზრებიც, თითქმის სამასი წლით გადავიდა სომხეთის ან უფრო დიდი სახელმწიფოების (რომი, პართია) ხელში, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში აკონტროლებდა სომხეთს ან მის ნაწილებს.

ახ.წ. II საუკუნის დასაწყისი აღინიშნა ქართული სახელმწიფოების ერთგვარი გაძლიერებითა და დაკარგული ტერიტორიების იბერიის შემადგენლობაში დაბრუნებით აქედან ნახევარი ათასწლეულის მანძილზე, ვიდრე არაბებმა არ დაიპყრეს თითქმის მთელი რეგიონი (656 წელს.) არაბებისა და ბიზანტიის ასწლოვანი ომებისა და არაბთა სახალიფოს დასუსტების შემდეგ დაიწყო როგორც ქართული, ისე სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერიოდი პატარა სამეფოებისა და სამთავროების სახით.

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს X საუკუნის ბოლოს ლორე-ტაშირის სამეფოს წარმოქმნა, რომელიც ჩამოყალიბდა იმ ტერიტორიის საფუძველზე, რომელიც ქრისტიანებმა დაიბრუნეს თბილისის საამიროსაგან (დაშლილი არაბთა სახალიფოს ნარჩენისაგან რომელმაც 1122 წლამდე იარსება) აგრეთვე ტაო-კლარჯეთის სამეფოს ჩამოშორებული ნაწილი, კახეთისა და შირაქის სამთავროები (პირველი ორი სახელმწიფო ქართულია, უკანასკნელი კი - სომხური). ლორე-ტაშირი, რომლის საზღვრებში მოქცეული იყო შემდგომ წარმოქმნილი მთელი ბორჩალოს მაზრა, აგრეთვე ალექსანდროპოლისა და ყაზახის მაზრები, რომლებსაც სომეხ ისტორიკოსთა უმეტესობა სომხურ სახელმწიფოდ მიიჩნევს. ამავდროულად ქართველი და ცოტა ხნის წინ რუსი ისტორიკოსები განსაზღვრავდნენ ამ სამეფოს როგორც სომხურ-ქართულს. აქვე მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების პერიოდის ევროპასა და მასთან მიმდებარე კავკასიაში არ გავრცელებულა ეთნო-ლინგვისტური იდეოლოგია, რასაც დღეს ნაციონალიზმს უწოდებენ. იმ პერიოდში სახელმწიფოები ყალიბდებოდა მმართველი სახლის მიმართ მოსახლეობის ერთგულების მიხედვით (ლორე-ტაშირის სამეფოს შემთხვევაში - ერთგულება კვირიკიანების მიმართ), ხოლო რელიგიური ბრძოლის წინა ხაზებზე, ერთ-ერთი რომელიც გადიოდა კიდეც სამხრეთ კავკასიაზე, - გარკვეული რწმენებისა და წეს-ჩვეულებებისადმი ერთგულების საფუძველზე. მათეოს ურჰაეცის ანალებისა და არუტინ-ფიდანიას ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით ლორე-ტაშირის სამეფო იყო ქალკედონელობის ბატონობის არე (ე.ი. მართლმადიდებლური და ექვემდებარებოდა ქართულ სამოციქულო ეკლესიას), ხოლო ყველა სხვა მეზობელი, მათ შორის ბიზანტიელებიც განსაზღვრავდნენ მათ მოსახლეობას რომაელებად (ბიზანტიელებად)ან იბერიელებად (ქართველებად).

ლორე-ტაშირის დაცემის შემდგომმა ომებმა და არეულობებმა 1124 წელს ჩრდილოეთი სომხეთი მიიყვანა იმ ვითარებამდე, რომ სევანის ტბიდან და ყარაბაღის მთებიდან არაქსამდე ტერიტორია მოექცა ქართული გვირგვინის უფლებამოსილების ქვეშ. „საქართველოს ოქროს ხანაში“, რომელიც გაგრძელდა XII საუკუნის პირველ ათწლეულებიდან XIII საუკუნის I მეოთხედამდე. შემდგომში ორი მაზრის ტერიტორია სამხრეთ კავკასიის უდიდეს ნაწილთან ერთად, შედიოდა საქართველოს ცენტრალიზებულ მონარქიაში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ტაშირის ოლქს, რომელიც მოიცავდა შემდგომი დროის ბორჩალოს მაზრის დიდ ნაწილს თრიალეთის გარეშე (ამჟამინდელი წალკის მუნიციპალიტეტი), განაგებდნენ ზაქარიდები - ქართველი მეფეების მემკვიდრეობითი მმართველები საქართველოდან და ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად იყო გამოყოფილი ჩრდილოეთ სომხეთში. ჯავახეთის ოლქი (შემდგომში ახალქალაქის მაზრა) კი არ შედიოდა ზაქარიდების სამფლობელოში და იგი დარჩა საქართველოს ძირძველი მიწასთან ერთად.

შემდგომში, აღმოსავლეთქართული (ქართლ-კახეთის) სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე (1801 წ.) მომავალი ბორჩალოს მაზრა მუდამ იმყოფებოდა საქართველოს (ქართლის) საზღვრებში, რაც შეეხება ჯავახეთს, ეს ოლქი ასევე რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში XV საუკუნის შუა პერიოდამდე, ცენტრალიზებული სამეფოს ცალკეულ სახელმწიოფოებად დაშლამდე. ჯავახეთი გახდა საკმაოდ ძლიერი სამხრეთქართული სამთავროს - სამცხის ნაწილი დასახელებული საუკუნის 60-იანი წლებიდან მის ლიკვიდაციამდე და 1590 წელს ოტომანთა იმპერიის მიერ ამ სამთავროს სრულ შთანთქმამდე. თურქეთის შემადგენლობაში თითქმის ორასორმოცწლიანი ყოფნის შემდეგ, 1829 წელს ჯავახეთს თავს დაესხა და დაიპყრო რუსეთის იმპერიამ და მისგან გამოჰყო ახალციხის საფაშო თბილისის გუბერნიის მაზრის სახით.

ზემოთ დასახელებული ფაქტების საფუძველზე, რომელიც კარგად იყო ცნობილი როგორც ქართველი ლიდერებისათვის, ისე განათლებული ქართველების უმრავლესობისათვის, საქართველოს ხელმძღვანელობა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებს საქართველოს განუყოფელ და უდავო ნაწილებად მიიჩნევდა[1].

სომხეთის მხარე, თავის მხრივ, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გამო, ორ სადავო მაზრას მიიჩნევდა სომხეთის ნაწილად. XX საუკუნის დასაწყისში ამ ორი მაზრის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ნამდვილად იყო ეთნიკური სომხები, ხოლო ქართული მოსახლეობა - მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობა.

სრულიად რუსეთის იმპერიის 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ამ ორ სადავო მაზრაში ეთნიკური შემადგენლობა შემდეგნაირი იყო (ცხრ. 3):

ცხრ. 3. ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების მოსახლეობის განაწილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით

ბორჩალოს მაზრა			ახალქალაქის მაზრა	
ეთნიკური მიკუთვნებულობა	% მთელი მოსახლეობიდან		ეთნიკური მიკუთვნებულობა	% მთელი მოსახლეობიდან
სომხები	32.1		სომხები	71.1
თათრები[2]	31.3		თათრები	10.2
ქართველები	3.6		ქართველები	6.2
რუსები	5.6		რუსები	9.4
ბერძნები	16.7		ბერძნები	0.1
გერმანელები	1.4		ქურთები	1.1
სხვა	9.3		სხვა	1.9

წყარო: Всеобщая перепись населения Российской Империи по состоянию на 9 февраля 1897г

ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ბორჩალოს მაზრაში სომხები მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის მესამედზე ნაკლები და ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი იყო. მაზრის სამხრეთ ნაწილში, ლორეს უბანზე[3] სომხები მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა იყვნენ. თუმცა უბნის დასავლეთ ნაწილში კომპაქტურად იყვნენ განსახლებულნი რუსი სექტანტები (მოლოკნები), ხოლო ალავერდის რაიონში - ბერძნები.

ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი კი ეთნიკურად უფრო ჭრელი იყო: ზემოთ დასახელებული ეთნიკური ჯგუფების გარდა, აქ ცხოვრობდა საკმაო რაოდენობის თათარი, ასევე გერმანელებისა და ქართველების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ისტორიულად, როგორც ქართველები, ისე სომხები ცხოვრობდნენ ბორჩალოს მაზრის ტერიტორიაზე, რაზეც მეტყველებს არქიტექტურისა და კულტურის ძეგლები. კერძოდ, მაზრის სამხრეთი ნაწილის - ისტორიული ლორეს (ლორეს უბანი) არქიტექტურული მემკვიდრეობა მიგვანიშნებს როგორც ქართული, ისე სომხური კულტურის არსებობაზე. ეს არის უპირველეს ყოვლისა სომხური მონასტრები: ოძუნი, სანაჰინი და ახპატი, აგრეთვე ქართული ეკლესიები ახტალასა და აქორში (ყველა შუა საუკუნეების პერიოდისაა). ამავდროულად ყოფილი მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში, ლორესაგან განსხვავებით, კულტურის ძეგლების ხასიათში უფრო ჭარბობს ქართული ელემენტი (მაგალითად, ბოლნისის სიონი, რომელიც ერთ-ერთი უძველესია, შემორჩენილი ქართული ეკლესიებიდან, V საუკუნის ავთენტური ეპიგრაფიკული წარწერებით).

ფაქტობრივად ოთხი ასწლეულის უწყვეტმა ომებმა, რაც წინ უსწრებდა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს შთანთქმას, გამოიწვია ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ-დასავ-

---

1 ეს არგუმენტი ეჭვს არ იწვევს ყველაზე კომპეტენტურ მკვლევარებს, კერძოდ, პროფესორი რიჩარდ ოვანისიანს შორისაც [Hovannisian, 1982, pp. 72].

2 აქ და ქვემოთ გამოიყენება ტერმინი „თათრები“, რომელიც გამოიყენებოდა XX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში თანამედროვე აზერბაიჯანელების აღსანიშნავად.

3 რუსეთის იმპერიის სამხრეთულ სამფლობელოებში მაზრები იყოფოდა უბნებად, რომლებიც შეესაბამებოდა იმპერიის ევროპული ნაწილის თემს.

ლეთ საზღვრისპირეთის ეთნიკური სურათის შეცვლა, ბორჩალოს, შამშადინისა და ბამბაკის ჩათვლით (რის შედეგადაც უკანასკნელი ორი ისტორიული ოლქი შევიდა ელისავეტოპოლისა და ერევნის გუბერნიების ყაზახისა და ნაწილობრივ ალექსანდროპოლის მაზრის შემადგენლობაში). სამუსულმანო სამყაროს – ოტომანის იმპერიისა და ირანის ექსპანსიის, აგრეთვე მომთაბარე ტომების მუდმივი თავდასხმების შედეგად მოხდა ბორჩალო-ბამბაკის მოსახლეობის მიწათმოქმედი ქრისტიანების უმეტესობა განადგურდა ან აიყარა (სომხები და ქართველები). დაცარიელებულ ტერიტორიებზე დაასახლეს თურქი მომთაბარე ტომები, რომელთა შთამომავლები ამ ადგილებში დღესაც ცხოვრობენ[1]. რუსეთთან შეერთების შემდეგ იმპერიის ადმინისტრაცია, რომელიც ცდილობდა მხარის დეპოპულაციის ნაწილობრივ კომპენსაციას და აქ თავის არსებობის განმტკიცებას, ამ მიწაზე ასახლებდა ლტოლვილ ქრისტიანებს თურქეთიდან (სომხებს და შედარებით ნაკლებად, ბერძნებს), აგრეთვე კოლონისტებს რუსეთიდან და გერმანიიდან, რამაც კიდევ უფრო ააჭრელა ბორჩალოს მაზრის ეთნიკური პალიტრა.

რაც შეეხება ახალქალაქის მაზრას, აქ, როგორც ცხრილი 1-დან ირკვევა, XX საუკუნის დასაწყისში სომხები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის სამოცდაათ პროცენტზე მეტს. ქართველთა წილი კი, რომელიც მართალია, ცოტა მეტი იყო, ვიდრე ბორჩალოში, თუმცა მაინც დიდად არ აღემატებოდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 6 %-ს. ჯავახეთში (ახალქალაქის მაზრა) ამგვარი ეთნო-ლინგვისტური სურათი შეიქმნა გაცილებით მცირე პერიოდში, ვიდრე ეს მოხდა მეზობელ ბორჩალოში, კერძოდ, XIX საუკუნის უკანასკნელ ორ-მესამედში, როცა ეს ტერიტორია გადავიდა თურქეთიდან რუსეთში. 1827 წლისათვის (რუსეთ-თურქეთის მორიგი ომის დაწყებამდე) ჯავახეთის ქართველთა უმრავლესობა - რამდენიმე თაობის განმავლობაში უკვე ერთგული იყო ოტომანის იმპერიის მუსულმანებისადმი და მხოლოდ უმნიშვნელონი აღიარებდნენ მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს (ქართველები, რომლებმაც არ მიიღეს ისლამი ან კათოლიკობა[2], XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე მასობრივად განდევნეს ამ მხარიდან). 1828-1829 წლების ომის დროს გამუსულმანებული ქართველები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსის ჯარს და ამ ომის შედეგების გამო მათმა უმრავლესობამ დატოვა კიდეც თავიანთი ტრადიციული განსახლების ადგილი და გადასახლდა თურქეთში. მათი ადგილი კი დაიკავეს თურქეთის ერზერუმის ვილაიეთიდან მოსულმა სომხებმა, რომლებიც აქ რუსეთის იმპერიის მთავრობის მოწვევით მოვიდნენ.

ბორჩალოსაგან განსხვავებით, ასევე სულ სხვა სიტუაცია იყო ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებთან დაკავშირებით ახალაქალაქის მაზრაში. ჩვენ აქ ვხედავთ ადრეული და შუა საუკუნეების ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დიდი სიმრავლეს, მათ შორისაა ციხე-ქალაქი ვარძია, ზედა თმოგვის სამონასტრო კომპლექსი, აზავრეთის, ფოკის, კუმურდოს ეკლესიები და სხვა მრავალი არიტექტურული ძეგლი. ამავდროულად ახალქალაქის მაზრის სომხური ეკლესიების ასაკი არ არის XIX საუკუნეზე უადრესი.

და ბოლოს, ზემოთქმულს უნდა დაემატოს ისიც, რომ I მსოფლიო ომის მიმდინარეობისას ორივე მაზრაში თურქეთიდან ჩამოსახლდა დიდი რაოდენობით სომხები - ლტოლვილები, რომლებიც გადაურჩნენ ეთნიკურ წმენდასა და რბევას.

დავა საქართველოსა და სომხეთს შორის, ზემოთ ხსენებული მაზრების დაუფლების თაობაზე, 1918 წლის ბოლოს სომხეთ-საქართველოს ომით დასრულდა, რომელიც გრძელდებოდა 5-დან 31 დეკემბრამდე.[3] ამ ხანმოკლე ომმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა როგორც სომხურ-ქართულ ურთიერთობებს, ისე ორივე ახლად დაარსებული სახელმწიფოს რეპუტაციას საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში. ომის დასრულების შემდეგ, 1919 წლის 17 იანვარს ბრიტანელი წარმომადგენლების შუამავლობით, თბილისში სომხეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ომის დასრულებისა და ბორჩალოს მაზრაში ლორეს ნეიტრალური ზონის შექმნის შესახებ. გარდა ამისა, სომხეთის მთავრობა დათანმხდა უარი ეთქვა პრეტენზიებზე ახალქალაქის მაზრაზე [Kazemzadeh, 1951. pp. 181]

---

[1] საქართველოს საზღვრისპირეთის ამ მოსახლეობის უმრავლესობა თავიანთ თავს აზერბაიჯანელებად, ხოლო ნაწილი კი - თურქებად მიიჩნევს, თუმცა საბჭოთა პერიოდში ყველა მათგანი გაფორმებულ იყვენენ როგორც აზერბაიჯანელები.

[2] ვატიკანსა და ბრწყინვალე პორტას შორის დადებული ხელშეკრულებით ქართველი კათოლიკები არ განიცდიდნენ შევწიროებასა და დისკრიმინაციას.

[3] 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომის სახელწოდებით ცნობილია საქართველოს თავდაცვითი ომი, რომელიც სომხეთის ჯარების მოულოდნელი თავდასხმით დაიწყო ჩვენი ქვეყნის სასაზღვრო ნაწილებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული თარიღებია მითითებული ამ მცირეხნიანი ომის დაწყების შესახებ [რედ.].

იმ პირობით, რომ მაზრა იქნებოდა მოკავშირეების ზედამხედველობის ქვეშ და სომხებისათვის გარანტირებული იქნებოდა ადგილობრივი თვითმმართველობა [Hovannisian, 1982. pp. 120].

ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ საზღვრად გამოცხადდა ის ხაზი, რომელზე გაჩერდნენ ქართული ჯარები ზავის დროს, ანუ 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათზე, ხოლო სამხრეთი საზღვარი გავიდა მდინარე კამენკაზე, რითაც სომხეთის მხარეს დარჩა ბორჩალოს მაზრის ლორეს უბნის მცირე ზოლი [Hovannisian, 1982. pp. 193].

თბილისის ხელშეკრულება არცერთ ხელმომწერ მხარეს არ აკმაყოფილებდა და ატარებდა პრელიმინალურ ხასიათს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სომხეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის გადაჭრა გატანილი ყოფილიყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, იგეგმებოდა საზღვრის დადგენა ამ ორ ქვეყანას შორის [Кадишев, 1960. стр. 1973].

ზემოთქმულის მიუხედავად, 1920 წლის მოსკოვის ხელშეკრულების IV მუხლი ადასტურებდა საქართველოს უფლებას ბორჩალოს მაზრაზე, მათ შორის ნეიტრალურ ზონაზე და მის სამხრეთ ნაწილზე, რომელიც თბილისის ხელშეკრულებით სომხეთის მხარეს დარჩა.

გ) ზაქათალის ოკრუგი

ზაქათალის ოკრუგის ტერიტორია, რომელიც ადრე თბილისის გუბერნიაში შედიოდა და მოსკოვის ხელშეკრულებით აღიარებული იყო საქართველოს განუყოფელ ნაწილად, 1918 წლის შემოდგომიდან გახდა სადავო საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. უძველესი პერიოდიდან ეს ტერიტორია იყო საქართველოს ისტორიული მხარის - ჰერეთის ნაწილი, რომელიც XI საუკუნეში შეუერთდა კახეთს. XII საუკუნის დასაწყისიდან იგი შევიდა გაერთიანებული საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში და ასე დარჩა იგი 1443 წლამდე, საქართველოს დაშლამდე, ამ უკანასკნელის სამ სამეფოდ დაყოფამდე. ამ დროიდან XVII საუკუნემდე იგი კახეთის სამეფოს შემადგენლობაშია - შემდგომში საქართველოში ირანული ექსპანსიის დროს აღმოსავლეთკახური მიწები დაიპყრეს დაღესტნიდან ჩამოსულმა ლეკებმა ავარებმა და წახურელებმა. შემდგომში ორი ასწლეულის განმავლობაში ამ მიწებზე დასახლდნენ დაღესტნიდან მოსულები, აგრეთვე თათრები და თურქმენები აზერბაიჯანიდან, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ეთნიკური და რელიგიური სახე. ძირძველი ქართული მოსახლეობის უმრავლესობა გაანადგურეს, გააძევეს, გადარჩენილი ქართველების უმრავლესობამ კი მიიღო ისლამი და ამიერიდან იწოდებოდნენ ინგილოებად (ახლა მორჯულებულებად). XVIII საუკუნის დასაწყისში აღნიშნულ ტერიტორიაზე, რომელიც ნომინალურად შედიოდა ირანის შემადგენლობაში, ჩამოყალიბდა ჭარ-ბელაქნის თავისუფალი საზოგადოება და ელისუს სასულთნო.

1801 წელს რუსეთის იმპერიის ექსპანსიის დაწყებისა და მიმდინარეობისას სამხრეთკავკასიური რეგიონიდან ირანის შევიწროვებისა და გაძევების შემდეგ ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო დაიკავეს რუსეთის ჯარებმა და უკვე 1844 წლისათვის იგი გაერთიანებული იყო ზაქათალის ოლქში (ოკრუგში).

ცხრ. 4. ზაქათალის ოკრუგის ეთნიკური შემადგენლობა 1897 წლისათვის

ზაქათალის ოკრუგი		
ეთნიკური მიკუთვნებულობა	რიცხოვნობა	%
ქართველები	12 430	14.8
მათ შორის ინგილოები (მუსულმანები)	8 727	10.4
მათ შორის ქართველი ქრისტიანები	3 703	4.4
თათრები (აზერბაიჯანელები)	28 950	34.4
ავარელები, წახურელები და ქურელები	40 225	47.8
სომხები	2 100	2.5
რუსები	315	0.4
სხვები	204	0.2
სულ	84 224	100

ამასთან, XX საუკუნის დასაწყისისათვის ზაქათალის ოლქში (ოკრუგში) ქართველები შეადგენდნენ მოსახლეობის 15 %-ს, სადაც შემორჩენილი იყო ქართული არქიტექტურის ძეგლები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ქართველთა ცხოვრებას ადასტურებდნენ. მისი აღმოსავლეთკახური არქიტექტურული მემკვიდრეობა წარმოდგენილია გამაგრებული ეკლესიებით: არეში, მადლი, ფერიყალა, ლეკითი და მონასტირი. ქართული კვალი თვალსაჩინოა ოლქიდან (ოკრუგიდან) რამდენადმე უფრო აღმოსავლეთითაც (ქუმის, ელისუს, ქურმუხისა და გიშის ეკლესიები).

1918 წელს სამხრეთ კავკასიაში ქართული და აზერბაიჯანული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისას, მათ შორის დაიწყო კონფლიქტი ზაქათალის ოლქის (ოკრუგის) დაუფლებაზე, რომლის მუსულმანი მოსახლეობა თავდაპირველად უმთავრესად ორიენტირებული იყო აზერბაიჯანზე, რომლის მთავრობამაც 1918 წლის ივნისში განაცხადა ზაქათალის ოლქის (ოკრუგის) შექმნის შესახებ. საქართველოს მთავრობამ არ ცნო ეს გადაწყვეტილება და ოლქი (ოკრუგი) დარჩა სადავოდ 1920 წლის აპრილის ბოლომდე, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემამდე, როცა ოლქში (ოკრუგში) ფაქტობრივად ერთდროულად შევიდა ქართული და საბჭოთა ჯარები. მალე მოსკოვში ხელი მოეწერა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას, რომლის III და IV მუხლების თანახმად რსფსრ-მ ზაქათალის ოლქი (ოკრუგი) დაუთმო საქართველოს და ასე დააყენა მომხდარი ფაქტის წინაშე ახლად შექმნილი საბჭოთა აზერბაიჯანის მარიონეტული მთავრობა.

საქართველოს ფაქტობრივი საზღვრები, რომლებიც არ იყო განსაზღვრული ხელშეკრულების ტექსტში

1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულებაში არ იყო განსაზღვრული საქართველოს ფაქტობრივი საზღვრები, საკუთრივ სომხეთთან სადავო ყარსის ოლქის არტაანის ოკრუგში (ნახ. 1, 2). ხელშეკრულება ასევე იგნორირებას უკეთებდა საქართველოსა და სომხეთს შორის ფაქტობრივ საზღვარს, რომელიც ხელმოწერის მომენტისათვის არ ემთხვეოდა თბილისის გუბერნიის სამხრეთ საზღვარს ბორჩალოს მაზრაში (იხ. ზემოთ).

მოსკოვის ხელშეკრულების შედეგები

1920 წელს მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერამ გამოიწვია ქართული საზოგადოების, თვით პარლამენტის გაყოფა [Lang, 1962. pp. 226]. მიუხედავად ამისა, მოკლევადიან პერსპექტივაში ამ ხელშეკრულებამ საქართველოს მოუტანა გარკვეული სარგებელი იმიტომ, რომ საქართველო-რუსეთის ფორმალურმა სტაბილიზაციამ და საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების მკაფიო გამიჯვნამ ხელი შეუწყო დიდი სახელმწიფოების და ზოგიერთი სხვა ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურედ ცნობას 1921 წლის 27 იანვარს [Аваловъ, 1924. стр. 310].

გარდა ამისა, მოსკოვის ხელშეკრულების IV მუხლი, რომლითაც საქართველოს მიეკუთვნა თბილისის მთელი გუბერნია, ბორჩალოს მაზრის სომხეთთან სადავო ტერიტორიების ჩათვლით, 1920 წლის ნოემბრის შუა პერიოდში გარკვეულწილად „ხელები გაუხსნა“ საქართველოს მთავრობას სომხეთ-თურქეთის ომში. სრული სამხედრო მარცხის პირობებში და ქემალისტური თურქეთის ჯარების მიერ სომხეთის ტერიტორიების სწრაფი დაპყრობის შემდეგ საქართველოს ჯარებს შესაძლებლობა მიეცათ დაეკავებინათ ნეიტრალური ზონა იმ მიზნით, რომ არ დაეშვათ თურქების მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობა. თუმცა 16 ნოემბერს ქართულმა ნაწილებმა დაიკავეს არა მარტო ნეიტრალური ზონა, არამედ წაიწიეს რამდენადმე უფრო შორსაც და ამით მიაღწიეს თბილისის გუბერნიის ძველ საზღვარს, რომელიც საქართველოში უდავო და სამართლიან საზღვრად ითვლებოდა ორ სამხრეთკავკასიურ ქვეყანას შორის [Hovannisian, 1996. p. 287-289] და ამასთან იგი განსაზღვრა მოსკოვის ხელშეკრულებამაც. ბორჩალოს მაზრის ადრინდელ მთელ სადავო ტერიტორიაზე კონტროლის ხელში აღებით, ქართულმა მხარემ აქ ჩაატარა პლებისციტი, რომლის საფუძველზეც ბორჩალოს მაზრის ლორეს უბანი მთლიანად (ანუ ნეიტრალური ზონაც და მთელი ის ზოლი, რომელიც 1919 წლის 17 იანვრის ხელშეკრულებით გადაეცა

სომხეთს) ანექსირებულ იქნა საქართველოს მიერ. ამგვარად კიდევ ერთხელ შეიცვალა სომხეთ-საქართველოს საზღვარი და მთელი წლის მანძილზე მისი კონფიგურაცია აღარ შეცვლილა [Кадишев, 1960. стр. 368].

მოსკოვის ხელშეკრულების დარღვევა რუსეთის მხრიდან და მისი უარი ხელშეკრულებით დამტკიცებულ ტერიტორიულ ვალდებულებებზე 1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების დადებიდან მოკლე ხანში, ბარონი პეტრე ვრანგელი წერდა თავის მემუარებში: „ბოლშევიკების უკანასკნელი ქმედებები ყუბანსა და საქართველოში, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ხელშეკრულება, ნათლად ადასტურებენ ბოლშევიკების კარგად ცნობილ შეხედულებებს, რომ ყველანაირი იურიდიული და მორალური ვალდებულებები მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიული ცრურწმენებია.“ [Врангель, 2015. стр. 587].

თუმცა გაცილებით ადრე რუსეთის ბოლშევიკების ლიდერი ვ. ულიანოვ-ლენინი ღიად წერდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან შეთანხმების შესრულების არააუცილებლობაზე: „გადასახადის ნაწილს რა თქმა უნდა, ჩვენ ჩავიდებთ ჯიბეში, რითაც არაფრით შევწყვეტთ შეუპოვარ ბრძოლას **მთლიანად მთელი** გადასახადისათვის“ [Ленин, 1963, стр. 318-319]. ლენინის მითითებების მიდევნებით, მაისის ხელშეკრულების ხელმოწერისას და მის შემდგომ, წითელი არმიის სარდლობა განაგრძობდა საქართველოს სამხედრო დაპყრობის გეგმის შემუშავებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთმა გათელა მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ერთ წელზე ნაკლებ დროში, როცა 1921 წლის თებერვალში იგი, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა საქართველოს. შედარებით ნაკლებადაა ცნობილი ის, რომ მან დაიწყო სიტყვის გატეხვა გაცილებით ადრე - სულ რაღაც ერთ კვირაში ხელმოწერიდან, როცა საქართველოს წარმომადგენლებს, რომლებიც ჯერ კიდევ იყვნენ ბოლშევიკურ დედაქალაქში, თავს მოახვიეს „დამატებითი შეთანხმება“, რომელსაც ხელი მოეწერა 1920 წლის 12 მაისს. ამ შეთანხმებამ, (რომლის ტექსტი თანდართულია დანართის სახით), ხაზი გადაუსვა ხელშეკრულების იმ III და IV მუხლებს, რომელსაც ხელი 7 მაისს მოეწერა. საქართველოსათვის ზაქათალის ოკრუგის გადაცემის შესახებ. ფორმალურად ხელშეკრულების გადასინჯვა გამოიწვია აზერბაიჯანული მხარის პროტესტმა, რომელიც მათ გამოთქვეს ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე. ამის შედეგად, როგორც ახალი შეთანხმების I მუხლშია აღნიშნული, ზაქათალის ოკრუგი აღარ იყო აღიარებული საქართველოს უდავო ნაწილად, იგი სადავო ტერიტორია და ახალი მოლაპარაკებებისას კვლავ სავაჭრო საგანი ხდებოდა: „საკითხი საქართველოს და აზერბაიჯანის საზღვრების, და ზაქათალის ოლქის სადავო ნაწილების გადასაწყვეტად გადაეცემა შერეულ კომისიას, რომელიც შედგება საქართველოს და აზერბაიჯანის თანაბარ რიცხვის წარმომადგენლებისაგან, რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით“ [Мирный договор между..., 1920].

აღნიშნული შეთანხმების II მუხლის მიხედვით, საბჭოთა აზერბაიჯანსაც ეკრძალებოდა დამატებითი ჯარების შეყვანა ზაქათალის ოკრუგში, რის გამოც ეს ტერიტორია კონდომინიუმის სახეს იღებდა. რა თქმა უნდა, რსფსრ-ს ჯარებიც არ იქნა გაყვანილი ზაქათალიდან და ისინი იქ რჩებოდნენ 1921 წლის თებერვლამდე, საბჭოთა რუსეთის საქართველოზე თავდასხმამდე.

საქართველოსათვის 12 მაისის „დამატებითი შეთანხმების“ თავზე მოხვევის გარდა, კრემლის მესვეურებმა ისევ დაარღვიეს 7 მაისის ხელშეკრულება იმავე წლის მაისის ბოლოს მოსკოვში ჩასული სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციასთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლეონ შანტი (სეღბოსიანი). მოლაპარაკების დროს, სადაც რსფსრ-ს მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი და მისი მოადგილე ლევ კარახანი (რომელმაც პირადად მოაწერა ხელი 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას), სომხეთის დელეგაცია დაარწმუნეს იმაში, რომ კრემლს არ აქვს სურვილი დაამყაროს საბჭოთა რეჟიმი სომხეთში და მათ შესთავაზეს კიდეც საბჭოთა შუამავლობა თურქეთთან ტერიტორიული დავების გადაწყვეტაზე [Hovannisian, 1996. pp. 50-52]. ჩიჩერინი იძლეოდა გარანტიას, რომ საბჭოთა ჯარები არ შევიდოდნენ ზანგეზურსა და ნახიჩევანში, მთიან ყარაბაღში კი საკითხს გადაჭრიდნენ პლებისციტის გზით [Hovannisian, 1996. pp. 52]. მაგრამ ყველაზე მეტად სომხეთის დელეგაცია მოიხიბლა კარახანის მიერ მათ თვალწინ გადაშლილი რუკით, სადაც დატანილი იყო დამატებითი ტერიტორიები, რომელსაც საბჭოთა რუსეთი თავაზობდა სომხეთს რუსეთთან დამეგობ-

რებული ქემალისტური თურქეთთან სადავო ტერიტორიებზე პრეტენზიების უარყოფის სანაცვლოდ. ეს დამატებითი ტერიტორიები მოიცავდა ბორჩალოს მაზრის დიდ ნაწილს, თბილისის გუბერნიის ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს (მიუხედავად იმისა, რომ სომხები არასოდეს გამოთქვამდნენ პრეტენზიას ახალციხის მაზრაზე), აგრეთვე „ჭოროხ-იმერხევის კორიდორს“ შავ ზღვაზე აჭარაში (ბათუმის ოკრუგი) - ე.ი. ტერიტორიებს, რომელიც უდავოდ იყო ცნობილი საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების IV მუხლით, რომელსაც ხელი მოეწერა იმავე თვესა და იმავე ადგილას! მას შემდეგ, რაც სომხეთის დელეგაციამ გამოთქვა ეჭვი 7 მაისის ხელშეკრულების გამო, კარახანმა მათ უპასუხა, რომ საკითხი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ „ჯერ კიდევ ღიად არის დარჩენილიო“ [Hovannisian, 1996. pp. 53].

ნათქვამს შეიძლება დაემატოს მხოლოდ ის, რომ ზუსტად ამავე დროს, როცა კრემლში მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთ-სომხეთის მოლაპარაკებები, წითელი არმია, თურქეთის ჯარებთან ერთად, ზანგეზურსა და ნახიჩევანში აგრძელებდნენ სომხების წინააღმდეგ ოპერაციებს, ცდილობდნენ რა გაერღვიათ მათთვის საჭირო „კორიდორი“ აზერბაიჯანიდან თურქეთში. სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ტონი სომხეთის რესპუბლიკის მიმართ სრულიად შეიცვალა აგრესიულობის კუთხით, ხოლო კიდევ ოთხთვენახევრის შემდეგ სომხეთის დამოუკიდებლობა სრულიად იქნა ლიკვიდირებული საბჭოთა რუსეთ-თურქეთის ერთობლივი სამხედრო ოპერაციების შედეგად.

3 იანვარს რსფსრ-ს ხელმძღვანელობამ კვლავ წამოაყენა საკითხი ბორჩალოს მაზრის ლორეს უბნის შესახებ და მოითხოვდა მოლაპარაკებების დაწყებას საქართველოს მთავრობასა და სომხეთის სსრ-ს უკვე გასაბჭოებულ ადმინისტრაციას შორის. ეს მოლაპარაკებები მიმდინარეობდა შესვენებებით ორი თვის მანძილზე და შეწყდა საბოლოოდ საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომის გამო, რომელიც დაიწყო 1921 წლის 11 თებერვალს (სულ რაღაც 15 დღის შემდეგ, რაც დე-იურედ იქნა აღიარებული საქართველო - პარიზის კონფერენციის მსვლელობისას, იმავე წლის 27 იანვარს) [Andersen, Partskhaladze, 2009. pp. 68-70; Аваловъ, 1924. стр. 311-312; Kazemzadeh, 1951. pp. 313; Suny, 1994. pp. 207].

საბჭოთა სომხეთთან და საბჭოთა აზერბაიჯანთან (ფორმალურად დამოუკიდებელნი, თუმცა ფაქტობრივად რუსეთის პროტექტორატში შემავალნი) ერთად, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული ომი დაიწყო წითელი არმიის შემოჭრით ბორჩალოს მაზრის ლორეს უბნიდან „სახალხო აჯანყების“ საბაბით, რომელიც ინიცირებული იყო ამ უბნის სომხური სოფლების ბოლშევიკი აგენტებით [Kazemzade, 1951. pp. 318-319]. ქართული ჯარებისა და მილიციის ოთხკვირიანი სასტიკი წინააღმდეგობის შემდეგ, 1921 წლის მარტის ბოლოს დაეცა სამხრეთ კავკასიის უკანასკნელი დამოუკიდებელი ქვეყანაც.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, გარკვეული დროის მანძილზე ლორეს სადავო უბანი მისსავე შემადგენლობაში რჩებოდა. რიგ მკვლევარების აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი იყო მითის მხარდაჭერა საბჭოთა ხელისუფლების „ლეგიტიმურობის“ შესახებ, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე პროსაბჭოთა „აჯანყება“, რამაც გამოიწვია პირველი რესპუბლიკის დაცემა, სწორედ აქედან დაიწყო [Цуциев, 1960. стр. 60].

თუმცა 1922 წლის 30 დეკემბერს ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში მყოფი საბჭოთა რესპუბლიკები გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოში - საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში (სსრკ). სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები შევიდნენ განახლებული იმპერიის შემადგენლობაში, რომლებიც წინასწარ იყვნენ გაერთიანებულნი ამიერკავკასიის ფედერაციაში (ასფსრ), რომლის ფარგლებშიც, მოსკოვიდან კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, მათ ეკისრებოდათ „საბოლოოდ“ გადაეწყვიტათ სადავო ტერიტორიული საკითხები.

ამის საფუძველზე 1921 წლის 6 ნოემბერს საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა სომხეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა მათი გამმიჯნავი საზღვრის ხაზი, რომელიც ფაქტობრივად ზუსტად შეესაბამება თანამედროვე საზღვრის ხაზს. მოცემული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, საბჭოთა სომხეთის ფარგლებში კვლავ გადადიოდა ლორეს უბანი, მათ შორის ნეიტრალური ზონა (კონდომინიუმი), აგრეთვე ტერიტორია კონდომინიუმიდან სამხრეთით, რომელიც სომხეთს გადაეცა 1919 წლის 17 იანვრის ხელშეკრულებით (ნახ. 3).

ნახ. 3. გასაბჭოება და 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულებით საქართველოს დანაწევრება

1921 წლის 15 ნოემბერს საქართველოს სსრ ადმინისტრაცია იძულებული გახდა გაეფორმებინა ხელშეკრულება საბჭოთა აზერბაიჯანის ადმინისტრაციასთან ზაქათალის ოკრუგისა და ყარაიაზის სტეპის სამხრეთი ნაწილის მისთვის გადაცემის შესახებ [Рахманзаде, 2009. стр. 733-734]. ეს ხელშეკრულება დამტკიცდა 1922 წლის მარტის დასაწყისში საერთო-რუსეთის კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით და ზაქათალის ოკრუგის ოთხივე რაიონი გადავიდა აზერბაიჯანის სსრ-ს შემადგენლობაში, რომლის ტერიტორიული გაფართოება სომხეთისა და საქართველოს ხარჯზე, დაკავშირებული იყო იმასთან, რომ საბჭოთა ხელისუფლება აზერბაიჯანს განიხილავდა „მუსულმანურ აღმოსავლეთში“ ბოლშევიკური იდეების გავრცელების პლაცდარმად.

მომდევნო ორი წლის მანძილზე, რსფსრ-ს სასარგებლოდ, ასევე კორექტირებულ იქნა საქართველოს სსრ საზღვარი თიანეთის მაზრის ფშავ-ხევსურეთის მონაკვეთზე (იხ. ნახ. 3).

ამრიგად, 1920 წლის მაისის მოსკოვის ხელშეკრულების მიხედვით, მოსკოვმა დაასრულა საქართველოს ფორმირება იმ საზღვრებში, რომელშიც მან 1991 წლის აპრილში აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და რომელიც დღემდე საერთაშორისოდაა აღიარებული[1].

დასკვნისათვის უნდა ითქვას, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ისტორია არის ერთ-ერთი იმ მტკიცებულებისა, რომ 1917 წლის ოქტომბრიდან, ერთმანეთის მონაცვლე რუსეთის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მთავრობები არ მიიჩნევდნენ და არც ახლა მიიჩნევენ საჭიროდ დაიცვან მათ მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რითაც აყენებენ საკითხს საკუთარი ლეგიტიმაციის შესახებ. ეს ფაქტი ასევე უნდა გაითვალისწინოს რუსეთის მეზობელ სახელმწიფოთა ელიტამ თავიანთი ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

ზემოთქმულს ასევე უნდა დაემატოს ისიც, რომ 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულების ტერიტორიული ასპექტის ანალიზი არანაირად შეიძლება ემსახურებოდეს და არც ემსახურება დღეისათვის საერთაშორისოდ აღიარებულ საქართველოს, ან სამხრეთ კავკასიის რომელიმე ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების შეცვლას, აგრეთვე არ ემუქრება და არც შეიძლება დაემუქროს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიულ სტატუსს.

---

[1] 1944-1957 წლებში, ჩრდილოეთკავკასიელების მასობრივი დეპორტაციის გამო, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი შეიცვალა საქართველოს სასარგებლოდ, ხოლო 1955-1957 წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით იგი საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა.

ლიტერატურა

1. Andersen A. Abkhazia and Sochi: the Roots of the Conflict, 1918-1921. Toronto, 2014.
2. Andersen A., Partskhaladze G. "La guerre soviéto-géorgienne et la soviétisation de la Géorgie (février-mars 1921)", Revue Historique des Armees, No. 254 - 1, 2009. Paris.
3. Beichman A. The Long Pretense: Soviet Treaty Diplomacy from Lenin to Gorbachev. Somerset, 1991.
4. Hewsen R.H., Armenia: A Historical Atlas. Chicago, 2001.
5. Hovannisian R.G. The Republic of Armenia, vol. I. Los Angeles, 1982.
6. Hovannisian R.G. The Republic of Armenia, vol. III: From London to Sevres, February-August 1920. Los Angeles, 1996.
7. Hovannisian R.G. The Republic of Armenia, Vol. IV: Between Crescent and Sickle: Partition and Sovietization. Los Angeles, 1996.
8. Jeffery K. The British Army and the Crisis of Empire 1918-1922. Manchester, 1984.
9. Kazemzadeh F. The Struggle for Transcaucasia. New York, 1951.
10. Kopisto L. The British Intervention in South Russia 1918-1920; Academic Dissertation. Helsinki, 2011.
11. Lang D. A Modern History of Georgia. London, 1962.
12. Rose J. "Batum as Domino, 1919-1920: The Defence of India in Transcaucasia" in The International History Review, Vol. 2, No. 2. Apr., 1980.
13. Suny R.G. The Making of the Georgian Nation. Indianopolis, 1994.
14. Suny R.G. The Maling of the Georgian Nation. Indianopolis, 1994.
15. Wojciech Materski, «Polsko-gruziński sojusz wojskowy 1920» Andrzej Koryn, ed., Wojna polsko-sowiecka 1920 roku: przebieg walk i tło międzynarodowe: materiały sesji naukowej w Instytucie Historii PAN, 1-2 października 1990. Warszawa, 1991.
16. Аваловъ З. Независимость Грузіи в международной политикѣ, 1918-1921 гг. Парижъ, 1924.
17. Врангель П. Записки. С-Петербург, 2015.
18. Деникинъ А. Очерки русской смуты, т. IV. Берлинъ, 1924.
19. История Грузинской ССР. Москва, 1964. стр. 245-251.
20. Ленин В. Полное собрание сочинений, Т.6. Москва, 1963.
21. Кадишев А. Интервенция и гражданская война в Закавказье. Москва, 1960.
22. Ментешашвили А. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тбилиси, 1998.
23. Мирный договор между Россией и Грузией. Москва, 1920.
24. Рахманзаде Ш. Из истории азербайджано-грузинских отношений 1920-1921 гг. Махачкала, 2009.с. 733-734
25. Фельштинский Ю. Архив Троцкого. Коммунистическая оппозиция в СССР 1923-1927. Москва, 1990, т.1.
26. Цуциев А. Атлас этнополитической истории Кавказа, 1774-2004. Москва, 2006.
27. Щербаков А. Сталин против Троцкого. Москва, 2013, стр. 206

დანართი ა.[1]

[1] სტატიას თან ერთვის „რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება“ და „რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წელს 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება“ რუსულ ენაზე. ორივე ხელშეკრულების ტექსტს აქ ვურთავთ შემდეგი გამოცემის მიხედვით (ხვედელიძე მ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი კონსტიტუციებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1920-1936 წლები), თბ.: „განათლება“, 1999) [რედ.].

Andrew Andersen

The Treaty of Moscow (May 7, 1920) and the State Borders of Georgia in 1920-21

Resume

Both modern and contemporary history of Russia and the states that prior to 1917 were parts of the Russian Empire, saw a number of international treaties signed by the Kremlin to be later dishonored. A good example of the above is the Soviet-Georgian Treaty of Moscow signed on May 7 1920.

The international atmosphere at the moment of signing the Treaty of Moscow, was marked by a series of dramatic events in Europe in general and in the South Caucasus in particular. The battles of the First World War were over less than a year and a half before the Soviet-Georgian talks started in Moscow, and less than 4 weeks before the Treaty was signed the Paris Peace Conference finished its work of reshaping the post-war world and redrawing its political map. At the same time, while military operations ceased in central and western Europe, the warfare was still continued on the periphery of the continent. The Soviet-Polish war was ravaging Eastern Europe. Fierce fighting was going on between Kemalist Turkey and Greece. Unstable was the situation in the Caucasus where the Russian Civil War was still not over. In the diplomatic sphere, Georgia representatives were working hard to obtain international recognition of their country. The great powers, however, did not have a common position on that matter and pursued dual and inconsistent policy towards de facto independent states of the South Caucasus.

All of the above factors significantly reduced maneuvering opportunities of Georgia's political leaders and pushed them to seek compromise with the Kremlin. The Kremlin, in turn, after the abortive "blitzkrieg" against Georgia on May 1-5 and serious defeats in the war against Poland, was ready for temporary concessions at its "Georgian front".

In the short term, the signing of the Treaty of Moscow brought some benefits to Georgia, as the formal stabilization of Georgian-Russian relations and definition of Georgia's state borders contributed to de jure recognition of Georgian independence by the League of Nations on January 27, 1921.

It is well known that Soviet Russia dishonored the Treaty of Moscow less than a year after its signing, by invading Georgia in February 1921. It is somewhat less well known that the Kremlin began to violate the Treaty much earlier - when the "Supplementary Agreement" of May 12 that, in fact, annulled Articles I-IV of the Main Treaty was imposed on Georgia. That Agreement, in fact, annulled. After the Soviet-Georgian war of 1921, the Kremlin went on to further violate the provisions of the Treaty of Moscow, forcing the puppet leadership of "Georgian SSR" to transfer significant territories to Turkey, Armenia and Azerbaijan. Thus, by 1922, in breach of the Soviet-Georgian Treaty of May 1920, Moscow completed the territorial formation of "Georgian SSR". In April 1991, Georgia restored its independence within the borders that were drawn by the rulers of the Kremlin in March 1922 and which are still internationally recognized.

რუსეთ – საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება[1]

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთის მხრით, და რუსეთის სოციალისტურმა ფედერატიულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორე მხრით, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით დაამყარონ ორივე ქვეყანა შორის მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა ხსენებულ ქვეყნების მცხოვრებთა საკეთილდღეოთ, გადაწყვიტეს შეკრან ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება და დანიშნეს თავის რწმუნებულად: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილიორიონისძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურმა ფედერატიულმა საბჭოთა მთავრობამ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი. ხსენებულმა რწმუნებულებმა აცნობეს რა ერთმანეთს თავის რწმუნებულების შესახებ, რომელიც აძლევდა მათ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებას, შეთანხმებულ ქვემომოყვანილ მუხლებში:

მუხლი I.

გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალ თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრულ გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან, რუსეთი ყოველ პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, და თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხსა და ქვეყნის მიმართ.

მუხლი II.

გამოდის რა ხსენებულ ხელშეკრულების პირველ მუხლში აღიარებულ პრინციპებიდან, რუსეთი ვალდებულად ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

მუხლი III.

1) სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე; გადადის ხსენებულ ასახჩისა და აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისის და თფილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდე და ხსენებულ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრებამდე.

2) ყველა უღელტეხილი, მდებარე აღნიშნულ მოსაზღვრე ხაზზე 1922 წ. პირველ იანვრამდე ნეიტრალურად არის აღიარებული. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება დაიკავოს ეს უღელტეხილები თავის ჯარებით ანდა გაამაგროს ისინი.

3) დარიალის უღელტეხილზე, ამ მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული ნეიტრალიზაცია გავრცელდება ბალთიდან კობამდე, მამისონის უღელტეხილზე ზარამაგიდან ონამდე, და ყველა სხვა უღელტეხილებზე ხუთი ვერსის მანძილზე ორივე მხრით აღებული იმ პუნქტიდან, სადაც საზღვარი გადის.

4) სახელმწიფო საზღვრის სწორ გაყვანას ორ ხელშემკვრელ მხარის შორის, მოახდენს განსაკუთრებული მოსაზღვრე შერეული კომისია, რომელშიაც შევა ერთიანი რიცხვი ორივე მხრიდან. ხსენებული კომისიის მუშაობის შედეგი დამტკიცებული იქნება ორივე ხელშემკვრელ მხარის შორის დადებულ განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

მუხლი IV.

1) რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებულ ხელშეკრულების პირველ და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე

---

[1] გამოქვეყნებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ყოველდღიურ გაზეთ „კომუნისტში“ 1920 წლის 8 ივნისს (№ 5), აგრეთვე გაზეთ „ერთობაში“ 1920 წლის 6 ივნისს (№ 125). ხელშეკრულების მე-5-ე მუხლის მეათე პუნქტი აღნიშნულ გაზეთებში გამოქვეყნებული არ ყოფილა, იგო პირველად 1989 წლის 8 ივნისს გამოაქვეყნეს გაზეთ „კომუნისტში“ ა. სურგულაძემ და ა. მენთეშაშვილმა სათანადო კომენტარებით.

ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: თფილისის, ქუთაისის და ბათომის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქები.

2) შემდგომში, ურთიერთობის თანდათანობითი გამორკვევის მიხედვით საქართველოს და რუსეთს გარდა სხვა სახელმწიფო ერთეულებს შორის, რომელნიც არსებობენ ან შესაძლებელია შეიქმნენ საქართველოს სხვა საზღვრებთან, გარდა იმისა, რომელიც აწერილია ხსენებულ ხელშეკრულების მესამე მუხლში, რუსეთი მზათ იქნება იცნოს საქართველოს შემადგენელ ნაწილად ყოფილ კავკასიის სანამესტნიკოს ესა თუ ის ნაწილი, რომელიც გადავა მის ხელში ამ სახელმწიფო ერთეულებთან დადებულ ხელშეკრულების ძალით.

მუხლი V.

აღიარებს რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნილებას, რომ არ იქნეს დაშვებული შემდგომში საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო ოპერაცია, არსებობა სამხედრო ძალათა და სხვა მოქმედებათა, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნან პირობანი დამუქრებისა რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ანდა საქართველოს ტერიტორიას გახდის სამხედრო ოპერაციების ბაზად, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოს და მასში არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ, საქართველო ვალდებულად ხდის თავს მოახდინოს:

1) დაუყოვნებლივი განიარაღება და კონცენტრაციულ ბანაკებში მოთავსება ამა საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფთა, თუკი ასეთები აღმოჩნდებიან, ან სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ნაწილების, კომანდებისა და ჯგუფების, რომლებიც მომავალში შესაძლოა მის საზღვრებში გადავიდნენ და რომელნიც რუსეთის მთავრობის ან მისი ნაწილის, ანდა რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის პრეტენდენტის როლში გამოვლენ, აგრეთვე წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა, ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის, ან მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის ძირს ჩამოგდება.

2) დაუყოვნებლივ განიარაღება და დაკავება საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ გემებისა, რომელიც შედის ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებისა და ჯგუფების საზღვაო სამხედრო ძალთა შემადგენლობაში და აგრეთვე, რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით ამ ორგანიზაციების და ჯგუფების განკარგულებაშია და საქართველოს ნავთსადგურებში იმყოფება. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ სავსებით უნდა განხორციელდეს ამა მუხლის პირველი პუნქტის დადგენილება.

3) ყოველგვარი ჯილდოს მოუთხოვნელად და სრულებით უფასოდ გადაეცეს რუსეთს ყველა სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ქონება, ღირებულებანი და ფულის თანხები, რომელნიც ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციათა და ჯგუფების მფლობელობასა, სარგებლობასა და განკარგულებაში იმყოფება. ამ მუხლის თანახმად სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ქონებათ იგულისხმება: გემები და სხვა სანაოსნო საშუალებანი და არტილერიის, საინტენდანტოს (მათ შორის სასურსათო და ნივთიერი დაკმაყოფილების) საინჟინრო და საავიაციო მოწყობილობანი.

4) განიარაღების შემდეგ გადაეცეს რუსეთს ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟი.

შენიშვნა: რუსეთი პირობას იძლევა, რომ იგი ამ მუხლის ძალით გადაცემულ ყველა პირს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

1) მიიღოს ზომები და განდევნოს საქართველოს ტერიტორიის იმ საზღვრებიდან, რომელიც ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლით არის განსაზღვრული, ყოველგვარი ჯარი და სამხედრო რაზმები, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ჯარების შემადგენლობაში არ შედის;

2) მიღებულ იქნას ზომები, რომ მომავალში არ დაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე იმ ჯარებისა და სამხედრო რაზმების არსებობა, რომელნიც ამა მუხლში მეხუთე პუნქტშია აღნიშნული.

3) იმ პირებს, რომელნიც ამა მუხლის პირველსა და მეხუთე პუნქტში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და ნაწილებს ეკუთვნიან, რამდენადაც ეს პირები თავისი ეროვნებით არ არიან ქართველები, აღეკრძალოს რა სახით არ უნდა იყოს, მათ შორის მოხალისეთ; საქართველოს სახელმწიფო ჯარში შესვლა.

4) ტერიტორიის იმ საზღვრებში, რომელიც დადგენილია ამა ხელშეკრულების მეოთხე მუხლით, მომავალში არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება რაიმე ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოთა მთავრობის ჩამოგდება. ამასთანავე, საქართველო ვალად იღებს არ დაუშვას ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობათა და თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს ტერიტორიით გატანა ყველაფერი იმისა, რითაც შეიძლება ისარგებლონ რუსეთზე და მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასასხმელად. აგრეთვე აეკრძალოს თავის ნავთსადგურებსა და წყლებში ამგვარ ორგანიზაციათა გემებისა და სხვა სანაოსნო საშუალებათა არსებობა, გარდა საერთაშორისო სამართლით დადგენილი შემთხვევებისა იმ გემების მიმართ რომლებიც იღუპებიან და სხვა.

5) იმ შემთხვევაში, თუ ამა მუხლის მერვე პუნქტში, აღნიშნულ ორგანიზაციებს, ჯგუფებისა, წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა მიერ მოხდება მერვე პუნქტში აღნიშნულ აკრძალვათა დარღვევის ცდა, იმ პირებსა და ქონებას, რომელიც საქართველოს მთავრობისაგან მის მიერ ამა მუხლის მერვე პუნქტით თავის თავზე მიღებულ ვალდებულების ძალით იქნება დაკავებული, ამა მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირობის თანახმად მოეპყრობიან.

6) ამ მუხლის მეხუთე პუნქტით დათქმული ღონისძიების შესრულება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ ხელშეკრულების ხელისმოწერისთანავე. საქართველო ვალდებულებას კისრულობს უმოკლეს ვადაში დაამთავროს ისინი თუნდაც შეიარაღებული ძალის გამოყენებით.

მუხლი VI.

რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედების არავითარ ჯგუფებსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს მთავრობის, ანუ მის ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ, და აგრეთვე იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნათ საქართველოს მთავრობის დამხობა ექნება დასახული. რუსეთი ვალდებულია იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათს ტერიტორიაზე არ დაუშვან არსებობა ამ მუხლში აღნიშნულ ჯგუფებისა და ორგანიზაციების.

მუხლი VII.

შესაძლო გაუგებრობის ასაცილებლად ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ ამ ხელშეკრულების მეხუთე და მეექვსე პუნქტების განხორციელების დროს საქართველოს ნაწილებში, რომლებიც მას უნდა შეუერთდნენ ამ ხელშეკრულებების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებთან, რუსეთს გარდა, საზღვრები საბოლოოდ დაიდება, საქართველოს მხრივ ამ შემთხვევაში საჭირო ზომების მიღება უნდა გათავდეს უახლოს დროში მის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე თავისი სახელმწიფოებრივი მეპატრონეობის ფორმალური განხორციელების შემდეგ.

მუხლი VIII.

ამ ხელშეკრულების მუხლების მეხუთე და მეექვსეს სისწორით ასრულებისა და მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადასაცემად არსდება შერეული კომისია ორი მხრიდან თანაბარ წევრთა რიცხვით. კომისიის მუშაობის წესი თვით კომისიის მიერ გამომუშავდება. ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადაცემა უნდა გათავდეს ამ ხელშეკრულების დადების დღიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი IX.

1) საქართველოს ჩამომავლობის პირთ, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე სცხოვრობენ და დაბადებიდან 18 წლის არიან შეუძლიათ საქართველოს ქვეშევრდომობა მოითხოვონ. აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველთ, რომელნიც ზემო აღნიშნულ წლოვანებას მიაღწევენ, უფლება აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა მოითხოვონ.

2) დაწვრილებითი მხარე ამ მუხლის აღსრულების შესახებ დამტკიცებული იქნება განსაკუთრებულ შეთანხმებით ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის.

3) ორივე ხელშემკვრელ მხარის მოქალაქენი, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ მუხლით მინიჭებულ უფლებით, ვალდებულნი იქნებიან აღასრულონ სავალდებულო ფორმალობა ერთი წლის განმავლობაში ამა მუხლის მეორე პუნქტის თანახმად მომხდარ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი X.

საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით დევნისაგან ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტურ პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის.

შენიშვნა: საქართველო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს საპყრობილეთაგან ყველა პირები, რომლებსაც ბრალდებათ ზემო აღნიშნულ ხასიათის მოქმედებანი.

მუხლი XI.

ყოველი შემკვრელი მხარე ვალდებულია, იცნოს და პატივით მოეპყრას მხარეთა დროშას და ღერბს, როგორც მეგობარ სახელმწიფოთა ემბლემებს. დროშის და ღერბის ნიშნები ან ცვლილებანი, რომლებიც შესაძლებელია შეტანილი იქნეს შიგ, უნდა აცნობონ ერთმანეთს დიპლომატიური გზით.

მუხლი XII.

ეკონომიური დამოკიდებულებანი საქართველოსა და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, ორ ხელშემკვრელ მხარეთა შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულების დადებამდე, რისთვისაც უახლოეს დროში უნდა იქნეს მიღებული აუცილებელი ზომები, და რომელსაც უნდა დაედვას საფუძვლად ქვემო მოყვანილი საერთო დებულებანი:

1) ორივე ხელშემკვრელი მხარე ურთიერთ შორის სავაჭრო დამოკიდებულებას საფუძვლად უდევს უდიდეს ხელის შეწყობის პრინციპს.

2) იმ საქონელს, რომელიც მიაქვთ ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარეებიდან დანიშნულებისამებრ მეორე მხარემ არავითარი სატრანზიტო ბაჟი და გადასახადი არ უნდა დაადვას.

მუხლი XIII.

ხსენებულ ხელშეკრულების მე-12-ე მუხლში აღნიშნული 1 და 2 პუნქტები უნდა დაედვას საფუძვლად სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც იმავე მე-12-ე მუხლის ძალით უნდა დადებულ იქნას ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მუხლი XIV.

დიპლომატიური და საკონსულო დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის უნდა აღდგენილ იქნეს უახლოეს დროში, ორ ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთ შორის კონსულების დამოკიდებულების შესახებ განსაკუთრებულ შეთანხმების დადებამდე, რისთვისაც მიღებული უნდა იქნეს ყოველგვარი ზომა, მათი უფლებანი და ვალდებულებანი განისაზღვრებიან ამავე საგანზე ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის არსებულ კანონმდებლობით.

მუხლი XV.

საჯარო უფლებრივი და კერძო უფლებრივი ხასიათის იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც აღიძრება ორ ხელშემკვრელ მხარის მოქალაქეთა შორის, და აგრეთვე ზოგიერთ ცალკე საკითხების მოწესრიგება ორ სახელმწიფოს შორის, დაევალება განსაკუთრებულ შერეულ ქართულ-რუსულ კომისიას, რომელიც დაარსდება უახლოეს დროში ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

შემადგენლობა, უფლება და ვალდებულებანი ამ კომისიისა განისაზღვრება განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცდება ცალკე კომისიისათვის ორ ხელშემკვრელ მხარის შეთანხმებით.

ხსენებულ კომისიებს დაევალება სხვათა შორის:

1) სავაჭრო და სხვა ეკონომიური ხასიათის შეთანხმების შედგენა.

2) მოწესრიგება საკითხებისა, რომელიც შეეხება ყოფილ ცენტრალურ არქივების საქმის საწარმოებელ დაწესებულებათგან სასამართლო და ადმინისტრაციულ დეპოზიტების და აგრეთვე სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გამოყოფას.

3) გამორკვევა საკითხისა ბათომ-ბაქოს ნავთსადენის იმ ნაწილის მფლობელობის, განკარგულების და მოხმარების წესის შესახებ, რომელიც თანახმად ხსენებულ ხელშეკრულების 4 მუხლისა იარსებებს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს საკითხი დამტკიცებული იქნება შემდეგ საბოლოოდ განსაკუთრებულ შეთანხმებით ორ ხელშემკვრელ მხარის შორის.

მუხლი XVI.

ხსენებული ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან, და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია. რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულმა მოაწერეს ხელი და თავის ბეჭდები დაასვეს. შედგენილია მოსკოვში 1920 წელს, 7 მაისს, ორ ეკზემპლარად.

გ. ურატაძე **ლ. კარახანი**

დანართი ბ.

რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წელს 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება[1]

ქვემორე ხელისმომწერნი, რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილის-ძე კარახანი და დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი, დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის-ძე ურატაძე, რომელთაც გაითვალისწინეს, რომ რუსეთის მთავრობამ მიიღო წინასწარი თანხმობა აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკიდან ქვემო მოყვანილ მუხლების შინაარსის შესახებ შეთანხმდნენ შემდეგში:

მუხლი 1. საქართველოს და აზერბაიჯანის საზღვრების, და ზაქათალის ოლქის, სადავო ნაწილების საკითხი გადაეცემა გადასაწყვეტად შერეულ კომისიას, რომელიც შედგება საქართველოს და აზერბაიჯანის თანაბარ რიცხვის წარმომადგენლებისაგან, რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის ყველა გადაწყვეტილება უნდა იქმნეს აღიარებული სავალდებულოთ როგორც საქართველოსთვის ისე აზერბაიჯანისათვის.

მუხლი 2. სანამ კომისია არ მიიღებს რაიმე დადგენილებას ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში აღნიშნულ საკითხებზე, საქართველომ და აზერბაიჯანმა არ უნდა შეიყვანონ ზაქათალის ოლქში ახალი ჯარები გარდა იმ ჯარებისა, რომელიც უკვე იმყოფება ამ ოლქში დამატებითი შეთანხმების ხელის მოწერის დროს.

მუხლი 3. აღნიშნული დამატებითი შეთანხმება ჩაითვლება განუყოფელ ნაწილად იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებული იქმნა მოსკოვში რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წელს 7 მაისს, და ხსენებულ შეთანხმებასთან ერთად შედის ძალაში თვით ფაქტის ძალით ხელმოწერის მომენტიდან და არ საჭიროებს განსაკუთრებულ რატიფიკაციას, რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი საკუთარის ხელით და თავის ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში 1920 წელს 12 მაისს ორ ეგზემპლიარათ.

გ. ურატაძე **ლ. კარახანი**

---

[1] გამოქვეყნებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტების ყოველდღიურ გაზეთ „კომუნისტში“ 1920 წლის 8 ივნისს (№ 5), აგრეთვე გაზეთ „ერთობაში“ 1920 წლის 8 ივნისს (№ 126).

ივანე ჯავახიშვილი საქართველოში სომეხთა ჩამოსახლებისა და სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ

ვახტანგ გურული[1], ავთანდილ არაბული[2]

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (სუიცსა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდში დაცულია ივანე ჯავახიშვილის ერთი ხელნაწერი [სუიცსა, ფონდი 471, აღწერა 1, საქმე 98, ფურცლები 82-111]. ხელნაწერი შესრულებულია სხვადასხვა ფორმატის თეთრ ქაღალდზე იისფერი მელნით. ქაღალდი ამჟამად გაყვითლებულია, ხოლო მელანი – გახუნებული, თუმცა ხელნაწერი, რამდენიმე ადგილის გარდა, მაინც კარგად იკითხება. ხელნაწერი 30 გვერდისაგან შედგება. ხელნაწერი ქაღალდის ფურცლის ცალ მხარესაა შესრულებული, ოთხ ფურცელზე ავტორს მეორე მხარეც გამოუყენებია [სუიცსა, ფონდი 471, აღწერა 1, საქმე 98, ფურცლები 82ა, 90ა, 95ა, 99ა]. ხელნაწერი, როგორც აღვნიშნეთ, კარგად იკითხება, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ავტორს ბევრგან ჩაუსწორებია როგორც სტილისტურად, ისე შინაარსობრივად.

ხელნაწერს ივანე ჯავახიშვილის ხელრთვა არ ახლავს, მაგრამ კალიგრაფიული ექსპერტიზით უეჭველად დგინდება, რომ იგი ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის.

ხელნაწერის ბოლო გვერდზე ავტორს დაუსვამს თარიღი: „1925.2.VII“. ცხადია, 1925 წლის 2 ივლისი ხელნაწერზე მუშაობის დასრულების დროა.

ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ივანე ჯავახიშვილს ხელნაწერი არ დაუსათაურებია. როგორც ხელნაწერის ბოლო აბზაციდან ირკვევა, ეს ნაშრომი ივანე ჯავახიშვილს დაუწერია საქართველოს მიმართ სომხეთის მხრიდან ახალი ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენებასთან დაკავშირებით, ამჯერად უკვე საბჭოთა წყობილების პირობებში.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: ივანე ჯავახიშვილმა ეს ნაშრომი პირადი ინიციატივით დაწერა თუ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეკვეთით? თუ ამ დროისათვის დიდი მეცნიერის მიმართ ოფიციალური ხელისუფლების დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი შეკვეთა ოფიციალური წრეების მხრიდან მოსალოდნელი არ იყო და გამოკვლევის შექმნის ინიციატივა ივანე ჯავახიშვილს უნდა ეკუთვნოდეს. მიაღწია თუ არა გამოკვლევამ ოფიციალურ ხელისუფლებამდე, ეს ჯერ კიდევ დაუდგენელია.

შინაარსის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი ეძღვნება რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგდროინდელ დემოგრაფიულ პროცესებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას (XIX საუკუნის დამდეგი - XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანები). დემოგრაფიული პროცესებიდან მთავარი ყურადღება გადატანილია საქართველოში სომხების ჩამოსახლებაზე. მეორე უმთავრესი საკითხია ტერიტორიული დავა საქართველოსა და სომხეთს შორის როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1918 წლის 26 მაისამდე), ისე მომდევნო პერიოდში. XIX-XX საუკუნეებში საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (სომხების ჩამოსახლება საქართველოში, ტერიტორიული დავა) რუსეთის ფაქტორი განმსაზღვრელი იყო, უფრო ზუსტად, ეს პროცესები რუსეთში იგეგმებოდა. სწორედ ამიტომ შევურჩიეთ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს სათაურად: **„დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.)“**.

როგორც ითქვა, ნაშრომი შემორჩენილია პირველი, შავი, რედაქციის სახით. ტექსტში არის ნასწორები, რასაც მკვლევრის აზრთა მსვლელობის ნიუანსების გათვალისწინებისათვის ყველა აუცილებელ შემთხვევაში სქოლიოში ვუთითებთ. გვხვდება კალამ-ლაფსუსებიც, რაც ასევე აისახება გამოცემაში სათანადო მინიშნებით (კვადრატული ფრჩხილები, სქოლიოს შენიშვნები). ამავე დროს, ზოგ შემთხვევაში მკვლევრისათვის ნიშანდობლივი ისედაც რთული წინადადებების სახელდახელო შინაარსობრივ სწორებას გამოუწვევია

[1] საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტი, vachuschti@yahoo.com

[2] Arab.av@gmail.com საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ცალკეული ფრაზის სტილისტური გაუმართაობა. მაგალითად, „*ოსმალეთში საქმის წაგებას სომეხ პოლიტიკოსთა მადა საქართველოს მიწა-წყლის წასართმევად და დასაკუთრებისათვის არამცთუ არ დაუკარგვინებია, პირიქით, გაზრდია კიდევაც*“; „*ამგვარად, სომხეთის ვითომც ისტორიული საზღვრების აღდგენის თავისი სამხედრო ძალით შესაძლებლობის იმედი გაუცრუვდა*“.

ზოგ ამგვარ შემთხვევაში ტექსტის მცირედი რედაქტირება გახდა საჭირო, ცხადია, სათანადო მითითებით. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ უმნიშვნელო ტექსტობრივი ხარვეზები არსად არ არის რაიმე შინაარსობრივი გაურკვევლობის წყარო, სათქმელი ყველგან, როგორც დიდი მეცნიერისათვის არის დამახასიათებელი, გადმოცემულია ზუსტად და ნათლად.

მკვლევრის ენობრივ-სტილისტური თავისებურებები, შემონახული წინამდებარე ნარკვევით, არსებითად არ შეცვლილა მისი ნაყოფიერი მოღვაწეობის განმავლობაში. გამორჩეული ხელწერის მსგავსად, ივ. ჯავახიშვილის სტილისათვისაც ნიშანდობლივია მეტყველების გარკვეული, ზომიერი არქაიზება, დინჯი აკადემიზმი, თავისებური ორთოგრაფიული ნორმები. მოგვყავს რამდენიმე დამახასიათებელი შემთხვევა წარმოდგენილი ნარკვევიდან:

ა) **-განა** თანდებულის პირვანდელი (არქაული) ვარიანტის გამოყენება მოქმედებით ბრუნვაში: „*1828 წლი**თ**გან მოყოლებული*“; „*ლიხთიმერეთი**თ**გან იქ გადასახლების ნება არ მისცა*“; „*მამაპაპეული სამშობლო**თგან** აყრა*“...

ბ) ერთი მხრივ **კი** და მეორე მხრივ – ღა ნაწილაკთა დეფისით წარმოდგენა: „*ეს უკანასკნელი გარემოება-**კი** რუს პოლიტიკოსებს, რასაკვირველია, ოდნავაც არ აწუხებდა, პირველი-**კი** აღონებდა კიდეც და თანაც აბრაზებდა*“; „*რით-**ღა** არის ეს ვითომც ახალი გეგმა გამოწვეული...*“

გ) მრავლობითის ახალი **-ნენ** სუფიქსის პოზიციაში უფრო ძველი **-ენ**-ის წარმოდგენა: „*მსჯელობას შეუდგ**ენ**“; „ნებას არ აძლევდ**ენ**“, „*არ ფიქრობდ**ენ**“...*

დ) მსაზღვრელის სრული შეუთანხმებლობა საზღვრულთან ნათესაობითში: „*აქაურ ციებისაგანაც დაიხოცებიან*“; „*ინგლისელებისა და მის მოკავშირეების ჯარი*“; „*ეთნოგრაფიულ პრინციპების მიხედვით*“...

მეცნიერი არცთუ იშვიათად მიმართავს სიტყვათა შემოკლებას. ზოგ შემთხვევაში ამგვარი შემოკლების გაშლა ვერ ხერხდება, ვინაიდან მასში რამდენიმე ფორმის დანახვა შეიძლება. მაგალითად, ხშირადაა შემოკლებით **რუს.**, რომლის ქვეშაც შეიძლება ვიგულისხმოთ **რუსის, რუსეთის** ან **რუსთა:** „*რომ **რუს**. მთავრობას ისეთი პირობები შეექმნა*“; „*არასაიმედო ხალხად ჰყავდა რუს. მთავრობას მიჩნეული*“; „***რუს**. პოლიტიკური აზრი*“...

საინტერესოა რამდენიმე ტერმინისა თუ ტერმინოლოგიური შესიტყვების ავტორისეული დაწერილობა, კერძოდ, აქ იგი ყოველთვის შერწყმულად წერს გეოგრაფიულ სახელს „***შავიზღვა***“, ასევე ტერმინს „***მეფისმოადგილე***“, რომელსაც მეფისნაცვლის ფარდად გამოიყენებს: „*ამ დროს **მეფისმოადგილეთ** სომეხთა მწყალობელი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და მისი მეუღლე ბრძანდებოდენ*“. ტერმინოლოგიური ძიების ისტორიისათვის საყურადღებოა „*კვადრატულის*“ გაგებით „***ოთხკუთხას***“ გამოყენება: „*ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ოთხკუთხა ვერსზე 2-3 სულზე მეტი სომეხი არც-კი ეყოლებოდათ*“. ასევე: „*საქართველოს მთავრობას **ულტიმატურად** მოსთხოვა*“ და მისთ.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქის მდიდარი მემკვიდრეობიდან, რომელიც თავისი შინაარსით, საკითხისადმი მეცნიერული მიდგომით, აზრის პირუთვნელობითა და სტილის სისადავით შესაფერის ადგილს დაიკავებს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის კვლევის საქმეში.

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის მკითხველისათვის დეტალური წარდგენა ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია. დარწმუნებული ვართ, მკითხველს არ გაუჭირდება აღიქვას ნაშრომის ჭეშმარიტი ღირსება, მისი მნიშვნელობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის. მკითხველი იმასაც უეჭველად მიხვდება, თუ რა დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა იყო საჭირო XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში ასეთი ნაშრომის დასაწერად. მსგავს პრობლემებზე წერა კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში გმირობის ტოლფასი იყო. სწორედ ამიტომ ამ მიმართულებით თითქმის არაფერი გაკეთებულა. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი მაშინაც ამბობდა მართალ და პირუთვნელ სიტყვას, როდესაც ბევრი კონიუნქტურული მოსაზრებით გვერდს უვლიდა ჭეშმარიტებას.

ქვემოთ გთავაზობთ ივანე ჯავახიშვილის ტექსტს, რომელიც ქვეყნდება არქივში დაცული ხელნაწერის მიხედვით:

ივანე ჯავახიშვილი

დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.)

რუსეთის მთავრობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისთანავე რუსთ ხელმწიფის წარმომადგენელნი, ერთის მხრით - სომეხ მოხელეთა დაწინაურებით, მეორეს მხრით, რუს ნასალდათართა დასახლებით ქართველთა მოსახლეობის ინტერესების შელახვასა და მიწა-წყლის ეთნოგრაფიულად აჭრელებით ქართველთა მოსალოდნელი პოლიტიკური მოძრაობისაგან უზრუნველყოფას ცდილობდენ. სომხები მათ აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და, ამასთანავე, თავიანთ ერთგულად სთვლიდენ. უკვე 1828 წლითგან მოყოლებული, როდესაც ქართველ მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა[1] და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველ-მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამშობლოთგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს[2], გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთითგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთითგან გადმოსულ სომ[ე]ხთაგან 30 000 მცხოვრები ჩაასახლა.[3] ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 95 %[4] აღემატებოდა, 1832 წ. უკვე რუს მოხელეთა წყალობით უმრავლესობად სომხები იქცენ.

მე-XIX ს. სამოციან წლებითგან მოყოლებული რუსეთი[ს] პოლიტიკური წრეები უკვე ყოველგვარ ღო[ნ]ისძიებას ხმაროობდენ, რომ ამიერკავკასია მოსახლეობით რუსულად ქცეულიყო. 1864 წ. მ. კატკოვს მარტო[5] რუს ნასალდათართა დასახლება[6] აღარ აკმაყოფილებდა და იმაზეც ოცნებობდა, რომ რუს[ეთის] მთავრობას[7] ისეთი პირობები შეექმნა,[8] ამიერკავკასიაში მარტო ქალაქები კი არა, არა[მედ] სოფლებიც თანდათანობით რუსებით ავსებულიყო.[9] აბა, მაშინ რუსული გავლენა იქ როგორ გაიზრდებოდა („как бы усилилось это (русское) влияние в стране, если бы допущены были условия, необходимыя для того, чтоб и села могли постепенно наполняться русскими людьми“. іх. Московские ведомости, 1864 г., №168, ап Собрание передовых статей Московских ведомостей 1864 г., გვ. 467). ამისათვის ერთ-ერთ ხელშემწყობ საშუალებად მას კავკასიაში და, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე რუს თავად-აზნაურთა გადასახლება მიაჩნდა (იქვე).[10]

---

[1] აღნიშნული ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა ადრიანოპოლის ზავის (1829 წ.) თანახმად, 1828-1829 წლების ომში რუსეთმა ოსმალეთი დაამარცხა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი დაათმობინა.

[2] რუსული ისტორიოგრაფია ისლამის აღმსარებელი ქართველების (მესხების) ოსმალეთში გადასახლებას განიხილავს როგორც ოსმალეთის აგიტაციის უშუალო შედეგს და ცდილობს მიჩქმალოს ის ფაქტი, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სამცხე-საათაბაგოში მცხოვრებ ისლამის აღმსარებელ ქართველებს ხელოვნურად შეუქმნა აუტანელი პირობები და აიძულა ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ.

[3] სამცხე-საათაბაგოში სომხების ჩამოსახლების შემდეგ თავისთავად გამოირიცხა ამ ძირძველ ქართულ ტერიტორიაზე საქართველოს სხვა რეგიონებიდან ქართველების ჩასახლება. სომხები საუკეთესო მიწებზე დასახლდნენ. პირველ რიგში, მათ ნასოფლარები დაიკავეს, სახელი შეუცვალეს ქართულ სოფლებს, ხოლო მართლმადიდებლური ტაძრები სომეხმა ეპისკოპოსმა ხელახლა აკურთხა და ეჩმიაძინის საპატრიარქოს დაუქვემდებარა.

[4] თავდაპირველად დედანში ეწერა 96 %, შემდგომ ავტორს ბოლო ციფრი გადაუკეთებია **ხუთად.**

[5] თავდაპირველად ამ ადგილას ეწერა **უკვე.**

[6] რუს ნასალდათართა (სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ ჯარისკაცთა) მუდმივად საცხოვრებლად საქართველოში დატოვება მიზნად ისახავდა დემოგრაფიული ვითარების ქართველთა საზიანოდ შეცვლას. ისედაც მცირემიწიან ქვეყანაში რუსებს გამოუყვეს დიდი რაოდენობით სახნავ-სათესი. საქართველოში ჩასახლებული რუსები ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

[7] დედანში ამ ადგილას გადაშლილია **ადმინ.**

[8] შემდგომ დედანში გადაშლილია **რომ.**

[9] საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მესვეურები სწორად მიხვდნენ, რომ ქალაქებში დემოგრაფიული ვითარების ქართველთა საზიანოდ შეცვლა, რაც ძირითადად სომეხთა და რუსთა ხარჯზე ხდებოდა, საკმარისი არ იყო, საჭირო იყო სოფლის მოსახლეობაში რუსების ხვედრითი წილის გაზრდა.

[10] რუსი თავადაზნაურობა შავი ზღვის სანაპიროზე უნდა გადმოესახლებინათ გლეხებითურთ (ყმებითურთ).

მაგრამ ამ დროს რუსეთის მთავრობა რუსების ჩასახლებით პოლონეთის გარუსებას ცდილობდა, ამიტომ რუსი პოლიტიკოსები დარწმუნდენ, რომ იმოდენი ხალხი არ ყავდათ, რომ ყველგან გასწვდომოდა. ამავე ხანებში სომეხმა მოღვაწემ ქანანოვმა საკოლონიზაციოდ შავი ზღვის დასასახლებლად ოსმალეთითგან ზეითუნის[1] სომხების გადმოსახლების პროექტი წამოაყენა. კატკოვმა ამ აზრს რუს-კოლონისტების სიმცირის გამო მხარი დაუჭირა და პოლიტიკური და ეკონომიური მიზნებით მიზანშეწონილად აღიარა: სომხები ჩვენი ერთგული მომხრენიც იქნებიან და, ვითარცა ვაჭარი ხალხი, თან ფულსაც მოგვიტანენო[2] (იქვე, გვ. 500-502). ამ აზრს, რომ ამიერკავკასიაში[3] დასასახლებლად სომხები ყოფილიყვნენ გამოყენებულნი, ასეთი გავლენიანი რუს შავრაზმელის დასტურის შემდგომ, როგორიც კატკოვი იყო, მთავრობის ადგილობრივი უმაღლესი წარმომადგენლობაც მიემხრო და დასახლებას შეუდგა.[4] სომხებთან ერთად გერმანელების და ესტონელების ჩასახლებასაც მიჰყვეს ხელი. რუსები ცოტანი ჩანდენ. ამგვარად, ის მოხდა, რომ თავისუფალი მიწების დასახლება რუსულ საკოლონიზაციო საქმეს სრულებითაც არ ქმნიდა. და თანაც ქართველებს გაფართოების საშუალებას უსპობდა. ეს უკანასკნელი გარემოება-კი რუს პოლიტიკოსებს, რასაკვირველია, ოდნავადაც არ აწუხებდა, პირველი-კი აღონებდა კიდეც და თანაც აბრაზებდა. 1867 წ. იგივე მ. კატკოვი უკვე გაჰკივოდა: შავი ზღვის სანაპიროზე ყველას ასახლებენ მცირე აზიითგანაც, ავსტრიითგან და გერმანიითგანაც, მხოლოდ რუსები არ ჩანან, რათგან იმათაც, ვისაც სურდათ, იქ არ უშვებენო. კატკოვი საკოლონიზაციო საკითხს პოლიტიკურ-ეროვნულ საკითხად სთვლიდა და რუს მოახალშენეთა გაძლიერებას მოითხოვდა (იხ. Моск. ведомости, 1867., №264 და 282; Собр. перед. стат. Моск. вед. 1867 г., გვ.. 687-688).

სომხების[5] საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკის სულის ჩამდგმელად და მხურვალე და მარჯვე განმახორციელებლად ალ. და გ. ხატისოვების მამა ივ. სტეფანეს ძე ხატისოვი იყო, რომელიც 1865 წლითგან – 1875 წ[ლამდე] სახელმწიფო ქონებათა და სასოფლო მეურნეობის სამმართველოში ამ[იერ]კავკასიაში გავლენიანი თანამდებობის პირად ითვლებოდა,[6] 1875-83 წ[წ.] კავკასიაში მეფის მოადგილესთან საგანგებო მინდობილებათა მოხელედ იყო, ხოლო 1885-93 წ[წ.] სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. მის დროს და მისი დახმარებით ბევრი სომეხი ჩამოსახლდა საქართველოში – ბორჩალოს, ჯავახეთში და შავი ზღვის სანაპიროს. რაკი შავი ზღვის სანაპირო პოლიტიკურად მნიშვნელოვან ადგილად ითვლებოდა, ეს ადგილიც რომ სომხებისათვის ყოფილი[ყო] განკუთვნილი, მან წამოაყენა აქ ორი მოსაზრება: რაკი ეს ქვეყანა უმაღლეს სამეურნეო კულტურის კერად უნდა იქცეს, აქ დასახლების უფლება ამგვარი კულტურის მცოდნეს უნდა მიეცეს. რუსები სულ სხვა ჰავასა და მარტო ხორბლეულობის კულტურას არიან მიჩვეულნი და აქაურ ციებისაგანაც დაიხოცებიანო. სომხები და ბერძნები ციებიან ადგილებს მიჩვეულნი არიან, ამ კუთხეს გააშრობენ და ააყვავებენ და შემდეგ სხვების, ე.ი. რუსების, დასასახლებლადაც გამოდგებაო. ამგვარი საბუთიანობითა და თავისი დიდი თანამდებობის წყალობით მან თავისი თანამოძმეების ჩამოსასახლებლად საქართველოში ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა.[7]

რათგან ქართველები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად ჰყავდა რუს[ეთის] მთავრობას მიჩნეული და მათი მოსახლეობის ასპარეზის გაფართოებას სახიფათოდ სთვლიდა, სომეხთა მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობაც-კი მას ფიქრად არ მოსდიოდა, ამიტომ სომეხთ ახალშენთა ჩასახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რათგან, სამაგიეროდ, ქართველთა მოსახლეობის

---

1 ზეითუნი – კილიკიის სომხეთის ნაწილი. ამჟამად სირიის შემადგენლობაშია (ალეპოს ოლქი).

2 დედანშია მოგვატანენო.

3 ამ ადგილას დედანში გადაშლილია **შავი,** როგორც ჩანს, **შავი ზღვა** უნდა დაეწერა.

4 პრორუსული ორიენტაციის სომხების დასახლება აფხაზეთში, ცხადია, ამ რეგიონიდან ქართული ენის, ქართული კულტურის და, ბოლოს, ქართველთა გამოდევნ.

5 დედანშია **სომხეთის.**

6 დედანში გადაშლილია: **დიდი თანამდებობა ქონდა.**

7 ივ. ხატისოვმა შესანიშნავად აუღო ალღო რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკას საქართველოში, მარჯვედ გამოიყენა კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია და სომხებს დიდი რაოდენობით საუკეთესო ქართული მიწები ჩაუგდო ხელში.

პროცენტი მცირდებოდა და, თანაც, საქართველოში რუსეთის განუყოფელობის, როგორც მათ ეგონათ, უერთგულეს ქვეშევრდომთა რიცხვი უმრავლდებოდა. მაგრამ ბოლოსდა-ბოლოს სომეხთა გადმოსახლების აზრის მომწონებელმა მ. კატკოვმაც დაინახა, რომ აქ უბრალო ოინბაზობა იყო და 1887 წ. ის უკვე წერდა, რომ თუ შავი ზღვის სანაპიროზე რუსები დაიხოცებიან, განა გერმანელ, სომეხ ან ბერძენ მოახალშენეებს-კი იგივე არ დაემართებათო. ცხადია, რუს[ული] პოლიტიკური აზრი აქ მხედველობაში მიღებული[1] არ არის (Моск. в. №13). მაგრამ საქმე უკვე[2] გაკეთებული იყო და აღმოჩნდა, რომ სხვებისათვის თავისუფალი სამოსახლო ადგილი იქ თურმე აღარ არ[ი]ს. ამ დროს ქართველი ხალხი არვის ახსოვდა,[3] თავის მამაპაპეულ[4] მიწა-წყალზე დასახლება ყველაზე უპირველესად რომ მისი უფლება იყო, ამის გაგება და გაგონება არც რუს[ეთის] მთავრობასა და არც მის სომეხ მოხელეს არ სურდათ: ქართველი გლეხობის[5] სასიცოცხლო ეკონომიური ინტერესები ფეხქვეშ ითელებოდა, მას გადასახლების გზა თავის სამშობლოში, საქართველოში, შეკრული ჰქონდა. იმ დროს, როდესაც უცხოეთითგან-კი მოყვანილებს მიწაც ეძლეოდათ და ყოველგვარი დახმარებაც.

როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე ლაპარაკი დაიწყეს და წინასწარ მსჯელობას შეუდგენ, მაშინ უკვე ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რომ სომეხ პოლიტიკოსებს სომეხთა საქართველოში გადმოსახლება[6] ოსმალეთისაგან დაბეჩავებულ თავიანთ თანამოძმეთა მარტო[7] ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ, არამედ რომ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნულ გეგმის, გაბნეულ სომეხთათვის ერთი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშენოდ ადგილები არჩეული: სომხებმა ბორჩალოს მაზრისა და ახალქალაქის[8] მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან გამოყოფვა და გუ[მ]ბრთან[9] შეერთება მოითხოვეს გუმბრის სომხური გუბერნიის შესაქმნელად. ამ დროს მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ვორონცო[ვ]-დაშკოვი და მისი მეუღლე ბრძანდებოდენ, ხოლო მათ მესაიდუმლე მრჩევლად, „ხალხის“ უუერთგულეს გრძნობების მხურვალე და ენაწყლიან გამომხატველად და ფეხთა მტვერად ივ. ხატისოვის შვილი ალ. ხატისოვი იყო, ხოლო სომეხთა ცხოვრების სადავე დაშნაკელებს ეკავათ ხელთ.[10] ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა, რომ გამოყოფვა-შეერთების პროექტის განხორციელების საკითხი განხილული ყოფილიყო. 1913 წ. 6 ნოემბერსა და 18 დეკემბერს საგანგებოდ მოწვეულმა თათბირმა, რომელშიც სომხებს 6 წარმომადგენელი ყავდათ, ქართველებს-კი მხოლოდ 2, ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფვა გეოგრაფიული და ეკონომიური თვალსაზრისით სრულებით შეუძლებლად სცნო. ტფილ[ისის] საგუბერნიო განსაკ[უთრებულმა] საბჭ[ომ] ეს დადგენილება 1914 წ. 24 იანვარს დაადასტურა. ამავე წლებში და [ამ] დროს ამგვარმავე კომისიამა და ორგანოებმა ახალქალაქის მაზრის გამოყოფვა და გუმბრთან შეერთება ამავე გეოგრაფიულ-ეკონომიურ ურყევ მოსაზრებათა გამო ერთხმივ უარჰყო და შეუძლებლად სცნო.[11]

ამ დროს მსოფლიო ომიც ატყდა. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთში სამხედრო მოქმედების გასა[ა]დვილებლად დაშნაკელებს ოსმალეთის სომხების აჯანყება ურჩია და თანაც ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლებას და რუსეთის ფარგლებში ავტონომიას, თუ

---

1 შემდგომ დედანში გადაშლილია **უკვე.**

2 დედანში გადაშლილია **მაინც.**

3 შემდგომ დედანში გადაშლილია **რომ.**

4 ამის შემდგომ დედანში გადაშლილია **სამშობ.**

5 ამ ორი სიტყვის ადგილას ყოფილა **მისი.**

6 შემდგომ დედანში გადაშლილია **მხოლოდ.**

7 შემდგომ დედანში გადაშლილია **გაწყვ...**

8 თავიდან დედანში ეწერა: **ახალქალაქ-ახალციხის მაზრების.**

9 **გუმრი / გუმბრი / გიუმრი** – ისტორიული დასახლებული პუნქტი ახლანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, ანისის ჩრდილოეთით.

10 თავდაპირველად დედანში იყო: **დაშნაკელების ხელთ იყო.**

11 სომხებმა მოპოვებული პოზიციის განმტკიცება სცადეს – თბილისის გუბერნიიდან ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების გამოყოფისა და ახალი სომხური გუბერნიის იდეა წამოაყენეს. ახალი სომხური გუბერნია რუსეთს არაფერში სჭირდებოდა. კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციამ სომეხ პოლიტიკოსებს ეს აშკარად არ აგრძნობინა, თუმცა ახალი სომხური გუბერნიის შექმნის გეგმა სწორედ რუსმა მოხელეებმა ჩაშალეს.

რუსეთის მფარველობის ქვეშე დამოუკიდებლობას შეჰპირდა.[1] სომეხ[2] პოლიტიკოსებმა და დაშნაკელებმა ეს რუსეთის პოლიტიკური ფანდი გულწრფელ დაპირებად მიიჩნიეს და რუს[ეთის] მთავრობის რჩევა განსაზღვრულ[3] დროს აასრულეს კიდეც, მაგრამ საქმე უკუღმართად დატრიალდა და განრისხებული ოსმალები დაშნაკელებისა და თავიანთ პოლიტიკოსების მიერ გაბრიყვებულ სომეხთა ხალხის საზიზღარ ჟლეტას შეუდგენ. ვინც მოასწრო გამოქცევა ამიერკავკასიაში, სპარსეთში, ან სხვაგან სადმე, გადარჩა, მაგრამ დიდძალი[4] სომხობა დაშნაკელების უგუნურ პოლიტიკასა და ოსმალთა სიმხეცეს მსხვერპლად შეეწირა. სომეხთა გამაბრიყვებელ რუსეთის მთავრობას ეხლა სომეხთა ლტოლვილების[5] ამიერკავკასიაში დატოვება არ სურდა,[6] ხოლო შემდეგში, როდესაც რუსეთის ჯარი კვლავ ოსმალეთში შე[ი]ჭრა, სომეხ ლტოლვილებს თავიანთ სამშობლოში დაბრუნების ნებას არ აძლევდენ და ოსმალეთის სომხეთში ვალაშკერტისა (ეხლანდელი ალაშკერტის) და ბასიანის (=პასინის) ველზე რუს ყაზახების დასახლების გეგმის შემუშავებასაც-კი მიჰყვეს ხელი.[7]

რუსეთის რევოლუციამ[8] და რუსთა ჯარის უკან დახევამ[9] ოსმალეთს საშუალება მისცა ყველაფერი წართმეული უკან დაებრუნებინა, ყარსის ოლქიც ხელში ჩაეგდო და ქ. გუმბრს მისდგომოდა. მაგრამ გერმანიის [10] დამარცხების შემდგომ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ოსმალეთიც ფრანგ-ინგლისელებს [11] დაემორჩილა. სტა[მ]ბოლში და შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ინგლისელებისა და მის მოკავშირეების საოკუპაციო ჯარი რომ გაჩნდა,[12] დაშნაკელ სომეხთა მთავრობასა და პოლიტიკურ წრეებს დიდი სომხეთის აღდგენის იმედი კვლავ მოეცათ.[13] დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ დროს, 1918 წ. სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის, ვითომც ისტორიული, ფანტასტიური რუკა, რომელიც შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით შავ ზღვაზე მდებარე ადგილითგან ხმელთა შუა ზღვამდე აღწევს[14] და სელევკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილითგან ქ. არდაველის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალ ხაზით ამ სრულიადი სომხეთის სამზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება. ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისიც-კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული, და საქართველოს პატარა ვიწრო-კი ზოლი-ღა აქვს მიკუთვნებული.

---

1 რუსეთის პოლიტიკური წრეებისა და სამხედრო ხელმძღვანელობისათვის, ცხადია, ნათელი იყო, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ოსმალეთში მცხოვრები სომხების აჯანყება. მიუხედავად ამისა, რუსეთი ენერგიულად ცდილობდა ოსმალეთში მცხოვრები სომხების სახიფათო ავანტიურაში ჩათრევას.

2 ასეა.

3 ამ ადგილას დედანში გადაშლილია: **სინამდვილედ.**

4 დედანში გადაშლილია: **უმრავლე...**

5 შემდგომ დედანში გადაშლილია: **თავით.**

6 შემდგომ დედანში გადაშლილია: **და რუსეთში უპირებდა მოთავებას.**

7 ოსმალეთში მცხოვრები სომხების გენოციდის წინა ხანებში, უშუალოდ გენოციდის დროს და მის შემდგომ პერიოდში ნათელი გახდა, თუ როგორ ცდილობდა რუსეთი სომხების თავისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებას.

8 იგულისმება რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია, რომელმაც რომანოვების მონარქია დაამხო.

9 რუსეთის ჯარმა ოსმალეთის ოკუპირებული ტერიტორია (აღმოსავლეთი ანატოლია) ბრესტ-ლიტოვ-სკის საზავო ხელშეკრულების (1918 წლის 3 მარტი) ძალით დატოვა. იმავე ხელშეკრულების ძალით რუსებმა დატოვეს ოსმალეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ისტორიული ტერიტორია: ტრაპიზონი, არზრუმი, ყარსი, არტაანი, ართვინი და სხვ., და ასევე სომხეთის ისტორიული ტერი-ტორიის ნაწილი. ამით ისარგებლა ოსმალეთმა და 1918 წლის აპრილში ბათუმი დაიკავა, ხოლო შემდეგ მთელი აჭარის ოკუპაცია მოახდინა.

10 შემდგომ დედანში გადაშლილია: **და მისი მოკავშირეების.**

11 შემდგომ დედანში გადაშლილია: **წინაშე.**

12 ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა. მუდროსის ზავის (1918 წლის ოქტომბერი) ძალით ოსმალეთს სამხრეთ კავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიები უნდა დაეტოვებინა. სამხრეთ კავკასია ანტანტის (ინგლისის) საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. 1918 წლის დეკემბრის ბოლოსა და 1919 წლის იანვრის დამდეგს ინგლისის საოკუპაციო ჯარი ბათუმში შემოვიდა.

13 ოსმალეთში მცხოვრები სომხების გენოციდის შემდეგ სომეხმა პოლიტიკოსებმა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის გადასინჯვა დაიწყეს და მალე ანგლოფილურ ორიენტაციას დაადგნენ.

14 თავდაპირველად დედანში ეწერა: აღწევდა.

ამავე დროს, იმავე სტამბოლში ზემოხსენებული ფანტასტიური ისტორიული რუკისდა მიხედვით ახალი სრულიადი სომხეთის სახელმწიფოს რუკა იქნა გამოცემული, რომელშიაც სომხეთი უშველებელ სახელმწიფოდ არის წარმოდგენილი, თითქმის იმავე სამზღვრებითაა[1] აღნიშნული, ოსმალეთის დიდი ნაწილი შიგ არის მოქცეული; ტრაპიზონი, ორდუ, ქ. კესარია, ადანა, ედესსა, თვით სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილიც ქ. თავრიზითა და არდებილით სომხეთის კუთვნილებად არის აღბეჭდილი. ფანტასტიურ რუკასთან შედარებით აქ საქართველოს ოდნავ დათმობილი აქვს:[2] შავ ზღვაზე საზღვარი ბათუმის სამხრეთით იწყება, მახრიალის ჩრდილოეთით, იმერხევი სომხეთისად არის აღნიშნული, მაგრამ ახალციხე საქართველოშია მოქცეული. სამაგიეროდ, ახალქალაქი სომხეთშია აღნიშნული და [3] აქეთგან მოსამზღვრე ხაზი ჩრდილოეთისაკენ იწევს და საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოს შორის სამზღვარი ტფილისის ოდნავ სამხრეთით, ს. კოდასთან არის გატარებული. შემდეგ სომხეთის საზღვარი მტკვრის გასწვრივ მიიმართება და ქ. განჯა სომხეთის კუთვნილებად არის აღნიშნული. ცხადია, რომ ახალი სომხეთის სახელმწიფოსათვის ასეთი საზღვრები[4] ეთნოგრაფიულ პრინციპის მიხედვით[5] არ არის შემოფარგლული, ეს გეგმა არც ისტორიულ საფუძველზეა დამყარებული, რათგან არასდროს ასეთი სომხეთი, რომელიც პოლიტიკურად მე-11 ს. შემდგომ[6] აღარ არსებობს, არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ მის შემდგენელთ ოდნავი[7] ლიტონი საღი გონიერებაც-კი არ ატყვიათ.

სომხეთის მთავრობის დელეგაციამ, ყველა ამისდა მიუხედავად, ამგვარი რუკა მსოფლიო კონფერენციას[8] წარუდგინა სომხეთის სახელმწიფოს ამ ფარგლებში დასამტკიცებლად. ასეთი ფანტასტიური რუკის წინააღმდეგ ოსმალეთის დელეგაციას დიდი ბრძოლა არ დასჭირვებია, რათგან მან სტატისტიკური ცნობებით დაამტკიცა, რომ სომეხთა მოსახლეობის ომამდე არსებული რაოდენობის მიხედვითაც ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ოთკუთხა ვერსზე 2-3 სულზე მეტი[9] სომეხი არც-კი ეყოლებოდათ. სომეხთა დელეგაციის წარდგენილი რუკისა და სტატისტიკური ცნობების სიცრუე ყველასთვის ცხადი შეიქმნა და თვით ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი წარმომადგენლების[10] თვალში სომეხთა დელეგაციის ფანტასტიურ გეგმებს ყოველგვარი ნდობა დაუკარგა. სომეხ დაშნაკელ მთავრობისა და მმართველ პარტიების მთელი ეს უცნაური[11] და მათი დაუჯერებელი სიბეცის მომასწავებელი უზარმაზარი სომხეთის გეგმა დაიმსხვრა და საპნის ბუშტივით გაქრა.

მაგრამ სანამ სრულიადი სომხეთის ამ ახირებული გეგმის განხილვამდის მიდგებოდა საქმე, დაშნაკ-სომეხთა მთავრობა თავის რუკაზე დასახული გეგმის პრაქტიკულად შესრულებისათვის სამზადისს შეუდგა. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ქართველი ერის მოსახლეობას არ გადასცილებია და საქართველომ თავისად მხოლოდ ტფილისისა და ქუთაისის და ბათუმის[12] ყოფილი გუბერნიები გამოაცხადა. სომხეთის რესპუბლიკა, ოსმალე-

---

1 დედანში გადაშლილია: **არის.**

2 დედანში გადაშლილია: **საქართველოსადმი ოდნავი დათმობ...**

3 ამის შემდგომ დედანში გადაშლილია: **სომხეთის.**

4 თავიდან დედანში ყოფილა: **საზღვრების მიკუთვნება,** შემდეგ ჩამატებულია, მაგრამ ჩამატებაში გადაშლილია ჯერ: **უმეტეს,** შემდეგ: **რასაკვირველია.**

5 შემდგომ დედანში გადაშლილია: **ხომ იყო ეს გეგმა შედგენილი.**

6 შემდგომ დედანში გადაშლილია: **დაკარგ...**

7 ამ ადგილას დედანში გადაშლილია: **უბრალო.**

8 იგულისხმება პარიზის საზავო კონფერენცია (1919 წლის 18 იანვარი - 1920 წლის 21 იანვარი), რომელიც მოწვეულ იქნა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნების მიერ.

9 შემდგომ დედანში გადაშლილია ჯერ: **მცხოვრ...,** შემდეგ: **სული.**

10 შემდგომ დედანში გადაშლილია სამი სიტყვა, რომელთაგან გარკვევით იკითხება მხოლოდ პირველი – და, დანარჩენი ორი სიტყვიდან იკითხება მხოლოდ ცალკეული ასოები.

11 შემდგომ დედანში გადაშლილია ორი სიტყვა – **ზღაპრული და წარმოუდგენელი.**

12 რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში **ბათუმის გუბერნია** არ არსებულა, არსებობდა მხოლოდ **ბათუმის ოლქი,** რომელიც ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქუთაისის გუბერნატორს ექვემდებარებოდა. დედანში თვადაპირველად ეს ადგილი ასე იყო წარმოდგენილი: „საქართველომ თავისად მხოლოდ ტფილისისა და ქუთაისის ყოფილი გუბერნიები გამოაცხადა". ჩასწორების ჩემდეგ ავტორს **ქუთაისის** შემდეგ ჩაუმატებია **ბათუმის.** საბოლოოდ მივიღეთ: **"საქართველომ თავისად მხოლოდ ტფილისისა და ქუთაისის და ბათუმის ყოფილი გუბერნიები გამოაცხადა".** როგორც ჩანს, ავტორს ჩამატებისას გამორჩა სიტყვა **ოლქი,** რაზეც შეიძლება მიგვანიშნებდეს **ბათუმის** შემდეგ დედანში გადაშლილი ასო **ო.**

თის სომხეთ[ი]ს გარდა, რომელიც ხელითგან წაუვიდა, ერევნის გუბერნიას გარდა, ყარსის მთელ ოლქსაც არტაან-ართვინითურთ ეპატრონებოდა. მაგრამ არც ამით დაკმაყოფილებულა. წინასწარი ფარული სამხედრო სამზადისის შემდგომ ინგლისის საოკუპაციო ჯარის უფროს გენერალ უო[რ]კერთან შეთანხმებით 1918 წ. დეკემბრის დამდეგს სომხეთის დაშნაკელთა მთავრობამ თავისის ჯარი საქართველოს შემოუსია[1] და თანაც საგარეო საქმეთა მინისტრის პირით საქართველოს ულტიმატურად მოსთხოვა ქართლის საზღვრამდის დაეხია (Закарталинския земли). რათგან ქართლად[2] სომხები გორის მაზრასა სთვლიან, ცხადია, რომ ეს ულტიმატუმი ტფილისის დაცლასაც გულისხმობდა და, ამგვარად, ეს მოთხოვნილება ზემოაღნიშნული სომხეთის ორ[3] რუკათაგან ყველაზე უფრო ფანტასტიურ, ვითომც ისტორიული რუკის საზღვრების აღდგენას ლამობდა. ოსმალეთში საქმის წაგებას სომეხ პოლიტიკოსთა მადა საქართველოს მიწა-წყლის წასართმევად და დასაკუთრებისათვის არამცთუ არ დაუკარგვინებია,[4] პირიქით, გაზრდიათ კიდეც. ძველი სომხეთის ვითომც ისტორიული საზღვრების აღდგენა საქართველოსა და ქართველი ერის ხარჯზე უნდოდათ, ეხლა რომ მოხერხებულიყო.[5]

ამ უგუნურმა მეზობელთა შორისმა ომმა და სისხლისღვრამ სომხეთს გამარჯვება ვერ არგუნა და დაშნაკელთა მთავრობას ისევ წინანდელით[6] დაკმაყოფილება მოუხდა.[7] ამგვარად, სომხეთის ვითომც ისტორიული საზღვრების აღდგენის[8] თავისი სამხედრო ძალით შესაძლებლობის იმედი გაუცრუვდა.

სხვა გზით და სხვა საშუალებით დაშნაკელთა ამ გეგმის განხორციელების მცდელობა შემდეგშიაც არ შეწყვეტილა. იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უმალ ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებთა სურვილის გასაგებად მოხდენილმა შეკითხვამ მათი საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ფარგლებში დარჩენის წადილი[9] და გეოგრაფიული და ეკონომიური მოსაზრება-ინტერესებით[10] ნაკარნახევი გადაწყვეტილება კვლავ დაადასტურა, ლორეს რაიონის სომხეთთან შეერთების[11] გეგმის განხორციელებას სომეხთა წრეებმა მიაღწიეს;[12] თუმცა[13] ეს ქართველი ხალხის მესაქონლეობის ინტერესებისათვის საზიანო იყო და არის და ადგილობრივ მცხოვრებთათვისაც ეს არავითარი მოსაზრებით სასარგებლო არ იყო. 1922 წ. სომეხთა იმავე წრეების ახალი პროექტი[14] იქმნა წარმოდგენილი, რომ ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის უდიდესი ნაწილი ბორჩალოს მაზრასთან ყოფილიყო შეერთებული და ერთი სომხური ადმინისტრაციული ერთეული შექმნილიყო.[15] რათგან სომეხთა ეროვნული ინტერესები ენისა, სკოლისა და ადგილობრივ მმართველობის მხრივ უზრუნველყოფილი იყო და თანაც ბორჩალოს მაზრასა და ჯავახეთს შორის არაფერია საერთო არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურად არ არსებობდა,[16] მათ შორის

---

1 ივანე ჯავახიშვილი სავსებით სწორად უსვამს ხაზს ინგლისის მთავრობის საძრახის როლს საქართველო-სომხეთის ომში. ომში ინგლისი აშკარად დადგა აგრესორი სომხეთის მხარეზე.

2 დედანშია: **ქართლს.**

3 შემდგომ დედანში გადაშლილია: **ფან...**

4 დედანში გადაშლილია: **დაჰკარგვიათ.**

5 დედანში ამ სიტყვის წინ გადაშლილია: **გან...**

6 შემდეგ დედანში გადაშლილია: **საზღვრებით.**

7 1918 წლის დეკემბერში საქართველო-სომხეთის ომი სომხეთის სამარცხვინო მარცხით დამთავრდა. მძიმე შედეგებისაგან სომხეთი ინგლისმა იხსნა, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სომხეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა მოსთხოვა.

8 შემდეგ დედანში გადაშლილია: **პრაქტიკული განხორციელების.**

9 ამ ადგილას დედანში გადაშლილია: **სურ...**

10 ამ ადგილას დედანში გადაშლილია: **ფაქტორებ...**

11 ამ ადგილას დედანში გადაშლილია: **მიკუთვ...**

12 აღსანიშნავია, რომ ლორეს რაიონის გამო 1921 წლიდან სომხეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე დავის დროს საბჭოთა რუსეთმა აშკარად სომხების მხარე დაიჭირა, ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სომხეთიც და საქართველოც საბჭოთა რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული.

13 დედანში გადაშლილია: **იმისდა მიუხედავად, რომ.**

14 ამ ადგილას დედანში გადაშლილია: **გეგმა.**

15 ამ სიტყვის წინ დედანში გადაშლილია: **ყოფილიყო.**

16 ამ ადგილას წინადადება ერთი ფურცლიდან მეორეზე გადადის და გადატანისას **„არ არსებობდა“** ზემოდან არის ჩამატებული, რაც სრულიად ზედმეტია, ვინაიდან წინა ფურცელზე წერია: **არაფერია საერთო**. როგორც ჩანს, ავტორს დაავიწყდა წაშალა მეშველი ზმნისეული ა სიტყვაში **არაფერია.**

არსებული გაუვალი მთების გამო ფიზიკური კავშირიც-კი შეუძლებელია, ცხადია, ეს გეგმაც მხოლოდ ამ ორი მაზრის საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის საზღვრებითგან გამოყოფვისა და სომხეთთან შეერთებისათვის[1] ოსტატურად მოგონილი პირველი საფეხურის პროექტი იყო, რომელსაც აუცილებლად მეორეც მოჰყვებოდა. საკმარისია ადამიანმა დაშნაკელთა რუკებს თვალი გადაავლოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რომ აქაც ბრძოლა მხოლოდ იმავე წინანდელი მიზნის სხვა გზით განხორციელებისათვის სწარმოებდა. სსრ[2] შინაგან საქმეთა კომისარიატმა ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების მცხოვრებთა აზრისა და ოროგრაფიულ-ეკონომიური ფაქტორების[3] გამო ამ გეგმის განხორციელება შეუძლებლად სცნო, რაც მან 1/26 თებერვალს 1923 წ. [საქართველოს] კომუნისტური პარტიის ცენტრ[ალურ] კომიტეტს №221/1367 აცნობა კიდეც. ცენტრალურ კომიტეტის მიერაც ეს დასკვნა დადასტურებულ იქმნა.

ამის შემდგომ სომეხთა იმავე წრეების შთაგონებით წამოყენებულ იქმნა საქართველოს ყარაია-შირაქის ველის სომხებით დასახლების პროექტი. ეს ადგილები უნდა სარწყავი არხების გაყვანით მორწყულიყო და აქ სომხებს მებამბეობის მეურნეობა უნდა მოეწყოთ, რომელიც, მათი სიტყვით, რუსეთის საფეიქრო ინტერესებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია და საჭირო. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიაც ივ. ხატისოვისებური[4] მოსაზრება იყო წარმოდგენილი. რომ, ამავე დროს, წყალი ქართველ ხალხს თავისთვისაც არ ჰყოფნიდა და ამ მინდვრების მორწყვა ქართული სამეურნეო კულტურის[5] განადგურებას უდრიდა, ამაზე სომეხთა პოლიტიკოსები[6] არ ფიქრობდენ. ამ სომეხთა პროექტის განხორციელების სრული შეუძლებლობის დამტკიცება საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და, ამგვარად, ეს პროექტიც უარყოფილ იქმნა. დამახასიათებელია, რომ ფრ. ნანსენმაც[7] ტფილისში ჩამოსვლისთანავე ამავე საკითხზე დაიწყო ლაპარაკი და უნდოდა გაეგო, თუ რამდენად შესაძლებელი იყო საქართველოს ამ კუთხეში ლტოლვილი სომხების დასახლება. ცხადია, რომ ფრ. ნანსენსა და აქაურ სომეხთა პოლიტიკოსებს სულის წმინდის შთაგონებით არ მოსვლიათ ერთი და იგივე აზრი[8], არამედ რომ აქ ჩვენ[9] სომხეთისათვის პოლიტიკურ ტერიტორიის ხელოვნურად შექმნის დაშნაკელთა[10] ძველი, ზემოდასახელებულ რუკებზე აღბეჭდილი გეგმის განხორციელების ხელახალ[11] მცდელობასთან გვაქვს საქმე.[12]

დასასრულ, ეხლა ორიოდე სიტყვა კიდევ ვითომც ახალ პროექტებზე[13] ჯავახეთისათვის ავტონომიის მინიჭებისა და გამოყოფვის აუცილებლობისა შესახებ. ყველა ზემონათქვამის შემდეგ ცხადია, თუ საითგან და რისთვის მომდინარეობს ეს პროექტიც. არც გეოგრაფიული და არც ეკონომიური პირობები არ შეცვლილა. სომეხთა ეროვნული ინტერესები ეხლა ხომ სავსებით უზრუნველყოფილია. მაშ, რით-ღა არის ეს ვითომც ახალი გეგმა გამოწვეული, თუ არა იმავე პოლიტიკურ-ტერიტორიალური მიზნის მისაღწევად. ამ გეგ-

---

1 შემდგომ დედანში გადაშლილია: **საქართ...**

2 ასეა, იგულისხმება **სსსრ** (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა).

3 ამ სიტყვის წინ დედანში გადაშლილია: **მოსა...**

4 შემდგომ დედანში ჩამატებულია და ისევ გადაშლილია: **ოინბაზური.**

5 დედანშია: **კულტურას.**

6 შემდგომ დედანში გადაშლილია: **საერ...**

7 **ფრიტიოფ ნანსენი (1861-1930)** – ცნობილი ნორვეგიელი მოგზაური, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ნობელის პრემიის ლაურეატი. 1925-1929 წლებში ხელმძღვანელობდა სომეხ ლტოლვილთა საბჭოთა სომხეთში რეპატრიაციის კომისიას. 1925 წელს ჩავიდა ერევანში და რამდენიმე დღით თბილისსაც ეწვია.

8 ივანე ჯავახიშვილი სავსებით სწორად დაასკვნის, რომ ფრ. ნანსენი მოსკოვის შეკვეთით სომეხ პოლიტიკოსებს უჭერდა მხარს.

9 შემდგომ დედანში გადაშლილია: **საქმე გვაქვს.**

10 შემდეგ დედანში ჯერ ჩამატებულია, ხოლო შემდეგ გადაშლილია: **იმავე.**

11 აქ დედანში გადაშლილია: **განახლებულ.**

12 ივანე ჯავახიშვილი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ საბჭოთა სომხეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოს მიმართ დაშნაკთა მიერ შემუშავებული ჰეგემონისტური გეგმის განხორციელებას ცდილობდა.

13 შემდგომ დედანში გადაშლილია: **შესახებ.** თავდაპირველად იყო: **პროექტის შესახებ,** საბოლოოდ დარჩა: **პროექტზე.**

მის განხორციელებით, ამავე დროს, ქართველ მშრომელ ხალხის იმ ნაწილს, რომელიც მესაქონლეობას მისდევს, არსებობის უკანასკნელი ლუკმა უნდა ექმნეს პირითგან გამოგლეჯილი და მეცხვარეობა საქართველოში უნდა მოისპოს სრულიად. თუ წინანდელი რუსეთის ბატონობის დროს ქართველი ხალხის ინტერესები საქართველოში ფეხქვეშ იყო გათელილი და თავისუფალი მიწა საქართველოში რუს და სომეხ მოხელეების პოლიტიკის წყალობით მხოლოდ სომხებმა და რუსებმა ჩაიგდეს ხელში, ნუთუ ეხლაც შესაძლებელია, რომ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები სომეხ დაშნაკელ პოლიტიკურ-ეროვნულ პროექტების განხორციელებას შეეწიროს მსხვერპლად? ეს იმდენად დაუჯერებელი რამეა, რომ დარწმუნებული ვარ, ს.ს.ს.რ. მთავრობა ამ პროექტსაც უარჰყოფს იმგვარადვე, როგორც უარყოფილი იყო იმავე წრეებითგან გამომდინარე ზემოაღნიშნული ამისივე მსგავსი პროექტები.[1]

1925. 2. VII.

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 471, აღწერა 1, საქმე 98, ფურცლები 82-111.

Vakhtang Guruli, Avtandil Arabuli

Ivane Javakhishvili about Settlement of Armenians and their territorial Claims

Resume

In 1925 Ivane Javakhishvili wrote a study, which was not published in his life. Manuscript of a study has not got a title. The content of the study is about the settlements of Armenians from Iran and Turkey in various regions of Georgia. These settlements were consistently realized by government of Russian Empire. The second part of the study is about unproved territorial claims of Armenian politicians towards Georgia. Ivane Javakhishvili proved injustice and groundlessness of Armenia's territorial claims.

[1] ივანე ჯავახიშვილს, ცხადია, დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოლიტიკურ შეგნებაში ეროვნულ გრძნობას გააღვიძებდა; დიდ მამულიშვილს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იგი უკანანასკნელ იმედს ებღაუჭებოდა.

სახელმწიფო საზღვრების აღწერა 1922 წლის „საქართველოს რესპუბლიკის რუკის“ მიხედვით

მანანა კვეტენაძე[1]

ივანე ჯავახიშვილის ხელდასხმით შექმნილ კარტოგრაფიულ ნაწარმოებებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „საქართველოს რესპუბლიკის რუკა“ [ჯავახიშვილი, 1922]. იგი 1:420,000 მასშტაბის რუკაა, რომელიც მოიცავს 4 ფურცელს (ზომები: 49.6 x 64.4 სმ). ცალკეული გამონაკლისების [სართანია, ნიკოლაიშვილი, 2016; კვეტენაძე, 2016] გარდა, რუკა ფაქტობრივად დღემდე არავის უკვლევია და ნაკლებადაცაა ცნობილი სპეციალისტებისათვის. მისი 2 ეგზემპლარი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. შინაარსობრივი თვალსაზრისით რუკა ზოგადგეოგრაფიულია, თუმცა მასზე დატანილი ტყის საფარი, მას თემატური რუკის დატვირთვასაც ანიჭებს.

რუკაზე დატანილია საქართველოს რესპუბლიკის 2 საზღვარი: „საქართველოს რესპუბლიკის ახალი საზღვრები“ და „საქართველოს რესპუბლიკის ძველი საზღვრები“. მათ შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა. არც ამ რუკით და არც ივ. ჯავახიშვილის სხვა ნაშრომებითაა შესაძლებელი ზუსტად გაირკვეს რა იგულისხმება „ძველ“ და „ახალ“ საზღვრებში. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემულ გამოფენის მეგზურში „ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“ [სართანია, ნიკოლაიშვილი და სხვ., 2016] ვკითხულობთ: *„ახალი საზღვრები“ თითქმის მთლიანად ემთხვევა საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო საზღვრებს. მის უმთავრეს მონაკვეთზე, იგი ასახავს იმ პოლიტიკურ რეალობას, რომელშიც იმ პერიოდში, გასაბჭოების შემდეგ იყო საქართველო და ეფუძნება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც დაიდო საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის სახელმწიფო საზღვრის გამიჯვნასთან დაკავშირებით... რუკის ლეგენდიდან საერთოდ არ იკითხება ზუსტად რა პერიოდს შეესაბამება იგი. მაგრამ არ უნდა იყოს საკამათო ის ფაქტი, რომ ძველი საზღვრები ასახავს 1921 წლამდე, ანუ საქართველოს გასაბჭოებამდელ ვითარებას“* [სართანია, ნიკოლაიშვილი და სხვ., 2016. გვ. 38].

ნახ. 1. 1922 წლის რუკის ფრაგმენტი

სტატიაში განხილულია საკვლევ რუკაზე ასახული საზღვრების გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი და ისინი შედარებულია სხვადასხვა მასშტაბის საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე მოცემულ ანასახთან [Советские топографические..., 1942-1989].

გარკვეულ კითხვას ბადებს ის ფაქტი, რომ რუკაზე სრულყოფილად არ არის მოცემული საქართველოს მთელი ტერიტორია. კერძოდ, მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი - ბიჭვინთის მერიდიანის დასავლეთით მდებარე ტერიტორია (ნახ. 1). რთულია დღეს ამ გარემოების მიზეზის

[1] ორგანიზაცია „სურვსერვისის“ გის-სპეციალისტი, გეოგრაფიის მაგისტრი.
mananakvetenadze@gmail.com

ახსნა, თუ რატომ იწყება ქვეყნის საზღვრის კონტური არა შავი ზღვიდან, არამედ პირდაპირ კავკასიონიდან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუკის მასშტაბი ვერ ჩაეტია სასტამბო ფორმატის ზომებში, ან იგი საბჭოურ კონიუქტურას დავაბრალოთ - შენიღბულ სურვილს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში არ მოქცეულიყო ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელზეც უკვე დიდი ხნის მანძილზე „თვალი ეჭირა“ ჯერ რუსეთის იმპერიას და შემდგომ „მოძმე“ რუსეთის სსრ-ს.

„საქართველოს რესპუბლიკის ახალი საზღვრები“

რუკის მიხედვით **„საქართველოს რესპუბლიკის ახალი საზღვრები“** იწყება ჩრდილო-დასავლეთიდან დაახლოებით იმ ადგილიდან, სადაც მთავარ ქედს გამოეყოფა **გაგრის ქედი**. შემდგომ საზღვარი მიემართება აღმოსავლეთისაკენ და აღწევს **მთა აგეფსთას** (10699 ფ = 3261.0552 მ = 3257 მ)[1]. აქედან საზღვარი მიუყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს და გაივლის გადასასვლელებს: **ჩამახარა პხალეკირს** (ახლ. ჩმახარა), **სანგარა ახს** (ახლ. სანჩარი) და **ცაჩერკერს**. ამ უკანასკნელზე გადის სოხუმიდან და გუდაუთიდან ყარანირ-პსებაისაკენ (ამჟამად კრასნოდარის მხარე) მიმავალი გზა. აქ იგი სასოფლო გზის სტატუსისაა. შემდგომ საზღვარი აღწევს **მთა პსიშს** (12424 ფ = 3786.8352 მ = 3790 მ).

საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით, საზღვარი ამ მონაკვეთზე გადის უფრო სამხრეთით, ვიდრე აღნიშნულ რუკაზეა მოცემული. სახელწოდება კი საკვლევ რუკაზე არასწორად უნდა იყოს მითითებული, კერძოდ, მ. პსიშის (ახლ. ფსიშის) ნაცვლად უნდა ეწეროს მ. პშიში (ფშიში, г. Пшиш). ამის თქმის საფუძველს გვაძლევს საზღვრის გასწვრივ მდებარე ოროჰიდროგრაფიული ობიექტები და ამ რუკაზე მითითებული სიმაღლე ფუტობით. მ. პსიშის სიმაღლე აქ მითითებულია 12424 ფუტი, რაც შეესაბამება 3786.8352 მ-ს. საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკიდან კი ირკვევა, რომ სწორედ მ. ფშიშის აბსოლუტური სიმაღლე (3790.0 მ) უახლოვდება მას, ხოლო მ. ფსიშის (3489.7 მ) - გაცილებით ნაკლებია და მათ შორის განსხვავება 300 მ-ზე მეტია (ნახ. 2).

ნახ. 2. მ. ფსიშის მიდამოები

(1922 წლის და საბჭოთა ტოპოგრაფიული (1:100,000) რუკების მიხედვით)

[1] აბსოლუტური სიმაღლეები მითითებულია შემდეგი თანამიმდევრობით: ფუტობით (როკის მიხედვით), მეტრობით (გადაყვანილი ფუტიდან მეტრში), მეტრობით (ტოპოგრაფიული რუკების მიხედვით).

შემდეგ საზღვარი გასდევს მთა **კაპიშისტრასა** და **მარუხის უღელტეხილს,** რომელზეც გადის ზელენჩუკსკაია-გეორგიევსკოეს დამაკავშირებელი ბილიკი.

საზღვარი ჯერ კვეთს იმ სოფლებიდან მიმავალ ბილიკებს, რომლებიც მდ. კოდორის აუზშია მოქცეული, შემდეგ კი - ქ. სოხუმიდან მიმავალ საეტლე გზას, **კლუხორის გადასასვლელს** (ახლ. ქლუხორის უღელტეხილი) და სოხუმ-ტებერდის (ახლ. ქ. თებერდა) დამაკავშირებელ საეტლე გზას. საზღვარი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით. კიდევ უფრო აღმოსავლეთით საზღვარი გაივლის **გადასასვლელს ნახარს,** მთებს - **ნახარს, გვანდრას, ჩალპანთაუს** და ასე აღწევს **მთა უზუნკალიმდე,** რომელიც აფხაზეთ-სვანეთის საზღვარზე მდებარეობს. შემდეგ საზღვარი კვეთს სასოფლო ბილიკს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მდ. კოდორის აუზის სოფლებს ერთი მხრივ, მცირე სოფელთან ხურძუკთან, მეორე მხრივ კი, ასევე მცირე სოფელთან თეგენიკშთან. უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს მთები: **დონღუს ზარი, წალმაკი, შეკუ, გულის გად.**[1] და **მთა უშბა**.

ნიშანდობლივია, რომ ზემოთ დახასიათებულ მონაკვეთზე ქვეყნის საზღვარი მთლიანად ემთხვევა საქართველო-რუსეთის თანამედროვე საზღვარს. გამონაკლისია მხოლოდ მთა უშბა, რომელიც ამჟამად მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის მცირე განშტოებაზე და იგი მთლიანად მოქცეულია საქართველოს ფარგლებში, ხოლო საკვლევ რუკაზე - საზღვრის კონტურზე.

საზღვრის შემდგომი მონაკვეთი კვეთს უღელტეხილებს: **თალისა** და **ჯაბერის,** რომლებიც სასოფლო ბილიკებით აკავშირებენ მდ. კოდორის აუზის სოფლებს ჩრდილო კავკასიის მცირე სოფლებთან - კიზგენთან და შუდაევთან. საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკაზე თალისა და ჯაბერის უღელტეხილების მიდამოებში საზღვრის კონტური შედარებით ჩრდილოეთით გადის, ვიდრე საკვლევ რუკაზეა იგი მოცემული.

კიდევ უფრო აღმოსავლეთით საზღვარი აღწევს უსახელო უღელტეხილსა (სასოფლო ბილიკით აკავშირებს მცირე სოფლებს ადიშსა და ბეზენგს) და **მთა თეთნულდს.** კიდევ უფრო აღმოსავლეთით კი სვანეთისა და ქვემო სვანეთის (ცაგერის მაზრა) საზღვარია. ქვემო სვანეთის საზღვარზე ერთადერთი ობიექტია დატანილი - **გად. შარივცეკი** (მაჩხაფარის უღელტეხილი). თუმცა **გეზევცეკის,** იგივე **გეზეს უღელტეხილი,** რომელიც ამჟამად საქართველოსა და ყაბარდო-ბალყარეთის საზღვარზეა, საქართველოს მიღმაა დარჩენილი. აქედან საზღვარი მიემართება ონის მაზრისაკენ, აღწევს მთებს: **ფასის მთასა** და **ადაი ხოხს** (1524 ფ = 464.5152 მ = 4404.9 მ, г. Адаихох). მათ შორის კი მოქცეულია უსახელო უღელტეხილი, რომელიც სასოფლო ბილიკით აკავშირებს ღებსა და დალაკუმს. საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით, საზღვარი აქ გადის მთა ადაი ხოხის დასავლეთით მდებარე **მთა ჭანჭახზე** და არა ადაი-ხოხზე.

მთა ადაი-ხოხიდან საზღვარი მკვეთრად უხვევს ჯერ სამხრეთისაკენ, შემდეგ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ და ამით ქმნის მკვეთრ რკალს, ისე როგორც საქართველოს თანამედროვე საზღვარია დვალეთის ქედის გაყოლებაზე. აქ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (აო) საზღვარია, სადაც მდებარეობს **მამისონის უღელტეხილი** (9282 ფ = 2829.1536 მ = 2819 მ). მასზე გადის გლოლა-ვალაგირის დამაკავშირებელი საეტლე გზა. ამავე ქედზეა: **გად. ავეშენჯი ბარზონდი,** რომელზეც გადის ონი-ზ. კვაჟა-ჟღელეს დამაკავშირებელი სასოფლო ბილიკი. შემდეგ საზღვარი აღწევს **მთა ხალაწას** (12975 ფ = 3954.78 მ = 3938 მ), **გად. ძედოს** (გადის კობიანი-კაზათკაუს დამაკავშირებელი ბილიკი), **ზეკარის მთას, ბრუტსაბძელის გად.-ს** (12563 ფ = 3829.2024 მ), კვეთს ერწო-უაჩას სასოფლო ბილიკს. საზღვრის შემდგომ მონაკვეთზე სამი უსახელო უღელტეხილია, რომლებიც აკავშირებენ ჯავა-გინათის, ჯავა-ქვ. პურიათის, ბესათკაუ-ჟბას სასოფლო გზებს. ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-ს საზღვრის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი წერტილია **მთა ზილჩახოხი**[2] (12645 ფ = 3854.196 მ = 3856.8 მ). შემდეგ საზღვარი ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებას იღებს. თუმცა საკვლევი რუკის საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკასთან შედარებამ ერთი უზუსტობა გამოავლინა: მთა ზილგახოხის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს **მთა ვაკიკფარსი.** სწორედ აქ გადიოდა და გადის ჩვენი ქვეყნის საზღვარი, მთა ზილგახოხი კი ქვეყნის შიგნითაა მოქცეული და არა საზღვრის კონტურზე. ამაზევე მიგვანიშნებს ამ ადგილის ოროჰიდროგრაფიული ობიექტების ლოკალიზაციაც.

ამის შემდეგ იწყება დუშეთის მაზრის საზღვარი, სადაც მდებარეობს უსახელო უღელტეხილი, კობი-ბუგულთიკაუს დამაკავშირებელი სასოფლო ბილიკით. შემდგომ საზღვარი

---

[1] საკვლევ რუკაზე უღელტეხილების წარწერები მოცემულია „გადასასვლელის“ შემოკლებული ფორმით – „გად.“.

[2] ამჟამად ზილგახოხი.

აღწევს **მთა სირხუბარზოის** (13637 ფ = 4156.5576 მ, г. Сырхыба-дзонд). იგი მდებარეობს ხევის საზღვრის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილში, თუმცა თანამედროვე საზღვარი მისგან სამხრეთით არის გადმოწეული. შემდგომ საზღვარი აღწევს **მთა მყინვარს,** იგივე **ყაზბეგს** (16553 ფ = 5045.3544 მ = 5047 მ), **მთა ჩათხოხს.** საზღვრის შემდეგი მონაკვეთი კვეთს მდ. თერგს ხეობასა და კობი-ლარსსკაიას დამაკავშირებელ გზატკეცილს. საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკაზე საზღვარი აქ გადის დარიალის ციხესიმაგრის ჩრდილოეთით.

აქედან საზღვარი მკვეთრად ეშვება სამხრეთ-აღმოსავლეთით, აღწევს **მთა შანს.** სწორედ აქ მთავრდება დუშეთის მაზრის და იწყება თიანეთის მაზრის საზღვარი. საზღვარი ჩრდილოეთისაკენ მიემართება. საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით კი საზღვარი მისგან სამხრეთით მდებარე შემდეგ მთებზე გადის (ნახ. 3). აქ იგი კვეთს მთას **ბაჩახს** (4291.0), **უღ. შებუღელს** (3490.6), **უღ. სახარისღელეს** (3691.0). საზღვარი კვეთს ჯერ ამღა-კიახტის დამაკავშირებელ ბილიკს, მდ. **ასის ხეობას, მთა ბასთილამს,** კობალხოი-ბასხოის, ბახაო-ბასხოის დამაკავშირებელ ბილიკებს. საზღვრის ამ მონაკვეთზე საქართველოს ესაზღვრება ინგუშეთი. შემდგომ საზღვარი კვეთს შატილ-კობალხოი-ნიცხოის დამაკავშირებელი სასოფლო ბილიკს და **მდ. არღუნის ხეობას.** აქედან საზღვარი ჯერ მკვეთრად ეშვება სამხრეთით, სადაც მდებარეობს **თებულოს მთა** (14781 ფ = 4505.2488 მ = 4493 მ). შემდგომ საზღვარი კვეთს ჭონტიო-თიუილშოის, ჭონტიო-ლომერხლის, ნაქუდურთაცესის, მაზოლთანო-ნაქუდურთას ბილიკებს, **მთა ქაჩუს** (11423 ფ = 3481.7304 მ), უსახელო მწვერვალს (4423 მ = 1348.1304 მ), **დონოს მთას** (13798 ფ = 4205.6304 მ = 4174 მ), **დიკლოს მთას,** საიდანაც საზღვარი მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ. აქ იგი კვეთს დიკლო-ხუშათის დამაკავშირებელ ბილიკსა და **მდ. ანდის ყოისუს ხეობას.** კიდევ უფრო სამხრეთით მთავრდება თიანეთის მაზრის და იწყება თელავის მაზრის საზღვრები. იგი კვეთს ღვთისშობელის ეკლესიასა და მცირე **სოფელ ხუპროს,** აგრეთვე ართანა-ხუპროს დამაკავშირებელი ბილიკს. შემდგომ საზღვარი აღწევს **მთა ორწყალის წვერამდე** (9744 ფ = 2969.9712 მ). კახეთის კავკასიონის ამ მონაკვეთზე, თხემის გასწვრივ, **მთა ორწყალის წვერიდან** (ყვარელის მაზრა) მთა მაჩხალიმდე, (სიღნაღის მაზრა) საზღვრის გასწვრივ საცალფეხო ბილიკია.



ნახ. 3. მ. შანის მიდამოები

(1922 წლის და საბჭოთა ტოპოგრაფიული (1:100,000) რუკების მიხედვით)

საზღვრის შემდგომ მონაკვეთზე მდებარეობს მთები: **ტბისთავი, მუხათციხე** (9993 ფ = 3045.8664 მ), **საქედის წვერი** (6755 მ), **ხუბიარა, ასაკიდისთავის წვერი** (მ), **ნინიკოს ციხე** (10251 ფ = 3124.5048 მ = 3117 მ). შემდგომ საზღვარი აღწევს ბილიკს, რომელიც ადის კახეთის კავკასიონის თხემზე და მიემართება აღმოსავლეთისაკენ შავიკლდის მიმართულებით. შემდგომ საზღვარზე მდებარეობს მთები: **დურუჯის თავი, შავი კლდე** (9605 ფ = 2927.604 მ), **სიმური, მუშაკი.** საზღვრისპირას, საქართველოს ფარგლებში მდებარეობს მცირე სოფელი **ვანთმაშენი.** საზღვარი აღწევს თელავისა და სიღნაღის მაზრების საზღვრამდე. სიღნაღის მაზრის ფარგლებში მდებარეობს მცირე სოფელი **ხიმრიკი.** შემდგომ საზღვარი გასდევს მთებს: **ჩარა-სილდისთავი, ჩართულს, ს, მაჩხალს.** შემდგომ საზღვარი მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ და გასდევს კავკასიონის სამხრეთ ფერდობს, მდ. მაწიმისწყლის ხეობას, ლაგოდეხ-განათლება-ზაქათალის დამაკავშირებელ გზატკეცილსა და ლაგოდეხ-კობახჩოწითელიწყაროს დამაკავშირებელ საფოსტო გზას.

საზღვრის შემდგომი მონაკვეთი **მდ. ალაზნის ხეობაა.** არმისული მცირე სოფელ ზემოქედამდე, საზღვარი გადადის მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს იმგვარად, რომ სამხრეთისაკენ ექცევა საქართველოს, ხოლო **წინა მინდვრად** წოდებული ველი საქართველოს ფარგლებს მიღმა. საზღვრის შემდეგი მონაკვეთი აღმოსავლეთიდან უვლის **ელდარის ველს**. აქ გადის სასოფლო ბილიკები მცირე სოფლებიდან: სახლი შირაქისა გ. და ქასამანიდან სანგერისაკენ მიმავალი. საზღვრის ხაზი იმგვარად მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რომ მცირე სოფელი უსუფლი რჩება საქართველოს ფარგლებში, ხოლო მცირე სოფელი ყარასაღკახ - მის ფარგლებს გარეთ.

სამხრეთი საზღვარი იწყება შავი ზღვის სანაპიროზე, ბათომის მაზრის გასწვრივ, **დაბა სარფთან**, რომელიც პირდაპირ საზღვრის კონტურზეა დატანილი რუკაზე. აქ გადის ბილიკი, რომელიც აკავშირებს სარფს ლაზი უჩყარდაშთან (მცირე სოფელი) და მაკრიალთან (დაბა). საზღვარი მიემართება აღმოსავლეთისაკენ, კვეთს **მდ. ჭოროხის ხეობას,** აჭარისწყალ-კინცხანა-ხება-ბორჩხას დამაკავშირებელ გზატკეცილს. საზღვარი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ადის **შავშეთის ქედის** თხემზე და აღწევს **ხედის მთას** (7052 ფ = 2149.4496 მ). შემდგომ საზღვარი უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით იმგვარად, რომ საქართველოს მხარეს ექცევა: მცირე სოფლები – ქავთარეთი და ქვ. ხერთვისი, ხოლო მის გარეთ – დაბა მინდიეთი. აქ გადის აჭარის აღმართ-ქვ. ხერთვის-მინდიეთის დამაკავშირებელი სასოფლო გზა. საზღვარი აღწევს აჭარისწყალისა და ქედის მაზრების საზღვრამდე და შემდგომ **მთა გერათკესუნამდე** (6488 ფ = 1977.5424მ). შემდეგ საზღვრის კონტური იღებს მკვეთრად აღმოსავლეთის ორიენტაციას და კვეთს მდ. აკრიასის ხეობიდან მდ. აჭარისწყლის ხეობისაკენ მიმავალ სასოფლო ბილიკებს, **მთა საღორიას.** საზღვარი კვეთს **კარჩხალის მთებს.** იგი აღწევს ქედისა და ხულოს მაზრების საზღვარს და გაივლის მთებს: **ხევას** (9291 ფ = 2831.8968 მ = 2812 მ), **სარიჩაის** (8478 ფ = 2584.0944 მ). საზღვრის ამ მონაკვეთზე იაილების სიმრავლეა, განსაკუთრებით თანამედროვე საქართველოს მიღმა დარჩენილ იმ ნაწილში, რომელიც 1921 წლამდე ქვეყნის ფარგლებში შემოდიოდა. საზღვრისპირა ზოლში აქ მდებარეობს იაილები: ტბეთი, დიობანი, ბოზთა, შოლთი და წყალშიმცრი. საზღვარს კვეთს ტელეთ-ყველის დამაკავშირებელი ბილიკი. შემდგომ იგი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და აჭარას მიჯნავს ფოცხოვისაგან. აქ გადის მუმღუ-ტავასის, ბაკო-ზ. ჩაბორიასა და გოდერძის უღელტეხილიდან შუაწყალისკენ მიმავალი ბილიკები.

ამრიგად, აღნიშნულ რუკაზე დატანილი საზღვრების ანალიზით დადგინდა, რომ 1922 წლისათვის:

- საქართველოს რესპუბლიკის ახალი საზღვარი, მის უდიდეს პერიმეტრზე, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ემთხვევა თანამედროვე საზღვარს. ყველაზე მეტი თანხვედრაა ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარზე, ხოლო არათანხვედრა - სამხრეთ საზღვარზე;
- კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ თანამედროვე საზღვარს არ ემთხვევა მთა ფშიშის, უშბის, ადაი-ხოხისა და სხვა მონაკვეთები და ისინი უფრო სამხრეთითაა გატარებული;
- გზატკეცილების, სასოფლო გზებისა და ბილიკების, აგრეთვე საეტლე და საფოსტო გზების სიმრავლე საქართველოს საზღვრის გასწვრივ აფხაზეთის, დვალეთის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, აჭარის, სამცხის, ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის მონაკვეთებზე იმ ფაქტის დამადასტურებელია, რომ აქ ოდითგანვე გადიოდა

საქართველოს თანამედროვე და მისი მოსაზღვრე ისტორიული ტერიტორიების დამაკავშირებელი სამიმოსვლო გზები, რომლებიც ეკონომიკურ და კულტურულ ფუნქციას ასრულებდნენ. ამის შესახებ თვით ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა თავის ნაშრომებში. როგორც ჩანს, ამ გზებს ეს ფუნქცია ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული უნდა ჰქონოდა 1920-იან წლებში.

„საქართველოს რესპუბლიკის ძველი საზღვრები"

ვინაიდან „საქართველოს რესპუბლიკის ძველი საზღვრები" ნაწილობრივ ემთხვევა „ახალ საზღვარს", მას განვიხილავთ იმ მონაკვეთების მიხედვით (თემების შესაბამისად), სადაც განსხვავებულად არის ეს ორი საზღვარი რუკაზე ასახული. განსხვავება კი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვრის გასწვრივაა.

ზაქათალა საქართველოს ესაზღვრება აღმოსავლეთიდან და აღნიშნული რუკის მიხედვით, სიღნაღის მაზრის მომიჯნავეა. მისი ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი იწყება **მთებს მაჩხალსა** (ახალ საზღვრებში) და **ჯოოხ როსას** შორის. საზღვარი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და აღწევს მთებს: უსახელო მთას (11120 ფ = 3389.376 მ) და **კეკროსოს**. რაც შეეხება მთების გორიდისა და ტლუნსერ მეერის (11319 ფ = 3450.0312 მ) პურსონებს, ისინი ზედ საზღვრის კონტურზეა მიბჯენილი ჩრდილოეთის მხრიდან. სავარაუდოდ, ეს მთებიც საზღვარზე მდებარედაა მიჩნეული. საზღვრისპირა ზოლში, მის გადაღმა რუკაზე დატანილია მცირე სოფლები: კეკროსო და მაალროსო. აღნიშნული საზღვრის მონაკვეთზე 3 ბილიკი გადის, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა დაბა ბელაქანსა და მცირე სოფელ ფიმალს ჩრდილოეთ კავკასიის სოფლებთან - სალოღთან, ლაალროსოსა და გერელისთან.

ზაქათალის მაზრის ტერიტორია რუკაზე მთლიანად არ არის მოცემული, ამიტომ აღნიშნული რუკის მიხედვით შეუძლებელია ამ მაზრის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებზე საუბარი. თუმცა შესაძლებელია ივ. ჯავახიშვილის ხელდასხმით შექმნილი სხვა რუკების საფუძველზე ზაქათალის საზღვრის კონტურის სრული აღდგენა. 1919 წლის საქართველოს რუკების (1 ქართული და 2 ფრანგული რუკა) მიხედვით, საზღვარი აქ კახეთის კავკასიონის თხემზე, მ. კარაკაიადან (ყარაყაია) ეშვება სამხრეთ ფერდობზე, კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთ განშტოებაზე. შემდეგ საზღვარი აღწევს მდ. აგრიჩაის ალაზანთან შეერთების ადგილამდე და იგი მიუყვება მდ. ალაზნის ხეობას. ცხადია, ეს არ არის ისტორიული ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც ივ. ჯავახიშვილის საქართველოს ისტორიულ რუკაზეა [ჯავახიშვილი, 1923] ასახული, კერძოდ, ეს საზღვარი გადის მდ. გიშისწყლის ხეობაზე იმგვარად, რომ მცირე ქალაქები გიში საქართველოს ფარგლებშია, ხოლო ნუხპატო, იგივე ნუხა - მის გარეთ.

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ძველი საზღვრების ფარგლებში, 2 მაზრაა: შავშეთისა და არტაანის. შავშეთის მოიცავს მდ. ჭოროხის აუზს, ხოლო არტაანი - მდ. მტკვრის აუზს.

შავშეთის ისტორიული საზღვარი იწყება შავი ზღვის სანაპიროზე, მცირე სოფლებს - ლიმანსა და აბუისლას შორის (ნახ. 4). შემდეგ იგი მიემართება სამხრეთისაკენ და კვეთს ბორჩხა-ხოფის დამაკავშირებელ სასოფლო გზას. საზღვრის კონტურის აღმოსავლეთით, ანუ შავშეთში მდებარეობს მცირე სოფლები: მეზრე, ბაშკოი, ჩათიჯიზენი, ხოლო საზღვრის დასავლეთით, ანუ ჭანეთში (საქართველოს ფარგლებს გარეთ) - მცირე სოფლები: ხიგი, ზალონა, ბაშკეი, ჩაუშლი, წყარისთი, ორდალა. საზღვარი აღწევს **მთა დაღისთიდაღამდე**, კვეთს რამდენიმე სასოფლოს გზასა და მთებს: უსახელო მთას (9250 ფ = 2819.4 მ), **მაგარა დაღს** (10654 ფ = 3247.3392 მ), **ოქიუზიათაღს, დიდუბეს** (10556 ფ = 3217.4688 მ). შემდეგ საზღვარი უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იმგვარად, რომ დაბა ორჯოხი და მცირე სოფლები: გურჯან, თანაფთი, ხოძორი, ზომი და ჩახეთხევი შავშეთის ფარგლებშია მოქცეული. საზღვარი აღწევს **მთა მოონეთს.** ასევე შავშეთის ფარგლებშია მცირე სოფლები: ხოდულია, ოკეჩერა და ხოდი შავშეთის. საზღვარი მიემართება აღმოსავლეთისაკენ და კვეთს ტაოს დასახლებულ პუნქტებთან დამაკავშირებელ სასოფლო გზებსა და ბილიკებს. შემდეგ იგი აღწევს **მთა ხოროსანს** (9331 ფ = 2844,0888 მ). საზღვრის ამ მონაკვეთს კვეთს შემდეგი სასოფლო გზები: სახრე-სალთის, ჯამარო-ალოსის, ოგდარი-ზაგარიას, ზაგარია-ორის, გელაშენი-ინისეთის.



ნახ. **4**. შავშეთი და არტაანი საქართველოს რესპუბლიკი ძველ საზღვრებში (1922 წლის რუკის მიხედვით)

არტაანი შავშეთის აღმოსავლეთით მდებარეობა. მათ შორის გამყოფი ხაზი იწყება მთა ხოროსანის ჩრდილო-აღმოსავლეთით და მიემართება სამხრეთისაკენ, კვეთს **პანჯურეთის გადასასვლელს** (7728 ფ = 2355.4944 მ), სადაც გადის დორთქილისა (მცირე სოფელი შავშეთში)-ფანჯურეთის[1] (დაბა ტაოში) დამაკავშირებელი საფოსტო გზა. საზღვარი აღწევს **მთა ზიარეთს**. აქ გადადის ტეტერკუშ-არმაშენისა და არმაშენ-შარაფის დამაკავშირებელი სასოფლო გზები. შემდეგ იგი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით და კვეთს მუშეხ-არტაანის დამაკავშირებელ გზატკეცილს. საზღვრის ჩრდილოეთით მდებარეობს ქოროღლის კოშკი და სასოფლო ბილიკი, რომელიც აკავშირებს აღნიშნულ კოშკს მცირე სოფელ ქვ. დემურკაპისთან.

შემდგომ საზღვარი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, სადაც იგი კვეთს ოკამ-ბოზგუთის დამაკავშირებელ საეტლე გზას. აქ გადის გოფდაშ-მიხრელი, ალთუნ ბულა-ვა-რამვართანს, ყარათაუხ-თელბაშის დამაკავშირებელი სასოფლო გზები და არტაან-პ.ვორონ-ცოვკას, ჩალაბაშ-კირიხქილისას დამაკავშირებელი საეტლე გზები. საზღვარი კვლავ ჩრდი-ლო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება. აქ, საზღვარს კვეთს ყარს-არტაანის დამაკავშირებელი გზატკეცილი. საზღვარი უხვევს აღმოსავლეთით იმგვარად, რომ არტაანის მიღმა რჩება მთა გესირდაღი (104779 ფ = 31936.6392 მ). იგი სამხრეთიდან შემოუვლის პალაკაციოს ჩრდი-ლის ტბას (6308 ფ = 1922.6784 მ). ტბა მთლიანად არტაანის ფარგლებშია მოქცეული. საზღვარს კვეთს სულდა-ბურჯალის დამაკავშირებელი საეტლე გზა. შემდეგ იგი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ბაბას მთებთან** აღწევს საქართველოს რესპუბლიკის ახალ საზღვარს.

ლორე საქართველოს ესაზღვრება სამხრეთიდან ბორჩალოს მაზრასთან (ნახ. 5). დასავ-ლეთით საზღვარი იწყება **მთა ლეილიდაღიდან** და მიემართება სამხრეთისაკენ **ირჯანის** ანუ **ყარაღაჯის მთების** თხემის გასწვრივ. აქ იგი გაივლის მთებს: **ახჭალასა** (10500 ფ = 3200.4) და **ადალი დაღს** (9980 ფ = 3041.904 მ). საზღვარი კვეთს დიუზ ხარაბა-ყარაისსას დამა-კავში რებელ სასოფლო გზას. შემდეგ საზღვარი მიემართება აღმოსავლეთისაკენ, სადაც მდებარეობს **მთა აგლაგანი** 9833 ფ (2997.0984 მ). საზღვარს კვეთს ვორონცოვკასაკენ მიმავალი სასოფლო გზები. შემდგომ საზღვარი მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთისაკენ და აღწევს მთებს: **აგლაგანს** (9833 ფ = 2997.0984 მ), **შიშ ტაფას** (9316 ფ = 2839.5168 მ), **ბეზობდაღს** (9189 ფ = 2800.8072 მ). აქაც სასოფლო გზებისა და ბილიკების სიუხვეა, რომლებიც ლორეს აკავშირებს მოსაზღვრე ტერიტორიებთან.

საზღვარი გასდევს **ბამბაკის მთების** თხემს, სადაც მდებარეობს ვორონცოვკა-ყა-რაქალისის დამაკავშირებელი უღელტეხილი და **მთა ბეზობდაღი.** საზღვარს კვეთს სადახლო-სანაინი-ყარაქალისის დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზი. საზღვარი ჯერ მიემარ-თება სამხრეთისაკენ **მთა ქეშადაღამდე** (9268 ფ = 2824,8864 მ), შემდეგ ჩრდილო-აღმო-სავლეთისაკენ **მთა კუზუ დაღამდე** (9123 ფ = 2780.6904 მ) და ჩრდილოეთისაკენ მთებამ-დე: **დიხტაში** (7392 ფ = 2253.0816 მ), **დალიკ ტაშისა** (6661 ფ = 2030.2728 მ) და **სოუს ბულაღი** 6832 ფ (2082.3936 მ). შემდეგ საზღვარი მკვეთრად იცვლის მიმართულებას რამდენიმეჯერ - მიემართება რა ხან დასავლეთის, ხან აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით. ასე აღწევს იგი **ბერდუჯის მთებს,** სადაც მდებარეობს **მთა გონდი.** მისგან ჩრდილოეთით საქართველოს რესპუბლიკის ძველი საზღვარი უერთდება ახალ საზღვარს.

ყარაია მდებარეობდა მდ. მტკვრის აუზში ქვემო ქართლში. 1922 წლამდე ყარაიის ტე-რიტორიის უდიდესი ნაწილი შედიოდა ტფილისის მაზრაში და მხოლოდ მისი მცირე ნაწილი იყო დარჩენილი აღნიშნული მაზრის მიღმა. მთა ბაბაკიარის აღმოსავლეთით იწყება ყარაიას დასავლეთი საზღვარი, რომელიც მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იმგვარად, რომ ყარაიის ფარგლებშია მცირე სოფლები: გამიკაია, ყაზახ ბეგლი. მცირე სოფ. ხალფალის (ყა-რაიას ფარგლებს გარეთ) სიახლოვეს საზღვარი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. საზღვარს კვეთს ტიფლის-სალოღლ-ყაზახის დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზი. შემდეგ საზღვარი მიემართება აღმოსავლეთისაკენ.

რუკიდან მკაფიოდ ჩანს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ძველ საზღვრებშია მოქცე-ული დავითგარეჯის მონასტერი და ბერთა კელიები (ნახ. 6). უფრო მეტიც, იმდროინდელი საზღვრის კონტური გაცილებით სამხრეთით გადიოდა და იგი აღწევდა ფოილოს ხიდამდე. ამგვარად უდაბნოს სერი მთლიანად (თხემი და ორივე კალთა), სადაც ამჟამად დავითგა-რეჯის სამონასტრო კომპლექსია, საქართველოში შემოდიოდა. საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე კი სურათი განსხვავებულადაა წარმოჩენილი (ნახ. 7).

---

[1] რუკაზე ერთ ადგილას პანჯურეთია აღნიშნული, ხოლო მეორე ადგილას - ფანჯურეთი.

ოფრეთი
ხოვფორნი
ალადახლო
ბორჩალო
ბაზარ-ბაბანი
ბაზარ-ბაბანი
ბაზარ-ბაბანი



ნახ. 6. ყარაია საქართველოს რესპუბლიკი ძველ საზღვრებში
(1922 წლის რუკის მიხედვით)

ნახ. 7. დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი (ფრაგმენტი)
საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკაზე

გარე კახეთის მცირე ტერიტორიაა დარჩენილი საქართველოს რესპუბლიკის ახალი საზღვრის მიღმა. ეს არის ტერიტორია მდ. ივრის მარჯვენა მხარეს. ეს ფაქტი მკაფიოდ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის ფარგლებში მთლიანად შემოდიდოა მდ. ივრის მთელი ხეობა - მარცხენა და მარჯვენა სანაპიროები, განსხვავებით დღევანდელი მდგომარეობისაგან, როცა ქვეყნის საზღვარი გადის ხან მდ. იორზე, ხან მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს.



ნახ. 8.

ყარაიადან - იქ, სადაც საზღვარი მკვეთრად უხვევს აღმოსავლეთისაკენ, იწყება გარე კახეთის ის ტერიტორია, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ახალი საზღვრის მიღმა დარჩა. საზღვარი მიემართება მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს იმგვარად, რომ მდინარისპირა მცირე ტერიტორია ლორეს ფარგლებშია. საზღვარი აღწევს **მთა გობთებს** (2727 ფ = 831.1896 მ). მცირე მონაკვეთზე საქართველოს რესპუბლიკის ახალი და ძველი საზღვრები ერთმანეთს ემთხვევა, შემდეგ კი აღწევს **მთა ახტახ-ტაფას** (2520 ფ = 768.096 მ). აქ სასოფლო გზებისა და ბილიკების სიმრავლეა. **მთა პა-ლანტეკენთან** (1193 ფ = 363.6264 მ) საზღვრის კონტური უერთდება საქართველოს რესპუბლიკის ახალ საზღვარს.

ამრიგად, კვლევის შედეგად განხორციელდა ივ. ჯავახიშვილის ხელდასხმით 1922 წელს შედგენილი „საქართველოს რესპუბლიკის რუკაზე“ ასახული რესპუბლიკის „ძველი“ და „ახალი“ საზღვრების კარტომეტრიულ-გეოგრაფიული ანალიზი და მათი ურთიერთშედარება. დადგინდა ამ პერიოდის ტერიტორიული დანაკარგი ჩვენი ქვეყნისათვის.

ლიტერატურა

1. კვეტენაძე მ. ივ. ჯავახიშვილის 1922 წლის საქართველოს რესპუბლიკის რუკის კარტომეტრიულ-გეოგრაფიული ანალიზი. სამაგისტრო ნაშრომი. თბ., 2016.
2. სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., კოხრეიძე ა., უჯმაჯურიძე ა., თოლორდავა რ., ჩხიკვიშვილი. გ. ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. გამოფენის მეგზური. ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლის იუბილეს თბ., 2016.

3. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ისტორიული რუკა. შინაგან საქმეთა სახალხო კომი-სარიატის გამოცემა. შედგენილი შ.ს.ს.კ. ტოპოგრაფ ევ. ბარამიძის-მიერ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. 1923. გამოცემა საქართველოს რუესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილებისა. მასშტაბი 10 ვერსი დიუმზედ.

4. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს რესპუბლიკის რუკა, 1922. გამოცემა შინაგან საქმეთა კომისარიატისა. მასშტაბი დიუმზედ 10 ვერსი (1:420,000).

5. Советские топографичечкие карты разного масштаба. Главное управление геодезии и картографии Министерство геологии и охраны недр СССР, 1942-1989.

Manana Kvetenadze

Description of State Borders Based on "The Map of the Republic of Georgia" of 1922

Resume

The article considers "The Map of the Republic of Georgia" compiled by the ordination of Ivane Javakhishvili in 1922 and borders marked on the map. The map shows two borders of the Republic of Georgia: "The New Borders of the Republic of Georgia" and "The Old Borders of the Republic of Georgia", with major differences between them, if not considering some minor exceptions. The study specified the territory and borders of Georgia prior to the Sovietization and after it. In the course of the study, the borders of Georgia were described and compared to those shown on the soviet topographic maps, and Soviet topographic maps scaled 100,000, 50,000 and 25,000 were used for this purpose.

ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიისათვის ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიის („საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“) მიხედვით

დარეჯან კირთაძე[1]

ტოპონიმები ენის ლექსიკური ფონდის უძვირფასესი ნაწილია. მათი მნიშვნელობის ახსნა-განმარტების ცდებს ვხვდებით ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძველი ბერძენი და რომაელი გეოგრაფ-ისტორიკოსები ჰეროდოტე (დაახლ. ძვ. წ. 484 - ძვ. წ. 425), სტრაბონი (ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24), ტაციტუსი (დაახლ. 56 - 117 წწ.) და სხვ.

ქართული ონომასტიკის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებლად XVIII საუკუნის ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი ითვლება. XX საუკუნის მკვლევართა შორის, ტოპონიმიის შესწავლის საქმეში, უდიდესი წვლილი შეიტანა დიდმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ივ. ჯავახიშვილმა. მრავალმხრივ, მათ შორის ტოპონიმიკური თვალსაზრისით, საინტერესოა მისი ერთ-ერთი მონოგრაფია „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ [ჯავახიშვილი, 1919].

საქართველოს ტერიტორია, - როგორც შენიშნავენ, - კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს – ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად, ეთნოგრაფიულად. საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით [ინგოროყვა, 1918. გვ. 1].

სტატიის მიზანია, ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიაში დასახელებული მსხვილი ტერიტორიული მოცულობის გეოგრაფიული ობიექტების ლოკალიზაცია-ეტიმოლოგიისა და სემანტიკური თავისებურებების ჩვენება. ნაშრომში გამოყენებულია ლინგვისტური კვლევის აღწერითი და შედარებითი მეთოდი. ტოპონიმებში მომხდარი ცვლილებები განხილულია სინქრონულადაც და დიაქრონულადაც.

სრულიად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს საზღვარზე ივ. ჯავახიშვილი ასახელებს აფხაზეთს, რომლის შემადგენლობაშიც XI საუკუნეში ჯიქეთიც შედიოდა: „*ჯიქნი აბხაზთა მოძმე ტომი იყო*'' [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 2].

აფხაზეთი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია და ავტონომიური რესპუბლიკაა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, კავკასიონის მთავარ ქედსა და შავი ზღვის სანაპიროს შორის. აფხაზეთს მდ. ფსოუ და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი რუსეთის ფედერაციიდან გამოყოფს, ხოლო მდ. ენგური და კავკასიონის გვერდითი, კოდორისა და აფხაზეთ-სვანეთის ქედები - მეზობელი სვანეთისა და სამეგრელოს მხარეებიდან. თანამედროვე აფხაზეთის ფარგლებში მოქცეულია გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის მუნიციპალიტეტები. შუა საუკუნეებში აფხაზეთი იყო საერისთავო ან სამთავრო, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ხან მდ. კოდორის, ხან მდ. ღალიძგის, ხან მდ. ენგურის ქვემო დინების გასწვრივ გადიოდა. ამასთან, ამავე პერიოდში აფხაზეთად მთელი დას. საქართველოც მოიაზრებოდა (ისევე როგორც ეგრისი, იმერეთი).

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ აფხაზეთის სამთავრომ სახელწოდება ტომით აფხაზთა სახელის მიხედვით მიიღო. ცნება „აფხაზი“ - ეთნონიმიდან პოლიტონიმად გადაიქცა. სპეციალურ ლიტერატურაში დასახელებულია ეთნონიმის „აფხაზი“ და ტოპონიმის „აფხაზეთი“ სხვადასხვა სახელწოდება სხვადასხვა წყაროების მიხედვით. ქართული წყაროებით: „აფხაზეთი“, „აფხაზი“ და „აფსარი“ [ჯაველიძე, 2012. გვ. 84]; ბერძნული წყაროებით: „აბაზგი“ – „აბაზგია“ [ჯაველიძე, 2012. გვ. 140]; სომხური წყაროებით: „აფხაზი“ – „აბაზა“ [ჯაველიძე, 2012. გვ. 140]; რუსული და დასავლეთევროპული წყაროებით: „ობეზ“ და „აბაზა“ [ჯაველიძე, 2012. გვ. 163]; აღმოსავლური წყაროებით: „აბხაზ“, „აფხაზი“ და „აბაზა“ [ჯაველიძე,

---

[1] ფილოლოგიის დოქტორი, darejan.kirtadze@gmail.com

2012. გვ. 196]. აფხაზური ტომი სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებულია, აგრეთვე, სხვა სახელწოდებებითაც: „აბსილები“, „აფშილები“ (აქედან: „აფსილეთი“, „აფშილეთი“); „აბსილების“ სახელი შემონახულია აფხაზების საკუთარ სახელწოდებაში „აფსუა“ [მეტრეველი, 2003. გვ. 86].

ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი: ივ. ჯავახიშვილი [ჯავახიშვილი, 1960. გვ. 227-228], პ. ინგოროყვა [ინგოროყვა, 1956. გვ. 118-189], ნ. ბერძენიშვილი [ბერძენიშვილი, 1960. გვ. 278-279], ჯ. გამახარია [გამახარია, 2000. გვ. 37-40] და სხვ. აფხაზებს ქართველტომელებად მიიჩნევს; მეორე ნაწილი: მ. ინაძე [ინაძე, 1960, გვ. 85-162], ზ. პაპასქირი [პაპასქირი, 1998. გვ.42], გ. მელიქიშვილი [მელიქიშვილი, 1965. გვ. 17] და სხვ. არ იზიარებს ტომით აფხაზთა ქართველობის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს და მათ ჩრდილოკავკასიელ ეთნოსთა ჯგუფს მიაკუთვნებს.

წერილობით და კარტოგრაფიულ მონაცემთა გათვალისწინებით, თ. გვანცელაძე [გვანცელაძე, 1998. გვ. 14-63] თანამედროვე აფხაზთა თავდაპირველ სამშობლოდ ჩრდილოეთ კავკასიას, კერძოდ, ყუბანის აუზს ვარაუდობს; აფხაზთა წინაპრების მცირე ნაწილად - ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ნაწილობრივი მიგრაციის დროდ ახ. წ. I საუკუნიდან V საუკუნემდე პერიოდს, ხოლო საბოლოო ჩამოსახლების თარიღად XVII-XVIII საუკუნეებს მიიჩნევს. ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ „XVIII საუკუნეში აფხაზები კავკასიანებია... ისინი არ არიან აბორიგენები, მათ ვერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა, ფეოდალური მეურნეობა, სოციალური წყობა'' [ბერძენიშვილი, 1990. გვ. 614-615]. სხვაგან შენიშნულია, რომ „აფხაზნი ეგროსისანი წარმოადგენენ ავტოხტონ მცხოვრებლებს, რომელთაც სხვა ქართველტომელებთან საერთო ჰქონდა „მამული, ენა, სარწმუნოება და ჯიში'' [ჯაველიძე, 2012. გვ. 340].

ჯიქეთი (//საძენი), როგორც მონოგრაფიის ავტორი შენიშნავს, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხეა აფხაზეთის ტერიტორიაზე. დღეს ნაწილობრივ შედის საქართველოს, კერძოდ, გაგრის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში. ჯიქეთის დიდი ნაწილი ამჟამად რუსეთის ფარგლებშია მოქცეული და განაწილებულია ადიღესა და კრასნოდარის მხარეებს შორის.

ივ. ჯავახიშვილი „ჩრდილოეთის ხაზის'' განხილვისას კავკასიონის უღელტეხილის ორ მთავარსა და პირიქითელს ქედებს შორის მოიხსენიებს დვალეთს და აღნიშნავს, რომ „*ეს ქვეყანა ყოველმხრივ მარად თოვლიან მთებით არის გარშემოზღუდული*“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 4]. დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო.

დვალეთი (//თუალეთი) ისტორიული მხარეა შუა საუკუნეების საქართველოში, რომელიც მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის. ხალხური წყაროების მიხედვით, რაჭველთა წინაპრები დვალეთს „თუალეთს“, ხოლო დვალს „თვალს“უწოდებდნენ [კოტეტიშვილი, 1934. გვ. 81]. რაჭულ მითოლოგიაში დვალეთს მოიხსენიებენ კავკასიის მაღალი მთიანეთის „თვალად“, საიდანაც მთელი ქვეყანა მოჩანდა, რის მიხედვითაც წარმომდგარა მხარისა და ეთნონიმის სახელები: თუალეთი (დვალეთი) და თუალი (დვალი).

ივ. ჯავახიშვილი ჩრდილოეთის საზღვრის განხილვისას მსჯელობს დარიალის კარის (//დარიალანი//საქართველოს კარი) შესახებ, რომელიც „ოს-ხაზართათვის გზის შესაკრავად იყო განკუთვნილი“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 6].

დარიალი (//დარიალანი) იყო საქართველოსა და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი კარი. საჭიროების შემთხვევაში ამ კარის ჩაკეტვა ადვილად შეიძლებოდა. იქ, სადაც შიშველი კლდეებით მოზღუდული ხეობა ყველაზე უფრო ვიწროვდებოდა, იდგა ციხე და აქ იყო საქართველოსა და ოსეთის საზღვარი. სწორედ ამ ადგილს ეწოდა დარი ალან ანუ დარიალა, რაც სპარსულად „ალანთა (ოსთა) კარს“ ნიშნავს; არაბულად - „ბაბ-ელ-ალან“. ძველად დარიალს უწოდებდნენ: „ალანთა კარი“ ანუ „ოვსთა კარი“, „არაგვის კარი“, „იბერიის კარი“, „კავკასიის კარი“ და სხვ. [გოგატიშვილი, 1989, გვ. 24]; „სარმატიის კარი“, „კუმანია“, „ხევის კარი“, „კასპიის კარი“' [ჯავახიშვილი, 2002. გვ. 265].

აღმოსავლეთის საზღვრებზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ „საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთს კუთხეს მტკვრამდის ძველ დროს ჰერეთი ეწოდებოდა'' [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 7].

ჰერეთი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული მხარეა. საისტორიო წყაროების მიხედვით, საკუთრივ ჰერეთი ეთნიკურ-ისტორიული მნიშვნელობით მოიცავდა შიგნიკახეთს, გაღმამხარის (ალაზნის ველი) და ახლანდელ საინგილოს ტერიტორიას. XV საუკუნიდან ტოპონიმი ჰერეთი კახეთით შეიცვალა. ლეგენდის მიხედვით, „*მტკვრისა და ალაზნის შესართავს*

ზევით, ჩრდილოეთით, მოერთვის ალაზანს მცირე ალაზანი ანუ იორი და ამათ შესართავს შორის არს ჰერეთი, რომელი აღაშენა ჰეროს, ქალაქი თჳსისა სახელითა და ამის გამო ისახელა ქვეყანაცა ესე, და აწ უწოდებენ ამას ადგილსა ხორანთას'' [ვახუშტი, 1973. გვ. 526].

სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებში ჰერეთთან ერთად ივ. ჯავახიშვილი ეხება ქიზიყისა და ყარაიას გეოგრაფიულ მდებარეობას და მიუთითებს, რომ ისინი ჰერეთის შემადგენლობაში შედიოდა.

ქიზიყი (//კამბეჩოვანი) ისტორიული მხარეა აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, მდ. მტკვრის ჩრდილოეთით, ყარაიას ველის ქვემოდან მოკიდებული, მდინარეების – ივრისა და ალაზნის – ქვემო წელის აუზში; ახლანდელი სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორია.

ყარაია (//ყარაიაზი) - მტკვრისპირა ველი ახლანდელი რუსთავის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ამჟამად გარდაბანი). ცნობილი იყო საძოვრებითა და ქართველ მეფეთა სანადირო ადგილებით.

სამხრეთის საზღვრების განხილვისას მეცნიერი საუბრობს ქვემო ქართლის მნიშვნელობაზე, როგორც გამყოფ ხაზზე საქართველოსა და სომხეთს შორის.

ქვემო ქართლი (//გუგარეთი) მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში; ესაზღვრება თრიალეთის, ჯავახეთისა და ბამბაკ-ერევნის ქედებს. იგი მდ. მტკვრის დინების ქვემო, მარჯვენა მხარეს არის გადაჭიმული და სწორედ ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ეწოდა მას ქვემო ქართლი.

ქვემო ქართლის ტერიტორია უძველესი დროიდანვე დასახლებული იყო ქართველური ტომებით. აქ მოსახლე ტომებიდან წყაროები იცნობენ ქართველურ ტომ გუგარებს, იგივე გოგარებს. მათგან მოდის ისტორიული პროვინციის - გოგარენეს და სომხური გუგარქის სახელწოდება.

ივ. ჯავახიშვილი სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ: „*საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილს საზოგადო სახელად ზემო ქართლი ეწოდებოდა, საკუთრივ-კი უფრო ხშირად მესხეთს ეძახდნენ...*" [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 26].

ზემო ქართლი ეწოდებოდა XVI საუკუნემდე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს – მტკვრის ზემოთს ტაშისკარიდან მდ. მტკვრის სათავემდე და ჭოროხის აუზის ზემო წელს. ტერმინი წყაროებში პირველად XII საუკუნეში იხსენიება, მაგრამ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, გაცილებით ადრინდელი უნდა იყოს. ლეონტი მროველის (XI ს.) მიხედვით, ზემო ქართლი ქართველთა ლეგენდარული მამამთავრის ქართლოსის უფროსი ძის მცხეთოსის შვილების ოძრხოსისა და ჯავახოსის წილხდომილი მხარეა. ზემო ქართლი მესხებისა და ჯავახების თავდაპირველი განსახლების ტერიტორიაა. ანტიკური წყაროების მიხედვით, ამ ტერიტორიას „მოსხიკე" (მესხეთი) ეწოდებოდა.

ავტორი, საქართველოსთან მიმართებაში, სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკურ ვითარებასაც განიხილავს.

სამცხე მხარეა სამხრეთ საქართველოში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით იგი მოიცავს სამცხე-ჯავახეთის მხარის - ადიგენის, ახალციხისა და ნაწილობრივ ასპინძის - მუნიციპალიტეტებს. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ადრე სამცხეს ოძრხე ეწოდებოდა. ვახუშტის „აღწერის" მიხედვით, „*ოძრახოს წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს, მცხეთოსისა და ქალაქის მცხეთის გამო, პირველვე წოდებულს მცხეთის მორჩილებისათვის*" [ვახუშტი, 1973. გვ. 657].

ტოპონიმ სამცხის ეტიმოლოგიურ კვლევას სულ ცოტა ორასწლოვანი ისტორია აქვს. ხალხურ ეტიმოლოგიას უფრო ჰგავს ვახუშტი ბატონიშვილის განმარტება, რომლის მიხედვითაც, სამცხეს „სამი ციხე" დასდებია საფუძვლად [ვახუშტი, 1973. გვ. 121]. ვახუშტის ვერსიას უცვლელად იმეორებს კ. ჰანი. მისი მტკიცებით, სამცხე სამ ციხეს, სამ გამაგრებულ ნაგებობას ნიშნავს. ეს თქმულება თუ გადმოცემა ჩაუწერია ცნობილ ფრანგ მისიონერსა და მოგზაურს ჟან შარდენს. იგი წერს: „*სამცხე არის ქართული სახელი და ნიშნავს „სამ ციხეს*" [ჰანი, 1909. გვ. 124] ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით თითქოს ნოე კიდობნიდან გადმოსვლის შემდეგ ამ მხარეში დასახლებულა და მის ვაჟებს აქ თითო ციხე აუშენებიათ [შარდენი, 1975. გვ. 296]. ტოპონიმ სამცხეს (აგრეთვე, მცხეთას) სატომო მესხ- ტერმინიდან მომდინარედ მიიჩნევს პ. იოსელიანი. ამ თვალსაზრისის მიხედვით, რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით, სამცხე უნდა გაგებულიყო როგორც სა-მესხ-ე „*მესხებით დასახლებული ქვეყანა*". ამავე აზრს გამოთქვამდა ივ. ჯავახიშვილი [ჯავახიშვილი, 1960. გვ. 437], ნ. მარი [მარი, 1911. გვ. 51], ა. შანიძე [შანიძე, 1978. გვ. 31], ა. ჩიქობავა [ჩიქობავა, 1974. გვ. 75], ზ. ჭუმბურიძე [ჭუმბურიძე, 1987. გვ. 497].

მ. ჯანაშვილი როგორც სამცხეს, ისე მცხეთას „ცხება,'' „დაცხება'' ზმნას უკავშირებდა [ჯანაშვილი, 1909. გვ. 127-128]. გ. ზედოშვილის აზრით, სამცხის სახელწოდება მომდინარეობს ტერმინ სამცხეთო-საგან ბოლოკიდური -თო მარცვლის მოკვეცის გზით, რომელშიც შესანიშნავად არის ასახული იბერიის სამეფოს მცხეთის საეკლესიო ხელისუფალთა ენერგიული ბრძოლის ის უმძაფრესი პერიპეტიები, რომელთაც ისინი ეწეოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახალი ქართული ტერიტორიების („საყმოების'') შემოსაერთებლად. ტოპონიმი სამცხეთო სწორედ ამ მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო ბრძოლა-მოღვაწეობის პირდაპირი შედეგია [ზედოშვილი, 2002. გვ. 362].

ჯავახეთი მოიცავს ახლანდელი ასპინძის (ნაწილობრივ), ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას. ლეონტი მროველის მიხედვით, ჯავახეთის სახელწოდება წარმომდგარი ყოფილა ლეგენდარული მცხეთოსის უმცროსი შვილის, ჯავახოსის, საკუთარი სახელის მიხედვით: „*ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკურისა, მისცა მცხეთოს ძესა თვისსა ჯავახოსს და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი*'' [ქართლის ცხოვრება, 1955. გვ. 657]. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯავახეთი წარმომდგარა სატომო სახელისაგან ჯავახ-ი. მას დართული აქვს გეოგრაფიული -ეთ სუფიქსი, რომელიც ტოპონიმს ჯავახთა ტომის ხალხთა ერთადმყოფობის, სიმრავლის, გავრცელების შინაარსს სძენს; ჯავახ-ეთ-ი, იმგვარადვეა წარმოქმნილი, როგორც სხვა ეთნიკური ტოპონიმები: მესხ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, კახ-ეთ-ი, აფხაზ-ეთ-ი. ოღონდ სპეციალისტებისათვის დღემდე სარწმუნოდ არ არის გარკვეული თვით ტერმინ ჯავახ-ის რაობა. გ. ზედოშვილის თვალსაზრისით, ჯაოხ//ჯავახ ეთნონიმი თეორიულად შეიძლება ტაოხ//დაოხ-ფორმისაგან მომდინარე ერთეულად ვცნოთ, თუკი ტ → და ჯ → პროცესს ფონეტიკური თვალსაზრისით დიდი წინააღმდეგობა არ შეხვდება [ზედოშვილი, 2002. გვ. 554]. გამოთქმულია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც, სახელების (მეს-ხ-ი, კოლ-ხ-ი, კა-ხ-ი, კუ-ხ-ი...) ფუძეები ქვეყნების აღმნიშვნელი ოდენობებია, ხოლო ხ კი – ეროვნების აღმნიშვნელი საკვეცი ფორმანტი [ჯავახიშვილი, 1960. გვ. 411].

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებში ივ. ჯავახიშვილი ასახელებს პალაკაციოს, ანუ აბოცს და აქვე განმარტავს, რომ: „*აბოცი ჯავახეთის სამხრეთით მდებარეობდა და ვითარცა მესხეთისა და ქვემო ქართლის შუა მდებარე თემი ზოგჯერ მესხეთს ეკუთვნოდა... აბოცს ძველად პალაკაციოსაც ეძახდნენ, შემდეგ ყაიყული ეწოდებოდა*'' [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 26].

პალაკაციო ისტორიული მხარეა სამხრეთ საქართველოში (აბოცს, ჯავახეთს, კოლა-არტაანსა და კარს//ყარსს შორის მდებარე მიწები), ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. XII საუკუნის ბოლო პერიოდში ადმინისტრაციულად ჯავახეთის სანაპირო საერისთავოში შედიოდა, ხოლო მომდევნო საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილი იყო. ამ პერიოდში პალაკაციოს „ჩრდილის" (თურქ. „ჩილდირ") სახელით მოიხსენიებენ. [ქსე, 1984. გვ. 642].

აბოცი შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი განაპირა ქვეყანა. ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით, „ხოლო ტაშირს, აბოცსა და ბერდუგ-ბამბაკსა ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარაღაჯად წოდებული" [ვახუშტი ბაგრატიონი, 1973. გვ. 313].

ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრების განხილვისას მსჯელობს ტაოს, ისპირის, კოლა-არტაანის, თორთუმისა და ლაზისტანის შესახებ.

ტაო მხარეა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ჭოროხის შუა დინების აუზში. ასურულ წყაროებში ტაო „დაიანის", ხოლო ურარტულში „დიაუხის" სახელით იხსენიება. ბერძნული წყაროები (ქსენოფონტე, ძვ. წ. 431-354) აქაურ მოსახლეობას „ტაოხეზად" მოიხსენიებს [ჯავახიშვილი, 2002. გვ. 627].

ისპირი (//სპერი) ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ჭოროხის ზემო დინების აუზში; ისტორიული მესხეთის ნაწილი. ტერმინი, როგორც ფიქრობენ, შეიძლება ნაწარმოები იყოს მხარის სავარაუდო სახელწოდებისაგან „სასპერ"-ოდან [ჯანაშია, 1952. გვ. 60].

კოლა ისტორიული მხარეა სამხრეთ საქართველოში, მდ. მტკვრის სათავეებში, ამჟამად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება წარმოდგება კოლხას ტომის სახელისაგან [ქსე, 1980. გვ. 576]. კოლა თავდაპირველად კორა-ს სახელით ყოფილა ცნობილი [ინგოროყვა, 1954. გვ. 281]. ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი მას კუროსის სახელით მოიხსენიებს. როგორც ვარაუდობენ, აქედან გაჩნდა მდ. მტკვრის რუსული სახელწოდება – Кура [ჯავახიშვილი, 2002. გვ. 399].

არტაანი (//არტაონი) ისტორიული მხარე და ციხე-ქალაქია სამხრეთ საქართველოში, მდ. მტკვრის ზემო წელის აუზში, ამჟამად თურქეთის მფლობელობაშია. არტაანის სახელად

გვხვდება „არტაჰანი“, აქედან თურქული „არდაჰანი“ და დღევანდელი რუსული ფორმა „არდაგანი“. თავდაპირველად არტაანი მხარის სახელწოდება იყო. ლეონტი მროველის ცნობით, ლეგენდარული მცხეთოსის ძემ, ჯავახოსმა, ააშენა არტაანის ციხე-ქალაქი, რომელსაც მაშინ ქაჯთა ქალაქი რქმევია, შემდგომ კი – ჰური. XVI ს. თურქებმა არტაანი ორ ნაწილად გაყვეს: დიდ არტაანად (შედიოდა გურჯისტანის ვილაიეთში და სახელად ფარაკანი ერქვა) და პატარა არტაანად (შედიოდა ყარსის ვილაიეთში). არტაანი სახელად XVII საუკუნეში უნდა იყოს შერქმეული [ქსე, 1975. გვ. 586-587].

თორთომი (თურქ. **თორთუმი**) პროვინციაა ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. თორთუმი, როგორც შენიშნავენ, ტაოს მხარეში შედიოდა და მოიცავდა მდ. ოლთისის (თურქ. ოლთუჩაი) შენაკად მდ. თორთომის (თურქ. თორთუმჩაი) ხეობას [ქსე, 1979. გვ. 694] თორთუმში ცნობილია ქართული კულტურის მძლავრი კერები – ოშკისა და ხახულის მონასტრები.

ლაზისტანი (ლაზ. **„ლაზონა“**), რომელიც ადმინისტრაციულად შედის ჭოროხის, რიზესა და ტრაპიზონის ვილაიეთებში, თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შავი ზღვის ნაპირზე, აღმოსავლეთ პონტოს მთების ჩრდილოეთ კალთაზე მდებარე მხარეა. ლაზისტანი საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა: XIII საუკუნეში რეგიონი საქართველოს გავლენის ქვეშ მოექცა; თურქ-ოსმალთა მიერ ტრაპიზონის აღების შემდეგ ოსმალეთის ერთ-ერთ ვილაიეთად იქცა; რუსეთ-თურქეთის ომების დროს გაურკვეველი იყო მისი ტერიტორიული კუთვნილების საკითხი. 1921 წლიდან ლაზისტანის უმეტესი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაში მოექცა, მცირე ნაწილი (სოფელ სარფის ნახევარი) დღეს საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდებარეობს. სახელწოდება მომდინარეობს იქ მცხოვრები მკვიდრი ლაზებისაგან.

ამრიგად, კვლევამ გვიჩვენა, რომ ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის, ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებზე მსჯელობისას მონოგრაფიაში ასახელებს 300-ზე მეტ ტოპონიმს (ნახ. 1.), რომელთაგან ყველაზე პროდუქტიულია ქორონიმები და ოიკონიმები - 90; შემდეგ ორონიმები და ჰიდრონიმები - 50; სხვა სახის ტოპონიმები, რომლებიც მონოგრაფიაში ძირითადად დასახელებულია როგორც თავდაცვითი მნიშვნელობის მქონე გეოგრაფიული ობიექტის სახელით, მაგალითად, გაგის ციხე, თეთრციხე და ა. შ. 10-ია; ტოპონიმის ტიპებს შორის, როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები, ყველაზე მცირეა სპელეონიმები და ეკლესიონიმები. სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო დონეზეა შესწავლილი ჩვენ მიერ გაანალიზებული ტოპონიმების ლოკალიზაცია-ეტიმოლოგია და სემანტიკური თავისებურებანი; ზოგიერთი ტოპონიმი გამდიდრებულია ლეგენდარული თუ ხალხური ნააზრევით.



ნახ. 1. ტოპონიმების ტიპების განაწილება ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის მიხედვით

ლიტერატურა

1. ბედოშვილი გ. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2002.
2. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966; ტ. VIII, თბ., 1990.
3. გამახარია ჯ. აფხაზეთი: ისტორიისა და პოლიტიკის საკითხები, წერილების კრებული, თბ., 2000.
4. გეხტმანი გ., გეხტმანი ნ., ზარდალიშვილი გ., მესხი ე. გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ., „განათლება,'' 1965.
5. გვანცელაძე თ. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. წგნ.: აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998, გვ. 14-63.
6. გვანცელაძე თ. აფხაზური ენა - სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბ., „უნივერსალი", 2011.
7. გოგატიშვილი შ. საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ.: თსუ, 1989.
8. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ.: „საბჭოთა საქართველო,'' 1973.
9. თოფჩიშვილი რ. ეთნოისტორიული ეტიუდები, წ. 1, თბ., 2005.
10. ინაძე მ. ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის, სსსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე", 1960, №2, გვ. 85-162.
11. ინგოროყვა პ. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ: მოკლე სამახსოვრო ცნობა, კონსტანტინეპოლი, 4-6 ივლისი, 1918, 13 გვ.
12. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე, თბ.: „საბჭოთა მწერალი", 1956.
13. კირთაძე დ. ტოპონიმიის ზოგიერთი საკითხი V-X სს-ის ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში. თბ.: „ნეკერი", 2012.
14. კოტეტიშვილი ვ. ხალხური პოეზია, ქუთ., 1934, გვ. 81.
15. ლეთოდიანი დ. აფხაზეთი, თბ., „არტანუჯი", 2012.
16. ლორთქიფანიძე მ. აფხაზები და აფხაზეთი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 2012.
17. მარი ნ. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, тр., VII, 1911
18. მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., „მეცნიერება", 1965.
19. ნიკოლაიშვილი დ., კირთაძე დ. ტოპონიმები და გეოგრაფიული გარემო გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების'' მიხედვით: კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი, 2, 2003, გვ. 86-95.
20. მეტრეველი რ. საქართველოს ისტორია, ლექსიკონი, თბ., „მეცნიერება", 2003.
21. პაპასქირი ზ. აფხაზეთი საქართველოა, თბ., 1998.
22. სიხარულიძე ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. 1, ბათ., „სახელგამი'', 1958.
23. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., „სახელგამი,'' 1955.
24. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XI (ტ. I, 1975. ტ. XI, 1987), სხვადასხვა სტატია.
25. შანიძე ა. ტერმინ ქართლისა („საქართველო") და ქართველთა ეტიმოლოგიის შესახებ: ჟურნ. ენათმეცნიერული საკითხები, № 4, მოსკ., 1978, გვ., 85-90.
26. შარდენის მოგზაურობა საქართველოში (ფრანგულიდან ქართულად თარგმნა მზ. მგალობლიშვილმა). თბ., 1975.
27. ჩიქობავა არნ. ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIX, 1974, გვ. 70-75.

28. ცხადაია პ. ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ.: თსუ, 1988.
29. ცხადაია პ., ხორავა ზ. აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2016.
30. ჭუმბურიძე ზ. დედაენა ქართული, თბ.: „ნაკადული“, 1987.
31. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალ-საზრისით განხილული, ტფილისი: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამომცემლობა, № 160, 1919, 56 გვ.
32. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. 1, თბ:, საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1950.
33. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბ.: თსუ, 1960.
34. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977.
35. ჯავახიშვილი ივ. ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ.: თსუ, 2002.
36. ჯაველიძე ნ. აფხაზეთი, თბ., „არტანუჯი“, 2012.
37. ჯანაშვილი მ. ქართველური ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული სახელების ეტიმო-ლოგია: ჟურნ.: კავკასიის ტომთა და ადგილთა სახელწოდებების აღწერილობათა მასალების კრებული, ნაწ. 40, თბ., 1909, გვ. 46-55.
38. ჯანაშია ს. შრომები, ტ. 2, თბ., 1952, გვ. 60.
39. ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958.
40. ჰანი კ. კავკასიის ტომთა და ადგილთა სახელწოდებების აღწერილობათა მასალების კრებული, ნაწ. 40, თბ., 1909.

Toponym's Localization and Etymology by Monograph of I. Javakhishvili "Georgia's boundaries are historically and contemporary."

Daredjan Kirtadze

Resume

Toponym is a precious part of lexical fund. We can see the effort of their explanation in the ancient centuries, BC. Most succeeded were ancient Greek and Roman geographic-historians Herodotus (c. 484 – c. 425 BC), Strabo (c. 64/63 BC – 23/24 AC), Tacitus (c. 56 – c. 117 AC) and etc., but the founder of scientific study in Georgian onomastics was XVIII th century historian Vakhushti of Kartli. Big merit in toponym's exploring belongs to the great scientist and public figure of XXth century I. Javakhishvili. Many-sided interesting is his one monograph, Historically and modernly reviewed Georgian borders.''

This article, by I. Javakhishvili monograph, contains Georgian north-west, north, east, south-east, south and south-west frontiers populated toponyms; on the basis of scientific literature has shown some of the geographic objects – Abkhazia, Sadzen, Dvaleti (Tualeti), Darial (Darialani), Hereti, Kiziki (Kambechovani), Karaia (Karaiazi), Kvemo Kartli (Gugareti), Zemo Kartli, Samtskhe, Javakheti, Palakatsio, Abotsi, Tao, Ispiri (Speri), Kola, Artaani (Artaoni), Tortumi, Lazistani (Lazona) – localization-etymology and semantic peculiarities. In the borders which we talk above are toponyms clarified by quantitative and onomastics groups. In particular I. Javakhishvili in his work talk about more than 300 toponyms (picture 1), in which more productive are choronyms and oikonyms – 90 %; next are oronyms and hydronyms – 50 %; other kind of toponyms, which in the monograph named like geographic objects which have a significance of defense, for example: Gagi Fortress, Tetrcikhe and etc. is 10 %; among the types of toponyms, as you can see in the diagram, least of all are speleonymas and eklesionyms.

In scientific literature localization-etymology and semantic peculiarities of topomyms, which we analyzed, are studied at a high level; some of toponyms are enriched by legendary or folk thoughts.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კარტოგრაფიული და სამართლებრივი კვლევის საკითხისათვის

ნოდარ ხორბალაძე[1], თედო გორგოძე[2]

საქართველოს სახელმწიფო საზღვრები ისტორიულად მუდმივად განიცდიდა ცვალებადობას, რაც აისახებოდა როგორც ტექსტურ, ასევე კარტოგრაფიულ მასალებში. აღნიშნული მასალები იურიდიული თვალსაზრისით სხვადასხვა მნიშვნელობის შეიძლება იყოს. ზოგიერთ მათგანს შესაძლებელია არანაირი იურიდიული ღირებულებაც არ ჰქონდეს, რაც თავისთავად გამორიცხავს მათ გამოყენებას საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, საზღვრების დაზუსტება და დადგენა ძირითადად დამოკიდებულია იურიდიული ძალის მქონე სხვადასხვა დოკუმენტების შესწავლასა და მათ ანალიზზე.

გამომდინარე იქედან, რომ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, აგრეთვე საბჭოთა პერიოდში რუკები უმთავრესად იქმნებოდა და იბეჭდებოდა სახელმწიფო უწყებების ეგიდით, ამ პერიოდში შექმნილი რუკების აბსოლუტური უმრავლესობა არის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი. საზღვრების შესწავლის ძირითად საფუძველს სწორედ ისტორიული რუკების შესწავლა და ანალიზი წარმოადგენს. აღნიშნულის მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ საზღვრებთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი სახელმწიფო დოკუმენტით განსაზღვრული საზღვრების ცვალებადობის დატანა ხდება რუკაზე, რადგან მხოლოდ ტექსტობრივი შეფასებით შეუძლებელია საზღვრების მდებარეობის ზუსტი განსაზღვრა. ამიტომ ყველა დოკუმენტი, რომელსაც თანდართული აქვს რუკა, შესაძლებელია ჩაითვალოს სრულყოფილ დოკუმენტად.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს საზღვრის ისტორიული, სამართლებრივი და კარტოგრაფიული კვლევა. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ განხორცი-ელებული სამუშაო ძალზე შორსაა სრულყოფილებისაგან და იგი მხოლოდ დასაწყისია ამ მიმართულებით, სხვა ავტორთა და მეცნიერთა მიერ ჩატარებულ კვლევებთან ერთად. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზღვრების შესწავლა და ანალიზი ძალზე ფუნდამენტური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს ლოგიკური და სამართლიანი მეცნიერული დასკვნების მიღება, რაც სახელმძღვანელო მასალა იქნება სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესის მიმდინარეობისას და მოსაზღვრე ქვეყნებთან ტერიტორიული და სასაზღვრო დავების გადაჭრისას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა სასაზღვრო ზოლის ამსახველი და იურიდიული ძალის მქონე მსხვილი და საშუალო მასშტაბის რუკები 3 პერიოდის მიხედვით:

1. XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე გამოცემული 5-ვერსიანი (1:210,000) მასშტაბის რუკები [Верстовые карты] და ამ რუკების საფუძველზე შედგენილი სხვადასხვა მასშტაბის, შინაარსისა და დანიშნულების რუკები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1922 წელს ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემული 10-ვერსიანი მასშტაბის საქართველოს რესპუბლიკის რუკა [ჯავახიშვილი, 1922] და 1931-32 წლებში ალ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემული 1:200,000 მასშტაბის საქართველოს სსრ საზოგადო რუკა, რომელიც 12 ფურცლისაგან შედგება [ჯავახიშვილი, 1931-1932].

2. 1930-იან და მის შემდგომ წლებში გამოცემული ადმინისტრაციული მოწყობის რუკები (1:500,000 და უფრო მსხვილი მასშტაბის): საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამოცემა - 1930 წელს გამოცემული რუკა [საქართველოს სსრ.., 1930], საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აგეგმვისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული 1:200,000 მასშტაბის რუკა [Топографические

[1] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი, საქართველოს საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიის წევრი, ექსპერტი. nodarkhorbaladze@gmail.com

[2] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამსახურის გის-ანალიტიკური განყოფილების უფროსი, საქართველოს საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიის წევრი, ექსპერტი. tedo.gorgodze@gmail.com

карты..., 1936-1938], 1939 წელს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული 1:500,000 მასშტაბის საქართველოს ადმინისტრაციული რუკა [საქართველოს სსრ, 1939]. ამ თვალსაზრისით ასევე ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს რუსულ ენაზე გამოცემული რუკებიც [1946, 1952, 1965].

3. 1942-1990 წლებში საბჭოთა კავშირის გენერალური შტაბის მიერ გამოცემული სხვადასხვა მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები [Советские топографические..., 1942-1900].

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე გამოცემულ 5-ვერსიან რუკებს დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვრების დადგენისა და შესწავლისათვის. მასზე საქართველოს ტერიტორია და საზღვრები გამოსახულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული პერიოდისათვის:

- საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში - 1915-1918 წლები (ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები და სოხუმის ოლქი);
- საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდში - 1918-1921 წლები. სავარაუდოდ, 5-ვერსიანი რუკები დაედო საფუძვლად 1919 წელს შედგენილ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის რუკას, რომელიც პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე იქნა წარდგენილი;
- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში - 1921-1936 წლები.

როგორც ცნობილია, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მოკავშირე რესპუბლიკებთან საზღვრების დადგენის მიზნით, სისტემატურად მიმდინარეობდა ორმხრივი და სამმხრივი შერეული კომისიების მუშაობა. აღნიშნული კომისიების მუშაობის მთავარ საფუძველს სწორედ 5-ვერსიანი რუკები წარმოადგენდა, რომლებზეც ხდებოდა საზღვრების ცვალებადობის აღრიცხვა და კორექტირება (ნახ. 1).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საზღვრების შესწავლისათვის ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს ე.წ. „ვერსიანი“ რუკების შემდგომ შედგენილი და 1936-1938 წლებში გამოცემული 1:200,000 მასშტაბის რუკა, რაც უპირველესად განპირობებულია მისი კარტოგრაფიული და იურიდიული ღირებულებით. კარტოგრაფიულ მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ რუკები შედგენილია მიუფლინგის მრავალწახნაგოვან პროექციაში და მასზე პირველად იქნა დატანილი გაუს-კრიუგერის მართკუთხა კოორდინატთა ბადე, რაც გაზომვათა გაცილებით მაღალი სიზუსტით ჩატარების შესაძლებლობას იძლეოდა, ვიდრე გრადუსული კოორდინატები. რაც შეეხება აღნიშნული რუკის იურიდიულ მნიშვნელობას, ის განპირობებულია იმ ფაქტით, რომ 1936 წელს საბჭოთა კავშირში მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელმაც განსაზღვრა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და მასში შემავალი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საბჭოთა კავშირში შესვლა ცალ-ცალკე - მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსით. აქედან გამომდინარე, 1:200,000 მასშტაბის რუკაზე დატანილ იქნა ამ კონსტიტუციით განსაზღვრული მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრები, რაც უდავოდ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს იურიდიულ დოკუმენტს (ნახ. 2).

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ 1936-1938 წლებში შედგენილი 1:200,000 მასშტაბის რუკა ქართველი კარტოგრაფების, ისტორიკოსებისა და იურისტების მხრიდან ნაკლებად არის შესწავლილი, რაც განპირობებული იყო იმ პერიოდში სახელმწიფო დანიშნულების რუკების მკაცრი გასაიდუმლოებით. ჩვენი ვარაუდით, აღნიშნულ რუკაზე კვლევა არც დიდ მეცნიერს - ივ. ჯავახიშვილს არ უნდა ჰქონდეს ჩატარებული, რადგან რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მის ნაშრომებში არსად არ არის მოხსენიებული იგი. ამის მიზეზი კი ცხადზე ცხადია - მიუხედავად უდიდესი ავტორიტეტისა, ივ. ჯავახიშვილს აღნიშნულ მასალებზე ხელი არ მიუწვდებოდა. სხვა შემთხვევაში, გამორიცხულია, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი და იმ პერიოდისათვის მაღალი სიზუსტის რუკა, მას ყურადღების მიღმა დარჩენოდა.

5-ვერსიანი და 1:200,000 მასშტაბის რუკებისაგან არსებითად განსხვავდება მესამე პერიოდის რუკები, რომლებიც როგორც ზემოთ აღინიშნა, 1942-1990 წლებში გამოიცემოდა საბჭოთა კავშირის გენერალური შტაბის მიერ. ამ პერიოდიდან მსოფლიო კარტოგრაფიაში ახალი ერა დაიწყო, რაც განპირობებული იყო სამხედრო წარმოებაში ისეთი დარგების განვითარებით, რომლებიც აუცილებლად მოითხოვდა მაღალი სიზუსტის კარტოგრაფიულ მასალას. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ დროს დაიწყო სამხედრო დანიშნულების სხვადასხვა მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების წარმოება, რომელთა მათემატიკურ საფუძველს გაუს-კრიუგერის ტოლკუთხა განივ ცილინდრული პროექცია წარმოადგენდა, რაც უზრუნველყოფდა აღნიშნული რუკების მაღალ კარტომეტრიულ სიზუსტეს.

ნახ. 1. 5-ვერსიანი რუკის ერთი ფურცელი (E.7.)



ნახ. 2. ტოპოგრაფიული რუკის ერთი ფურცელი, 1937 წელი (K-38-XXII)

მიუხედავად მაღალი სიზუსტისა და ინფორმაციულობისა, საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე საზღვრები არაერთგვაროვნად არის გამოსახული, რაც გულისხმობს იმას, რომ არაერთი განსხვავება შეინიშნება როგორც სხვადასხვა მასშტაბის ასევე სხვადასხვა წლებში გამოცემულ რუკებს შორის. აღნიშნული საკითხი ხშირად გამხდარა მოსაზღვრე სახელმწიფოთა შორის სასაზღვრო დავის საფუძველიც, რაც რიგ შემთხვევებში დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩება. მიუხედავად ამისა, ამ რუკების შესწავლა დიდ აუცილებლობას წარმოადგენს, ვინაიდან 1:100,000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები საბჭოთა პერიოდში წარმოადგენდა ე.წ. „მორიგე რუკებს“, რომლებზეც ხდებოდა ყველა ცვლილების დატანა და შესაბამისად ნაჩვენები იყო საზღვრების ცვალებადობის დინამიკა (ნახ. 3, 4).

დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წლიდან დღემდე) შედგენილ და გამოცემულ სახელმწიფო დანიშნულების ტოპოგრაფიულ რუკებზე საზღვრები დატანილია საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკების საფუძველზე. ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნულ პერიოდში არ მომხდარა ორ სახელმწიფოს შორის შეთანხმება საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებით.

უდავოა, რომ სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესია და მას აუცილებლად ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც სახელმწიფოს, ასევე შესაბამისი დარგების სპეციალისტთა მხრიდან. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველო შეიძლება იყოს. როგორც ცნობილია, საქართველოს ოთხი მოსაზღვრე ქვეყნიდან შეთანხმებული საზღვარი მხოლოდ თურქეთთან გააჩნია, რაც პირდაპირ ემთხვევა საბჭოთა პერიოდში დადგენილ საზღვარს საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის. დანარჩენ სამ სახელმწიფოსთან საზღვრის მონაკვეთები გარკვეულწილად შეუთანხმებელია, რაც გამოწვეულია აღნიშნულ მონაკვეთებზე სადავო უბნების არსებობით. აქედან გამომდინარე, დღეისათვის მოქმედ სახელმწიფო დანიშნულების ტოპოგრაფიულ რუკებზე საქართველოს საზღვარი მოსაზღვრე ქვეყნებთან განსხვავებულად არის გამოსახული, რაც მიუთითებს დემარკირებულ (თურქეთთან) და არადემარკირებულ (რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან) საზღვარს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამეცნიერო წრეების ერთობლივი მუშაობა და ამ საკითხის ფუნდამენტური შესწავლა, რათა არ მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რაც უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.



ნახ. 3. საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკის ერთი ფურცელი, 1943 წელი (K-38-91-B)



ნახ. 4. საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკის ერთი ფურცელი, 1983 წელი (K-38-91-B)

ლიტერატურა

1. საქართველოს სსრ. ადმინისტრაციული რუკა. შემდგ. ევ. ზარამიძე. თბილისი: საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამოცემა, 1930 (საქართველოს სმუს პოლიგრ. ტრესტის ლითოგრაფია). მასშტაბი. 1:900,000.
2. საქართველოს სსრ. ადმინისტრაციული რუკა. რედ. ს.გ. ცხაკაია. მე-2 გამოცემა. თბილისი: სსრკ სკს-თან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო, 1939 (მე-8 კარტ. ფაბრიკა). მასშტაბი 1:500,000 (1 სმ-ში 5 კმ), 2 ფურცელი. ადმინისტრაციული საზღვრები მოცემულია 1939 წ. 1 ივლისისათვის.
3. ჯავახიშვილი ალ. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საზოგადო რუკა. შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში და გამოცემული სახელმწიფო გამომცემლობის მიერ 1931-1932 წ. პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. მასშტაბი 1:200,000.

4. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს რესპუბლიკის რუკა, 1922. გამოცემა შინაგან საქმეთა კომისარიატისა. მაშტაბი დიუმზედ 10 ვერსი (1:420,000). Верстовые карты разного масштаба. XIX-XX столетия.

5. Карта. Грузинскоая ССР. Ред.: С.Д. Штейнберг, С.С. Руденко. Тбилиси, 1965 (Фабрика N 8). масштаб 1:400,000.

6. Карта. Грузинская ССР, Азербайджанская ССР, Армянская ССР : Для высших учебных заведений / Ред. Н.А. Суздальцева. Рига, 1952 (Рижская картфабрика ГУГК). масштаб 1:600,000.

7. Карта. Грузинская ССР. Для служебного пользования. Ред.: А.Ф. Пивоваров, Н.А. Суздальцева, Г.С. Мерисов. Москва: Гл. упр. геодезии и картографии при Совете министров СССР, 1946 (Тбилиси: Картфабрика N 8). масштаб 1:500,000.

8. Топографические карты масштаба 1:200,000. Издание Главного управления государственной съёмки и картографии НКВД-СССР, 1937-1938.

9. Советские топографические карты разного масштаба. Главное управление геодезии и картографии Министерство геологии и охраны недр СССР, 1942-1990.

Nodar Khorbaladze, Tedo Gorgodze

For the Cartographic and Legal Study of the State Border of Georgia

Resume

Historically, the state borders of Georgia changed permanently evidenced both, by the available textual and cartographic materials. In a legal respect, these materials may be of different designations meaning that some of them may not have a legal value making it impossible to use them in the process of delimitation or demarcation of the borders. Consequently, identifying and specifying the borders is mainly possible through the study and analysis of various documents with a legal force.

The article identifies large- and average-scale maps of a legal force of three different periods depicting the borderline:

1. 5-Verst topographic maps (1:210,000) published on the turn of the XIX century and maps of different scales, contents and designations compiled by using them, with a 10-Verst "Map of the Republic of Georgia" published under the editorship of Ivane Javakhishvili in 1922 and "The general Map of the Georgian SSR" scaled 1:200,000 published under the editorship of Al. Javakhishvili in 1931-1932 worth of particular attention.

2. The maps of administrative structure published in the 1930s (scaled 1:500,000 and larger): a map published by the Publishing House of the Central Executive Committee of Georgia in 1930, a map scaled 1:200,000 published by the Principal Department of Survey and Cartography of the Public Commissariat of the Internal Affairs of the USSR, "The Administrative Map of Georgia" scaled 1:500,000 published by the Principal Department of Geodesy and Cartography in 1939. In this respect, the maps published in the Russian language are of no less interest.

3. The topographic maps of different scales published by the Soviet General Staff in 1942-1990.

It is without a doubt that the process of demarcation and delimitation of the state border is a most important process for any state and must be paid due attention both, by the state and the relevant branch specialists.

სახელმწიფო საზღვარი სოფ. ერისიმედიდან – საქართველოს უკიდურეს სამხრეთ წერტილამდე

ზვიად თურმანიძე[1], მარიამ ციცაგი[2]

„A nation without borders is not a nation at all "

***Donald Trump** (45th President of the United States)*

„სახელმწიფოებრივს ერთეულს თავისი აუცილებელი მოთხოვნილება და არსებობის პირობები აქვს, რომელთა შორის საპატიო ადგილი სამზღვრებს უჭირავს. საქართველოს სამზღვრების საბოლოვო მოხაზულობის გამორკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს".

ივანე ჯავახიშვილი

ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757) - გამოჩენილი გეოგრაფი და ისტორიკოსი საქართველოს ტერიტორიის პირველ სრულყოფილ გეოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის. XVIII საუკუნიდან მოყოლებული მისი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" რუკებითურთ მრავალგზის გახდა სხვადასხვა ავტორ-მეცნიერთა ნაშრომისა და რუკის საფუძველი. მას განხილული აქვს საქართველოს ისტორია უძველესი პერიოდიდან 1740-იან წლებამდე, მასში შესულია საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების ისტორია და მათი გეოგრაფიული აღწერილობა. იგი შეიძლება გაუზვიადებლად ჩავთვალოთ საქართველოს ტერიტორიის პირველი მსხვილმასშტაბიანი რუკების ავტორად, სამართლიანად მივიჩნიოთ ქართული მეცნიერული გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის ფუძემდებლად.

ცნობა ვახუშტის პირველი ატლასის შესახებ ლაიფციგის გაზეთში 1737 წლის 5 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა, სადაც მაღალი შეფასება მიეცა ბაგრატიონის მიერ შედგენილ რუკებს. ვახუშტის ატლასის საფუძველზე შეადგინეს „რუსეთის ატლასში" შესული კავკასიის ამსახველი რუკები (1745), სუხოტინის (1771), გიულდენშტედტის (1772), ბურნაშევის (1784) და სხვა რუკები.



DESCRIPTION GÉOGRAPHIQUE

DE LA

GÉORGIE,

PAR LE

TSARÉVITCH WAKHOUCHT,

PUBLIÉE

D'APRÈS L'ORIGINAL AUTOGRAPHE,

PAR

M. BROSSET,

MEMBRE DE L'ACADÉMIE IMPÉRIALE DES SCIENCES.

S.-PÉTERSBOURG,

A LA TYPOGRAPHIE DE L'ACADÉMIE.

1842.

NEW-YORK

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიის" პირველი სტამბური გამოცემა (ნახ. 1): „ღეოღრაფიული აღწერა საქართველოჲსა ბატონიშვილისა ვახუშტის მიერ" ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ განახორციელა 1842 წელს ქართულ-ფრანგულ ენაზე [ვახუშტი ბატონიშვილი, 1842]. შემდეგი გამოცემები განახორციელეს მ. ჯანაშვილმა (1941 წ.), თ. ლომოურმა და ნ. ბერძენიშვილმა (1941 წ.), 1997 წელს ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტმა ვახუშტი ბაგრატიონის 300 წლისთავის აღსანიშნავად ხელახლა გამოსცა „საქართველოს გეოგრაფია".

ფოტო 1. „ღეოღრაფიული აღწერა საქართველოჲსა ბატონიშვილისა ვახუშტის მიერ". წიგნის ყდა, 1842 წ.

[1] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ტოპოგრაფიული სამსახურის ოფიცერი, გეოგრაფი

[2] ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ დოქტორანტი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) საქართველოს ეროვნული არქივის წარდგინებით ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ 2013 წელს მსოფლიო საერთაშორისო დოკუმენტურ რეესტრში შეიტანა [The United Nations...].

საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრების შესახებ, რომელიც წინამდებარე ნაშრომის კვლევის ობიექტია, პირველ სარწმუნო წყაროდ კახეთის ტერიტორიაზე პირველად ვხვდებით თავში: „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა“ [ვახუშტი ბაგრატიონი, 1842. გვ. 282]. საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრის ამ მონაკვეთის კონტური კარგად იკითხება მის მიერვე შექმნილი რუკებიდანაც (ნახ. 2).



ნახ 2. ფრაგმენტი ვახუშტი ბაგრატიონის რუკიდან

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ქუეყანა-წყლისათჳს - ხოლო არს ქუეყანასა ამას შინა უდიდესნი მდინარენი ალაზანი და მეორე მცირე ალაზანი ანუ იორი, რომელთა მოიგეს სახელნი ალონის გამო, არამედ იორი გაორებისათჳს, ვინაადგან აქუთ სახელი ერთი - „იორა ამ მდინარემ“. ხოლო გამოსდის ალაზანი თუშ-ფშავსა და ძურძუკს შორის კავკასსა, და დის ჩდილო-დასავლეთიდამ ადმოსავლეთ-სამჴრეთ შუა. და მიერთვის მტკუარს განჴის ბოლოს. აქ მტკვრისა და ალაზნის შესართავს შორის არს მოვაკანი რომელი აღაშენა მოვაკანოს, და ამის გამო ეწოდა წილსა მისსა მოვაკანი, ვითარცა აღაშენა ბარდა ბარდოს და უწოდა სახელითა თჳსითა წილსა თჳსსა. ხოლო მტკურისა და ალაზნის შესართავს ზეით, ჩდილოთკენ,

მოერთვის ალაზანს მცირე-ალაზანი ანუ იორი, და ამათ შესართავს შორის არს ჰერეთი, რომელი აღაშენა ჰეროს, ქალაქი თჳსისა სახელისა, და ამის გამო ისახელა ქუეყანაცა ესე, და აწ უწოდებენ ამას ადგილსა ხორანთას. და იყო ქალაქი და ციხე ყრუდმდე და ბერქამდე, შემდგომად მოოჴრდა და აწცა ოჴერ არს.“ [ვახუშტი ბაგრატიონი, 1842. გვ. 288].

ტექსტიდან ირკვევა, რომ ვახუშტი მცირე ალაზანად მოიხსენიებს მდ. იორს, თუმცა დღესდღეისობით მდ. ალაზანი უშუალოდ მდ. მტკვარს აღარ უერთდება. მტკვარი ჯერ, საბჭოთა კავშირის დროს საირიგაციო-ენერგეტიკული მიზნებისათვის აშენებულ შამქორის წყალსაცავში (1982), შემდეგ კი მისგან აღმოსავლეთით 14 კილომეტრში მდებარე იენიქენდის წყალსაცავში (1984-2000), ბოლოს კი მინგეჩაურის წყალსაცავში (1953-1959) ჩაედინება. აღნიშნულ წყალსაცავში ცალ-ცალკე ჩაედინებიან ალაზანიც და იორიც, მაშინ როდესაც ვახუშტის დროს და შემდეგაც, ამ წყალსაცავის აშენებამდე, მდ. იორი ალაზანს, ალაზანი კი მდ. მტკვარს უერთდებოდა. რაც შეეხება მოვაკანს (ნახ. 3), რომელიც გადმოცემის მიხედვით, ბიბლიური თარგამოსის რვა ვაჟიდან ერთ-ერთს-მოვაკანოს დაუარსებია, მისი კვალი ვახუშტის რუკების მიხედვით, დღევანდელი მინგეჩაურის წყალსაცავის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქ. მინგეჩაურის (დაარსდა 1945 წელს მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით) მახლობლად უნდა ვივარაუდოთ.

ფოტო 2. მოვაკანის საუფლისწულოს დროშა

(ფრაგმენტი ვახუშტი ბატონიშვილის რუკიდან)

ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებულის - „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილის ავტორის - ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა-ში“ ვკითხულობთ: *„ხოლო მოვაკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ზღუამდე. და ამან აღაშენა ქალაქი მოვაკნეთი, და დაემკჳდრა მუნ“.*

მოვაკანის საუფლისწულოს ტერიტორია იორ-ალაზნის შესართავიდან კასპიის ზღვამდე ვრცელდებოდა. 1289 წელს მოვაკანში, მტკვრისპირას, მონღოლთა ყაენის არღუნის ბრძანებით თავი მოკვეთეს საქართველოს მეფეს (1271-1289) დემეტრე II თავდადებულს.

მოვაკანს იხსენიებს თეიმურაზ ბატონიშვილიც, მის მიერ 1843 წელს „შედგენილ-ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსას“, რომელიც 1848 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოსცა დ. ჩუბინაშვილმა (რუს. ჩუბინოვი) [თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848]. ავტორი მოვაკანს მოიხსენიებს ალვანიასთან (ალბანეთი) ერთად (ნახ. 4), რომელიც ქრისტიანული სამთავრო-სახელმწიფო (კავკასიის ალბანეთი) იყო სამხრეთ კავკასიაში. მის არსებობას მერვე საუკუნის დასაწყისში არაბების შემოსევებმა დაუსვა წერტილი.



* ალვანია კახეთისა ყოველთა ადგილთა ეწოდების ჲ მოვაკანსა, რომელიცა ძველად კახეთისავე ნაწილი არს, ესე იგი შირვანი ანუ შემახია, ესე ადგილსი ვიდრე კასპიისა ზღვადმდე ჲ ვიდრე დარუბანდისა კარადმდე ყოველნივე ალვანია არიან, ერთკერძო მტკვრის მდინარე განჰყოფს ალვანიასა ჲ ბარდავ-რანსა ალვანია. კახეთში არის სოფელი ალვანი ჲ მინდორი მისი იგი ყოფილ არს უძველესთა ჟამთა ქალაქი დიდი, მის ძლით სწოდებიეს ალვანია, ბერძენნიცა სრულიად კახეთსა თჳსისა თჳს საყოფელითა ადგილებითა უწოდებდეს, რომელიცა ზემორე მოვიხსენეთ ადგილთა მათ ალვანიად. ალვანია არარაჲ სხვა არს, თჳნიერ ზემოჲსა ივერიისა ერთი ჩინებული სამეფო თჳსითა სამთავროებითურთ.

(ესენი გეოგრაფიულსა აღწერასა შინა უმჯობესად, ესე იგი უნათლიერესად მოიხსენებიან).

ნახ. 4. ფრაგმენტი თხზულებიდან „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა“ 1848 წ. გვ. 106.

ქ. მინგეჩაურის ტერიტორიაზე გათხრებისას, რომელიც XX საუკუნის შუა წლებში მიმდინარეობდა აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის: მტკვარ-არაქსის კულტურის, შუა საუკუნეების და XVII საუკუნის ნამოსახლარები, სამარხები, ნაეკლესიარი, სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიური არტეფაქტები, რაც მიგვანიშნებს იმაზე რომ ეს ტერიტორია ოდითგან დასახლებული ყოფილა იბერიულ-კავკასიური ტომებით.

„კაკისა და ელისენისათჳს – ხოლო აწ კუალად ვიწყებთ ალაზნის შესართავიდამ. სად არს ხორანთა, მას ქუეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორისს, და მოდის გიშამდე ჩდილოდამ სამჴრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით. არამედ გიში არს მთის ძირს“.

„ამ გიშისწყალს მოერთვის ჩდილოდამ ქურმუხისწყალი; გამოსდის მასვე კავკასსა და მოდის ჩდილოდამ სამჴრით ამ წყალზედ არს ქურმუხი, სიმაგრე დიდშენი.“ [თეიმურაზ ბატონიშვილი, 1848. გვ. 304].

ხორანთა (ჰერეთი) – დასახლებული პუნქტი, ჰერეთის ისტორიულ-პოლიტიკური ცენტრი, რომელიც მდ. ალაზნის და მდ. იორის შესართავთან მდებარეობდა, ამჟამად მინგეჩაურის წყალსაცავით არის დაფარული.

ხორანთის ნაქალაქარის ერთ-ერთ ფრაგმენტად თვლიან 1965 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმ. ლ. ჭილაშვილი) ელდარის (სამუხის) ველზე მიკვლეული შენობა-ნაგებობის ნაშთებს (WGS 84 - 621,429-4,556,546). აქ აღმოჩენილია აქემენიდური ხანით დათარიღებული სვეტის ლილვიანი და სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე დაყრდნობილი ბაზისი, ქვევრები, კრამიტის ნახატები და სხვა კერამიკული ნაწარმი (ნახ. 5).

ნახ. 5. ნაქალაქარ ხორანთა, შენობა-ნაგებობის ქვის კედლები, სვეტების ქვის ძირები, ქვევრები. 25.04.2013 წ.

მთლიანად ნაქალაქარი 10 ჰექტარზეა განფენილი. 2017 წლის 4 აპრილს ნაქალაქარ ხორანთას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა [http://heritagesites.ge].

ვახუშტის აღწერის მიხედვით ხორანთას ქვევით მდ. ალაზანს - **მდ. გიშისწყალი** უერთდება. მის შედგენილ რუკაზეც (იხ. ნახ. 1) ასეა გამოსახული, თუმცა ამჟამად ჰიდროგრაფიული ქსელი სულ სხვა სახისაა და საეჭვოა, იმ პერიოდში რადიკალურად განსხვავებული სურათი ყოფილიყოს. ვახუშტის მიხედვით გამოდის, რომ მდ. გიშისწყალს ორი სუბგანედური ქედი და მათ შორის მოქცეული აჯინოურის ვაკე უნდა გადაეკვეთა, რაც ფაქტობრივად წარმოუდგენელია.

თუმცა ტოპონიმი გიშისწყალი (ახლანდელი მდინარე ქიშჩაი, Кишчай) ნამდვილად არსებობს. ამ სახელწოდების მდინარე სათავეს იღებს კავკასიონიდან, მიედინება ჩრდილოეთიდან სამხრეთის, სოფელ გიშის მიმართულებით (აზერ. Kiş, რუს. Киш. სოფ. გიშში შემორჩენილია X–XI საუკუნეების გუმბათიანი ეკლესია) სოფელ ქუდულასთან (აზერ. Qudula, რუს. Кудула). გიშისწყალი უერთდება მდ. აგრიჩაის, რომელიც მიედინება აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით და უერთდება მდ. ალაზანს „მოსაბრუნის“ ქვემოთ.

აგრიჩაის ასევე ჩრდილოეთიდან უერთდება მდ. ქურმუხისწყალი (აზერ. Kürmükçay, რუს. Курмухчай). კახს ქვემოთ გამოზიდვის კონუსზე იგი იტოტება, საბოლოდ კი აგრიჩაის უერთდება. ქურმუხისწყლის მარცხენა ნაპირზე შექისკენ (ისტორიული ნუხი) მიმავალი გზის მხარეს ისტორიული ჰერეთის მთავარი სალოცავი ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაა, ხოლო ვახუშტის მიერ ნახსენები ციხესიმაგრე ქურმუხისწყლის მარჯვენა ნაპირზე სოფელ აღჩაისა და კახს შორის მდებარე, ნაწილობრივ დანგრეული ქურმუხის ციხე (აზერ. Cinli qala) უნდა იყოს.

„კუალად ხორანთას ზეით ალაზანს ერთვის წყალი ფიფინეთისა; გამოსდის იმასვე კავკასს, მოდის ფიფინეთამდე ჩდილოდამ სამჴრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით, მერმე ჩდილოდამ სამჴრით. ხოლო მთის ძირს არს ფიფინეთი, სად დასხნა მეფემან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიიდამ ყინული, და იყო არჩილამდე ეგრეთ. შემდგომად იწოდა ჭარი, და ყვეს სიმაგრე, და იქმნენ სახელოვან ბრძოლათა შინა. აქ, ჭარს ზეით, არს მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, კარგს ადგილს, არამედ მათ გამო უქმი, ხოლო ამ წყლის შესართავს ზეით არს ალაზანი ყურედ და ყურედ, და მომდინარე მომგრგუალვით, და დაუტევებს შიგნით ადგილსა დიდსა, ვითარცა კარით შესავალსა, და მორტყმული არს წყლითა. ამ ადგილს უწოდებენ მოსაბრუნს. აქ ჭარის პირისპირ და ყარაღაჯის ბოლოს, აღაშენეს ხანთა სასახლენი დიდშენნი, არამედ აწ არს ოჯერ“ [ვახუშტი ბაგრატიონი, 1842. გვ. 306]. ფიფინეთი, რომელსაც ჭარი ეწოდა ლეკების დასახლების გამო, არის ზაქათალაზე მიბმული, მისგან ჩრდილოეთით მდებარეობს სოფელი ჭარი (აზერ. Dzhar, Dzhary, Car). სოფელში შემორჩენილია ძველი ციხესიმაგრის ნანგრევები.

„ყარაღაჯისა და ქისიყისათჳს-კუალად ყოფილ არს ალაზნის მოსაბრუნთა შინა ძუელად შენობა ქრისტეანეთა“ [ვახუშტი ბაგრატიონი, 1842. გვ. 308] - მოსაბრუნის ტერიტორია არქოლოგიურად შეუსწავლელია, ზედაპირული დათვალიერებით ისტორიული ნაგებობის კვალი არ ფიქსირდება. ამჟამად „მოსაბრუნი“ წარმოადგენს საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილს - ჩ.გ. 41°17’06’’ და ა.გ. 46°44’10’’ (ნახ. 6).

ნახ. 6. მდ. ალაზანი ადგილ „მოსაბრუნთან“ *საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი (WGS – 645,401-4,571,865), 03.04.2013 წ.*

ვახუშტისეული აღწერის მიხედვით საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე იწყებოდა, შემდეგ ჩამოუყვებოდა გიშისწყალს, უერთდებოდა მდ. აგრიჩაის და საზღვარი მიუყვებოდა მას მდ. ალაზნამდე, „მოსაბრუნის“ ქვემოთ. მდ. ალაზნის დინება სამხრეთ-აღმოსავლეთური მიმართულებიდან - სამხრეთ-დასავლეთური ხდება, საზღვარი კი გაუყვებოდა მას იორ-ალაზნის შესართავამდის.

საქართველოს საზღვრებს დიდ ყურადღებას უთმობს და ვრცლად აქვს განხილული ქართველ ისტორიკოს და საზოგადო მოღვაწეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს ივანე ჯავახიშვილს (1876-1940). თავის მონოგრაფიაში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, რომელიც მან მოამზადა 1919 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციისთვის, განიხილავს საქართველოს საზღვრებს ისტორიულ, იმდროინდელ და სამომავლო მოწყობის პერსპექტივების თვალსაზრისით. მისივე რედაქტორობით არის შედგენილი საქართველოს ისტორიული რუკა (ნახ. 7,8). ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობა და იზიარებს ვახუშტისეულ საზღვრის გატარების ვერსიას, საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრის ზემოთ ხსნებული მონაკვეთიც ანალოგიურად აქვს აღწერილი.

ნახ. 7 საქართველოს ისტორიული რუკის [1923] ლეგენდა

ნახ. 8. საქართველოს ისტორიული რუკის [1923] ფრაგმენტი

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის 5 ივლისს, აზერბაიჯანის და საქართველოს სსრ-ების დელეგატებმა კონფერენციაზე განიხილეს საზღვრების საკითხი და მიიღეს დადგენილება ორ ქვეყანას შორის საზღვრების რეგულირების შესახებ, რომლის მეოთხე პუნქტში ნათქვამი იყო: „***ზაქათალის ოლქის*** *საკითხის შესახებ კონფერენცია ადგენს: საქართველოს სსრ უარს ამბობს ყოველგვარ პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქის მიმართ, რაზეც საქართველოს რევკომი გამოსცემს შესაბამის დეკლარაციას*“[1]. დადგენილებას ხელს აწერს ფილიპე მახარაძე (საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარე, ამავდროულად მიწათმოქმედების სახალხო კომისარი) და ნარიმან ნარიმანოვი (აზერბაიჯანის სსრ რევკომის თავმჯდომარე). აღნიშნული დადგენილება იურიდიულად გაფორმდა იმავე წლის 15 ნოემბერს. ბოლშევიკების წყალობით ასე დაკარგა საქართველომ ისტორიული ტერიტორიები: ბორჩალოს მაზრის ნაწილი და ზაქათალის ოლქი.

ორი წლის შემდეგ 1923 წელს საქართველომ სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიაზე დათმო ასევე **ელდარ-სამუხის** ტერიტორიის დიდი ნაწილი და მდ. იორი 40 კმ სიგრძის მონაკვეთზე. 1938 წლის 23 მარტს ამიერკავკასიის ხელმძღვანელთა თათბირზე საბოლოოდ დამტკიცდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრის ხაზი, რომლის დიდმა ნაწილმა მდ. ალაზანზე გადმოინაცვლა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კვლავ აქტუალური გახდა საზღვრების საკითხი, მათ შორის საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ხაზის ის მონაკვეთი, რომელიც პირობითად **მდ. ალაზანზე** გადის და არასტაბილურობით ხასიათდება. სატელიტური სურათების, აეროსურათების, სხვადასხვა მასშტაბისა და სხვადასხვა წელს შედგენილი ტოპოგრაფიული რუკების ანალიზი, აგრეთვე ჩვენს მიერ 2013 წელს ადგილზე ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები მკაფიოდ მიგვანიშნებს, ერთი მხრივ, მოწყვეტილი მეანდრების, ნარიონალების (ნაალაზნარების) კვალის, ხოლო მეორე მხრივ, ასევე დაკარგვის საფრთხის წინაშე მდგარი მეანდრებისა და ინტენსიური ეროზიის არსებობაზე.

მდ. ალაზნის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე დაკვირვების შედეგად მეანდრირებითა და ეროზიით გამოწვეული დანაკარგები ბევრად მეტია საქართველოს მხარეს. ამას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი, რომელთაგან ძირითადია:

1. **ბერი-კორიოლისის ეფექტი**[2] - განსაკუთრებით კარგად მჟღავნდება დიდი მდინარეების, მათ შორის ალაზნის მაგალითზე. ასეთ მდინარეებს ძირითად შემთხვევაში აქვთ მაღალი (ციცაბო) მარჯვენა და დაბალი მარცხენა ნაპირი.

2. **წყალშემკრები აუზი** - მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადების რაოდენობა მკვეთრად აღემატება მარჯვენა შენაკადებისას. სასაზღვრო მონაკვეთზე მარჯვენა შენაკადებიდან მხოლოდ მლაშეწყალი (მწარეწყალი, კასრისწყალი, ლეკიწყალი) და ალაზნის სარწყავი არხია, რომლებიც მეტ-ნაკლები წყალუხვობით გამოირჩევიან. მათ გარდა, მარჯვენა შენაკადებიდან ალაზანს არ უერთდება არცერთი მნიშვნელოვანი სიდიდის მდინარე. ღორისწყალი (ტახისწყალი) და სხვა ხევების კალაპოტები წყლის უმეტეს დროს მშრალია. წყალი მათში მხოლოდ წვიმების დროს მოედინება და ღვარცოფული ხასიათი აქვს. მათგან განსხვავებით მარცხენა შენაკადების რეჟიმი და ხასიათი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მდ. ალაზნის კალაპოტის ფორმირებაზე. მდინარეები რომლებიც კავკასიონიდან იღებენ სათავეს: კვირიასწყალი (ულგანსუ), ყარაჩაი, კატეხისწყალი (კატეხჩაი), ბელაქნისწყალი (ბელაქანჩაი), ქაფიჩაი, აჯიჩაი, აგრიჩაი და სხვა, მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკადებისგან განსხვავებით, ხასიათდებიან წყალუხვობით, წყალმოვარდნებით, აქვთ დიდი ზომის გამოზიდვის კონუსები, შემოაქვთ დიდი რაოდენობის ნაშალი მასალა, რომელიც მდინარეებს გამოაქვთ მდ. ალაზნის მეანდრებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი შეგუბება. ამის კარგი მაგალითია მდ. ჯამპარაჩაი, რომელმაც 2013 წელს 6 ჰა ფართობის საქართველოს ტერიტორია მოწყვეტის საფრთხის წი-

---

[1] ზაქათალის მხარის ტერიტორიული მიკუთვნებულობის საკითხი ასევე განხილულია ალმანახის ამავე ტომში - იხ. სტატიები: ნიკოლაიშვილი, სართანიას; გურული, არაბულის; ანდერსენის [რედ.].

[2] სახელი ეწოდა ამ კანონზომიერების აღმომჩენი მეცნიერების - გასპარ გუსტავ კორიოლისისა და კარლ ბერის პატივსაცემად. ნებისმიერი მოძრავი სხეული ცდილობს შეინარჩუნოს საწყისი სიჩქარე და მიმართულება, მაგრამ დედამიწის ბრუნვით გამოწვეული გადამხრელი, ანუ ინერციის ძალა, განაპირობებს სხეულის მიმართულების გადახრას ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მარჯვნივ, სამხრეთ ნახევარსფეროში კი მარცხნივ, მოცემული სხეულის მოძრაობის მიმართულების მიუხედავად, ეკვატორზე კორიოლისის ძალა ნულის ტოლია და იზრდება პოლუსებისაკენ, სადაც ეს ეფექტი მაქსიმალურია. მისი ზემოქმედების გეოგრაფიული შედეგებია: ჩრდილო ნახევარსფეროში მდინარეების მიერ მარჯვენა, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში მარცხენა ნაპირის აქტიური ეროზია.

ნაშე დააყენა (ნახ. 9). მდ. ჯამპარჩაის მოქმედების შედეგად ირეცხებოდა მდ. ალაზნის მარჯვენა, საქართველოს ტერიტორიაზე მოქცეული ნაპირი, რაც ქმნიდა საშიშროებას მდინარის გასწორხაზოვნებისა, რომლის შედეგად მოსალოდნელი იყო მეანდრის ყელის გარღვევა. იკარგებოდა 6 ჰა-ზე მეტი ტყით დაფარული ტერიტორია. ამის აღსაკვეთად 2013 წელს სახელმწიფომ დაიწყო ნაპირსამაგრი სამუშაოები. 140 მეტრის სიგრძის ნაპირზე მოეწყო ფლეთილი დიდი დიამეტრის მქონე ქვების ბერმა (ნახ. 10).

ნახ. 9. მდ. ჯამპარაჩაის და მდ. ალაზნის შესართავი (Google Earth, 2003-2006-2009-2011-2014 წ.)

ნახ. 10. ნაპირსამაგრი მდ. ალაზანზე 2013 წ. http://mrdi.gov.ge

3. **გეოლოგიური აგებულება** - მდ. ალაზნის კალაპოტი მეტწილად ემთხვევა დეპრესიის ღერძს, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთით მარჯვნივ არის გადაადგილებული და ივრის ზეგანს ეკვრის. ალაზნისპირა ფლატეებზე აპტურ-ალპური ნალექები წარმოდგენილია თხელშრეებრივი თიხაქვიშნარებითა და თიხებით, კენჭნარის და კონგლომერატების მორიგეობით. ქანები ბევრ ადგილას ძლიერ გამოფიტული და დანაპრალებულია. გვხვდება ტუფოგენური ქვიშაქვები, მერგელები. მეოთხეული ნალექებიდან წარმოდგენილია: ალუვიურ-დელუვიური თიხა-თიხნარები და ქვიშნარები. ნაპირის ქვეშ (სიღრმეზე) განვითარებულია რამდენიმე ათეული მეტრის სისქის ლამიანი თიხები და ქვიშები, რომლებიც ძალზე უმნიშვნელო შეჭიდულობით, დაწნეხისა და ჩაძირვის თვისებებით ხასიათდებიან [მარუაშვილი, 1964. გვ. 277]. ამიტომ მყარი საინჟინრო ნაგებობების გამოყენება სასურველ ეფექტს არ იძლევა, რადგან ეს ნაგებობები მათ **ქვეშ არსებული სუსტი მექანიკური თვისებების მქონე ნალექებში თანდათანობით იძირება.**

შესაბამისად, კარგავს ნაპირის ეროზიისგან დაცვის ფუნქციას. ეს პროცესები განვითარდა კაკლისყურეშიც (ჯუმასყურე), როდესაც სანაპირო ხაზი გაამაგრეს, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ ლოდნარი ჩაიძირა თიხითა და ლამით აგებულ გრუნტში. 2013 წელს ხელახლა ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები. ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხის ბოლო მონაკვეთზე (კოორდინატები: WGS 84 – 616,941-4,591,468) არხმა გაარღვია გვერდითი კედელი, გაჭრა საავტომობილო გზა და დროის მცირე მონაკვეთში წარმოქმნა 10 მეტრზე მეტი სიღრმის ხრამი. მის ჭრილზე დაკვირვება ზოგად წარმოდგენას მოგვცემს ტერიტორიის ამგებელ ქანებზეც (ნახ. 11).

ნახ. 11. ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხის მიერ წარმოქმნილი ხრამი. 27.03.2013 წ.

4. **მცენარეული საფარი** - დიდია ნაპირდაცვისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებში ჭალის ტყეების როლი, რომელთა ფართობიც საქართველოში ყოველწლიურად მცირდება. იგი შემორჩენილია რამდენიმე მდინარის ხეობაში, მათ შორის ფრაგმენტულად არის გავრცელებული მდ. ალაზნის ტერასებზე. მომცრო ნაკვეთები გვხვდება სოფ. საბათლოს მიდამოებში, ალფადარისა და მიჯნისყურის ხევების შესართავთან. დიდი კოროომეზია შემორჩენილი კაკლისყურეში (ჯუმასყურეში). ამ ყურეში გვხვდება ალაზნის ხეობისათვის დამახასიათებელი ლეშამბოიანი ჭალის ტყეები, რომელიც ფლორისტულად ძალიან მდიდარია. კაკლისყურეშივეა კაკლის ბუნებრივი ვრცელი ჰაბიტატი. ჭალის ტყეებითა დაფარული სხვადასხვა მეანდრი, რომელთა დიდი ნაწილი ამჟამად ვაშლოვნის დაცული ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული, თუმცა მოსახლეობის მიერ მაინც ხდება მერქნის უკანონო მოპოვება (ნახ. 12). ალაზნისპირებში ჭალის ტყეები ძირითადად წარმოდგენილია: ვერხვნარებით, ალვითა და ჭალის მუხის ტყეებით. ასევე გვხვდება: იფანი, თელა, კავკასიური ლაფანი. მეორე იარუსს ქმნიან: თელა, ტყემალი, კუნელი, კავკასიური მაყვალი, ზღმარტლი, შინდანწლა, ტირიფი კვიდო, თუთა, შვინდი, ჩვეულებრივი კომში და სხვ. მდიდარია ლიანების შემადგენლობაც: პასტუხოვის სურო, ველური ვაზი, კრიკინა, კატაბარდა, ღიჭი, ღვედკეცი, სვია და სხვ. ბალახოვნებიდან აღსანიშნავია: ისლი, შალამანილი, ქრისტესბეჭედა და სხვ. მდინარე ალაზნის გასწვრივ ჯერ კიდევ შემორჩენილია აკაციის ძველი პლანტაციები. გარდა ამისა, ჭალის ტყეები წარმოადგენს მრავალი ცხოველის ჰაბიტატს.

ნახ. 12. ალაზნის ჭალაში გაჩეხილი ტყე 26.04.2013 წ.

ჭალის ტყეები არბილებს წყალდიდობის ნეგატიურ მოქმედებას. მდ. ალაზნის სასაზღვრო ზოლის ინტენსიური გვერდითი ეროზია ძირითადად იმ ნაპირზე მიმდინარეობს, რომელიც მცენარეული საფარით ღარიბია.

საქართველოს საზღვრისპირა განსახლება და საზღვრის აღწერა

საზღვარი ალაზანზე **მდ. კვირიასწყლის (ულგანსუ)** მარჯვენა ტოტის შეერთების ადგილიდან იწყება კოორდინატზე WGS 84 - 599,620-4,609,786, ზემო ციხიანის ყურეში კი თავად ეს მდინარე უერთდება მეანდრს. **ზემო ციხიანის ყურის** სამხრეთით მდინარის პირას განლაგებულია სასაზღვრო პოლიციის საგუშაგო. ყურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით იწყებოდა ქვემო ციხიანის ყურე. იგი ასეც არის გამოსახული საბჭოთა ტოპოგრაფიულ 50,000 და 25,000 მასშტაბების რუკებზე. WGS 84 - 608,603-4,605,886 კოორდინატებზე ალაზანი ორ ტოტად იყოფოდა და შუაში აქცევდა **ქვემო ციხიანის** ტერიტორიას, შემდეგ წლებში ალაზანმა მარჯვენა კალაპოტში გადმოინაცვლა და მდინარეზე გატარებული საზღვარი ნარიონალში დატოვა (ნახ. 13). ზელაქნისწყლის (ზელაქანჩაი) კალაპოტი კი არხის მეშვეობით დააკავშირეს ალაზანს, რომელიც მანამდე მარცხენა განშტოებას უერთდებოდა კოორდინატზე: WGS 84 - 610,850-4,605,979 (ამჟამად კი შესართავის კოორდინატია: WGS 84 - 609,562-4,604,628).



ნახ. 13. ისტორიულ პერიოდში მდ. ალაზნის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე მოწყვეტილი მეანდრები

(ფართობები ამოხაზული და დათვლილია ArcMap-ის მეშვეობით)

ალაზნის საზღვრისპირა **სოფელი ერისიმედი** სწორედ აქ გაშენდა. იგი სიღნაღის მინიციპალიტეტის ჯუგაანის თემს ეკუთვნის (გაშენდა 1984-1989 წლებში) და განკუთვნილი იყო მთიანი აჭარიდან, უმთავრესად ხულოდან მეწყერსაშიში ზონიდან გადმოსახლებული ეკომიგრანტებისთვის. ამჟამად სოფელში მათთან ერთად თანაცხოვრობენ საინგილოდან და კახეთის სხვა სოფლებიდან ჩამოსახლებულნი, ასევე რამდენიმე ქისტი ოჯახი. მოსახლეობის უმრავლესობა სარწმუნოებით მუსლიმანია, ოთხი ოჯახი კი - ქრისტიანი. სოფლის რაიონულ ცენტრთან დასაკავშირებლად საჭირო გახდა მდ. ალაზანზე 100 მეტრი სიგრძის ხიდის მშენებლობა (WGS 84 - 608,746-4,605,874). ხიდიდან დაახლოებით 30 მეტრის მოშორებით სასაზღვრო პოლიციის საგუშაგოა, სადაც სოფლის მაცხოვრებლების გარდა, სოფელში შემ-

სვლელი ყველა მოქალაქის საპასპორტო მონაცემებს იწერენ. 2012 წელს სოფელში ახალი სკოლა აშენდა, რადგან ძველი სკოლა ამორტიზებული იყო, ამავე დროს იგი მდებარეობდა საზღვრის ხაზზე. ამავე მიზეზით მოსახლეობის ნაწილი სახლების დაკანონებასა და რეგისტრაციას ვერ ახერხებს დღემდე (ნახ. 14).



ნახ. 14. სოფელ ერისიმედის საკადასტრო მონაცემები (საჯარო რეესტრის ბაზები)

ვინაიდან საზღვრის მონაკვეთი ამ ტერიტორიაზე შეუთანხმებელია და არ ჩატარებულა სადემარკაციო სამუშაოები, პირობითად სასაზღვრო ნიშნების ფუნქციას ხის ბოძებისგან გაკეთებული ღობე ასრულებს. საგანგაშო სურათი გამოიკვეთა აღწერის 2002-2014 წლებში სასაზღვრო სოფლების მოსახლეობის მონაცემთა შედარებისას. 2002 წელს სოფელ ერისიმედში - 340, 2014 წელს კი - 317 მცხოვრები აღირიცხა. მსგავსი კლების ტენდენციაა საზღვრის ალაზნისპირა სხვა სოფლებშიც.

ერისიმედს კატეხწყლის (კატეხჩაის) მარცხენა ნაპირზე, საზღვრიდან 1 კმ მანძილზე ესაზღვრება ინგილოების სოფელი ითითალა (ზელაქნის რაიონი). კატეხისწყლის მდ. ალაზნის შესართავიდან დინების მიმართულებით ალაზანი აწარმოებს მარჯვენა ნაპირის ინტენსიურ ეროზიას და გარეცხვას. ამ პროცესების გამო შესართავიდან ქვემოთ 8 კმ მანძილზე, მეანდრის მარყუჟის ყელი 4-ჯერაა შემცირებული. 50,000 მასშტაბის საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკაზე, თუ მეანდრის ყველაზე ვიწრო უბანი 200 მეტრი იყო, ამჟამად იგი მხოლოდ 50 მეტრია დარჩენილი (ნახ. 15). მსგავსი სიტუაციაა ალაზნის მარჯვენა ნაპირის თითქმის ყველა მეანდრზე მდ. აგრიჩაის შესართავამდის. ყოველწლირად ალაზანი ინტენსიურად რეცხავს საქართველოს ტერიტორიას და ჰექტრობით მიწა წყალს მიაქვს.



ნახ. 15. 50,000 მასშტაბის საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი

აღნიშნული მეანდრიდან 2 კმ მანძილზე (კოორდინატები: WGS 84 – 610,779-4,597,913) მეანდრის ყელი შემცირებულია 210 მეტრიდან 140 მეტრამდე.

ბოლო 50 წლის განმავლობაში აღრიცხულია 2 ერთეული შემთხვევა, როდესაც მდ. ალაზანმა გაჭრა მარცხენა ნაპირის მეანდრა. პირველ შემთხვევაში, აზერბაიჯანულმა მხარემ ააშენა ხიდი და შეინარჩუნა 50 ჰა ტერიტორია, ჩააყენა მესაზღვრეები და დღემდე იცავენ მას. ალაზნის სასაზღვრო მონაკვეთზე ეს არის მეორე ხიდი ერისიმედის ხიდის შემდეგ (ნახ. 16). მეორე ასეთი ადგილი სოფელ **ფიროსმანთანაა,** ვერხვიანის ყურესთან. იგი ფართობით ბევრად მცირეა (6 ჰა). მისი აღნუსხვა განხორიციელდა საველე აგეგმვისას. ეს ფაქტი დადასტურდა აეროსურათების, ტოპოგრაფიულ რუკების და GPS-მონაცემების ზედდებაშედარებისას.

ნახ.16 აზერბაიჯანის მიერ კონტროლირებადი მეანდრი

ხიდიდან დინების მიმართულებით 6 კმ მანძილზე **მდ. ყარაჩაის** შესართავია, კოორდინატები: WGS 84 – 610,850-4,605,979 (ნახ. 17). აქედან 1600 მეტრ მანძილზე ქვემო ალაზნის მაგისტრალური სარწყავი არხი უერთდება ალაზანს (ნახ. 18). კოორდინატ WGS 84 - 18,991-4,592,118800 მეტრიდან იწყება მარჯვენა ნაპირის ძლიერ ეროზირებული მონაკვეთი. ხუთი ათეული წლის განმავლობაში მეანდრის ყელი ამ ადგილას შემცირებულია 260 მეტრიდან 40 მეტრამდის (კოორდინატები: WGS 84 - 619,513-4,591,843).

ნახ. 17. მდ. ალაზნის და ყარაჩაის შესართავი, 27.03.2013 წ.

ნახ. 18. ალაზნის არხის ბოლო მონაკვეთი, 27.03.2013 წ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი **სამთაწყარო,** 1931 წელს საინგილოდან (ჰერეთი) ჩამოსულებმა დაარსეს, 1980-იან წლებში კი აქ აჭარიდან, ხულოს მაღალმთიანეთიდან ეკომიგრანტებიც ჩაასახლეს. ჰერეთიდან ჩამოსულები ისტორიულ მიწა-წყალთან კავშირს ჯერ მდ. ალაზანზე არსებული საბორნე გადასასვლელით, შემდგომში კი სამთაწყარო-მუღანლოს დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდით ახორციელებენ (ნახ. 19) (კოორდინატები: WGS 84 – 621,553-4,588,593). აქვე მოქმედებს საბაჟო გამშვები პუნქტი „სამთაწყარო“ (ამ პუნქტზე ყველაზე მცირე მგზავრთბუნვაა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებს შორის). სოფელში მოქმედებს სასაზღვრო პოლიციის N4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) სამთაწყაროს სექტორი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2014 წლის მონაცემებით სამთაწყაროში ცხოვრობს 1037 ადამიანი, ანუ 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით - 429-ით ნაკლები (2002 წელს – 1466 ადამიანი). მოსახლეობის კლების მაჩვენებელი აღინუსხა 11 კმ-ით დაშორებულ სოფელ **ფიროსმანშიც,** სადაც აჭარელი ეკომიგრანტების ჩამოსახლება 1980 წლიდან დაიწყო. მოსახლეობის რაოდენობა, 2002 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 190-ით არის შემცირებული. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით სოფელ ფიროსმანის მოსახლეობა 569-ს შეადგენს. სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 2 კმ მანძილზე საზღვარს მდინარე ალაზანზე აკონტროლებს სასაზღვრო პოლიცის საგუშაგო.

ნახ. 19 სამთაწყარო მუღანლოს დამაკავშირებელი ხიდი მდ. ალაზანზე, 30.03.2013 წ.

სოფელ ფიროსმანთან მდებარე ტერიტორია - **„ვერხვიანის ყურესთან“** არის მეორე მეანდრი, რომელიც ბოლო 50 წლის განმავლობაში მდინარემ მარჯვენა ნაპირზე დატოვა. წინა შემთხვევისაგან განსხვავებით, როდესაც აზერბაიჯანის რესპუბლიკამ 50 ჰა ტერიტორიის შესანარჩუნებლად ხიდი ააშენა, აქ მსგავსი არაფერი მოუმოქმედია (ნახ. 20). 6.6 ჰა ტერიტორიასთან აზერბაიჯანმა სახმელეთო კონტროლი დაკარგა.



ნახ. 20. მდინარის კალაპოტის ცვლილება 50,000 მასშტაბის საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკისა და თანამედროვე აეროსურათის მიხედვით

საბათლო (ყოფილი წითელი საბათლო) - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი და საქართველოს უკიდურესი სამხრეთული დასახლებაა. სოფელში ძირითადად ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა ცხოვრობს, რომლებიც 1920-იან წლებში აზერბაიჯანიდან მოსული ლტოლვილები არიან. სოფელში მცირე რაოდენობით აჭარელი ეკომიგრანტებიც სახლობენ.

მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგების მიხედვით საბათლოში 508 მოსახლეა, 2014 წლის აღწერის მიხედვით კი სოფლის მოსახლეობა შემცირდა და 391 მაცხოვრებელი შეადგინა. სოფლიდან 1 კმ-ში საზღვარს აკონტროლებს სასაზღვრო პოლიციის საგუშაგო.

სოფელ ფიროსმანსა და საბათლოს შორის (კოორდინატები: WGS 84 – 637,933-4,579,116), მდ. ალაზნის ყურეში მდებარეობს ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი: **კაკლისყურე (ჯუმასყურე)**. 2013 წლის გაზაფხულზე აგეგმვისას გამოჩნდა, რომ მეანდრის ყელის სიგანე შემცირებული იყო 17 მეტრამდე (ნახ. 21).

ნახ. 21. კაკლისყურე (ჯუმასყურე) – 04.04.2013 წ

ეროზიული ფლატის სიმაღლე, რომელიც ამ ადგილას 30 მეტრამდეა, განიცდიდა როგორც მდინარის მიერ წარმოებულ ნაპირის ინტენსიურ ეროზიას, ასევე მეანდრის ყელში თიხნარ ქანებში განვითარებული იყო ფსევდოკარსტული წარმონაქმნები - სიცარიელეები, რომლებიც წარმოქმნილი იყო ზედაპირული ნალექების (წვიმა, თოვლი) სუფოზიის შედეგად. წყალდიდობისას აქტიურად ირეცხებოდა მარჯვენა ნაპირი, არსებობდა საშიშროება მეანდრის დაკარგვისა და კალაპოტის გასწორხაზოვნების, რომლის შემდეგაც ასეულ ჰექტარზე მეტი ტერიტორია, კუნძულის სახით რჩებოდა მოწყვეტილი, ან მდინარის მარცხენა ნაპირზე დარჩებოდა. 2013 წელს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შეკვეთით დაიგეგმა და ამავე წლის ზაფხულში დაიწყო ნაპირსამაგრი სამუშაოები მეანდრის ყელის ორივე მხარეს. მარცხენა ზედა მხარეს 310 მეტრზე, ხოლო მარჯვენა ქვედა მხარეს - 215 მეტრზე დიდი ზომის ქვებით მოეწყო ქვანაყარი ბერმა. აღსანიშნავია რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მანამდეც იყო ჩატარებული იგივე სახის სამუშაოები, თუმცა მცირე დროის განმავლობაში ნაპირსამაგრი ნაგებობა თანდათანობით დაიძირა თიხისა და ლამის გრუნტში. კაკლისყურეში მოწყობილია ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურა ვიზიტორებისათვის და ფუნქციონირებს რეინჯერთა სადგური.

მიუხედავად ინტესიური ნაპირგარეცხვისა, ალაზანზე სასაზღვრო ზოლი ნაპირსამაგრი ნაგებობების მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ერთ-ერთი მათგანი მდებარეობს სოფელ საბათლოდან ჩრდილოეთით 2.5 კმ მანძილზე, გაუქმებული წყალსაქაჩის ტერიტორიაზე, სადაც ნაპირსამაგრი ნაგებობა 420 მეტრის მანძილზეა მოწყობილი (ნახ. 22).

ნახ. 22. ნაპისამაგრი ნაგებობა საბათლოს გაუქმებულ წყალსაქაჩთან, 04.04.2013 წ.

ნახ. 23 საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი

სოფელ საბათლოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 7 კმ მანძილზე მდებარეობს **საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი** - ჩ.გ. 41°17'6.57'' და ა.გ. 46°44'10.84'' (ნახ. 23), რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი „**მოსაბრუნის**" სახელით იხსენიებს. საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე იგი „ალმალოს ყურის" სახელითაა აღნიშნული. მდ. ალაზანი მოსაბრუნს ქვემოთ სამხრეთ-აღმოსავლეთურ მიმართულებას ცვლის სამხრეთ-დასავლეთურით. მოსაბრუნს ქვემოთ ალაზანს უერთდება **მდ. აგრიჩაი** (კოორდინატები: WGS 84 - 643,556-4,570,790). ვინაიდან აგრიჩაის ქვემო წელი ძლიერ მეანდრირებს, პერიოდულად იცვლება მისი შესართავის გეოგრაფიული კოორდინატები.

აგრიჩაის შესართავის გადაღმა, მდ. ალაზნის ნაპირას მდებარეობს ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების რეინჯერთა სადგური: „**ჰერეთის ფონი**". შემდეგი **სადგური ტახისწყლის** (ღორისწყალი) ტერიტორიაზეა მოწყობილი, აქვეა განლაგებული სასაზღვრო პოლიციაც.

ალაზან-აგრიჩაის შესართავიდან მინგეჩაურის წყალსაცავამდე, მოწყვეტილი მეანდრებისა და ნარიონალების კვალი აღარ აღირიცხება. იგივე სურათს ვღებულობთ მაღალი დეტალიზაციის აეროფოტოების დეშიფრირებისას. ეს განპირობებულია ადგილმდებარეობის მორფომეტრიული მაჩვენებლებით.

მდ. ალაზანზე საზღვრის ბოლო ტერიტორია „**მიჯნის ყურეა**". აქ განლაგებულია ვაშლოვნის დაცული ტერიტორიის ვიზიტორთა ცენტრის კოტეჯები (ბუნგალოები).

სამხრეთ-აღმოსავლეთით, 800 მ მანძილზე, მდ. ალაზნის მეანდრულ მუხლთან, სადაც ინტენსიურია მარჯვენა ნაპირის ეროზია, საზღვარი სამხრეთ-დასავლეთითისაკენ უხვევს და სწორხაზოვნად მიემართება **მდ. მლაშეწყლისკენ** (მწარეწყალი, კასრისწყალი, ლეკიწყალი), აუყვება მდინარის ხეობას 3,5 კმ მანძილზე ჩრდილო-დასავლეთით, შემდეგ სწორხაზოვნად ადის დასავლეთით მდებარე 415.0 მ სიმაღლით ნიშნულამდე, საიდანაც სწორხაზოვნადვე ეშვება სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს უკიდურეს სამხრეთ წერტილისკენ, შემდეგ კი საზღვარი **ბურუმკახის სარწყავ არხს** გაუყვება დასავლეთის მიმართულებით.

სამეცნიერო, თუ სასწავლო ლიტერატურაში **საქართველოს უკიდურეს სამხრეთ წერტილად** უმეტესად აღნიშნულია საქართველო-სომხეთის საზღვარზე, ჯავახეთში მდებარე მთა ოქიუზდაღი (ოკიუზდაღი) - ზ.დ. 2441.9 მ, კოორდინატები: ჩ.გ. 41°6'33.31''N - ა.გ. 43°45'3.61''E (ნახ. 24). სინამდვილეში, უკიდურესი სამხრეთი წერტილი ელდარის ველზე, მინგეჩაურის წყალსაცავიდან 1400 მეტრზე, ბურუმკახის არხის პირასაა. იგი აზერბაიჯანელი მესაზღვრეების სექტორზე გადასასვლელ პატარა ბოგირთან მდებარეობს – კოორდინატები: ჩ.გ. 41°3'19.29''N– ა.გ. 46°29'34.56'' (ნახ. 25, ნახ. 26).

ნახ. 24. მ. ოქიუზდაღი, 1:25,000 მასშტაბის საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკაზე



ნახ. 25. საქართველოს უკიდურესი სამხრეთი წერტილი 1:50,000 მასშტაბის რუკაზე

ფოტო 26. საქართველოს უკიდურესი სამხრეთი წერტილი (აზერბაიჯანელების სასაზღვრო პოსტი, 24.04.2013)

ლიტერატურა

1. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, „მეცნიერება“ 1997.
2. ვახუშტი ბატონიშვილი. ღეოღრაფიული აღწერა საქართველოისა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ. მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსსეტისაგან; [მისივე წინასიტყვაობით]. S- Petersbourg, 1842 (typ. de I' Academie). 540 გვ. (6 ჩართული ფურცლის რუკით).
3. თეიმურაზ ბატონიშვილი. „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა“. სტამბასა შინა სამეცნიერო აკადემიისასა, 1848.
4. კეკელია. ჯ. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, გამომცემლობა ინტელექტი, თბ. 2006.
5. ლეონტი მროველი. ქართლის ცხოვრება, ნაწ. I, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ 1, თბ. 1955.
6. მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბილისი, საქართველო, ცოდნა, 1964.

7. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ისტორიული რუკა. შედგენილი შ.ს.ს.კ. ტოპოგრაფ ევ. ზარამიძის მიერ პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. 1923 წ.
8. ჯავახიშვილი ივ. „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალ-საზრისით“. ტფილისი. 1919.
9. The United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO). http://www.unesco.org/new/en/communication-and-information/memory-of-the-world/register/full-list-of-registered-heritage/registered-heritage-page-2/description-of-georgian-kingdom-and-the-geographical-atlas-of-vakhushti-bagrationi/

Zviad Turmanidze, Mariam Tsitsagi

National Border from Erisimedi to Southern End Point of Georgia

Resume

Vakhushti Bagrationi provides the first comprehensive geographical information of the territory of Georgia since XVIII century. His work "Description of the Kingdom of Georgia" has been the basis of various authors and researchers' works and maps. Ivane Javakhishvili analysis and pays more attention toGeorgia's borders. In his monograph "Boundaries of Georgia Reviewed Historically and Contemporary View", which he prepared for the Paris Peace Conference of 1919, discusses Georgia's borders with historical, current and future point of viw. After the collapse of the Soviet Union and the announcement of independence of Georgia in 1991, the issue of borders was still high, including the section of Georgia-Azerbaijan border line, goes along Alazani River and characterized by instability. According to the result of observation on the left and right bank of Alazani land Losse caused by meandering and erosion is more of Georgia's side. This leads to a number of factors, such as: Berry-Coriolis effect, watershed properties, geological structure and vegetation cover. Border on the Alazani River Starts from the mouth of the right branch of the Kvirisastli (Ulganu). The village Erisimedi was designed for eco-migrants from the mountainous Adjara. In 2012 the new school was built in the village because the old school was amortized, while it was located on the border line. Part of the population is not able to legalize the registration of houses because the border line is not agreed on the territory and no demarcation works have been carried out. The alarming picture was revealed in comparison with the data of the population of the border villages in 2002-2014. 340 residents in 2002 and 317 in 2014 are fixed in the village Erisimedi. Similar tendencies tend to be in other villages in the Alazani district of the border: Samtatskaro, Pirosmani and Sabatlo. Alazani produces an intensive erosion and washing of the right bank from the mouth of Katechkhuli River and Alazani. If the narrowest area of the Mendor was 200 meters On Soviet topographical map with the scale of 50,000, it is only 50 meters now. Similar situation is on Alazani's right bank along the river till the mouth of Agrichai River. Two cases were recorded when the river Alazani cut the left bank for the last 50 years. In the first case, the Azeri side built a bridge and retained 50 hectares of land, put border guards and protects them so far. The second such place is in the village of Pirosmani, at the Verkhovian Bay. The area is much smaller (6 ha). Despite of erosion, Alazani border line is not distinguished by the diversity of coastal structures. The last territory of the border on Alazani is the "Gulf of the Eve". Southern end point of Georgia bu the science and educational literature is on the Georgia-Armenia border, mount Okiuzdagi 2441.9 m in Javakheti with coordinates: N 41° 6'33.31'' and E 43 ° 45'3.61". In fact, the extreme south point is on the Eldar Valley, in the 1400 meters from the Mingachevir reservoir, on the edge of the Buroom Channel. It is located at the small boiler on Azeri border guards, with coordinates: N 41° 3'19.29'' and E 46° 29'34.56".

დამატება

Annex

საქართველოს საზღვრები[1]

ედიშერ ხოშტარია-ბროსე, ავთანდილ მენთეშაშვილი

პირველი მსოფლიო ომი, ოთხწლიანი გამძვინვარებული ბრძოლების შემდეგ, 1918 წლის ნოემბერში ანტანტის სახელმწიფოების გამარჯვებით დამთავრდა.

ომმა ევროპაში მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რაც მთელი რიგი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნით დაგვირგვინდა. ეს სახელმწიფოები პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში აქტიური მონაწილეობისაკენ მიისწრაფოდნენ, ოფიციალური საერთაშორისო აღიარებისათვის რომ მიეღწიათ. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენდა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დადგენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის, რადგან მეზობელ ქვეყნებს პრეტენზიები გააჩნდათ საქართველოს ისტორიული საზღვრების მიმართ.

მეფის თვითმპყრობელობამ ამიერკავკასიაში გაბატონების შემდეგ შემოიღო მხარის ადმინისტრაციული დაყოფა გუბერნიებად და მაზრებად, რამაც აქ ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნულ-ტერიტორიული საზღვრების მოშლა გამოიწვია. რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკა, რომელიც „გათიშე და იბატონეს“ პრინციპს ეფუძნებოდა, გათიშულობის ხელოვნური გაღრმავებისაკენ იყო მიმართული, რაც ცარიზმს საშუალებას აძლევდა მოხერხებულად მანევრირების გზით „არბიტრის“ როლი შეესრულებინა ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთობებში.

განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა საქართველოსა და სომხეთს შორის ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებისა და ლორეს რაიონების გამო. სომხეთის მთავრობა ზემოაღნიშნულ ტერიტორიებს არ სცნობდა საქართველოს შემადგენლობაში. ამას მოჰყვა ნოტების გაცვლა. საქართველოს მთავრობამ შესთავაზა სადავო საკითხის განხილვა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის კონფერენციაზე, მაგრამ სომხეთის მხარემ უარი განაცხადა. ეს უკანასკნელი არც ორმხრივ შეხვედრაზე დასთანხმდა.

ამ პერიოდში ამიერკავკასიაში საგარეო პოლიტიკური კონიუნქტურა შეიცვალა. გერმანიისა და თურქეთის დამარცხების შემდეგ მათ ნაცვლად ინგლისელები მოვიდნენ. ამით უნდოდათ ესარგებლათ დაშნაკებს და საომარი გზით გადაეწყვიტათ საზღვრების საკითხი. ამაში მათ ანტანტის იმედი ჰქონდათ, რადგან საქართველოს მთავრობამ „სახელი გაიტეხა“ ანტანტის ქვეყნების თვალში ადრე გერმანიის მოწვევითა და მასთან მჭიდრო ურთიერთობით.

როგორი იყო საქართველოს მთავრობის გეგმები სომხეთის მიმართ ამ პერიოდში? უაღრესად მშვიდობიანი. ამაზე მეტყველებს საქართველოს მთავრობის სხდომის 1918 წლის 21 ნოემბრის საიდუმლო ოქმი, სადაც განიხილებოდა საქართველოს დელეგაციის მოქმედების საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. ოქმში, კერძოდ, ვკითხულობთ: „სომხებთან დაახლოვება ჩვენთვის საჭიროა მეტად: თუ, ჩვენ, ორი საქრისტიანო ერი, ვერ შევთანხმდით, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ საქართველო ვერ შეძლებს საკუთარ არსებობას; და ეს გარემოება, გარდა ამისა, ევროპაშიაც ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს: ორი, სომხეთის-ოსმალეთისა და რუსეთის-შეერთება. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება, საოსმალეთო სომხეთისაკენ გადაიხაროს სომხეთის პოლიტიკურმა ცენტრმა. ჩვენ ამ მიზნით იმაშიც უნდა დავეხმაროთ სომხებს, რომ მათ გასავალი იპოვონ შავი ზღვის პირით. თუ ასე წავიდა საქმე, მაშინ სომხეთი აღარ მოაწვება საქართველოს, და ადვილად გადაწყდება სომეხ-ქართველთა გამწვავებული ურთიერთობა.“ მაგრამ, მიუხედავად საქართველოს მთავრობის აშკარად გამოხატული სამშვიდობო პოლიტიკისა, 1918 წლის 9 დეკემბერს ბორჩალოს მაზრაში სომხურმა ჯარებმა შეტევა დაიწყეს. მობილიზაციის ჩატარებისა და ჯარების გადაჯგუფების შემდეგ, ქართველები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. სომხეთის ჯარებმა დაიხიეს. 25 დეკემბერს საომარი მოქმედებები შეწყდა. ბორჩალოს მაზრაში ნეიტრალური ზონა შეიქმნა. საბოლოოდ საზღვრების საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა.

საქართველოს მთავრობის 21 ნოემბრის სხდომაზევე უნდა დამტკიცებულიყო პარიზის კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგაციის შემადგენლობა. დელეგაციის მეთაურად დაინიშნა ნ. ჩხეიძე (სოციალ-დემოკრატი, პარლამენტის თავმჯდომარე). გარდა ამისა, დაისვა საკითხი

---

[1] წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. იგი ხელმეორედ გამოსცა და ბოლოსიტყვაობა დაურთო დურმიშხან ცინცაძემ.

კონფერენციაზე საქმის მცოდნე პირები და სპეციალისტები გაეგზავნათ, რათა მათი დახმარებით გარკვეულიყო იქ წამოჭრილი სხვადასხვა საკითხი. კანდიდატურათა შორის იყო დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი. როგორც დელეგაციის მეთაური ნ. ჩხეიძე აღნიშნავდა, იყო მეორე კანდიდატურაც ბ-ნი პავლე ინგოროყვა, მაგრამ, მისი აზრით, ეს უკანასკნელი ვერ გასწევდა ჯავახიშვილობას და თუ იგი (ივ. ჯავახიშვილი) წავიდოდა, პ. ინგოროყვას წასვლა აღარ იქნებოდა საჭირო. დელეგაციის ერთ-ერთი წევრი გრ. რცხილაძეც დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობა აუცილებელი იყო: „ბევრი ისეთი მასალა იქნება საჭირო, რომელიც ჯავახიშვილს მოეპოვება და თუ მოგვიხდება მემორანდუმების[1] წერა-ისტორიულად და ეთნოგრაფიულად დასაბუთებული, ვინ მოგვაწვდის მასალებს, თუ ბ-ნი ჯავახიშვილი არ იქნება დელეგაციაში, იმ პირებიდან, რომელნიც დასახელებული იყვნენ, ჯავახიშვილისა და ოდიშელიძის მონაწილეობა აუცილებლად საჭიროა. ჯავახიშვილი უარს ამბობს უნივერსიტეტის საქმეების გამო, მაგრამ თუ დიდხანს არ უნდა იქ დარჩენა, ცოტა ხნით მაინც წამოვიდეს“.[2]

გადაწყდა წერილობით მიემართათ ივ. ჯავახიშვილისათვის, რათა იგი აუცილებლად დათანხმებულიყო წასვლაზე.

ივ.ჯავახიშვილი დათანხმდა მონაწილეობა მიეღო პარიზის კონფერენციის მუშაობაში და აქტიურად ჩაერთო მთავრობის სამზადისში. 4 დეკემბერს სხდომაზე მან აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო საქართველოს პოზიციების ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტების დასაბუთება. იგი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებდა სამხრეთ საზღვარზე (ბორჩალო-ახალციხე-ახალქალაქის მაზრები), სომხებთან ურთიერთობის საკითხზე და აგრეთვე სამაჰმადიანო საქართველოს პრობლემაზე. კერძოდ, მან თქვა, რომ „ოსმალები ძლიერ ფრთხილად იქცევიან. ისინი ეხებიან მხოლოდ სარწმუნოებრივ მხარეს ამის წინააღმდეგ ბრძოლა გაგვიადვილდება, თუ რაიმე საიდუმლო მოლაპარაკება არ არსებობს ინგლისსა და ოსმალეთს შორის. ამის საბუთები არის, რადგანაც ჯერ ოსმალები არ მიდიან დაპყრობილი ადგილებიდან. მთავრობის პირველ კრებაზე ჩვენ დავაყენეთ საკითხი – აწევს თუ არა დელეგაციას ვალად, რომ პასუხი გავცეთ, თუ ამ ადგილების შესახებ იქნება საკითხი დაყენებული. მე მაქვს ამის შესახებ საიდუმლო საბუთები - ოსმალეთის მოსახლეობისა და სხვა. რაც შეეხება სომხებს, მათ მოთხოვნილებათა საბუთიანობას - ეს სხვადასხვაგვარია, ეს არის ეთნოგრაფიული მოსაზრებანი, ეკონომიური და ასახელებენ ისტორიულსაც, მაგ. ძეგლები“.[3] ივ. ჯავახიშვილი შეეხო სომეხთა პრეტენზიებს და განმარტა, თუ რა საბუთები ჰქონდა მათ საწინააღმდეგოდ.

სამწუხაროდ, პარიზის კონფერენციაზე საქართველოს საკითხმა სათანადო ადგილი ვერ ჰპოვა. ივ. ჯავახიშვილმა თავის დაკვირვებებს და მასალებს საქართველოს საზღვრების შესახებ თავი მოუყარა ერთ წიგნად - „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“, რომელიც გამოქვეყნდა თბილისში 1919 წ. ბოლოსიტყვაობაში კი მიწერილია „ბათუმი-კონსტანტინეპოლი, 1919წ. იანვარი-მარტი“.[4] ჩანს, მასალების მომზადება მიესადაგებოდა კონფერენციას. მართალია, ივ. ჯავახიშვილი პარიზში არ ჩასულა, მაგრამ მისი მონაწილეობით საქართველოს დელეგაციის სახელით შედგენილი მემორანდუმი, რომელშიც ქვეყნის ისტორიისა და საზღვრების საკითხებიც არის შესული, კონფერენციას 1919 წლის მარტში წარედგინა.

ნაშრომის შესავალში ივ. ჯავახიშვილი განმარტავს მის საგანს და მიზანს, იგი წერს: „საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს სამზღვრები ტომობრივ მოსახლეობის სამზღვრებს არა ერთხელ გასცილებია და ძლიერების ხანაში, მე-11 მე-13 საუკუნემდე[5], განსაკუთრებით მე-12 საუკუნეში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს, საქართველოს მთელი ამიერი კავკასიაც კი ეკუთვნოდა. ქვემომოყვანილს მონოგრაფიაში განხილულია

---

[1] საქართველოს დელეგაციამ პარიზის კონფერენციაზე 1919 წლის 14 მარტს წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობით შედგენილი მემორანდუმი, სადაც მოცემული იყო პოლიტიკური მოთხოვნები და საზღვრები. იხ. საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია. შემდგენელი ა. მენთეშაშვილი, თბ., 1990. იხ. გვ. 54-62 (რუსულ ენაზე).

[2] ა. მენთეშაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, 1992, გვ. 164.

[3] იქვე, გვ. 173.

[4] წინამდებარე წერილში ჩვენ ვისარგებლეთ წიგნის ახალი გამოცემით: ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. გამოსაცემად მოამზადა, რედაქცია გაუკეთა და ბოლოსიტყვაობა დაურთო დურმიშხან ცინცაძემ, თბ., 1996 წ.

[5] ივ. ჯავახიშვილს ასე უწერია „XI-XIII საუკუნემდე“ [რედ.].

საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები, ისე, როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე გეოგრაფიული და ეკონომიური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა“ (გვ. 3). ე.ი. მეცნიერის აზრით, ქვეყნის ისტორიულად ჩამოყალიბებული „მჭიდროდ შემოფარგლული საზღვრები„ გულისხმობს „ტომობრივ მოსახლეობის საზღვრებს„, ანუ ისტორიულად ქართველთა განსახლების ფარგლებს.

ნაშრომის მიზანდასახულობას რაც შეეხება, ივ. ჯავახიშვილი ამას შემდეგნაირად აყალიბებს: „წინამდებარე მონოგრაფია სწორედ საქართველოს სამზღვრებს არკვევს ისტორიულადაც, - თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში ან როგორ იცავდა ამ სამზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში, - და თანამედროვე ცხოვრებისა და აწინდელი პირობებისდა მიხედვით, - თუ რანაირად შემოიხაზოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამზღვრები ამჟამად, რომ საერთაშორისო სამართლისა, 1783 წ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებათა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილი იქმნას.“ (იქვე).

ამრიგად, ნაშრომს აქვს არა მარტო მეცნიერული, არამედ წმინდა პოლიტიკური დანიშნულებაც – დაიცვას ქართველი ერის ინტერესები თუ უფლებები საერთაშორისო სამართლის პრინციპიდან გამომდინარე. ეს კი იმ პირობებში მეტად აქტუალური იყო, რადგან რუსეთის იმპერიის დანგრევის შედეგად დღის წესრიგში იდგა ამიერკავკასიის ქვეყნების სახელმწიფოებრივი მოწყობის და მათი სახელწიფო საზღვრების დადგენის საკითხი, მითუმეტეს, რომ ამ საზღვრებზე დავაც იყო ატეხილი და ძალის გამოყენებასაც ჰქონდა ადგილი.

ბოლოსიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი იმასაც მიუთითებს, რომ „სახელმწიფოებრივს ერთეულს თავისი აუცილებელი მოთხოვნილება და არსებობის პირობები აქვს, რომელთა შორის საპატიო ადგილი სამზღვრებს უჭირავს. საქართველოს სამზღვრების საბოლოო მიზანდასახულობის გამორკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს.“ (გვ. 42).

საქართველოს საზღვრების მიმოხილვას ივ. ჯავახიშვილი იწყებს ჩრდილო-დასავლეთიდან. ნაშრომის პირველი თავის პირველ პარაგრაფში იგი არკვევს აფხაზთა და მათთან ნათესაობაში მყოფ ჯიქთა განსახლების ფარგლებს. მეცნიერი წერს: „მაინდამაინც ცხადია, რომ დოაბზუ ანუ ტუაფსე აფხაზთა საკუთრება იყო იმიტომ, რომ თვით ეს საგეოგრაფიო სახელი სწორედ ამასა ჰნიშნავს, მაგრამ საკუთრით აფხაზების ჩრდილოეთი სამზღვარი ბიჭვინთის მონასტრის ჩრდილოეთით მდებარეობდა (იხ. ქართველი ერის ისტ., მე-2, 315), ხოლო ამის შემდგომ უკვე აფხაზთა ტომის ჯიქების მიწა-წყალი იწყებოდა.“ (გვ. 4). აფხაზ-ჯიქთა ტერიტორიას ივ. ჯავახიშვილი საკმაოდ ჩრდილოეთით, მდ. ყუბანის შესართავთან და კავკასიის ქედის წვერამდე გულისხმობდა.

ქვემოთ ივ. ჯავახიშვილი აზუსტებს აფხაზთა განსახლებას XVIII ს. დასასრულისათვის: „ტომობრივი მოსახლეობის მხრივ მე-18 ს-ის დასასრულს აფხაზეთი შემდეგ ნაწილებად იყოფოდა: ერთი ბზიფის ხეობა, რომელიც შეიცავდა მდ. ბზიფის ქვემო ნაწილსა და აღმოსავლეთით გუდაუთამდე, მეორე გუდაუთსა მდ. კოდორის შუა საკუთრივ აფხაზთა სათემო იყო. მესამე, აფშილეთი, მდ. კოდორსა და ღალიძგას შუა მდებარეობდა. მეოთხე სამურზაყანო, რომელშიაც მოსახლეობა მეგრული იყო და ეხლაც არის, მხოლოდ აფხაზური ენა და ზნე-ჩვეულებაც შეთვისებული აქვთ, მოთავსებული იყო ღალიძგასა და ენგურს შორის შავი ზღვის ნაპირას და მეხუთეს, წებელდას მდ. კოდორის ხეობის შუა ნაწილი ეკავა.“ (გვ. 5).

ე.ი. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, მიუხედავად აფხაზური მოსახლეობის თემებად დანაწილებისა, რომელთა შორისაც „საკუთრივ აფხაზთა სათემო“ გამოიყოფოდა, მათი საერთო სალაპარაკო ენა აფხაზური იყო, გარდა სამურზაყანოსი, რომლის მოსახლეობა მეგრელი იყოდა მეგრულად ლაპარაკობდა, თუმცა „აფხაზური ენა და ზნე-ჩვეულებაც შეთვისებული“ ჰქონდა.

მომდევნო პერიოდშიც (XIX ს.) ივ. ჯავახიშვილი აფხაზებს განიხილავს, როგორც თვითმყოფად მოსახლეობას, რომელიც გამძვინვარებულ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის ხელისუფლებას მხარის კოლონიზაციისას. აფხაზეთის სამთავროს იმპერიასთან შეერთებისა და მთავრის უფლებათა ჩამორთმევასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „აფხაზები უბრძოლველად არ შეჰრიგებიან დამოუკიდებლობის მოსპობას და 1866 წ. აფხაზეთში აჯანყება დაიწყო.“ (გვ. 5).

ივ. ჯავახიშვილი ეხება რუსეთის პოლიტიკის შედეგად აფხაზთა თურქეთში მასობრივ გადასახლებას, აქაური ტერიტორიის დაცარიელებას და დასძენს: „ამის შემდგომ რუსეთის მთავრობა მთელს თავის პოლიტიკას შავი ზღვის ნაპირას ადგილობრივ მკვიდრა, განსაკუთრებითკი ქართველთა საწინააღმდეგოდ აწარმოებდა: ქართველებს აქ დასახლება და უძრავი ქონების შეძენა აკრძალული ჰქონდათ, რუსებს კი, - განსაკუთრებით მოხელეებსა და სამხედრო პი-

რებს, ჩალის ფასად აძლევდნენ ამ სამოთხესავით მშვენიერსა და ბუნებით უხვად დაჯილდოვებულს მხარეს. მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წყალობით გაჩნდა ქართველების გვერდით სხვა ეროვნების ხალხიც.“ (გვ 5-6). მის შემდეგ ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს 1916 წ. აღწერის („კავკასიის კალენდარიდან“) მონაცემები აფხაზეთის (სოხუმისა და სოჭის ოლქებში) მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ. ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „რუსეთის მთავრობის ზემოაღწერილი პოლიტიკისა და საახალშენო მოღვაწეობისდა მიუხედავად“ - ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ პროცენტულად დიდად ჭარბობდა მოსულებს.

აფხაზეთ-ჯიქეთის სასაზღვრო ხაზის განხილვის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი გადადის „ჩრდილოეთის ხაზზე“ და საგანგებოდ ჩერდება დვალეთის საკითხზე. იგი წერს: „საქართველოს ჩრდილოეთი სამზღვარი აფხაზეთის შემდგომ სვანეთის ჩრდილოეთის სამზღვრით არის მოხაზული და აქაც ეს ხაზი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს, კავკასიონის მთავარი უღელტეხილის მარადთოვლიანს ქედს რაჭის სამზღვრამდის. შემდეგ საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი თემი რაჭაა და მისი სამზღვარის ხაზიც ჩრდილოეთით იმავე უღელტეხილის მთავარ ქედზე მიდის დვალეთამდე.“ (გვ. 6).

შემდეგ ვკითხულობთ „დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული... ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო“ (იქვე). ქვემოთ მეცნიერი ასაბუთებს ისტორიულად დვალეთის საქართველოსადმი კუთვნილებას (პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული თვალსაზრით), აღნიშნავს, რომ „შემდეგში რუსეთის მთავრობამ, დვალეთი ანუ არდონის ქვაბ-ხეობა საქართველოს ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა“ და ამ რეგიონის საქართველოსთან მჭიდრო კავშირს ხაზგასმით დასძენს: „უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილი იქნას: რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი, ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთს საქართველოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს. მაშინ ამ ადგილას საქართველოს სახელმწიფო სამზღვარი იმ ხაზს გაჰყვება, რომელიც ხოხის მთას (ადი ხოხ) და ახოტის მთას (არხონ)შუა გაივლება.“ (გვ. 7–8).

შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ეხება საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს დარიალის რაიონში. აქ იგი ეყრდნობა ვახუშტის იმ ცნობას, სადაც საუბარია მეფე მირიანის მიერ დარიალში სიმაგრის აგებაზე („შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოთ ვერღარა ვიდოდნენ“) აქვე იმყოფებოდა „ნასასახლევი მეფეთა“ ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად მუნ დადგიან.

ივ. ჯავახიშვილი ასკვნის: „ეს ის ადგილი უნდა იყოს, სადაც ეხლა სად. ლარსია. ამაზე უფრო ჩრდილოეთით კი ყოფილა საქართველოს სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებელი ადგილი „ნასასახლევი მეფეთა“, რომელიც დაახლოვებით ეხლანდელს „ჯერახოვსკოეს მიდამოებში უნდა ყოფილიყო“ და სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთის სამზღვარი ამ ადგილის წინ „დაახლოებით ჯარიეხითგან ერთი ვერსით სამხრეთით მიდიოდა.“ (გვ. 9).

ამით ივ. ჯავახიშვილი ამთავრებს საუბარს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე. მის თანახმად, ეს საზღვარი ძირითადად კავკასიონის მთავარ ქედს მოჰყვებოდა, გარდა ზოგიერთი იმ ადგილისა, სადაც საქართველოს ტერიტორია უფრო ჩრდილოეთითაც ვრცელდებოდა.

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ოსეთი ერთმნიშვნელოვნად კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს და არავითარ „სამხრეთ ოსეთზე“ აქ ლაპარაკი არ არის, თუმც ასეთი ცნება უკვე არსებობდა რუსულ ოფიციალურ ნომენკლატურაშიც და ქართულ ლიტერატურაშიც (ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ და სხვა). პოლიტიკური თვალსაზრისით 1919 წლისათვის ეს საკითხი არ იდგა და მხოლოდ ბოლშევიკური აგრესიის შემდეგ იჩინა თავი, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ოსური სეპარატიზმის გაღვივების შედეგმა, რასაც 1922 წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა მოჰყვა.

წიგნის მეორე თავში ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებს (იგულისხმება ჰერეთი), მესამე თავში კი კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ სასაზღვრო ხაზს ჰერეთის იმ მონაკვეთში, რომელიც მოიცავდა ქიზიყსა და ყარაიას. ავტორი შემდეგნაირად მოხაზავს ამ საზღვრებს: „საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეს მტკვრამდის ძველ დროს ჰერეთი ეწოდებოდა... საქართველოს ამ ნაწილს დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან ავრცელებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივს გავლენას დაღესტანზე და შაქზე.“ შემდეგ კი ავტორი ეხება მხარის სტრატეგიულ მნიშვნელობასაც: „ვითარცა მოსამზღვრე კუთხეს, საქართველოს ამ ნაწილსაც ბედმა მრავალჯერ მიაყენა ზიანი და არა ერთხელ გაანადგურა.“ ამ მხარის ისტორიულ ბედ-იღბალზე გვიან შუასაუკუნეებში ივ.ჯავახიშვილი შემდეგს მოგვითხრობს: „მეტადრე მე-17 საუკუნითგან მოყოლებული სპარსეთის შაჰების წყალობით

და დაღესტნელთა შემოსევის და დაშენების გამო მაჰმადიანობამ ჰერეთში ქრისტიანობას დაძლევა დაუწყო და ქართველთა მოსახლეობა შემცირდა. ეს კუთხე სამ ერთეულად გაიყო, ერთს დაერქვა „ალის სასულთნო“, მეორეს „ელისენი“, მესამეს „ჭარი“. უკანასკნელი სახელი ფიფინეთის ხეობას დაერქვა.“ (გვ. 10). ქვემოთ მეცნიერი განაგრძობს: „როდესაც რუსეთის მთავრობამ აღმ. საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო და შეიერთა, ჭარი და ბელაქანის ოლქი, როგორც მას რუსები უწოდებდნენ, ანუ საინგილო, როგორც ქართველები ეძახიან, ამ დროს არ დაუპყრიათ, არამედ მხოლოდ 1803 წ. იყო შემოერთებული.“ (გვ. 11). ივ. ჯავახიშვილს მოაქვს დემოგრაფიული მონაცემებიც ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა შესახებ. კერძოდ, 1916 წლისათვის აქ 76 ათასი მცხოვრებიდან 19 ათასი იყო ქართველი, 45 ათასი ლეკი, ხოლო თურქები, სპარსელები და ქურთები შეადგენდნენ 12 ათასს (იქვე).

წიგნის მე-4 თავი დათმობილი აქვს საქართველოს სამხრეთ საზღვარს, რომელიც შემოფარგლავდა ქვემო ქართლს და იყო „გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის.“

ვინაიდან ეს საზღვარი ისტორიულად მეტად ცვალებადი იყო, ივ. ჯავახიშვილი აკეთებს საკმაოდ ვრცელ ექსკურსს წარსულში, რომელშიც ლაპარაკია ქვემო ქართლის ანუ ძველი გუგარეთის ხან ქართველთა და ხან სომეხთა ხელში გადასვლის შესახებ. წიგნის დაწერის დროისათვის ქვემო ქართლის საკითხის (ისევე, როგორც მომდევნო თავში განხილული ჯავახეთისა) აქტუალობის გამო ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით აშუქებს ამ მხარეთა ისტორიულ წარსულს, უძველესი დროიდანვე. 1 პარაგრაფში მოცემულ ისტორიულ მიმოხილვაში იგი ეხება ბრძოლას ამ ტერიტორიის საზღვრის გამო მე-2 ს. ქ.წ.–მე-11 ს. ქ.შ. მე-2 პარაგრაფში იგი განიხილავს „ქვემო ქართლის ვითარებას და მნიშვნელობას მე-11 - მე-12 საუკუნეებში“, მე-3 პარაგრაფში მსჯელობაა „საქართველოზე, ვითარცა მფარველ და თავშესაფარ სახელმწიფოს მნიშვნელობაზე და მიმზიდველობაზე სომეხთათვის.“ (აქ განხილულია ქართული სახელმწიფოს ძლიერების ხანაში მაჰმადიან სახელმწიფოთა წყალობით დანაწევრებული სომხების დამოკიდებულება საქართველოსადმი, რომელმაც „საშუალება მისცა სომეხ ერს თავისი ფიზიკური არსებობა შეენარჩუნებინა“. მე-4 პარაგრაფში გაშუქებულია „ქვემო ქართლის მნიშვნელობა საქართველოსათვის და სამხრეთი სამზღვრები მე-16-18 საუკუნეებში.“ აქ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ დროს „ქვემო ქართლს ანუ ლორე-ტაშირ-სომხითს საქართველოსათვის გარეშე მტრისაგან თავდაცვის დროს უაღრესი მნიშვნელობა“ ჰქონდა და იგი „მეწინავე სადროშოდ“ იწოდებოდა და ამიტომაც საქართველოს გარეშე მტრების და კერძოდ, შაჰაბასის უპირველესი საზრუნავი ქვეყნის დასაპყრობად ამ მხარის ხელში ჩაგდება იყო, რაც უკანასკნელმა მოახერხა კიდეც. თუმცა, როგორც ივ.ჯავახიშვილი წერს: „ერეკლე მეფის დროსაც, თუნდა 1783 წ., როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება დაიდო, სამხრეთით სამზღვარი და მთელი ქვეყანა-ქართლი, ანუ სომხით-ლორე-ფამბაკ-ბორჩალუ საქართველოს უცილობელ საკუთრებას შეადგენდა და კვლავინდებურად სამზღვარი უფრო სამხრეთისაკენ მდებარეობდა და გამყოფელ ხაზად ერევნის (ფამბაკის) მთები ითვლებოდნენ“ (გვ.22). მე-5 პარაგრაფში აღნიშნულია „ქვემო ქართლის უაღრესი ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსათვის“, ხოლო პარაგრაფები მე-6 და მე-7 ეძღვნება ამ მხარის დემოგრაფიის საკითხებს. მეცნიერი ხაზს უსვამს იმას, რომ აღნიშნულ მხარეში მტრის ხშირი თავდასხმის გამო „მოსახლეობა აქ მრავალჯერ დაზარალებულა და არა ერთხელ სრულებით ამოწყვეტილა კიდეც“, ხოლო მეორეს მხრივ ხდებოდა დაცარიელებული ადგილის სომხეთიდან დევნილი მოსახლეობის მიერ დაკავება: „აუტანელი მდგომარეობის გამო, სარწმუნოებრივი და ეროვნულ-პოლიტიკური დევნისაგან, სომხობა თავის ქვეყნითგან იყრებოდა, მამაპაპეულ მიწა-წყალს სტოვებდა და სხვა, უფრო მყუდრო ქვეყანაში და სახელმწიფოში ეძებდა თავშესაფარს“, კერძოდ, „დევნილი სომხები საქართველოში იხიზნებოდნენ, ჩვენში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც თავიანთთვის თავშესაფარს.“ გარდა იმისა, რომ „საქართველოში არასოდეს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა“, აქედან, ხელსაყრელი პირობების შექმნისას, ისინი თავიანთ სამშობლოში უფრო ადვილად დაბრუნდებოდნენ.

„სრულიად ბუნებრივია, - აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, - რომ ისინი სახლდებოდნენ განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა“ - ე.ი. „სწორედ ქვემო ქართლში, რომელიც ჩრდილოეთით ერევნის მთებს ეკრა – ე.წ. სომხითში, ლორეში, ტაშირში და სხვაგან.“ (გვ.25).

„მაგრამ – განაგრძობს ავტორი, - არც ეს სომხური შემოხიზნული მოსახლეობა შემორჩენილა აქ დიდხანს. თურქების შემოსევის დროიდგან მოყოლებული, მე-18 ს-ის მეორე მეოთხედშიც, თურქებისა და ლეკებისაგან სხვებზე უფრო ძლიერად ეს კუთხე დაზიანდა“. ამ დროისათვის სომხური მოსახლეობა არამც თუ ამ რაიონში, არამედ საკუთრივ სომხეთის ტერიტორიაზეც, ძალზე შემცირებული იყო და მისი მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა.

მე-7 პარაგრაფში ივ.ჯავახიშვილი საგანგებოდ ეხება „სომეხთა გადმოსახლების განსაკუთრებულ ხასიათს მე-18 – მე-19 ს-ში“. იგი წერს: „ერეკლე მეფის დროს სომეხთა საქართველოში შემოხიზვნის ხასიათი... თვალსაჩინოდ იცვლება: თუ წინად ეს გადმოსახლება სტიქიური ცვლილებისა იყო და მას არავითარი პოლიტიკური მიდრეკილება და მნიშვნელობა არ ჰქონდა, მე-18 საუკუნის დასასრულს გარკვეული პოლიტიკური ელფერიც ზედ დაერთო, თუ წინათ საქართველოში მომავალი სომხები საქართველოს მფარველობისა და ქვეშევრდომობის მოიმედენი იყვნენ ხოლმე, ამიერითგან ისინი უკვე გარეშე ძალის მფარველობას ეძებდნენ და მათი დახმარებით ცდილობდნენ საქართველოში თავიანთი საქმის გაკეთებას“... „სომხები ორმაგს კავშირს იჭერდნენ: - ერთის მხრით, საქართველოსთან, მერე ერეკლე მე-2 ან გიორგი მეფესთან, საქართველოში შემოიხიზნებოდნენ ხოლმე, ვითარცა დევნილნი, და შედარებით მყუდრო თავშესაფარს პოულობდნენ, იმავე დროს, მეორე მხრით კი, – იდუმალ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდნენ ხოლმე...“ (გვ. 26). კერძოდ, რუსეთ-საქართველოს 1783წ. ტრაქტატის დადების შემდეგ სომეხთა ეპისკოპოსები, მელიქები და სხვა წარჩინებულები უკვე უშუალოდ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას ლამობდნენ, თანაც საქართველოში დაკავებული ტერიტორიების ჩათვლით. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი წერს: „უეჭველია, ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო: საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელი განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდნენ, მადლობის მაგიერ კი საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება სურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს“ (გვ. 27). ოფიციალურად კი რუსეთის ხელისუფლება საქმეს ისე წარმოადგენდა, თითქოს საქართველოს საკეთილდღეოდ ცდილობდა. „ამის წყალობით – წერს ივ. ჯავახიშვილი, - სომხებმა და რუსეთის მთავრობამ თავიანთ წადილს მიაღწიეს: სომხებმა მიწა მიიღეს, რუსებმა კი საქართველოში იდუმალი ქვეშევრდომები და თავიანთი გაბატონების უერთგულესი წინამავალი რაზმი გაიჩინეს. ერეკლე მეფემ დაასახლა ისინი ზოგი თელავში, ზოგი სიღნაღში“ (გვ. 28).

რაც შეეხება ქვემო ქართლს, ე.წ. სომხითსა და ლორეს, რომელიც ჯერ კიდევ უკაცრიელად რჩებოდა, იგი სომხებით დასახლდა 1827-1829 წლებში, როდესაც აქ 40 ათასამდე სული შემოიხიზნა ოსმალეთიდან და სპარსეთიდან და, ერევნის გუბერნიის გარდა, ბორჩალოს მაზრაში დასახლდა. „მხოლოდ ამ დროიდან მოყოლებული ჩნდება ქვემო ქართლში მჭიდრო და შედარებით მრავალრიცხოვანი სომეხთა მოსახლეობა“, – დასძენს ივ. ჯავახიშვილი (იქვე).

წიგნის დაწერის დროისათვის ქვემო ქართლზე (ბორჩალოს მაზრაზე) სომეხთა პრეტენზიების გამო ივ. ჯავახიშვილი მე-4 თავის ბოლო მე-8 პარაგრაფში საჭიროდ მიიჩნევს საგანგებოდ განიხილოს „ქვემო ქართლის კუთვნილების საკითხი ისტორიულისა და თანამედროვე თვალსაზრისით.“ აქ ავტორი ერთგვარად აჯამებს წინა პარაგრაფში მოტანილ მასალას და ასკვნის: „ამგვარად, ორი გარემოებაა სრულებით ცხადი: ერთი ის, რომ ამ კუთხის ახალშენნი სომხები იმ სომეხთა მემკვიდრეები არ არიან, რომელნიც საქართველოს ამ კუთხის სომეხთა მიერ ზემოაღნიშნული პოლიტიკური მოტაცებისა და ბატონობის გამო აქ ქართველ მკვიდრ მცხოვრებათა შორის გაჩნდნენ, არც იმ სომეხთა მემკვიდრენი არიან, რომელნიც შემდეგ საუკუნეებში საქართველოს მთავრობის ნებართვით დროგამოშვებით სახლდებოდნენ (ის მოსახლეობა ხომ რამდენჯერმე ხან აიყარა სამუდამოდ, ხან მტრის მრავალგზისი შემოსევისაგან მკვიდრ ქართველებთან ერთად ამოწყდა), - მეორე ის, რომ სომეხ მცხოვრებთა ეხლანდელი სიმრავლე საქართველოს სამხრეთის სამზღვარზე გარემოებათა ბუნებრივი შედეგი კი არ იყო, არამედ მხოლოდ რუსთა მთავრობის პოლიტიკური გეგმის წყალობით მათი უცხოეთითგან ხელოვნური გადმოსახლების შედეგი.“ (გვ. 28).

ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მასალები იმის საჩვენებლად, რომ მიუხედავად რეგიონში სომხური მოსახლეობის ზრდისათვის ხელოვნური ხელშეწყობისა, აქ იგი მაინც უმრავლესობას არ ქმნიდა: 128 ათასიდან ისინი მხოლოდ 48 ათასს შეადგენდგნენ. მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილის თქმით, „საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა ამჟამადაც სომეხთა იერიშით და ომით დაიწყო ისევ საქართველოს სამხრეთ სამზღვარზე მდებარე ქვეყნის ქვემო ქართლის, ანუ... ბორჩალოს მაზრის დასაპყრობად.“ (გვ. 29).

ქვემოთ ივ. ჯავახიშვილი ასაბუთებს იმას, რომ ადრე, რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში, ქვემო ქართლის დასახლებას სომხური მოსახლეობით არ შეეძლო პოლიტიკური მნიშვნელობა მისცემოდა და ეს იყო „მხოლოდ და მხოლოდ ეთნოგრაფიული თვისების

მოვლენა“, რომელიც „ვერას გზით მიწა-წყლის სახელმწიფოებრივი სამზღვრების შემცველ გარემოებად ვერ ჩაითვლებოდა...“ „მით უმეტეს, რომ სომეხთა სამშობლოთგან აყრა და საქართველოში გადმოსახლება მათი ოსმალეთისა და სპარსეთის მიერ დევნის შედეგი იყო და, ცხადია, რა წამს მდგომარეობა მათთვის საკეთილდღეოდ შეიცვლებოდა, ისინი ისევ თავიანთ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ“ (გვ.29). ეს, ცხადია ორივე ხალხისათვის – სომეხთათვისაც და ქართველთათვისაც საუკეთესო პერსპექტივა იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას შესრულება არ ეწერა... პირიქით, კავკასიის მეფისნაცვალის ვორონცოვ-დაშკოვის დროს, 1913-1914 წლებში, დადგა საკითხი ბორჩალოს მაზრისა და ახალქალაქის მაზრების თბილისის გუბერნიისაგან გამოყოფისა და გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) შეერთების შესახებ ალექსანდროპოლის გუბერნიის შესაქმნელად. ეს პროექტი იმდენად უაზრო და ეკონომიკურადაც გაუმართლებელი იყო, ბორჩალოს მაზრის თბილისთან უმჭიდროესი კავშირის გამო, რომ მას დასტური ხელისუფლების მიერ გამოყოფილმა კომისიამაც ვერ მისცა და იგი განუხორციელებული დარჩა. ამ მხრივ ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ზემო ქართლშიც ანუ მესხეთში, რაზედაც წიგნის მომდევნო მე-5 თავშია მოთხრობილი.

მე-5 თავს ეწოდება: „სამხრეთ-დასავლეთი სამზღვარი. მესხეთი ანუ ზემო ქართლი.“

ივ. ჯავახიშვილი ასახელებს მესხეთის შემადგენელ თემებს. ესენი იყო: ჯავახეთ-აბოცი, არტაან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. მეცნიერი აქვე (პარ. 1) განსაზღვრავს ამ თემთა მდებარეობას: „აბოცი ჯავახეთის სამხრეთით მდებარეობდა და ვითარცა მესხეთსა და ქვემო-ქართლს შუა მდებარე თემი ზოგჯერ მესხეთსაც ეკუთვნოდა.“ (გვ. 31). ქვემოთ (პარ. 2) ივ. ჯავახიშვილი საუბრობს ტაო-ისპირის უძველესი მოსახლეობის შესახებ, რომელსაც ქართველეი ტომები, ლაზები შეადგენდნენ. შემდეგ ტაო სომხების ხელში გადადის და აქ შერეული ქართულ-სომხური მოსახლეობა ჩნდება, რომელიც შემდგომ ძნელბედობის და ეპიდემიის შედეგად თითქმის მთლიანად ამოწყდა, ხოლო II საუკუნეში აქ კვლავ ქართული მოსახლეობა ჩნდება. მე-3 პარაგრაფში მოცემულია „მესხეთის მდგომარეობა და პოლიტიკური ბედ-იღბალი მე-13-18 ს და მისი გამაჰმადიანება.“ ავტორი იწყებს ამ კუთხის ისტორიით აღებულ ხანებში და შემდეგს წერს: „ზემო ქართლი ანუ მესხეთი სამცხე-ჯავახეთითგან მოყოლებული ტაო-ისპირამდე ერთს საგამგეო ერთეულს, საერისთავთ-ერისთავთს და სამთავროს შეადგენდა. მე-13 ს-ის მეორე ნახევარში მესხეთის მთავრის განსაგებელი იწყებოდა ბორჯომის ხეობითგან, ტაშისკარითგან და კარნუქალაქამდე აღწევდა.“ (გვ. 32-33).

ივ. ჯავახიშვილი ქვემოთ ამ მხარის ოსმალთა მიერ დაპყრობასა და ამის შედეგებზე საუბრობს: „საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი დაუცხრომელი სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფასი და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა. ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიკური შევიწროვებით იგი ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის დაემხო და ქვეყანა გაემაჰმადიანებინა...“ მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი და მთელს მე-18 და მე-19 საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა... ოსმალებმა სამცხის მფლობელნი „ახალციხის ფაშად“ გახადეს, მხოლოდ ეს ღირსება ამავე საგვარეულოს მემკვიდრეობით კუთვნილებად დატოვეს. ამ საშუალებით ოსმალეთმა ეს მშვენიერი ქვეყანა საქართველოს მოსწყვიტა და მთლად შთანთქა.“ (გვ.33).

მომდევნო, მე-4 პარაგრაფში განხილულია „უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასა და მესხეთს შორის მე-18 ს.“ კერძოდ, აღნიშნულია საქართველოს მეფეთა (თეიმურაზ II, ერეკლე II) ცდები დაემტკიცებინათ თავიანთი უფლებები მესხეთზე (ახალციხის საფაშოზე), როგორც ისტორიულად საქართველოს განუყოფელ ნაწილზე და ზრუნვა ამ მხარის დაბრუნებაზე (მაგალითად, 1783 წლის ტრაქტატის ერთ-ერთ მუხლში სწორედ ეს აზრი იყო ჩადებული). და მართლაც, როგორც მე-5 პარაგრაფშია მოთხრობილი რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად 1828 წ. ახალციხის საფაშოს ჯერ ნაწილი იქნა შემოერთებული, ხოლო 1878 წ. დანარჩენი ნაწილიც. შემოერთებულ ტერიტორიაზე შეიქმნა ჯერ ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, ხოლო შემდგომში ბათუმის ოლქიც... „მთელ ამ კუთხეში განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ“, – წერს ივ. ჯავახიშვილი (გვ. 35). ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ 1828 წლიდან ხდება ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა უპირატესად ჯავახეთიდან (ახალქალაქის მაზრა) და ნაწილობრივ სამცხიდან (ახალციხის მაზრა). ამ ფაქტებზე მითითების შემდეგ ივ. ჯავახიშვილი შემდეგს მოგვითხრობს: „ამავე დროს, ოსმალეთითგან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებითგან, იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოს 25 მან. დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა. ამის წყალობით 90 000-ზე მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა. მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და

ზემოთ მოყვანილი რიცხვიდან 30 000-მდე სომეხი დასახლებული იქნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში.“ (გვ. 35). იმასთან ერთად, რომ ქართული მოსახლეობა ამ შემოერთებულ მხარეში საგრძნობლად შემცირდა, ივ.ჯავახიშვილის თანახმად: „ეროვნული შედგენილობის მხრივაც მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში ძირფესვიანად შეიცვალა: თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 წელს ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდნენ და ქართველ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილი ეჭირათ.“ (გვ. 35). (აქ ივ. ჯავახიშვილი ეყრდნობა რუსი მოხელის ივანენკოს ნაშრომს). ივ. ჯავახიშვილი ასკვნის: „ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდნენ სომხები ჯავახეთში, ქართული კულტურის ამ ძველისძველ კერაში.“

მე-5 თავის ბოლო სამი პარაგრაფი ეხება ჯავახეთის გამო სომხეთსა და საქართველოს შორის აღმოცენებულ ინციდენტს, რომელიც ომშიც კი გადაიზარდა. ავტორი აქ, კერძოდ, განიხილავს შემდეგ საკითხებს: პარ. 6 – „სომხეთა წამოდავება ჯავახეთის სომხეთთან შეერთებლად და ამ საკითხის ახლო წარსული“, პარ. 7 – „ჯავახეთ-სამცხის უმჭიდროესი ეკონომიური კავშირი საქართველოსთან წარსულშიცა და ეხლაც“ და პარ. 8 – „როგორც უნდა უშევხედოთ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას?“

რაში მდგომარეობდა სომეხთა პრეტენზიების არსი? ივ. ჯავახიშვილი ამაზე შემდეგს პასუხობს: „სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდნენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულებით შემთხვევით ამ უძველესი დროითგან საქართველოს უცილობელს კუთხეში ისინი უმრავლესობად იქცენ და ამ გარემოებისდა მიუხედავად, მაინც ახალქალაქის მაზრაც სომხეთის მიწა-წყლად გამოაცხადეს“ (აქ მითითებულია ა. შახატუნიანის[1] წიგნი - „ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციული გადანაწილება“ - რუსულ ენაზე). სომეხთა მიზანი იყო ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიისაგან, ანუ აღმოსავლეთ საქართველოსაგან გამოყოფა და დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეერთება და ამ გზით ერთი მთლიანი სომხური საერობო თვითმმართველი ოლქის შექმნა. ამის გასამართლებლად, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, „სომხებმა საბუთათ ისიც წამოაყენეს, ვითომ ჯავახეთი ანუ ახალქალაქის მაზრა ეკონომიკურად[2] ტფილისის გუბერნიასთან კი არა, გუმბრთან (ალექსადროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული“ (გვ. 35-36) ასეთი წინადადება წამოყენებულ იქნა 1913 წელს, როდესაც მეფის ნაცვლად ვორონცოვ-დაშკოვი იმყოფებოდა. უკანასკნელმა, ისევე როგორც ქვემო ქართლთან დაკავშირებით წამოჭრილ ანალოგიურ შემთხვევაში, გამოჰყო მოხელეთაგან შემდგარი კომისია, მაგრამ ამჯერადაც კომისიამ ვერ დაასაბუთა ჯავახეთის აღმოსავლეთ საქართველოსთან კავშირის უქონლობა და გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) შეერთების უპირატესობა. თვით ივ. ჯავახიშვილი, როგორც აღნიშნა, საგანგებო პარაგრაფს უძღვნის სწორედ ჯავახეთის უმჭიდროეს ეკონომიკურ კავშირს დანარჩენ საქართველოსთან და მოაქვს არა ერთი დამამტკიცებელი საამისო არგუმენტი.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ესახება ივ. ჯავახიშვილს ჯავახეთის პრობლემის გადაწყვეტა, ამის შესახებ არაორაზროვნად აცხადებს: „სომეხთა ამ კუთხეში დასახლებისათვის ქართველობას შეეძლო შეეხედნა მხოლოდ ვითარცა დროებითი მოვლენისათვის: ვითარც ოსმალთა მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზვნისა და თავშესაფარებისთვის. რა წამს სომეხთათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, - და ეხლა ხომ სწორედ ასეთი ხანა დადგა, - ეს ოსმალეთითგან შემოხიზნული სომხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამა-პაპათა კერას უნდა დაუბრუნდეს. იქითგან კი, ოსმალეთითგან აქ დაბრუნდებიან ამ მიწა-წყლის წინანდელი პატრონები. მე-19 საუკუნის განმავლობაში ოსმალეთში გადასახლებულს ქართველს მაჰმადიანებს არა-ერთხელ უნდოდათ გულით თავიანთ სამშობლოში დაბრუნება და ჯავახეთ-მესხეთში, მამა-პაპეულ მიწაზე დასახლება. მაგრამ მათი ადგილი დაჭერილი იყო.“ ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ეხლა, რაკი სომხები თავიანთ წინანდელ ქვეყანაში, სომხეთში წავლენ, მაშინ სამართლიანობა აღდგენილი იქნება და ორივე ერს თავისი მამა-პაპეული კერა დაუბრუნდება.“ (გვ. 40).

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი იმედოვნებდა, რომ ახალ პირობებში ანტანტის ქვეყნების ზედწოლით, მოხერხდებოდა თურქეთის მიერ მიტაცებულ სომხურ მიწებზე ძველი, სომხური, მოსახლეობის დაბრუნება და, სამაგიეროდ, თურქეთში გახიზნულ ქართველთა მამა-პაპეულ ადგილებში ჩამოსახლება, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა და სომხეთის მესვეურებმა ომით სცადეს საქართველოს ხარჯზე ჩრდილოეთით გაეფართოებინათ თავისი საზღვრები. მათი ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ ამით მაშინ

---

1 ივ. ჯავახიშვილს მითითებული აქვს შაჰატუნიანი [რედ.].

2 ივ. ჯავახიშვილი წერს „ეკონომიურს“ [რედ.].

საკითხი არ მოხსნილა და საქართველოს მთავრობა მის გადაწყვეტას საერთაშორისო მოლაპარაკებათა დონეზე იმედოვნებდა.

წიგნის მე-6 თავში ივ. ჯავახიშვილი ეხება - „საქართველოს სამზღვრის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ხაზს“, რომელიც გულისხმობდა კოლა-არტაანს, ტაო-თორთუმ-ისპირს (პარ. 1) და ლაზისტანს (პარ. 2).

ივ. ჯავახიშვილი წერს: „ეხლანდელი ყარსის გუბერნიის არტაანის და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტაანის და ტაოს ჩრდილოეთის ნაწილს უდრიდნენ, საუკუნეთა განმავლობაში ქართველ მოსახლეობას და ერს ეკუთვნოდა. მხოლოდ მე-18 საუკუნითგან მოყოლებული, არტაანისა და ოლთისის ოლქში თურქთა 200 წლის ბატონობის და ისლამის წყალობით ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენა დავიწყებული აქვთ.“ (გვ. 40). ქვემოთ ავტორს მოაქვს 1889 წლის დემოგრაფიული მონაცემები და აღნიშნავს, რომ არტაანის ოლქის 65763 მცხოვრების და ოლთისის ოლქის 31519 მცხოვრებიდან, სომეხი იყო პირველში მხოლოდ 1923 და მეორეში 3130. მიუხედავად ამისა, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, თუკი ადრე სომხეთის მესვეურებიც ცნობდნენ მოსახლეობის ასეთ თანაფარდობას და პრეტენზიაც არ ჰქონდათ ამ ტერიტორიაზე, 1919 წელს მათ უკვე სურვილი გამოთქვეს არტაანის და ოლთისის ოლქების სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცევისა, რაც „მათ არც ისტორიულად და არც სომეხთა თანამედროვე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არ ეკუთვნოდათ“ (გვ.40). ქვემოთ, ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ „ოსმალეთის სამზღვრებში დარჩენილი მესხეთის, ზემო ტაოს ნაწილში, თოთრუმის ხეობაში მთელი მცხოვრებნი სული მთლიანად გამაჰმადიანებული ქართველები არიან, მაგრამ ქართული დავიწყებული აქვთ. ისპირში კი - პარხალის, ხევეკის, გუდახევის და ჭირჭიმის ხეობებში - ყველგან ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ და ქართულად ლაპარაკობდნენ.“ (გვ. 41).

ლაზისტანისადმი მიძღვნილ პარაგრაფში ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართველთა მოსახლეობის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაპირი ჭანებს, ანუ ლაზებს უჭირავს. ასე იყო წარსულშიც. მათი კილო მეგრულს ახლო უდგება.“ ქვემოთ ავტორს დემოგრაფიული მონაცემები მოაქვს, რომელთა თანახმად XIXს. 60-იან წლებში ლაზთა რაოდენობა რამდენიმე ასს ათასს აღემატებოდა, ხოლო 1919 წლისათვის ლაზური მოსახლეობა მხოლოდ რიზეს სანჯაყით განისაზღვრებოდა, რომელსაც ლაზისტანის სანჯაყიც ეწოდება. იგი შედგებოდა რიზეს და ათინას ოლქებისაგან. პირველში ხალხს დედაენა უკვე დავიწყებული ჰქონდათ, მეორეში კი მცხოვრებთა დედაენა ისევ ჭანური ანუ ლაზური იყო. ათინას ოლქის 178 სოფლიდან 39 სოფელში (ხემშინის ოლქი) 12778 სული (ხემშინები) გათურქებული სომხები იყვნენ.

ქვემოთ, ივ. ჯავახიშვილი რუსეთის გენშტაბის საიდუმლო გამოცემის - გენ. ავერიანოვის წიგნის: „ოტომანთა იმპერიის აზიური სამფლობელოების ეთნოგრაფიული და სამხედრო-პოლიტიკური მიმოხილვა“, ს.-პ., 1912 წ. (რუსულ ენაზე) საფუძველზე მიუთითებს, რომ ლაზების რაოდენობა 200 ათასამდე აღირიცხებოდა. მათმა უმრავლესობამ რუსეთის ჯარის მიერ ლაზისტანის დაკავების შემდეგ დატოვა საცხოვრებელი და თურქეთის ჯარს გაჰყვა. ადგილზე კი სულ 35 ათასი ლაზიღა იყო დარჩენილი. იოსებ ყიფშიძის მონაცემებით კი, ათინას ოლქში მკვიდრ ლაზთა რაოდენობა ათასამდე[1] უნდა ყოფილიყო (გვ. 41).

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ლაზთა ზედმიწევნითი რიცხვის გაგება მხოლოდ ეხლა შეიძლება, როდესაც მცხოვრებნი თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდნენ, ისიც მხოლოდ აღწერის საშუალებით“ (იქვე). ყარსის გუბერნიისა და ლაზისტანის საზღვრებსა და დემოგრაფიის საკითხებზე ივ. ჯავახიშვილი, ჩანს, ესოდენ დაწვრილებით იმიტომ ჩერდება, კერძოდ, რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებათა გზით. ცხადია, აქ საქართველოსაც ჰქონდა თავისი ინტერესები, რომელთა დაკმაყოფილება ესოდენ შორეულ ფარგლებში ვერ მოხერხდა და აღნიშნული ტერიტორია თურქებს შერჩათ.

ბოლოსიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი აჯამებს წიგნში მოტანილ მსჯელობას: „ყველა ზემოაღნიშნული მკითხველს, უეჭველია, ნათლად დაანახვებდა, თუ რა სამზღვრები ჰქონდა საქართველოს და როგორის თავგამოდებით იცავდა მათ ჩვენი ერი საუკუნეთა განმავლობაში. ამ სამზღვრებში მოქცეული მიწა-წყალი და მოსახლეობა მთლიან ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და, თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიკურადაც[2] ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულია“ (გვ. 42). მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ივ. ჯავახიშვილი რეალისტურად არ უყურებდა მდგომარეობას და, მაინდა-

---

[1] დედნის მიხედვით „80 ათასამდე“ [რედ.]

[2] ივ. ჯავახიშვილი წერს „ეკონომიურს“ [რედ.].

მაინც, მოითხოვდა საქართველოს ყველა ისტორიული საზღვრის აღდგენას. იგი გარკვეული დათმობის მომხრეა და ამასთან დაკავშირებით შემდეგს აღნიშნავს: „ისტორიული და საერთაშორისო სამართლის ძალით, საქართველოს სწორედ ის სამზღვრები უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ზევით იყო აღნუსხული, მაგრამ ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა შეიძლება, საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს“ (იქვე).

როგორც თავშივე ითქვა, ივ. ჯავახიშვილი საქართველოს საზღვრების დადგენის საქმეში მოითხოვდა საკითხისადმი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მიდგომას და არა მხოლოდ იმის დაცვას, რაც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მოსახლეობის ეროვნული შედგენილობით წარმოიდგინებოდა. საქმე ისაა, რომ სწორედ ასეთი მიდგომით მოითხოვდნენ საქართველოს სამხრეთ საზღვრების დადგენას სომხეთის მესვეურნი მაშინ, როდესაც ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, თვითონ თავიანთ მოთხოვნებში ხელმძღვანელობდნენ არა ეთნოგრაფიული პრინციპით, არამედ სწორედ სახელმწიფოებრივი, უკეთ ისტორიული მიდგომით, რომელიც ხშირად რეალობასაც სცილდება და მხოლოდ საკუთარ ნება-სურვილს ემყარება. ამასთან დაკავშირებით, ივ.ჯავახიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ სომეხთა მესვეურნი იმდენად ფართო გეგმებს სახავდნენ, რომ თავდაპირველად შედგენილ ერთ-ერთ რუკაზე დიდი სომხეთის სახელმწიფოს საზღვრები იყო „შავი ზღვითგან ხმელთაშუა ზღვამდე გადაჭიმული და ტფილისისა, ბათომისა და ტრაპზონ-სინოპის შემცველი“, ხოლო, კერძოდ, საქართველოს მიმართ მათ პრეტენზიებზე მეტყველებდა „სტამბოლში გამოცემული სომხეთის ორი რუკა, რომელშიც ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებშია მოქცეული.“ ეს რომ მარტო აბსტრაქტული სურვილები არ იყო, ამის დამადასტურებელია თვით საქართველოსთან ომის დაწყება, რომელმაც ივ. ჯავახიშვილის თქმით, ქართველობას გარკვეული სამსახურიც კი გაუწია გამოფხიზლების თვალსაზრისით.

ბოლოსიტყვაობაში, ივ.ჯავახიშვილი წერს: „სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ მას გარეშე მტრის შემოსევისაგან თავდაცვის საშუალება ჰქონდეს და მისი მყუდრო სამოქალაქო ცხოვრება უზრუნველყოფილი იყოს. ამიტომაც არის, რომ ქართველი ერის შეგნებულს ნაწილს, მის მოთავეებსა და რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლიან თავიანთი სახელმწიფოს სამზღვრების მოხაზულობას სამხედრო თვალსაზრისითაც არ შეხედონ.“ (გვ.43). ეს, როგორც ითქვა, გულისხმობდა ამ საზღვრების დაცვას და დათმობაზე წასვლას მხოლოდ „იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს.“ ივ. ჯავახიშვილი ასეთ კონკრეტულ შემთხვევებსაც ითვალისწინებს: „მაგ., აღმოსავლეთით, საინგილოში სამზღვრად გიშის წყალის მაგიერ კაშკა-ჩაი დაიდვას, სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვრის ხაზად – კი ისტორიულის მაგიერ დებედას მდინარეების წყალთგამყოფელი მთა აირჩიოს, ხოლო სამხრეთის ხაზად კი ისტორიულის ერევნის (ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ბერდუჯის (რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსამზღვრე ხაზად: საქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქნება, სომხეთის ზღუდედ და სამზღვრად ერევნის მთები“ (გვ. 43).

ივ. ჯავახიშვილის მიერ მოხაზული ეს საზღვრები აღმოსავლეთით და სამხრეთით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიკვეცა. მაგრამ პოსტსაბჭოურ პერიოდში მაინც თავს იჩენს ზოგიერთი გაუგებრობა. ამდენად, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომს საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ, ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისტორიის გაკვეთილები დღეს განსაკუთრებით არის გასათვალისწინებელი, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობები და კონფლიქტები. მეტად ნიშანდობლივია ივ. ჯავახიშვილის სიტყვები, რომელნიც დღეს ანდერძივით გაისმის: „ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა, თავისი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილმეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათსაც გადაარჩენს.“ (გვ. 43).

წყარო: ივანე ჯავახიშვილის წიგნის – “საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული (რეპრინტი: ტფილისი, 1919 წ.” – შექმნის პირობები და მნიშვნელობა]. ე. ხოშტარია-ბროსე, ა. მენთეშაშვილი // მნათობი. თბილისი, 1999. 5-6. გვ. 68-77.

„საქართველოს საზღვრები“

დურმიშხან ცინცაძე

წინამდებარე ორივე რუკა ივანე ჯავახიშვილისეულია. პირველი ქართულ ენაზეა გამოცემული 1919 წელს და თან ერთვის მის მეტად მნიშვნელოვან მონოგრაფიას: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, რომელსაც ათეული წლების მანძილზე საბჭოური ვეტო ჰქონდა დადებული და, ამდენად, იგი ხელმიუწვდომელი იყო ქართველი მკითხველისათვის. წიგნის ბოლო 51-ე გვერდზე ივანე ჯავახიშვილი წერს: „ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა, რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროსს პროფესორ გენ. ან. ზენაშვილს და ტოპოგრაფიულ განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ“. მართლაც რომ დიდად სამადლო და საშვილიშვილო საქმეა ორივე მხარისაგან გაკეთებული. რუკის ქართული ვარიანტი, როგორც ბატონი ივანე ჯავახიშვილის ნაწერიდან ჩანს, წიგნის თითოეულ ეგზემპლარს თან უნდა ჰქონოდა დართული, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ერთეულებს თუ მოჰყვა[1] და დღეისათვის მისი ორიგინალი იშვიათი გამონაკლისის სახით, ვინმეს თუ აქვს შემონახული. აქვე ერთს დავძენ: ჩვენთვის უცნობია თუ რა ტირაჟით გამოიცა ბატონ ივანე ჯავახიშვილის ესოდენ საჭირო წიგნი და რუკა. სამწუხაროდ, არც ერთზე და არც მეორეზე სათანადო მინიშნება არ არის.

ახლა ივანე ჯავახიშვილისეული ქართული რუკის შესახებ: მასზე დიდ მეცნიერს ასეთი პირობითი ნიშნები გაუკეთებია: 1. ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვარი; 2. საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული საზღვარი; 3. საზღვარი სომხების მოთხოვნილებისამებრ და 4. საქართველოს საზღვარი რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს.

რუკაზე არსებული მესამე პირობით ნიშნისაგან კარგად ჩანს სომეხ დაშნაკელთა წინდაუხედავად მოქმედება საქართველოს მიმართ. მე ხაზს ვუსვამ სომეხ დაშნაკელთა დანაშაულს და არა საერთოდ სომეხი ხალხისას, რომელთათვისაც საქართველო ის ქვეყანა იყო, როგორც ბატონი ივანე ჯავახიშვილი ამბობს, „სადაც მათ თავისუფლად შეუძლიათ ცხოვრება. საქართველოში არასოდეს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა. ამიტომ იყო, რომ დევნილი სომხები ჩვენში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც თავშესაფარს“.

სწორედ ამიტომ ასე შავ ლაქად ატყვია სომეხთა და ქართველთა საუკუნოებრივ კეთილმეზობლურ ურთიერთობას 1918 წლის ქრისტეშობისთვე.

ახლა რამდენიმე სიტყვა ივანე ჯავახიშვილისეულ საქართველოს რუკის ფრანგულ ვარიანტზე. მას სრულიად შემთხვევით მივაგენით თბილისში ერთ-ერთ ოჯახში სამოციანი წლების დასაწყისში, ყიფიანებისეულ არქივში, მრავალ საინტერესო ხელნაწერთან და დოკუმენტურ მასალასთან ერთად: საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი-დედანი, ქართული ეროვნული ჰიმნი - „დიდება“ - ავტორისეული (ე.ი. კოტე ფოცხვერაშვილის - დ.ც.) პირველი გამოცემა 1918 წელს, ქუთაისში ი. კილაძის სტამბაში, საქართველოს ღერბი, ქართული ფულის ნიშნები, ასობით ხელნაწერი, პერიოდიკა და სხვა.

ყიფიანისეული არქივის ხელნაწერთა ერთი ნაწილი დაცულია აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი ისტორიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში, მეორე ნაწილი კი კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. აქვე აღვნიშნავთ, რომ საბუთების უმრავლესობა არაქართულენოვანია. საერთოდ კი მათი მეცნიერული შესწავლა და დამუშავება ალბათ ბევრს გვეტყვის ერის ისტორიის მეტად საყურადღებო მონაკვეთზე.

ყიფიანებისეულ არქივში აღმოჩნდა ანდრე იბელსის წიგნი - „გავათავისუფლოთ საქართველო“, გამოცემული პარიზში 1919 წელს[2]. ამ წიგნში მოკლედ გადმოცემულია საქართველოს ისტორია, მისი ძველი სახელმწიფოებრივი ტრადიციები, დახასიათებულია ქართველი ხალხის თვითმყოფადი კულტურა, მისი დამოუკიდებელი სული და დასაბუთებულია კანონზომიერება მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ წიგნს თან ერთვის ფრანგულენოვანი ივანე ჯავახიშვილისეული საქართველოს რუკა.

---

[1] ამ საკითხზე სხვა სტატიებში ბ-ნ დურმიშხანი განსხვავებულ მოსაზრებებს გთავაზობს [რედ.].

[2] ეს წიგნი [Andre Ibels. Liberons la Georgie!... Paris: Union syndicale des ecrivains professionels, 1919 (Imprimerie Chaix] ასევე დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში [რედ.].

რუკის ფრანგული ვარიანტი ქართულის იდენტურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასზე აღნიშნული არ არის პირობითი ნიშანი: „საზღვარი სომხების მოთხოვნილებისამებრ“. უცხოურ ენაზე ამ რუკის გამოცემისას, როგორც ჩანს, ქართველებს ჩვეული სიდინჯე და გონიერება აღმოაჩნდათ. მათ თავიანთი მოქმედებით უხერხულობაში არავინ არ ჩააყენეს და არც არავის ერთ გოჯა მიწას არ შესცილებიან.

ერის დიდი მეისტორიის ივანე ჯავახიშვილისეული ორივე რუკა ამჟამად, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში, მეტად საჭირო და უტყუარი დოკუმენტია. მათი ისტორიული ღირებულება არა მარტო წარსულის აღსაქმელად, არამედ სამომავლოდაც მეტისმეტად დიდი მნიშვნელობის გახლავთ.

თუ ავამეტყველებთ ივანე ჯავახიშვილისეულ უტყუარ საბუთს - რუკას ასეთ სავალალო შედეგს მივიღებთ: საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორია 1921 წელს 91110 კვადრატული კილომეტრიც იყო, ე.ი. 21000 კვ. მ-ით მეტი, ვიდრე დღესაა. მოახდინა რა საქართველოს ანექსია საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალში, არად ჩააგდო მისი ისტორიული წარსული და ბოლშევიკების ბელადმა ვ.ი. ლენინმა ჰა[ი]ჰარად გაასხვისა: ართვინის 3339[1] - კვ. კმ; ფოცხოვის 588 კვ. კმ; არტაანის - 5137 კვ. კმ; ოლთისის - 3051 კვ. კმ; ბორჩალოს - 3812 კვ. კმ; ზაქათალის - 3564 კვ. კმ. ქართული მიწები, ხოლო სოჭი და მისი მიმდებარე ტერიტორია რუსეთმა ისეთი სიხარბით ჩაიჯიბა, თითქოს მიწის სივიწროვისაგან სული ეხუთებოდა.

ასე და ამგვარად, შემოგვრჩა დაკუწული საქართველო, რომელიც დღეს თამამად იღ[წვ]ის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ღმერთმა ხელი მოუმართოს. ამინ!

წყარო: გაზეთი “ახალგაზრდა ივერიელი”, 3 ივლისი, 1990, № 74, გვ. 6.

სტატიას თან ერთვის 2 რუკა:
1) „საქართველოს საზღვრების რუკა“, მასშტაბი 1:3,000,000;
2) „Carte de la Géorgie“ ფრანგულ ენაზე,
მასშტაბი 1:3,000,000 (წარდგენილი 1919 წელს
პარიზი სამშვიდობო კონფერენციაზე).

[1] ბ-ნი დურმიშხანი სხვა სტატიაში 3330 კვ. კმ-ს წერს. [რედ.].

„ერთი რუკის გამო“

მიხეილ სვანიძე

რამდენიმე ხნის წინათ დაიბეჭდა რუკა სათაურით: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში“. მას აწერია, რომ იგი შედგენილია ფრანგულენოვანი (?) გამოცემის მიხედვით, მაგრამ მითითებული არ არის, რომელმა გამომცემლობამ გამოსცა ქართულ ენაზე. რუკის დანიშნულებაა, უჩვენოს მკითხველს „ერთა ლიგის მიერ საქართველოსათვის დამტკიცებული ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად სხვა პოლიტიკური ერთეულების შემადგენლობაშია.“ ამ რუკისთვის გაკეთებული სათაური პრეტენზიულია და არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს.

განვიხილოთ საქმის რეალური მდგომარეობა.

1919 წლის 29 აპრილს პარიზში ხელი მოაწერეს ერთა ლიგის წესდებას. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიზანი იყო საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფა და განმტკიცება. ერთა ლიგის წევრები გახდნენ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოები და მომხრეები[1] - სულ 44 სახელმწიფო. ერთა ლიგის მუდმივი ადგილსამყოფელი გახდა ჟენევა.

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა გამხდარიყო ერთა ლიგის წევრი. პირველი სესია, რომელიც განიხილავდა ახალი წევრების მიღების საკითხს, დაინიშნა 1920 წლის 15 ნოემბერს ჟენევაში. ამ მიზნით 1920 წლის სექტემბერში ჟენევაში გაემგზავრა საქართველოს მთავრობის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით.

8 ნოემბერს ევგენი გეგეჭკორმა ერთა ლიგის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს გადასცა მემორანდუმი საქართველოს ერთა ლიგაში წევრად მიღებასთან დაკავშირებით.

ერთა ლიგაში ახალი წევრების მისაღებად შექმნილი იყო საგანგებო კომისია, რომელიც დაყოფილი იყო სამ ქვეკომისიად. საქართველოს მიღების საკითხი უნდა განხილულიყო აზერბაიჯანთან, სომხეთთან და უკრაინასთან ერთად. ქვეკომისიას ევალებოდა განეხილა თითოეული ქვეყნის კანდიდატურა წინასწარ შემუშავებული კითხვების გათვალისწინებით. ამათგან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი: ჰყავს თუ არა ქვეყანას მტკიცე მთავრობა და აქვს თუ არა გარკვეული საზღვრები, როგორია მისი ფართობი და მისი მოსახლეობის რაოდენობა. ამ ქვეკომისიას ახსნა-განმარტებას აძლევდნენ ზ. ავალიშვილი და მ. სუმბათაშვილი.

ზურაბ ავალიშვილის გადმოცემით, „ქვეკომისიის მოხსენება კეთილგანწყობილი გამოდგა საქართველოს კანდიდატურისადმი. საქართველოს მთავრობა მტკიცე მთავრობით იქნა ცნობილი და სხვა. აღნიშნული იყო მხოლოდ უქონლობა საბოლოო საზღვრებისა აზერბაიჯანსა და სომხეთთან.“ ქვეკომისიას ევალებოდა არა საქართველოს საზღვრების დადგენა-დამტკიცება, არამედ მათი აღნიშვნა, ე.ი. არსებული ვითარების ფიქსირება. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს საზღვრები აზერბაიჯანთან და სომხეთთან ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი.

რით ხელმძღვანელობდა ქვეკომისია, როდესაც საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით ასეთი დასკვნა გამოჰქონდა?

1919 წელს პარიზში მოიწვიეს საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია, რომელზეც უნდა შემუშავებულიყო საზავო ხელშეკრულებები დამარცხებულ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან, მათ შორის ოსმალეთთანაც.

საქართველო იყო ოსმალეთის მეზობელი სახელმწიფო და, ცხადია, გარკვეულ წილად მასაც უნდა მიეღო მონაწილეობა თურქეთის საზღვრების დადგენის საქმეში.

პარიზის საზავო კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით გაემგზავრა საქართველოს მთავრობის დელეგაცია ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის მეთაურობით. მის შემადგენლობაში იყვნენ ირაკლი (კაკი) წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი და სხვანი.

ანტანტის სახელმწიფოების უმაღლესმა საბჭომ მოიწონა თავისი კომისიის გეგმა ბა-

[1] უზუსტობაა, მაგ. აშშ - არ გამხდარა ერთა ლიგის წევრი. [რედ.]

თუმისა და მისი ოლქის შესახებ. განზრახული იყო, ბათუმი თავისუფალ ქალაქად გამოეცხადებინათ. ბათუმის ოლქის დანარჩენი ნაწილი უნდა გაეყოთ საქართველოსა და სომხეთს. საქართველოს შეუერთდებოდა ოლქის ჩრდილო და აღმოსავლეთი ნაწილი, სომხეთს კი მიეცემოდა ართვინის რაიონი. სომხეთ-საქართველოს დანარჩენი საზღვრების გამიჯვნა უნდა მომხდარიყო ამ რესპუბლიკებს შორის მოლაპარაკების გზით. ლაზეთი ცხადდებოდა ავტონომიურ ერთეულად სომხეთის სუვერენიტეტის ქვეშ. ამავე კომისიის რეკომენდაციით უნდა დაწესებულიყო თავისუფალი ტრანზიტი ამიერკავკასიაზე.

საქართველოს დელეგაცია წინააღმდეგი წავიდა ამ გეგმისა და მოითხოვა, მოეწვიათ სამი მეზობელი რესპუბლიკის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) თათბირი ამ საკითხის მოსაგვარებლად. ინგლისი დათანხმდა.

1920 წლის აპრილში სან-რემოში (იტალია) გაიმართა კონფერენცია. მას ესწრებოდნენ სამივე რესპუბლიკის დელეგატები ინგლისის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. საქართველოდან მასში მონაწილეობდნენ კარლო ჩხეიძე და ზურაბ ავალიშვილი. კონფერენციაზე მიაღწიეს შეთანხმებას. ბათუმსა და ბათუმის ოლქში ცხადდებოდა საქართველოს სუვერენიტეტი იმ პირობით, რომ არ შეილახებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის ინტერესები. მაგრამ ამ საკითხის განხილვამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. დისკუსიის შემდეგ შეთანხმდა მთელი რიგი საკითხები, მაგრამ გადაუჭრელი დარჩა სომხეთის ტერიტორიიდან ბათუმთან რკინიგზის გაყვანის საკითხი. სომხები მოითხოვდნენ ხელშეკრულების ტექსტში შეტანილი ყოფილიყო შენიშვნა, რომ „რკინის გზა შეადგენს მათ სრულ საკუთრებას.“ მაგრამ კ. ჩხეიძემ განაცხადა, რომ იგი არ დაუშვებდა არავითარ შესწორებას. შეთანხმება ვერ მოხერხდა და საკითხი ღიად დარჩა.

1920 წლის 10 აგვისტოს სევრში (პარიზის მახლობლად) დაიდო საზავო ხელშეკრულება ოსმალეთთან. ხელშეკრულების 92-ე მუხლით, სომხეთის საზღვრები საქართველოსთან და აზერბაიჯანთნ უნდა დადგენილიყო დაინტერესებულ ქვეყნებს შორის შეთანხმების გზით. თუ ვერ მოხერხდებოდა შეთანხმება, მაშინ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ მთავარი მოკავშირე სახელმწიფოები.

სწორედ სევრის ზავის საფუძველზე ერთა ლიგის ქვეკომისიამ მიუთითა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოოდ დადგენილი საზღვრები სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის სხდომაზე დაისვა საქართველოს მიღების საკითხი. კენჭისყრაში მონაწილეობდა 24 სახელმწიფო. საქართველოს მიღებას მხარი დაუჭირა 10-მა. არჩევისათვის კი საჭირო იყო 16 ხმა. ამრიგად, საქართველო არ მიიღეს ერთა ლიგის წევრად. უნდა ითქვას, რომ ერთა ლიგა საქართველოს საზღვრებს არ დაუმტკიცებდა, რადგან მას ამის პრეროგატივა არ ჰქონდა.

დავუშვათ, რომ ერთა ლიგამ დაუმტკიცა საქართველოს საზღვრები, მაშინ სარეცენზიო რუკაზე უნდა ყოფილიყო გადატანილი ყველა ის ტერიტორიული ცვლილებები, რომელიც ფიქსირებულია სევრის ხელშეკრულებაში. რუკაზე კი ეს არ ასახულა. პირიქით, მასზე სულ სხვა საზღვრებია მითითებული. მაგალითად, საქართველოს საზღვრებში შედის: თორთომი, სპერი, ოლთისი, პარხალი, არტაანი, რიზე, ათინა და სხვა. ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხის განხილვის დროს (1920 წლის ნოემბერ-დეკემბერი) საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიებს არ ფლობდა. არავითარი საბუთი არ მოიპოვება იმის დამადასტურებლად, რომ ეს ტერიტორიები ერთა ლიგამ საქართველოს დაუმტკიცა.

ამრიგად, არ უნდა იყოს მართებული რუკის სათაური „საქართველო ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში.“

რუკაზე აღნიშნულია, რომ იგი შედგენილია „ფრანგულენოვანი“ გამოცემის მიხედვით, მაგრამ არ მიუთითებენ, თუ ვინ არის მისი ავტორი.

1919 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოვიდა ანდრე იბელის[1] ბროშურა. „განთავისუფლებული საქართველო.“ მას თან ერთვის საქართველოს რუკა, რომელიც, ჩვენი აზრით, საზღვრების მოხაზულობით იდენტურია სარეცენზიო რუკისა. ამ რუკაზე პირობით ნიშანთან წერია „საზღვრები ტერიტორიისა, რომელსაც მოითხოვს საქართველო.“

ჩვენი დაკვირვებით, სწორედ ამ „ფრანგულენოვანი“ რუკის მიხედვით არის შედგენილი სარეცენზიო რუკა, და აი რატომ როგორც მოგახსენებთ, პარიზში საქართველოს დელე-

[1] უნდა იყოს იბელსი [რედ.]

გაციის შემადგენლობაში იყო ივანე ჯავახიშვილი, ვითარცა მრჩეველი საქართველოს ისტორიისა საზღვრების საკითხში[1]. სწორედ 1919 წელს გამოდის მისი ნაშრომი „საქართველოს საზღვრები.“ მას დართული ჰქონდა საქართველოს რუკა, რომელიც მომზადდა პროფესორ ან. ბენაშვილის მონაწილეობით. დღეს ეს რუკა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ორივე რუკას (ქართული და ფრანგული, ა. იბელის წიგნში მოთავსებული) სხვა მასალასთან ერთად ყიფიანის ოჯახის არქივში მიაკვლია დოცენტმა დურმიშხან ცინცაძემ. მისის აზრით, ქართული და ფრანგული რუკები იდენტურია და ივანე ჯავახიშვილის შედგენილი უნდა იყოს („ახალგაზრდა ივერიელი“, 1990 წ. 7. III).

პარიზის კონფერენციაზე ჩვენი დელეგაცია მოითხოვდა საქართველოს საზღვრებში შესულიყო: 1. მიწები, რომლებიც 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პროვინციებად იქცა. 2. ადრიანოპოლის ზავისა (1829 წ.) და ბერლინის ტრაქტატის შეერთების (1878 წ.) საფუძველზე განთავისუფლებული მიწები. 3. ოსმალეთის მფლობელობაში მყოფი ზოგიერთი ტერიტორია. სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე შეუდგენია ივანე ჯავახიშვილს ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოცემული რუკები. ამ რუკებზე მითითებულია სწორედ იმ ტერიტორიების საზღვრები, რომლებსაც მოითხოვდა პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაცია.

ამგვარად, სარეცენზიო რუკა ივანე ჯავახიშვილის შედგენილი უნდა იყოს და ფრანგულ ენაზე გამოცემულია საქართველოს რუკის საფუძველზე. მისთვის წამძღვარებული სათაური სწორი არ არის. უნდა იყოს; პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მოთხოვნები.

წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
6 ივნისი, 1992, № 98 (377) გვ. 3.

[1] ივანე ჯავახიშვილი პარიზში ვერ ჩავიდა [რედ.]

საქართველოს საზღვრები

დურმიშხან ცინცაძე

ახლახან გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ № 98, 6 ივნისი, გამოაქვეყნა პროფესორ მიხეილ სვანიძის დროული და საყურადღებო სტატია სათაურით: „ერთი რუკის გამო.“ იგი დაწერილია შარშან თბილისში დაბეჭდილი რუკის – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში“ – გამოცემასთან დაკავშირებით. მ. სვანიძის წერილმა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია, სპეციალისტთა წრეებში მის შესახებ სერიოზული მსჯელობა დღესაც არ ჩამცხრალა.

წერილის ავტორს ბატონ მიხეილ სვანიძეს ყველაფერში ვეთანხმები, მაგრამ მაქვს ერთი კითხვა თუ შენიშვნა, რომლის შესახებ მან კარგად უწყის და ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა თავის წერილში აღენიშნა, რათა ეს ბუნდოვანი საკითხი იქნებ ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულიყო. წერილში ვკითხულობთ: „პარიზში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში (იგულისხმება – 1920 წლის ბოლო, – დ.ც.) იყო ივანე ჯავახიშვილი, ვითარცა მრჩეველი საქართველოს ისტორიისა საზღვრების საკითხებში[1]. სწორედ 1919 წელს გამოდის მისი ნაშრომი „საქართველოს საზღვრები“. მას დართული ჰქონდა საქართველოს საზღვრების რუკა, რომელიც მომზადდა პროფესორ ან. ბენაშვილის მონაწილეობით. დღეს ეს რუკა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.“

აი, რას წერს ბატონი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნულ ნაშრომში: „ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა, რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროსს გენ. ან. ბენაშვილს და ტოპოგრაფიულს განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ. ბათუმი-კონსტანტინეპოლი, 1919 წ. იანვარი-მარტი.“

სამწუხაროდ, მონოგრაფიაში აღნიშნული არ არის არც მისი და არც საქართველოს რუკის ტირაჟი[2]. ჩვენამდე მოღწეულ და სათუთად შენახულ ივანე ჯავახიშვილის აღნიშნულ არც ერთ მონოგრაფიას რუკა არ ახლავს.[3]

იბადება კითხვა, რაღაც მიზეზის გამო მონოგრაფიის გამოცემის შემდგომ ხომ არ დაიბეჭდა ეს რუკა? ჩვენი აზრით, აქ ასეთ „კურიოზს“ უნდა ჰქონდეს ადგილი. ახლა იმის შესახებ, თუ საიდან მივედით ჩვენ ამ დასკვნამდე; „საქართველოს საზღვრების რუკას“ აქვს ავტორისეული პირობითი ნიშნების ახსნა: მთები, რკინის გზები, გზები, ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვარი, საქართველოს სახელმწიფო ისტორიული საზღვარი, საზღვარი სომხების მოთხოვნილებისამებრ და საქართველოს საზღვარი რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს.

როგორც ცნობილია, მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მიმდინარეობდა ქ. მოსკოვში 1920 წლის 28 აპრილიდან 6 მაისამდე და იგი ძალაში შევიდა მეორე დღესვე და ისტორიაში ცნობილია როგორც რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების მესამე და მეოთხე მუხლებში ლაპარაკია სწორედ საქართველოსა და რუსეთს შორის დასამტკიცებელ სახელმწიფო საზღვარზე. აქედან გარკვევით ჩანს, რომ აღნიშნული რუკა შედგენილი თუ არა, შესწორებული მაინც უნდა იყოს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, სხვანაირად ბოლო პირობითი ნიშანი, რომელიც რუკაზე არის მოცემული, არ შეიძლება ავტორს მოეცა. თუ ეს ასეა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია „საქართველოს საზღვრები“ 1919 წელს რუკის გარეშე გამოიცა, ხოლო უფრო

---

[1] ივ. ჯავახიშვილი იყო 1919 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციის დელეგაციის წევრი. სხვა დელეგატებთან ერთად, იგი გაემართა კიდეც ამ მნიშვნელოვანი მისიის შესასრულებლად, თუმცა ცნობილი მიზეზების გამო, კონსტანტინეპოლიდან საქართველოში უკან დაბრუნება მოუწია. ამიტომ შეუძლებელია ამ დროს ის ყოფილიყო პარიზში [რედ.].

[2] საქართველოს საისტორიო არქივში დაცულია 2 დოკუმენტი [ფონდი 481, აღწერა 1, საქმე 1871]: 1) 1919 წლის 11 დეკემბრის დოკუმენტი, შედგენილი მესხიევის ტიპოგრაფიაში, სადაც რუკის ტირაჟად მითითებულია 2000 ეგზემპლარი; 2) საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს სატოპოგრაფიო განყოფილების მიმართვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე, სადაც საუბარია „პროფესორ ჯავახიშვილის წიგნში დასართავი რუკისთვის“ შესაფერისი ქაღალდის სამხედრო ტოპოგრაფიულ განყოფილებაში გამოგზავნის შესახებ. ხელს აწერს განყოფილების უფროსი, გენერალი ბენაშვილი. თარიღი: 15 იანვარი. წელი არ არის მითითებული. სავარაუდოდ, 1920 წელი უნდა იყოს. თვით არქივის ანოტაციური ჩანაწერიც ამავე თარიღზე მიგვანიშნებს [რედ.].

[3] თუმცა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ (3 ივლისი, 1990, № 74, გვ. 6) დ. ცინცაძე წერს, რომ რუკა „ერთეულებს თუ მოჰყვა“-ო. ამდენად მას ხელთ ჰქონდა წიგნის ის ვარინტებიც, რომელთაც რუკა თან ერთვოდა. ამ წიგნის ასეთი ეგზემპლარები მართლაც არსებობს. [რედ.].

გვიან, 1920 წლის 7 მაისის შემდგომ პერიოდში, აღნიშნულმა სამხედრო ტოპოგრაფიამ პროფ. ან. ზენაშვილის ხელშეწყობით მოახერხა მისი გამოცემა. ვფიქრობ, შემდგომ, ალბათ ამან განაპირობა ის გაუკვეველობა, რაც აღნიშნულ რუკის ირგვლივ შეიქმნა.[1]

შეიძლება ვინმეს დაებადოს ასეთი კითხვა, თვით ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა ადრევე რატომ ვერ მოახერხა წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემა? ეს მონოგრაფია თითქმის ათეული წლების მანძილზე ტაბუდადებული იყო და ვინ გაბედავდა მასზე სიტყვის დაძვრას.

ჩვენს ხელთაა ყოფილი საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური საისტორიო არქივის საქმე – (ფონდი 471, აღწ. 19, საქმე 45, ფურც. 1-333). ეს იყო დისკუსია მოწყობილი თითქოს ქართული საისტორიო მეცნიერების მდგომარეობის შესახებ; სინამდვილეში კი მსჯელობის ძირითადი ობიექტი გახლდათ იმდროინდელი ქართული საისტორიო მეცნიერული სკოლის მებაირახტრის ივანე ჯავახიშვ[ი]ლის მსოფლმხედველობრივი შეფასება. დისკუსია ჩატარდა 1936 წ. მარტის ბოლოს და აპრილის თვის პირველ რიცხვებში. აი, რას ამბობს დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე ასპირანტი ვ. ცინცაძე ივანე ჯავახიშვილის ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაზე და თვით ავტორზე: „წინამდებარე მონოგრაფია მხოლოდ საქართველოს საზღვრებს არკვევს ისტორიულად; თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში, ან როგორ იცავდა ამ საზღვრებს ქართული ერი საუკუნეთა განმავლობაში და რანაირად უნდა შემოისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი ამჟამად... მენშევიზმის ქურქში გამოხვეული პროფესორი ჯავახიშვილი ცდილობს საზღვრების დაცვისათვის ყველაფერი შეასრულოს, დათმოს საქართველოს მენშევიკურ დამოუკიდებლობისათვის ყოველივე, მაგრამ ის არ ცდილობს ისე განაზოგადოს, რომ ამით ფარდა ახადოს „მონურ“ სიბნელეს და მენშევიკურ ბუნებას, ერის პოლიტიკური უფლების საკითხი ჯავახიშვილისათვის საზღვრებია და არა მუშათა კლასის და გლეხის ბრძოლის ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა მათ განთავისუფლებისათვის ექსპლუატატორებისაგან. ბოროტად გაგებულია სტალინური დებულება ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ... პროფ. ჯავახიშვილმა ანტიმარქსისტული, ანტილენინური, ანტისტალინური დებულებებით გაჟღენთილი შრომები მოგვცა და მას შემდეგ არ უცდია, ეღიარებინა მის მიერ დაშვებული უდიდესი შეცდომები“ (იხილეთ მითითებული არქივი, ფურცლები 31-35).

ამის შემდეგ არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა არსად აღნიშნა თავისი მონოგრაფიისა და საქართველოს საზღვრების რუკის თავს გადახდილი ისტორიის შესახებ.

რაც შეეხება ჯავახიშვილისეულ საქართველოს რუკის ფრანგულ ვარიანტს, იგი პარიზშია გამოცემული 1919 წელს და თან ერთვის ვინმე ანდრე იბელსის წიგნს „გავათავისუფლოთ სქართველო“. რუკაზე ვკითხულობთ: გამოცემულია ლობროს[2] მიერ, პლანტის ქუჩა, 18[.] რუკის ფრანგულ ვარიანტებზე თითქმის იგივე პირობითი ნიშნებია, რაც ქართულ ენოვანზე, მხოლოდ ორის გამოკლებით; ერთი: „საზღვარი სომხების მოთხოვნილებისამებრ“, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის პოლიტიკური თვალსაზრისით; და მეორე: „საქართველოს საზღვარი რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს“, რომელიც რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით დადგინდა და არ შეიძლებოდა იგი აღნიშნულიყო ჯავახიშვილისეულ ფრანგულენოვან საქართველოს საზღვრების რუკაზე, რომელიც სხვა საბუთებთან ერთად ერთა ლიგაში წარსადგენად იყო განსაზღვრული.

აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია საქართველოს ისტორიული საზღვრების დასადგენად, დასადასტურებლად, სპეციალურად იქნა დაწერილი და გამოქვეყნებული 1919 წელს. ივ. ჯავახიშვილისეული „საქართველოს საზღვრების რუკის“ ქართული ვარიანტი როგორ შეიძლება მოხვედრილიყო აღნიშნულ მონოგრაფიაში. მაშინ როდესაც რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულება ცოტა უფრო გვიან, 1920 წელს მაისის დასაწყისში გაფორმდა.

ე.ი. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია „საქართველოს საზღვრები“ გამოიცა 1919 წელს რუკის გარეშე, ხოლო რუკის ქართული ვარიანტი გამოიცა 1921 წლის მაისის[3] შემდეგ, ე.ი. რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადების შემდეგ.

წყარო: გაზეთი: „ლიტერატურული საქართველო“, 17 ივლისი. 1992 წელი;
დ. ცინცაძე. ეს ჩვენი ისტორიაა. თბ., 2013. გვ. 91-95

---

1 ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გამოთქმულია ალმანახის ამავე ტომში (ნიკოლაიშვილი დ., სართანია დ. „საქართველო „მჭიდროდ შემოფარგლულ სამზღვრებში“ – ივანე ჯავახიშვილისეული ხედვა“) [რედ.].

2 უნდა იყოს: „ლობროტი“ (Lobrot) [რედ.].

3 უნდა ოყოს: „1920 წლის მაისის“ [რედ.].

ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრების“ გამოცემის გამო

დურმიშხან ცინცაძე

ქართველი ერის დიდი მეისტორიისა და უბადლო მოამაგის ივანე ჯავახიშვილის მცირე მოცულობისა და უდიდესი მნიშვნელობის წიგნი „საქართველოს საზღვრები“ (ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული) 77 წლის წინათ გამოიცა და დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. წიგნის მნიშვნელობა მაშინაც ერთობ დიდი იყო და არანაკლები გახლავთ დღესაც. სწორედ ამან გაგვაბედინა მისი სრულყოფილი გამოცემა, რაც იმაში გამოიხატა, რომ წიგნის ბოლოსიტყვაობაში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რუკის ქართული ვარიანტი მონოგრაფიას თან უნდა დართვოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეულ წიგნის თითებზე ჩამოსათვლელ ეგზემპლარებში რუკა არც ერთს არ ახლავს.[1] ეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, თუ რამ გამოიწვია ასეთი კურიოზი, ამას ჩვენ ქვემოთ განვმარტავთ და ვფიქრობთ, ამით ბოლო მოეღება ამ საკითხთან დაკავშირებულ გაურკვევლობას.

წიგნის 51-ე გვერდზე ივანე ჯავახიშვილი წერს: „ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა, რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროსს გენ. ან. ბენაშვილს და ტოპოგრაფიულს განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ. ბათუმი-კონსტანტინეპოლი, 1919 წ. იანვარი-მარტი.“

ვიდრე საკითხის გარკვევას დავიწყებდეთ, საჭიროდ ვთვლით ერთი წიგნის მიმართ შენიშვნის გაკეთებას, რომელიც ჩვენს გასარკვევ საკითხთან უშუალოდ არის დაკავშირებული. 1989 წლის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა აკაკი ბაქრაძის რედაქტორობით 100 ათასიანი ტირაჟით გამოსცა „ისტორიული რარიტეტები“, რომელშიაც ორი ცნობილი ავტორის ნაშრომებთან ერთად შეტანილია ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრები.“ აქ გამოქვეყნებულია ნაშრომის ბოლოსიტყვაობიდან მთლიანად ამოღებული ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული ივანე ჯავახიშვილის მადლიერების სიტყვები, რაც უშუალოდ საქართველოს ისტორიული რუკის დამზადებას შეეხება. ასეთი შეცდომა, ცოტა არ იყოს, უხერხულია, მით უმეტეს, რომ იგი დიდ ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის და ასეთ სერიოზულ საკითხს შეეხება (ამის დასტურად იხილეთ მითითებული ნაშრომი, გვ. 61).

ივანე ჯავახიშვილის წიგნში „საქართველოს საზღვრები“, სამწუხაროდ, აღნიშნული არ არის არც წიგნის და არც რუკის ტირაჟი. ჩვენამდე მოღწეულ და სათუოდ შემონახულ ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიას არც ერთ ეგზემპლარს, როგორც აღვნიშნეთ, რუკა თან არ ახლავს. იბადება კითხვა, რაიმე მიზეზის გამო მონოგრაფიის გამოცემის შემდგომ ხომ არ დაიბეჭდა ეს რუკა? ჩვენი დაკვირვებით, აქ ასეთ „კურიოზს“ ჭეშმარიტად უნდა ჰქონდეს ადგილი. აი, რა გვაძლევს ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს: „საქართველოს საზღვრების რუკა“ აქვს ავტორისეული პირობითი ნიშნები: მთები, რკინის გზები ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვარი, საქართველოს სახელმწიფო ისტორიული საზღვარი, საზღვარი სომხეთის მოთხოვნილებისამებრ და საქართველოს საზღვარი რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს.

როგორც ცნობილია, მოლაპარაკება რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მიმდინარეობდა ქალაქ მოსკოვში 1920 წლის 28 აპრილიდან 6 მაისამდე; იგი ძალაში შევიდა მეორე დღესვე და ისტორიაში ცნობილია, როგორც რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მესამე და მეოთხე მუხლებში ლაპარაკია სწორედ საქართველოსა და რუსეთს შორის დასამტკიცებელ სახელმწიფო საზღვარზე. აქედან გარკვევით ჩანს, აღნიშნული რუკა შედგენილი თუ არა, შესწორებული მაინც უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, სხვანაირად ბოლო პირობითი ნიშანი, რომელიც რუკაზეა აღნიშნული, არ შეიძლებოდა ავტორს მოეცა. და თუ ეს ასეა, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია „საქართველოს საზღვრები“ 1919 წლის რუკის გარეშე გამოიცა, ხოლო უფრო გვიან, 1920 წლის 7 მაისის შემდგომ პერიოდში, აღნიშნულმა სამხედრო ტოპოგრაფიამ პროფ. ან. ბე-

---

[1] აქაც ანალოგიური კომენტარი: გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ (3 ივლისი, 1990, № 74, გვ. 6) დ. ცინცაძე წერს, რომ რუკა „ერთეულებს თუ მოჰყვა“-ო [რედ.]

ნაშვილს ხელშეწყობით მაინც მოახერხა მისი გამოცემა. ვფიქრობ, შემდგომში ამან განაპირობა ის გაურკვევლობა, რაც აღნიშნული რუკის ირგვლივ შეიქნა.

შეიძლება ვინმეს დაებადოს კითხვა, რატომ თვით ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა ადრევე ვერ მოახერხა ამ ფაქტის აღნიშვნა, წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემა? იმიტომ, რომ ეს მონოგრაფია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხომ ათეული წლების მანძილზე ტაბუდადებული იყო და აბა ვინ ჭკუათმყოფელი გაბედავდა მაშინდელი კომუნისტური რეჟიმის დროს მასზე სიტყვის დაძვრას?

ჩვენს ხელთაა საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური საისტორიო არქივის საქმე (ფონდი № 471, აღწერილობა 19, საქმე 45, ფურცელი 1-335). ესაა სტენოგრაფიული ჩანაწერი დისკუსიისა, რომელიც თითქოს ქართული საისტორიო მეცნიერების მდგომარეობის გასარკვევად ჩატარდა, სინამდვილეში კი მსჯელობის ძირითადი ობიექტი გახდათ იმდროინდელი ქართული საისტორიო მეცნიერული სკოლის მეგაირახტის ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობრივი შეფასება. დისკუსია ჩატარდა 1936 წ. მარტის ბოლოს და აპრილის თვის პირველ რიცხვებში. აი, რას ამბობს დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე ივანე ჯავახიშვილის ზემოთდასახელებულ წიგნზე და თვით ავტორზე: „წინამდებარე მონოგრაფია მხოლოდ საქართველოს საზღვრებს არკვევს ისტორიულად: თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში ან როგორ იცავდა ამ საზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში და რანაირად უნდა შემოისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები ამჟამად. მენშევიზმის ქურქში გამოხვეული პროფესორი ჯავახიშვილი ცდილობს საზღვრების დაცვისათვის ყველაფერი შეასრულოს, დათმოს საქართველოს მენშევიკური დამოუკიდებლობისათვის ყოველივე, მაგრამ ის არ ცდილობს ისე განაზოგადოს, რომ ამით ფარდა ახადოს „მონურ“ სიბნელეს და მენშევიკურ ბუნებას, ერის პოლიტიკური უფლების საკითხი ჯავახიშვილისათვის საზღვრებია და არა მუშათა კლასის და გლეხობის ბრძოლის ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა მათ განთავისუფლებისათვის ექსპლუატატორებისაგან. ბოროტად გაგებული სტალინური დებულება ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ. პროფ. ჯავახიშვილმა ანტიმარქსისტული, ანტილენინური, ანტისტალინური დებულებებით გაჟღენთილი შრომები მოგვცა და მას შემდეგ არ უცდია ეღიარებინა მის მიერ დაშვებული ეს უდიდესი შეცდომები“ (იხილე მითითებული არქივი, ფურც. 31-35).

ვფიქრობ, ამის შემდეგ არ უნდა იყოს საკვირველი, ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა არსად რომ არ აღნიშნა ამ მონოგრაფიისა და საქართველოს საზღვრების რუკის თავს გადამხდარი მწარე ისტორიის შესახებ.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილისეული საქართველოს რუკის ფრანგულ ვარიანტს, იგი პარიზშია გამოცემული 1919 წელს და თან ერთვის ვინმე ანდრე იბელსის მცირე მოცულობის წიგნს „გავათავისუფლოთ საქართველო“. რუკაზე ვკითხულობთ: გამოცემულია ლობროს[1] მიერ, პლანტის ქუჩა, 18. რუკის ფრანგულ ვარიანტზე თითქმის იგივე პირობითი ნიშნებია, რაც ქართულენოვანზე, მხოლოდ ორის გამოკლებით: ერთი: „საზღვარი სომხების მოთხოვნიებისამებრ.“ ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის პოლიტიკური თვალსაზრისით; და მეორე „საქართველოს საზღვარი რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს“, რომელიც რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით დადგინდა და არ შეიძლებოდა იგი აღნიშნულიყო ივანე ჯავახიშვილისეულ ფრანგულენოვან საქართველოს საზღვრების რუკაზე, რომელიც სხვა დოკუმენტებთან ერთად საქართველოს მთავრობის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში შედიოდენენ: ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე - ხელმძღვანელი, წევრები: ირაკლი (კაკი) წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი და სხვები, თან ჰქონდათ 1919 წელს წაღებული პარიზის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე.

აქვე უნდა ხაზგასმით აღინიშნოს ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია საქართველოს ისტორიული საზღვრების დასადგენად, დასადასტურებლად სპეციალურად დაწერა და გამოქვეყნდა 1919 წელს. ივანე ჯავახიშვილისეული „საქართველოს საზღვრების რუკის“ ქართული ვარიანტი როგორ შეიძლებოდა მოხვედრილიყო მისეულ მონოგრაფიაში, მაშინ როდესაც რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულება ცოტა უფრო გვიან, 1920 წლის მაისის დასაწყისში გაფორმდა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია „საქართველოს საზღვრები“ შეიძლება დაიბეჭდა 1919 წელს რუკის

[1] უნდა იყოს: „ლობროტის“ [რედ.].

გარეშე, ხოლო თვით რუკის ქართული ვარიანტი გამოცემულია 1920 წლის მაისის შემდეგ, რასაც რუკაზე არსებული პირობითი ნიშანიც გვიდასტურებს.

ერის დიდი მეისტორიის ივანე ჯავახიშვილის ორივე რუკა დღეისათვის, დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის პერიოდში, მეტად საჭირო და უტყუარი დოკუმენტებია. მონოგრაფიასთან ერთად მათი ისტორიული ღირებულება არა მარტო წარსულის აღსაქმელად, არამედ სამომავლოდაც მეტისმეტად დიდი მნიშვნელობის გახლავთ.

თუ ავამეტყველებთ ივანე ჯავახიშვილისეულ უტყუარ დოკუმენტს - „საქართველოს საზღვრების რუკას", დღეს ასეთ სავალალო შედეგს მივიღებთ: საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორია რუსეთის ანექსიამდე 1921 წელს 90 კვადრატულ კილომეტრს[1] შეადგენდა, ე.ი. 21000 კვადრატული კილომეტრით მეტს, ვიდრე დღესა გვაქვს. 1921 წლის თებერვალში, მოახდინა რა საქართველოს ანექსია, ბოლშევიკურმა რუსეთმა და მისმა ბელადმა ლენინმა, არად მიიჩნიეს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული და ჰა[ი]-ჰარად გაასხვისეს ოდითგანვე მისი კუთვნილი ტერიტორიები:

1. ართვინის - 3330 კვადრატული კილომეტრი[2]
2. ფოცხოვის - 588 კვადრატული კილომეტრი
3. არტაანის - 5137 კვადრატული კილომეტრი
4. ოლთისის - 3051 კვადრატული კილომეტრი
5. ბორჩალოს - 3812 კვადრატული კილომეტრი
6. ზაქათალის - 3564 კვადრატული კილომეტრი ქართული მიწები. ხოლო სოჭი და მისი შემოგარენის ისეთი სიხარბით მიითვისა, თითქოს რუსეთს მიწის სივიწროვისაგან სული ეხუთებოდა.

საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარი დავით მუსხელიშვილი ერთ-ერთ თავის წერილში - „ვის ეკუთვნის საქართველოს მიწა?!" ქართველთათვის მეტად საინტერესო და ჭკუის სასწავლებელ დასკვნას აკეთებს: „ეროვნული სახელმწიფოებრივი ტერიტორია ისეთივე წმიდათაწმიდაა, როგორც ენა და ეროვნული კულტურის ყოველი გამოვლინება. ამდენად, ამ უკანასკნელთა მსგავსად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ხელყოფა შინაურისა თუ გარეულის მიერ ეროვნული დისკრიმინაციის დონეზე უნდა შეფასდეს." მართლაც რომ დიდებული მიგნება გახლავთ.

დღეისათვის, თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დროებით, „ვერაგი მტრისა" და ზოგიერთი შინაურის უნიათობის წყალობით, დარღვეულია, მისი მთლიანობის აღდგენისა და შენარჩუნების საქმეში მეტად დიდი პატრიოტული და მამულიშვილური როლის შესრულება შეუძლია ივანე ჯავახიშვილის წიგნს „საქართველოს საზღვრები."

ივანე ჯავახიშვილის წიგნი „საქართველოს საზღვრები" რუკებითურთ პირველად ქვეყნდება; რაც შეეხება ტექსტს, იგი პირველი გამოცემის მიხედვით უცვლელად იბეჭდება (შევიტანეთ მხოლოდ მცირეოდენი ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური ხასიათის შესწორებები), გასწორდა ბეჭდვისმიერი შეცდომები).

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის მადლობა მოვახსენოთ ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებას (თავმჯდომარე გიორგი გოგოლაშვილი) და საგამომცემლობა ფირმა „დეგი"-ს.

წყარო: ივანე. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები. გამოცემა მოამზადა, რედაქცია გაუკეთა და ბოლოსიტყვა დაურთო დურმიშხან ცინცაძემ. თბილისი, 1996. გვ. 45-47. თბილისი 1996 წლის ივნისი. ბოლოსიტყვაობა ნაშრომიდან.

[1] უნდა იყოს 90,000 [რედ.].

[2] დ. ცინცაძის სტატიაში „საქართველოს საზღვრები" (გაზეთი "ახალგაზრდა ივერიელი", 3 ივლისი, 1990, № 74, გვ. 6) მითითებულია 3339 კვ. კმ [რედ.].

საქართველოს საზღვრების დარაჯი[1]
ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისთავისათვის

დურმიშხან ცინცაძე

პირველი მსოფლიო ომი ოთხწლიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ, 1918 წლის ნოემბერში, ანტანტის სახელმწიფოების (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი) გამარჯვებით დამთავრდა. ომმა ევროპაში თავისთავად ხელი შეუწყო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნას. ამ სახელმწიფოებს უკვე პრეტენზიები გაუჩნდათ, ეღიარებინათ საერთაშორისო ასპარეზზე. ამ დროს საქართველოსაც თავისი მიზნები და ამოცანები ჰქონდა.

სამწუხაროდ, მაშინ, 1918 წლის 9 დეკემბერს[2], სომეხთა ჯარმა გადმოლახა საქართველოს საზღვარი ბორჩალოს მაზრაში და დაიწყო ომი ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის. ეს ომი სულ 16 დღეს გაგრძელდა და 25 დეკემბერს საომარი მოქმედებები შეწყდა. ბორჩალოს მაზრაში ნეიტრალური ზონა შეიქმნა. საბოლოოდ საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრების საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა. საფრანგეთში გასამგზავრებელ სამთავრობო დელეგატთა შორის დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის კანდიდატურაც იყო. დელეგაციის მეთაურის ნ. ჩხეიძისა და გრ. რცხილაძის დაჟინებითი მტკიცებით, ივანე ჯავახიშვილზე უკეთესი კანდიდატურა ქართველებს არ ჰყავდათ და მისი მონაწილეობა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე აუცილებელი იყო დიდი მოუცლელობის მიუხედავად, ივანე ჯავახიშვილი დათანხმდა მონაწილეობა მიეღო პარიზის კონფერენციის მუშაობაში და აქტიურად ჩაერთო მთავრობის მოსამზადებელ საქმიანობაში. ერთ-ერთ სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო საქართველოს პოზიციების ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტების დასაბუთება. იგი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებდა სამხრეთ საზღვარზე (ბორჩალო-ახალციხე-ახალქალაქის მაზრები), სომხეთთან ურთიერთობის საკითხზე და აგრეთვე სამაჰმადიანო საქართველოს პრობლემაზე.

ბატონმა ივანემ დაკვირვებებს თავი მოუყარა და შეკრა ერთ წიგნად – „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით“. წიგნი თბილისში 1919 წელს გამოქვეყნდა. ბოლოსიტყვაობაში ბატონი ივანე ჯავახიშვილი წერს: „ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა, რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროსს პროფ. გენ. ან. ბენაშვილს და ტოპოგრაფიულს განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ.“ (გვ. 43).

სინამდვილეში აღნიშნულ ნაშრომს რუკა არ ჰქონდა დართული.[3] მისი, ივანე ჯავახიშვილისეული „საქართველოს საზღვრების“ რუკით გამოცემა მონოგრაფიისა მე 1996 წელს შევძელი, მას შემდეგ, რაც მივაკვლიე ჯერ რუკის ფრანგულსა და შემდეგ ქართულ ვარიანტს.

მართალია, ივანე ჯავახიშვილი პარიზში არ წასულა, მაგრამ მისი უშუალო მონაწილეობით დაიწერა მემორანდუმი, რომელშიც ქვეყნის მოკლე ისტორია და საზღვრების საკითხიც იყო შესული. ეს მემორანდუმი, სხვა ოფიციალურ დოკუმენტებთან ერთად, 1919 წლის მარტში, საქართველოს დელეგაციამ პარიზში კონფერენციას წარუდგინა. ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, საქართველოს საკითხმა სათანადო ადგილი ვერ ჰპოვა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქვეყნის ისტორიულად ჩამოყალიბებული „მჭიდროდ შემოფარგლული საზღვრები“ გულისხმობს „ტომობრივ მოსახლეობის საზღვრებს“, ანუ ისტორიულად ქართველთა განსახლების ფარგლებს. ამრიგად, ნაშრომს აქვს არა მარტო მეცნიერული, არამედ წმინდა პოლიტიკური დანიშნულებაც - დაიცვას ქართველი ერის ინტერესები თუ უფლებები საერთაშორისო სამართლის პრინციპიდან გამომდინარე. ეს კი იმ პირობებში მეტად აქტიური იყო, რადგან რუსეთის იმპერიის დანგრევის შედეგად დღის წესრიგში იდგა

---

1 სტატიას თან ერთვის ივანე ჯავახიშვილის ფოტო [რედ.].

2 ამ ომის დაწყების თარიღი სხვადასხვა წყაროში სხვადასხვანაირად არის მიჩნეული [რედ.].

3 ამ საკითხთან დაკავშირებული კომენტარი იხილეთ ზემოთ - დ. ცინცაძის სხვა სტატიასთან [რედ.].

ამიერკავკასიის ქვეყნების სახელმწიფოებრივი მოწყობის და მათი სახელმწიფო საზღვრების დადგენის საკითხი, მით უმეტეს, რომ ამ საზღვრებზე დავა იყო ატეხილი და ძალის გამოყენებასაც ჰქონდა ადგილი.

ივანე ჯავახიშვილი როცა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარზე ლაპარაკობს, უშუალოდ ეხება აფხაზეთს და ხაზგასმით წერს: **„სრულიად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს სამზღვარზე აბხაზეთი იყო და ეხლაც იგივე კუთხე საზღვრავს საქართველოს რესპუბლიკას. ისტორიული ცნობების მიხედვით, მე-19 საუკუნეში ეს მოსაზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა. სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყებოდა. მოსამზღვრე ხაზად მდინარე ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა. ასე ჩრდილოეთით იმიტომ იყო სამზღვარი წაწეული, რომ მაშინ ჯიქეთი და ალანთა ქვეყანაც აბხაზეთს ეკუთვნოდა. თუ ჯიქნი აბხაზთა მოძმე ტომი იყო და მათი აბხაზეთთან ერთობა სრულებით ბუნებრივად უნდა მიჩნეული იქმნას, ალანთა შესახებ ამის თქმა არ შეიძლება.“**

1864 წელს რუსეთმა აფხაზეთი საბოლოოდ შეიერთა და მთავრის უფლებაც გააუქმა. აქედან დაწყებული ცარიზმი აფხაზეთში თავის სასურველ პოლიტიკას ატარებს. აი, რას წერს ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი:

„რუსეთის მთავრობა მთელს თავის პოლიტიკას შავი ზღვის ნაპირას ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით კი ქართველთა საწინააღმდეგოდ აწარმოებდა: ქართველებს აქ დასახლება და უძრავი ქონების შეძენა აკრძალული ჰქონდათ, რუსებს კი – განსაკუთრებით მოხელეებსა და სამხედრო პირებს, ჩალის ფასად აძლევდნენ ამ სამოთხესავით მშვენიერსა და ბუნებით დაჯილდოებულ მხარეს. მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წყალობით გაჩნდა ქართველების გვერდით სხვა ეროვნების ხალხიც.“

როგორ ჰგავს მაშინდელი აფხაზეთის პოლიტიკური სიტუაცია დღევანდელს.

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ოსეთი ერთმნიშვნელოვნად კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს და არავითარ „სამხრეთ ოსეთზე“ აქ ლაპარაკი არ არის, თუმც ასეთი ცნება უკვე არსებობდა რუსულ ოფიციალურ ნომენკლატურაშიც და ქართულ ლიტერატურაშიც (ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ და სხვა). პოლიტიკური თვალსაზრისით 1919 წლისთვის ეს საკითხი არ იდგა და მხოლოდ ბოლშევიკური აგრესიის შემდეგ იჩინა თავი, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ოსური სეპარატიზმის გაღვივების შედეგმა, რასაც 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა მოჰყვა.

წიგნის მე-5 თავში[1] ივანე ჯავახიშვილი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე მსჯელობს და განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში 1828 წელს სომეხთა ჩამოსახლების ისტორიას და მის შედეგს. აღნიშნავს, რომ **„დევნილი სომხები საქართველოში იხიზნებიან, ჩვენში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც თავიანთთვის თავშესაფარს.“** მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოში არასოდეს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა“, მათი ანტიქართული მოქმედება ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის დადების შემდეგ სომეხთა ეპისკოპოსები, მელიქები და სხვა წარჩინებულები უკეთ უშუალოდ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას ლამობდნენ, თანაც საქართველოში დაკავებული ტერიტორიების ჩათვლით. აი, რას წერს ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი: **„უეჭველია, ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო: საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის წყალობით, სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელი განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდნენ, მადლობის მაგიერ კი საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით, ჩვენში მიწა-წყლის მიღება სურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს.“**

როგორც დიდი მეცნიერი აღნიშნავს, ასეთი პოლიტიკით სომხებმა და რუსეთის ხელისუფლებამ სათანადო შედეგს მიაღწიეს: „სომხებმა მიწა მიიღეს, რუსებმა კი საქართველოში იდუმალი ქვეშევრდომები და თავიანთი ბატონების უერთგულესი წინამავალი რაზმი გაიჩინეს. ცოტა ქვევით ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, 1828 წლამდე ახალციხისა და ახალქა-

[1] აღნიშნული ნაშრომი ივ. ჯავახიშვილს დაყოფილი აქვს პარაგრაფების მიხედვით [რედ.].

ლაქის მაზრებში განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, ამ წლიდან ხდება მკვიდრ ქართველთა აყრა და გადასახლება თურქეთშიო. ამავე დროს, ოსმალეთიდგან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებითგან, იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა... რუსეთის მთავრობა მათ მფარველობდა და შეღავათებსაც აძლევდა. ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდნენ სომხები ჯავახეთში, ქართული კულტურის ამ ძველ კერაში“ - წერს ბატონი ივანე.

ახლა გავეცნოთ ივანე ჯავახიშვილის დამაჯერებელ პასუხს სომეხთა მოთხოვნების შესახებ. აი რას წერს მეცნიერი:

„სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდნენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულებით შემთხვევით ამ უძველესი დროითგან საქართველოს უცილობელს კუთხეში, ისინი უმრავლესობად იქცნენ და ამ გარემოებისდა მიუხედავად, მაინც ახალქალაქის მაზრაც სომხეთის მიწა-წყლად გამოაცხადეს“ (აქ ივანე ჯავახიშვილს დამოწმეული აქვს ა. შახატუნიანის[1] წიგნი - „ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციული გადანაწილება“ - რუსულ ენაზე): სომხებს სურდათ ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიისაგან, ანუ აღმოსავლეთ საქართველოსაგან გამოყოფა და დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეერთება და ამ გზით ერთი მთლიანი სომხური საერობო თვითმართველი ოლქის შექმნა. ამიერკავკასიაში, მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის იმედით სომხებმა მოითხოვეს ახალქალაქის მაზრის გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) შეერთება და თბილისის გუბერნიისაგან გამოყოფა. ამ საკითხის შემსწავლელმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 8 რუსი, 4 ქართველი და 2 სომეხი, დიდი ბჭობის შემდეგ, სომეხთა ამ მოთხოვნას უარი უთხრა. 1919 წლის[2] დე[კ]ემბერში მომხდარმა სომხეთ-საქართველოს ომმა დიდი მეცნიერის დაკვირვებით, ქართველობას გარკვეული სამსახურიც კი გაუწია გამოფხიზლების თვალსაზრისით.

დაბოლოს, ამ წერილს დიდი ივანე ჯავახიშვილის შესანიშნავი აზრით დავამთავრებ: **„ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა, თავისი[3] რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების[4] მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილმეზობლობას[5] დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათსაც[6] გადაარჩენს.“**

წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
5 აპრილი, 2006 წ., № 67 (5405), გვ. 7-8.

---

1 ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში მოიხსენიებს შაჰატუნიანს [რედ.].
2 უნდა იყოს: „1918 წლის“ [რედ.].
3 დედანში: „თავის“ [რედ.].
4 დედანში: „სამზღვრების“ [რედ.].
5 დედანში: „კეთილ მეზობლობას“ [რედ.].
6 დედანში: „ხიფათისაგან“ [რედ.].

კიდევ ერთხელ ივანე ჯავახიშვილის წიგნის „საქართველოს საზღვრების“ შესახებ (სიმართლე კი ასეთია)[1]

დურმიშხან ცინცაძე

90 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის მეტად საყურადღებო და საჭირო წიგნი „საქართველოს საზღვრები“ – ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული.“ სამწუხაროდ ამ წიგნს საბჭოთა ხელისუფლების დროს ტაბუ ჰქონდა დადებული და სამეცნიერო მიმოქცევაში ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა.

მკითხველმა ისიც უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება გარკვეული დროის მანძილზე ივანე ჯავახიშვილს კარგი თვალით არ უყურებდა. 1926 წლის ივანობისთვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს (აირჩიეს 1919 წლის 11 ღვინობისთვეს) და რექტორად დანიშნეს თევდორე ღლონტი (ეს იყო ბედის დაცინვა და ქართული მეცნიერების გაბიაბურება). 1931 წელს ივანე ჯავახიშვილი საერთოდ დაითხოვეს უნივერსიტეტიდან. ეს უბედურებებიც არ აკმარეს და 1936 წლის ზაფხულზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური დისკუსია მოაწყეს, რომელიც თითქოს ქართული საისტორიო მეცნიერების მდგომარეობის გასარკვევად ჩატარდა. სინამდვილეში კი მსჯელობის ძირითადი ობიექტი იყო იმდროინდელი ქართული საისტორიო მეცნიერული სკოლის მეგაირახტრის ივანე ჯავახიშვილის მსოფლ-მხედველობითი შეფასება.

ჩვენ ხელთაა საქართველოს საისტორიო საქმე (ფონდი 47ბ, საქმე 45, ფურცელი 1-333) – დისკუსიის სტენოგრაფიული ჩანაწერი. აი რას ამბობს დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე ივანე ჯავახიშვილის წიგნზე „საქართველოს საზღვრები“ და თვით ავტორზე: „წინამდებარე მონოგრაფია მხოლოდ საქართველოს საზღვრებს არკვევს ისტორიულად; თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში ან როგორ იცავდა ამ საზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში და რანაირად უნდა შემოისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები ამჟამად. მენშევიზმის ქურქში გამოხვეული პროფესორი ჯავახიშვილი ცდილობს საზღვრების დაცვისათვის ყველაფერი შეასრულოს, დათმოს საქართველოს მენშევიკური დამოუკიდებლობისათვის ყოველივე, მაგრამ ის არ ცდილობს ისე განაზოგადოს, ამით ფარდა ახადოს „მონურ“ სიბნელეს და მენშევიკურ ბუნებას, ერის პოლიტიკური უფლების საკითხი ჯავახიშვილისათვის საზღვრებია და არა მუშათა კლასის და გლეხობის ბრძოლა, ლენინური სტრატეგია და ტაქტიკა მათი განთავისუფლებისათვის. ბოროტად აგებული სტალინური დებულება ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ... პროფ. ჯავახიშვილმა ანტიმარქსისტული, ანტილენინური, ანტისტალინური დებულებებით გაჟღენთილი შრომები მოგვცა და მას შემდეგ არ უცდია ეღიარებინა მის მიერ დაშვებული ეს უდიდესი შეცდომები.“

ვფიქრობ, ამის შემდეგ საკვირველი არ უნდა იყოს, ივანე ჯავახიშვილმა არსად რომ არ აღნიშნა მისი წიგნისა და საქართველოს საზღვრების რუკის თავს გადამხდარი მწარე ამბავი. ამის შემდეგ საოცარია ისიც, თუ როგორ გადაურჩა ბატონი ივანე ჯავახიშვილი დაპატიმრებას.

გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ 2009 წლის 23-29 ნოემბრის ნომერში (№ 47)[2] გამოაქვეყნა წერილი ასეთი ანშლაგით: „ასავალ-დასავალი“ წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის ზე-აკრძალულ ნაშრომს საქართველოს საზღვრების შესახებ. გაზეთის 2, 4, 6, 8, 10, 12 გვერდებზე დაბეჭდილია „საქართველოს საზღვრების“ ტექსტის ერთი ნაწილი. დასასრული იქნება შემდეგ ნომერში.“

---

[1] სტატიას თან ერთვის დ. ცინცაძის რედაქტორობით დაბეჭდილი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის „საქართველოს საზღვრები“ ქართული და რუსული გამოცემების თავფურცლები [რედ.].

[2] გაზეთ „ასავალ-დასავალში“ დაბეჭდილ ივ. ჯავახიშვილის ამ მონოგრაფიას თან ერთვის „საქართველოს საზღვრების რუკა“ [რედ.].

დიდ ბოდიშს ვუხდი ყველას, მაგრამ ამ ტექსტისა და რუკის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მაქვს შენიშვნა, რაც მკითხველმა აუცილებლად უნდა იცოდეს და ის აუცილებლად უნდა წამძღვარებოდა აღნიშნულ ტექსტს. გაზეთში გამოქვეყნებული მასალიდან ისე გამოდის, რომ ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა მე-12 ტომის გამოცემამდე - 1998 წლამდე - მისი ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ სამეცნიერო მიმოქცევაში არ ყოფილა და ქართველ მკითხველს არ სცოდნია იგი. მართალი გითხრათ, როდესაც გაზეთში პუბლიკაციის შესავალი წავიკითხე, სახტად დავრჩი. დიდი მეცნიერის თხზულებათა XII ტომში „საქართველოს საზღვრების“ ისტორიული რუკების გამოქვეყნებაში წვლილი მეც მიმიძღვის, რაც წიგნის 497-ე გვერდზე არის კიდეც აღნიშნული, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ. როგორც ვთქვი, XII ტომი 1998 წელს გამოიცა. ორი წლით ადრე, **1996 წელს, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებით. „საქართველოს საზღვრები“ წიგნად გამოვეცი (საკუთარი ხარჯით) 2000 ეგზემპლარი, ჩემს მიერ მიგნებული ბატონ ივანეს მიერ ქართულ და ფრანგულ ენაზე შესრულებული რუკებით.**

რუკის ფრანგული ვარიანტი აღმოვაჩინე არქეოლოგ გაიოზ ჯავახიშვილის ოჯახში, სადაც დაცული იყო ყიფიანების გვარის მდიდარ არქივში (დღეს ამ არქივის ერთი ნაწილი ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი ისტორიის განყოფილების ფონდში, მეორე ნაწილი - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში), რუკის ქართულ ვარიანტს მივაგენი თბილისში, ერთ-ერთ ძირძველ ქართულ ოჯახში. ჯერჯერობით მხოლოდ ეს ერთადერთი რუკაა მიგნებული.[1]

ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრები“ ჩემს მეირ ცალკე წიგნად გამოცემასთან დაკავშირებით 1996 წელს, გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაბეჭდა ვილენ მარდალეიშვილის ვრცელი წერილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო წიგნის პრეზენტაცია, რომელსაც უძღვებოდა აწ განსვენებული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანდრია აფაქიძე. სასაზღვრო ჯარების მაშინდელმა უფროსმა გენერალმა ჩხეიძემ 200 ცალი წიგნი წაიღო თავისი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისთვის. წიგნის გამოცემა მაღალ დონეზე შეაფასეს პროფესორებმა დავით გეგეშიძემ, ლევან ფრუიძემ და თენგიზ ჩხეიძემ. გაზეთ „ახალგაზრდა ევრიეელში“ (რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილისეული „საქართველოს საზღვრების“ ორივე რუკა და წერილი წიგნის შესახებ.

მე შეგნებული მქონდა ამ წიგნის მეტად დიდი მნიშვნელობა ჩვენი ისტორიისთვის. ამიტომ გადავწყვიტე მისი რუსულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. ეს მისია ჩემი თხოვნით შეასრულა აწ გარდაცვლილმა ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა ედიშერ ხოშტარია-ბროსემ. წიგნი რუსულ ენაზე უსახსრობის გამო მხოლოდ 200 ეგზემპლარით გამოვეცი.

ამ ტექსტის გამოქვეყნება „ასავალ-დასავალს“ რატომღაც სენსაციად მიაჩნია და თავი ამ საქმეში პირველი ჰგონია. არადა, ეს ასე არ არის. რამდენიმე წლის წინათ, ქვეყანაში დიდი არეულობა რომ სუფევდა, გაზეთმა „შანსმა“ დაბეჭდა ივანე ჯავახიშვილის ამ წიგნის სრული ტექტი. ძალიან კარგად მახსოვს როგორ გადადიოდა გაზეთის ეს ნომრები ხელიდან ხელში. მაშინ გაზეთ „შანსის“ რედაქტორი ბონდო ქურდაძე იყო.

წიგნის რუსულ ენაზე დიდი ტირაჟით გამოცემა აუცილებელია, მაგრამ მე ეს ვერაფრით ვერ მოვახერხე. სხვათა შორის, ადრინდელ პარლამენტში ცნობილი ფეხბურთელის ვლადიმერ გუცაევის საშუალებით მივიტანე „საზღვრები“ ქართულ და რუსულ ენაზე, მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო. კომიტეტთა თავმჯდომარეების ნოდარ გრიგალაშვილისა და ბესარიონ ჯუღელის დაპირება ქარმა წარიტაცა.

ახლა კიდევ ორიოდე სიტყვა რუკების შესახებ. ივანე ჯავახიშვილისეული საქართველოს ისტორიული რუკის ფრანგული ვარიანტი 1919 წელს პარიზშია გამოცემული და თან ერთვის ანდრეი იბელსის მცირე მოცულობის წიგნს „გავათავისუფლოთ საქართველო“.

---

[1] რუკის ფრანგული ვარიანტი გამოქვეყნებულია რამდენიმეჯერ. ეს გამოცემები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში [რედ.].

ბატონი ივანე ჯავახიშვილი თავისი წიგნის ბოლოსიტყვაობაში წერს: „**ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა, რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროსს პროფ. გენ. ან. ბენაშვილს და ტოპოგრაფიულს განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ.**“ სინამდვილეში ამ წიგნს რუკა არ ერთვოდა და არც შეიძლება დართვოდა[1]. დახედეთ რუკაზე მე-9 პირობით ნიშანს და ყველაფერი ნათელი გახდება. იქ წერია „საქართველოს საზღვრები რუსეთთან ხელშეკრულების დადების დროს.“ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1920 წლის 7 მაისს, ივანე ჯავახიშვილის ეს წიგნი კი გამოიცა 1919 წელს, ფაქტობრივად რუკის გარეშე, ხოლო რუკის ქართული ვარიანტი გამოცემულია 1920 წლის მაისის შემდეგ, რასაც რუკაზე არსებული პირობითი ნიშანიც გვიდასტურებს.

ასეთია მოკლედ ამ მცირე მოცულობის დიდად საჭირო წიგნის ისტორია.

წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
28 ნოემბერი, 2009 წ., № 240 (6340), გვ. 5.

[1] ამ საკითხთან დაკავშირებული კომენტარი იხილეთ ზემოთ – დ. ცინცაძის სხვა სტატიასთან [რედ.].

ივანე ჯავახიშვილის რუკა

კობა ხარაძე

1918 წლის 26 მაისს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და საჭირო გახდა მისი საზღვრების აღდგენა-დაზუსტება. ამასთან დაკავშირებით დიდმა ერისკაცმა ივანე ჯავახიშვილმა 1919 წელს დაბეჭდა მონოგრაფია „საქართველოს საზღვრები“ და შეადგინა „საქართველოს საზღვრების რუკა“, რომელიც მო[გვ]იანებით, 1920 წელს დაიბეჭდა. მონოგრაფია რუკასთან ერთად ხელახლა დაიბეჭდა 1996 წელს. წიგნი გამოსცა ბ. ჯორბენაძის საზოგადოებამ. გამოცემა მოამზადა, რედაქცია გაუკეთა და ბოლოსიტყვა დაურთო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დურმიშხან ცინცაძემ. იგი წერს: „თუ ავამეტყველებთ ივანე ჯავახიშვილისეულ უტყუარ დოკუმენტს „საქართველოს საზღვრების რუკას“, დღეს ასეთ სავალალო შედეგს მივიღებთ. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორია რუსეთის ანექსიამდე 1921 წელს 90000 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა. ე.ი. 21000 კვადრატული კილო[მ]ეტრით მეტს, ვიდრე დღესა გვაქვს. 1921 წლის თებერვალში, როცა მოახდინა საქართველოს ანექსია, ბოლშევიკურმა რუსეთმა და მისმა ბელადმა ლენინმა, არად მიიჩნიეს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული და ჰაიჰარად გაასხვისეს ოდითგანვე მისი კუთვნილი ტერიტორიები:

1. ართვინის - 3330 კვადრატული კილომეტრი, 2. ფოცხოვის - 588 კვადრატული კილომეტრი, 3. არტაანის - 5137 კვადრატული კილომეტრი, 4. ოლთისის - 3052 კვადრატული კილომეტრი, 5. ბორჩალოს - 3812 კვადრატული კილომეტრი, 6. ზაქათალის - 3564 კვადრატული კილომეტრიც ქართული მიწები, ხოლო სოჭი და მისი შემოგარენი ისეთი სიხარბით მიითვისეს, თითქოს რუსეთს სივიწროვისგან სული ეხუთებოდა.“

აქვე გთავაზობთ გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის კობა ხარაძის რამდენიმე მოსაზრებას ამ მონოგრაფიისა და რუკის შესახებ:

„ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს მჭიდროდ შემოფარგლული საზღვრები ისე, როგორც ისტორიული და პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „სახელმწიფოებრივს ერთეულს თავისი აუცილებელი მოთხოვნილება და არსებობის პირობები აქვს, რომელთა შორის საპატიო ადგილი საზღვრებს უჭირავს.“

მონოგრაფიაში საქართველოს ყველა მხარის საზღვარი ბუნებრივ მიჯნებთან მიმართებაში დეტალურად არის განხილული და აღწერილი ძველი ქართული და უცხოური წყაროებისა (მათ შორის კარტოგრაფიული) და თანამედროვე ტოპოგრაფიის მიხედვით. ამასთან მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობა განხილულია საზღვრებთან მიმართებაში, ცხადია, დღევანდელი საზღვრების გარეთაც.

მონოგრაფიაში სასაზღვრო ხაზი უბრალოდ აღწერილი კი არ არის, არამედ განსაზღვრულია საზღვრისპირა მხარეების ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსათვის; პერიოდების მიხედვით განხილულია ქართველი და არაქართველი მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები და მიგრაციული პროცესები. ამ პროცესების პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგები.

ივანე ჯავახიშვილმა ქართველ ერს ნათლად დაანახა, რა საზღვრები ჰქონდა საქართველოს და როგორი თავგამოდებით იცავდა მათ ჩვენი ერი საუკუნეთა განმავლობაში. ამ საზღვრებში მოქცეული მიწა-წყალი და მოსახლეობა მთლიანი ერთეულია, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც არის შემოფარგლული. ამ საუკუნის დამდეგს დიდი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავისი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილმეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველს ერსაც ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათისაგან გადაარჩენს...“

მონოგრაფიის დიდი ღირსებაა კარტოგრაფიული გამოსახულება, რომელზეც თვალნათლივაა ასახული საქართველოს ეპოქალური საზღვრები. მცირე მასშტაბის რუკაზე მთელი სიზუსტითაა გადატანილი დეტალები, რომლებზეც მონოგრაფიაშია საუბარი. საქმის დიდი ცოდნითა და ღრმა კვლევის შედეგად დატანილია საქართველოს სხვადასხვა პერიოდის საზღვრები ქრონოლოგიური ზღვრების მიხედვით“.

წყარო: ჟურნალი „ციცინათელა“ 1997, № 18. გვ. 4-5.

სტატიას თან ერთვის ივ. ჯავახიშვილის ფოტო და მის მიერ შედგენილი „საქართველოს საზღვრების რუკა“, 1919 წელი.

ივანე ჯავახიშვილის „მოხსენება თანამედროვე მომენტზე“ ივანე ჯავახიშვილის 1919 წლის აპრილში წაკითხული საჯარო ლექციის შესახებ

(ფრაგმენტი)

მალხაზ მაცაბერიძე

1919 წლის 27-28 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეკრებილი პროფესურის და სტუდენტების წინაშე ბ-ნი ივანე ჯავახიშვილი ერთი შეხედვით მისთვის უჩვეულო მოხსენებით წარსდგა. ღვაწლმოსილი ისტორიკოსი თავის საჯარო ლექციაზე „თანამედროვე მომენტს“ აანალიზებდა, როგორც პარიზში დაწყებულ საზავო კონფერენციაზე საქართველოს მიერ წარგზავნილი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი.

პარიზის საზავო კონფერენციისათვის მზადებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოში. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებს მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის უნდა ჩაეყარათ საფუძველი და მათ მი[ე]რ მიღებულ გადაწყვეტილებებზე საქართველოს ბედიც იყო დამოკიდებული. „სულ ახლო მომავალში პარიზში მოწვეული იქნება მსოფლიო სამშვიდობო კონგრესი, რომელზედაც, სხვათა შორის, საბოლოოდ გადაწყდება აღდგენილ, თუ ახლად წარმოშობილ სახელმწიფოთა ბედი. ყველანი გაფაციცებით ემზადებიან საერთაშორისო მაღალ კრებულისათვის, რომ კულტურულ კაცობრიობას თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი საჭიროებანი წარუდგინონ“, - 1919 წლის დასაწყისში წერდა გაზეთი „საქართველო“.

პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს პოზიციების გასაძლიერებლად საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ დააჩქარა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელიც 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა, დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა კი 12 მარტს შედგა. დამფუძნებელი კრების შეკრების თაობაზე საგანგებოდ ეცნობა პარიზში ჩასულ საქართველოს დელეგაციის წევრებს - კარლო ჩხეიძეს და ირაკლი წერეთელს. კარლო ჩხეიძე, რომელიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იყო, დაუსწრებლად აირჩიეს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის პოსტზეც.

პარიზში გაგზავნილ საქართველოს დელეგაციას გზაში მნიშვნელოვანი სირთულეების დაძლევა მოუხდა. 1919 წლის 9 იანვარს საქართველოს 12-კაციანი დელეგაცია თბილისიდან ბათუმისკენ გაემგზავრა, საიდანაც პარიზში უნდა ჩასულიყვნენ. დელეგაციის შემადგენლობაში, საქართველოს მთავრობის თხოვნით, ივ. ჯავახიშვილიც შედიოდა. თუმცა მას უმჯობესად მიაჩნდა უნივერსიტეტში დარჩენა. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტისგან დროებით მოწყვეტას უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტებიც განიცდიდნენ.

საზავო კონფერენციაზე მიმავალი დელეგაცია ბათუმში 11 იანვარს ჩავიდა და ერთკვირიანი ლოდინის შემდეგ 17 იანვარს სტამბოლისკენ მოახერხა გამგზავრება. იქ დელეგაცია დიდი ხნით გააჩერეს და პარიზისკენ გამგზავრების საშუალება არ მისცეს. ამ ინფორმაციამ საქართველოში უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. არასოციალისტურ პრესაში გაჩნდა ვერსია, რომ მოკავშირეებს დელეგაციის „სოციალისტური“ შემადგენლობა არ მოსწონდათ და ამიტომ შეაფერხეს სტამბოლიდან მისი გამგზავრება. ცხადია, დელეგაციის შეფერხების ამგვარი ინტერპრეტაცია სოციალისტური მიმართულების გაზეთების აღშფოთებას იწვევდა.

საბოლოოდ, საქართველოს დელეგაციის მხოლოდ ორ წევრს - კარლო ჩხეიძეს და ირაკლი წერეთელს მიეცა პარიზში ჩასვლის უფლება. სტამბოლში დარჩენილი დელეგაციის დანარჩენი წევრების დიდი ნაწილი კი, მათ შორის ივ. ჯავახიშვილი უკან გამობრუნდნენ და 2 აპრილს თბილისში ჩამოვიდნენ. „პროფ. ი. ჯავახიშვილი დაბრუნდა სტამბოლიდან და შეუდგება ამ მოკლე ხანში ლექციების კითხვას“, - წერდა ამასთან დაკავშირებით „სახალხო საქმე“.

ივ. ჯავახიშვილმა ჯერ ბათუმში, შემდეგ კი სტამბოლში ყოფნა გამოიყენა იმ საკითხებზე ნაშრომების შესაქმნელად, რომლებიც მისი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელი ქართული პოლიტიკისათვის. ეს ნაშრომებია: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, რომელიც დაწერა 1919 წლის იანვარ-მარტში ბათუმსა და კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს და „დამოკიდებულება

რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII(?) საუკუნეში“, რომელიც 1919 წლის თებერვალ-მარტში კონსტანტინეპოლში დაწერა. ნაშრომების დაწერის ადგილი და დრო თავად ივ. ჯავახიშვილის მიერაა აღნიშნული. ორივე ნაშრომი 1919 წელს თბილისში დაიბეჭდა.

თბილისში დაბრუნებულ ივანე ჯავახიშვილს, როგორც ჩანს, სტუდენტებმა და პროფესურამ სთხოვა ინფორმაციის მიწოდება საზავო კონფერენციაზე წარგზავნილი დელეგაციის საქმიანობის, საერთაშორისო ვითარების, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამკვიდრების პრობლემებისა და პერსპექტივების შესახებ.

ივანე ჯავახიშვილი ჩვეული პასუხისმგებლობით და მეცნიერული კეთილსინდისიერებით მოეკიდა ამ თხოვნას და 1919 წლის 27-28 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა ვრცელი მოხსენება „თანამედროვე მომენტის“ შესახებ. როგორც იმდროინდელ პრესაში აღინიშნა „მოხსენებას თითქმის მთელი სტუდენტობა და პროფესურა დაესწრო“. ამ ლექციის ვრცელი ანგარიში გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს“ რამდენიმე ნომერში (1919 წლის 4, 7 და 8 მაისი) სათაურით: „პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე.“

ივ. ჯავახიშვილის ლექციის ტექსტი იბეჭდება აღნიშნული საგაზეთო პუბლიკაციის მიხედვით. ჩასწორდა მხოლოდ რამდენიმე კორექტურული შეცდომა. ტექსტის უკეთ აღქმის მიზნით კი გამოყოფილია ქვესათაურები, ლექციის შესაბამისი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე.[1]

1919 წლის გაზაფხულზე, როდესაც ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტში საჯარო ლექციას კითხულობდა, მიმდინარე მომენტის მთავარი საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება და საერთაშორისო აღიარების მიღწევა იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ 11 თვე იყო გასული. ამ დროისათვის საქართველოს მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა გერმანია, საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი ქვეყანა. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაში ახალი საფრთხეები გაჩნდა. საჭირო იყო ურთიერთობის მოწესრიგება გამარჯვებული ანტანტის ქვეყნებთან. ეს კი, როგორც ივ. ჯავახიშვილის მოხსენებიდანაც ჩანს, იოლ საქმეს არ წარმოადგენდა. სიმშვიდე არ იყო საქართველოს საზღვრებზე, რომელთა მიმართაც მეზობლები სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებდნენ.

ივ. ჯავახიშვილი როგორც ექსპერტი, საქართველოს ხელისუფლებას პირველ რიგში სწორედ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების თაობაზე მოსალოდნელ დავასთან დაკავშირებით სჭირდებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში ყოფნისას საქართველოს საზღვრების შესახებ დაწერილ ნაშრომში ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რომლებიც ამოსავალი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისათვის ამ საკითხის გადაწყვეტისას:

- საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული, მკაფიოდ გამიჯნული საზღვრები აქვს და ამ საზღვრებში საქართველოს სახელმწიფოს გაუადვილდება თავდაცვა;
- საზღვრების საკითხში საქართველოს მთავრობა სახელმწიფოებრივი ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდეს;
- მეზობლებთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საზღვრების საკითხში შეიძლება გარკვეულ დათმობებზე წასვლა, ოღონდ ისე, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესები არ დაზარალდეს.

ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების სიმრავლის მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის უმთავრეს საფრთხეს სულ სხვა რამეში ხედავს, რაშიც მას ადვილად არ დაეთანხმებოდნენ არა მხოლოდ იმდროინდელი ქართული პოლიტიკის მესვეურები, არამედ პოლიტიკური სპექტრის და მთლიანად საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი. ივანე ჯავახიშვილის აზრით, მთავარი საფრთხე საქართველოსთვის თავად „ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა“ იყო.

ისტორიის გაკვეთილები მიმდინარე პოლიტიკისათვის

ივანე ჯავახიშვილი თავის მოხსენებას ვრცელი ისტორიული მიმოხილვით იწყებს და ეს არ იყო ცნობილი ისტორიკოსის მიერ თავისი პროფესიისათვის უბრალო ხარკის მოხდა.

ჯერ ერთი, 1918-1921 წლების საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმის ჩვენებას, თუ როგორ დაარღვია რუსეთის იმპერიამ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და

[1] აღნიშნული ტექსტი დაიბეჭდება ალმანახის მომდევნო ტომში სხვა მასალებთან ერთად. (რედ.)

დაიპყრო საქართველო. ამით იქმნებოდა ისტორიული არგუმენტები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დასასაბუთებლად.

ივანე ჯავახიშვილს წარსულის გახსენება უფრო სხვა რამისთვის სჭირდება. მასში ხედავს ისტორიის გაკვეთილებს მიმდინარე პოლიტიკისათვის. „საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე მოვალეა თავის ქვეყნის წარსული იცოდეს, განსაკუთრებით ისეთი ხანა, როგორიც XVIII საუკუნეა. აწინდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისათვისაც ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს", – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში".

მაინც რა მიაჩნდა ივანე ჯავახიშვილს საქართველოს წარსულიდან „საგულისხმო და გამაფრთხილებელი" მიმდინარე პოლიტიკისათვის? ივანე ჯავახიშვილი აანალიზებდა თუ რამ განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევა და მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია. ის ასახელებდა ერთადერთ მიზეზს - „ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა" ევროპელებთან და, კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში. „ჩვენ წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას გაუწევს მცირე ქრისტიან ერს და ძლიერი ერის პოლიტიკაში ვერაგობას ადგილი არ ექნებოდა", - აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ივანე ჯავახიშვილის მოკლე ისტორიული ექსკურსი მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიაში აჩვენებს, თუ რა კატასტროფული შედეგები მოუტანა საქართველოს ვახტანგ VI და ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მიმართ გატარებულმა ამგვარმა გულუბრყვილო პოლიტიკამ. ლექციის დასაწყისშივე ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა მთავარი დასკვნა, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა ისტორიული მიმოხილვიდან: „თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსთვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსთვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო".

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართველ პოლიტიკოსთა მიერ დაშვებულმა საბედისწერო შეცდომებმა განაპირობა ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წარმატება. „ქართულ პოლიტიკის გულუბრყვილობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკუპაციამდე", - აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი.

დამოუკიდებლობის აღდგენა და „გულუბრყვილო პოლიტიკის" ახალი სახე

ივ. ჯავახიშვილს განსაკუთრებით შემაშფოთებლად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც ძველმა საბედისწერო სენმა კვლავ თავი იჩინა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. „ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა", - ასეთ შეფასებას აძლევდა ახალი თაობის ქართველ პოლიტიკოსთა აზროვნებას და მოქმედებას ივანე ჯავახიშვილი.

ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა გამოვლინდა იმაში, რომ „რუსეთს ყველაზე გვიან საქართველო ჩამოშორდა", რადგანაც „ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა". მაგრამ ივანე ჯავახიშვილს ეს არ მიაჩნია დიდ შეცდომად და აღნიშნავდა, რომ „პირველი ნაბიჯი საქართველოს გასანთავისუფლებლად გადიდგა თავის დროზედ და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია".

ივ. ჯავახიშვილს „გულუბრყვილო პოლიტიკის" გაგრძელებად მიაჩნია ქართველ პოლიტიკოსთა ნდობა ანტანტის წარმომადგენელთა განცხადებებისა და დაპირებებისადმი. პარიზის კონფერენციაზე მიმავალი საქართველოს დელეგაცია მშვიდად შეხვდა იმ ფაქტს, რომ სომხეთის დელეგაცია მოკავშირეებმა ბათუმში ჩამოსვლისთანავე გააგზავნეს პარიზისაკენ, საქართველოს დელეგაციას კი ერთი კვირა აცდევინეს - თქვენთვის სპეციალურად ჩამოვა გემიო. „ზოგიერთ ჩვენ დელეგაციის წევრებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მოკავშირენი გულწრფელნი იყვნენ გემის დაგვიანების მიზეზების ახსნაში. აქაც სჩანდა ჩვენი გულუბრყვილო პოლიტიკოსობა", - ირონიულად შენიშნავდა ივ.ჯავახიშვილი.

იმდროინდელი ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა, რიგ შემთხვევებში, გამომდინარეობდა პარტიული იდეოლოგიიდანაც. სოციალისტური პარტიები დიდ იმედს ამყარებდნენ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის წარმატებაზე. ივ. ჯავახიშვილს უხდებოდა იმ

დელეგაციაში ყოფნა, რომლის წევრების დიდი ნაწილიც რევოლუციური მოლოდინებით იყო გამსჭვალულნი და ამ პოზიციიდან აღიქვამდა მოვლენათა განვითარებას. იყო მოლოდინი იმისა, რომ „ევროპის დიდ ომს უნდა მოჰყოლოდა დიდი გარდაქმნა“.

ივ. ჯავახიშვილმა ლექცია „მიმდინარე მომენტის“ შესახებ წაუკითხა უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელთა დიდი ნაწილიც პოლიტიკაში იყო ჩართული და თუ სტუდენტური გამგეობის შემადგენლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მნიშვნელოვანწილად სოციალისტურად განწყობილი. სწორედ იმ სტუდენტების სახელით, რომლებიც ივ.ჯავახიშვილის ლექციას უსმენდნენ, დამფუძნებელი კრებისათვის გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამი იყო: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ესალმება ქართველ ერის სუვერენობის დამადასტურებელ საქართველოს დამფუძნებელ კრებას და გამოსთქვამს სურვილს, რომ კაპიტალიზმის რღვევის ხანაში საქართველოს სოციალლისტური წარმომადგენლობა გაბედულად ამოუდგეს გვერდში მებრძოლ სოციალისტურ დემოკრატიას და ცხოვრების ბურჟუაზიული საფუძვლები შესცვალოს სოციალისტური საფუძვლებით, რაც საქართველოს მიანიჭებს იმ შრომის სუფევას, რისთვისაც სისხლიდან იცლება მოწინავე ევროპა“. როგორც ვხედავთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საქართველოს დამფუძნებელ კრებას უსურვებენ არა საქართველოს სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მუშაობას, არამედ აქტიურ მონაწილეობას მსოფლიოს სოციალისტურად გარდაქმნაში.

ივ. ჯავახიშვილი მოუწოდებდა ქართულ პოლიტიკაში გულუბრყვილობის დაძლევისაკენ. ქართული პოლიტიკისათვის არაფერი შეიცვლებოდა უკეთესობისაკენ, თუკი ერთმორწმუნეობით განპირობებულ გულუბრყვილობას ჩაანაცვლებდა გარკვეული იდეოლოგიით განპირობებული პოლიტიკური გულუბრყვილობა. „ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დავრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა“, - ივანე ჯავახიშვილის ეს გაფრთხილება, სამწუხაროდ, სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული.

1919 წლის აპრილი: საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი

საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წლის გაზაფხულზე საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობის შეფასება. 1919 წლის აპრილის ბოლოს, როდესაც ივანე ჯავახიშვილი ლექციას კითხულობდა, ქართული გაზეთები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე მოპოვებული წარმატებების შესახებ იუწყებოდნენ – ქართულმა ჯარებმა გაგრა და არტაანი დაიკავეს. ეს ფაქტი, ცხადია, გავლენას ახდენდა ვითარების შეფასებაზე. „საქართველოსთვის იმისთანა პირობებია, რომ მის დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის“, – ასეთია ბ-ნი ივანეს დასკვნა. საქართველოს მეზობლად აღარ ჩანდნენ ქვეყნები, რომლებიც ისტორიულად სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდნენ ხოლმე საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ირანი დასუსტებული იყო და დიდი ხანია აღარ ერეოდა კავკასიის პოლიტიკაში, ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და მას ანტანტის ქვეყნები ინაწილებდნენ, რუსეთი რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული და საქართველოსთვის არ ეცალა. თუნდაც რომ მომხდარიყო რუსეთის გაძლიერება, ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ომში გამარჯვებული ბრიტანეთი აღარ დაუშვებდა რუსეთის ხელახალ შემოსვლას სამხრეთ კავკასიაში. „ინგლისს ძალიან ეშინიან, რომ კვლავ მოღონიერებულმა რუსეთმა ინდოეთისკენ არ გაიწიოს, ამისთვის მის ინტერესს შეადგენს რუსეთის ბატონობა კავკასიონის ქედს აქეთ არა სცილდებოდეს”, - აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

თუმცა, ერთი შეხედვით ეს მყარი არგუმენტი სულ მალე გაბათილდა. 1919 წლის მაისის პირველ რიცხვებში ცნობილი გახდა, რომ დიდი ბრიტანეთის ჯარები საქართველოს ტერიტორიას დატოვებდნენ და მათ იტალიელები ჩაენაცვლებოდნენ. მოვლენები ისე განვითარდა, რომ იტალიელები კავკასიაში არ გამოჩენილან და საერთოდ, ევროპის ქვეყნებმა დასტოვეს ეს რეგიონი.

იმდროინდელ ვითარებაში ივ. ჯავახიშვილს მართებულად მიაჩნია საქართველოს მიერ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით გამოცხადებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გაგრძელება. რას ნიშნავდა „ნეიტრალიტეტი“ საქართველოს სინამდვილეში? ეს იყო ლავირება დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის, რომლებიც მოცემულ მომენტში კავკასიის რეგიონში მოქმედებდნენ და ამის მეშვეობით უნდა მომხდარიყო ეროვნული ინტერესების დაცვა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. რადგანაც 1919 წლის გაზაფხულზე საქართველოს აღარ ემუქრებოდა დიდი დამპყრობელი, ივ. ჯავახიშვილის

აზრით, „საქართველოსთვის საჭირო არ არის ვისიმე პროტექტორატი. ბედი ცვალებადია, სხვისი მფარველობა კი ჩვენ მოგვადუნებს. საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს“. მას კარგად ესმოდა ისიც, რომ საქართველოს შეიძლება მოუწიოს სამხედრო თავდასხმის მოგერიება რომელიმე მცირე მეზობლის ან რუსეთის სამოქალაქო ომში მონაწილე რომელიმე ძალის მხრიდან, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, საქართველოს შეუძლია თავისი ძალებით ასეთი თავდასხმების მოგერიება. „საჭიროა მხოლოდ რომ საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შეეჩვიოს იმ აზრს, რომ საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს და თავისი ძალღონით მას შეუძლია შემუსროს გარედან შემოსეული მტერი“, - აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, თუმცა ამისათვის საქართველოს სათანადო ყურადღება უნდა მიექცია სამხედრო საქმის ორგანიზებისათვის.

„ჩვენი სამშობლოსათვის საზრუნავია, რომ მან განამტკიცოს თავის დამოუკიდებლობა, დაემყაროს მხოლოდ თავის ძალებს, დარჩეს კვალად ნეიტრალური ამ მსოფლიო ომში და სახელმწიფოთ ფეხის ხმას არ აჰყვეს“, - ამ სიტყვებით მთავრდება ივ. ჯავახიშვილის საჯარო ლექცია „მიმდინარე მომენტის“ შესახებ.

ივ. ჯავახიშვილის დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე არ ემუქრებოდა, რა თქმა უნდა, სწორი იყო 1919 წლის დასაწყისში არსებული ვითარებისათვის, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გეოპოლიტიკური სიტუაცია საქართველოს საზიანოდ შეცვალა. ანტანტის ქვეყნებმა სამხრეთ კავკასია დატოვეს, დამოუკიდებელი საქართველო კი საბოლოო ჯამში მარტო აღმოჩნდა საბჭოთა რუსეთისა და ათათურქის მიერ აღორძინებულ თურქეთის სახელმწიფოს პირისპირ. ყოველივე ამის განჭვრეტა 1919 წლის გაზაფხულზე შეუძლებელი იყო. მაგრამ ეს არაფერს ცვლის ივ. ჯავახიშვილის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ პრინციპულ დებულებებში, იმის თაობაზე, თუ რას უნდა ემყარებოდეს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა: ქართულ აზროვნებაში საგარეო პოლიტიკისადმი „გულუბრყვილო“ მიდგომის აღმოფხვრა და საკუთარ ძალებზე დაყრდნობა.

დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა 1921 წელს მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბჭოთა რუსეთის მიმართ გატარებულმა „გულუბრყვილო“ საგარეო პოლიტიკამაც. საქართველოს ხელისუფლებაში დიდ იმედს ამყარებდნენ რუსეთთან დადებულ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე და მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც საბჭოთა რუსეთის კარგად მომზადებული თავდასხმა 1921 წლის თებერვალში, ისე ქემალისტური თურქეთის მიერ სამხრეთ საქართველოს და ბათუმის ოლქის მიტაცების მცდელობა.

ივანე ჯავახიშვილის მიერ 1919 წლის აპრილის ბოლოს წაკითხული მოხსენებაში მოცემული ანალიზი აქტუალობას დღესაც არ კარგავს. საქართველოს მიმართ აგრესიული პოლიტიკისაგან რუსეთი არ გათავისუფლებულა და, მით უმეტეს, საქართველომ უნდა დასძლიოს რუსეთისადმი „გულუბრყვილო“ მიდგომის ახალი მცდელობები. პრინციპში იგივე ითქმის სხვა სახელმწიფოთა მიმართაც. ყველა მოქმედებს თავისი ინტერესების შესაბამისად და „უანგარო მხარდაჭერის“ იმედად ყოფნა არ შეიძლება. თუმცა აუცილებელია ინტერესთა თანხვედრის ძიება და ამ ყველაფრისათვის ამოსავალი უნდა იყოს, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „თავის თავსა და თავის ძალღონეზე დაყრდნობა“.

წყარო: ივანე ჯავახიშვილი, მოხსენება თანამედროვე მომენტზე. 1919 წლის 27-28 აპრილი, საგაზეთო ანგარიში, მ. მაცაბერიძის წინასიტყვით. თბ., 2014 წ.

ივანე ჯავახიშვილის ორი ლექცია საქართველოს სამხრეთი საზღვრის შესახებ (1918 წლის 18 და 22 დეკემბერი)

მალხაზ მაცაბერიძე

შესავალი

1918 წლის ბოლო უაღრესად რთული აღმოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში. ერთი მხრივ, პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხება მნიშვნელოვანი შეღავათი იყო საქართველოსთვის და მის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობას ქმნიდა, მაგრამ მეორე მხრივ, გერმანიის დამარცხების შედეგად საქართველომ დაკარგა სტრატეგიული მოკავშირე და დამოუკიდებლობის გარანტი ქვეყანა.

ამიერკავკასიაში ოსმალეთისა და გერმანიის ნაცვლად გამარჯვებული ანტანტის ქვეყნები, კონკრეტულად კი დიდი ბრიტანეთი შემოდიოდა, რომლის საოკუპაციო ზონად და გავლენის სფეროდ განისაზღვრა აღნიშნული რეგიონი. თავიდან ძნელი სათქმელი იყო რას მოიმოქმედებდნენ ამიერკავკასიაში შემოსული ინგლისელები და რა დამოკიდებულება ექნებოდათ კონკრეტულად საქართველოსთან, რომელიც გერმანიის მოკავშირედ აღიქმებოდა.

სწორედ ამ პერიოდში უაღრესად გამწვავდა საქართველოს ურთიერთობა სომხეთის რესპუბლიკასთან. დაშნაკთა მთავრობამ საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა და სამხედრო მოქმედებაზეც გადავიდა. დრო ამისთვის ხელსაყრელად მიიჩნიეს. ანტანტის სიმპატიები ოსმალებისგან დაზარალებული სომხებისკენ იყო. შესაბამისად, საქართველოსთან დაპირისპირებაში ანტანტის მხარდაჭერის იმედიც ჰქონდათ.

სომხეთის პრეტენზიები და თავდასხმა საქართველოში უაღრესად მტკივნეულად აღიქვეს. ასეთ რამეს არ მოელოდნენ მეზობელი ქვეყნისგან, რომელსაც ძნელბედობის დროს ყოველთვის გვერდში ედგნენ და დახმარებას უწევდნენ.

ივანე ჯავახიშვილს არ უყვარდა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების საჯარო კომენტირება და თავისი პოზიციის გამოხატვა, მაგრამ ამჯერად საქართველო-სომხეთის ომთან დაკავშირებით მან ორი საჯარო ლექცია წაიკითხა. ერთი 18 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა“, მეორე კი 22 დეკემბერს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კლუბში „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“.

ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ამ ლექციების შესახებ მოკლე საგაზეთო ცნობები მოგვეპოვება. გამოქვეყნებულია ასევე თავად ლექციების შინაარსის მოკლე საგაზეთო ანგარიშებიც. 18 დეკემბრის ლექციის შესახებ ინფორმაცია 1918 წლის 20 დეკემბერს გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველომ“ სათაურით „პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია“.[1] 22 დეკემბერს წაკითხული ლექციის შინაარსი კი 25 დეკემბერს გამოაქვეყნა „სახალხო საქმემ“ იმავე სათაურით „პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია“.[2] ეს მასალა 27 დეკემბერს გადაბეჭდა ქუთაისში გამომავალმა სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთმა „ხალხის მეგობარი“ სათაურით „სომხეთის საზღვრები“[3]. [4]

ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული ლექციების საგაზეთო ანგარიშები საინტერესო დოკუმენტებია და მათ ყურადღება უნდა მიექცეს ცნობილი მეცნიერის იდეური მემკვიდრეობის შესწავლის დროს. 1918 წლის დეკემბერში წაკითხული საჯარო ლექციებისთვის მომზადებული მასალები ივანე ჯავახიშვილმა გამოიყენა თავის ნაშრომში „საქართველოს საზღვ-

---

1 ელპარიძე პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია - გაზ. „საქართველო“, ქრისტე-შობისთვის 20, 1918 წ., № 244, გვ. 3.

2 პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია - გაზ. „სახალხო საქმე“, 25 დეკემბერი 1918 წ.

3 სომხეთის საზღვრები - გაზ. „ხალხის მეგობარი“ (ქუთაისი), 27 დეკემბერი 1918, გვ. 4.

4 ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ამ ორი ლექციის საგაზეთო ვერსია ასახული იქნება წინამდებარე ალმანახის მეორე ტომში [რედ.].

რები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, რომელიც 1919 წლის იანვარ-მარტში დაწერა.

საქართველოს სამხრეთი საზღვრის თემას ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც დაუბრუნდა, სომხეთის მხრიდან ახალი ტერიტორიული პრეტენზიების გამო. ამაზე მეტყველებს ივანე ჯავახიშვილის მიერ 1925 წელს მომზადებული მოხსენებითი ბარათი.[1] მასში 1918 და 1919 წლების ტექსტებთან შედარებით უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი როგორც საკითხის ისტორია, ისე მოვლენათა შემდგომი განვითარება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია 1918 წლის დეკემბერში არსებული ვითარება, რომლის დროსაც ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა საჯარო ლექციები, ასევე თავად ლექციების შინაარსი. ივანე ჯავახიშვილის პოზიციის გასაგებად მნიშვნელოვანია იმ ვითარების გათვალისწინება, რაც აღნიშნული ლექციების წაკითხვის დროს არსებობდა.

დანართში წარმოდგენილია 18 და 22 დეკემბერს წაკითხული ლექციების საგაზეთო ანგარიშები. ასევე ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ ის ნაწილი, სადაც საუბარია საზღვართან დაკავშირებით საქართველო-სომხეთის კონფლიქტზე, ასევე 1925 წელს დაწერილი მოხსენებითი ბარათი.

1. ომი სომხეთთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა

საქართველო-სომხეთის ურთიერთობები 1918 წლის შემოდგომაზე დაიძაბა, როდესაც უკვე ცხადი იყო გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხება. 1918 წლის 29 სექტემბერს ბულგარეთმა გამოაცხადა კაპიტულაცია, 27 ოქტომბერს კი თურქეთმა შეწყვიტა საომარი მოქმედებები და ზავი ითხოვა. ნოემბრის დასაწყისში გაჟღერდა ბრიტანელების ულტიმატუმი, რომლის თანახმადაც თურქეთისა და გერმანიის ჯარები ერთ თვეში უნდა გასულიყვნენ ამიერკავკასიის ტერიტორიიდან. სომხეთის დაშნაკური ხელისუფლების აზრით, ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა საქართველოსთან ანგარიშის გასასწორებლად და ტერიტორიული პრეტენზიების წასაყენებლად.

საქართველოს წინააღმდეგ დაიწყო ცილისმწამებლური კამპანია, რომ საქართველო იყო ანტანტის მოწინააღმდეგე გერმანიის მოკავშირე, რომ საქართველოში ავიწროებდნენ სომხებს, არ ეხმარებოდნენ სომეხ დევნილებს, ბლოკადაში ჰქონდათ მოქცეული არარატის რესპუბლიკა, არ აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და ა.შ. ეს ყველაფერი გათვლილი იყო, პირველ რიგში, ანტანტის ქვეყნებზე, სომხეთისადმი მათი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ქართველ სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი უკვე ომის დამთავრების შემდეგ 1919 წლის იანვარში აღნიშნავდა:

„ბატონებო, როცა ერევნის მთავრობა ჩვენ წინააღმდეგ წამოვიდა, ის ეყრდნობოდა არა მარტო მხედრულ ძალას და არა მარტო იარაღის იმედს. არა, მისი მეცადინეობა მდგომარეობდა იმაში, რომ განემარტოებინა საქართველო, დაეპირისპირებინა ჩვენთვის არა მარტო თავისი ჯარი, არამედ აგრეთვე გარეშე, უფრო ძლიერი ძალა. ეს, ბატონებო ბევრმა აღნიშნეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ წამოვიდა სომხის მთავრობა სწორედ იმ დროს და იმ ანგარიშით, რომ საშუალება მისცემოდა გარეშე ძალა ჩვენს წინააღმდეგ გამოეყენებინა... მთელი თავისი პრესისა და აგენტების მეშვეობით დაშნაკები არწმუნებდნენ მოსულ ძალას: თქვენ საქმე გაქვთ გერმანიის მოკავშირესთან, რომელიც ლამობდა გერმანიის თქვენზე გამარჯვება გამოეყენებინა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ“.[2]

---

[1] ივანე ჯავახიშვილის ხელნაწერი უსათაუროა და ის პირობითი სათაურით იქნა გამოქვეყნებული: ივანე ჯავახიშვილი. დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ვახტანგ გურულმა, ავთანდილ არაბულმა და მერაბ ვაჩნაძემ. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 1998.

[2] „საქართველოს რესპუბლიკა“, 10 იანვარი, 1919 წ. № 6.

სომხეთის ოფიციალური ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ იყო ყოფილი ბორჩალოს მაზრა მდინარე ხრამამდე, ახალქალაქის მაზრა მთლიანად და გორის მაზრის ნაწილი.[1] თუმცა, თუკი საქმე მათთვის „კარგად წავიდოდა", ტერიტორიული პრეტენზიები კიდევ უფრო გაფართოვდებოდა. ეს კარგად ესმოდათ საქართველოშიც. მაგალითად, სოციალისტ-ფედერალისტი თედო ღლონტი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე წერდა:

„ტენდენცია სომხის ერის განვითარებისა არის ტენდენცია სპარსეთის და ოსმალეთის მიტოვებისა, ტენდენცია ადერბეიჯანსა და საქართველოში შემოსევისა. ამისდა მიხედვით სომხობის კავკასიური ცენტრი გადმოდის ჩვენს ქვეყნებში. დაშნაკცუტუნს სურს ამ შემოსვლას, საქართველოს ყოფილ და არსებულ მთლიანობას პოლიტიკური საფუძველი მოურყიოს, შეებრძოლოს და არად აქციოს საქართველოს დამოუკიდებლობა".[2]

ეროვნულ-დემოკრატი სპირიდონ კედია პარლამენტში გამოსვლისას აღნიშნავდა:

„აქ მარტო ბორჩალო-ახალქალაქის საკითხი არ არის. აქ ტფილისის საკითხია. მეტიც, რასიული იდეის ბატონობის საკითხია. საქართველოში ერთმბრძანებლობა ვის უნდა ეპყრას შეუცილებლად, საქართველოს იდეას თუ სომხეთის იდეას? ეროვნული არსობისა, ეროვნული ყოფნა-არყოფნის საკითხია, ამიტომ შეუბრალებელი და შეუდრეკელი უნდა იყოს საქართველოს მახვილის მრისხანება".[3]

საქართველოს ხელისუფლება არ აპირებდა იმ ტერიტორიების დათმობას, რაზეც არარატის რესპუბლიკა აცხადებდა პრეტენზიას. ოსმალების წასვლის შემდეგ, 1918 წლის 5 დეკემბერს ქართული ჯარის ნაწილები ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში შევიდნენ. თავის მხრივ, 1918 წლის 6 დეკემბერს სომხეთის არმიის ნაწილებმა საომარი მოქმედებები დაიწყო ახალქალაქის მაზრაში, 9 დეკემბერს კი ბორჩალოს მაზრაში. სომხეთის მხრიდან აქტიური საომარი მოქმედებების დაწყება დროში ფაქტობრივად დაემთხვა ინგლისის სამხედრო ნაწილების ბათუმში გადმოსხდომას.

საომარი მოქმედებები ომის პირველ ეტაპზე საქართველოსთვის წარუმატებლად წარიმართა. ვითარებას ისიც ართულებდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება, განსხვავებით ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატებისაგან, ომის დაწყებას არ აღიარებდა, სერიოზულ საფრთხეს ვერ ხედავდა და დიდხანს მიიჩნევდა, რომ სამხედრო შეტაკებებში სომხეთის მთავრობა დამნაშავე არ იყო და კონფლიქტი სამშვიდობო კონფერენციის სასწრაფო გამართვით მოგვარდებოდა. ამასობაში სომხური სამხედრო ნაწილები წინ მოიწევდნენ. საქართველოს მთავრობამ და სამხედრო მინისტრმა პირველად მხოლოდ 16 დეკემბერს აღიარეს, რომ ადგილი ჰქონდა არა ცალკეული შეიარაღებული ჯგუფების მოქმედებას, არამედ მიმდინარეობდა სომხეთ-საქართველოს ომი.[4]

საქართველოზე სომხეთის თავდასხმამ დიდი აღშფოთება გამოიწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობაშიც. 16 დეკემბერს ქართულ უნივერსიტეტში შედგა სტუდენტთა ფრაქციული კრებები, სადაც განიხილეს შექმნილი ვითარება, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ „დღევანდელი მომენტი". ამ კრებების შესახებ გაზეთი „ერთობა" იუწყებოდა: „ყველა ფრაქციებში ერთხმად დადგენილ იქნა სტუდენტები ჯარში გავიდნენ".[5]

17 დეკემბერს, საღამოს, ქართულ უნივერსიტეტში უკვე სტუდენტთა საერთო კრება გაიმართა. იმდროინდელ განწყობას კარგად ასახავს გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებული მოკლე წერილი.

„სამშაბათს 17 ქრისტეშობისთვეს საღ. 6 საათზე შესდგა ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტების კრება. კრებას დაესწრო პოლიტეხნიკუმის ქართველი სტუდენტობაც. საგანი მსჯელობისა დღევანდელი პოლიტიკური ვითარება იყო. ორატორებმა დაახასიათეს საქართველოს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, აღნიშნეს სომხებისგან ჩვენ ტერიტო-

---

1 ა. ჩაჩხიანი. ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1918-1919 წლებში (სომხეთ-საქართველოს ომი). დისერტაცია, 2006, გვ. 99.

2 «სახალხო საქმე", 8 დეკემბერი 1918 წ., № 403.

3 «საქართველო", 1918, ქრისტეშობისთვის 31, № 253.

4 „სახალხო საქმე", 17 დეკემბერი 1918 წ., № 409.

5 „ერთობა", 18 დეკემბერი 1918 წ. №N273. ამ კრების შესახებ გაზ. „შრომა" იუწყებოდა: „სტუდენტთა დადგენილება. ორშაბათს, 16 დეკემბერს, ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტთა ფრაქციული კრებები გაიმართა. იმსჯელეს დღევანდელ მომენტზე და ერთხმად დაადგინეს ჯარში წავიდენ" („შრომა", 18 დეკემბერი 1918, №N102).

რიაზე ჩადენილი ბარბაროსობა და მოუწოდეს ქართველ სტუდენტობას მამულიშვილურ მოვალეობის შესასრულებლად.

სტუდენტობა მხურვალე ტაშის ცემით შეეგება მოლაპარაკეთ. რუს ესერების ჯგუფია, რომელთა წარმომადგენელი ჩიქობავა, მოუწოდებდა ქართველ სტუდენტობას ნაციონალისტების მიერ გადასროლილ ანკესზე ნუ წამოეგებოდენ, სტუდენტობამ ერთხმად დაადგინა, რომ იგი მზადაა მიუხედავად იმისა ეხებათ თუ არა მათ მობილიზაცია ჩაეწერონ ჯარის სხ. და სხ. ნაწილებში და წავიდენ იქ სადაც მოუწოდებთ მთავრობა, მამულიშვილური მოვალეობის შესასრულებლად.

საკვირველი არ არის, რომ ქალებმაც კი იარაღით ხელში დახმარება აღგვითქვეს. ქართველი ქალი ქართველ ვაჟებთან ერთად მამაპაპურ ხმალს უბრუნდება".[1]

გაზეთი „სახალხო საქმე" 17 დეკემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული სტუდენტთა კრების შესახებ აღნიშნავდა:

„ქართველი სტუდენტები ჯარში. დეკემბრის 17 ს სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა ამ უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის ქართველ სტუდენტთა შეერთებული კრება. კრებაზე ერთხმად დაადგინეს ყველა სტუდენტი დაუყოვნებლიც ჩაეწეროს ჯარში და გაემგზავროს ბრძოლის ასპარეზზე. სტუდენტებმა დაადგინეს აცნობონ ეს გადაწყვეტილება მთავრობას და ელიან მის მაღალ განკარგულებას. კრებაზე დიდი ენტუზიაზმი იყო. სტუდენტმა ქალებმა ითხოვეს: ჩვენც ჩაგვწერეთ და დაგვაკისრეთ სამშობლოსათვის თავის განწირვაო. მათ განაცხადეს ტფილისის დაცვის სურვილი".[2]

გაზეთ „საქართველოს" 20 დეკემბრის ნომერში მოთავსებულია მოკლე წერილი ქართველი სტუდენტების შესახებ, რომელთაც უნივერსიტეტის დაარსების დღიდან უხდებოდათ სამშობლოს დასაცავად სხვადასხვა ომში მონაწილეობა და აღნიშნულია მათი მზადყოფნა კვლავაც აქტიურად მიიღო მონაწილეობა სამშობლოს დასაცავად დაწყებულ ახალ ომში:

„ქართულ უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, საქართველოს შავი ყორნები დასტრიალებს თავს. ჯერ იყო და ოსმალებმა გათამამებული ჯარი შემოუსია საქართველოს. სამშობლომ მოუხმო ახალგაზრდობას და ისინიც თავიანთ ვალდებულობის შესასრულებლად გამოცხადნენ. ქართველი სტუდენტობა შეგნებულად შეხვდა მომენტს, მოსწყდა ახლად დაარსებულ მეცნიერების კერას და ნაცვლად სამეცნიერო წიგნებისა თოფ ზარბაზნებს მოჰკიდა ხელი. მათ დაამტკიცეს თავისი მამულიშვილობა და ტანჯულ სამშობლოსადმი სიყვარული, ჯერ ოსმალებთან და შემდეგ რუს-სომეხ ბოლშევიკებთან ბრძოლაში. დღეს თავისუფალი სამშობლო დაუნდობელ მტერთა შესამუსრად მოუხმობს კვლავ და ისინიც წავლენ ქარივით. ქართველი სტუდენტობაც წარსულ წელს სისხლის ემბაზში განიბანა. მათ სისხლის წვიმები ვერ შეაშინებს, ისინი გაფაციცებით ელოდენ საქართველოს მთავრობის ზარის ხმას, აჰა ეს ხმაც და მთელი ქართველი სტუდენტობა აბჯარს ისხამს".[3]

ძნელი სათქმელია როგორ გაჩნდა სომხეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ივანე ჯავახი-შვილის მიერ „რიგგარეშე ლექციის" წაკითხვის იდეა. შეიძლება მას, როგორც ისტორიკოსს, სტუდენტებმა სთხოვეს მიმდინარე ომის შესახებ გამოეთქვა თავისი მოსაზრებები და შეეფასებინა იმ ადგილების მნიშვნელობა საქართველოსთვის, რაზეც სომხეთი პრეტენზიებს აცხადებდა.

19 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა ქართველ სტუდენტ ქალთა კრება, რომელიც შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის განხილვას ეძღვნებოდა.[4]

---

[1] ელისე. სახელმწიფო უნივერსიტეტი - გაზ. „საქართველო", ქრისტეშობისთვის 20,1918, №N244, გვ.4. 17 დეკემბერს ქართულ უნივერსიტეტში გამართული სტუდენტთა კრების თაობაზე მოკლედ იუწყებოდა გაზეთი „ერთობაც", სადაც ხაზგასმული იყო სტუდენტთა მიერ მთავრობის მხარდაჭერა: „ქართველი სტუდენტობა ჯარში. 17 დეკემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში შემდგარ ქართველ სტუდენტთა კრებამ დაადგინა სიხარულით შეეგებონ მთავრობისაგან გამოცხადებულ მობილიზაციას. ყველა ქართველი სტუდენტი, რომელსაც მობილიზაცია ეხება, უნდა გავიდეს ჯარისკაცად, დანარჩენები კი, თავისი ნებით უნდა ჩაეწერონ სხვადასხვა ნაწილში" („ერთობა", 19 დეკემბერი 1918).

[2] „სახალხო საქმე", დეკემბრის 20, 1918 წელი, №N442

[3] ე. პატარიძე. ქართველი სტუდენტობა - გაზ. „საქართველო", ქრისტეშობისთვის 20, 1918, №N244, გვ.4.

[4] „ქალთა კრება. ხუთშაბათს 19 ქრისტეშობისთვეს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართველ სტუდენტ ქალთა კრება შესდგა. კრების საგანი დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა იყო" („საქართველო", ქრისტეშობისთვის 22, 1918, № 246, გვ. 2). იგივე ინფორმაცია გამოქვეყნებულია: „საქართველოს რესპუბლიკა", 22 დეკემბერი 1918 წ., №N122, გვ. 4.

გააქტიურდნენ თბილისში არსებული სხვა უნივერსიტეტების ქართველი ეროვნების სტუდენტებიც. 24 დეკემბერს შედგა ამიერკავკასიის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების საერთო კრება, რომელსაც დაესწრნენ თბილისის პოლიტეხნიკუმის და სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა ინტერპარტიულ ბიუროს ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლები. „საერთო კრებამ იქონია რა მსჯელობა მომენტის შესახებ, დაადგინა: დაეხმაროს საქართველოს მთავრობას სამშობლოს თავდაცვაში".[1] ამ მიზნის განსახორციელებლად აირჩიეს 6 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც შეუთანხმდა თბილისის პოლიტეხნიკუმის ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლებს. ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის და თბილისის პოლიტეხნიკუმის გაერთიანებულმა კომისიამ[2] მოუწოდა „ქართველ სტუდენტებს განურჩევლად სქესისა, შემოკრბენ ამ ორგანიზაციის გარშემო".[3]

26 დეკემბერს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში შედგა „სრულიად ქართველ სტუდენტების სასწრაფო კრება".[4]

27 დეკემბერს შედგა ამიერკავკასიის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა კრება, სადაც მიიწვიეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, განსაკუთრებით კი საექიმო ფაკულტეტის სტუდენტები.[5]

როგორც ვხედავთ, სტუდენტთა აქტიურობა სამშობლოს დაცვის საქმეში თავისი წვლილის შესატანად დიდი იყო და, ბუნებრივია, აქტიურად განიხილებოდა ომის გამომწვევი მიზეზები და შექმნილი ვითარება.

2. ივანე ჯავახიშვილის მიერ 18 დეკემბერს წაკითხული ლექცია

18 დეკემბერს საღამოს 6 საათზე ივანე ჯავახიშვილმა სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში წაიკითხა რიგს გარეშე ლექცია „ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა".

მოკლე საგაზეთო წერილის მიხედვით ძნელია ვიმსჯელოთ ლექციის სრულ შინაარსზე, რომლისთვისაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ივანე ჯავახიშვილი მისთვის დამახასიათებელი აკადემიური კეთილსინდისიერებით მოემზადა. მაგალითად, ვერაფერს ვიტყვით ლექციის შესავალ ნაწილზე, რომლის თაობაზეც გაზეთის კორესპონდენტი მოკლედ აღნიშნავს: „პატივცემულმა პროფესორმა ლექციას მომენტის შესაფერი შესავალი წარუმძღვარა".

ივანე ჯავახიშვილმა თავის ლექციაში პირველ რიგში დაასაბუთა, რომ ტყუილია არგუმენტი თითქოს ახალციხე-ახალქალაქი, ლორე და ბამბაკი სომხეთთან იყო ეკონომიკურად დაკავშირებული. მისი თქმით, პირიქით, ეს კუთხეები მჭიდროდ არიან ეკონომიკურად დაკავშირებული დანარჩენ საქართველოსთან.

ამასთან ერთად, ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა აღნიშნული კუთხეების ისტორიულად საქართველოს კუთვნილება და ჩვენი ქვეყნისთვის მათი სტრატეგიული მნიშვნელობა. მისი

---

1 ქართველ სტუდენტების საყურადღებოდ - გაზ. „საქართველო", ქრისტეშობისთვის 27, 1918, №N250, გვ. 2.
გვ. 2-ის ნაცვლად უნდა იყოს: გვ. 3 [რედ.].

2 კომისიაში აირჩიეს: ნ. ჯაიან[ი], ს. ღამბაშიძე, ა. თარხან-მოურავი, ი. შოშიაშვილი, ბერიძე, ჩხეიძე („საქართველო", ქრისტეშობისთვის 27, 1918, №N250, გვ. 2).

3 ქართველ სტუდენტების საყურადღებოდ - გაზ. „საქართველო", ქრისტეშობისთვის 27, 1918, №N250, გვ. 2. სტუდენტთა ამ კრების შესახებ გაზეთი „ერთობაც" იუწყებოდა: „ქართველ სტუდენტთა წარმომადგენელნი. 24 დეკემბერს შესდგა ამიერკავკასიის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ თფილისის პოლიტეხნიკუმის და სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა ინტერპარტიული ბიუროს ქართველ სტუდენტთა წარმომადგენელნი. საერთო კრებამ იქონია რა მსჯელობა მომენტის შესახებ, დაადგინა: დაეხმაროს საქართველოს მთავრობას მთელი თავისი ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური ძალღონით სამშობლოს თავდაცვის საქმეში. პრაქტიკულად ამ მიზნის განსახორციელებლად არჩეულ იქნა კომისია ექვსი კაცისაგან შემდგარი, რომელიც შეუთანხმდა თფილისის პოლიტეხნიკუმის ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლებს. ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის და თფილისის პოლიტეხნიკუმის გაერთიანებული კომისია მოუწოდებს ქართველ სტუდენტებს განურჩევლად სქესისა, შემოკრბენ ამ ორგანიზაციის გარშემო. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის შენობაში (გოლოვინის პრ. №N10) ყოველდღე დილის 12-2-მდე და საღ. 5-7-მდე მორიგე კომისიის წევრისაგან" („ერთობა", 27 დეკემბერი 1918 წ., №N281, გვ.2-3).

4 „საქართველო", ქრისტეშობისთვის 26, 1918, №N249, გვ. 2.

5 „საქართველო", ქრისტეშობისთვის 26, 1918, №N249, გვ. 2.

თქმით, „თვითონ ამ ადგილებს ბუნებრივი მდებარეობა იმ უპირატესობას აძლევს, რომ ვისაც ის უჭირავს, მის ხელშია ფაქტიურად აღმოსავლეთ საქართველოც“.

ივანე ჯავახიშვილის თქმით, ერთადერთი საფუძველი, რასაც სომხეთის მოთხოვნა შეიძლება ემყარებოდეს, რეალური მოსახლეობის პრინციპია. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ამ ტერიტორიაზე სომხური მოსახლეობა გაჩნდა რუსეთის ბატონობის პერიოდში და ამასთან, „რეალური მოსახლეობა“ არაა იმის საბუთი, რომ ეს ტერიტორია სომხეთს უნდა მიეკუთვნოს.

ივანე ჯავახიშვილი შემდეგ ცდილობს იმ „ილუზიების“ უარყოფას, რომელიც გავრცელებული იყო „ჩვენი საზოგადოების ზოგიერთ ჯგუფებში“ და იმდროინდელ ქართულ პოლიტიკაში გამოიყენებოდა. ასეთი იყო ხშირად გაჟღერებული მოსაზრება, რომ „საქართველოსა და სომხეთს შორის ომი არასდროს ყოფილა“ და რომ კონფლიქტი ადვილად მოგვარდებოდა „სამშვიდობო კონფერენციის“ გამართვით. ჯავახიშვილის თქმით, წარსულში არაერთხელ ყოფილა ომი საქართველოსა და სომხეთს შორის, რაც შეეხება სამშვიდობო კონფერენციას, მის იმედად ყოფნა და ომის დაწყების ფაქტის უარყოფა სახიფათო იყო ქვეყნისათვის.

18 დეკემბერს, როდესაც ივანე ჯავახიშვილმა ქართულ უნივერსიტეტში ლექცია წაიკითხა, ომი საქართველოსთვის წარუმატებლად მიმდინარეობდა. სომხეთის ჯარი წინ მოიწევდა და ძნელი სათქმელი იყო როგორ განვითარდებოდა მოვლენები, შეძლებდა თუ არა მოლაპარაკებებსა და „მეგობრული განწყობის განმტკიცებაზე“ ორიენტირებული საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის თავდაცვის ორგანიზებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგებია ივანე ჯავახიშვილის სიტყვები, რომლითაც დაამთავრა ლექცია: „საქართველოს არასოდეს არ გასჭირვებია სომხეთთან ომი და არც ახლა გაუჭირდება, მაგრამ, თუ ვინიცობაა გაუჭირდა, ქართველურად ქუდზე კაცი გავალთ და საქართველო, რომელიც 30 საუკუნე არსებობდა, ჩვენი მკერდით დაცული კვლავ იარსებებს“.

3. ივანე ჯავახიშვილის მიერ 22 დეკემბერს წაკითხული ლექცია

ივანე ჯავახიშვილმა სომხეთ-საქართველოს საზღვრის შესახებ კიდევ ერთი ლექცია კვირას, 22 დეკემბერს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიულ კლუბში წაიკითხა. ლექცია, როგორც ჩანს, ფედერალისტთა თხოვნით დაიგეგმა. დასწრება ფასიანი იყო და შეგროვილი თანხა სოციალისტ-ფედერალისტთა მებრძოლ რაზმს გადაერიცხა.

აღნიშნული ლექციის შესახებ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთი „სახალხო საქმე“ იუწყებოდა. პირველი განცხადება 21 დეკემბერს გამოქვეყნდა, როდესაც ახალი ამბების რუბრიკაში განთავსდა მოკლე ინფორმაცია „პროფესორ ივ. ჯავახიშვილის ლექცია“:

კვირას, დეკემბრის 22 დღის 12 საათზე სოც-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. №N1) პროფ. ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. შესასვლელი ფასი სამი მანეთი. მოწაფეთათვის ერთი მანეთი. შემოსავალი სოც-ფედერ. მებრძოლ რაზმის სასარგებლოდ გადაირიცხება.[1]

იგივე განცხადება გამეორდა „სახალხო საქმის“ 22 დეკემბრის ნომერში, მე-3 გვერდზე. გაზეთის იმავე ნომერში ივანე ჯავახიშვილის ლექციის შესახებ კიდევ ერთი მოკლე ინფორმაციაა გამოქვეყნებული, ოდნავ განსხვავებული შინაარსით:

კვირას, დეკემბრის 22-ს, შუადღის 12 საათზე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიულ კლუბში (სემინარიის ყოფილი შენობა) პროფ. ივანე ჯავახიშვილი წაიკითხავს საჯარო ლექ-

[1] გაზ. „სახალხო საქმე“, № 413, 21 დეკემბერი 1918 წელი, გვ.1. იგივე გაზეთის იმავე ნომრის შიდა გვერდზე გამოქვეყნებულია ამ განცხადების განსხვავებული ვერსია - ლექციის სათაურად 18 დეკემბერს წაკითხული ლექციის სათაურია დასახელებული: „კვირას დეკემბრის 22 დღის 12 ს. პროფესორი ივ. ჯავახიშვილი კითხულობს ლექციას პარტიულ კლუბში ლორის-მელიქოვის ქ. №N1, შემდეგ თემაზე: ქართველ სომეხთა სადავო ადგილების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა. შესვლა არა წევრთათ შეუძლიან. ფასები მოწ. 1 დანარ 3 მ. 22 დეკემბერს დანიშნული ლექციის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველომაც“ („საქართველო“, ქრისტესობისთვის 22, № 246, გვ. 2).

ციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. შესასვლელი ფასი 1 მან. 3 მანეთამდე.[1]

„სახალხო საქმის“ 24 დეკემბრის ნომერში, ახალი ამბების რუბრიკაში, გამოქვეყნებულია ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ლექციის შესახებ:

პროფესორ ივ. ჯავახიშვილმა სოც.-ფედერალისტთა კლუბში კვირას, დეკემბრის 22 წაიკითხა ლექცია: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. ლექცია ფრიად შინაარსიანი იყო და აუარებელი ხალხი დაესწრო. დაწვრილებით ხვალ.[2]

25 დეკემბერს „სახალხო საქმემ“ მართლაც გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის ლექციის მოკლე შინაარსი სათაურით „პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია “.[3] ქუთაისში გამომავალ ფედერალისტთა გაზეთ „ხალხის მეგობარში“ 27 დეკემბერს გადაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის ლექციის „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებული შინაარსი მოკლე სათაურით „სომხეთის საზღვრები“. სტატია იწყებოდა ფრაზით: „თფილისში პრ. ჯავახიშვილმა ლექცია წაიკითხა, რომლის შინაარსი ასეთია“.[4]

ამ საგაზეთო ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ივანე ჯავახიშვილის მიერ 22 დეკემბერს წაკითხული მეორე ლექცია შინაარსობრივად ბევრად ჰგავდა 18 დეკემბერს უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციას, თუმცა ცხადია, მის ასლს არ წარმოადგენდა.

ივანე ჯავახიშვილმა 22 დეკემბრის ლექცია დაიწყო ისტორიული მიმოხილვით, რათა გაეფანტა საზოგადოებაში „ძალიან გავრცელებული“ ილუზია იმის თაობაზე, რომ „სომეხ-ქართველთა შორის თავის დღეში არ დაღვრილა სისხლი, თავის დღეში არ ჰქონიათ ომი და სხვა“. ასეთი ილუზია ხელს უშლიდა ეროვნული ენერგიის მობილიზებას თავდასხმის მოსაგერიელებლად. 22 დეკემბრისთვის საომარი მოქმედებები საქართველოსთვის კვლავ წარუმატებლად მიმდინარეობდა, 9 დეკემბრიდან ქართული ნაწილები უკან იხევდნენ. 19 დეკემბერს დაშნაკთა ნაწილებმა შულავერი დაიკავეს, 22 დეკემბერს კი სადახლო.

ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ წარსულში ქართველებსა და სომხებს შორის სულ ცოტა სამჯერ მაინც იყო ომი ჯავახეთისა და ლორესთვის. მე-10 საუკუნის ბოლოდან ეს ტერიტორიები საქართველოს უდავო ნაწილად იქცა. ჯავახიშვილის თქმით, საქართველოსთვის ამ მხარეებს „უდიდესი ეკონომიური, სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს“.

ივანე ჯავახიშვილმა კვლავ აღნიშნა, რომ ეს მხარეები გეოგრაფიულად და ეკონომიურად საქართველოსთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება სტრატეგიულ მნიშვნელობას, ამ მხარეებს პირველებს უხდებოდათ საქართველოზე მტრის შემოტევის მოგერიება. სწორედ ამიტომ ლორეს მხარე „მოწინავე სადროშოდ“ იწოდებოდა, ხოლო ჯავახეთი „წინმბრძოლთა დროშად“.

ამ მხარეებთან მიმართებაში, ივანე ჯავახიშვილის თქმით, სრულიად გამოუსადეგარია „ეთნოგრაფიულ პრინციპთან“ აპელირება, რასაც სომხური მხარე ერთ-ერთ არგუმენტად იყენებდა. ივანე ჯავახიშვილის თქმით, სომხური მოსახლეობა ამ ადგილებში გაჩნდა ქართველი მაჰმადიანების გასახლების შემდეგ, ან სადაც ხალხი მტრისგან განადგურდა. „სომხების პრინციპი რომ მივიღოთ, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ბელგიელებმა, რომელნიც ამ ომის გამო საფრანგეთში გადასახლდნენ, გამოაცხადონ - საფრანგეთი ჩვენიაო“, - აღნიშნა ივანე ჯავახიშვილმა.

ლექციის ბოლოს ივანე ჯავახიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ჯავახეთი და ბორჩალო „კარია საქართველოსი და მისი დაკარგვა - სახელმწიფოს კარების გაღებას უდრის“. მისი თქმით, ამ კუთხეებს „საქართველო დაიცავს, თუ მას დამოუკიდებელი არსებობა სურს და იმედია, ქართველი ერი ხიშტების ჯაგრად შემოერტყმება სამშობლოს მიწა-წყალს, როგორც ის მთები, რომელნიც სხვა და სხვა მხრიდან საზღვრავენ ჩვენს ქვეყანას“.

---

1 გაზ. „სახალხო საქმე“, №N414, 22 დეკემბერი 1918 წელი, გვ. 3.

2 გაზ. „სახალხო საქმე“, №N415, 24 დეკემბერი 1918 წელი, გვ. 2.
გვ. 2-ის ნაცვლად უნდა იყოს: გვ. 3 [რედ.].

3 გაზ. „სახალხო საქმე“, №N416, 25 დეკემბერი 1918 წელი, გვ. 2-3.

4 „ხალხის მეგობარი“ (ქუთაისი), 27 დეკემბერი 1918, გვ. 4.

4. ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წ. დეკემბერში წაკითხული საჯარო ლექციები და ნაშრომი საქართველოს საზღვრების შესახებ

1918 წლის დეკემბერში სომხეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით წაკითხული ორი ლექციისთვის მომზადებული მასალები ივანე ჯავახიშვილმა გამოიყენა საქართველოს საზღვრების შესახებ ნაშრომის დაწერის დროს. ამ ნაშრომზე ივანე ჯავახიშვილი 1919 წლის იანვარ-მარტში მუშაობდა.

სომხეთ-საქართველოს საზღვრის საკითხს ივანე ჯავახიშვილი ეხება დასახელებული ნაშრომის მე-5 თავის ოთხ ქვეთავში (მე-5, 6, 7, 8) და ბოლოსიტყვაობაში. მე-5 ქვეთავში საუბარია რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შეერთებასა და იქ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლაზე, მე-6 ქვეთავში განხილულია თუ როგორ სცადეს 1913 წელს შეექმნათ „სომხური გუბერნია“ და ახალქალაქის მაზრა გუმბრთან და ერევანთან მიეერთებინათ. თუმცა რუსეთის კოლონიური ადმინისტრაციის მიერ შექმნილმა კომისიამ ახალქალაქის მაზრის ჩამოშორება თბილისის გუბერნიისაგან ეკონომიკური თვალსაზრისით შეუძლებლად მიიჩნია. მე-7 ქვეთავში ივანე ჯავახიშვილმა წარმოაჩინა სამცხე-ჯავახეთის მჭიდრო ეკონომიკური კავშირი დანარჩენ საქართველოსთან.

ამ სამ ქვეთავში წარმოდგენილი მასალა, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანწილად გამოყენებული იყო 1918 წლის დეკემბერში წაკითხულ ორ საჯარო ლექციაში. რაც შეეხება მე-8 ქვეთავს და ბოლოსიტყვაობას, ნაშრომის ეს ნაწილი დეკემბერში წაკითხული ლექციების შინაარსის გაღრმავება უნდა იყოს.

მე-8 ქვეთავის სათაურია „როგორ უნდა შევხედოთ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას“. ივანე ჯავახიშვილი კატეგორიულად გამორიცხავს ახალქალაქის მაზრის სომხეთისთვის გადაცემის შესაძლებლობას. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ სომხების ჯავახეთში დასახლება დროებით მოვლენად უნდა იქნას მიჩნეული და იქ მცხოვრები სომხები, როგორც კი „სომეხთათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა“ თავის ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებს უნდა დაბრუნებოდა. ჯავახეთში კი ოსმალეთში გადასახლებული ქართველი მაჰმადიანები უნდა დაბრუნებულიყვნენ. ამით „სამართლიანობა აღდგენილი იქნება და ორთავე ერს თავისი მამა-პაპეული კერა დაუბრუნდება“.

1919 წლის გაზაფხულზე, როდესაც ივანე ჯავახიშვილი ამ წიგნზე მუშაობას ამთავრებდა, ვარაუდობდა, რომ დგებოდა ხელსაყრელი პირობები „ოსმალეთითგან შემოხიზნული სომხობის“ სამშობლოში დასაბრუნებლად. თუმცა, მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ასეთი შესაძლებლობა გამორიცხა.

ივანე ჯავახიშვილის მიერ სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის და ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის შეფასების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაშრომის „საქართველოს საზღვრები“ ბოლოსიტყვაობა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, დაშნაკთა მიზანი მხოლოდ ჯავახეთისა და ბორჩალოს დაკავებით არ შემოიფარგლებოდა:

„...ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილი სომხეთის წარმომადგენელთა მიერ სომხეთისათვის მოთხოვნილი სამზღვრების მოხაზულობა და სტამბოლში გამოცემული სომხეთის ორი რუკა, რომლებშიაც ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებშია მოქცეული, დასასრულ სომეხთა საომარ მოქმედების მთელი მსვლელობა სრულის სიცხადით ააშკარავებენ, რამდენად ფართო გეგმა ჰქონდათ სომხეთის მთავრობასა და ხელმძღვანელებს: მათი მიზანი ტფილისის დაპყრობა და დასაკუთრება იყო, ხოლო თუ სამხედრო ბედი გაუღიმებდათ, იქმნებ სომხურ რუკაზე მოხაზული მიწაწყლის აღებაც“.[1]

ფაქტობრივად, დაშნაკთა ტერიტორიული პრეტენზიების მაქსიმუმის რეალიზება საქართველოს სახელმწიფოს განადგურებას ნიშნავდა. ივანე ჯავახიშვილი არ გამორიცხავდა სომხეთის ახალი თავდასხმის შესაძლებლობასაც:

თუ ეხლანდელი საშინელი განსაცდელისა და უბედურების შემდგომაც, თუ ისტორიისა და თანამედროვე მრავალი მწარე გაკვეთილებისდა მიუხედავადაც სომხეთის გავლენიანი წრეები მაინც საქართველოს სამზღვრების გადმოლახვას არ დაერიდენ და ჩვენ დედაქალაქის ძალით ხელში ჩაგდება მოისურვეს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენად მათ მადა

[1] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფილისი, სახელმწიფოს სტამბა, 1919, გვ. 50-51.

მოემატებათ შემდეგში, როდესაც წარსულისა და აწმყოს მწარე დღეები დავიწყებული ექმნებათ. ამიტომ ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს.[1]

ივანე ჯავახიშვილი მოუწოდებდა საქართველოს მთავრობას საქართველოს საზღვრების დადგენისას ეხელმძღვანელა სახელმწიფოებრივი ინტერესებით და საზღვრების მოხაზულობისთვის სამხედრო თვალსაზრისითაც შეეხედათ. „სახელმწიფოს სამზღვრების შემოფარგვლის დროს კი უმთავრესი საფუძველი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი უნდა იყოს“, - აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი და სასაცილოდ მიაჩნდა სომეხთა მმართველი წრეების მოთხოვნა საქართველოს მთავრობისადმი, რომ ამ უკანასკნელთ საზღვრების დადგენისას მხოლოდ ეთნოგრაფიული პრინციპით ეხელმძღვანელათ. ეს იმ დროს, როდესაც სომხეთის რესპუბლიკის საზღვრების შემოხაზვისას ისინი სრულიადაც არ ემყარებოდნენ ეთნოგრაფიულ პრინციპს. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი ირონიულად შენიშნავდა:

„ რატომ არის, რომ თვით სომეხთა პოლიტიკოსები ყოველთვის და ყოველგან სომხეთის რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს ეთნოგრაფიულს პრინციპებს არ ემყარებიან? იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ეს პრინციპი თვით სომეხთათვის არის საზარალო. თუ ამისდა მიუხედავად ისინი ჩვენს მთავრობასა და წარმომადგენლებს ამ პრინციპით ხელმძღვანელობას ურჩევენ, ისინი ალბად ფიქრობენ, რომ ეს თვალსაზრისი მხოლოდ საქართველოსთვის არის სავალდებულო, სომხეთს-კი უფლება აქვს ყოველგვარ თვალსაზრისით იხელმძღვანელოს და რომ მაშინაც-კი, როცა ისინი სომხეთისათვის საფრანგეთზე დიდი მიწაწყლის დასაკუთრებას ლამობდნენ და თავიანთ რესპუბლიკის სამზღვრებში სომხებზე უფრო მრავალრიცხოვან უცხო ტომთა მოქცევაზე ოცნებობდენ, ეს იმპერიალისტობა კი არ არის, არამედ უაღრესი დემოკრატობაა“.[2]

ივანე ჯავახიშვილის თქმით, ეთნოგრაფიულ პრინციპზე საუბარი გამოუსადეგარი იყო, რადგანაც სომხები ჩამოსახლდნენ „ჩვენს ტერიტორიაზე, იმ ადგილებში, რომელიც ქართველმა მაჰმადიანებმა დასტოვეს, ან სადაც ხალხი მტრისგან განადგურდა“.[3]

ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ არარატის რესპუბლიკის მთავრობამ მოულოდნელი თავდასხმით ქართველობას თავისდა უნებურად დიდი სამსახური გაუწია და „მეზობლურ ძმობა-ერთობაზე ტკბილ საოცნებო სიზმრებითგან გამოაფხიზლეს“. მეზობლური ძმობა-ერთობა ივანე ჯავახიშვილს სრულიადაც არ მიაჩნდა უმნიშვნელო რამედ, ამისთვის შესაძლებლად მიაჩნდა გარკვეული სასაზღვრო ტერიტორიების დათმობაც, მაგრამ როდესაც ძმობა-ერთობაზე ლაპარაკი მხოლოდ ნიღბავდა აგრესიულ ზრახვებს და თავდასხმისათვის მზადებას, ამით თავის მოტყუება დიდი შეცდომა იქნებოდა.

დასკვნა

ივანე ჯავახიშვილს არ უყვარდა მიმდინარე პოლიტიკის კომენტირება, მაგრამ 1918 წლის დეკემბერში, სომხეთ-საქართველოს ომის დროს, მან ორი საჯარო ლექცია წაიკითხა საქართველოს სამხრეთი საზღვრის და სომხეთის მმართველი წრეების პრეტენზიების თაობაზე.

ამ ლექციების შესახებ მხოლოდ მოკლე საგაზეთო ანგარიშების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ. ლექციებისთვის მომზადებული მასალები ივ. ჯავახიშვილმა გამოიყენა თავის ნაშრომში „საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, რომელიც 1919 წლის იანვარ-მარტში დაწერა.

დეკემბერში წაკითხულ ორ საჯარო ლექციასა და აღნიშნულ წიგნში ივანე ჯავახიშვილის მიერ გადმოცემული დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

---

1 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფილისი, სახელმწიფოს სტამბა, 1919, გვ. 51.

2 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფილისი, სახელმწიფოს სტამბა, 1919, გვ. 50.

3 „ხალხის მეგობარი“, 27 დეკემბერი 1918, გვ. 4.

საქართველოს მთავრობამ სახელმწიფოებრივი ინტერესებით უნდა იხელმძღვანელოს და ქვეყნის საზღვრების დადგენის დროს დაემყაროს ეკონომიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ მოსაზრებებს.

ჯავახეთი და ლორე (ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები), რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდნენ დაშნაკები, ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა და ეკონომიკურად მჭიდროდ არის დაკავშირებული დანარჩენ საქართველოსთან. სამხედრო თვალსაზრისით კი ეს მხარეები საქართველოს სახელმწიფოსთვის სამხრეთის კარებს წარმოადგენდა.

ე.წ. ეთნოგრაფიული პრინციპი - მხოლოდ მოსახლეობის ეთნიკური უმრავლესობის მიხედვით ტერიტორიის ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის მიკუთვნება, ივანე ჯავახიშვილს უსაფუძვლოდ მიაჩნდა, მით უმეტეს, რომ დაშნაკები მის შესრულებას მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ და თავად კი სომხეთის სხვა საზღვრებთან მიმართებაში მის გამოყენებას არც აპირებდნენ.

1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომის დროს შექმნილ ვითარებაზე ქართული პოლიტიკური წრეების ნაწილის ადექვატურ რეაგირებას ხელს უშლიდა ილუზიები „სამეზობლო ძმობა-მეგობრობაზე", რაც მათი წარმოდგენით მეზობლებს შორის თავდასხმას და ომს გამორიცხავდა. ამგვარ ილუზიებს ივ. ჯავახიშვილი შემდეგ „პოლიტიკაში გულუბრყვილობას" უწოდებს, რასაც პოლიტიკოსთა მხრიდან ქვეყნისთვის საბედისწერო შეცდომების დაშვება მოსდევდა.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოსკოვმა ლორე საბჭოთა სომხეთს გადასცა, თუმცა სომხეთის მმართველი წრეების მხრიდან ახალი ტერიტორიული პრეტენზიები არ წყდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს სამხრეთ საზღვართან დაკავშირებით შექმნილ ვითარებასა და სომხეთის ახალ ტერიტორიულ პრეტენზიებთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილმა მოამზადა მოხსენებითი ბარათი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი პირებისადმი. ცხადია, ივანე ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, მაგრამ შექმნილ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ არსებობდა. 1925 წლის 25 ივლისით დათარიღებული ივ ჯავახიშვილის ხელნაწერში, რომელიც 1998 წელს გამოქვეყნდა, 1918 და 1919 წლების ტექსტებთან შედარებით უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული სომხების საქართველოში ჩამოსახლების და ამის საფუძველზე გაჩენილი ტერიტორიული პრეტენზიების ისტორია, 1918 წლის ომის მიზეზები და შედეგები, ასევე მოვლენათა განვითარება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, როდესაც საოკუპაციო ხელისუფლებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიების რეალიზებას.

წყარო: მალხაზ მაცაბერიძე, ივანე ჯავახიშვილის ორი ლექცია საქართველოს სამხრეთი საზღვრის შესახებ (1918 წლის 18 და 22 დეკემბერს), თბ., 2016.

ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!..

ვილენ მარდალეიშვილი

ეს მომცრო წიგნი 1919 წელს გამოსცა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა. მას მერე აღარც გამოსულა, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ხანდახან, „საჯაროს“ სპეცფონდში, ცნობის წადილს თუ დაიკმაყოფილებდა ვინმე „გულდათუთქული“ მამულიშვილი, თორემ საქართველოს ისტორიული საზღვრები სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა, დიდად აღარავის აინტერესებდა საბჭოთა საქართველოში. ვიცოდით მხოლოდ, რომ:

„შენი მკვიდრი მიწა-წყალი
ახატია სხვათა რუკებს,
წარიტაცა ზოგმა ძალით,
ზოგს მიჰყიდეს, ზოგს აჩუქეს.“

დღეს, როცა უკვე თითქოს სახელმწიფო გვქვია, ამ მონოგრაფიის გამოცემა სწორედ რომ სა-შური საქმე იყო და ეს აღასრულა კიდეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ცნობილმა ისტორიკოსმა დურმიშხან ცინცაძემ. მანვე გაუკეთა რედაქცია და ბოლოსტყვა დაურთო მონოგრაფიას.

„საქართველოს საზღვრები“ იწყება ჩრდილოეთის საზღვრის მიმოხილვით, შემდეგ ვეცნობით აღმოსავლეთის საზღვარს, აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადავინაცვლებთ, შემდეგ სამხრეთის საზღვრებს და გავუყვებით სამხრეთ-დასავლეთისაკენ... დავრწმუნდებით, რომ მართლაც „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, ამას უფრო დავიჯერებთ, თუ მონოგრაფიას დართულ რუკასაც დავათვალიერებთ და გული ჩაგვწყდება იმის გაცნობიერებით, როგორ თანდათან, შაგრენის ტყავივით იკუმშება დღევანდელი საქართველოს საზღვრები. თუ ავამეტყველებთ ივანე ჯავახიშვილის უტყუარ დოკუმენტს - „საქართველოს საზღვრების რუკას“, დღეს ასეთ სავალალო შედეგს მივიღებთ: საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორია რუსეთის ანექსიამდე, 1921 წელს, 90 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, ე.ი. 21000 კვადრატული კილომეტრით მეტს, ვიდრე დღეს გვაქვს.

1921 წლის თებერვალში, მოახდინა რა საქართველოს ანექსია, ბოლშევიკურმა რუსეთმა და მისმა ბელადმა ლენინმა, არად მიიჩნიეს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული და ჰარი-ჰარად გაასხვისეს ოდითგანვე მისი კუთვნილი ტერიტორიები:

ართვინის - 3330 კვადრატული კილომეტრი; ფოცხოვის - 588 კვადრატული კილომეტრი; არტაანის - 5137 კვადრატული კილომეტრი; ოლთისის - 3051 კვადრატული კილომეტრი; ბორჩალოს - 3812 კვადრატული კილომეტრი; ზაქათალის - 3564 კვადრატული კილომეტრი ქართული მიწები, ხოლო სოჭი და მისი შემოგარენი ისეთი სიხარბით მიითვისა, თითქოს რუსეთს „მიწის სივიწროვისაგან სული ეხუთებოდა“ - ვკითხულობთ „ბოლოსტყვაობაში.“

ყველაფერს შეჩვეული ჩვენი საზოგადოებრიობა ამ სიის გაცნობისას, ალბათ, გულში ირონიულად ჩაიცინებს: „ეს მივიწყებული“ მიწები კი არა, რაშიც „ჩაკეტილები“ ვიყავით, იმასაც გვართმევენო და, მართლიც იქნება - საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო, ჯერ კიდევ ეჭვის ქვეშ არის ჩვენი საზღვრების ურღვევობის საკითხი და იმედსღა ვიტოვებთ: ყოველივე ისე გადაწყდება, როგორც ეს საქართველოს სახელმწიფოებრიობას ეკადრება.

ამ ტკივილიანი წიგნის „აღდგენისათვის“ დიდი მადლობა ეკუთვნის ბატონ დურმიშხან ცინცაძეს (წიგნი მისი ხარჯით გამოსულა), ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებას (პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი) და საგამომცემლო ფირმა „დემის.“

ვნახოთ, წავიკითხოთ - რანი ვიყავით (ჩვენ ხომ წარსულით ტკბობა გვჩვევია), იქნებ ამ მონოგრაფიამ მაინც უკეთესი მერმისისათვის განაწყოს ყოველი ქართველი.

წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
2 ნოემბერი, 1996 წ., № 221 (2332), გვ. 7.

ბიბლიოგრაფია[1]

1. აბაშიძე ზ. ვაშაკიძე ვ. მირიანაშვილი ნ. ჭეიშვილი გ. ყოველი საქართველო: ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე. თბ.: ფონდი „ქართველი“, 2014.

2. აბაშიშვილი ე. სამხრეთ საქართველოს საზღვრების საკითხი, 1878-1921 წწ. [რედ.: დ. ბერძენიშვილი]. თბ.: მეცნიერება, 1998. 48 გვ.

3. აბულაშვილი ი. რა ფართობი დაკარგა საქართველომ ბოლშევიკური ოკუპაციის შედეგად. გაზეთი „რეზონანსი“, № 159 (8509), 17 ივნისი, 2016. გვ. 11.

4. არეშიძე მ. საქართველო-რუსეთის საზღვარი - არსებული მდგომარეობა და საფრთხეები. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-11--11-ka-00---10-ru-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL1.23.2.3&d=HASH019fc50d99ded66334486372.8&gt=1

5. ახვლედიანი დ. საქართველო მზადაა დავითგარეჯი სხვა საზღვრისპირა მონაკვეთში გაიცვალოს. გაზეთი „რეზონანსი“, 1 ნოემბერი, № 297 (5100), 2006. გვ. 5.

6. ზარათაშვილი ნ. ნარკვევები ივანე ჯავახიშვილის პოლიტოლოგიური ნააზრევებიდან [რედ.: ე. ბატიაშვილი]; საქ. ევროპისა და ამერიკის ს.-კ. ინ-ტი. თბ., 1999. 119 გვ.

7. ბოშიშვილი ალ. ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVIII სს.). რედ. აპოლონ თაბუაშვილი; ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. უნ-ტი, ჰუმანიტ. მეცნ. ფაკ-ტი, საქ. ისტორიის ინ-ტი. თბ.: მერიდიანი, 2015. 226 გვ.: 1 ფ. რუკა.

8. გურული ვ. არაბული ავ. ვაჩნაძე მ. დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX-XX სს.). თბ.: „ინტელექტი“, 1998.

9. გურული ვ. საქართველოს საზღვრები საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1918-1921. რედ. სერგო ვარდოსანიძე. თბ.: უნივერსალი, 2013. 40 გვ.

10. ვაშაყმაძე ნ. სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921 წწ. გამომცემლობა „საქართველო“, ქუთაისის ფილიალი, 2002.

11. თეზისები ლექციისათვის და მითითებანი პრაქტიკუმისათვის თემაზე: “საქართველოს სსრ მდებარეობა, ტერიტორია და საზღვრები” მე-7 კლასის კურსის მიხედვით: გეოგრაფიის მასწავლებელთა დასახმარებლად. სსსრ განათლების სამინისტრო. საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინ-ტი. გეოგრაფიის კაბინეტი. თბ., 1948 (საქ. სსრ პოლიგრ. და გამომც. საქმ. სამმართვ. სტ. N1). 8გვ.

12. თოლორდავა რ. შ. გამადნების ზოლში სახელმწიფო საზღვრის დაკვალვის საკითხებისათვის, თბ.: 2001 გვ.

13. თოლორდავა რ. შ. საქართველოს სასაზღვრო სივრცე. I რესპუბლიკური სასწავლო, მეთოდური და სამეცნიერო კონფერენცია საქართველოს გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე, მოხსენებათა თეზისები. თბ.: თსუ სოხუმის ფილიალი. 2001.

14. თოლორდავა რ. შ. სახელმწიფო საზღვრის დადგენის მეთოდოლოგიური ასპექტები (საქართველოს მაგალითზე). მეცნიერება და ტექნიკა, № 4-6, თბ. 2000. გვ. 20-22.

15. თოლორდავა რ. შ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გეოინფორმაციული ანალიზი “მეცნიერება და ტექნოლოგიები”, № 1. თბილისი, 2002.

16. თოლორდავა რ. შ. სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის მეთოდების საკითხებისათვის, მოხსენებათა თეზისები თსუ VI სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1998, გვ. 45-46.

17. თოლორდავა რ. სახელმწიფო საზღვრების მოწყობის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული საკითხები (საქართველოს მაგალითზე). დისერტაცია. თბ., 2002.

18. თოლორდავა რ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ტრანსფორმაციის კარტოგრაფიული შესწავლილობა. კარტოგრაფია და თანამედროვეობა. თბ., „უნივერსალი“, 2005.

19. თოლორდავა რ., ნიკოლაიშვილი დ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ტერიტორიული ცვლილებები. გაზ.: „სოხუმის უნივერსიტეტი“, № 1-2 (241-242), იანვარი-თებერვალი, 2012. გვ. 6-7. http://sou.edu.ge/files/Gazeti%20-%20Soxumis%20Universiteti/2012/gazeti_2012_axal1i.pdf

[1] აქ წარმოდგენილია მოცემულ საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის არასრული ჩამონათვალი. ძველ საგაზეთო პუბლიკაციებში (1990-იან წლამდე) გამოცემული სტატიები დაიბეჭდება ალმანახის II ტომში [რედ.].

20. თოლორდავა რ., ნიკოლაიშვილი დ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის საქართველო-სომხეთის მონაკვეთის ისტორიული ტრანსფორმაციების გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი. საერთაშორისო კონფერენციის „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ მასალები, ეძღვნება აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს. თბ.: თსუ, 2015. გვ. 416-421.

21.თოლორდავა რ., ნიკოლაიშვილი დ. საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ტრანსფორმაციის გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი. ჟ.: „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, № 4-6. თბ., 2012. გვ. 3-15.

22.თოლორდავა რ., ნიკოლაიშვილი დ., გორდეზიანი თ., თოლორდავა თ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XIII. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სერია. თბ.: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.

23.ინგოროყვა პ.ი. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, გამ. „სარანგი“, თბ., 1990.

24.ინგოროყვა პ. „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო. მოხსენება. რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა. თბ.: სარანგი, 1990.

25.ისტორიული რარიტეტები [კრებულის რედ.: აკ. ბაქრაძე]. თბ.: საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშირი, 1989. 160 გვ.

26.კაკაბაძე ს. საქართველოს ისტორიული რუკა, შედგენილი ტოპოგრაფ ე. ბარამიძის მიერ, პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით.შინ. სახ. კომისარიატის გამოცემა, 1923 წ. // საისტორიო მოამბე, წიგნი I. ტფილისი: საქართველოს ცენტრარქივის გამოცემა. 1924.

27.კეკელია ჯ.ი. საქართველოს საზღვრები ვახუშტი ბაგრატიონის შრომების მიხედვით. ვახუშტი ბაგრატიონი - გეოგრაფი, გამ. თბ.: თსუ, 1997. გვ. 197-207.

28.კეკელია ჯ. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბ.: 1996; II გამოცემა: თბ.: ინტელექტი, 2006.

29.კვერენჩხილაძე რ. საქართველოს საზღვრები: საფრანგეთის ემიგრაციაში დასტამბული მასალების მიხედვით) // საქ. მეცნ. აკად., გეოგრაფიის ინ-ტი. თბ., 1991. 10 გვ.

30. კვერენჩხილაძე რ. საქართველოს საზღვრები. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, № 84 (363), 19 მაისი, 1992 წელი, გვ. 2.

31. კვეტენაძე მ. ივ. ჯავახიშვილის 1922 წლის საქართველოს რესპუბლიკის რუკის კარტომეტრიულ-გეოგრაფიული ანალიზი. სამაგისტრო ნაშრომი. თბ., 2016.

32.]ე ს. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია და საზღვრები (1918-1991 წწ.). გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 23-31 დეკემბერი, 1996 წ., № 28 (11957), გვ. 7.

33. კობახიძე ბ. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დიპლომატიის უცნობი მხარეები - დავით ღამბაშიძე. // ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (12). თბ.: უნივერსალი, 2013. გვ. 134-153.

34. მაისურაძე ა. საქართველოს ისტორიული საზღვრების ისტორია. გაზეთი „Georgian Times“ („ჯორჯიან თაიმსი“). 17-24 იანვარი, 2008. № 003 (470). გვ. 10; № 004 (471). გვ. 10; № 007 (474). გვ. 9.

35. მანველიშვილი ალ. საქართველოს საზღვრები. // ალ. მანველიშვილი. პარიზი: გაზ. „მომავალი“, 1938. 61 გვ.

36. მარდალეიშვილი ვ. ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!.. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 ნოემბერი, 1996 წ., № 221 (2332), გვ. 7.

37. მაცაბერიძე მ. ივანე ჯავახიშვილის „მოხსენება თანამედროვე მომენტზე“. ივანე ჯავახიშვილის 1919 წლის აპრილში წაკითხული საჯარო ლექციის შესახებ. თბ., 2014.

38. მაცაბერიძე მ. ივანე ჯავახიშვილის ორი ლექცია საქართველოს სამხრეთი საზღვრის შესახებ (1918 წლის 18 და 22 დეკემბერი). თბ., 2016.

39. მენთეშაშვილი ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია. // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, 1992. გვ. 160-177; № 4, 1992. გვ. 128-143; № 3-4, 1993. გვ. 174-198.

40. მენთეშაშვილი ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, ქართული დელეგაციის სხდომის ოქმები (1919 წ. 25 ივნისი - 11 ივლისი). // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 1-4, 1997. გვ. 173-191.

41. მენთაშაშვილი ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია პარიზის 1919 წლის პარიზის საზავო კონფერენციაზე. 1990, სახალხო განათლება, 24 იანვარი. გვ. 8-9.

42. მირიანაშვილი ნ. საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან 1918-38 წ.წ: დის. ისტ. მეცნ. კანდ. // სამეცნ. ხელმძღ.: დ. მუსხელიშვილი; საქ. მეცნ. აკად., ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოგ. ინ-ტი. თბ., 2001. 149 გვ.
43. ნიკოლაიშვილი დ., ახალაია მ. საქართველოს საზღვრების ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა. დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს გეოგრაფიის 8-9 კლასის მოსწავლეთათვის. თბ., 1999. 16 გვ.
44. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. საქართველოს საზღვრები. რედ. ჯანსუღ კეკელია. თბ., 2009. – 135 გვ. თან ერთვის რუკები.
45. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეტროსპექტივა ალ. ჯავახიშვილის შრომების მიხედვით. საერთაშორისო კონფერენციის „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ მასალები, ეძღვნება აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს. თბ.: თსუ, 2015. გვ. 30-34.
46. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. სახელმწიფო საზღვრის გატარების ფიზიკურ-გეოგრაფიული ასპექტები (საქართველოს მაგალითზე). საერთაშორისო სამეცნიერო ალმანახი „გლობალური სამყარო“, N1, 2015. ნაციონალური უნივერსიტეტი „ოსტროგის აკადემია“, მართვის გლობალური სტრატეგიების ინსტიტუტი (უკრაინა), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო), ბელორუსის სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო-ეკონომიკური უნივერსიტეტი (ბელორუსი), სლუპსკის პომორსკის აკადემია (პოლონეთი).
47. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. სოფელ აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის გეოგრაფიულ–კარტოგრაფიული შეფასება. შრომათა კრებული, ახალი სერია, № 5 (84). საერთაშორისო კონფერენციის მასალები „გეოგრაფიის თანამედროვე პრობლემები», მიძღვნილი ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი (7-9.XI.2013). თბ., 2013. გვ. 260-266.
48. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ. სოფელი აიბგის ტერიტორიული მიკუთვნებულობის ისტორიული ანალიზი კარტოგრაფიული წყაროების მიხედვით. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა, № 2. ზღვა ინტერდისციპლინურ კონტექსტში, მიძღვნილი ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის 90-ე წლისთავისადმი. თბ.: თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2014. გვ. 265-279.
49. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ., დემეტრაშვილი ო. საქართველოს საზღვრები. თბ., 2009. 115 გვ.
50. ნიკოლაიშვილი დ., თოლორდავა რ., ქუთათელაძე ლ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შავიკლდე-ტინოვროსის მონაკვეთის გეოგრაფიულ–კარტომეტრიული ანალიზი. შრომათა კრებული, ახალი სერია, № 6 (85). საზოგადოებრივი გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები. კონფერენციის მასალები, ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპოდენტის ვახტანგ ჯაოშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს. თბ., 2014. გვ. 139-145.
51. როგორ გადავკვეთოთ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი: გზამკვლევი / საქ. ახალგ. ეკონომისტთა ასოციაცია. თბ., 2003. 136 გვ. 1 ფ. ჩართული რუკა.
52. სარალიძე ლ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ინგლის-ამერიკის გეგმები (1918-1920 წწ.) // ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2(13). თბ.: უნივერსალი, 2013. გვ. 85-95.
53. სართანია დ., ნიკოლაიშვილი დ., კოხრეიძე, უჯმაჯურიძე, თოლორდავა რ., ჩხიკვიშვილი გ. ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. გამოფენის გზამკვლევი, ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლის იუბილეს. თბ.: თსუ, 2016.
54. სართანია დ., გვიმრაძე თ. ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში საკვლევი ჯერ კიდევ ბევრია. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, № 5 (2207), 4 მაისი, 2017 წელი. გვ. 14.
55. საქართველო და სომხეთი ტერიტორიებს გაცვლიან. საქართველოსა და სომხეთ შორის სახელმწიფო საზღვარი 1939 წლის რუკების მიხედვით დადგინდება. გაზეთი „რეზონანსი“, 27 ოქტომბერი, 2006. გვ. 4.
56. საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია: საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წ. 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება: დოკუმენტები და მასალები / საქ. ეროვნ. აკადემია; შემდგ. ა. მენთეშაშვილი; რედ. და გამომც. ოთარ ნიკოლაიშვილი; [თარგმნა რუსუდან გულორდავამ]. თბ., 2014. 128 გვ.
57. საქართველოს საზღვაო საზღვარი: [საქ. მეცნ. აკად. და საქ. სახ. საზღვრის დაცვის სახ. დეპარტამენტის ერთობლივ სემინარზე წაკითხულ მოხსენებათა ანოტაციები, რეკომენდაციები // სარედ. ჯგუფი: გელა ხუციშვილი (ხელმძღვ.]; საქ. სახ. საზღვრის დაცვის სახ. დეპარტამენტი. თბ., 1997. 39 გვ.

58. საქართველოს საზღვრები. გაზეთი „Georgian Times“ („ჯორჯიან თაიმსი“), № 014 (277), 8-15 აპრილი, 2014. გვ. 14.
59. საქართველოს საზღვრები, 1917-1938: ნარკვევი, დოკუმენტები და მასალები / სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურული, კობა ხარაძე, ლევან ჯიქია; საქ. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. უნ-ტი, ჰუმანიტ. მეცნ. ფაკ-ტი. თბ.: მერიდიანი, 2014. 190 გვ. თან ერთვის რუკები.
60. საქართველოს საზღფრები სამი მხრიდან დაუდგენელია. გაზეთი „რეზონანსი“, № 252 (5055), 17 სექტემბერი, 2006. გვ. 1, 7.
61. საქართველოს სახელმწიფო საზღვრების სამართლებრივი რეჟიმი: პროგრამა (იურიდ. ფაკ. სტუდ.) // თსუ [შემდგ.: ზურაბ ამილახვარი ; რედ.: ვალერი ლორია, ვახტანგ ქარუმიძე]. თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2003. 16 გვ.
62. სვანიძე მ. ერთი რუკის გამო. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 ივნისი, 1992, № 98 (377) გვ. 3.
63. სურგულაძე პ. საქართველოს დამფუძნებელი კრება და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია. // საქართველოს დამფუძნებელი კრება: პარლამენტარიზმის გამოცდილება. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბ., 2011 წლის 12 მარტი. გვ. 29-45.
64. ყავრელიშვილი რ. 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია. დის. ისტორიის მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2002.
65. ჩაჩხიანი ა. ისტორიის საბედისწერო გაკვეთილები - „ჩვენ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე ვდგავართ...“ ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 1 (14), თბ.: უნივერსალი, 2014. გვ. 219-246.
66. ცინცაძე დ. საქართველოს საზღვრები. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 3 ივლისი, 1990, № 74, გვ. 6.
67. ცინცაძე დ. „ლიტერატურული საქართველო“, 17 ივლისი, VII. 1992 წელი;
68. ცინცაძე დ. ეს ჩვენი ისტორიაა. თბ., 2013. გვ. 91-95.
69. ცინცაძე დ. ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრების“ გამოცემის გამო. თბ., 1996. გვ. 45-47.
70. ცინცაძე დ. საქართველოს საზღვრების დარაჯი. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისთავისათვის. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 აპრილი, 2006 წ., № 67 (5405), გვ. 7-8.
71. ცინცაძე დ. კიდევ ერთხელ ივანე ჯავახიშვილის წიგნის „საქართველოს საზღვრების“ შესახებ (სიმართლე კი ასეთია). გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 ნოემბერი, 2009 წ., № 240 (6340), გვ. 5.
72. ცინცაძე დ. ყარსის ხელშეკრულებამ დაგვღუპა (ინტერვიუ დ. ცინცაძესტან). გაზეთი „Georgian Times“ („ჯორჯიან თაიმსი“), № 014 (277), 8-15 აპრილი, 2014. გვ. 14.
73. ცომაია ალ. საქართველოს საზღვრები. // რჩეული თხზულებანი. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გ. შარაძემ. თბ., 2000. გვ. 54-63.
74. ცუხიშვილი რ. ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921 წწ.): კრებული // რამაზ ცუხიშვილი; [რედ. ილია ტაბაღუა]. თბ.: მერიდიანი, 1996. 2 ტომი. თან ერთვის რუკა.
75. ხარაძე კ. ივანე ჯავახიშვილის რუკა. ჟურნალი „ციცინათელა“, 1997, № 18. გვ. 4-5.
76. ხეველი გ. სრულიად საქართველო. ქართველების წვლილი სომხების გადარჩენაში უდიდესია. გაზეთი „Georgian Times“ („ჯორჯიან თაიმსი“). № 050 (313), 16-23 დეკემბერი, 2004. გვ. 10.
77. ხვედელიძე მ. სასაზღვრო უწყების მიერ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებსა და დიპლომატიურ პრაქტიკაში გამოყენებული ტერმინები და ცნებები, გამ. „განათლება“. თბ., 1999.
78. ხვედელიძე მ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი კონსტიტუციებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1920-1996 წლები) [რედ.: გივი ინწკირველი]. თბ.: განათლება, 1999. 122გვ.
79. ხვედელიძე მ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი, გეოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები (XX საუკუნე). (1920-1996 წწ.), გამ. „განათლება“. თბ., 2000.
80. ხოშტარია-ბროსე ე., მეთეშაშვილი ა. საქართველოს საზღვრები. // მნათობი. თბილისი, 1999. 5-6. გვ. 68-77.

81. ჯავახიშვილი ი. ვ. საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. წ.კ. გამ. საზ. თბ., 1919. იანვარი-მარტი; ივანე ჯავახიშვილის თხზულებანი, ტომი 12. თბ., 1998. გვ. 459-497.
82. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. გადაწერილია კონსტანტინეპოლში. საქართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 273, ფ. 82-111.
83. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ბოტანიკურ აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით, 1930. მასშტაბი 1:2,100,000.
84. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ისტორიული რუკა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. შედგენილი შ.ს.ს.კ. ტოპოგრაფ ევ. ბარამიძის-მიერ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. 1923. გამოცემა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილებისა. მასშტაბი 10 ვერსი დიუმზედ.
85. ჯავახიშვილი ივ. განაცხადი ზაქათალის ოლქის უფლებებზე. ტფილისი, 1920.12.V. საქართველოს ისტორიული არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 274, ფ. 1-2.
86. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს რუკა. გამოცემა № 1 (1919 წ. ფრანგულ ენაზე. Carte de la Géorgie).
87. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს რუკა. გამოცემა № 2 (1919 წ. ფრანგულ ენაზე. Carte de la Géorgie).
88. A Catalogue of Paris Peace Conference Delegation Propaganda in the Hoover in the Hoover War Library.Stanford University Press. California, 1926.
89. Andersen A., Partskhaladze G. "La guerre soviéto-géorgienne et la soviétisation de la Géorgie (février-mars 1921)", Revue Historique des Armees, No. 254-1, 2009. Paris.
90. An Introduction to a Bibliography of the Paris Peace Conference: Collections of Sources, Archive Publications, and Source Books," by Nina Almond and Ralph Haswell Lutz, 1935, Stanford University Press.
91. Peace Conference, 1919. Paris. Georgia... Memories présenté á la Conférence de la paix (revendications politiques-frontiéres) suivi de l'cate de l'independance de la Géorgie et d'une carte. Paris [Imp. M. Flinikowski] 1919. 1 p. 1., [5] - 22 p., 11. map, 27 cm. At head of title: Délégation géeorgienne á la Conférence de la paix.
92. Ibels A. Liberons la Georgie!... Paris: Union syndicale des ecrivains professionels, 1919 (Imprimerie Chaix. Paris: Union syndicale des ecrivains professionels, 1919 (Imprimerie Chaix). 31 p.
93. La Géorgie. Territorie et Population – Hostoire – Litterature et Arts – Situation Politique. Avec 16. Planches Hors Texte et une Carte Géographiqies. Paris, 1937.
94. Nikolaishvili D., Tolordava R. Determining Geographical Factors of Historic Transformation of the State Border of Georgia. International Scientific conference "Space, Society, Politics", dedicated to 70th birthday anniversary of Professor Revaz Gachechiladze. Abstract. 3-5 June, 2013, Tbilisi. pp. 58-59. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_social_political/tezisebi,%20gachechiladze.%20tiraji%20200.pdf
95. Nikolaishvili Dali A., Tolordava Revaz Sh. Geographical Factor as a Basis for Research of State Borders (on the Example of Georgia). Journal of Earth Science and Engineering 3 (2013) pp. 159-167. ISSN:2159-581X.
96. Nikolaishvili D., Tolordava R., Sartania D., Kutateladze L. Problems with the Drawing a State Border along the River Psou Section. Earth Sciences 2015; 4(5-1): 60-67. ISSN: 2328-5974 (Print); ISSN: 2328-5982 (Online). http://www.sciencepublishinggroup.com/specialissue/specialissueinfo?specialissueid=161010&journalid=161
97. Ментешашвили А. Из истории взаимоотношений Грузинской Демократической Республики с Советской Россией и странами Антанты 1918-1921 гг. / [Ред. Г.С. Цицишвили]. Тб.: ТГУ, 2000. 119 с.
98. Ментешашвили А. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии [Ред. Нана Хазарадзе]. Тбилиси: ТГУ, 1998. 148 с.
99. Ментешашвили А. Политическая история Грузии (1917-1921 гг.): Дис. на соиск. учен. степ. д-ра ист. наук. Тбилиси, 1991. 62 с.
100. Одишелидзе. Границы Грузии, составиль Генераль инфантерий. май 1919 г. гор. Тифлись. საქართველოს ისტორიული არქივი, ფონდი № 1969, ანაწერი 4.
101. Пауткина Н.В. Историко-правовой анализ территориального разграничения России и Грузии (на сухопутном участке). Материалы научно-практических конференций Московского военного института ФПС России. Сборник научных статей № 9. http://zakony.com.ua›lawbase/voenprav.html? act=tree&id

პირთა საძიებელი

აბულ-კასიმი 95
ადონცი ნ.გ. 95, 101
ავალიშვილი ზ. 44, 45, 81 ,91, 215, 216, 221
ავერიანოვი ა.პ. 95, 100, 211
ალექსანდრე V 64, 97
ალფენიძე მ. 73. 91
ანდერსენი ე. 5, 191
ანთელავა ნ. 2
ანტონ კათალიკოსი 71, 95, 98
არაბული ა. 5, 77, 92, 149, 191, 246
არტაქსი 75
არღუნი 187
ასოღიკი (სტეფანოზ ტარონელი) 95, 98
ახვლედიანი გ. 23
ახვლედიანი დ. 246
ბაბე ბ. 108
ბაგრატიონი აშოტი 95, 98
ბაგრატუნი აშოტი 98
ბალფური ა. 127
ბარამიძე ევ. 31, 63, 92, 111, 170, 183, 201, 247
ბარდოს 186
ბაქრაძე ა. 220, 247
ბაქრაძე დ. 13
ბედოშვილი გ. 174, 176
ბერუჩაშვილი ნ. 73, 91
ბერძენიშვილი დ. 246
ბერძენიშვილი ნ. 12, 13, 172, 176, 185
ბჟეზინსკი ზ. 19
ბროსე მ. 95, 101, 185
ბურნაშევი 42, 61, 66, 69, 70, 74, 75, 99, 185
ბურნაშოვი 95, 100
ბუტკოვი ნ.გ. 95, 99, 100
გეგეშიძე დ. 227
გეხტმანი გ. 176
გეხტმანი ნ. 176
გვანცელაძე თ. 72, 176
გვიმრაძე თ. 2. 42, 47, 73, 92, 248
გიორგი ბრწყინვალე 96
გიულდენშტედტი 185
გობრონი, მოწამე 95
გოგატიშვილი შ. 172, 176
გოგიჩაიშვილი ფ. 34, 108
გოგოლაშვილი გ. 245
გოგოლაშვილი ი. 108, 222
გონგაძე მ. 91
გორგოძე თ. 6, 178
გორდეზიანი ლ. 2
გურული ვ. 5, 77, 92, 149, 191, 246
დეკანოზიშვილი 108
დემეტრე II თავდადებული 64, 187
დენიკინი 126, 133
დონდუა ვ. 13
დუბროვინი ნ. 95, 100
ელიზბარაშვილი ნ. 73, 91, 92
ერეკლე II 42, 99, 100, 208, 209, 232
ვანსიტარტი ლორდ რ. 127
ვარდანი 95, 98
ვაჩნაძე მ. 77, 92, 236, 246
ვაშაყმაძე ნ. 246
ვახტანგ გორგასალი 101
ვახუშტი ბაგრატიონი 25, 26, 31, 61, 64-69, 71, 75, 79, 82, 98, 102, 170, 174, 176, 184, 185-187, 189, 199, 200, 247, 248
ვესელოვსკი 13
ვრანგელი 125, 128, 129, 139
ზარდალიშვილი გ. 176
ზარიადრი 75
ზურაბიშვილი ი. 108
თამარ მეფე 16, 25, 49, 81, 204
თარგამოსი 96, 187
თაყაიშვილი ექ. 13, 34, 37, 38, 95, 98, 102
თეიმურაზ ბატონიშვილი 187, 188, 200
თეიმურაზ II 209
თოლორდავა რ. 5, 47,74, 92, 95, 103, 111, 169, 246, 247, 248
თოფჩიშვილი რ. 176
თურმანიძე ზ. 6, 185
ივანენკო ვ.ნ. 95, 100, 210
ინაძე მ. 172, 176
ინგოროყვა პ. 34, 36, 37, 107, 108, 171, 172, 174, 176, 204
იოსელიანი პ. 173
კავსაძეები, ძმები 10
კაკაბაძე ს. 34, 247
კარახანი ლ. 125, 139, 140, 144, 148
კეკელია ჯ. 49, 51, 54, 92, 180, 200, 247
კეკელიძე კ. 43, 213, 227
კერზონი ჯ. 126, 127
კვერენჩხილაძე რ. 247
კვეტენაძე მ. 6, 8, 159, 169, 247
კილაძე ს. 247
კირთაძე დ. 6, 8, 171, 176
კოვალენსკი პ.ი 95, 100
კობახიძე კ. 247
კორიოლისი გ.გ. 191
კოტეტიშვილი ვ. 42, 172, 176
ლეთოდიანი დ. 176
ლეონტი მროველი 25, 61, 75, 95, 96, 102, 173-175, 187, 200
ლისტი, პროფ. 14, 15, 18
ლომოური თ. 185
ლორთქიფანიძე ვ. 2, 108, 176
ლუკა, პატრიარქი 99
მაევსკი ვ.ტ. 95, 100
მაზნიაშვილი, გენ. 128
მანველიშვილი ალექსანდრე 247
მარდალეიშვილი ვ. 7, 206, 224, 227, 245
მარიამ დედოფალი 102
მარი ნ. 12, 13, 23, 42, 101, 173, 176, 185
მარიამ დედოფალი 102
მარუაშვილი ლ. 73, 92, 192, 200
მაცაბერიძე მ. 2, 40, 76, 92, 230, 234, 235, 244, 247
მაჭავარიანი ლ. 73, 92
მახარაძე ფ. 191
მგალობლიშვილი მ. 176
მელიქიშვილი გ. 172, 176 252
მენთეშაშვილი ა. 6, 36, 37, 47, 144, 203, 204, 212, 247, 248
მესხია შ. 27, 32
მესხი ე. 176
მესხია შ. 27, 31
მეტრეველი რ. 47, 172, 176
მოვაკანოს 186, 187
მცხეთოსი 173-175
ნარიმანოვი ნ. 191
ნიკოლაიშვილი დ. 2, 5, 8, 36, 47, 49, 50, 66, 74, 83, 92, 103, 111, 125, 159, 169, 176, 191, 219, 246, 247, 248
ნიკოლაძე ნ. 36, 108
ნოე 173
ოდიშელიძე ი. 36, 37, 108, 110, 204
ორბელიანი პ. 15, 95, 97, 102
ოძრხოსი 173
პაპასქირი ზ. 172, 176
პლინიუსი 75, 95, 97
ჟამთაღმწერელი 25, 95, 96, 98

ჟორდანია თ. 13, 36, 46
ჟუკოვსკი ვალ. 13
ჟურული გ. 108
რამიშვილი ნ. 108
რომანოვები 154
რცხილაძე გრ. 36, 108, 204, 223
საბანინი 13
სარალიძე ლ. 248
სართანია დ. 2, 5, 10, 21, 24, 36, 42, 43, 47, 49, 50, 66, 73, 83, 92, 103, 111, 159, 169, 191, 219, 248
სვანიძე მ. 6, 31, 32, 215, 218, 249
სიხარულიძე ი. 176
სტეფანე მტბევარი 95
სტრაბონი 75, 95, 97, 134, 171, 174
სულხან-საბა ორბელიანი 25
სურგულაძე ა. 144
სურგულაძე პ. 14, 15, 18, 249
სუხოტინი 185
ტარონელი სტეფანოს 98
ტაციტუსი 171
ტროცკი ლ., ბრონშტეინ-ტროცკი ლ. 127
ურატაძე გ. 125, 144, 148
უჯმაჯურიძე ა. 2, 5, 8, 47, 92, 95, 111, 125, 169, 248
უჰაეცი მ. 96
ფალიაშვილი ზ. 10
ფილიპოვი ვ.ნ. 96, 100
ფრუიძე ლ. 227
ყიფშიძე ი. 23, 43, 211
ქართლოსი 173
ყაუხჩიშვილი ს. 21, 22, 176, 200
შანიძე აკ. 14, 20, 23, 46, 173, 176
შარდენი ჟ. 173, 176
შაჰატუნიანი ა. (შახატუნიანი ა.) 61, 79, 101, 189, 204, 210, 225
ჩაჩხიანი აკ. 237, 249
ჩერჩილი უ. 126
ჩიტაია გ. 18
ჩიქობავა ა. 173, 176
ჩიქობავა, სტუდენტი 238
ჩუბინაშვილი დ., ჩუბინოვი 187
ჩუხუა მ. 2
ჩხეიძე თ. 227
ჩხეიძე ნ. 36, 37, 47, 108, 130, 203, 204, 215, 216, 221, 223, 227, 230, 239
ჩხიკვიშვილი გ. 2, 47, 92, 95, 111, 169
ცაგარელი ალ. 14
ცინცაძე დ. 6, 7, 28, 32, 203, 204, 213, 217-220, 222-223, 226, 228-229, 245, 249
ციცაგი მ. 185
ცხადაია პ. 177
ცხაკაია გ. 38
ცხაკაია ს. 38, 183
წერეთელი ე. 108
წერეთელი ი. 108, 130, 215, 221, 230, 236
ჭავჭავაძე ი. 26, 32, 44
ჭილაშვილი ლ. 188
ჭუმბურიძე ზ. 35, 48, 173, 177
ხარატიშვილი მ. 73, 92
ხარაძე კ. 5, 7, 25, 32, 173, 178, 246
ხატისოვი ალ. 152
ხატისოვი გ. 152, 153
ხატისოვი ივ. 152, 153, 157
ხეველი გ. 249
ხვედელიძე მ. 249
ხონელიძე ზ. 2
ხორბალაძე ნ. 6, 178
ხოშტარია-ბროსე ე. 6, 203, 212, 227, 249
ჯავახიშვილი ალ. 2, 3, 5-7, 92, 183, 247, 248
ჯავახიშვილი ივ. 8-32, 34-54, 58-93, 95-105, 107-108, 110-112, 149-151, 156-157, 158-159, 164, 169-175, 177-179, 183-185, 190, 201, 204-213, 214
ჯავახისეული 215, 217-236, 239-250
ჯავახიშვილი ნ. 10, 11
ჯავახოსი 173-175
ჯანაშვილი მ. 34, 71, 93, 95, 98, 102, 174, 177, 185
ჯანაშია ს. 21, 23, 174, 177, 213, 227
ჯანელიძე ო. 2
ჯორბენაძე ბ. 245
ჯორბენაძე ს. 14, 32, 222, 229
ჯორჯი ლ. 126-127
ჯუანშერი 25
ჰანი კ. 173, 177
ჰეროდოტე 133, 171
ჰეროს 173, 187
ჰუმბოლდტი ალ. 31
Andersen A. 5, 125, 133, 140, 142, 143, 250
Beichman A. 129, 142
Jeffery K. 127, 142
Gorgodze T. 6, 178, 184
Gorbachev 142
Hewsen R.H 132, 142
Hovannisian R.G. 125-128, 130, 135, 137-140, 142
Kazemzadeh F 125, 136, 140, 142
Kharadze K. 2, 5-7, 33
Khorbaladze N. 6, 184
Kirtadze D. 177
Kopisto L. 126-127, 142
Koryn A. 142
Lang D. 129, 138, 142
Materski 142
Nikolaishvili D. 2, 94, 111, 250
Rose J. 126, 127, 142 253
Sartania D. 5, 94, 250
Suny R.G. 132, 140, 142
Аваловъ З. 126, 127, 129, 138, 140, 142
Аверянов А.П, 102
Адонц Н.Н 102
Бурнашевъ 66, 75, 93, 102
Бутков П. Г. 99, 102
Врангель П 129, 139, 142
Гачечиладзе Р. 59, 93
Деникинъ А. 127, 142
Дубровин Н. 100, 102
Иваненко В.Р. 100, 102
Кадишев А. 125, 137, 139, 142

გეოგრაფიული საძიებელი

აბანო 116
აბასთუმანი 105
აბოვიჩადარასი 113
აბოცი 52, 61, 75, 77, 78, 84, 95, 97, 174, 209
აბოცის მთები 15, 78
აბსტრიქტდა უღ. 112
აბუისლა 166
აბხაზეთი 64, 224
აგაპეტის მთა 130, 144
აგეფსთა 74, 160
აგლაგანი 166
აგრიჩაი, აგრი-ჩაი 70, 123, 164, 189-191, 195, 199
აგუდაღი 117
ადაიკომი 65

ადაიხოხი, ადაი-ხოხი 65, 66, 108, 161,163, 206
ადიგენი 105
ადიგენის მუნიციპალიტეტი 173
ადალიდაღი 166
ადიში 161
ადიღეა 172
ადრიანოპოლი 28, 52, 151, 217
ავეილი 122
ავაშეჯი-ბარონდი 110
ავეშენჯი 161
ავსტრია 152
ავღანეთი 127
აზერბაიჯანი 28, 36, 37, 42, 49, 59, 70, 73, 74, 121, 123-125, 127-129, 131, 137-141, 148, 179, 182, 191, 196, 198, 215, 237
აზერბაიჯანის სსრ 141, 191
ათინას ოლქი 80, 211, 216
აიბგა 248
აინაძორი 118
აკრიახი 163
ალაგირის რაიონი 66
ალავერდი 99, 135
ალაზანი 69-71, 73, 82, 116, 123, 163, 164, 169, 172, 173, 186-199
ალაზნის ველი 172
ალანთა ქვეყანა 64, 224
ალანია 66, 155
ალატა 53
ალაშკერტი 154
ალაჰიუეკბერის ქედი 78
ალბანეთი 82, 187
ალევი 116
ალეპო 152
ალექსანდროპოლი 78, 124, 134, 136, 209, 210, 225
ალვანი 188
ალვანია (ალბანეთი) 187
ალთუნბულა 166
ალი-დაღი 53
ალის სასულთნო, ალისულტანი 70, 71, 98, 207
ალმალოს ყურე 199
ალოსი 164
ალფადარი 193
ამბროლაური 18
ამერიკა 13, 19
ამიერი კავკასია, ამიერ-კავკასია 17, 49, 52, 236, 239
ამიერკავკასია 41, 54, 58, 79, 99, 100, 127, 151-154, 179, 191, 203, 205, 210, 216, 224, 225, 235, 236, 239,248.
ამიერკავკასიის ფედერაცია 41, 140, 179
მლაშეწყალი 191, 199
ამლსუ 121
ამლჩა 121
ამღა 162
ანაკერტი 115
ანდის ყოისუ 162
ანისი 98
ანკარა 128
ანჩი 115
არაბთა სახალიფო 134
არაგვი 116, 117
არავათისწყალი 115
არანაჩაი 118
არა-ნაჩაი 118
არარატი 128, 136, 137, 243
არარატის რესპუბლიკა 236, 237, 243
არაქსი 7, 78, 107, 118, 119, 134
არგაში-სუ 115
არგვეთი 82
არდაგანი 83, 104, 175
არდაგანის მაზრა 85, 104
არდაველი 154
არდანუჯი 115
არდანუჯიშწყალი 115
არდებილი 155
არდონი 38, 66, 108
არდონის ქვაბული 65
არდონის ქვაბ-ხეობა 64, 65, 96, 206
არდონის ხეობა 65, 66
არდოტი 53
არეგუნის ქედი 52
არეზი 78, 80
არზრუმი 154, 209
ართანა 162
ართვინი 53, 113, 114, 154, 156, 214, 222, 229, 245
ართვინის ოკრუგი 54
ართვინის რაიონი 216
არმადარასი 124
არმაშენი 166
არმიანიდაში 121
არმხისწყალი 67
არსიანის უღ. 112, 173
არტაანი 52-54, 61, 79, 80, 84, 87, 95, 107, 154, 156, 164-166, 175, 214, 216, 222, 229, 233, 245
არტაანის მაზრა 164
არტაანის ოკრუგი 130, 138
არტაანის ოლქი 79, 211
არტანუჯი 92, 115, 176, 177
არტანუჯი მდ. 113
არტაჰან-კოლა 77, 209
არუტინ-ფიდანია 134
არფაგელი 117
არფაგელი, ტბა 117
არღუნი 162, 187
არხონი 66
არხონის მთა 66, 108, 206
ასა 116, 162,
ასაკიდისთავი 163
ასახჩის მთა 74, 130, 144
ასპინძა 105,
ასპინძის მუნიც. 173, 174,
ასუ 113
აფშილეთი 205
აფხაზეთი 54, 63, 64, 87, 105, 131-133, 152, 161, 163, 172, 174, 176, 177, 205, 206, 224
აფხაზეთის ქედი 171
აფხაზეთის სამეფო 132
აფხაზეთ-ჯიქეთი 61-64, 206
აღბაბი 78
აღმოსავლეთი ანატოლია 154
აღმოსავლეთი საქართველო 19, 60, 91, 240
აღმოსავლეთ პონტოს ქედი 80
აღსტაფურა 73
აღჩაი 189
აშაგა-ინჩა 123
აშშ 19, 83, 126, 215
აჩი 114
აჯიჩაი 191
აჭარა 52, 81, 87, 88, 105, 128, 140, 154, 163, 194, 197
აჭარის ავტ. რესპუბლიკა 114
აჭარისაღმართი 163
აჭარისწყალი 163
აჭარა-ქობულეთი 87
აჭი 105
აჭისწყალი 105
ახალგორი 18
ახალი ბაიაზეთი 117-118
ახალი გაგრა 116
ახალქალაქი 15, 52, 77, 78, 155, 239
ახალქალაქის მაზრა 15, 52, 54, 78, 79, 105, 133-136, 140, 153, 156, 157, 203, 204, 209, 210, 224, 225, 237, 242, 244
ახალქალაქის რაიონი 105
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი 174, 173
ახალციხე 52, 53, 77, 105, 154, 155, 203, 223, 239
ახალციხის მაზრა 15, 52, 54, 78, 100, 105, 140, 204, 209, 210, 223, 224, 237
ახალციხის საფაშო 15, 18, 52, 78, 99, 134, 209
ახატ-ტაფა 169

ახატხევი 116
ახიზა 113
ახლო აღმოსავლეთი 125, 127
ახმანგი 117
ახმეტა 18
ახოტი 66, 206
ახსუ 119
ახტალა 99, 135
ახტახ-ტაფა, მთა 169
ახჭალა 166
აჯინოურის ველი 73
ბაბაკიარი 166
ბაბალაბადი 122
ბაბას მთები 78
ბადიში, უღ. 105
ბაზაკლიუ 118
ბაზუმის ქედი 76
ბათუმი 28, 52, 53, 58,76, 91, 93,112-114, 128, 148, 154, 155, 204, 212, 215, 216, 218, 220, 230, 232, 237, 242
ბათუმის გუბერნია 130, 145, 155
ბათუმის მაზრა 163
ბათუმის ოკრუგი 54, 105, 140
ბათუმის ოლქი 83, 155, 209, 216, 234
ბათუმის რაიონი 105
ბაიაზეთი 52, 53
ბაიბეჩინდაღი 120
ბალთა 74, 144
ბალკანეთი 52
ბამბაკ-ერევნის ქედი 173
ბამბაკი 52, 54, 76, 77, 84, 100, 136, 239
ბამბაკის მთები, ბამბაკის ქედი 52, 75, 97, 166, 212
ბაბას მთები 166
ბარდა 186
ბარდავ-რანი 188
ბარზაკუს ჯამე 122
ბარზონდაღი 161
ბარსავუ 122
ბარძბერდი 98
ბასთილამი, მთა 162
ბასიანი 84
ბასიანის ველი 154
ბასრა 116
ბასხოი 162
ბაქო 34, 127, 148
ბაქოს გუბერნია 59, 110
ბაშაგურ-კარი 116
ბაშარუ 121
ბაშკეი 164
ბაშკოი 164
ბაშნორაშენი 118
ბაჩახი, მთა 162
ბაწარა 116
ბახაო 162
ბახდაი 117
ბახფანდაგის უღ. 65
ბახ-ფანდახი 110
ბედია 18
ბეზენგი 161
ბეზობდაღი, მთა 78, 166, 212
ბეზობდაღის ქედი 66, 76
ბელარუსი 125, 248
ბელაქანი 137, 164
ბელაქანის ოლქი 207
ბელაქნის წყალი, ბელაქანჩაი 191, 194
ბენგალია 127
ბენდერი 116
ბერდაოჯი 73, 75, 96
ბერდუჯის მთები 15, 73, 78, 212, 166
ბერლინი 22, 28, 217
ბერძნული იმპერია 81
ბერქი 187
ბესათკაუ 161
ბეშაგეტი 53
ბზიბი 64
ბზიფი 61, 64, 116, 132
ბზიფის ხეობა 205
ბიზანტია 81, 101. 134
ბილხა 121
ბილჯმანპი 119
ბირდადო 122
ბიჭვინთა 87, 116
ბიჭვინთის კონცხი 116
ბიჭვინთის მონასტერი 61, 205
ბოგირ არხი 105
ბოგირარხი 119
ბოგურხანი 118
ბოზგუთი 166
ბოზთა 163,
ბოკა (ბოკო) 114
ბოლნის-დბანისი 75, 76, 96
ბოროზოვცი 121
ბორჩალო 100, 136, 152, 203, 207, 214, 222, 223, 229, 237, 241, 242, 245
ბორჩალოს მაზრა 15, 39, 54, 75, 79, 100,101, 133-135, 137, 138, 140, 153, 156, 157, 166, 191, 203, 204, 208, 209, 223, 237, 244
ბორჩხა 113, 163
ბორჯომი 105
ბორჯომის ხეობა 96, 209
ბოშდაშაგილი 119
ბრესტ-ლიტოვსკი 154
ბრიტანეთი 127, 233
ბრუტსაბძელი 66, 161
ბუგულთიკაუ 161
ბულგარეთი 236
ბუმჩაი 119
ბურუმკახის სარწყავ არხი 199
ბურჯალი 166
ბურჯუ 116
ბუუ 62
გაგი 175
გაგრა 116, 171, 233
გაგრის მუნიციპალიტეტი 172
გაგრის ქედი 54, 160
გაერთიანებული სამეფო 126
გავზუარუ 122
გალის მუნიციპალიტეტი 171
გამიკაია 166
განათლება 163
განძა 73
განჯა 52, 70, 73, 100, 155, 186
განჯის მთები 73
გარდაბანი 173
გარე კახეთი 69, 169
გასადარსუ 117
გაყრილობი 112
გაჯიმანი 119
გეზე 115
გეზევცეკი 161
გელაშენი 164
გენიშ-ჩაი 119
გეოკ მანა 122
გეორგიევსკი 52, 74, 98, 99, 161, 231
გერათკესუნი, მთა 163
გერელისი 164
გერმანია 11, 13, 20, 134, 152, 154, 203, 215, 231, 231, 235, 236
გესირდაღი 166
გვალბა 115
გვანდრა, უღ. 161
გველეთი 67
გვერდითი ქედი 65
გიაირ არხი 120
გინათი 161
გიუმიუჩაი 120
გიურჯადაგი 119

გიში 70, 73, 164, 188, 189,
გიშის ციხე 70
გიშის წყალი, გიშისწყალი 69-71, 73, 164, 188, 190, 212
გლოლა 161
გობთები, მთა 169
გოგარენე 173
გოგჩა ანუ სევანი 117
გოგჩის ტბა 117
გოდერძის უღ 163
გოლოვინკა 62
გონდი, მთა 166
გონდოლკი 116
გორგომხანი 113
გორდი 18
გორი 15, 18, 22, 34, 76, 78, 212, 242
გორიდა 164
გორის მაზრა 38, 156, 237
გორის ციხე 99
გოფდაში 166
გოქსაძე, იაილა 112
გრი ყალადარი, xp. 122-123,254-255
გუგარეთი 75, 97, 98, 101, 173, 207
გუბარეთი, გუგარენა, გუგარენი 75
გუდახევი 211
გუდაუთა 133, 160, 171, 205
გულის გად. 161
გულიხანა 113
გულრიფში 171
გუმბრი 15, 78, 153, 154, 209, 210, 242
გურია 52, 81, 83
გურძიევცეკი 115
გურჯან 164
გურჯისტანი 177
გურჯისტანის ვილაიეთი 175
დაგომისი 62
დავითგარეჯა 88, 166, 168, 246
დალაკუმი 161
დალიკ ტაში 166
დანია 41
დანდისი 73
დარიალანი 61, 66, 172
დარიალი 96, 144, 172, 206
დარიალის კარი 65-68, 172
დარიალის უღ. 38
დარიალის ხეობა 54, 65, 67, 74, 99, 172
დარუბანდი 64, 188
დასავლეთი ევროპა 42, 43, 101
დასტინსკის უღ. 119
დაღესტანი 125, 137, 206
დაღესტნის მთები 69
დაღისთიდაღი 164
დაღისტანი 69, 84, 98
დებედა 73, 75, 76, 212
დედოვნაბადი 121
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი 173, 197, 198
დეთანლუ 123
დვალეთი 38, 52, 61, 64-66, 80, 87, 88, 96, 100, 105, 163, 172, 206
დვალეთის ქდ 161
დიბრარი 120
დიდი ახბაბა თუ აღბაბა 78
დიდი ბრიტანეთი 127, 126, 235
დიდი რუი 124
დიობანი 163
დიდოეთი 84, 98, 186
დიდუბე 164
დივიჩი სად. მთა 121
დიკლო 162
დიმანსკის უღ. 122
დიუზ ხარაბა 166
დიში 123
დიხ ტაში, მთა 166
დმანისი 76, 96
დონოს მთა 162
დონღუსზარი 161
დორთქილი 166
დურიპსი 18
დურუჯის თავი 163
დურქსინი 97
დუშეთის მაზრა 38, 161, 162
ეგრისი 80, 82, 171
ედესა 98, 156,
ევროპა 11, 19, 36, 40, 46, 101, 125, 127, 134, 203, 233
ელდარის ველი, ელდარის სტეპი 124, 163, 188, 199
ელდარ-სამუხი 191
ელისავეტოპოლის გუბერნია 59, 105, 105, 136
ელისავეტოპოლის მაზრა 130, 134
ელისენი 52, 70, 71, 188, 207
ელისის სასულთნო 137
ენგური 171, 205
ერგე 81
ერევანი 100, 128, 157, 242
ერევნის გუბერნია 15, 59, 78, 105, 136, 156, 208
ერევნის მთები 97, 207, 212
ერზრუმის ვილაიეთი 136
ერისიმედი 6, 185, 194-196,
ერუშეთი 15, 52, 53, 78, 87, 151
ერუშეთის მთა 15, 78
ერწო 161
ეჩმიაძინი 99, 151
ვაკიკფარსი 161
ვალაშკერტი 154
ვალიდაღი 123
ვანთმაშენი 163
ვარამვართანი 166
ვარდანე 44, 62
ვარდანეს მიკრორაიონი 45
ვარსხემი 115
ვარტუშეთი 119
ვატიკანი 136
ვაშლოვანი 193, 198, 199
ვეპსახიაპი 120
ვერხვიანის ყურე 196, 197
ვილიაჟი 122
ვორონცოვკა 166
ვულიაჭაი 122
ზაგალიდარა 124
ზაგარია 164
ზ. აზგელი 120
ზალონა 164
ზანგეზური 125, 139, 140
ზარმაგი 144
ზაქათალა 54, 71, 87, 131, 164, 189, 214, 222, 229, 245, 250
ზაქათალის მაზრა 164
ზაქათალას ოკრუგი 54, 74, 124, 130, 131, 137, 139, 141
ზაქათალის ოლქი 42, 68, 69, 72-74, 83, 92, 138, 144, 145, 148, 192, 207
ზითუნი 152
ზეინერ-ატეში 117
ზეკარის უღ. 65, 66, 110, 161
ზელენჩუკი 161
ზემო სიარის უღ. 118
ზემო ქართლი 61, 96, 77, 173, 209
ზემოქედი 163
ზემო ციხიანი 194
ზიარეთი 117, 166
ზივინი 53
ზილჩახოხი, ზილგახოხი 161
ზომი 164
ზოფხიტურა 115
ზრამაგა 74
თაგინაური 105, 114
თალის გად 161
თავრიზი 155
თავქალა 112, 113
თავყალა 113

თალაჩაი 71
თანაფთი 164
თარპახ-კალა 123
თბილისი 1, 6, 22, 28, 34, 36, 45, 92, 128, 136, 137, 157, 183, 200, 204, 209, 212, 213, 218, 222, 223, 227, 230, 231, 236, 239, 246, 249
თბილისის გუბერნია 74, 83, 100, 130, 134, 137, 138, 140, 153, 209, 210, 225, 236, 242
თბილისის მაზრა 101
თბილისის საამირო 134
თებულოს მთა 162
თეგენიკში 161
თეთნულდი 161
თეთრი არაგვი 116
თეთრციხე 175
თელავი 18, 208
თელავის მაზრა 162, 163
თელბაში 166
თერგი 67, 116, 117, 162
თერგის ოლქი 206
თექე შიხი 121
თეძმის ხეობა 9
თიანეთი 18
თიანეთის მაზრა 141, 162
თიუილშოი 162
თორი 77
თორთომი, თორთუმი 52, 53, 174, 175, 211, 216
თორთომი მდ. 175
თორთუმ-ისპირი 61, 77, 79, 209
თრიალეთი 75, 95, 97, 134
თრიალეთის ქედი 173
თრუსო 110
თუგაურკი 67
თურქეთი 49, 52, 77, 82, 98, 101, 105, 112-114, 117, 118, 125, 127, 128, 134, 138, 140, 174, 175, 182, 203, 205, 209-211, 215, 225, 234, 236
თფილისი 241
თუშეთი 52, 54, 64, 65, 186
თუშეთის ალაზანი 117
იაილბალხი 113
იაილია ჩირუხი 114
იაილ ჩამუქი 113
იალანუზჩამი 113
იალანუსი, ქდ. 113
იბერია 97, 134, 174
ივერია 188, 200
ივრის ზეგანი 192
ითითალა 195
იკილი 120
ისქარისტი 112
იმერეთი 52, 64, 82, 97, 99, 171
იმერ-ხევი 113
იმერხევი 114, 115, 140, 155
ინგლისი 154, 156, 204, 216, 223, 233, 237, 249
ინგუშეთი 162
ინდოეთი 127, 233
ინისეთი 164
ინჩა 123
ინჩა-ყარაბულახი 123
იორი 52, 70, 73, 130, 169, 173, 186-188, 190, 191
ირანი 118-121, 137, 233
ირჯანის მთა 78, 166, 174
ისრაელი 20
ისპირი 174, 211
ირიჯლუს მთები 78, 80
ისქარისტი 112
იტალია 216
იუზბაშევანი 119
იუნიქენდის წყ 187
იფნიანისქედი 116
კავკასია 12, 13, 35, 40, 49, 51, 52, 54, 64, 77, 91, 99, 103, 104, 107, 110 125, 126, 128, 134, 149-152, 154, 176, 177, 185, 187, 209, 233, 234, 247
კავკასიის სამხედრო ოლქი 100
კავკასიის ქედი 64, 205, 224, 233
კავკასიონი 54,60, 64, 65, 69, 71, 74, 96, 108, 115, 127, 160, 163, 172, 189, 191, 206, 224, 233
კავკასიონის მთავარი ქედი 54, 64, 65, 71, 115, 160, 164, 171, 190, 206, 224
კავკასიონის მთიანეთი 60
კაირალი უღ. 112
კაკი 71, 188, 215, 221
კაკისწყალი 71
კაკლისყურე, ჯუმასყურე 193, 197
კალაგირი 161
კალა-დარასი 123
კალაკუ 120
კალაპოტამოსი 80
კალგარი 125
კალიფორნია 83
კალკო 117
კალტარი 124
კამბეჩოვანი 173
კამენკა 137
კამერვანი 119
კამნიგელი, ტბა 117
კამროი 124
კანადა 125
კანინგელი 117
კაპიშისტრა, უღ. 161
კაპოეტისწყალი 61, 64
კარაკაია 164
კარალანგილი 117
კარინი 97
კარის მთები 78
კარლიკერი 124
კარნუქალაქი 96, 209
კარჩაკიუ 121
კარჩხალის მთები 163
კასარის უღ. 110
კასპი 22
კასპიის ზღვა 154, 187, 188,
კასრისკარის ციხე-სიმაგრე 66
კასრისწყალი 199
კასრისხევი 66
კასრის ხეობა 65
კატეხისწყალი, კატეხჩაი 191, 195
კაშკაჩაი 212
კახეთი 42, 61, 69, 70, 82, 83, 95, 98, 99, 136, 163, 173, 186, 188, 194
კახეთის კავკასიონი 163, 164
კახი 70, 100, 189
კეკროსი 164
კეკროსო 164
კესარია 155
კვდარის უღ. 65
კვირიასწყალი (ულგანსუ) 191, 194
კიახტი 162
კიევი 125
კიზგენი 161
კილიკია 98
კინცხანა 163
კიორ. ლუ-ჩაი 120
კირჟასიგი დაგ 121
კირიხქილისა 166
კიუნა 121
კიურდაშის დას. 118
კიურდი 119
კიში 70
კიშ-კიშლაღი 70
კიშნისი 120
კლარჯეთი 52, 54, 77, 80, 84, 115, 209
კლუხორის გად. 161
კობალხოი 162
კობახჩო 163
კობი 74, 144, 161, 162

კოდა 155
კოდორი 133, 161, 205
კოდორის ქედი 171
კოზის უღ. 65
კოკობერეთი 114
კოლა 52, 54, 61, 77, 79, 80, 84, 87, 174, 208, 210
კოლა-არტაანი 52, 54, 61, 79, 80, 84, 87, 174, 211
კოლაი 123
კოლო(ა)პოტამოსი 80
კოლხეთი 132, 165
კონსტანტინეპოლი 28, 36, 37, 45, 58, 91, 93, 126, 176, 204, 218, 220, 230, 231, 250
კონც. აგანი 11
კორხუ 115
კოშაკოვახი 119
კოშკაჩაი 123
კოჯორი 36
კრასნოდარის მხარე 64, 160, 172
კუზუ დაღი, მთა 166
კუიულაუდარა 123
კულადაში 123
კულმუხი 188
კუპახი 110
კურტი 105
კუშენასტი 112
კუხეთი 186
კ. შორგელი 120
ლაალროსო 164
ლაგოდეხი 18, 163
ლაზარევსკოე 62
ლაზეთი 216
ლაზიკა 80, 132
ლაზისტანი, ლაზონა 61, 77-79, 100, 174, 175, 211
ლაზისტანის სანჯაყი 211
ლაზი უჩყარდაში 163
ლაიფციგი 185
ლანღგოთხევი 113
ლარსი 67, 162, 206,
ლატვია 125
ლეილიდაღი 166
ლეკისწყალი 199
ლენქორანსკი 121
ლიახვი 108
ლიმანი 164
ლიტვა 125
ლომერხლი 162
ლონგოთხევი 115
ლონდონი 127
ლორე 52, 54, 72, 76, 77, 80, 87, 96, 97, 101, 135, 137, 138, 140, 156, 166, 167, 169, 207, 208, 239, 241, 244
ლორეს რაიონი 156, 203
ლორე-ტაშირის ველი 76, 97, 100-101, 134, 207
ლოქის ხეობა 75
მაალროსო 164
მაგარა დაღი 164
მაგლასი 114
მაზოლთანო 162
მაზ. ჯევი 120
მაკოფსე 62, 130, 132
მაკრიალი 163
მამზიშხა 116
მამისონდონი 65
მამისონის უღ. 38, 65, 74, 110, 144, 161, 172
მანარეთი 120
მარიამ-ჩაი 112
მარითისხევი 114
მარუხის უღ. 161
მაჩხალი 162, 163, 164
მაწიმისწყალი 163
მაჭახლისწყალი 114
მახო 114
მეზრე 164
მესოპოტამი 127
მესხეთი 15, 18, 52, 60, 61, 64, 77, 78, 79, 80, 82, 91,96, 173, 209, 211
მეჩეთ ქოშუქი 120
მეხადირი 131
მეჯვრისხევი 18
მეჯუდა 116
მზიმთა 132
მთა დედოვნაბა-დი, ქდ. დედოვ-ნაბადი 121
მთავარი ქედი 64, 65, 224
მიზური 66
მინგეჩაური 187, 188
მინგეჩაურის წყალსაცავი 70, 73, 187, 188, 199
მინდიეთი 163
მიჩრ. შიფმენ 123
მიხრელი 166
„მიჯნის ყურე“ 193, 199
მოვაკანი 73, 186-188
მოვაკნეთი 187
მოონეთი 164
„მოსაბრუნი“ 189
მოსკოვი 5, 22, 42, 64, 69, 74, 97, 125, 129-131, 133, 137-141, 148, 157, 218, 220
მტკვარი 15-18, 52, 59, 60, 70, 73, 75, 78, 91, 104, 113, 130, 155, 164, 166, 172-174, 186-188, 211, 206
მტკვრის ხეობა 15, 72-73
მუდროსი 154
მურგუნჩსუ 113
მუღანლო 197
მუშაკი 63
მუშეხი 166
მუხათციხე 163
მუხრანი 18
მცირე აზია 152
მცხეთა 76, 154, 173, 174, 212, 242
ნაბაძურა 105
ნაზიფჩაი 119
ნარდონი 65
ნარვანხოხი 117
„ნასასახლევი მეფეთა“ 66-67, 206
ნაქუდურთა 162
ნაქუდურთაცესი 162
ნაცხავოტევი 114
ნახარი, გად. 161
ნახიჩევანი 125, 140
ნეგოფსუხო 63
ნეფისკალა 116
ნეფისკალო 117
ნიალისყურის მთა 15, 78
ნიკოფსი 63, 64
ნინიკოს ციხე 163
ნინოწმინდის რაიონი 105
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი 174
ნიჟნი სიარსკი 118
ნიუვადი 118
ნიუვადინის დას. 118
ნიცხოი 162
ნოვომიხაილოვსკი 63
ნორაშენულია 118
ნორვეგია 41
ნუზალა 66
ნუღი 189
ნუხა 52, 70, 73, 164
ნუხპატო 73, 164
ოგდარი 164
ოვსეთი 84
ოკამი 166
ოკეჩერა 164
ოლთი 83
ოლთისი 53, 77, 208, 214, 216, 222, 229, 245
ოლთისი, ოლთუჩაი, მდ. 175
ოლთისის ოკრუგი 54, 130
ოლთისის ოლქი 79, 211
ონი 18, 74, 144

ონის მაზრა 161
ოსეთი 172, 206
ორბელიანი პ. 102
ორდალა 164
ორდუ 155
ორდუბადი 118
ორი 164
ორჩწყალი 117
ორწყალის წვერი 162
ორჯოხი 164
ოსმალეთი 15, 18, 37, 40, 51-53, 61, 78, 100, 101, 105, 150, 151, 153-156, 175, 203, 204, 208-210, 215-217, 225, 233, 235, 237, 242
ოტომანთტა იმპერია 134, 211
ოფი 80
ოქიუზდაღი, მთა 199, 200
ოქიუზიათაღი 164
ოჩამჩირე 171
ოძისი 116
ოძრახე 172-173
პალაკაციო 61, 77, 84, 151, 166, 174
პალაკაციოს ტბა 84, 97
პალანტეკენი 169
პამბაკის ქედი 75
პანჯურეთის გადას. 166
პართია 134
პარიზი 14, 22, 28, 31, 36, 37, 45, 47, 58, 63, 76, 80, 81, 83, 91, 110, 125, 127, 129, 130, 137, 140, 179, 190, 203, 204, 214-219, 221, 223, 227, 230, 232, 247, 249
პარნასაკერი 122
პარხალი 115, 216 პასინის
პატარა ზები 114
პენჯაბი 127
პეტერბურგი 10, 12, 22, 69, 101
პირგირაკი 119
პირიქითას ქდ. 96, 172, 206
პირიქითა ხევსურეთი 64, 65
პლანტის ქუჩა 219, 221
პოლონეთი 125, 128, 152, 248
პონტოს მთები, პონტოს ქედი 175
პორცელი 115
პრინცის კუნძლები 126
პსიში, პშიში 160
პულკოვო 62
ჟბა 161
ჟენევა 77, 215
ჟინვალი 18
რაზუანი ბანდი 121
რაჭა 38, 65, 206
რაჭის მაზრა 38
რიზე 216
რიზე ვიალიეთი 175
რიზეს ოლქი 80, 211
რიზეს სანჯაყი 211
რიონი 16-17, 59, 80-81, 108, 211
რკინის პალო, „რკინის პალო“ 80
როკი, როქი 66, 110
რომი 134
რუსეთი 11, 13, 19, 28, 38, 41, 42, 49, 48, 49, 51-54, 58, 59, 62, 64, 69, 74, 77, 83, 88, 90-92, 96, 99-101, 110, 117-121, 126-129, 131, 133, 136, 138-142, 144-149, 151-154, 156-158, 161, 171, 172, 175, 182, 185, 203, 205-209, 211, 213, 214, 217-225, 228, 229, 231-234, 240, 242, 245, 247
რეზე 216
რუსეთის იმპერია 8, 28, 48-51, 54, 58, 73, 80, 88, 99, 102, 103, 105, 107, 124-125, 126, 128, 130, 132, 134-137, 140, 151, 155, 160, 161, 179, 205, 208, 213, 218, 220, 223, 231
რუსეთის სსრ 148, 160, 161
რუსთავი 173
სბაზვაიცი 110
საბათლო 193, 198, 199
საბშნოსღელე 117
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი 105
საგუშაგო 113, 193, 196, 197
სადახლო 166, 241
სადონი 66
სათაფლია 114
სათლისწყალი 112
საინგილო 71, 73, 82, 88, 93, 96, 98, 102, 172, 194, 197, 207, 212
საკალდედალი 113
საღთი 164
საღოღლი 166
სამეგრელო 82, 171
სამელიანო 114
სამთაწყარო 196
სამიწყალი 115
სამურზაყანო 133, 205
სამცხე 15, 18, 61, 78, 96, 99, 100, 163, 173, 174, 209, 242
სამცხე-საათაბაგო 99, 100, 151, 174
სამცხე-ჯავახეთი 15, 96, 100, 151, 173, 209, 242
სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 164, 174, 176
სამხრეთი კავკასია 52, 78, 79, 84, 95, 126-128, 132, 134, 137, 138, 140, 141, 154, 172, 187, 233, 234
სამხრეთ ოსეთი 87, 108, 161, 206, 224
სანაინი 166
სანგარა ახსი 160
სანკტ-პეტერბურგი 22, 187
სან-რემო 127, 216
სან-სტეფანო 52
სანჩარი 160
სარაკი 121
სარიჩარი 163
სარფი 163, 175
საუხოხი 66
საფრანგეთი 36, 223, 241, 243, 247
საქართველო 5-7, 9-32, 34-54, 58, 60-84, 88-93, 95-103, 105, 107, 108, 110-114, 116, 117, 123, 125, 127-135, 137-142, 144-151, 153, 154, 156-159, 161, 163-166, 170-182, 184-192, 198-201, 203-239, 241-250
საქართველოს კარი 61, 66, 172
საქართველოს რესპუბლიკა 6, 14, 22, 35, 36, 39, 40, 46, 47, 58, 66, 83, 87, 88, 125, 128, 130, 144, 148, 152, 159, 165-169, 178, 184, 203-205, 206, 214, 218, 224, 226, 229, 232, 234, 235, 247, 250
საქართველოს სსრ 178, 183, 141, 158, 191, 220
საქართველოს სამეფო 101
საქედისწვერი 163
საღორია, მთა 163
საყორნო 117
საძელი 117
სახალაბარანი 122
სახარისღელის უღ. 162
სახრე 164
საჯავახო 81
სბაზვაიცი 110
სევანის ტბა 134
სევანის ქედი 52, 75
სევრი 28, 216
სელევკია 154
სვანეთი 161, 171, 174, 206
სვანეთის ქედი 171
სიბირდუ 122
სიერი-დაღის გადასასვლელი 53
სიმური 163
სინოპი 212
სირია 77, 152
სიხუბარზოი 162
სიღნაღი 208
სიღნაღის მაზრა 124, 162-164
სიღნაღის მუნიციპალიტეტი 173, 194
სოლონჩაკ და-ჟი 120
სოლოღი 164

სომეხთა სამეფო 75
სომხეთი 5, 13, 15 28, 32, 39, 42, 49, 58, 74-77, 79, 82, 88, 92, 95, 97, 98, 100, 101, 125, 127, 128, 130, 131, 133-141, 144, 149-151, 154-157, 173, 181, 182, 199, 203, 207, 208, 210, 212, 215, 216, 223, 232, 235-237, 239-244, 246-248
სომხეთის სამეფო 101
სომხითი 74, 96, 100, 207, 208
სოუს ბულაღი, მთა 166
სოღანლუღი 52, 53
სოჭი 62, 64, 132, 214, 214, 222, 229, 245
სოჭის ოკრუგი 127, 130-133
სოხუმი 160, 161, 171
სოხუმის ოკრუგი 131, 133
სოხუმის ოლქი 64, 83, 145, 179, 206
სპარსეთი 52, 61, 127, 154, 155, 206, 208, 209, 237
სპერი 52, 75, 97, 174, 216
სსრკ 17, 140, 179
სტამბოლი 14, 37, 76, 154, 155, 212, 230, 242
სტენფორდი 83
სტეპი ბილჟმანპი 119
სუარგომი 67
სულდა 166
სულმა 121
სუპრო 162
სურმალინის მაზრა 128
სხა 115
სხალთა 114
სხლობანი უღ. 112
ტაბახმელა 36
ტალიასეფი ბადი 121
ტამბინადი 122
ტანგარიუ 121
ტანგიარიუ 121
ტანკონი 122
ტაო 52, 54, 61, 75, 77, 79, 80, 84, 87, 96-98, 164, 166, 174, 175, 209, 211
ტაო-თორთუმ-ისპირი 61, 79, 211
ტაო-ისპირი 61, 96
ტაო-კლარჯეთი 52, 54, 77, 80, 84, 87, 98, 134
ტაო-ოლთისი 77, 209
ტარიბანა 124
ტაშ-ბ(?) 122
ტაშირი 52, 75, 87, 95, 96, 134, 174, 207
ტაშირის ოლქი 134
ტაშისკარი 96, 173, 209
ტახისწყალი 191
ტახტატონი 122
სადგ. (ღორისწყალი) 199
ტბეთი 95, 112, 163
ტბისთავი 163
ტბიხომია 113
ტებერდა (თებერდა) 161
ტევულევანდი 121
ტენმბურუნი 120
ტეპლი 65
ტეტერკუში 166
ტინოვროსო 248
ტფილისი 15, 18, 154, 157, 212, 237, 238, 242, 247, 250
ტიფლისის გუბერნია 54, 55, 59, 64, 73, 96, 101, 110, 144, 145, 153, 155, 179, 206
ტფილისის მაზრა 156, 166
ტლუნსერ მეერი 164
ტრაპეზუნის ვილაიათი 83, 130, 175
ტრაპიზონი 77, 79, 81, 83, 154, 155, 212
ტრაპიზონის საფაშო 52
ტრებიზონი 83
ტუაფსე 62, 63, 205
ტუაფსეს ოკრუგი 127
ტფილისი 6, 9, 12, 42, 47, 75-79, 92, 102, 177, 199, 211, 212, 242, 243, 247, 250
ტფილისის მაზრა 108
უაჩა 161
უგა ფერიისკი 119
უგჩაი 120
უდაშარიუ 122
უზიუბამი 122
უზუნკალი 161
უკრაინა 125, 128, 214
ულიასი 121
უმანუმია 113
ურავარი 123
ურუხი 115
ურწნისი 119
უსატისი 113
უშბა 163
უშუგი, იაილა 112
უჩთანა 118
უჩტანალიარი 117
ფამბაკი 76, 207
ფანჯურეთი 166
ფარაკანა 175
ფარავანი 174
ფარჩი ხანუხლიარი 118
ფასისმთა 161
ფიმალი 164
ფიროსმანი, სოფ. 196-198
ფიფინეთისწყალი 71, 189
ფიფინეთის ხეობა 70, 71, 96, 207
ფოთი 129
ფოცხოვი 87, 163, 214, 222, 229, 245
ფოცხოვის უბანი 15, 53, 78
ფსოუ 54, 74, 130, 131, 133, 144, 171
ფშავი 141
ფშავის არაგვი 116
ფშიში 160, 163
ქაბარჯინა 117
ქავთარეთი 163
ქანდა 73
ქარდა 113
„ქართველთა ველი“ 76, 101
ქართლი 9, 18, 42, 60, 61, 65, 74, 75, 77, 82, 83, 91, 96-99, 101, 102, 156, 173, 200, 206, 207
ქართლის სამეფო 74, 100-101, 146
ქართლ-კახეთი 99, 100, 135
ქარჩხალი 114
ქარჩხალის თხემი 114
ქაფიჩაი 191
ქაჯთა ქალაქი 175
ქედი არხი 117
ქედი ბოდურეში 115
ქედი მამზიშხა 116
ქედის მაზრა 163
ქედის რაიონი 105
ქეშადაღი, მთა 166
ქვაბლიანი 82
ქვაბლოვანი 82
ქვათეთრასი 114
ქვაკიბე 114
ქვ. ამბურდაგი 122
ქვ. ბუკარი 112
ქვემო დემურკაპი 166
ქვემო პურიათი 161
ქვემო ქართლი 61, 73-75, 77, 78, 95-101, 163, 166, 173, 174, 207, 208, 210
ქვემო ციხიანი 194
ქვემო ჭალა 18
ქვ. ხაჩმასი 120
ქვ. ხერთვისი 163
ქიზიყი 61, 173, 206
ქიზიყისთავი 189
ქისტეთი 98
ქისტურა 67
ქიშჩაი 189
ქლუხორის უღ. 161
ქობულეთის რაიონი 105
ქუდულა 189

ქუთაისი 213, 241
ქუთაისის გუბერნია 54, 74, 83, 130, 144, 145, 155, 179, 56
ქუთაისის მაზრა 145
ქურმუხისწყალი 188, 189
ქურტი 119
ქხომისთავი 116
ღადისი 118
ღალიძგა 171, 205
ღები 161
ღლიღვეთი 98
ღორისწაყლი, სადგ. 199
ღოროშეთი 115
ღორჯომი 114
ყაბარდო-ბალყარეთი 161
ყაბართ ჩერქეზნი 84
ყაზახბეგლი 166
ყაზახი 52, 73, 84, 99, 100, 166
ყაზახის მაზრა 130, 134, 136
ყაზახ-შამშადილი 87, 100
ყაზბეგი 108
ყაზბეგი ანუ მყინვარი 162
ყაზი-ხოხი 66
ყაინალისწყალი 73
ყაიყული 174
ყალგიზი 120
ყამრაიდარსი 124
ყარაბაღი 99, 100, 125, 139
ყარაბაღის ზეგანი 118
ყარაბაღის მთები 134
ყარაბახის სახანო 59
ყარადაღი 99, 117
ყარათაუხი 166
ყარაია, ყარაიაზი 61, 69, 73, 87, 141, 157, 166, 168, 169, 173, 206
ყარაისა 166
ყარა სახის სტეპი 119
ყარასახკახი 163
ყარასუ 119, 124
ყარაქალისი 166
ყარაყაია 164
ყარა შალოვარი 114
ყარაჩაი 191, 196
ყარაჩაი, მდ. 196
ყარაღაჯის მთა 78, 174, 189
ყარაჯადაღი 123
ყარსი 15, 78, 83, 154, 166, 174
ყარსის მთები 78
ყარსის გუბერნია 79, 211
ყარსის ვილაიეთი 175
ყარსის ოკრუგი 54
ყარსის ოლქი 15, 53, 54, 57, 78, 138, 154, 156
ყარსის საფაშო 52, 209, 225
ყაღიზმანის ოკრუგი 54
ყაჯირი, მთა 124
ყაჯირის ტბა 124
ყაჯიში, ქდ. 124
ყელი, ტბა 117
ყვარელი 18
ყვარელის მაზრა 162
ყველის წვერი უღ. 112
ყვირალა 112
ყივრაგი 118
ყიზილ-გიადუკი 78
ყიზილდალი 117
ყიზილკაია 121
ყიზლარი 98
ყირიმი 125, 128, 129
ყიფჩაღი 123
ყუბანი 61, 64, 139, 172, 205, 224
ყულადაში 105
ყურაბინი, ჯამე 123
ყურყუტა, ყურყუტი 116
შაბუროდარის მაზრა 118
შავი ზღვა 52, 53, 62, 73, 74, 80, 81, 104, 116, 127, 130, 140, 150-155, 160 163, 164, 171,175, 176, 203, 205, 212, 224
შავი ზღვის ოკრუგი 54, 74
შავი ზღვის გუბერნია 132, 144
შავიზღვისპირეთის ოლქი 83
შავი კლდე 163, 248
შავშეთი 52, 87, 165, 166
შავშეთის მაზრა 166
შავშეთის ქედი 163
შამქორი 73, 99
შამქორის წყ. 187
შამშადილი 52, 73, 100, 136
შანდენკალასი 121
შანი, მთა 162
შარაფი 166
შარივცეკი უღ 161
შარურო-დარალაგეზის მაზრა 118
შატილი 162
შაქი 69, 98, 100, 192, 206
შაჰდაღის ქედი 75
შებუღელი, მთა 162
შეკი, შექი 73, 189
შეკუ 161
შემახია 188
შიდა კახეთი 69
შიდა ქართლი 38
შინამბუბი 121
შიომღვიმე 13
შირაქის სტეპი 124, 157
შირვანი 100, 188
შიშ ტაფა 166
შიხლიარი 120
შლიზანი 121
შოლთი 163
შორაპნის მაზრა 38
შორგელი 120
შუახევის რაიონი 105
შუდაევი 161
შულავერი 241
შურაგელი 100
შუშა 118
ჩათხოხი 162
ჩათიჯიზენი 164
ჩალაბაში 166
ჩალიარი 112
ჩალპანთაუ 161
ჩამახარა პხალეკირი 160
ჩარა-სილდისთავი 163
ჩართული 163
ჩაუნი 119
ჩაუშლი 164
ჩახეთხევი 164
ჩერეკი 115
ჩილდირი 174
ჩირუხი 114
ჩმახარა 160
ჩმი 67
ჩრდილი 166, 174
ჩრდილის ტბა 166
ჩრ. კავკასია 84, 164, 172
ჩური 119
ჩხალეთი 113
ცაგერი 18
ცაგერის მაზრა 161
ცაჩერკერი 160
ცაციხური 114
ციხე დავითისა 67
ციხე კალაერი 119
ციხისძირი 53
ცმიაკომდონი 65
ცრემური, უღ. 112
ცხინვალი 18
ცხინვალის რეგიონი 48

ცხრამელა 114
ძაგამი 123
ძეგამი 52
ძედოს უღ. 65, 110, 161
ძორაგეტი 76
ძურძუკეთი 98, 186
ძურძუკნი 84
წალენჯიხა 18
წალიყოვალი 113
წალკის მუნიციპალიტეტი 134
წებელდა 64, 100, 205
წვერი 163
წითელი საბათლო 197
წითელწყარო 163
წილკანი 18
წყალშიმცრი 163
წყარისთი 164
ჭანეთი 77, 79-83, 87, 164
ჭანჭახი 161
ჭარ-ბელაქანი 137
ჭარი 70, 71, 96, 98, 189, 207
ჭირჭიმი 211
ჭონტიო 162
ჭოროხი 16, 17, 53, 59, 77, 78, 80, 104, 113, 114, 140, 163, 164, 173, 174, 211
ჭოროხის ვილაიეთი 175
ჭოჭკანი 75
ხალაწა 65, 110, 161
ხალდე 116
ხალდესჭალა 116
ხალიწა 66
ხალფალი 166
ხალხელი 119
ხალხელჩაი 119
ხანზირი 80
ხანის უღ. ხარვესი 115
ხაჩაორტი 122
ხაჩმაზი, მდ. 119
ხახული 175
ხება 163
ხედის მთა 163
ხევა 113, 163
ხევი 52, 64, 65, 67, 105, 123, 124, 162
ხევი დიდი ნაურა 123
ხევი ყარასუ 124
ხევსურეთი 52, 54, 64, 65, 141
ხევსურეთის არაგვი 117
ხერეკი, ჯამე 121
ხერთვისი 163
ხიგი 164
ხიზი 120
ხიმრიკი 163
ხიმშიანის ოლქი 211
ხმელთაშუა ზღვა 41, 134, 212
ხოდი 164
ხოდულია 164
ხოვლე 10
ხორანთა 73, 173, 187, 189
ხორასანი 53
ხორზენე, ხორზენი 75, 97
ხორისარი 116
ხოროსანი 164, 166
ხოფაჩაი 112
ხოფა, ხოფი 53, 80, 113, 164
ხოჩალდაღი 163
ხოძორი 164
ხოხი 66, 206
ხრამი 237
ხუბიარა 163
ხულო 194, 197
ხულოს მაზრა 163
ხუნძახი 98
ხუპრო 162
ხურძუკი 161
ხუშათი 162
ჯაბერი 161
ჯაგრი 118
ჯაგრიჩაი 118
ჯავა 38, 161
ჯავის მაზრა 38
ჯავახეთ-აბოცი 77, 209
ჯავახეთი 15, 18, 39, 52, 78, 88, 97, 100, 101, 134, 136, 152, 156, 157, 163, 174, 199, 207, 209, 210, 225, 241, 242, 244
ჯავახეთის ქედი 78, 173
ჯავახეთ-სამცხე 61, 210
ჯამარო 164
ჯამიაგი 118
ჯამპარაჩაი 191, 192
ჯარიეხი 67, 206
ჯენსუ 120
ჯერახო(ვ?)სკოე 67, 206
ჯვარი 18, 112, 113, 115, 117
ჯიქეთი 52, 61, 64, 80, 87, 88, 171, 224
ჯოოხ როსი 164
ჯუგაანი 194
ჯუმასყურე 192, 197
ჯურფუკანი 113
ჰარიაცრი 97
ჰერეთი 42, 61, 68-75, 80, 82, 87, 96,98, 99, 137, 164, 172, 173, 186-188, 197, 206, 207
ჰერაკლია 81
„ჰერეთის ფონი“ 198
ჰური 175
Abkhazia 142, 177
Abotsi 177
Adjara 201
Agrichai 201
Alazani 201,
Armenia 102, 142, 143, 158, 201
Artaani 177
Azrbaiijan 143, 201
Buroom chanel 201
Byzantine 102
California 93, 250
Caucasus `143
Chicago 142
Dariali 177
Dvaleti 177
Eldar Valley 201
Eastern Europe 143
Erisimedi 201
Gagi 177
Georgia 33, 48, 88, 93, 94, 102, 111, 142, 143, 158, 170, 177, 184, 201, 250
Democratic Republic of Georgia 48
Georgie 142, 213, 214, 250
Greece 143
Helsink 123
Hereti 177
Hoover 93, 250
IIndianopolis 142
Iran 158,
Ispiri (Speri) 177
Javakheti 177, 201
Kartli 177
Karaia (Karaiazi) 177
Katechkhuli 201
Kiziki (Kambechovani) 177
Kola 177
Kvemo Kartli (Gugareti)
Kvirisastli 201
Lazistani 177
London 142
Los ngeles 142
Manchester 142
Menggeachi 201

Moscow 143,
Okiuzdagi 201
Palakatsio 177
Paris 48, 93, 142, 143, 201, 213, 250
Pirosmani 201
Psou 250
Russia 102, 142, 143,
Russian Empire 143, 158
Sabatlo 201
Saden 177
Samtatskaro 201
Samtskhe 177
Sevres 142
Stanford 93, 250
Sochi 142,
South Caucasus 143
Southern Georgia 201
Soviet Union 201
Tao 177
Toronto 142
Tortumi 177
Transcaucasia 142
Turkey 102, 143, 158,
Uglanu
Verxovani 201
Warszawa 142
West Europe 102
Zemo Kartli 177
Абано 116
Абовичада-раси 113
Абсриктда 112
Авеиль 122
Агри-чай 123
Агричай 70
Агу- дагъ 117
Адаихох 161
Аджарис-цкал 104
Аджарский ССР 112-114
Аджихаджалу 120
Азербайджанская ССР 120, 184
Айнадзоръ 118
Айричай 69, 70
Айчанкали-даг, г. 107
Алазанъ 116 123
Алеви 116
Аллахюэкбер 78
Амл-чай 121
Амль-су 121
Анагертъ 115
Анчъ 115
Арават-су 115
Арагва 116
Араксъ 118, 119
Арана-чай 118
Ардагань 107
АРДАНУЧЪ 113, 115
Арданучъ-су 115
Арма-дараси 124
Армения 102
Армянская ССР 184
Армяны-дашъ 121
Арначай 118
Арпа-Гелъ 117
Арпа-Гелъ(?), оз. 117
Арсиани 112
Арсианский пер. 112
Артанудж 113
АРТВИНЪ 113
Архъ, хр. 117
Аса 116
Асу, яйл 113
Ачь 114
Ахать-хеви 116
Ахиза 113
Ахманга 117
Ахъ-Су 119
Ашага-инча 123
Бабала-
Бадъ 122
Байбечинъ даг 120
Балхъ, яйл 113
Барзаку (?) 122
Барсаву 122
Басра 116
Батум 112, 114
Бахь-Даиъ 117
Башару 121
Башъ-Норашенъ 118
Баясъ-Кая 104
Безаклю 118
Безобдальскій хреб. 78
Бел.-Арагва 116
Бендери 116
Берлинъ 142
Бив.Кр. 123
Билжманпи 119
Билха 121
Бырдадо 122
Богиръ-архъ 105, 119
Богур ханъ 118
Бодуреши, хр. 115
Бока (Боко) 114
Борзовцы 121
БОРЧХА 113
Бошъ-Дашагиль 119
Бумъ-чай 119
Бурджу 116
Валии-дагъ, г. 123
Варсхемь 115
Вартушетъ, ст. 119 Вепсах яп(?), пер. 120
Верхній сіар-скій, пер. 118 Вешагурть Кари 116
Виляжъ 122
Воронсов 120
Вуляжъ-чай 122
Гавзуару 122
Гагры 116
Гаджиманъ 119
Гадисъ 118
Гакрилобъ 112
Гасдарь-су 117 Гвалба, хр. 115
Гезе 115
Гениш-чай 119
Геокъ
Мана 122
Герамъ-кесунъ 104
Гоксадзе, Яйля 112
Гокча или Севангъ(?), оз. 117
Гондолка 116
Горгадзе 104
Горгомханъ 113
Горджом 114
Горошетъ 115
Грузия 74 93 99 100, 102, 111, 141, 142, 184, 250
Груз ССР 184
Гры Кала-дара, хр. 123
Гуг-чай 120
Гули-хана, г. 113
Гурдзіе-вцек, пер. 115
Гюмюръ чай 120
Гюрджа-даг, хр. 119
ДАГЕСТАНСК. ССР 120
Даріальское 67
Дастинскій, пер. 119
Де.довнабандъ(?), хр. 121
Дедовнабандъ 121
Детанлу 123

Джабисъ-тави 104
Джаангясер 122
Джагры 118
Джагры-чай 118
Джары 71
Джеинъ-су 120
Джурфукан, пер. 113
Дибраръ 120
Дивичи 107
Дивичи, ст. 107, 121
Диди наура 123
Диди-руи, Овр. 124
Дыманскія, пер. 122
З. Азгели 120
Загали-дара 124
Загам 123
Закавказье 79 93, 102 142
Зап. Джамиагъ 118
Запхатури 115
зеинар-атеш 117
Зиареть 117
Зиндаваръ 121
Имерети 93
Имерхеви 113
Имерхеви 113, 114, 115
Инча 123
Инча- Карабулагъ 123
Инча-карабулагли 123
Иора 124
Ипніанисъ-кеди 116
Искаристи 112
К Агани 118
К. Шоръ-гель 120
Кавказ 52, 93, 102, 108, 142
Каджири, г. 124
Каджирисъ-тба 124
Каджирисъ-тба 124
Каджи-ши, Хребетъ 124
Каиральский Пер 112
Кала-дараси 123
Калаку 120
Калва 104
Калгизъ 120
Калтаръ, Овр. 124
Калько 117
Камерванъ 119 Камни-Гелъ, оз. 117
Камрай-дараси, Овр. 124
Камрой, Овр. 124
Кан. Гяиръ-архъ 120
Канин-гел, оз. 117
Кара Шаловаръ(?) 114
КАРАБАХСКОЕ ПЛОСКОГОРЬЕ 105, 118
Кара-дагъ 117
Караджа-дагъ 123
Каралангиль 117
Карасахская Степь 119
Кара-Су 119
Карасу, Овр. 124
Карахалъ 104
Карда, г. 113
Карская область 93
Карталинія 93, 99, 102
Карчхаль, хр. 114
Карчхальский гребень 114
Каръ чакю 121
Касрис сери 104
Кахетія 93, 99, 102
Каш 123
Ква-кибе, г. 104, 114
Кватетрас 114
Кв-т букарис 112
Квелись цвери 112
Квирала 112
Кель 117
Киргъ 118
Кинтриш 104
Кипчахъ 123
Кистинка 67
Кишниси(?) 120
Кишъ 69, 70, 189
Кишъ-кишлахъ 70
Кишчаи 189
Кларджетъ 115
Кокоберети 114
Колай 123
Корху 115
Коша-Ковахъ 119
Кошка-чай 123
Кошук 120
Кр. Кала-Ери 119
Куладаш 105, 123
Кубанской Обл 116
Кудула 189
Кура 113, 174
Курабинъ 123
Куркута 116
Куркутты Вешагурть-Кари 116
Курмухчаи 189
Куртъ 105, 119
Кутайсская губерния 93 102 115 116
Кушебис-тави 124
Кушенасти 112
Куюлау-дара, Овр. 123
Кхомисъ-тави 116
Кызылъ-далъ 117
Кызыль-Кая-дагъ 121
Кыржасыги-дагъ 121
Кюниа 121
Кюрдъ 119
Кюръ дашскій, пер. 118 Ланготхевъ 113
ЛЕНКОРАНСКІЙ 121
Лонготхевъ 115
М. Бурджу 116
М. Непись-кала 117
Місто Бацара 116
Магласъ 114
Мадатапинскій хреб. 78
Мамдзышха, хр. 116
Манареть 120
Марадид 104
Маримис-чай 112
Маритис хеви 114
Махо 114
Мачахелис цкали 114
Махачкала 142
Медзи дна 104
Меджуда 116
Місто Ба-цара 116
Мериси 104
Микилъ 120
Микриали-чай 104
Мингреля 93
Москва 93 141 142, 184
Мургунчъ-су 113
МХ пархатлъ 115
Н. АМБУРДАРГ 122
Н. Марадид 104
Н. Хачмаз 107
Назиф-чай 107 119
Нарванъ-хохъ 117
Нацхавотеви 114
Нечепсухо, Негопсухо, Ныджыпсыхьу 63
Непись-кала 116, 117
Нов.Гагры 116
НОВО-БАЯЗЕТЪ 117, 118
Ножно Соарской 118

Норашенъ-Уліа 118
Ност сарпъ 104
Нювади 118
Нювадинский, пер. 118
Нижни Одзиси 116
Окр. Батумский 104
ОРДУБАДЪ 118
Орчъ-цхали 117
Оттоманская Империя 100 102
Панабантъ 122
Парижъ 142
Парнасарекъ, пер. 122
Парчи 118
Патара-зеби 114
Перанга 104
Петербург 142
Пиргираж, ст. 119
Пицундский, Мысь 105
Порцели 115
Пость 113
Пшавская-Арагва 116
Пшиш 160
Рига 184
Россия 74, 93, 135, 142, 150, 250
Россиской Империя 135
Сабшносъ геле(?), Пер. 117
Саганлуг 52
Садзели 117
Сакалъдедалъ 113
Саквирике 104
Сакорно, пер. 117
Самелиано 114
Сараки 121
Сатаплія 114
Сатлис цк. 112
Сахала-Баранъ 122
Сибирду 122
Сиг. Г- Бураваръ 123 Сиг.
Сырхыбадзонд 163
Джулютъ 123
Ситис-кибе 104
Слизанъ 121
Солончак-Дажи 121
С-Петербур 142
Сульма 121
Сюдашъарю 122
Сха(?) 115
Схалта 114
Схалти 112
Схлобань 112
Тавкала 112, 113
Тавъ кала 113
Тавъ Кала 113
Тагинаури, г. 114
Тагконъ 122
Талясефы бад 121
Такма-таш 104
Тамбинад 122
Тангярю 121
Тарпахъ- Кала 123
Ташъ-б(?) 122
Тахта-тои 122
Тбети 104
Тбетъ 112
Тбилиси 142, 184, 250
Тевулевандъ 121
Теке шихи 121
Телав 117
Тенм-бурун 120
Терек 116, 117
Теркской обл. 115 116
Тирала 104
Тифлись 93 102 111
Тифлисская губерния 26, 102, 104, 116
Тирч сагатъ 104
Турція 118
Тушетская Алазань 117
Тъбихомя 113
Уаквис-мта 104
Уга-ферикская 119
Угдиди 104
Уез. Ахалцихский 104
Уез.Джев 120
Узю-Бами 122
Ульгарскій хреб. 78
Улясы 121
Уманъ умиа, пер. 113
Урух 115
Урцнісъ 119
Усатис 113
Учъ-таналяръ 117
Учъ-тана 118
Уш. Басра 116
Ушугъ, Яйля 112
ущ. Кала-дараси 123
Хабарджанъ 117
Халда 104
Халде 116
Халдес чала 116
Халхель 119
Халхельчай 119
Ханухляръ 118
Харвесъ 115
Харисаръ 116
Хача-ортъ 122
Хачмазъ 107 119
Хева, г. 113
Хевсур-ская Арагва 117
Херек 121
Херхем-кала 104
ХИЗЫ 120
Хопа чай 112
Хорос дагъ 104
Хр Шавшетски 104
Цали- Ковал, пер. 113
Цацихури 114
Цремурский, пер. 112
Цхрамела, г 114
Чалдырскій хреб. 78
Чаляръ 112
Чатлъ-науръ, оз. 120
Чаунъ(?) 119
Черекъ 115
Черноморск 116
Чирухъ 114
Чирухъ Каралангил, яйл 117
Чорохъ 104-105, 113-114
Чорохъ 114
Чхалети 113
Шанденъ-Каласи 121
ШАРУРО-ДАР 118
ШАРУРО-ДАРАЛАГЕЗ 118
Шинамбубы 121
Шираки, Степъ 124
Ширя царя 113
Шихляръ 120
Шоръ-гель 120
ШУ-ША 118
Элдаръ, Степь 124
Эриванской Губ 118
Юзбашеванъ 119
Яйл Балхъ 113
Ялан ус, хр. 113
Яланузчамский, пер. 113